

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
Georgian Academy of Sciences
Arn. Chikobava Institute of Linguistics

ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება
Besarion Jorbenadze Society

საენათმეცნიერო
ძ ი ე ბ ა ნ ი

XXV

Linguistic
P a p e r s

თბილისი 2007 Tbilisi

81.2
800
ს 157

„საქართველოს ენობათმცნეო ქიბანის“

XXV წიგნი თემატურად მრავალფეროვანია. იგი განკუთვნილია ენათმცნეოთათვის და, საერთოდ, ენის საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის.

“Linguistic Papers“ volume 23 contains thematically diverse works. It is meant for linguists and in general, all persons interested in language issues.

სარედაქციო კოლეგია: EDITORIAL BOARD:

მ. ბერიძე, კ. გაბუნია, **გ. გოგოლაშვილი** (მთავარი რედაქტორი), **ლ. გოქსაძე** (ინგლისური ნაწილის რედაქტორი), ნ. დარასელია, **ც. კვანტალიანი** (სწავლული მდივანი), მ. კიკონიშვილი, მ. კობიაშვილი, რ. ლანდია, **ნ. ლოლაძე** (მთ. რედაქტორის მოადგილე), თ. ლომთაძე, ჭ. ქირია, მ. ქურდიანი ნ. ჭუმბურიძე, ნ. ჯორბენაძე

M. Beridze, K. Gabunia, **G. Gogolashvili** (editor-in-chief), **L. Goksadze** (editor of the English part), N. Daraseli-a, **Ts. Kvantaliani** (scientific secretary), M. Kikonishvili, M. Kobiashvili, R. Landia, **N. Loladze** (deputy editor-in-chief), T. Lomtadze, Ch. Kiria, M. Kurdiani N. Chumburidze, N. Jorbenadze

მკაბერიძე არჩაბაძე

ივლიკაციის მარკირების კონსტრუქციული და სემანტიკური მნიშვნელობა ზეფრაზულ ერთიანობაში

ტექსტის შემადგენლობაში ზეფრაზული ერთიანობის გამოყოფის უმთავრეს კრიტერიუმად აზრობრივი კრიტერიუმია მიჩნეული, რაც ზეფრაზული ერთიანობის გამოყოფისას ერთიანი მიკროთემის არსებობას გულისხმობს, რაც, თავის მხრივ, შეიძლება დაკონკრეტდეს როგორც აზრობრივი დისკრეტულობა, ანუ განსაზღვრული აზრობრივი დასრულებულობა და დამოუკიდებლობა (ტურაევა, 1986; 114-115). თუმცა ზეფრაზული ერთიანობის გამოყოფისას შესაძლოა გავთვალისწინებულ იქნეს კრიტერიუმების კომპლექსი: აზრობრივი, ლოგიკური, სინტაქსური, რიტმულ-მელოდიური, ემოციური, პრაგმატული, რომელთა შორის აუცილებლად აზრობრივი დისკრეტულობა დომინირებს.

განიხილავს რა ზეფრაზული ერთიანობის გამოყოფის ძირითად კრიტერიუმებს და საფუძვლებს, ზ. ტურაევა გვთავაზობს ზეფრაზული ერთიანობის განსაზღვრებას, რომლის მიხედვით ზეფრაზული ერთიანობა არის ტექსტის (ზეპირი ან წერილობითი) მონაკვეთი, რომელიც ხასიათდება აზრობრივი და ფუნქციონალური დასრულებულობით, მჭიდრო ლოგიკური, აზრობრივი და ლექსიკური კავშირებით, რაც აერთიანებს მის შემადგენელ ნაწილებს (ტურაევა, 1986; 115).

ი. გალპერინი, ვ. გაკი და ვ. კუხარენკო ტერმინში „ზეფრაზული ერთიანობა“ მოიაზრებენ ორი და მეტი დამოუკიდებელი წინადადების ერთობლიობას, რომელიც ხასიათდება აზრობრივი, კომუნიკაციური და სტრუქტურული დასრულებულობით და ავითარებს ერთ „მიკროთემას“ (გალპერინი, 1981, 67; კუხარენკო, 1988, 68-69; გაკი, 1972, 777-778).

როგორც ზემოთ მოყვანილი განსაზღვრებიდან ჩანს, ტექსტის ერთეულის გამოყოფის კრიტერიუმად ზეფრაზულ ერთიანობაში თე-

მის ერთიანობა ითვლება.

მოცემულ ნაშრომში ჩვენ შევეცდებით წარმოვაჩინოთ მიკროთემის ერთიანობის როლი, როგორც ზეფრაზული ერთიანობის უმთავრესი ნიშან-თვისება. იმპლიციტური მნიშვნელობა ის მიკროთემაა, რომელიც იმპლიკაციური ზეფრაზული ერთიანობის, მისი კონსტიტუენტების (ანტეცედენტი და კონსეკვენტი) და მისი საზღვრების, როგორც იმპლიკაციის მოქმედების საზღვრების ერთგვაროვნად იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა.

ფორმალური ლოგიკა აღწერს ურთიერთობას ლოგიკურ ობიექტებს შორის ხუთი სენტენციონალური მაკავშირებლის მეშვეობით: კონიუნქცია („A და B“ — $A \wedge B$ სახის კავშირით), დიზიუნქცია („A ან B“ — $A \vee B$ სახის კავშირით), იმპლიკაცია (თუ „A მაშინ B“ — $A \supset B$ სახის კავშირით), უარყოფა („A, არა A“ — $A, \neg A$ სახის კავშირით), და ეკვივალენტურობა („A ანუ B“ — $A \sim B$ სახის კავშირით) (კონდაკოვი, 1976, 149-150, 192-193, 421-423, 677). ამ ჩამონათვალს შეიძლება დავუმატოთ ანტიიმპლიკაცია („A მაგრამ არა B“ — $A \not\supset B$ სახის კავშირით), რომელიც შეიცავს უარყოფისა და იმპლიკაციის ნიშნებს და გვხვდება მაპირისპირებელ და დათმობით სტრუქტურებში (ჩიკუროვა, 1981, 1987).

ჩვენი კვლევის საგანს იმპლიკაცია წარმოადგენს, რომელიც როგორც უკვე აღვნიშნეთ წარმოდგენილია თუ „A მაშინ B“ სახის კავშირით, რომელშიც A არის ანტეცედენტი, ხოლო B — იმპლიკაციის კონსეკვენტი. იმპლიკაციის ანტეცედენტი შეიძლება აღნიშნავდეს მიზეზს, პირობას ან რაიმე მოქმედების, ფაქტისა და მოვლენის ნიშანს, რომელიც მიემართება კონსეკვენტისაკენ (კონდაკოვი, 1975, 143; ჩიკუროვა, 1981, 11).

ლოგიკური იმპლიკაციის საფუძველზე შეიძლება გამოიყოს ტექსტის სტრუქტურა, რომელსაც შეიძლება იმპლიკაციური ზეფრაზული ერთიანობა ვუწოდოთ. იმპლიკაციურ ზეფრაზულ ერთიანობად ითვლება ტექსტის ორი ან მეტი წინადადების მიმდევრობა, რომლებიც დაკავშირებულ არიან ერთმანეთთან ლოგიკური იმპლიკაციით. იმპლიკაციის ანტეცედენტის შემცველ წინადადებაში რეალიზდება მოვლენის, მოქმედების ან მდგომარეობის მიზეზი ან პირობა. იმპლიკაციის კონსეკვენტის შემცველ წინადადებაში კი რეალიზდება შედეგი. სხვადასხვა იმპლიკაციური ზეფრაზული ერთიანობა ერთმანეთისაგან იმპლიკაციის მიმართულებით განსხვავდება. თუ ანტეცედენტი უს-

წრებს კონსეკვენტს, მაშინ ასეთი იმპლიკაცია მარჯვენა მხრისაა. მარჯვენა მხრის იმპლიკაციის იმპლიციტურ ზეფრაზულ ერთიანობებში გვხვდება **So, therefore, as a result of that** და სხვა მარკერები და დასასმეობა მათი ჩანაცვლებაც. შესაბამისად, თუ კონსეკვენტი უსწრებს ანტეცედენტს, ასეთი იმპლიკაცია მარცხენა მხრისაა. მარცხენა მხრის იმპლიკაციის ზეფრაზული ერთიანობა კი წარმოდგენილია **as, for, because** მარკერებით ან შესაძლებელია მათი ჩანაცვლება (ჩიკუროვა 1980, 20-21).

იმპლიკაციურ ზეფრაზულ ერთიანობაში კაუზალურობის აღმნიშვნელი მარკერები შეიძლება იყოს სტრუქტურულად აუცილებელი. იმპლიკაციის სტრუქტურულად აუცილებელ მარკერებად ითვლება ლექსიკური ერთეულები, რომელთა გამოტოვება იმპლიკაციური ზეფრაზული ერთიანობის ნაწილებს აქცევს გრამატიკულად აღუნიშნავ წინადადებებად. მარცხენა მხრის იმპლიკაციის სტრუქტურულად აუცილებელ მარკერებს განეკუთვნება კავშირი **because of**:

1. **But I really don't go out very much. Because of Mrs. Palgrave (H.B. 73)**

S1C S2

მოცემულ მაგალითში მეორე წინადადება ითვლება პარცელირებულ სინტაქსურ სტრუქტურად, რომელიც დამოკიდებულია პირველ წინადადებაზე. კავშირი **because of** სტრუქტურულად აუცილებელია; მისი ელიმინაცია ზეფრაზულ ერთიანობას უაზრობად აქცევს:

*

But I really don't go out very much. Mrs. Palgrave

იმპლიკაციის სტრუქტურულად აუცილებელ მარკერებს მიეკუთვნება სრულმნიშვნელოვანი ლექსიკური ერთეულები მიზეზის ან შედეგის გამოხატვის მნიშვნელობით (**cause, reason, result** და სხვა), რომელთაც სუბსტანციურ კონექტორებს უწოდებენ. ისინი წინადადების სტრუქტურულად აუცილებელი წევრების ფუნქციას ასრულებენ. მაგალითად:

(2) "The victim is always important", said Poirot. "The victim, you see, is often the **cause** of the crime (A. Ch.)

S1C S2

იმპლიკაციურ ზეფრაზულ ერთიანობაში (3) არსებითი სახელი

reason იმპლიკაციის სტრუქტურულად აუცილებელი მარკერია და ასრულებს ქვემდებარის ფუნქციას:

(3) ... the Meadwood situation made it necessary to use a runway which cut across one of other two. The **reason** was that planes were landing and taking off on flight paths which crossed one another (A.H.)

S1 ⊃ S2

მომდევნო ზეფრაზულ ერთიანობაში არსებითი სახელი reason ასრულებს სტრუქტურულად აუცილებელი დამატების ფუნქციას:

* აღნიშნავს არასწორ კონსტრუქციას

(4) ... you know the **reason** I took a pot shot at it, Loretta says? She says I was temporarily insane (J. S.)

S1 ⊂ S2

იმპლიკაციურ ზეფრაზულ ერთიანობაში (5) იმპლიკაციის სტრუქტურულად აუცილებელი მარკერი — ქვემდებარე, წარმოდგენილია ლექსებით explanation, რომლის მნიშვნელობა შეიცავს მიზეზის სემას; n. — something that explains; explain v. — to give or to be the reason for

(5) We will make clear to all concerned that we are not opting out of Forum East, nor do we intend to. **The Explanation** we will give is simply that in light of other commitments, we have adjusted the flow of funds (A. H.)

S1 ⊂ S2

იმპლიკაციის ლექსიკურ მარკერებს განეკუთვნება ლექსემა effect, რომელიც მიუთითებს ადამიანის ემოციურ მდგომარეობაზე, რომელიც რაიმე მოვლენის ან ფაქტის შედეგადაა გამოწვეული: effect n. — a result produced on the mind or feelings მაგალითად:

(6) Before his arrival she had changed out of the suit which she had worn earlier into orange slacks and a plain black sweater, relieved only by a triple strand of pearls.

The effect, Richardson thought, was simple and physically exciting. (A. H.)

ზოგიერთი ფართო მნიშვნელობის არსებითი სახელი იმპლიკაცი-

ის მარკერის ფუნქციას შეიძლება ასრულებს. მაგალითად, იმპლიკაციურ ერთიანობაში (7) არსებითი სახელი truth შესაძლოა ჩაენაცვლოს მას ისე, რომ ზეფრაზული ერთიანობის შინაარსი არ შეიცვალოს. მაგალითად:

(7) Some people might wonder why they bothered retaining their marriage at all, since divorce in Canada (except in two provinces) was relatively easy, entailing merely some mild perjury which the courts went along with. **The truth** was that both he and Eloise were freer married than they would have been unattached. (A. H.)

* ... The reason was that both he and Eloise were freer married than they would have been unattached.

მხატვრულ ლიტერატურაში ფართოდაა გავრცელებული ტექსტის სტრუქტურები, რომლებშიც იმპლიკაციის სტრუქტურულად აუცილებელ მარკერად გამოიყენება მიმართებითი ნაცვალსახელი why, რომელიც იმპლიკაციის კონსეკვენტს წარმოადგენს:

(8) When later, in Vienna, I saw several of Peter Brueghel's picture, I thought I understood why he had attracted Strickland's attention. He, too, was a man with a vision of the world peculiar to himself (S. M.)

S1 ⊂ S2

იმპლიკაციურ ზეფრაზულ ერთიანობაში იმპლიკაციის მარკერების კონსტრუქციული მნიშვნელობის ანალიზის კვალდაკვალ საინტერესოა მათი სემანტიკური (კომუნიკაციური) მნიშვნელობის ანალიზიც, რომლის დროსაც შესაძლებელი ხდება, შეფასდეს იმპლიკაციის მარკერების უნარი, მოახდინოს ზეფრაზული ერთიანობის საშუალებით გადმოცემული აზრის (ამ შემთხვევაში — კაუზალურობის) განსაზღვრა (დეტერმინირება).

განვიხილოთ იმპლიკაციური ზეფრაზული ერთიანობა, (9) რომელიც ზემოთ მოყვანილი მაგალითებისაგან განსხვავდება იმპლიკაციის მარკერის სტრუქტურული და სემანტიკური მნიშვნელობით:

(9) The trial would go well. **Because** Constantin Demiris was a man who never forgot anything... (S. Sh.)

S1 ⊂ S2

მოცემულ მაგალითში კავშირი **Because** არის სტრუქტურულად და სემანტიკურად ფაქულტატიური, რამდენადაც იგი შეიძლება

გამოტოვებული იქნეს ზეფრაზული ერთიანობის ფორმალური და სემანტიკური სტრუქტურის დაუზიანებლად.

→ The trial would go well. Constantin Demiris was a man who never forgot anything...

უნდა აღინიშნოს, რომ იმპლიკაციური ტიპის ზეფრაზულ ერთიანობაში კავშირის **Because** საშუალებით დაწყებული ანტეცედენტური ნაწილი, განსხვავებით რთული ქვეწყობილი წინადადებისაგან, არ შეიძლება განლაგდეს კონსეკვენტური ნაწილის პრეპოზიციისაში, სადაც დასაშვებია ამ კავშირით დაწყებული დამოკიდებული წინადადების პრეპოზიციური წყობა:

* **Because** Constantin Demiris was a man who never forgot anything... The trial would go well.

ახლა კი განვიხილოთ რთული ქვეწყობილი წინადადება (10), რომელშიც მიზეზის დამოკიდებული წინადადება დგას მთავარი წინადადების წინ, რაც სავესებით ნორმატიულია:

(10) **Because** Toby could not take out his aggressions on his wife, he turned his fury on his audiences (S. Sh.)

S1C S2

მარცხენა მხარის იმპლიკაციის სტრუქტურულ-სემანტიკურად ფაკულტატიურ მარკერად ითვლება კავშირი **for**, რომელიც განსხვავდება **Because** კავშირისაგან იმით, რომ არის სუბიექტური მიზეზობრივ-შედევობრივი კავშირის გამოხატვის საშუალება მაშინ, როცა ბეცაუსე მიუთითებს მოვლენათა ობიექტურ კაუზალურ დამოკიდებულებაზე (პეტრიჯი, 1978; 121.) ჩვენ ამ მოსაზრებას სრულად ვეთანხმებით და საილუსტრაციოდ განვიხილავთ შემდეგ მაგალითს, რომელშიც სახეზეა სუბიექტური მიზეზ-შედევობრივი დამოკიდებულება:

(11) Perhaps Mrs. Mercado felt ill too. **For** she suddenly gave a short sharp cry (A. Ch.)

S1C S2

თუმცა, ჩვენი დაკვირვების თანახმად, მოვლენათა მიზეზ-შედევობრივი დამოკიდებულების სუბიექტური ხასიათი შეიძლება ასევე გამოიხატოს კავშირით **Because**, განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

(12) We couldn't bring things into the open and say, "When shall we meet again? where can I find you? Where do you live? **Because**, you see, if

you ask the other person that, they 'd expect you to tell same (A. Ch.)

S1C S2

მარჯვენა მხარის იმპლიკაციის ფაკულტატიურ მარკერებს მიეკუთვნება კავშირებითი ზმნიშედები **thus** (13), **therefore** (14) **so** (15) **hence** (16), რის მტკიცებულებასაც წარმოადგენს მარკერების ელიმინაციის ტრანსფორმაცია, რომელიც არც სტრუქტურულ დეფორმაციას და არც ტექსტის სტრუქტურების სემანტიკურ ცვლილებებს არ იწვევს. მაგალითად:

(13) On Friday afternoons all branches of First Mercantile American Bank stayed open an extra three hours. Thus, at the main downtown branch this Friday, the outer street doots were closed and locked by a security guard at 6 p. m. (A. H.)

S1S2

→ On Friday afternoons all branches of First Mercantile American Bank stayed open an extra three hours. At the main downtown branch this Friday, the outer street doors were closed and locked by a security guard at 6 p. m.

(14) In every port, everywhere, I am told the same thing: He has no passport, no papers. **Therefore**, he cannot leave us. (Ibid)

S1S2

→ In every port, everywhere, I am told the same thing: He has no passport, no papers. He cannot leave us.

(15) That 's when it 's good to have a friend. **So** I'm here (M. W.)

S1S2

→ That 's when it 's good to have a friend. I 'm here.

(16) The violent emotions aroused by the horrible crime make it impossible to find a local jury of people who have not made up their minds against the defendants. **Hence**, it is probable that the trial will be held in another area (C.F.)

→ The violent emotions aroused by the horrible crime make it impossible to find a local jury of people who have not made up their minds against the defendants. It is probable that the trial will be held in another area.

მარჯვენა მხარის იმპლიკაციის ფაკულტატიურ მარკერებს მიეკუთვნება მაკავშირებლები (კონექტორები) **because of this** \ **that**, **for this** \

that reason. In this\ that case და სხვა, რომლებიც წინა წინადადებაში აღწერილი სიტუაციის რეპრეზენტატორებად გვევლინებიან, მაგალითად:

(17) ... your best hope is the fact that you are a first offender, that you are a foreigner, that you understand the English language only in a rather rudimentary form. **In that** case you may get off with a minor sentence – or you may, indeed, get put on probation (A. Ch.)

S1>S2

—► ... your best hope is the fact that you are a first offender, that you are a foreigner, that you understand the English language only in a rather rudimentary form. You may get off with a minor sentence – or you may, indeed, get on probation.

მარჯვენა მხარის იმპლიკაციის მარკერი — შედგენილი ნაცვალსახელოვანი კონექტორი **that's why** სტრუქტურულად და სემანტიკურად ფაქულტატიურია, რადგანაც მისი ელიმინაცია არ იწვევს მთელი იმპლიკაციური ზეფრაზული ერთიანობის სტრუქტურულ-სემანტიკური მთლიანობის დაშლას, მაგალითად:

(18) She arranges things well. That's why my stepmother relies on her so much (A. Ch.)

S1>S2

—► She arranges things well. My stepmother relies on her so much.

კაუზალურობის მარკერის **that's why** გვერდით, XX საუკუნის მხატვრულ ლიტერატურაში მარჯვენა მხარის იმპლიკაციის გამოსახატავად ზეფრაზულ ერთიანობაში გამოიყენება მისი ვარიანტული ფორმები, რომლებიც ერთმანეთისაგან ნაცვალსახელებით განსხვავდებიან: **this is why** (19), **it's why** (20), **da which was why** (21).

(19) Among businessmen it is considered a high honor to be a company director, and the more prestigious the company the greater the glory. **This is why** some individuals collect directorships the way some Indians once collected scalps (A. H.)

S1>S2

—► Among businessman it is considered a high honor to be a company director, and the more prestigions the company the greater the glory. Some individuals collect directorships the way some Indians once collected scalps.

(20) Here scape from reality is almost total. It's why I think a visit from you might do some good (A. H.)

S1>S2

—► Her escape from reality is almost total. I think a visit from you might do some good.

(21) But luckily there was a tree, so he only had a fright. Which was why he was shivering so hard, so I gave him some bananas and I made him go through it a million times (A. H.)

S1< S2

—► but luckily there was a tree, so he only had a fright. He was shivering so hard, so I gave him bananas and I made him go through it a million times.

განვიხილოთ მაგალითი (22), რომელიც არსებითად განსხვავდება ზემოთ მოყვანილი ტექსტის სტრუქტურებისაგან კაუზალურობის მარკერის სემანტიკური მნიშვნელობით:

(22) Today is the Christmas holiday. That is why I read Dostoevsky (A. H.)

S1>S2

მარჯვენა მხარის იმპლიკაციის მარკერი **that's why** სტრუქტურულად ფაქულტატიურია, რადგანაც მისი ელიმინაცია არ იწვევს მოცემული ტექსტის სტრუქტურის ნაწილების სტრუქტურულ-სემანტიკურ დაუსრულებლობას:

—► Today is the Christmas holiday. I read Dostoevsky.

თუმცა კაუზალური კონექტორის გამოტოვებისას ტექსტის სტრუქტურა არ აღიქმება როგორც იმპლიკაციური — შობის დადგომა არ არის საფუძველი დოსტოევსკის წასაკითხად ნებისმიერი ადამიანისათვის. მარკერი ამ შემთხვევაში სემანტიკურად აუცილებელია — იგი მიუთითებს კაუზალურ დამოკიდებულებაზე ზეფრაზულ ერთიანობაში.

ამრიგად, იმპლიკაციის კონსტრუქციულად მნიშვნელოვანი მარკერები ზეფრაზული ერთიანობის სტრუქტურას ქმნის, ხოლო სემანტიკურად მნიშვნელოვანი მარკერები — მის სემანტიკას. ფაქულტატიურ მარკერებიან და არამარკირებულ იმპლიკაციურ ზეფრაზულ ერთი-

ნობაში იმპლიკაციური დამოკიდებულების ფორმირება მისი კონსტიტუენტების ლექსიკური შემადგენლობის ურთიერთქმედებით ხდება.

ლიტერატურა

გალპერინი, 1981 — Гальперин И.Р. Текст как объект лингвистического исследования /И.Р.Гальперин. – М.: Наука, 1981.

გაკი, 1972 — Гак В.Г. Высказывание и ситуация. // Проблемы структурной лингвистики, 1972. – М.: 1973.

კონდაკოვი, 1975 — Кондаков Н.И. Логический словарь-справочник/Н.И.Кондаков. – 2-е испр. и доп. изд. –М.:Наука, 1975.

კუხარენკო, 1988 — Кухаренко В.А. Интерпретация текста: Учебн. Пособие для пед. Инс-тов/ В.А. Кухаренко. – 2-е изд. перераб. – М.:Просвещение, 1988.

ტურაევა, 1986 — Тураева З.Я. Лингвистика текста: (Текст: структура и семантика) / З.Я.Тураева – М.: Просвещение, 1986.

ჩიკუროვა, 1987 — Чикурова М.Ф. антиимпликативные синтаксические структуры /М.Ф.Чикурова // Предикативность и полипредикативность. – Челябинск:Изд-во Челябинского пед. инс-та, 1987.

პეტრიჯი, 1978 — Partridge E. Usage and Abusage/E.Partridge. – Great Britain: senguin Books, 1978.

EKATERINE ARCHVADZE

Constructional and Semantic Meanings of Implication Markers in Supraphrasal Units

Summary

The paper deals with criteria essential for singling out supraphrasal units in a text. The role of microtheme as a principal means of creating supraphrasal unity is stressed. Constructional and semantic meanings of implicational markers that provide structural and semantic perfection of supraphrasal units are also discussed.

ციური ახვლედიანი

**გრამატიკული მეცნიერული აზრის განვითარება
და ფრანგული ნაციონალური სამწიგნობრო-სალიტერატურო
ენის ნორმალიზაციის პროცესი**

საფრანგეთში, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ VIII ს-ში სამწიგნობრო-სალიტერატურო ენაში, ერთიან დიალექტურ (*Ile de France*-ის) საფუძველზე, ჩამოყალიბდა განსაზღვრული ტრადიცია საწარმოთქმო და გრამატიკული ნორმების სფეროში, მაინც XVII ს.-მდე ჯერ კიდევ არ არსებობდა ზუსტად ფიქსირებული, ერთიანი საყოველთაოდ სავალდებულო წესები სამწიგნობრო-სალიტერატურო ენის ხმარებისა. ამიტომაც არა მხოლოდ ფრანგული ენის განვითარების შუა პერიოდში (საშუალო ფრანგულის პერიოდში, როგორც მას უწოდებენ (XIV-XV სს-ში), არამედ ფრანგული ნაციის შექმნის პერიოდშიც (XVI ს-ში) შეინიშნებოდა დიდი მერყეობა სალიტერატურო ენის როგორც საწარმოთქმო, ასევე გრამატიკულ ნორმებშიც და, აქედან გამომდინარე, იყო შესაძლებლობა სხვადასხვაგვარ ფორმათა თანაარსებობისა.

XVII ს-ში განსაკუთრებით მკვეთრად დადგა სალიტერატურო ენის ნორმირების საკითხი, ე. ი. წარმოიშვა აუცილებლობა, რომ დაედგინათ და დაეფიქსირებინათ მისი ისეთი დამწერლობითი და ზეპირი ფორმა, რომელიც იქნებოდა სანიმუშო და საყოველთაოდ სავალდებულო. სალიტერატურო ენის ნორმირება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ფრანგი ერისა და ფრანგული ნაციონალური ენის ისტორიულ განვითარებასთან: როგორც ცნობილია, ერის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ენის ერთიანობა ეროვნული სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე. ნაციონალური ფრანგული ენის ერთიანობა რივი საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა, XVI ს-ში მან შეავიწროვა ლათინური ენა საფრანგეთის სახელმწიფო დაწესებულებებში, მეცნიერებისა და სწავლების სფეროებში და XVII ს-ში საბოლოოდ დამტკიცდა, როგორც საფრანგეთის ნაციონალური სახელმწიფოს ოფიციალური ენა. თუმცა, ჯერ კიდევ შეუძლებელია

(ე. ი. XVII ს-შიც) ფრანგული ნაციონალური ენის ერთიან მყარ ნორმებზე ლაპარაკი.

მხოლოდ გრამატიკული მეცნიერების განვითარებამ გამოიწვია აუცილებლობა, რომ საბოლოოდ დაედგინათ და დაეფიქსირებინათ საწარმოთქმო და გრამატიკული ნორმები.

ფრანგული სალიტერატურო ენის ნორმირების პრობლემა ბრწყინვალედ იქნა გადაჭრილი XVII ს-ის თეორეტიკოსების მიერ. რაც შეეხება პირველ აღწერილობით გრამატიკებს, ისინი XVI ს-შივე გაჩნდნენ: ჟაკ დიუბუას (დიუბუა, 1532) (დიუბუას გრამატიკამდე გამოქვეყნდა პალსგრავის (პალსგრავი, 1530) გრამატიკა, განკუთვნილი ფრანგული ენის შემსწავლელ ინგლისელებისათვის), მეგრეს გრამატიკა (მეგრე, 1550), რობერ ეტიენის (ეტიენი, 1557), მისი ვაჟის ანრი ეტიენის (ეტიენი, 1565), რამიუსის გრამატიკა 2-ჯერ გამოიცა 1562 და 1572 წლებში და სხვები.

ფრანგული სალიტერატურო ენის ნორმირების სფეროში უდიდეს თეორეტიკოსებად წარმოგვიდგებიან ფრანსუა მალერბი (1555-1628) და კლოდ ვოჟლა (1595-1650).

მალერბის მოღვაწეობა დაიწყო პარიზში 1605 წელს; ძირითადი ამოცანა, რომელიც მალერბმა დაისახა გადაეჭრა, იყო პოეტური მეტყველების სტილის გასწორება მის მიერ გამოყენებული პრინციპების საფუძველზე; თუმცა მალერბმა გადააჭარბა ამ ამოცანის საზღვრებს, დაადგინა რა წესები, რომლებიც ეხებოდა არა მხოლოდ პოეტურ მეტყველებას, არამედ საერთო სალიტერატურო ენასაც მთლიანად. ენის ნორმების საკითხებს მალერბი უდგებოდა გონივრულობის კრიტერიუმით. მან სამი მოთხოვნა წაუყენა პოეტურ ენას: ენა უნდა იყოს სწორი, ნათელი და გასაგები. ამ ამოცანის გადასაჭრელად იგი უნდა გასულიყო პოეზიის საზღვრებს გარეთ და უნდა მიემართა საერთო სალიტერატურო ენისათვის. ძირითადი წესი, რომელიც არც ერთ მწერალს არ უნდა დაერღვია, მალერბის აზრით, იყო ენის სიწმინდე და სიცხადე. მაგრამ იმისათვის, რომ წერო ნათლად, საჭიროა წერო სწორად და, აქედან გამომდინარე, საჭიროა დადგენილ იქნეს ენის ხმარების წესები. მალერბი თვლიდა, რომ ძირითადი, რასაც შეიძლება დავეყრდნოთ წესების დადგენის დროს, არის ენის გამოყენების შესწავლა და ყველაზე მეტად დადგენილ მოვლენათა ფიქსაცია. მალერბი შეისწავლის ენის გამოყენებას პარიზის საზოგადოების განათლებულ ფენებში, რომელთა მეტყველება

განიცდიდა სამწერლო-სალიტერატურო ენის ნორმების უდიდესი გაფლენას. ამ სწორმა გზამ, რომელსაც დაადგა მალერბი, უმაღლესი საზღვრა მისი თეორიის წარმატება. მალერბის პრინციპი და მის მიერ დადგენილი წესები ასახულია მის შენიშვნებში, რომელიც მან დაწერა XVI ს-ის II ნახევრის პოეტის დეპორტის ლექსების წიგნის შესახებ. მალერბი კიცხავდა XVI ს-ის პოეტებს, თვლიდა რა, რომ მათი ენა გაუგებარი და მძიმე იყო. თავის შენიშვნებში მალერბი განსაკუთრებული გულდასმით უდგებოდა ყოველ გრამატიკულ მოვლენას: იგი ადგენდა არტიკლების გამოყენების, მეტყველების ნაწილთა შეთანხმების, დროთა და კილოთა ხმარების წესებს, სიტყვათა წყობის წესებს და ა. შ. იგი დიდ ყურადღებას აქცევდა სიტყვათა მნიშვნელობებს, ითხოვდა რა, რომ სიტყვა გამოეყენებინათ ერთი მნიშვნელობით და არ დაეშვათ ორაზროვნება.

შენიშვნათა იმ ნაწილში, რომელიც ეხებოდა ლექსიკის შერჩევის პრინციპებს, მალერბის მოთხოვნები ეხებოდა უშუალოდ პოეზიას. იგი მოითხოვდა პოეტური ლექსიკის შემცირებას: მაღალ პოეზიაში („dans la haute poésie“) არ უნდა ეხმარათ არც ტექნიკური და არც სამედიცინო ტერმინები, არც სიტყვები, რომლებიც ეხებოდა ადამიანის სხეულის ნაწილთა სახელწოდებებს, კრძალავდა არქაიზმების, დიალექტიზმების გამოყენებას, რადგანაც თვლიდა, რომ ისინი გაუგებარი იქნებოდნენ. მალერბი ილაშქრებდა ნასესხებ სიტყვათა წინააღმდეგაც, მიაჩნდა რა, რომ უპირველეს ყოვლისა უნდა გამოეყენებული ყოფილიყო საკუთარი ენის სიტყვები.

მალერბს მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა. ეს მიმართულება „პურიზმის“ სახელწოდებით არის ცნობილი (სიტყვიდან *pure* — „სუფთა, წმინდა“).

პურიზმის წარმატება აიხსნება იმით, რომ მალერბი თავის წესებში არ ამტკიცებდა არაფერს საკუთარს, და იმისათვის, რომ დაემყარებინა, დაეკანონებინა ნორმები, იგი შეისწავლიდა სასაუბრო სალიტერატურო მეტყველებას, აფიქსირებდა რა ყოველივე იმას, რაც ყველაზე მეტად მყარი იყო.

მაგრამ ის გარემოება, რომ მალერბის შენიშვნებში არ იყო გამიჯნული ზოგადი და კერძო (ე. ი. მოთხოვნები სალიტერატურო ენისადმი მთლიანად და ცალკე პოეზიის ენისადმი), იწვევდა იმას, რომ მალერბის მრავალი მიმდევარი მათში ხედავდნენ მხოლოდ საერთოს და ვერ გამოყოფდნენ იმ დებულებებს, რომლებიც ეხებოდა მხოლოდ

ლიტერატურის განსაზღვრულ ჟანრს, სახელდობრ „მაღალ პოეზიას“, და ამგვარად მოითხოვდნენ სამწერლო-სალიტერატურო ენის ლექსიკური შემადგენლობის შეზღუდვას. საკითხის ამგვარმა დაყენებამ წარმოშვა ე. წ. „არისტოკრატიული პურიზმი“ და სამწერლო-სალიტერატურო ენაში დაამკვიდრა „კეთილშობილი სტილი“, რომელიც დიდი ხნის მანძილზე იკიდებს ფეხს საფრანგეთში.

მალერბის თანამედროვეთა შორის იყვნენ პურიზმის მოწინააღმდეგეებიც. მწერალი კამიუ (J. P. Camus) აკრიტიკებდა მალერბს იმისათვის, რომ ეს უკანასკნელი მეტყველების ნიმუშად იღებდა სამეფო კარის საზოგადოების მეტყველებას, რომელიც, კამიუს აზრით, ცუდად იცნობდა ლიტერატურას და მცირედ განათლებული იყო. მალერბის იდეის დიდი მოწინააღმდეგე იყო ლე ჟარ დე გურნე (M^{lle} Le Jars de Gournay), რომელიც გამოდიოდა სამწერლო-სალიტერატურო ენის ნორმირების პრინციპის წინააღმდეგ.

1635 წ., რიშელიეს ინიციატივით, შეიქმნა საფრანგეთის აკადემია, რომლის წევრებიც უპირატესად სათავადაზნაურო ინტელიგენციის წარმომადგენლები იყვნენ. მრავალი მათგანი მალერბის იდეის მიმდევარი იყო. აკადემიის წინაშე იდგა სხვადასხვა ამოცანები: რიტორიკის, პოეტიკის, გრამატიკისა და ლექსიკონის შექმნა. რიტორიკისა და პოეტიკის გამოცემა აკადემიამ ვერ განახორციელა, გრამატიკა მხოლოდ 1932-34 წლებში გამოიცა, ე. ი. ზუსტად სამი საუკუნის შემდეგ. ამგვარად, აკადემიის წევრთა ძირითადი მოღვაწეობა დაყვანილ იქნა მხოლოდ განმარტებითი ლექსიკონის შექმნამდე, ე. ი. სახელდობრ იმ სფეროს სამუშაომდე, რომელშიც მალერბის მოთხოვნები, რომლებიც ეხებოდა უშუალოდ პოეტურ ენას, გადატანილი იყო საერთო სალიტერატურო ენაზე. ამიტომაც თეორიული დასაყრდენი, რომელიც მიიღეს აკადემიის წევრებმა საერთო სალიტერატურო ენის ლექსიკაზე მუშაობის დროს, ძირშივე არასწორი იყო და ისინი სალიტერატურო ენის ლექსიკის „გაწმენდის“ მოთხოვნებამდე მიიყვანა, „გაწმენდის“ — უბრალო, ხალხური გამოთქმებისაგან, ტექნიკური და სამედიცინო ტერმინებისაგან და ა. შ. იქმნებოდა „არისტოკრატიული პურიზმის“ თეორია, რომლის საფუძველზეც ლიტერატურაში ყალბედებოდა „style noble“. აკადემიის ლექსიკოგრაფიული მუშაობა ძალიან ნელა მიმდინარეობდა; მხოლოდ XVII ს-ის ბოლოს, 1694 წ. გამოქვეყნდა აკადემიური ლექსიკონის პირველი გამოცემა. ეს ლექსიკონი, რა თქმა უნდა, არ ასახავდა ფრანგული ნაციონალური ენის მთელ

ლექსიკურ სიმდიდრეს.

„არისტოკრატიული პურიზმის“ წინააღმდეგ გამოვიდა აკადემიის ერთ-ერთი წევრი — ანტუან ფურეტიერი (A. Furetière, 1619-1688). იგი არ ეთანხმებოდა აკადემიის ლექსიკოგრაფიულ ნაშრომს, რადგან თვლიდა, რომ აკადემიის მიერ გამოცემული ლექსიკონი უნდა ასახავდეს ფრანგული ნაციონალური ენის მთელ სიმდიდრეს. ფურეტიერმა დაიწყო ლექსიკონზე მუშაობა და თავისი ლექსიკონის პროსპექტი განსახილველად გადასცა აკადემიის წევრებს. ამან გამოიწვია დიდი კამათი, რასაც მოჰყვა ფურეტიერის აკადემიის წევრობიდან გარიცხვა და მას აეკრძალა თავისი ლექსიკონის საფრანგეთში გამოცემა. მისი ლექსიკონი „*Dictionnaire universel, contenant généralement tous les mots françois tant vieux, que modernes*“ („უნივერსალური ლექსიკონი, შემცველი ძირითადად ყველა ფრანგული სიტყვისა, როგორც ძველი, ასევე თანამედროვისა“) ფურეტიერმა ვერ გამოსცა თავის სიცოცხლეში. იგი გამოიცა მისი გარდაცვალების შემდეგ, მისი მეგობრების მიერ 1690 წ. ქ. ჰაგაში (ჰოლანდიაში).

აკადემიის მუშაობამ სალიტერატურო ენის ლექსიკური შემადგენლობის „გაწმენდის“ მხრივ, ფართო გამოხმაურება ჰპოვა პარიზის სამეფო კარის საზოგადოების წრეებში. გაჩნდა მისწრაფება „ხალხური ენისაგან განსხვავებული ენის“ შექმნისადმი. ასე წარმოიშვა კლასობრივი ჟარგონი და ე. წ. პრეციოზული სტილი ლიტერატურაში (*précieux* — დახვეწილი).

პრაქტიკულად ეს ხდებოდა განსაკუთრებულ გამოთქმათა, პერიფრაზების, მეტაფორების და ა. შ. ხმარებით. მაგალითად, ნაცვლად *les dents* — ‘კბილები’ იხმარებოდა „*l'ameublement de bouche*“ (‘პირის მოწყობილობა, ავეჯი’), *l'eau* — ‘წყალი’-ს ნაცვლად — *l'élément liquide* — (‘თხევადი ელემენტი’) და ა. შ. ამ მიმართულების აბსურდულობა ბრწყინვალედ იქნა გამასხრებელი მოლიერის მიერ კომედიაში „*Les précieuses ridicules*“.

აკადემიის ლექსიკოგრაფიულმა თეორიებმა ვერ პოვეს ასახვა XVII ს-ის მწერალ კლასიკოსთა ნაწარმოებებში.

რაც შეეხება საერთო სალიტერატურო ენის საწარმოთქმო და გრამატიკული ნორმების დადგენასა და ფიქსაციას, მალერბის პრინციპებზე დაყრდნობით, ეს თეორიული საფუძველი არა მარტო მიღებულ იქნა აკადემიის წევრების მიერ, მალერბის მიმდევრების მიერ, არამედ თავისი შემდგომი განვითარებაც პოვა XVII ს-ის ენის

უდიდესი თეორეტიკოსის კლოდ ვოჟლას მოძღვრებაში. ვოჟლას ძირითადი და ერთადერთი კრიტერიუმი, სანიმუშო ნორმის დადგენის დროს, იყო „*bon usage*“, ე. ი. ენის ყველაზე მეტად სწორი ხმარება. თავისი ნაშრომის „*Remarques sur la langue françoise*“ („შენიშვნები ფრანგული ენის შესახებ“ — სულ 549 შენიშვნა — 1647წ.) წინასიტყვაობაში ვოჟლა წერს, რომ იგი არ აპირებს საკუთარი წესების დადგენას, მას არა აქვს განზრახული რეფორმების გატარება, სიტყვების არც შექმნა და არც მოსპობა, იგი მხოლოდ მიუთითებს მათ სწორ ხმარებაზე. ენის სანიმუშო ხმარებას, ე. ი. „*bon usage*“-ს, ვოჟლა, უპირველეს ყოვლისა, ეძებს სამეფო კარის საზოგადოების ყველაზე მეტად განათლებულ ადამიანთა სასაუბრო — სალიტერატურო მეტყველებაში და პარიზის იმ მცხოვრებთა შორის, რომელთაც ურთიერთობა აქვთ ამ საზოგადოებასთან.

გარდა ამისა, ვოჟლა ყურადღებას ამახვილებს და აღნიშნავს, რომ კარგ ნაწარმოებთა კითხვა ზემოქმედებს მეტყველების სისწორეზე.

ვოჟლა წინა პლანზე სწევს გრამატიკული ტრადიციების შემსწავლელ კრიტერიუმსაც და ყურადღებას აქცევს ენის სისტემურობას.

ენის თეორეტიკოსებიდან ცნობილია აგრეთვე ლა მოტ ლე ვეიე (1588-1672) თავის ნაშრომით „*Lettres touchant les nouvelles remarques sur la langue françoise*“ („წერილები, რომლებიც ეხება ახალ შენიშვნებს ფრანგული ენის შესახებ“), ასევე ბუური (1628-1702) და სხვები.

ენობრივი თეორიების შემდგომ განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია დეკარტეს რაციონალურმა ფილოსოფიამ. დეკარტე თვლიდა, რომ ყოველგვარი ცოდნის საფუძველს წარმოადგენს გონება, ჭეშმარიტება მიიღწევა გონებით და არა ცდითა და პრაქტიკით.

რაციონალური ფილოსოფიის დებულებებმა გამოხმაურება პოვეს გრამატიკული თეორიის დამუშავებაში. 1660 წ. გამოვიდა ფრანგული ენის გრამატიკა — „*Grammaire générale et raisonnée*“, რომელმაც მაშინვე მიიქცია საერთო ყურადღება. იგი დაწერა **Port-Royal**-ის სააბატოს ორმა ბერმა, ორმა ცნობილმა მეცნიერმა — კ. ლანსლომ (1615-1695) და ა. არნომ (1612-1664). ეს არის პირველი უნივერსალური გრამატიკა.

არნოსა და ლანსლოს გრამატიკას ეწოდა „*générale*“ („ზოგადი“) იმიტომ, რომ ავტორები ცდილობდნენ ამოსულიყვნენ იმ ზოგადი

პრინციპებიდან, რომლებიც გამოდგებოდა არა მარტო ფრანგული ენისათვის, არამედ ყველა სხვა ენებისთვისაც; „raisonnée“ („განმარტებული“) იმიტომ, რომ ავტორებს სურდათ არა მარტო აღეწერათ ენობრივი მოვლენები, არამედ აეხსნათ კიდევ ისინი. აქ წინა პლანზეა წამოწეული გონება, აზრი, როგორც ზოგადი პრინციპი, რომელიც მართავს ენებს. რადგანაც ნებისმიერი ენა წარმოადგენს აზრის გამოხატვას, ამიტომ უპირველეს ყოვლისა, ამოსავალი უნდა იყოს აზროვნების განვითარების კანონები, ე. ი. ლოგიკის კანონები; ეს კანონები უცვლელია და საერთოა და მათ ემორჩილება ყველა ენა. არნოსა და ლანსლოს გრამატიკის ბოლო თავი ეძღვნება სინტაქსს, რაც ძალიან ფასოვნად ითვლება, რადგანაც პირველად შემოვიდა გრამატიკაში მოძღვრება წინადადების შესახებ.

XVII ს-ის ბოლოს საფრანგეთში შეინიშნება აბსოლუტური მონარქიის დაცემა. კაპიტალიზმის განვითარებით მტკიცდება ბურჟუაზიის პოლიტიკური გავლენა. პარიზის სამეფო კარის საზოგადოება კარგავს თავის ავტორიტეტს და აღარ გამოხატავს უმაღლესი კულტურის კრიტერიუმს. ბურჟუაზიის მოაქვს ახალი, იმ დროისათვის პროგრესული იდეოლოგია. ამ იდეოლოგიის გამომხატველი არიან განმანათლებლები: ვოლტერი, მონტესკიე, რუსო, დიდრო. ისინი ცდილობდნენ ცოდნის პოპულარიზაციას და გავრცელებას მოსახლეობის ფართო წრეში.

რა თქმა უნდა, საფრანგეთის საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლა ასახვას პოულობდა ენობრივი თეორიების შემდგომ განვითარებაში.

ფართოვდება სასაუბრო-სალიტერატურო ენის მოხმარების სფერო: მასში ჩნდება დიდი რაოდენობის სპეციალური ტერმინები, ნეოლოგიზმები და ხალხური გამოთქმები.

XVIII ს-ის თეორეტიკოსები — დიუკლო (Ch. Duclos), ფრომანი (Ch. Fromant), დ'ოლივე (D'Olivet), დიუმარსე (Dumarsais) და სხვ. განაგრძობდნენ მუშაობას სამწერლო-სალიტერატურო ენის ნორმათა დახვეწაზე. აკადემიამ გადაწყვიტა, პრაქტიკულად დაეფიქსირებინა სალიტერატურო ენის ნორმები მწერალ-კლასიკოსთა ნაწარმოებების მიხედვით. გადაწყვიტეს, კვლავ გამოეცათ ეს ნაწარმოებები და დაერთოთ შესაბამისი კომენტარები და მითითებანი ლექსიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის სფეროში. ეს სამუშაო დაიწყო, ვერ დაამთავრეს, მაგრამ მუშაობის პროცესში გამოვლინდა, რომ არა მარტო ბევ-

რი სიტყვა, არამედ ზოგიერთი კონსტრუქცია და ფორმაც კი უკვე მოძველებული იყო. ამიტომ „bon usage“-ის პრინციპი XVIII ს- თეორეტიკოსებმა უარყვეს. ფართო აღიარება პოვა რაციონალური გრამატიკის პრინციპმა. ამ პრინციპზე დაყრდნობით ენა გათავისუფლდა პურისტ-კონსერვატორებისგან და მდიდრდება მისი ლექსიკური შემადგენლობა, რადგან ყოველი სიტყვა, წარმოადგენს რა აზრის მკაფიო გამოხატვის საშუალებას, აღიარებული და დასაშვებია სალიტერატურო ენაში.

ერთ-ერთი დიდი გრამატიკოსი დიუმარსე წერდა, რომ გრამატიკაში უნდა განვასხვავოთ ორი საწყისი: ერთ-ერთის საფუძველია უდავო ჭეშმარიტება — გონება, და ამიტომაც ენობრივი მოვლენები, რომლებიც ექვემდებარებიან ამ საწყისს — ზოგადია, საერთოა; მეორის საფუძვლად ძვეს პირობითი ჭეშმარიტება და მოვლენები, რომლებიც ასახავენ ამ საწყისს, დამოკიდებული არიან მთელ რიგ პირობებზე და ამიტომაც ცვალებადი და სხვადასხვა არიან კონკრეტული ენისადმი დამოკიდებულებით; პირველ მოვლენათა შესწავლა ეკუთვნის „grammaire générale“-ს („ზოგად გრამატიკას“), მეორეთა კი — „grammaire particulière“ — („კერძო გრამატიკას“); პირველი — მეცნიერებაა, მეორე კი — ხელოვნება; ისინი განუყოფელი არიან.

XVIII ს-ის შუა პერიოდში ჩნდება რიგი შრომები ზოგადსა და შედარებით ენათმეცნიერებაში.

აკადემიის ახალ ლექსიკონში (1762 წ.) 5217 ახალი სიტყვაა შეტანილი 1740 წლის გამოცემასთან შედარებით.

საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ (1789) და მისმა იდეოლოგიამ, რა თქმა უნდა, გავლენა იქონია ენობრივ თეორიებზე.

1798 წლის აკადემიის ლექსიკონში რევოლუციის დროს შექმნილი 336 ახალი სიტყვა შევიდა.

დასასრულს მინდა აღვნიშნო ერთი საყურადღებო ფაქტი: ეროვნულ უმცირესობათა ენები — პროვანსალური, ბასკური (საფრანგეთის ტერიტორიაზე), ბრეტონული, — ეროვნული ბურჟუაზიის პოლიტიკის მოქმედების შედეგად — თანდათან უთმობდნენ ადგილს ფრანგულ ენას და ნაციონალური ენის ნორმათა ერთიანობა საბოლოოდ განმტკიცდა XIX ს-ის ბოლოს.

ლიტერატურა

ბრუნო, 1966 — Brunot F. "Histoire de la langue française des origines à nos jours". T. I-VI, Paris, 1966.

კალვე, 1996 — Calvet L. "Les politiques linguistiques", Paris, 1996.

დოზა, 1959 — Dauzat A. "Histoire de la langue française", Paris, 1959.

აჟეჟი, 1987 — Hagège C. "français et les siècles", Paris, 1987.

გირო, 1961 — Guiraud P. "Le grammaire", Paris, 1961.

პიკოში, 1996 — Picoche F., Marchello-Nizia Chr. "Histoire de la langue française", Paris, 1996.

TSIURI AKHVLEDIANI

Development of Grammatical Thought and Normalization of National Literary French

Summary

In the 18 c. France the problem of normalization of Literary Standard was particularly acute. Only the development of grammatical thought made it possible to fix pronunciation and grammar norms. The problem of normalization of literary French Standard was solved by language theorists as well as the French Academy. For the development of linguistic theories Descartes' rationalism and Arnauld and Lancelot's "Grammaire générale et raisonnée" were of decisive importance. As a result of national language policy French prevailed over the languages of the ethnic minorities (Basque, Breton, Provençal) and by the end of the 19c the norms of Literary French were finally regularized.

ციური ახვლედიანი, მადამ კინუშრაშილი

ფონოსემანტიკისა და ქვენოზიკის უხილავი კავშირები

ფონოსემანტიკა ენათმეცნიერების შედარებით ახალი დარგია. ფონოსემანტიკის პრობლემატიკისადმი მიძღვნილი პირველი კვლევები გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისს განეკუთვნება. ამ კვლევებმა ნათლად წარმოაჩინა, რომ ენის ბგერათვამომსახველი (ბგერათბაძვითი და ბგერათსიმბოლური) სისტემა ფლობს აუცილებელ, არსებით და ფონეტიკურად მოტივირებულ კავშირს სიტყვის ფონემებსა და აზრს შორის; სწორედ ენობრივ ერთეულთა პირველად მოტივირებულობას შეისწავლის ფონოსემანტიკა.

დროთა განმავლობაში ნათელი გახდა, რომ ბგერათსიმბოლიკას საფუძვლად უდევს ყველა ენისათვის ერთიანი ფსიქოფიზიოლოგიური კანონები; თუმცა უდავოა, რომ ყოველი ენის ბგერათსიმბოლიკას გააჩნია საკუთარი ნაციონალური სპეციფიკა, რაც დაკავშირებულია ამა თუ იმ ენის მატარებელთა ენობრივ გამოცდილებასთან. ეს გულისხმობს, რომ ნებისმიერი პოეტური ტექსტის (ქართული, ფრანგული, ესპანური, იტალიური და სხვ.) ბგერითი მხარის შეფასებისას, სხვა ენის წარმომადგენლებს გაუჩნდებათ ასოციაციები თავიანთი მშობლიური ენის სისტემასთან, კულტურულ და სოციალურ ტრადიციებთან.

ფონოსემანტიკა ინტეგრაციული ლინგვისტური დარგია. მარტივად რომ ვთქვათ, ფონოსემანტიკა არის მეცნიერება სიტყვაში ბგერასა და ბგერის სიმბოლურ მნიშვნელობას შორის კავშირის შესახებ. ფონოსემანტიკის წარმოშობა უკავშირდება რამდენიმე ლინგვისტურ თეორიას: რ. ბრაუნის რეფერენტულ თეორიას, ი. ტეილორის ასოციაციურ კონცეფციას; ს. ნიუმენის, მ. ბენტლის, ე. ვერონის, მ. მაირონის თეორიათა მიხედვით, ბგერათსიმბოლიკას საფუძვლად უდევს ბგერათა ფიზიკური (აკუსტიკური და არტიკულაციური, თვისებები, ანუ ფ. კაინცის ტერმინოლოგიით, შეგრძნებათა ერთი სახეობის მეო-

რე სახეობაში ტრანსპოზიცია, ანუ სინესტეზია.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში, ამერიკელმა ფსიქოლოგმა ჩ. ოსტუდმა, ანალიზებდა რა პოლიტიკოსთა საჯარო გამოცდებს, შენიშნა: ორი დაახლოებით ერთნაირი კანდიდატიდან (ასევე მათი თითქმის იდენტური პროგრამებიდან) წარმატებულია ის, რომელიც იყენებს მეტყველების უფრო მეტად კეთილხმოვან მელიოდებს. ჩ. ოსტუდმა შეიმუშავა „სიტყვათა მუსიკით“ მართვის ხერხი და უწოდა მას „სემანტიკურ დიფერენციალთა“ მეთოდი: სემანტიკურ აზრს მოკლებულ მარცვალთაგან ცდის პირები აფასებდნენ ამა თუ იმ ბგერით გამოწვეულ შეგრძნებას როგორც ძლიერს ან სუსტს, ნათელს ან ბნელს, დიდს ან პატარას და ა. შ. ასეთი დიფერენციალის შედეგად ჩამოყალიბდა 20-ზე მეტი სკალა. შეიქმნა სიტყვარი, სადაც თითოეულ თანაყდერას (თანახმიანობას) შეესაბამებოდა ციფრული კოდი — მარცვლის მდგომარეობა ამ სკალების მიხედვით. როგორც ცალკეული მარცვალი, ასევე მთელი ტექსტი მთლიანობაში ფასდებოდა ქულობრივი სისტემით. არანაკლებ მნიშვნელოვანია მარცვალთა უკუგანლაგებაც. ერთი სიტყვის შეცვლამაც კი შეიძლება არსებითად შეცვალოს მთელი ტექსტის ზემოქმედება.

ჩ. ოსტუდის მიერ დამუშავებულ „სემანტიკური დიფერენციალის“ პრინციპს საფუძვლად დაედო ადამიანზე სიტყვებითა და ტექსტებით ფონეტიკური ზემოქმედება. ასეთ ემოციურ ზემოქმედებას ადამიანის ქვეცნობიერებაზე განსაზღვრავს ფსიქოფიზიოლოგიური მექანიზმი. ასეთმა მეთოდმა აუცილებელი გახდა ნებისმიერი ტექსტის (როგორც პოეტური, ასევე პროზაული) განუყოფელ ნაწილად ფონოსემანტიკური ანალიზის გათვალისწინება. ასე აღმოცენდა მხატვრული ტექსტის ფონოსემანტიკა, რომელიც განვითარდა სტილისტიკისა და პოეტიკის მიჯნაზე და ტრადიციულ მეცნიერებაში შემოიტანა ინფორმაცია ბგერითგამომსახველი ერთეულების ესთეტიკური ფუნქციის შესახებ; თუმცა ფონოსემანტიკის მოქმედების არეალი, ჩვენი აზრით, გაცილებით ფართოა; ის უკავშირდება სიტყვის მნიშვნელობის 2 ფუნქციას, რომელთაგან ერთს — ადამიანის ცნობიერება ადვილად აღიქვამს, ხოლო მეორეს — ნაკლებად; ეს ნაკლები არის ის, რასაც ეწოდება სიტყვის ფონეტიკური აზრი, რაც გამოიხატება ბგერათა შეერთებებით სიტყვის შემადგენლობაში.

ბგერათშეერთებებთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა შევეხოთ ენის ფონოტაქტიკურ სისტემას. ფონემათა ჯგუფები ქმნიან გან-

საზღვრულ სისტემას, რომელიც მოცემული ენის ფონემათა სისტემისათვის არსებით დამატებას წარმოადგენს. ეს ჯგუფები ენაში სხვადასხვა ფუნქციას ასრულებენ: **დემარკაციულს, მასტრუქტურბელს, რეკონსტრუქტურს, ესთეტიკურს** და ა. შ. ყველა ეს ფუნქცია ასრულებს ბგერათა ჯგუფების მიერ, რომლებიც გაბმულ მეტყველებაში წარმოგვიდგენენ ფონემებს. ამიტომაც, როდესაც ვაწარმოებთ ფუნქციონალურ აღწერას და არა სისტემურს, კორექტული არ იქნება, თუ ვილაპარაკებთ ფონემათა ჯგუფებზე; უნდა ვილაპარაკოთ ბგერათა ჯგუფებზე, განსაკუთრებით თანხმოდან ბგერათა ჯგუფებზე, რადგან სიტყვის კარკასს თანხმოდანები ქმნიან.

კონსონანტური ჯგუფების ფუნქციათაგან გამოვყოთ **ესთეტიკური** ფუნქცია, ანუ ინფორმაციის მიმღებისათვის განსაზღვრული მდგომარეობის შექმნა. ყველაზე ნათლად ეს ჩანს პოეზიაში. მაგალითად, თანხმოდანთა ჯგუფის გამეორება: „ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ფოთლები მიჰქრის ქარდაქარ“ (გალაკტიონი). ტექსტში ბგერითი შეერთებები და განმეორებები შეფერილია განსაზღვრული სემანტიკით, ხატოვანებით და ამიტომაც აღიქმება, როგორც მატარებელი ან გამაძლიერებელი აზრისა ან ხატისა.

რომანულ ლინგვისტიკაში არსებობს თანხმოდანთა ჯგუფები, რომლებიც გამოირჩევიან მნიშვნელობა გამოხატველობით; მაგ. **bl** — სინაზე, სირბილე, **br** — სისასტიკე, ულმობელობა, თრთოლა; **bsk** — დაბრკოლება; **bt** — სირთულე; **kr** — მაგარი, მკაცრი, უხეში; **ks** — უსიამოვნო, რთული; **dr** — მიმდინარე, მიმავალი; **fl** — ნაზი, ნორჩი, მსუბუქი; **fr** — უსიამოვნო, უხეში; **gl** — სიხარული; **gr** — პირქუში, უსიამოვნო; **pl** — სივრცე; **pr** — თრთოლა; **rd, rs, rt** — მოძრაობა და ა. შ.

ბგერითი სიმბოლიზმის და ასევე ხმაბაძვის განსაკუთრებული შემთხვევაა ფოლკლორული ტექსტები: შელოცვები, წეს-ჩვეულებათა რიტუალები და სხვ.

მეტყველების ბგერათა სიმბოლიკის თავისებურ ასპექტს წარმოადგენს ფერთა და ბგერათა შესატყვისობანი, რომელთაც გააჩნიათ სუფთა სინთეტიკური საფუძველი. XX საუკუნის 40-იან წლებში რ. იაკობსონმა პირველმა სცადა მეცნიერულად აეხსნა ბგერათა და ფერთა კავშირი. გ. ნ. ივანოვა-ლუკიანოვა მიიჩნევდა, რომ აქრომატიზმი/ქრომატიზმი არის მთავარი განმასხვავებელი ხმოვნებისა და თანხმოდანების აღქმისას: კომპაქტურები (უკანასასისმიერები) მაქსიმალურად არიან დამორებული „შავ-თეთრი“ ლერძისგან; მალეები (წი-

ნაკბილსმიერები და შუასასისმიერები) უკავშირდებიან თეთრ, ყვი-თელ, მწვანე ფერებს; დაბლები (ბაგისმიერები და უკანასასისმიერე-ბი) შავს, ლურჯსა და წითელს (ივანოვა-ლუკიანოვა, 1996, 142). ლ. პ. პროკოფიევას მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტალური კვლევები თვალნათლივ გვიჩვენებენ, რომ 8 თანხმოვანი აქრომატულია, დანარ-ჩენებს კი გააჩნიათ მიდრეკილება სპექტრის ფერებისაკენ.

ადამიანის მეტყველების თითოეული ბგერა ფლობს ქვეცნობიერ მნიშვნელობას. ეს მნიშვნელობები, დიდი აუდიტორიის გამოკითხვის საშუალებით, პირველმა დაადგინა ამერიკელმა ჩარლზ ოსგულმა და შედეგები წარმოადგინა 20-ზე მეტი სკალის სახით: კარგი — ცუდი, ლამაზი — შეუხედავი, ხალისიანი — სევდიანი, ნათელი — ბნელი, მსუბუქი — მძიმე, უსაფრთხო — საშიში, კეთილი — ბოროტი, მარ-ტივი — რთული, გლუვი — ხორკლიანი, მომრგვალებული — კუთხო-ვანი, დიდი — პატარა, უხეში — ნაზი, ვაჟკაცური — ქალური, ძლიე-რი — სუსტი, ცივი — ცხელი, დიდებული — სულმდაბალი, ხმაურიანი — წყნარი, მძლე — უსუსური, მხიარული — მოწყენილი, კაშკაშა — მქრქალი, ცქვიტი — ზოზინა, ჩქარი — ნელი, აქტიური — პასიუ-რი. ფონოსემანტიკური სკალები გვაძლევს საშუალებას, შევადგინოთ ბგერათა გავლენა ადამიანის ფსიქიკურ მდგომარეობაზე. სიტყვა ბგე-რებისაგან შედგება, ტექსტი კი — სიტყვებისაგან, მაშასადამე, საბო-ლოოდ, შეგვიძლია განვსაზღვროთ ტექსტის ფონოსემანტიკური მნიშ-ვნელობაც. ასეთი ფონოსემანტიკური ანალიზი, კომპიუტერული ტექ-ნოლოგიის გამოყენებით, წამებში სრულდება. კომპიუტერული ფონო-სემანტიკური ანალიზის თეორიის საფუძველზე შემუშავდა ქვეცნობი-ერი ფონოსემანტიკური ფსიქოდიანოსტიკის მეთოდი. ეს მეთოდი საკმაოდ ზუსტად ადგენს გარემომცველ სამყაროსთან ადამიანის ურ-თიერთქმედების პრობლემურ დონებს.

XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ჩ. ოსგულის ეს მეთო-დი ადაპტირებულ იქნა რუსული ენისათვის ა. ყურავლიოვის, ი. ჩე-რეპანოვას, ვ. შალაკის და სხვა მკვლევართა მიერ. ტექსტის ზემოქმე-დების შეფასებისათვის დამუშავდა და დღეს ფართოდაა გავრცელე-ბული 2 კომპიუტერული პროგრამა: „Диатон / Диаскан“ (ი. ჩერეპა-ნოვა) და „ВААЛ“ (ვ. შალაკი). ამის შედეგად ბიპოლარულ სკალათა რაოდენობა თითქმის გაორმაგდა. ბგერები და ტექსტები ფასდება შემდეგი პარამეტრებით: „საუცხოო“, „ნათელი“, „ნაზი“, „მხიარული“, „ამაღლებული“, „მხნე“, „მკვეთრი“, „ძლიერი“, „მიზანსწრაფული“;

„შენელებული“, „წყნარი“, „მკაცრი“, „მინორული“, „ავბედითი“, „ნაღვლიანი“, „პირქუში“ და ა. შ. „Диатон“-ი და „ВААЛ“-ი მეტყვე-ლებაში შთაგონების არსებობასაც კი აფასებენ, ანუ მეტყველების ჰიპნოზურ პოტენციალს. ამ კომპიუტერული პროგრამებით, ტექსტის მიხედვით, მისი ავტორის ფსიქოლოგიური მახასიათებლებიც კი შეი-ნიშნება. მსგავსი კვლევები წარმატებით შეიძლება ჩატარდეს სხვა ენათა მიმართაც, მათ შორის ქლერადობის მრავალფეროვნებით გამო-რჩეული ქართული ენის მიმართაც.

ჩამოვთვალეთ რა ფონოსემანტიკის უხილავი კავშირები ქვეცნო-ბიერთან (ბგერათსიმბოლური, ბგერათშეერთებათა — განსაკუთრე-ბით თანხმოვანთშეერთებათა, ჩ. ოსგულის „სემანტიკურ დიფერენცი-ალთა“ მეთოდი, ფერთა და ბგერათა შესატყვისობები, კომპიუტერუ-ლი პროგრამები „Диатон / Диаскан“, „ВААЛ“), რაც ქმნის კვლევათა ფართოდ პერსპექტივას ჩამოთვლილ კავშირთა ანალიზისათვის, ამჟე-რად შევჩერდებით ფონოსემანტიკის როლზე რეკლამისა და სასაქონ-ლო მარკის სახელდებაში.

სარეკლამო სიტყვის თვისებაა 2 აზრის ფლობა, რომელთაგან ერთ-ერთს ადამიანის ცნობიერება (გონი) წვდება, მეორეს კი — ვე-რა. ამ მეორეს ეწოდება ფონეტიკური აზრი; ეს არის აზრი, რომელ-საც ატარებენ ბგერათშეერთებები სიტყვის შემადგენლობაში და იგი ერთი ენის მატარებელთათვის ილენტურია. ბგერების შინაგანი მახა-სიათებლებით (ფონოსემანტიკური ანალიზის მეთოდის გამოყენებით) სარეკლამო სიტყვის შერჩევაც შეიძლება. სარეკლამო სიტყვის შემად-გენელი ბგერები დადებითი ემოციების გამომწვევი უნდა იყოს, წი-ნააღმდეგ შემთხვევაში, რეკლამა წარუმატებელი იქნება. ბგერების საშუალებით უნდა მოხდეს ინფორმაციის კოდირება და გაგზავნა. მა-გალითისათვის წარმოვადგენთ ფრანგულ, ესპანურ და იტალიურ რეკლამებს:

ფრანგული:

La chaleur des nouveautés — ეს არის გამათბობელი საშუალებების (ბუხრების) რეკლამა, რომელიც შინაარსით ნიშნავს „სიახლეს, ახალი ტიპის გამათბობელ საშუალებებს“; ბგერათყლერადობა წარმატებუ-ლია, რადგან ბგერათსიმბოლიკა სინაზის, სივრცის (l თანხმოვანი), სინარნარის, სიხარულის (n თანხმოვანი), მოძრაობის, სიმსუბუქის (t თანხმოვანი) გამომხატველია.

L'assurance à tout prix mais pas à n'importe quel prix — სადაზღვევო

რეკლამაა, რაც ნიშნავს „დაზღვევა აუცილებელია, მაგრამ სულერთი არ არის — რა თანხით“; ბგერათსიმბოლიკა თრთოლოვის (**pr** ჯგუფი), მოძრაობის (**rt** ჯგუფი), სიმსუბუქის (**t** თანხმოვანი), სივრცის (**p** თანხმოვანი) გამომხატველია. სიტყვა „**prix**“-ს სხვადასხვა მნიშვნელობიან შესიტყვებებში გამოყენებაც ქმნის დამატებით კეთილხმოვანებას და ხელს უწყობს რეკლამის წარმატებას.

ესპანური:

Te sentiràs Mas Vital — დიეტისათვის საჭირო ვიტამინის აბების რეკლამაა, ნიშნავს „თავს უკეთ იგრძნობ ვიტამინებით“; ბგერათსიმბოლიკა სიმსუბუქის (**t** თანხმოვანი), მოძრაობის (**s** თანხმოვანი), თრთოლოვის (**r** თანხმოვანი) გამომხატველია.

¡A REGIMEN — აუზის რეკლამაა, სადაც ხდება წონაში დაკლება; ნიშნავს „რეჟიმში ყოფნისაკენ“ მოწოდებას; ბგერათსიმბოლიკა თრთოლოვის (**r** თანხმოვანი), სიხარულის, სინარნარის (**n** თანხმოვანი) გამომხატველია.

იტალიური:

Internet è sempre con te — ინტერნეტის რეკლამაა, ნიშნავს „ინტერნეტი მუდამ შენთანაა“; ბგერათსიმბოლიკა სიხარულის (**rn** ჯგუფი), თრთოლოვის (**pr** ჯგუფი), სიმსუბუქის (**t** თანხმოვანი) გამომხატველია.

NON UN VINO A CASO. — ღვინის სახლში მიტანის რეკლამაა, ნიშნავს „უარი — შემთხვევით ღვინოს. ღვინო სახლში მიტანით“; ბგერათსიმბოლიკა სიხარულის, სინარნარის (**n** თანხმოვანი), სიმკაცრის (**c** თანხმოვანი), სილალის (**v** თანხმოვანი) გამომხატველია.

კეთილხმოვანება ასევე აუცილებელი პირობაა სასაქონლო მარკის სახელდებისას.

სასაქონლო მარკის სახელწოდებით, ან, უფრო ზუსტად, სასაქონლო მარკის ყდერადობით შესაძლებელია განისაზღვროს ის ბედი, რაც ელის მომავალში ამა თუ იმ პროდუქციას. პროდუქციის სახელწოდება (სინამდვილეში სახელწოდების შემადგენელი ბგერები) ატარებს ინფორმაციას, რომელიც ფარულია ცნობიერი აღქმისათვის, მაგრამ ზემოქმედებს ქვეცნობიერზე. სახელწოდებას, ერთი მხრივ, გააჩნია სემანტიკური დატვირთვა (სიტყვის მნიშვნელობა) და, მეორე

მხრივ, ემოციური დატვირთვაც (რომელიც ზოგჯერ უფრო მნიშვნელოვანია), რაც განისაზღვრება ფონოსემანტიკით (ფონეტიკური მნიშვნელობით) და სხვა პარამეტრებით, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია ბგერათა ფერითი ასოციაციები. კომპიუტერულ პროგრამებში („**Диалог**“, „**ВАЗЛ**“) ეს ყველაფერი ნათლადაა რეალიზებული. მაგალითისათვის განვიხილოთ საყოველთაოდ ცნობილი მარკები „კოკა-კოლა“ და „პეპსი“ (წინათ „პეპსი-კოლა“).

„კოკა-კოლას“ ფონოსემანტიკური მახასიათებლებია: მოძრაობა (ცოცხალი, ცქტიტი), კარგი, ვაჟკაცური, ცივი, მოკლე, აქტიური, დიდი. ეს ბგერითი მახასიათებლები ემთხვევა ამ სასმლის რეკლამირებას — მატონიზებული (აქტიური, მოძრაობა, ცოცხალი), ცივი (ყინულზე). „კოკა-კოლას“ ბგერით-ფერითი ასოციაციები ემთხვევა „საფირმო“ ფერებს, „კოკა-კოლას“ ქვეცნობიერი მახასიათებლები ემთხვევა პროდუქციის ფერებში მოწოდების გადაწყვეტილებას: წითელი-თეთრი.

„პეპსის“ მარკის ფონოსემანტიკა ასეთია: წყნარი, პატარა, მოკლე, მქრქალი, სუსტი, უსუსური, მხდალი, ნაღვლიანი, ქალური, ნაზი, უსაფრთხო. ბგერით-ფერითი ასოციაციები (თეორიულად — „საფირმო ფერები“) — ცისფერი-ნაცრისფერი-ყვითელია. ნამდვილი ფერები არ ემთხვევა თეორიულებს და ეს იწვევს კონფლიქტს ასოციაციურ და ჭეშმარიტ მნიშვნელობებს შორის, რაც „პეპსის“ კამპანიის მესვეურებს აიძულებს ემოციათა ჰიპერტროფირებას, რათა „შეასუსტონ“ ნეგატიური ფონოსემანტიკა.

ლიტერატურა

ბერგი, 1976 — Berghe, van den Ch. "La phonostylistique du français", Hague - Paris, 1976.

იაკობსონი, 1971 — Jakobson R. "Principes de phonologie historique", Hague - Paris, 1971.

ვორონინი, 2004 — Воронин С. В. "Основы фоносемантики", Л., 2004.

ივანოვა-ლუკიანოვა, 1966 — Иванова-Лукьянова Г. Н. "О восприятии звуков", М., 1966.

იშმინეცკაია — Ишминецкая И. "Фоносемантика в рекламе" (ინტერნეტი: <http://evartist.narod.ru-text11-60.htm>).

პროკოფიევა — Прокофьева Л. П. "Прикладные программы

анализа фоносемантической структуры текста".

(ინტერნეტი: <http://www.dialog-21.ru/dialog/2006/materials/html/Prokofeva.L.htm>).

Фоносемантика торговой марки

(ინტერნეტი: <http://black.pr-on line.ru/article.asp?art-37>).

მკვლევარი: ზაქარიაშვილი

TSIURI AKHVLEDIANI, MEDEA KINTSURASHVILI

Unobservable Links between Phonosemantics and the Subconscious

Summary

As is known, phonosemantics, which studies the primary motivation in linguistic units, is a relatively new branch of linguistics. Onomatopoeia and soundsymbolism contain essential and phonetically motivated links between wordphonemes and meaning. The unobservable link between phonosemantics and the subconscious is of particular interest.

The paper examines the role of phonosemantics in the language of advertising. The sounds in the verbal part of an advertisement as well as in the trade mark name should arouse positive emotions in the consumer. Otherwise an advertisement is doomed to failure. The sounds in the verbal part of an advertisement should convey information unobservable for the conscious perception. The phonosemantic arrangement of advertisements is emotionally loaded and subconscious-oriented. Two computer programmes 'Diaton / diaskan' and 'VAAL' deal with the estimation of text information impact upon consumers.

ენის ლოგიკური ანალიზი და სიბნელის ცნება

ინდივიდი ურთიერთობას სამყაროსთან ენის, კონკრეტულად მნიშვნელობის საშუალებით ამყარებს. რამდენი სახისაცაა ასეთი ურთიერთობა, იმდენად იცვლის სახეს მნიშვნელობის გამომხატულება, რეპრეზენტაცია. სემანტიკა შეისწავლის მნიშვნელობას ენის ხმარების ყველა დონეზე. მნიშვნელობა გამოიხატება ენის ხმარების იმ დონის შესაბამისად, რომელზედაც კონკრეტულად ლაბარაკია დროის კონკრეტულ მომენტში. ყველა ლინგვისტური მიმდინარეობა მნიშვნელობას განსაზღვრავდა მის ხელთ არსებული ცოდნისა და კონკრეტული საჭიროების თანახმად. იმის მიხედვით, ენის ფუნქციონირების რომელ მხარეს ენიჭებოდა უპირატესობა ლინგვისტურ კონცეფციებში, მნიშვნელობაც შესაბამის შინაარსს იძენდა და ასე გრძელდება დღესაც. მნიშვნელობის სისტემატიზაციის ლოგიკური საფუძველი იქმნება მას შემდეგ, რაც ლოგიკური განსჯის ფორმალიზმი გამოყენებულ იქნა ბუნებრივ ენათა მიმართ. ცხადია, ლოგიკურ განსჯასა და ენობრივ ანალიზს განსხვავებული მიზნები და ამოცანები ჰქონდათ და აქვთ, მაგრამ ლოგიკური სისტემისმაგვარი მსჯელობის შეტანამ ენობრივი ანალიზის პროცესებში ზუსტად განსაზღვრა და დაადგინა ის საკითხები, რომლებიც ესაჭიროებოდა ენის სისტემის კვლევას ობიექტურობის, ადეკვატურობის, სისტემატიზაციისა და ეფექტურობის თვალსაზრისით.

ფორმალური ლოგიკის მეთოდები თავდაპირველად გ. ფრეგემ გამოიყენა. მას მიაჩნდა, რომ ბუნებრივი ენა და მისი გამოყენება არსებულ ლოგიკურ სისტემებში მრავალი წინააღმდეგობრივი და არასწორი დასკვნის გამოტანის მიზეზი ხდებოდა და რომ საჭირო იყო ლოგიკური განსჯის ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც თავისუფალი იქნებოდა ბუნებრივი ენის წინააღმდეგობრივი და ხშირად არასწორი, ყალბი მონაცემებისაგან.

ფორმალური ლოგიკური ენების აგებისა და ინტერპრეტაციის

პრინციპებზე დაყრდნობით გამოიყოფა და მკაცრ სისტემებად ლაგდება ფორმალური და ბუნებრივი ენების შეხების ის არეები, რომლებიც განსაკუთრებით წინააღმდეგობრივი და არაკანონზომიერია ლოგიკური ანალიზის თვალსაზრისით, მაგრამ სრულიად ბუნებრივი და დასაშვები ჩვეულებრივი ენისათვის. სრულფასოვანი ლინგვისტური ანალიზი უცილობლად იყენებს ლოგიკური ფორმალიზაციისა და განსჯის სოლიდურ აპარატს, წინააღმდეგ შემთხვევაში მიღებული დასკვნები საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან ენობრივი ანალიზის სისტემებს სწორედ ლოგიკური ანალიზი კარნახობს იმ გლობალურ კანონებს, რომლებიც გარდა წმინდა ენობრივი კანონებისა, წარმართავს ბუნებრივი ენის მოქმედებას. ლოგიკურ ენებში გარდასახული ლოგიკური ცოდნა, უეჭველია, მთლიანად არ ასახავს ადამიანის ენობრივი ქმედების ყველა მხარეს, მაგრამ მათი საშუალებით აიგება ის ორიენტირები ანუ იმ შესაძლებლობათა ჰორიზონტები, რომლებიც მიუთითებს, თუ რა მიმართულებითაა საჭირო ენობრივი (და არა მხოლოდ ენობრივი) მოვლენების განსაკუთრებით ინტენსიური კვლევა. უკანასკნელ ხანამდე არსებული ლოგიკურ-სემანტიკური პრობლემების კვლევა ძირითადად გლობალურად, ფართო ლოგიკური სისტემების მეშვეობით ხორციელდებოდა. დღეს იმავე პრობლემების კვლევა შედარებით დიფერენცირებული და კონკრეტული ხასიათისაა. მსგავსი ცვლილებების გზაზეა ლინგვისტური აზროვნებაც: ენობრივი ანალიზის სისტემები ყალიბდება კლასიკური ლინგვისტური მეთოდების ახლებური გააზრებით თანამედროვე ლოგიკური ანალიზის მეთოდების ათვისების საფუძველზე და ერთდროულად, თანამედროვე ენათმეცნიერების დონის შესაბამისად, ჩნდება ახალი პრობლემები.

თანამედროვე ენათმეცნიერების მდგომარეობის ერთმნიშვნელოვნად წარმოდგენა სრულიად შეუძლებელია, ვინაიდან ანალიზის ახლებური მეთოდებთან თანაარსებობს ტრადიციული, კლასიკური, სტანდარტული მოსაზრებანი. ძნელდება განისაზღვროს აგრეთვე იმ საწინააღმდეგო, ხშირად საპირისპირო შეხედულებათა არე, რომელიც მოიცავს დღეს განსხვავებულ ლინგვისტურ კონცეფციებს. ერთი რამ კი შეიძლება დანამდვილებით ითქვას: ლინგვისტური აზროვნება დაწყებული ფრეგედან და პირსიდან კომპიუტერულ ენათმეცნიერებამდე მიზნად ისახავდა ადამიანის ენობრივი ქმედების ყოველმხრივ კვლევას; განყენებული, გონისმიერი ლოგიკური სისტემების გვერდით განიხილებოდა უჩვეულო, ხატოვანი, დინამიური, ენისმიერი მოვლენე-

ბი; ენობრივი ქმედება მიიჩნევა ადამიანის ქცევისა და პრაქტიკის ერთ-ერთ მხარედ და ბოლოს ენობრივი ფარდობითობა წარმოიდგინება, როგორც ზოგადადადამიანური კონცეპტუალური აზროვნების უნარისა და ურთიერთგაგების საფუძველი. ინტერპრეტირებული ლოგიკური ენებისა და ბუნებრივი ენის თანაკვეთის არეები ენა-აზროვნება-სამყარო მიმართებათა სისტემაში ასახავს ამ მიმართებათა მრავალსახოვან ხასიათს, რომლის არსიც იხსნება შესაძლო სამყაროთა სემანტიკაში, მეტაფორიზაციაში და ენობრივ ფარდობითობაში. ლოგიკური ენების მდგომარეობა განსაკუთრებით ამომწურავად აღწერა ი. ფხაკაძემ თავის მონოგრაფიაში და ჩვენც ძირითადად მის თეორიულ მოსაზრებებს ვიზიარებთ.

უნდა აღინიშნოს, რომ მიმართებათა სისტემის „სამყარო-ენა-აზროვნების“ სამივე წევრის ამოსავალ წერტილად მიიჩნევა „ადამიანი“, ვინაიდან იგი ცხადად თუ ფარულად, ყოველთვის იგულისხმება ანალიზის ნებისმიერ დონეზე. არ შეიძლება აგრეთვე ყურადღება არ მიექცეს იმ გარემოებას, რომ თანამედროვე ლოგიკო-სემანტიკურ კონცეფციებში შეიმჩნევა ენის, როგორც ნიშანთა სისტემის კვლევის შესუსტება და ფართო, მრავალსაფეხურიანი სტრუქტურების მოშველებისაკენ მისწრაფება. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ თანამედროვე ლოგიკო-სემანტიკურ აზროვნებას უძნელდება ერთიან ფსიქოლოგიურ საფუძველზე დაყრდნობა.

ენობრივი ანალიზი ფართო მასშტაბური პროცესია, რომელიც მთლიანად მოიცავს ადამიანის მეტყველების, აზროვნებისა და ქცევის პროცესებს. იგი უპირატესობას ანიჭებს იმ სტრუქტურებს ან მოდელებს, რომელთაც შესწევთ უნარი მოიცვან და დაანაწევრონ მრავალგანზომილებიანი და ნაირსახოვანი მოვლენები და მართონ ისინი ნაგულისხმევი ერთიანობის საფუძველზე.

ახალი პრობლემების გადაწყვეტისაკენ სწრაფვა დაედო საფუძვლად სემანტიკის ახალი კონცეფციის, შესაძლო სამყაროთა სემანტიკის და, შესაბამისად, მოდელური სიმრავლეებისა და კონსტიტუენტების გაჩენას. ლოგიკური სისტემების სემანტიკის ახალ საფეხურს მოასწავებს პრაგმატიკის ჩართვა ამ სისტემებში; შესაბამისად ლოგიკური ცნებები და სემანტიკური დებულებები ახლებურად ფორმულირდება და აიხსნება, ჩნდება დროის, მოდალური (ახალი ვარიანტი), ეპისტემური, დეონტიკური და მეტყველების აქტების ლოგიკა.

პრაგმატიკის ფორმალიზაცია და ინტერპრეტაცია წარმოდგენი-

ლია რ. მონტეგიუს, დ. სკოტის, ს. კრიპკეს და ი. ხინტიკას გამოკვლევებში.

ს. კრიპკემ შექმნა მოდალური ლოგიკის სემანტიკა, შემოიღო მოდელური სტრუქტურის ცნება და მოახდინა სისტემის ფორმალიზება.

ი. ხინტიკამ შეიმუშავა მოდელური სიმრავლეების ცნება და სცადა პასუხი გაეცა ამ სიმრავლეებიდან გამომდინარე ფორმალურ, ლოგიკურ, სემანტიკურ და ფილოსოფიურ საკითხებზე. ი. ხინტიკას კონცეფციები იმავე საკითხებს ეხება, რომლებსაც განიხილავდნენ ქუაინი, რასელი, ვიტგენშტეინი, ფრეგე და სხვები. იგი იზიარებს ამ მკვლევართა მთელ რიგ შეხედულებებს, ზოგჯერ სრულიად ემიჯნება მათ, ზოგჯერ კი კომპრომისსაც ეძებს.

ი. ხინტიკას კონცეფციაში განხილულია შესაძლო სამყაროს ეპისტემური თუ ონტოლოგიური სტატუსი, ინდივიდთა იდენტიფიკაციის საკითხები შესაძლო სამყაროებში, ინდივიდუალური ფუნქციები.

ი. ხინტიკას კონცეფცია ლოგიკოსთა და ფილოსოფოსთა მკაცრი კრიტიკის საგანია. მას ხშირად საყვედურობენ ფაქტთა თავისუფალ არაარგუმენტირებულ ინტერპრეტაციებს, რის გამოც მისი მრავალი მოსაზრება მიუღებლად მიიჩნევა.

დ. სკოტმა და ს. მონტეგიუმ შეიმუშავეს შესაძლო სამყაროთა ზოგადი სემანტიკა, რომელიც ცნობილია „შემოგარენთა სემანტიკის“ სახელით, იგი რეფერენტული თეორიაა. ს. მონტეგიუს თეორია ერთ-ერთი ყველაზე საფუძვლიანი და საიმედო ცდაა ბუნებრივი ენის ფორმალური ლოგიკის მოდელებით აღწერის დაახლოებისა. დ. სკოტის მოდალური ლოგიკის სემანტიკა შეიცავს შესაძლო სამყაროთა ცნების განზოგადებას, მიმართებას სამყაროთა და ინდივიდთა შორის და ყველა ოპერატორს, რომელიც საჭიროა ინდივიდთა ჯვარედინი იდენტიფიკაციისათვის. ინდექსური სტრუქტურები ორივე კონცეფციაში გათანაბრებულია მიმართებათა წერტილებთან.

შესაძლო სამყაროთა სემანტიკამ, ნებისმიერი ფორმით გამოხატულმა, შეარყია ენობრივი სემანტიკის აქამდე შემუშავებული თითქმის ყველა პრინციპი. იგი სულ უფრო და უფრო ხშირად მკვიდრდება, როგორც სემანტიკური კონცეფცია, განსაკუთრებით საქმეთა მდგომარეობის, ანუ სამყაროს მდგომარეობის აღწერის თვალსაზრისით. იგი თანდათან ენაცვლება გენერაციული კონცეფციების სემანტიკურ კომპონენტს, ან მათთან თანაარსებობს.

რა შესძინა ამ სემანტიკამ ენობრივ ანალიზს? ასეთი მომენტი

რამდენიმეა:

უპირველეს ყოვლისა, ესაა ენის აბსოლუტამდე აყვანილი სემანტიკის საზღვრებს გარეთ გასვლა და სხვა უფრო ვრცელი პარამეტრების ძიება.

ლოგიკურ აღრიცხვათა გამოყენება ხელს უწყობს არამართო მრავალმნიშვნელობის პრობლემების დაყენებას და გადაჭრას, რაც ენობრივი სემანტიკის ძირითად მიზანს წარმოადგენდა, არამედ მრავალი ისეთი საკითხის გამოყოფას და წინ წამოწევას, რომლებიც ერთნაირად აინტერესებს ლინგვისტებს, ლოგიკოსებს, ფილოსოფოსებს.

ჭეშმარიტების — ფუნქციონალური აღრიცხვის და კვანტიფიკაციის ჩართვა მოასწავებდა რეალობის (სამყაროს) ფაქტორის, როგორც სემანტიკური ანალიზის აუცილებელი პარამეტრის შემოტანას, ხოლო სისტემათა რეფერენტულობის პრინციპმა ერთმანეთთან დააკავშირა ენა და სამყარო (რეალობა). პრაგმატული ფაქტორების ჩართვამ გააფართოვა გამონათქვამების ლოგიკური ჭეშმარიტების, აღსრულებადობის, დასკვნის გამოტანის და საყოველთაობის პრინციპები.

პრაგმატულმა ფაქტორებმა ხელი შეუწყო მოდალური, დროის და სხვა სისტემათა წარმოქმნას, არსებული ცნებების გადააზრებას და ახალი მნიშვნელობით გამდიდრებას.

ინტენსიონალურმა ენამ შექმნა ინდივიდის კონცეპტების, თვისებების მიმართებათა და განსჯათა ლოგიკური ანალიზისა და ფორმალიზაციის საფუძვლები, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ენობრივი გამონათქვამებისათვის.

ლოგიკურ ენათა გამოყოფამ და იერარქიზაციამ იგივე პროცესები გამოიწვია ბუნებრივ ენაში, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ენის მეტაფორული ფუნქციის კვლევისას.

შესაძლო სამყაროთა სემანტიკიდან მომდინარე ლოგიკური სისტემები მკაცრად აღრიცხავენ ენობრივ გამონათქვამთა წინააღმდეგობრივ და ყოველგვარ მოდიფიკაციას; მნიშვნელობა ფიქსირდება და ამოიცნობა ანალიზის ყოველ წერტილში.

შესაძლო სამყაროს სემანტიკამ ძირფესვიანად შეცვალა ინტერპრეტაციის, ე. ი. ენობრივ გამონათქვამთათვის მნიშვნელობის მიწერის პრინციპები. ინტერპრეტაცია ხორციელდება პრაგმატული ფაქტორების და ენობრივ გამონათქვამთა მნიშვნელობის რთული ფუნქციონალური ურთიერთმოქმედების საფუძველზე.

ინტერპრეტაცია განუყრელად უკავშირდება კონცეპტუალურ სისტემებს, ინფორმაციას, ინდივიდთა ცოდნას და რწმენებს. „შესაძლო სამყაროს“ და „შესაძლო ობიექტის“ ცნება ბუნებრივი და სხვა ენების გამომხატველ საშუალებათა ლოგიკური ანალიზის ერთ-ერთ საშუალებად შეიძლება იქცეს.

ენის ჩვეულებრივი, რიგითი გამომყენებელი ყველაზე ხშირად სიტყვათა მრავალმნიშვნელობას ხვდება, რაც გამოთქმის ორპარაფრაზების, კონტექსტის შერჩევის შეფერხებისა და გაგების დაბრკოლების მიზეზი ხდება. მრავალმნიშვნელობა (პოლისემია), ორპარაფრაზება და აქედან მომდინარე შედეგები ჭეშმარიტების ფუნქციის, აღსრულებადობის, დასკვნის გამოტანის და გამოთქმათა მნიშვნელობის მიმართ ახასიათებს ბუნებრივ ენას, რომელიც თავის მხრივ შედეგობრიობის სისტემას ემყარება.

შესაძლო სამყაროთა სემანტიკის ძირითადი პარამეტრები ისეთი სტრუქტურით აიგება და იმგვარ ინტერპრეტაციას იძენს, რომ სამყაროს ნებისმიერ ნაწილში, ნებისმიერ დროში, ნებისმიერი ლოგიკური ოპერაციის პირობებში თვალყური ადევნოს, მკაცრად გააკონტროლოს და თავიდან აიცილოს მრავალმნიშვნელობა (სახელდების მიმართებიდან მომდინარე), კვანტიფიკაციის პრინციპების დარღვევა (არსებობის პარადოქსების შედეგი), ეგზისტენციური განზოგადებისა და იგივეთა ჩანაცვლების პრინციპების (მოდალურ და ირიბ კონტექსტებში) ხელყოფა. მოკლედ, ყველა ლოგიკური სისტემა, რომელიც შესაძლო სამყაროთა სემანტიკას იყენებს, მიზნად ისახავს ენისმიერ გამოთქმამთა მნიშვნელობის წარმართვას და მათ მკაცრ ფორმალიზებას.

მიუხედავად იმისა, რომ შესაძლო სამყაროთა სემანტიკა კიდევ ერთი პაექრობაა, მართალია, უფრო შემრიგებლური და შერბილებული ლოგიკისა ბუნებრივ ენასთან, მან ბევრი შესძინა ენობრივ ანალიზს, შეავსო იგი რთული, ფუნქციური მეთოდებით, რომელთა მიზანია ენის ღრმა, ლოგიკური მექანიზმის თვალსაჩინოდ წარმოდგინება. შესაძლო სამყაროთა სემანტიკაში ინფორმაციისა და ცოდნის პრობლემები სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. ენის შესახებ ლოგიკურ ბჭობაში შესაძლო სამყაროების შემოღება მიზნად ისახავს ბუნებრივი ენის გამოთქმათა მნიშვნელობის ცვალებადობის ფიქსირებას, ანალიზსა და ფორმალიზებას. შესაძლო სამყაროთა კანონიერ (წესებით დასაშვებ) და უჩვეულო მანიპულირებას ჩვეულებრივი, მოსალოდნელი შედეგების გვერდით თან სდევს მნიშვნელობის სრული-

ად უჩვეულო, მოულოდნელი და თავისუფალი გარდასახვები. ბუნებრივი ენისათვის დამახასიათებელია ასიმეტრიულობა მნიშვნელობის თვალსაზრისით. ლოგიკურ და ბუნებრივ ენათა წიაღში მნიშვნელობის შესახებ განსჯის პროცესში არაერთგზის იქნა მოხსენიებული ენის შემოქმედებითი აქტივობის ის სფეროები, რომლებიც ყველაზე ნაკლებად ემორჩილება ლოგიკურ ანალიზს, მაგრამ ყურადღების მიღმა რჩებოდა ის გარემოება, რომ ენის დასახელებული მოქმედების უნარი თვით კონცეპტის განსაზღვრის, ქვანტიფიკაციის, უნივერსალიათა ხმარების, სახელდების მიმართების, არაგამჭვირვალე, მოდალური და ირიბი კონტექსტების პრინციპების ლოგიკურად სუსტ ადგილებშია დასადგურებული. თუ ლოგიკოსებს სასოწარკვეთილებას გვრის ამ პრინციპთა ყოველწუთს მოსალოდნელი დარღვევა, ბუნებრივი ენა, პირიქით, ცოცხლობს და მდიდრდება ასეთ დარღვევათა ხარჯზე. ლოგიკურ პრინციპებთან ხელაღებით თამაში, რა თქმა უნდა, იზღუდება სადი გონისა და გაგების ზღვრით ჩვეულებრივი კომუნიკაციის პირობებში, მაგრამ როცა საქმე ეხება უფრო მაღალი საფეხურის ენებს, ეს ზღვარი გადაილახება და ქრება კიდევ.

ბუნებრივ ენაში ლოგიკური ანალიზის პრინციპები გამოიყენება, მაგრამ იგი არ გამოირჩევა ლოგიკურ პრინციპთა დაცვის სიმკაცრით. ყველა ის პრობლემა, რომელიც ლოგიკაში ერთმნიშვნელოვან პასუხს მოითხოვს, ბუნებრივ ენაში შერბილებულია ამ ენის მოთხოვნილებათა შესაბამისად. აქ, ლოგიკური პრინციპების დაცვისა და ანალიზის პარალელურად, სხვა მრავალი ფაქტორი მოქმედებს, რაც განსაზღვრავს კიდევ ბუნებრივი ენის არსსა და დანიშნულებას. ქვანტიფიკაციის, ესენციალიზმის, სახელდებისა და სხვა პრინციპები ენაში არ გამოირჩევა იმ სიმკაცრით წინააღმდეგობებისა და პარადოქსების დაძლევის თვალსაზრისით, როგორც ეს ლოგიკური ანალიზის დროს გვხვდება. ენას ისინი აინტერესებს ან ფილოსოფიური განსჯის, ან მიზანდასახული ლინგვისტური კვლევის პოზიციიდან, როდესაც საჭირო ხდება ამა თუ იმ კერძო საკითხის წინ წამოწევა. სწორედ ასეთია მდგომარეობა თანამედროვე ენათმეცნიერებაში. მნიშვნელობის მიმართ დამოკიდებულება ყალიბდება ხშირად ცალკეული კონკრეტული კონცეფციის, ან თუნდაც ცალკეულ დარგში დაგროვილი ცოდნის შესაბამისად. ეს არის ბრძოლა ენის სისტემის სიმეტრიულობის ძიების მიმართულებით (რაც განსაკუთრებით საგრძნობია ენობრივი პროგრამირების პროცესში).

ლიტერატურა

ვიტგენშტეინი, 1958 — Витгенштейн Л. Логико-филос. трактат, пер. с нем., М. 1958

ფრეგე, 1977 — Фреге Г. Смысл и денотат, пер. с нем., «Семиотика и информатика» 1977

ფხაკაძე, 1991 — Пхакадзе И. Г. Недостижимые достижимые миры. Семантика возможного и языковая относительность. Тбилиси, 1991: «Издательство Тбилисского Университета»

ხინტიკა, 1980 — Хинтиikka Я. Логико-эпистемологические исследования, пер. с англ. М: Прогресс, 1980.

EKATERINE GACHECHILADZE

Logical Analysis of Language and the Notion of Symmetry

Summary

In the paper the linguistic analysis is considered a large-scale phenomenon including man's speech, thinking processes, and behaviour. Special emphasis is placed on the dominance of logical analysis that has enriched language analysis with complex functional methods.

The principles of logical analysis are evidenced in any living language though they have not been systematically observed. The tendencies of compensating for system symmetry are ever-active in a language and this creates the essence of a natural language.

მკაბარიძე ბაჩხილიაძე

სიმეტრია-ასიმეტრიის კატეგორიები ენათმეცნიერებაში

ენათმეცნიერებაში ენის სისტემურ-სტრუქტურულ შესწავლასთან ახლდა სიმეტრიისა და ასიმეტრიის კატეგორიების აღმოჩენა და კვალიფიკაცია. სისტემურ-სტრუქტურული მიდგომა აღნიშნავს ენის, როგორც სისტემათა სისტემის განხილვას, ხოლო თავად სისტემის ცნება ვარაუდობს სიმეტრიის ცნებას. ბგაშევი აღნიშნავს, რომ ორგანიზებული სისტემა განსხვავდება ელემენტთა უბრალო შეერთებისაგან იმით, რომ იგი ხასიათდება აგებულებისა და მის შემადგენელ ნაწილთა ურთიერთდამოკიდებულების რეგულარობითა და კანონზომიერებით, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი ხასიათდება სიმეტრიით (ბგაშევი 1990: 21-25).

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან ეს კატეგორიები დამკვიდრდნენ ლინგვისტიკაში. აღმოჩენილ იქნა, რომ სიმეტრია და ასიმეტრია სხვადასხვაგვარად ვლინდება ენის ზოგად სისტემასა და მის სხვადასხვა ქვესისტემებში. კარპოვი აღნიშნავს: „ასიმეტრია არსებობს, როგორც გამოვლენის ერთი მხარე და გულისხმობს შესაბამის სიმეტრიას, და პირიქით, — სწორედ ისე, როგორც მოწესრიგებულობა/ მოუწესრიგებლობა და განმეორებითობა/ არაგანმეორებითობა წარმოუდგენელია ერთი მეორის გარეშე“. (კარპოვი 2003, 23)

ასიმეტრია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ენის განვითარებაში და თეორიულად საკმაოდ რთული გასააზრებელია. გაკი თვლის, რომ არა ენობრივი ასიმეტრია, მნიშვნელოვნად შემცირდებოდა მოთხოვნილება თეორიული ენათმეცნიერებისადმი და კამათი მინიმუმამდე იქნებოდა დაყვანილი (გაკი, 1998, 106).

ენობრივ ერთეულთა ასიმეტრიული დუალიზმის ცნება შემოტანილ იქნა კარცევსკის მიერ. ენის მკვლევართა შორის მან პირველმა გამოიყენა თავის სტატიაში „ენობრივი ნიშნის ასიმეტრიული დუალიზმის შესახებ“ (1929) ტერმინები სიმეტრია და ასიმეტრია ენობრივ მოვლენებთან დაკავშირებით. მან ყურადღება გაამახვილა ენობ-

რივ მოვლენათა „მრავალმნიშვნელიანობასა“ და „სინონიმიაზე“, რაც წარმოიქმნება შინაარსისა და გამოხატვის პლანის შეუთავსებლობის შედეგად. კარცევსკი აღნიშნავს: „აღსანიშნავი და აღმნიშვნელი ასიმეტრიული არიან; არიან რა შეწყვილებული, ისინი იმყოფებიან არამყარი წონასწორობის მდგომარეობაში. სწორედ ნიშანთა სტრუქტურის ამ ასიმეტრიული დუალიზმის წყალობით, ლინგვისტური სისტემა შეიძლება ევოლუციონირდეს“ (კარცევსკი, 1965, 90).

გაკი აღნიშნავს, რომ თუკი 50-იან წლებში ტერმინის „ასიმეტრია“ გამოყენებას ენობრივი არქიტექტონიკის გაგებისათვის უფრო მეტაფორის სახე ჰქონდა, — ამ უკანასკნელ პერიოდში ლინგვისტიკის ევოლუციასთან ერთად არამართო ფართოდ გამოიყენება ეს ტერმინოლოგიური წყვილი „სიმეტრია/ასიმეტრია“, არამედ იგი მოიწოდება, როგორც ენის აგებისა და ფუნქციონირების ფუნდამენტური კატეგორია. გაკის მიხედვით, XX საუკუნის მეცნიერებაში სიმეტრიის ცნება გვევლინება, როგორც მეცნიერული თეორიის აგების პრინციპებისა და კვლევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მეთოდოლოგიური ელემენტი. აკადემიკოსი ვერნადსკი აღნიშნავს, რომ მოცემულმა პრინციპმა „მოიცვა და კვლავაც მოიცავს მეცნიერების ახალ-ახალ დარგებს“.

სიმეტრიას წამყვანი როლი უჭირავს თანამედროვე მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ტექნიკაში, ზოგადად ჩვენს გარემომცველ სამყაროში. ნიუმენმა ხაზი გაუსვა ყოვლისმომცველი სიმეტრიის გამოვლინებას და აღნიშნა, რომ „სიმეტრია ამყარებს გასაოცარ კავშირს საგნებს, მოვლენებს, თეორიებს შორის, რომლებიც გარეგნულად თითქმის არაფრით არ არიან დაკავშირებული“. სიმეტრიისა და ასიმეტრიის ცნება იქცა შეცნობის საყოველთაო კატეგორიებად. ახალ-ახალ სფეროებში გადასვლისას იცვლებოდა და ღრმავდებოდა მათი შემადგენლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ სიმეტრიის ცნებას ვხვდებით ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში. ათასწლეულები გავიდა, სანამ კაცობრიობამ გააცნობიერა ბუნებაში მოცემული ორი ტენდენციის — მკაცრი მოწესრიგებულობის, წონასწორობის არსებობისა და მათი დარღვევების — განსაზღვრული ცნებებით გამოხატვის აუცილებლობა. ადამიანებმა ადრიდანვე მიაქციეს ყურადღება ბუნებაში არსებულ ფორმათა სისწორეს, თანმიმდევრობასა და განმეორებითობას; მათ ნიმუშად აიღეს ეს მოწესრიგებულობა თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში, აზროვნე-

ბასა და ხელოვნებაში; „სიმეტრიის“ ცნება გამოიყენებოდა ერთგვაროვნების, პროპორციულობის, ჰარმონიულობის აღსანიშნავად; მას იყენებდნენ ანტიკოსი მოაზროვნეები არქიტექტურაში, მათემატიკაში, ხელოვნებაში, ლოგიკასა და ფილოსოფიაში.

სიმეტრია, როგორც საკუთრივ მეცნიერული ცნება, პირველად განხილულ იქნა XIX საუკუნეში კრისტალოგრაფიის მასალებზე. სწორედ აქ მოხდა მისი მეცნიერული გააზრება და ჩამოყალიბება, გამოყოფილ იქნა სიმეტრიის ტიპები.

გოტი განიხილავს რა სიმეტრიასა და ასიმეტრიას არაცოცხალ და ცოცხალ ბუნებაში, გვაძლევს სიმეტრიისა და ასიმეტრიის კატეგორიების შემდეგ განმარტებას: „სიმეტრია — ესაა ცნება, რომელიც ასახავს ობიექტურ სინამდვილეში არსებულ წესრიგს, მთელის შემადგენელ ნაწილებს შორის პროპორციულობასა და თანაბარზომიერებას, განსაზღვრულ გაწონასწორებულ მდგომარეობას, სიმტკიცეს.

ასიმეტრია — სიმეტრიის საპირისპირო ცნებაა, რომელიც ასახავს სამყაროში არსებული წონასწორობის დარღვევებს, რაც დაკავშირებულია ცვლილებებთან, განვითარებასთან. ეს დარღვევები გამოწვეულია ორგანიზაციის გარდაქმნით ან მთელის იმ შემადგენელი ნაწილების არარსებობით, რომლებიც ერთობლივად იმყოფებიან განსაზღვრულ პროპორციულ გაწონასწორებულ მდგომარეობაში“. (გოტი, 1965: 29-30). ასიმეტრია ისეთივე აუცილებელი თვისებაა ცვლილებების სტრუქტურისა და სამყაროს მოვლენების ურთიერთდამოკიდებულებისა, როგორც სიმეტრია. ასიმეტრია არსებობს თავად სიმეტრიაში. სიმეტრიისა და ასიმეტრიის მრავალი თვისება დაკავშირებულია სიმშვიდისა და მოქმედების ერთიანობასთან.

ანტისიმეტრია ასიმეტრიის კერძო შემთხვევაა. ანტისიმეტრიის ოპერაცია მოიცავს სიმეტრიის რაიმე ოპერაციას, რომელიც შეკავშირებულია ფიგურის ნიშნის ცვლილების ოპერაციასთან. ფიგურის ნიშანში იგულისხმება ობიექტის სხვადასხვა დამახასიათებელი ნიშნები.

სამყარო არის დაპირისპირებულობის სიმეტრიულ-ასიმეტრიული სისტემა. მატერიალურ სამყაროში არის სიმეტრიის პრინციპი, რომელსაც ფილოსოფიაში შესაბამება ერთიანობის დიალექტიკური კანონები და წინააღმდეგობრიობის ბრძოლა. ეს კანონი შესაძლოა გავყოთ ორ შემადგენელ ნაწილად: 1. ყოველგვარ საწყისს შესაბამება საწინააღმდეგო, საპირისპირო საწყისი. 2. მოქმედებას აქვს უკუ-მოქმედება.

სიმეტრია და ასიმეტრია ხასიათდება ელემენტების განლაგებით ღერძთან ან ბრუნვის ცენტრთან მიმართებაში. სიმეტრიის წყალობით ფიქსირდება წარმოსახვითი მთელის მარჯვენა და მარცხენა ნაწილები, აქცენტი კეთდება ცენტრზე და ღერძზე. სიმეტრია ვარაუდობს თანაბარღირებულებას, მსგავსებას, გამოხატავს სტატიკურობას, მისი წყალობით საგანი იღებს სიმტკიცეს, წონასწორობას, თუმცა იგი შეიძლება ასევე იყოს წინააღმდეგობრიობის საშუალება ფსიქოლოგიურ პლანში. ასიმეტრია არღვევს სიმეტრიას, თუმცა ინარჩუნებს ორიენტაციას ღერძთან მიმართებაში, მაგრამ ამასთან შორდება ამ ღერძს. ასიმეტრიას აქვს დინამიური საწყისი.

შუბნიკოვი აღნიშნავს, რომ იმის მიუხედავად სიმეტრიის რომელ განსაზღვრებას ვემხრობით, ერთი რამ აუცილებელია; არ შეგვიძლია სიმეტრია განვიხილოთ მისი ანტიპოდის — დისიმეტრიის გარეშე. იგი თვლის, რომ სიმეტრია შეესაბამება სიმტკიცეს, მდგრადობას, ხოლო დისიმეტრიაში (ასიმეტრიაში) აისახება მოვლენათა ის მხარე, რომელიც შეესაბამება მოქმედებას, ცვლილებას და რომ ერთიანი ცნება — სიმეტრია/დისიმეტრია — ამოუწურავია (შუბნიკოვი, 1946, 1962).

სიმეტრია და ასიმეტრია შეფარდებითი ცნებებია, ვინაიდან სიმეტრიის მნიშვნელობა აიხსნება ასიმეტრიით, რომელიც წარმოადგენს სიმეტრიის ცვლილების, დარღვევის შედეგს. სიმეტრია და ასიმეტრია — ეს არის დიალექტიკის ზოგადი კანონის გამოვლენის ერთ-ერთი ფორმა; ეს არის ერთიანობისა და ურთიერთდაპირისპირებულობის ბრძოლის კანონი, რაც განაპირობებს ცვლილებასა და განვითარებას ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებაში. მოცემული კატეგორიები დაკავშირებულია ისეთ კატეგორიებთან, როგორცაა სივრცე და დრო, ფორმა და შინაარსი, რაოდენობა და თვისება და ა. შ., საიდანაც გამომდინარეობს, რომ თავად სიმეტრიისა და ასიმეტრიის კატეგორიები გვევლინება საყოველთაო კატეგორიებად. განსხვავებულ პროცესებსა და კატეგორიებში მსგავსი მახასიათებლებისა და ნიშნების გამოყოფა არის ახალი კატეგორიების წარმოების ერთ-ერთი საშუალება (გოტი, 1965, 31).

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სიმეტრია არის მოწესრიგებულობა, რეგულარობა, საგანთა ერთგვაროვნება, სიმყარის, წონასწორობის, ობიექტური სამყაროს გამოხატულება. ასიმეტრია საპირისპირო ცნებაა. ასიმეტრიაში ვლინდება მოწესრიგებულობის, რეგულარობის, ერთგვაროვნების, სიმყარისა და წონასწორობის რღვევა,

რაც დაკავშირებულია სისტემის ორგანიზაციულ ცვლილებებთან. სიმეტრიისა და ასიმეტრიის კატეგორიები პირდაპირ არიან დაკავშირებული მარადიულობასთან, მოძრაობასა და მატერიასთან, სივრცესა და დროსთან, როგორც მატერიის არსებობის ფორმებთან.

ლინგვისტები, რომლებიც შეისწავლიან ენობრივ არქიტექტონიკაში სიმეტრიისა და ასიმეტრიის გამოვლენის ცალკეულ ფორმებს, გვიჩვენებენ, რომ ასიმეტრია, რომელიც არსებობს როგორც გამოხატვის, ასევე შინაარსის პლანში, განაპირობებს ენობრივი სისტემების კომპაქტურობასა და ეკონომიას.

როგორც უკვე აღინიშნა, ტერმინები სიმეტრია/ასიმეტრია ენასთან მიმართებაში პირველად გამოიყენა კარცევსკიმ თავის სტატიაში „ენობრივი ნიშნის ასიმეტრიული დუალიზმის შესახებ“ (1929). მან გვიჩვენა ნიშნისა და მნიშვნელობას შორის არსებული შეუთავსებლობა: „ნიშანი და მნიშვნელობა მთლიანად არ ფარავენ ერთმანეთს. მათი საზღვრები ერთმანეთს არ ემთხვევა ყველა წერტილში: ერთსა და იმავე ნიშანს აქვს რამდენიმე ფუნქცია, ასევე ერთი და იგივე მნიშვნელობა გამოიხატება სხვადასხვა ნიშნით. ყოველი ნიშანი ერთდროულად გვევლინება პოტენციურ „ომონიმადაც“ და „სინონიმად“, ანუ იგი იწარმოება ამ ორი რიგის აზრობრივი მოვლენის გადაჯვარედინებით“ (კარცევსკი, 1929).

კარცევსკის მიხედვით, ენობრივი ნიშნები რომ უძრავად იყვნენ და თითოეული მათგანი რომ მხოლოდ ერთ ფუნქციას ასრულებდეს, ენა იქნებოდა ეტიკეტთა უბრალო კრებული. თუმცა ასევე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ისეთი ენა, რომლის ნიშნები იმდენად მოძრავი არიან, რომ ისინი არაფერს აღნიშნავენ კონკრეტული სიტუაციების გარეშე. აქედან გამომდინარე, ლინგვისტური ნიშნის ბუნება ერთდროულად უნდა იყოს უცვლელი და მოძრავი. შეუძლია რა შეეწყოს კონკრეტულ სიტუაციას, ნიშანი შეიძლება მხოლოდ ნაწილობრივ შეიცვალოს და საჭიროა, რომ თავისი მეორე ნაწილის უძრავობის წყალობით ნიშანი დარჩეს საკუთარი თავის მსგავსი.

გაკმა შემოგვთავაზა ნიშნის ასიმეტრიის ახალი, გაფართოებული განმარტება, მან გამოყო ენობრივი სიმეტრიის სამი ტიპი:

1. ცალკეული ობიექტის სტატიკური სიმეტრია: **VA** - ცალკეულ ენაში
2. ამგვარი ელემენტის განვითარების დინამიკური სიმეტრია : **A→A**

3. ორი ობიექტის შესაბამისობა-ჰომოლოგიური სიმეტრია :
A→B

ცალკეული ობიექტის სტატიკური სიმეტრია, გაკის მიხედვით, აღნიშნავს ცალკეული ენის სისტემათა რგოლებში ანალოგიური ნიშნებისა და ელემენტების შენარჩუნებას, მათი შესაბამისობის რეგულარობას. ამასთან ასეთი ანალიზი მოითხოვს არამართო ენის აგებულების, არამედ ენის ფუნქციონირების კვლევასაც. სინქრონულ ასპექტში ცალკეული ობიექტის სტატიკური ასიმეტრია ვლინდება სისტემის, სტრუქტურისა და ფუნქციონირების პლანში. ასიმეტრიის ცნება მჭიდროდ უკავშირდება ენაში ბირთვისა და პერიფერიის ცნებას. ენობრივი ფაქტების დაყოფა ბირთვულ და პერიფერიულ ფაქტებად გვხვდება მხოლოდ ენის არქიტექტონიკაში ასიმეტრიის არსებობისას.

დაპირისპირებულ ობიექტთა ჰომოლოგიური ასიმეტრია ვლინდება ენათა შედარების დროს. გაკი აღნიშნავს, რომ ერთი ენის მეორესთან შედარება შეგვიძლია დავუპირისპიროთ გეომეტრიული ფიგურების ასახვას. იმ შემთხვევაში, როცა პროპორციები შენარჩუნებულია, საუბარია ჰომომორფიზმზე. ენათა შედარებისას შეგვიძლია დავადგინოთ ჰომომორფიზმის მეტნაკლები ხარისხი ანუ თანაფარდობის სიმეტრია. სიმეტრია ირღვევა სინტაგმატურ დონეზე, თუკი ერთი ენის მარტივ სიტყვას მეორე ენაში შეესატყვისება აფიქსალური ან იმავე ფუნქციის მქონე რთული სიტყვა. უფრო ხშირად გვხვდება პარადიგმატული ასიმეტრია, როდესაც ერთი და იგივე ეტიმოლოგიური დამოკიდებულებების მქონე სიტყვა იღებს სხვადასხვა მნიშვნელობას სხვადასხვა ენაში და პირიქით, ერთი და იგივე მნიშვნელობა გამოიხატება წარმომობით სხვადასხვა სიტყვით.

დინამიკური სიმეტრია ვლინდება ენის ევოლუციის პროცესში ფორმათა და დამოკიდებულებათა შენარჩუნებისას, ასევე ენის ერთი ფორმიდან მეორის მიღების სხვა შემთხვევებში. ასიმეტრია ვლინდება მოცემული შესაბამისობების დარღვევისას. ასიმეტრია არის როგორც ლათინურიდან თანამედროვე რომანული ენების მიღების, ან რომანული თუ არარომანული ენებიდან სხვა რომანული ენების მიღების დროს (ენობრივი კონტაქტების პრობლემა), ასევე შიდაენობრივი დინამიკის სხვადასხვა სფეროების ანალიზის პროცესში. (აქ შედის ისეთი მოვლენები, როგორცაა ფრაზეოლოგიზმების წარმოქმნა, გრამატიკალიზაცია, ლექსიკალიზაცია, სიტყვათა და გრამატიკულ ფორმათა გადატანითი მნიშვნელობის ფორმირება და ა.შ.)

ენის ევოლუცია მოძრაობს არამართო სიმეტრიის დადგენის მიმართულებით, არამედ ასიმეტრიის მიმართულებითაც. ასე მაგ. ენაში შეიმჩნევა სიტყვებისა და ფორმების მნიშვნელობების მუდმივი დიფერენციაცია, ომონიმების გაქრობა, მრავალმნიშვნელობის რედუქცია და სხვა მსგავსი მოვლენები, რომლებიც ქმნიან სიმეტრიას. თუმცა მათ გვერდით ფიქსირდება გამოხატვის საშუალებათა ფართო ვარირება, ახალი ომონიმების, ანალიტიკური კონსტრუქციებისა და გამოხატვის საშუალებათა გაჩენა და ენობრივი სისტემის ასიმეტრიის სხვა ფაქტები.

ასიმეტრია — მუდმივი და უნივერსალური მოვლენაა. მას უნდა მივუდგეთ არა როგორც ენის „ავადმყოფობას“, ენის, როგორც ურთიერთობის იარაღის არასაკმარისობას, არამედ როგორც ენობრივი სისტემის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს, რომელიც დაკავშირებულია ენის აგებულებასა და ფუნქციონირებასთან. ამიტომაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ სიმეტრიას თავად ასიმეტრიაში.

სიმეტრია და ასიმეტრია ენაში არსებობს არამყარი წონასწორობის მდგომარეობაში. მუდმივად შეიმჩნევა მოძრაობა ერთი მოვლენიდან მეორისაკენ და პირიქით. სიმეტრია მოსახერხებელია თავისი ერთგვაროვნებით. როგორც წესი, სიმეტრიული ფორმები უფრო მოტივირებულია, ისინი იოლად აღიქმებიან და გამოიყენებიან და გამოდევნიან არამოტივირებულ ასიმეტრიულ ფორმებს, რომლებიც ატარებენ არა კვალიფიციურ, არამედ ინდივიდუალიზებულ ხასიათს. ამის მიუხედავად, სიმეტრიამ შესაძლოა ადგილი დაუთმოს ასიმეტრიას. თითოეულ ცოცხალ ენაში არსებობს გარკვეული საშუალება სიმეტრიულ ფორმათა არარსებობის კომპენსაციისათვის. სწორედ ასიმეტრიულობის უკუგდების ტენდენციებში ვლინდება სიმეტრიულობის ანუ ენის სისტემურობის შენარჩუნების სურვილი.

ჩვეულებრივ ხაზგასმულია, რომ სიმეტრია/ასიმეტრიის დიალექტიკურ ერთიანობაში წამყვანი ადგილი უჭირავს სიმეტრიას, იმდენად, რამდენადაც ენის სისტემის ნებისმიერი ცვლილებისას მის სტრუქტურაში უცვლელი რჩება ელემენტთა გარკვეული ერთიანობა, რაც ხელს უწყობს მემკვიდრეობითობას ენობრივი სისტემის განვითარებაში. მეორე მხრივ, ენის სტრუქტურის დინამიკურობა და ცვალებადობა წარმოადგენს სტრუქტურის წინააღმდეგობრიობის შინაგან მარკერს და მიუთითებს მის ასიმეტრიაზე.

ამრიგად, სიმეტრიისა და ასიმეტრიის ზოგადფილოსოფიური კა-

ტეგორიები წარმოადგენს დიალექტიკურ ერთიანობას; ისინი ენათმეცნიერებაში შეისწავლებიან ერთიანობასა და ურთიერთკავშირში. ენობრივი არქიტექტონიკის ამ ორი მოვლენის განხილვისადმი ასეთი მიდგომა ხელს უწყობს ენის სტრუქტურის უფრო ღრმა შეცნობას, საშუალებას იძლევა ავხსნათ მოცემული სტრუქტურის დინამიკური სტაბილურობა და მისი მზადყოფნა ცვლილებებისათვის.

ლიტერატურა

ბგაშევი, 1990 — Бгашев В.Н. Симметрия и асимметрия языковой системы. // Совершенствование обучения в условиях перестройки высшей школы (Материалы семинар-совещания по иностранным языкам вузов Средней Азии и Казахстана). Душанбе, 1990.

ვერნადსკი, 1998 — Вернадский В. И. Химическое строение биосферы Земли и её окружения. М., 1965

გაკი, 1998 — Гак В.Г. Языковые преобразования. М., 1998

გოტი, 1965 — Готт В.С. Симметрия и асимметрия. Стенограмма публ. лекции, прочитанной в Центр. лектории общества «Знание». М., 1965.

კარპოვი, 2003 — Карпов В.А. Язык как система. Изд. 2-е, испр. М., 2003

კარცევსკი, 1965 — Карцевский С. Об асимметричном дуализме лингвистического знака. // История языкознания XIX–XX веков в очерках и извлечениях. Сост. В.А. Звегинцев. Ч.2. М., 1965.

შუბნიკოვი, 1946 — Шубников А.В. Диссимметрия. // Вопросы минералогии, геохимии и петрографии. М., 1946.

EKATERINE GACHECHILADZE

The Categories of Symmetry and Asymmetry in Linguistics

Summary

The paper examines the scholarly literature on the tendencies for revealing the categories of symmetry and asymmetry. It is stressed that language evolution is not only symmetry-directed but asymmetry-directed as well. The scholars working in the given field argue that asymmetry which is evidenced in both language content and form conditions compactness and economy of language systems. In every language there are certain means for compensating for the lack of symmetrical forms.

The tendencies for eliminating asymmetry aim at the preservation of language symmetry i.e. systematic nature of language. The two aspects of language architectonic should be studied in interrelation. This kind of approach makes it possible to explain the dynamic stability of language structure and its readiness for change.

ლილი ბოქსაძე, მარია ხვედელიძე

კოპიზა და კოპიზენტულობა როგორც სარეკლამო მისი ბაზაერთიანებელი საშუალებები

როგორც ცნობილია, შიდატექსტობრივი კავშირები კოპიზიასა და კოპიზენტულობაში ვლინდება. კოპიზენტულობა ტექსტის ერთ-ერთი უზოგადესი კატეგორიაა და აერთიანებს როგორც სტრუქტურულ, ისე შინაარსობრივ (აზრობრივ) მიმართებებს და კავშირებს. კოპიზენტულობა ყველა ტიპის ტექსტის საფუძველია. კოპიზენტულობის რეალიზაცია ხდება ასოციაციურ დონეზე ინტერპრეტაციის საშუალებით.

კოპიზია დისკურსის ანალიზში გულისხმობს ლინგვისტურ ხერხებს, რომლებიც ქმნიან კავშირებს მთავარ და დამოკიდებულ წინადადებებს შორის. ამ მიზნის მისაღწევად გამოიყენება ლექსიკური ერთეულების გამეორება; აზრობრივი კავშირები ლექსიკურ ერთეულებსა და ფრაზებს შორის; გამოთქმები, რომლებიც მიუთითებენ ელემენტზე სხვა წინადადებაში; ელიფსური წინადადებები, რომლებშიც გამოტოვებული ლექსიკური ერთეულის აღდგენა შესაძლებელია წინა წინადადებიდან ან საერთოდ აზრიდან გამომდინარე; კავშირები, სიტყვები და ფრაზები, რომლებიც აღნიშნავენ ლოგიკურ და დროით ურთიერთობებს. ყველა ეს საშუალება ტექსტის კოპიზიას ემსახურება და წინადადებების ურთიერთშეკავშირებას ახდენს.

რეკლამის ტექსტში აზრობრივი მთლიანობის, კოპიზიის მარეალიზებელი სხვადასხვა საშუალებაა: გარკვეული ლექსიკური თუ სინტაქსური კონსტრუქციების გამეორებით ხდება მყიდველში პროდუქციის სახელის გონებაში ჩაბეჭდვა, მაგრამ ამავდროულად გამეორება არის ხარისხის, პროდუქტის მნიშვნელობისა და სარწმუნოების ინდექსი. მაგალითად:

1) The Telegraph Business Club

Improve your
Year on Year
Week by Week

(The Daily Telegraph, January 28, 2006)

მსგავსი სინტაქსური კონსტრუქციების გამეორება: year on year, week by week, **NPrepN** ↔ **NPrepN**, ქმნის ბმულობის გარკვეულ ეფექტს, რომელიც თავისებურად თვალში საცემია და ლაკონური.

2) მოცემულია ლუდი „ბუდვაიზერის“ რეკლამა.

Great Deals

Great Value

£ 15, 99

Less Than 67 p per can!

More reasons to stop at!

(The Independent, April 27, 2005)

მოცემულ შემთხვევაში სიტყვის „Great“ გამეორებით მკითხველი ებმება პროცესუალურ ტექსტში. გამეორება ახალი ინფორმაციის შემომატების ხდება, გამეორება ამაფრებს მკითხველის დაინტერესებას მოცემული ინფორმაციით.

3) სატელეფონო კომპანიის „გლობალერთის“ რეკლამა:

ჩვენი ურთიერთობის 10 წარმატებული წელი გლობალერთი წარმატებული კავშირი

(რეზონანსი, 27 ნოემბერი, 2006)

გამეორების ობიექტს წარმოადგენს სიტყვა „წარმატებული“, რომელიც მიუთითებს კომპანიის ხარისხზე და რეპუტაციაზე, აღნიშნული სიტყვა მაქსიმალური აღმწერია იმ გამოცდილებისა და მიღწევებისა, რაც შესაძლოა იგულისხმებოდეს კომპანიის არსებობის მანძილზე.

4)

TBC Bank

**გახსენით ანაბარი თიბისი ბანკში დღესვე!
მიიღეთ მაქსიმუმი ამ შემოდგომაზე და
შეხვდით ზამთარს მეტი დანაზოგით.**

(ახალი თაობა, 7 დეკემბერი, 2006)

აღნიშნული რეკლამა შემდეგი სტრუქტურისაა:

- VOAdv (adverbial modifier of time)
- VOAdv (adverbial modifier of time)
- VOAdv (adverbial modifier of manner)

იღენტური კონსტრუქციების გამეორებით გართმული ელფერი ენიჭება ტექსტს, რაც თვალში საცემი და დასამახსოვრებელია, საუკეთესო საშუალებაა მომხმარებლის არაერთხელ ყურადღების მისაპყრობად.

აღსანიშნავია, რომ ინგლისურ რეკლამებში გამეორებული სინტაქსური კონსტრუქციები მოკლეა, რასაც ვერ ვიტყვით ქართულ კონსტრუქციებზე.

როგორც ცნობილია, კოჰერენტულობა არის მნიშვნელობათა ერთიანობა, რაც დისკურსში აისახება. თითქმის ყოველთვის ახლავს მას კოჰეზია, რომელიც მისგან არ იქმნება, მაგრამ დამოკიდებულია სხვა პრაგმატიკულ ფაქტორებზე: სასაუბრო პრინციპები. გრაისის მიხედვით, დისკურსი განისაზღვრება მაშინ, როდესაც მოლაპარაკე მისდევს თანამშრომლობის პრინციპს: იყოს მართალი, აშკარა, რელევანტური და საჭიროებისამებრ ლაკონური. საჭირო ქვეპრინციპებს გრაისი (1975) მაქსიმუმს უწოდებს, რომლებიც, როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, აქტიურად მუშაობს რეკლამის ენაშიც:

1) რაოდენობის მაქსიმა; რეკლამის ტექსტი საჭირო ინფორმაციულილობით უნდა გამოირჩეოდეს, რომ მოხდეს მნიშვნელოვანი ფაქტორების წინა პლანზე წამოწევა. საჭიროზე მეტად ინფორმაციულიობა იწვევს წარმატებული თაამშრომლობის რღვევას. ზედმეტი დეტალების დაფიქსირება მოსაბეზრებელი ხდება და ერთგვარად დამამცირებელია მომხმარებლისთვის. მაგალითად:

5)

Visit New York ~ No Flying!
Queen Mary 2
Save up to 50 %

On published fare & FOU FREE
nights in the Big Apple
Departs Southampton on 26th June 2007 — 16 nights from only
£ 1, 999pp

Join the world’s only scheduled transatlantic liner for 12 nights of shameless indulgence across the mighty Atlantic and discover just how great you can feel. No port to break the spell. Your voyage is a classic, your ship a destination in her own right.

The first planetarium at sea? What a brilliant idea! The first Veuve Clicquot Champagne bar at sea? How decadent? How refreshingly innovative — and home to one of QM2’s eight relaxing Jacuzzis. And if that wasn’t enough — no less than five pools invite an invigorating dip, 10 bars whet your every mood and 14 dining venues are there to tempt your taste buds, including the celebrity chef, Todd English’s day restaurant afloat. An, of course, the glamour of dressing up for our gala dinners. It’s all about choice — your choice.

(The Daily Telegraph, October 14, 2006)

აღნიშნული რეკლამა უხესიტყვიანია, მაგრამ სულაც არ ნიშნავს, რომ ზედმეტი ინფორმაციულობით გამოირჩევა. დეტალური ინფორმაცია არ უნდა ავუროთ ზედმეტ ინფორმაციაში. კლასიკური მოგზაურობა შესანიშნავ ატმოსფეროში, ბარი შამპანურის არაჩვეულებრივი ასორტიმენტით, ჯაკუზიში ნებივრობა, საღამოს წვეულებებზე გართობა რეკლამირებული ლაინერისა და მოგზაურობის უპირატესობებია და მათი მკითხველის გონებაში აღბეჭდვა ხდება რიგი მიმართებითი ფორმებით, კითხვითი კონსტრუქციებითა და აპელაციური ნომინაციით (**What a brilliant idea!**). ყოველივე ეს თვალში საცემს და მომხიბვლელს ხდის ტექსტს. ზედმეტ ინფორმაციასთან მაშინ გვექნებოდა საქმე, თუ რეკლამაში, მაგალითად, დააფიქსირებდნენ, რომელი სასმელი კომპანიის შამპანურებია მათ ბარში; როგორი მარმარილოთია მათი ჯაკუზი მოპირკეთებული: რა ფერისაა, დაწინწკლულია თუ

არა; სადამოს წვეულებებზე რა საჭმელებია; ლაინერის ძრავა რა სიმ-
ძლავრით გამოირჩევა და ა. შ.

აქვე შეგვიძლია მოვიყვანოთ ქართული რეკლამა დავით ტა-
ტიშვილის სამედიცინო ცენტრის შესახებ:

6) რ ვ ე ნ მ ი ვ დ ე ვ თ დ რ ო ს
დავით ტატიშვილის
სამედიცინო ცენტრი
გთავაზობთ
ულტრათანამედროვე
სამედიცინო ტექნოლოგიების სრულ კომპლექსს
ნებისმიერი ასაკის პაციენტებისთვის

- სპირალური კომპიუტერული ტომოგრაფია
- ექოსკოპია სამგანზომილებიანი რეკონსტრუქცი-
ით
- უახლესი ამერიკული ფერადდობლერიანი ექოს-
კოპიური აპარატურით მომსახურებას გამოძახე-
ბით
- რენტგენოლოგიურ კვლევებს და მამოგრაფიას
სტერეოტაქსიური ბიოფსიით
- მაღალტექნოლოგიურ კომპიუტერულ ელექტრო-
ციფრალმოგრაფიას
- ფუნქციური დიაგნოსტიკის მეთოდების სრულ
პაკეტს
- აბსოლუტურად უსაფრთხო, მაღალტექნოლოგი-
ურ, უზუსტეს ლაბორატორიულ გამოკვლევებს
- ციტოლოგიურ, ჰისტოლოგიურ და მოლეკულურ-
მორფოლოგიურ ლაბორატორიულ კვლევებს
- კომპიუტერულ კოლპოსკოპიას
- ორთოპედიულ-ტრავმატოლოგიურ, გინეკოლოგი-
ურ და სანადვლე გზების დაავადებების ქირურ-
გიულ ოპერაციებს მსოფლიოში უახლესი ლაბ-
ლასკოპიული ტექნოლოგიების აპარატურით
- აღდგენითი თერაპიის ულტრათანამედროვე ტექ-
ნოლოგიებს

- წონაში კვებისა და გაჯანსაღების თანამედროვე
მეთოდებს და ახლ პროგრამებს
- სუ ჯოკ თერაპიას და აღმოსავლური მედიცინის
მკურნალობის მეთოდების ფართო სპექტრს
- ყველა სახის მომსახურებას თერაპიულ, ქირურ-
გიულ და ორთოპედიულ სტომატოლოგიაში
- ბავშვთა და მოზრდილთა ასაკის პაციენტთა
სრულ პოლიკლინიკურ მომსახურებას
- ბინაზე მომსახურების სრულ პაკეტს
- შაბათ-კვირას მომსახურება ტარდება ფასდაკლე-
ბით

აღნიშნულ რეკლამაში წარმოდგენილია ულტრათანამედროვე სა-
მედიცინო ტექნოლოგიების სრული კომპლექსი. დეტალური ინფორ-
მაცია ფიქსირდება. ზედმეტი ინფორმაცია იქნებოდა, თუ, მაგალი-
თად, იქნებოდა საუბარი იმაზე, თუ რომელი ფირმის აპარატურას
იყენებენ, რომელი თაობის კომპიუტერული ტექნიკა აქვთ, როგორი
სახის ნემსებს იყენებენ, როგორ აწარმოებენ კონტაქტს პაციენტთან
ან კიდევ რა მიმდევრობით ხდება პაციენტის გასინჯვა.

2) ხარისხის მაქსიმა. აქ ზოგადად ყურადღება მახვილდება სი-
მართლის დაფიქსირებაზე და ყველაფრის დასაბუთება მოგვეთხოვება.
ამ მაქსიმის სრულყოფილი გაშუქება სარეკლამო ენისათვის ნამდვი-
ლად არ არის დამახასიათებელი. ხშირია გასაყიდი პროდუქციისადმი
მოჭარბებული დადებითი ფუნქციის მინიჭება და საკმაოდ დამაჯერე-
ბელი არგუმენტაციის მოყვანა, რაც მიზნად ისახავს მომხმარებლის
მოხიბვლას. რეკლამის შემქმნელები ისე წარმოაჩენენ პროდუქციას,
რომ მსმენელმა და მკითხველმა ვერ შეამჩნიოს საჭირო მინუსები და
დაინახოს მხოლოდ დადებითი მხარე. მაგალითად, განვიხილოთ სა-
მშენებლო კომპანიათა მიერ წარმოდგენილი რეკლამები:

7) RIVERSIDE QUARTER
Wands worth SW18
Actual View from Riverside Quarter
Perfection _ on _ Thames

2 bed apartments with river views from £ 445, 000
3 bed apartments with river views from £ 815, 000

View our show apartments and "Water space"
Residential boat. Private mornings available.
Residents Leisure centre opening early 2006

(The Independent, April 27, 2005)

8) არსი „ორთაჭალის ტურფა“
არქიტექტურა და სამშენებლო მენეჯმენტი
ტელ: 916-816; 957005;
1989 წლიდან 899-628080

პირველადი შენატანი § 5000
უპროცენტო განვადება 2 – 3 წელი
სრული კარკასი – ახალი სტანდარტი კომპანია არსისაგან
ფასი 480 § - დან

(ახალი თაობა, 26 ნოემბერი, 2006)

ზემოაღნიშნულ ორივე რეკლამაში წარმოდგენილია სამშენებლო კომპანიების რეკლამები მდინარეების სანაპიროებზე: პირველი მდინარე ტემზის სანაპიროზე და მეორე მდინარე მტკვრის სანაპიროზე. ვიზუალურად და ტექსტის ლაკონურობით იმდენად ხდება ერთი შეხედვით მკითხველის ყურადღების მიპყრობა, რომ იმალება ის რთული მხარეები, რაც სხვა შემთხვევაში უნდა დაფიქსირდეს. მაგალითად, ის რომ, უპროცენტო განვადებისას შედარებით დიდი პირველადი შენატანი უნდა გააკეთოს კლიენტმა. მსგავს საცხოვრებელ კომპლექსებში კომუნალური გადასახადები გაცილებით მაღალია, აქ შედის დაცვის და ავტოფარეხის გადასახადი. სრულებით იგნორირებულია ის ფაქტი, რომ მდინარის სანაპიროზე შენობებში აღინიშნება ძლიერი სინესტე, რაც ჯანმრთელობისთვის სახიფათოა. ყოველივე ეს მეორეხარისხოვანი ხდება, რადგან სანაპიროზე ცხოვრება საკმაოდ პრესტიჟული და მიმზიდველია.

3) **რელევანტურობის მაქსიმა** არსებით როლს თამაშობს რეკლამის ტექსტის შექმნაში. მკაცრად უნდა იქნეს დაფიქსირებული ნა-

თქვამის უშუალო მიმართება გასაყიდ პროდუქციასთან თუ მომსახურებასთან. არ უნდა ხდებოდეს გადახვევა.

9)

Sterling Capital Guaranteed Savings Bond 19

A fixed of 10% for 1 year

Heads or tails?

...or the potential to benefit from stock market growth over 5 years
With Bond 19 you don't have to choose

BANK OF SCOTLAND
INTERNATIONAL

(The Guardian Weekly, November 10-16, 2006)

10)

თი-ბი-სი TBC
ბანკი BANK

ანაბრების აქცია გაგრძელდება
25 დეკემბრამდე!

გახსენით ანაბარი თი-ბი-სი ბანკში დღეს
და მიიღეთ +2% ლარის ანაბრებზე,
+1% დოლარის ჯვროს ანაბრებზე

- **ვადიანი ანაბარი**
- **„ვადიანი +“ ანაბარი**
- **ანაბარი „ჩემი სეიფი“**

შეხვდით ახალ წელს მეტი დანაზოგით!

(24 საათი, 7 დეკემბერი, 2006)

4) ვითარების მაქსიმა თავს იჩენს ტექსტის ლაკონურობაში, სიცხადესა და ბმულობაში.

სარეკლამო ტექსტის შექმნისას და გაშიფვრისას საინტერესოდ მიგვაჩნია ასევე ლაკოფის(1973) თავაზიანობის პრინციპი, სადაც 3 მაქსიმაა გაერთიანებული; 1. თავიდან აიცილე ვინმესთვის რაიმეს თავს მოხვევა. თანამედროვე სარეკლამო და ინდუსტრიულ სამყაროში თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს მაქსიმა იგნორირებულია, რადგან ადრესატისათვის რაიმეს თავს მოხვევა რეკლამის მიზანს შეადგენს. 2. მსმენლს თავი კარგად აგრძობინე. ტექსტის შინაარსი უნდა იწვევდეს საჭირო ემოციებს და განწყობას პროდუქციისადმი, რათა მომხმარებელს მოეწონოს შეთავაზება და მივიღოთ სასურველი შედეგი. ეს მაქსიმა რეკლამის ენაში აქტიურად მუშაობს. 3. მიეცი მსმენელს არჩევანის უფლება. დაფიქსირებული ტექსტი არის მომხმარებლის გზამკვლევი, რომელიც მას ინფორმაციას აწვდის და ამის შემდეგ არჩევანი უკვე მომხმარებელზეა. ეს მაქსიმაც პროდუქტიულია რეკლამის ენაში.

ქვემოთ განვიხილავთ რეკლამებს და მივუთითებთ მათ ფუნქციონალურ მხარეებზე, რათა ვნახოთ, როგორ მიაღწევს საბოლოოდ ტექსტი შეჭიდულობასა და მთლიანობას.

11)

The World Health Service

‘I feel at ease knowing I’m with the largest international expatriate~

Would you like the most trusted name in health care, with over 30 years experience, on your side? To get the feeling, there’s only one number to call.

There for you in 190 countries

Call+ 44(0)1273208181

www.bupa-intl.com

BMPA

INTERNATIONAL

(The Guardian Weekly, February 25 — March3, 2005)

ავტორის თვალთ დანახული სიმშვიდე და სულიერი გაწონასწორება უკავშირდება ბუპას საერთაშორისო ჯანდაცვის პროვაიდერთან თანამშრომლობას. 30 წლის მანძილზე მიღებული გამოცდილება არის ის მამოძრავებელი სტიმული, რაც აღუძრავს მოცემულ შემთხვევაში მკითხველს ავტორის მიერ დაფიქსირებულ შეფასებას ზემოთ აღნიშნულ ორგანიზაციასთან ურთიერთობის საფუძველზე.

12) მოცემულია TBC ბანკისა და ჟურნალ „კოსმოპოლიტანის“ ერთობლივი რეკლამა.

პირველად საქართველოში, მხოლოდ ქალებისთვის!

თიბისი ბანკის და ჟურნალ „კოსმოპოლიტან“-ის

ერთობლივი ვიზა ბარათი

TBC COSMO

- ფასდაკლება 30-ზე მეტ ობიექტში
- დიზაინის არჩევანის შესაძლებლობა
- გადახდის თანამედროვე საშუალება მთელ მსოფლიოში

წ ა რ მ ა ტ ე ბ უ ლ ი ქ ა ლ ის ს ა ვ ი ზ ი ტ ო ბ ა რ ა თ ი !
(რეზონანსი, 27 ნოემბერი, 2006)

რეკლამის მიხედვით, წარმატებული ქალის იმიჯი აღმქმელის თვალში, მოცემულ შემთხვევაში, განისაზღვრება იმ სტანდარტებში მოქცევით, რომელიც შემოთავაზებულია ვიზა ბარათში. კონკრეტულად რიგი შეღავათებია დაწესებული, დიზაინის არჩევანისას სრული თავისუფლებაა და ამგვარი გადახდის გზა მსოფლიო სტანდარტებში ჯდება. ვტორისეული ამგვარი პერსონალური წარმოდგენების კომბინირების საფუძველზე ხდება მომხმარებლის მიზიდვა.

ამრიგად, სარეკლამო ტექსტის აზრობრივი მთლიანობის აქტუალიზება შესაძლებელია კოპეზიისა და კოპერენტულობის გათვალისწინებით. აღნიშნული შიდატექსტობრივი კავშირები ინგლისურ და ქართულ სარეკლამო ტექსტებში რეალიზდება გარკვეული ლექსიკური თუ სინტაქსური კონსტრუქციების გამეორებით. ეს კონსტრუქციები რეკლამირებული პროდუქციის ხარისხზე, მნიშვნელობასა და სა-

რწმუნობაზე ამხვილებს ყურადღებას. სარეკლამო ტექსტის კოჰერენტული ბუნება განისაზღვრება რიგი პრაგმატიკული ფაქტორების მხედველობაში მიღებით, მაგ; გრაისის კოოპერაციის პრინციპი და შესაბამისი ოთხი მაქსიმა: 1. რაოდენობის მაქსიმა იმაში ვლინდება, რომ არ უნდა იყოს ზედმეტი ინფორმატიულობა. 2. ხარისხის მასიმა ვლინდება სარეკლამო პროდუქციისა თუ მომსახურების მოჭარბებული დადებითი თვისებების დაფიქსირებით დამაჯერებელი არგუმენტის გამოყენების საშუალებით. 3. რელევანტურობის მაქსიმა — რეკლამირებული პროდუქციისა თუ მომსახურებისადმი უშუალო მიმართებითი კავშირი უნდა დამყარდეს ყოველგვარი გადახვევების გარეშე. 4. ვითარების მაქსიმა ვლინდება სარეკლამო ტექსტის ერთიანობაში, ლაკონურობასა, სიცხადესა და ბმულობაში.

ლაკოფის თავაზიანობის პრინციპის სამი მაქსიმიდან ბოლო ორი (2. მსმენელს თავი კარგად აგრძნობინე. 3. მიეცი მსმენელს არჩევანის უფლება) პროდუქტიულია რეკლამის ტექსტებში, ხოლო პირველი (1. თავიდან აიცილე ვინმესთვის რაიმეს თავს მოხვევა) ბუნებრივია, რომ სარეკლამო ტექსტებში არ მუშაობს, რადგან რეკლამის მიზანია, თავს მოახვიოს მომხმარებელს რეკლამირებული პროდუქცია თუ მომსახურება.

ლიტერატურა

გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელია... 2003 — თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელია... „თეორიული ენათმეცნიერების კურსი“. „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“ თბილისი 2003

კუკი, 2001 — Cook G., *The Discourse of Advertising*. Taylor and Francis Group. London and New York, 2001.

გრაისი, 1975 — Grice H. P. *Logic and Conversation*. Syntax and Semantics 3. *Speech Acts*. New York, Academic Press, 1975

ლაკოფი, 1973 — Lakoff R., *The Logic of Politeness: on minding your p's and q's in Proceeding of the Ninth Regional Meeting of Chicago Linguistic Society*, 1973

სელსი, გონსალესი, 2002 — Sells P., Gonzalez S., *The Language of Advertising*, 2002.

www.stanford.edu/class/linguist34/thanks.htm

LILY GOKSADZE, MAKH KHVEDELIDZE

Cohesion and Coherence as the Unifying Means of Texts of Advertisements

Summary

The paper argues that cohesion and coherence can be viewed as the means of unifying texts of advertisements. The inter-textual connections in questions are realized in English and Georgian advertisements by the repetition of certain lexical and syntactic constructions. These constructions stress a high quality and importance of the product or service and cause the conviction of the receiver.

Coherence of advertising texts can be determined by considering certain pragmatic factors, f. e. Gricean principle of cooperation with its four maxims: 1. The Maxim of Quantity is revealed in the fact that advertisements should not contain more than necessary information. 2. The Maxim of Quality is realized in advertisements by stressing the positive sides of the product of service through using convincing arguments. 3. The Maxim of Relevance points to the fact that there must be a direct connection between the advertised product or service and the receiver without any deviations. 4. The Maxim of Manner is realized in the unity, laconic expression, clarity and logical connection of the items in the advertised texts.

Out of three maxims of Lakoff's politeness the last two maxims (2. Make their hearer feel good. 3. Give him or her options.) work well in the texts of advertising. As for the first one (1. Avoid imposing), it is natural that it does not work in the language of advertising as the purpose of advertising lies in imposing a product or service on the receiver.

ენის ღარასკალია

**შორისდებული როგორც იმავეს უფრო ვერბალური
ქცევის ნიმუში**

შორისდებულის კვლევისას ხშირად წამოიჭრება შეკითხვა: ცნობიერის სფეროს ეკუთვნის ის თუ არაცნობიერის, ნებელობითი თუ უნებლიე ვერბალური ქმედების ტიპია იგი თუ არა, პირველ სასიგნალო სისტემას განეკუთვნება თუ მეორეს. ტრადიციულად ჩამოყალიბებული თვალსაზრისით, რომელიც სათავეს ანტიკური ეპოქის ბერძენ და რომაელ გრამატიკოსებთან იღებს, შორისდებული ემოციური, აფექტური მეტყველების ნიმუშია. ხშირად შორისდებულს, როგორც აფექტური მეტყველების ერთეულს უპირისპირებენ „ინტელექტუალური სემანტიკის მქონე სიტყვებს“ (ვანდრიესი, 1921; ლეონტიევი, 1969; ლურია, 1979; კოლშანსკი, 1974, სმირნიცკი, 1959).

ინტერესს იწვევს, რამდენად მართებულია ტერმინების „აფექტი“, „აფექტური მეტყველება“ შორისდებულთან მიმართებაში გამოყენება. ფილოსოფიური ლექსიკონის განსაზღვრებით, აფექტი არის ძლიერი სულიერი მღელვარება, რომელიც იწვევს ინტელექტუალური პროცესების მსვლელობის შეფერხებას, რის შედეგადაც ინდივიდი თავის ქცევაზე კონტროლს ასუსტებს ან საერთოდ კარგავს (ფილოსოფიური ლექსიკონი, 1987, 34), ამრიგად, აფექტი ასოცირდება არაცნობიერთან, ინსტინქტურთან.

ზოგიერთი ლინგვისტი ცალკეული შორისდებულის მნიშვნელობებში განასხვავებს როგორც პირველი სასიგნალო სისტემის, ასევე მეორე სასიგნალო სისტემის რეალიზაციის შემთხვევებს. მაგალითად, ა. გერმანოვიჩი რუსული შორისდებულის ай პირველ მნიშვნელობას (ტკივილის ან მოულოდნელობით გამოწვეული შიშის სიმპტომი) მიიჩნევს პირველი სასიგნალო სისტემის ნიმუშად, დანარჩენ მნიშვნელობებს კი (2. საყვედურის, გაკიცხვის გამოხატვა; 3. გაოცების, მოწონების გამოხატვა) მეორე სასიგნალო სისტემის რეალიზაციის შედეგად (გერმანოვიჩი, 1961, 5-6). როგორც ცნობილია, ი. პავლოვის

განსაზღვრებით, სასიგნალო სისტემა არის ცოცხალი არსების გარემოსთან ურთიერთობის საშუალება. პირველ სასიგნალო სისტემასთან გვაქვს საქმე მაშინ, როდესაც რეალობის აღქმა უშუალოდ გრძობის ორგანოების საშუალებით ხდება, მეორე სასიგნალო სისტემა კი გულსხმობს ისეთ მოვლენას, როდესაც სიტყვები ენაცვლებიან შესატყვის გამაღიზიანებლებს და გვევლინებიან როგორც მეორადი, სოციალურად გაცნობიერებული ნიშნები. ისინი გულსხმობენ თავის ტვინის მაღლაგანვითარებული მატერიის არსებობას და წარმოადგენენ სამყაროში და საკუთარ თავში ადამიანის ორიენტაციის საშუალებას (პავლოვი, 1949, 19). მიმაჩნია, რომ შორისდებულის ყოველი გამოყენებისას საქმე გვაქვს სოციალურად გაცნობიერებულ ენობრივ ნიშანთან. შორისდებული სამყაროში და საკუთარ თავში ინდივიდის ორიენტირების მნიშვნელოვანი საშუალებაა. არამართებულად მიმაჩნია შორისდებულის აფექტური მეტყველების ნიმუშად, პირველი სასიგნალო სისტემის რეალიზაციის შედეგად მიჩნევა. ემოციური შორისდებულის ხმარებისას, თვით ძლიერი აღელვების შემთხვევაშიც კი, ინდივიდი ითვალისწინებს სამეტყველო სიტუაციის კონტექსტს და თავისი საკომუნიკაციო ინტენციის მიხედვით ირჩევს ემოციურ შორისდებულს. ძლიერი მღელვარება მას ხელს არ უშლის მოახდინოს ემოციის ენობრივ ფორმაში ობიექტივაცია. რაც უნდა დიდი იყოს შორისდებულში ბუნებრიობის წილი, იგი მაინც პირობითი ნიშანია, ცალკეული ენობრივი სისტემის სრულფასოვანი წევრია. ასე მაგალითად, ძლიერი გაუსაძლისი ტკივილისას, ინგლისელი, ქართველი და რუსი ინდივიდები თავის რეაქციას მშობლიური ენის რესურსების გამოყენებით გამოხატავენ: ინგლ. **ouch, ow**; ქართ. ვაი, ვაიმე; რუს. **ай, ой**. შორისდებულის გამოყენებაზე კონტროლის ნიმუშია აგრეთვე ის ფაქტი, რომ უფროსები, ძლიერი გაღიზიანების შემთხვევაშიც კი, ცდილობენ ბავშვების თანდასწრებით არ გამოიყენონ სალანძღავი სიტყვები, უწმაწური სიტყვებისაგან შემდგარი შორისდებულური ფრაზები. აღნიშნული ტიპის შორისდებულთა ბავშვების წინაშე გამოყენების შემთხვევები კი მოუბარი პირის აღზრდისა და კულტურის დონის მაჩვენებელია. მართალია, შორისდებულის ხმარება ხშირად დაუფიქრებლად, ჩვენდა უნებლიედ, ჩვენდა შეუმჩნეველად ხდება, თუმცა ამის მიზეზი მხოლოდ ძლიერი ემოცია არ უნდა იყოს. წინამდებარე ნაშრომში შორისდებულს განვიხილავ როგორც იმპულსური ვერბალური ქცევის ნიმუშს, რაც შემდგომში მდგომარეობს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ შორისდებულის გარდა, ცალკეულ ენაში მრავლად მოიპოვება ისეთი ერთეულები, ე. წ. „მყარი ფორმულები“ [კიკნაძე 1999] / ჰოლოფრაზები (კორდერი, 1973) / რუტინები (ჰაკუტა, 1974) / გეშტალტები (პეტერსი, 1977) / ლექსიკალიზებული ძირები (პოლი, საიდერი, 1984), რომლებსაც მეტყველი სუბიექტი ავტომატურად, მცირე კოგნიტური ძალისხმევის გამოყენებით იყენებს, რაც მთლიანობაში გაუცნობიერებელი ვერბალური ქმედების შთაბეჭდილებას ტოვებს. აღნიშნული მოვლენის ახსნას ფსიქოლოგია იძლევა. საყურადღებოა ს. რუბინშტეინის მიერ გამოყოფილი ადამიანის ქცევის შემდეგი ტიპები: ნებელობითი, იმპულსური (ანუ უნებლიე) და ინსტინქტური (რეფლექტორული). ინსტინქტურ ქცევაზე ცნობიერის კონტროლი არ ვრცელდება, აღნიშნული ქცევის ტიპი მხოლოდ ბავშვებს ახასიათებთ ადრეულ ასაკში (მაგ., ინსტინქტური ქცევის ნიმუშია ძუძუს წოვა). მოზრდილი ადამიანისათვის მახასიათებელია ნებელობითი და იმპულსური ქმედებები, ორივე მათგანი ცნობიერის ჩარჩოშია მოქცეული (რუბინშტეინი, 1946). ს. რუბინშტეინის ტერმინებთან „ნებელობითი“ და „იმპულსური“ ახლოს დგას დ. უზნაძის მიერ გამოყოფილ ცნობიერების მოქმედების ორი არსებითად განსხვავებული პლანი — იმპულსური და გაშუალებული. დ. უზნაძე იმპულსურ ქცევაში ადამიანის ჩვეულ, მექანიზებულ მოქმედებებს გულისხმობს. დ. უზნაძის განსაზღვრებით, იმპულსური ქცევის სპეციფიკა მის უშუალოებაში მდგომარეობს. იმპულსური ქცევისას სუბიექტი, ისევე, როგორც მისი აქტები, მთლიანად ქცევის პროცესშია ჩართული. „იმპულსურ ქცევაში ჩართული აქტები მთლიან ჯაჭვს ქმნიან, ისინი ქცევის მთლიან ჯაჭვში ცალკე რგოლებს წარმოადგენენ, იმ სიგნალების როლს ასრულებენ, რომლებიც ქცევის პროცესში მომდევნო ნაბიჯების სტიმულაციას ახდენენ. მათ არა აქვთ საკუთარი დამოუკიდებელი ღირებულება, ისინი არ არსებობენ ამ როლის გარეშე თავისთავად, ამ ქცევის პროცესიდან გამოყოფილად, რომელშიც მთლიანად, უნაშთოდ არიან ჩართული“ (უზნაძე, 1977, 135).

შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის ვერბალური ქცევის დიდი ნაწილი იმპულსური, რიტუალიზებული ხასიათისაა. ენაში შემოქმედებითი ასპექტის მოქმედებასთან ერთად, ენის სხვადასხვა დონეზე გვხვდება ლექსიკალიზაციის, იდიომატიზაციის და გრამატიზაციის პროცესების, რომელთა შედეგად წარმოიქმნება მყარი ფორმულები,

როგორც ლექსიკის (მაგ. ცალკეული სიტყვებისაგან შემდგარი რუტინა, მყარი შესიტყვებები, იდიომები), ასევე სინტაქსის (წინადადების ლექსიკალიზებული ძირები) და დისკურსის (იდიომის პრინციპზე აგებული ტექსტები ან ტექსტის მონაკვეთები) დონეებზე.

ასე მაგალითად, ფრაზის ან წინადადების სტრუქტურის მქონე მეორადი შორისდებულები უმეტესწილად ლექსიკალიზებულები არიან — ისინი აღიქმებიან, როგორც მთლიანობები. ზოგიერთი მათგანი სრულად იდიომატირებულია, ზოგი კი მხოლოდ ნაწილობრივ. მაგალითად, სრულად არიან იდიომატირებულები შემდეგი ინგლისური, ქართული და რუსული შორისდებულები:

Oh great — აქვს ირონიული, სარკასტული მნიშვნელობა, შეიძლება გამოხატოს გაღიზიანება:

1. “Oh great! I’ve spilled coffee all over my homework!”
2. “Oh great! That’s all I need - Karen’s not coming in today so there’s no one to answer the phone!”

აზრზე ხარ! / ხო(მ) აზრზე, ხარ! — გაოცების, აღშფოთების, გაღიზიანების, ირონიის გამოხატველი. შესაძლოა თანადროულად გამოხატოს გაოცება და ირონია, აღშფოთება და გაღიზიანება.

Не говори / не скажи — გამოხატავს თანხმობას, დასტურს, უარყოფით შეფასებაზე. საფიქრებელია, რომ ქართული **ნუ იტყვი** და **არ თქვა** რუსულის კალკს წარმოადგენენ.

A: Ну и молодежь пошла

A: Ну и пара!

B: Не говори!

B: Не говори!

სრულად იდიომატირებულად შეიძლება მივიჩნიოთ რელიგიური წარმოშობის შემდეგი ინგლისური, ქართული და რუსული შორისდებულები:

ინგლისური — **O my God, good gracious, goodness gracious (me), gracious me, goodness me, good grief, good heavens, dear me, Jesus, Mary and Joseph** (ირლ. კათოლიკ.), **Mother of God** (ირლ. კათოლიკ.)

აღნიშნული ინგლისური შორისდებულების პირველადი მნიშვნელობა გაოცების გამოხატვაა, თუმცა მათი მეშვეობით შესაძლოა სხვა ემოციებიც გამოვხატოთ — იმედგაცრუება, გაღიზიანება, შიში, წყენა, აღშფოთება. მათ შეიძლება ჰქონდეთ ემფატიური ან ფატიკური მნიშვნელობა.

- 1) “Gracious (me) / Good gracious (me) / Goodness gracious (me). I never thought he’d do that” (გაოცების გამოხატველი)

2) “I’m sorry, I’m late”
“Good gracious, that doesn’t matter”

(ფატიკური მნიშვნელობა)

ქართული შორისდებულები —

ღმერთო ჩემო — მსგავსად ინგლისური შორისდებულებისა **O my God, goodness me, goodness gracious** და ა. შ. და რუსულ შორისდებულებისა **O/ах боже мой, боже, господи** — ქართული ღმერთო ჩემო — დიფუზური სემანტიკით გამოირჩევა, მან შეიძლება გამოხატოს გაკვირვება, წუხილი, გაღიზიანება, აღშფოთება, სევდა და სხვ.

ღვთის გულისათვის / თუ ღმერთი გწამს — თხოვნის ფორმულაა, იხმარება დიდი თხოვნის გამოსახატავად. შეესატყვისება ინგლისურ **For God’s / Christ’s / goodness’ / heavens’ / pity’s sake**, თუმცა ინგლისურ ფორმულებში უფრო მეტია გაღიზიანება, ბრძანება, ან სიბრაზის ელემენტები:

For Christ’s sake, don’t be so stupid!

For goodness sake, hurry up!

აღსანიშნავია, რომ ფორმები **For God’s sake / Christ’s, sake** უფრო ემფატურია, ვინაიდან ანგლო-საქსურ კულტურაში ღმერთის სახელი ტაბუირებულია.

ინტერესს იწვევს მოყვანილი ინგლისური და ქართული შორისდებულების რუსული შესატყვისები: **Бога ради / ради бога**. საყურადღებოა, რომ აღნიშნული ორი ფორმა გარკვეულ სემანტიკურ განსხვავებას ავლენს: ორივე მათგანი არის თხოვნის ფორმულა, თუმცა **ради бога**-ს აქვს აგრეთვე უნარი გამოხატოს ფატიკური მნიშვნელობები: 1) იგი ტოლფასია რუტინის **не за что** — არაფრის 2) ან გამოხატავს ნებართვას

1) **A: Спасибо большое, я тебе так благодарна...**

B: Да, ради бога.

2) **A: Извините, тетя Наташа, можно я позвоню, наш телефон**

не работает.

B: Да, ради бога, заходи.

Бога ради უფრო ემფატურია, იგი მარკირებული ფორმაა — **Бога ради, прошу тебя...**

ნაწილობრივ იდიომატიზებულიად შეიძლება მივიჩნიოთ შემდეგი მეორადი შორისდებულები:

ინგლისური — **God Bless me (us / you), Saints Preserve us** (ირლ. კა-

თოლიკ.), **God / goodness / Heaven knows, God damn it (Goddammit), God-damn-son-of-a-bitch-shit, Stuff and nonsense, Thank God**, და სხვ.

ქართული: ღმერთმა იცის, ღმერთმა (ნუ) ქნას, ღმერთმა დაგვიფაროს, მადლობა ღმერთს, ჯანდაბა და ღოზანა, ღმერთმა დალაზკროს, წადი მოუსავალში, ჯანდაბამდე გზა გქონია, და სხვ.

რუსული — **Господи помилуй, прости господи (господи прости), боже упаси (упаси бог), боже сохрани, господи благослови, пошел к черту, черт возьми, черт побери, слава богу** და სხვ.

აღნიშნულ შორისდებულთა მნიშვნელობა უფრო გამჭვირვალეა, მისი ამოცნობა, შორისდებულთა შემადგენელ ერთეულთა მნიშვნელობათა საფუძველზე შესაძლებელია. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ხშირად ძნელია გაავლო ზღვარი სრულად და ნაწილობრივად იდიომატიზირებულ შორისდებულებს შორის.

ყველა ზემოგანხილული ლექსიკალიზებული და იდიომატიზებული შორისდებული ამასთან ერთად გრამატიზაციის შედეგიცაა, რამაც, თავის მხრივ, აღნიშნული მეორადი შორისდებულების წარმოქმნა განაპირობა. ლექსიკალიზაცია / იდიომატიზაცია / გრამატიზაციის პროცესი საშუალებას აძლევს ენის მატარებელს:

1. შეარჩიოს ბუნებრივი და იდიომატური წინადადება გრამატიკულად მართებული პერიფრაზების მთელი წყებებიდან (რომელთაგან ბევრი ძალიან მარკირებული და ენობრივი კოლექტივისათვის მიუღებელია).

2. სპონტანური მეტყველებისას, დროითი შეზღუდვების მიუხედავად წარმოქმნას ბმული, შეუფერხებელი, გამართული დისკურსის დიდი მონაკვეთები.

დაკვირვებამ ცხადყო, რომ შორისდებული ხშირად წინადადების ლექსიკალიზებული ძირის შემადგენელი ერთეულია (წინადადების ლექსიკალიზებული ძირი არის ფრაზა ან წინადადება, რომლის გრამატიკული ფორმა და შინაარსი მთლიანად ან მეტნაკლებად ფიქსირებული):

ინგლისური მაგალითები.:

Ah, there you are / Ah well, never mind / Aha! now I understand / Oh, really? / Oh, that’s great / Oh, good / Oh, fine thanks / Oh, sure / Oh, I see / Oh, I don’t know / Oh, my fault / Oh, I’m sorry / Oh, come on / Oh, I don’t agree / Oh, how dreadful / awful / Oh, hard luck / Oh, That’s extremaly bad luck / Oh, you are so kind / Oh well, it doesn’t matter / Well, it depends... / Well,

I'm afraid... / Oh, what a shame / Well, I've got to go now / Well, we might as well start / Well, I think what we had better do is start / Well, we'll return to this topic (tomorrow / again...) / Ah, that's just what I wanted / Well, that's not bad / Well, I don't think much of that / Well, I think that's all for now / Well, I really must be going / Well, look who's here! და სხვა.

ქართული მაგალითები:

აჰ/უჰ ეს რა მითხარი! / უჰ! არაჩვეულებრივია / შესანიშნავია / აა! დაგიჭირე! / აჰ, ნეტავი... / ვაიმე, რა ვქნა, არ ვიცი. / ვაიმე, რა ვქნა, როგორ მოვიქცე, რა წყალში გადავვარდე / უი! რას ამბობ! / ააა / აჰა, გასაგებია / უი, ჰო, კინალამ დამავიწყდა / ოჰ! ეს ვინ მოსულა / ოჰ! ამას ვის ვხედავ / აბა, რა ვქნა, რით დაგეხმარო? / აბა, შენ რა გეგონა? / აბა, რა გიყო, რით დაგეხმარო? / აბა, რა გითხრა (ჩემო კარგო)? / აბა, რა ვიცი / აბა, მე საიდან უნდა ვიცოდე / აბა, მე რა შუაში ვარ / ოო, ვინ მოსულა, ვინ მოსულა / უჰ, რა კარგია / ვაიმე, რა საშინელებაა / უხ, შე საზიზღარო შენა / აბა, ერთი გაბედოს! / ეჰ, რას იზამ?! და სხვა.

რუსული მაგალითები:

Ах да, чуть не забыл / А, попался / Ай, больно / Ай, как больно / Ай, как нехорошо (вышло / получилось) / Ай да, молодец! / Ах, какая красота! / Ах, какая досада / жалость / Ах, как жаль / приятно, / Ой, как кольнуло / Ой, как ногу свело / Ох, как стыдно / Фу, какая гадость / мерзость / Фу, гадость какая / Ох уж этот дед / эти родственники / Ну, не могу / Ба! Кого я вижу / Ух, испугался / Фи, какой противный / Ой, страшно / Ой, хорошо / Ну, давай / Ну, ты даешь / Ну, ясно / понятно / Ух, как я его ненавижу! Ишь, вежливый какой! / Уф, устала / Ах, боже ты мой, что ж это такое? და სხვ.

როგორც უკვე აღინიშნა, იდიომატიზაციის პროცესი ტექსტის / დისკურსის დონეზეც გვხვდება. როგორც ზეპირმეტყველებით, ასევე წერილობითი დისკურსის ზოგიერთი ქანრი იდიომატიზაციის მაღალი ხარისხით გამოირჩევა. მაგალითად, საგაზეთო ინფორმაციული ქანრები, წერილები განსაკუთრებით, ოფიციალური და საქმიანი, ტელერადიო სპორტული კომენტარები, რელიგიური ცერემონიები, სატელეფონო საუბრები და სხვა. მთლიანად რიტუალიზებული და იდიომატიზებულია თავაზიანობის გამომხატველი სამეტყველო აქტები — მი-

სალმება-გამომშვიდობების რიტუალი, მობოდიშება, მადლობის გამოხატვა, კომპლიმენტის გაკეთება, შეთავაზება და სხვ. იდიომატიზებულია აგრეთვე სასაუბრო დისკურსში სხვადასხვა ტიპის მოსაზღვრე წყვილები. მაგ. დაძახება — პასუხი (გიორგი! — აუ!).

ენის სხვადასხვა დონეზე მყარი ფორმულების არსებობა ენაში მუდმივად მოქმედი სიჭარბის ფაქტორისა და ეკონომიის პრინციპის მოქმედების შედეგია. იდიომატიზებული დისკურსის დროს, კონტექსტუალური შეზღუდვები უფრო „მკაცრია“, ვინაიდან, როგორც დ. უზნაძე აღნიშნავს, „იმპულსური ქცევის აქტების დროს, სუბიექტი მასზე მოქმედი აქტუალური სიტუაციითაა შებოჭილი და ამ სიტუაციაში მოცემული პირობებით განსაზღვრული“. მყარი ფორმულები ენის მატარებლის გრძელვადიან მენსიერებაში არსებული საკომუნიკაციო კომპეტენციის მნიშვნელოვანი ერთეულებია.

ენის სხვადასხვა დონეზე მოქმედი იდიომატიზაციის პროცესი, იწვევს დისკურსში ფიქსირებული ფორმის პრინციპის ამოქმედებას. რაც გამონათქვამში / დისკურსში ენობრივ ერთეულთა ურთიერთგანპირობებულობას, ურთიერთგანსაზღვრულობას გულისხმობს. ამის ილუსტრირება შეიძლება შორისდებულების მაგალითზე. არაოფიციალური რეგისტრის შორისდებულებით **Hi** დაწყებული დისკურსი იმავე რეგისტრში უნდა გაგრძელდეს და დასრულდეს. **Hi**-ს მოსაზღვრე წყვილი **hi** ან **hello** შესაძლოა იყოს — მოკლე მისალმება პასუხში ჩვეულებრივ მეორდება:

- | | |
|-----------------------|---------------------------|
| A: Hello / Hi, Dave | A: Hi, Rachel |
| B: Hello / Hi, Angela | B: Hi, how are you doing? |

ცოტა უფრო გრძელი ფორმულის(ების) შერჩევას პასუხი შესაძლოა ოდნავ განსხვავებული იყოს:

- | |
|--------------------------|
| A: "Hello, how are you?" |
| B: "Morning, Ann" |

აღნიშნული ტიპის დისკურსი არაოფიციალური გამოსამშვიდობებელი ფორმულ(ებ)ით უნდა დასრულდეს — **bye / see you / so long**. რუსულ საკომუნიკაციო სისტემაში, არაოფიციალურ რეგისტრში, შორისდებულებით **привет** დაწყებული საუბარი ჩვეულებრივ სრულდება შორისდებულებით (**Ну**), **пока**, **ну, давай**. დაკვირვებამ ცხადყო, რომ ქართულში, არაოფიციალურ რეგისტრში, ზეპირმეტყველებით დისკურსში, შეხვედრისას იშვიათად მიმართავენ გამარჯობა-ს. საუბარი შემდეგნაირად იწყება — სახელი + როგორა ხარ?

ა : მანანა, როგორა ხარ?

ბ : არამიშავს, შენ როგორა ხარ? /

თავად როგორა ხარ?

მისალმების ფუნქციას, აქ ფორმულა **როგორა ხარ?** ასრულებს. აღნიშნული ტიპის დისკურსში, გამომწვიდობებისას მიმართავენ ფორმულებს აბა, ჯერჯერობით, აბა, კარგად, კარგად, აბა.

მეორე მხრივ, შორისდებული შეიძლება იყოს ნებელობითი ვერბალური ქცევის ნიმუში. ჩ. დარვინი აღნიშნავდა, რომ ადამიანები ხშირად გამიზნულად ახდენენ თავიანთი გრძნობების დემონსტრირებას. აღნიშნულის მოტივი შეიძლება დამსწრე აუდიტორიაზე ზემოქმედების მცდელობა იყოს (დარვინი, 1955). თუ საკუთარ მეტყველებას დავაკვირდებით, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ძალიან ხშირად სხვადასხვა ტიპის ფატიკურ მიმართებათა (თანაგრძნობა, ნუგეში, გამხნეება და სხვ.) გამოსახატავად, ჩვენ გამონათქვამებს შორისდებულებით ვიწყებთ: უჰ, რას ამბობ, ეს რა მითხარი! ვაიმე, საწყალი, როგორ შემეცოდა! / ეჰ, ჩემო კარგო, რას იზამ?! მოყვანილ გამონათქვამები შესაძლოა მართლაც მოულოდნელი შეტყობინებით გამოწვეული განცდის შედეგი იყოს. თუმცა ხშირად აღნიშნული გაქვავებული, რუტინიზებული ფრაზები, კომუნიკაბელობის გამოხატვას, კომუნიკანტთა დადებითი სახის შენარჩუნებას ემსახურება.

შორისდებულის უნებლიე და ნებელობითი გამოყენების ნიმუშად შეიძლება მოვიყვანოთ ორი სიტუაცია რუსული მხატვრული ფილმიდან „ბრილიანტის ხელი“. შეიძლება ითქვას, რომ სიუჟეტის კომიკურობა მიიღწევა შორისდებულის ნებელობითი და უნებლიე გამოყენების მანიპულირებით. ფილმის ერთ-ერთ მოქმედ პირს, საბჭოთა კონტრაბანდისტთა კურიერს — ლიოლიკს (მას ასახიერებს ანდრეი მირონოვი) დაავალეს საზღვარგარეთის ერთ-ერთი აღმოსავლეთის ქვეყნიდან ძვირფასი ქვების შემოტანა. კონტრაბანდისტები პაროლად შეარჩევნენ შორისდებულს „**черт побери**“ და აღნიშნული შორისდებულის შესატყვის სიტუაციას / სცენას დაგვამავენ: კურიერმა განსაზღვრულ მისამართზე არსებული აფთიაქის წინ უნდა გაითამაშოს უბედური შემთხვევის სცენა — თითქოსდა მას ფეხი დაუსხლტა, დაცემისას კი ხელი მოსტყდა. დაცემისას, მარცხით გამოწვეული გაღიზიანების გამო, მან უნდა შესძახოს „**Черт побери!**“. ეს იქნება ნიშანი აფთიაქის მფლობელებისათვის (ასევე კონტრაბანდისტებისათვის). ისინი „დაზარალებულს“ პირველად დახმარებას აღმოუჩენენ; საკრუ-

ზო გემზე დაბრუნებულს მას ხელი თაბაშირში ექნება. თაბაშირში კი ძვირფასი თვლები იქნება მოთავსებული.

ფილმის მთავარი გმირი — გორბუნკოვი (მას ასახიერებს იური ნიკულინი), კონტრაბანდისტთა კურიერის თანამგზავრია საკრუიზო გემზე. ძველ ქალაქში სეირნობისას იგი შემთხვევით აღნიშნული აფთიაქის წინ აღმოჩნდება, საზამთროს ქერქზე ფეხი დაუსხლტება და დავარდნისას ხელს მოიტეხს, სიმწრისაგან შესძახებს „**черт побери**“, რაც მოლოდინში მყოფ კონტრაბანდისტებს შეცდომაში შეიყვანს. გონებაწასულ გორბუნკოვს ისინი ნამდვილად მოტეხილ ხელს ძვირფასი თვლებით სავსე თაბაშირში ჩაუსვამენ.

ორი სიტუაციიდან პირველი წინასწარ დაგვემილი სცენაა — იგი ენის მატარებელთა საკომუნიკაციო კომპეტენციის საფუძველზე შეიქმნება, ანუ იგი ეფუძნება ენის მატარებელთა ცოდნას, როგორ და რა ვითარებაში, რა კონტექსტში გამოიყენება შორისდებული „**черт побери!**“, მეორე სცენა კი შორისდებულის უნებლიე გამოყენების ნიმუშია. თუმცა ისიც უნდა აღნიშნოს, რომ ორივე სცენა სცენარის ნაწილია და სცენარისტის საკომუნიკაციო კომპეტენციაზე დაყრდნობით შეიქმნა.

ამგვარად, შორისდებული მეორე სასიგნალო სისტემის რეალიზაციის შედეგია. იგი სოციალურად გაცნობიერებული ენობრივი ნიშანია, სამყაროში და საკუთარ თავში ინდივიდის ორიენტირების მნიშვნელოვანი საშუალებაა.

შორისდებული შესაძლოა იყოს როგორც ნებელობითი, ასევე უნებლიე (იმპულსური) ქცევის ნიმუში, ორივე ქცევის ტიპი ცნობიერის ჩარჩოშია მოქცეული.

შორისდებული იმპულსური ვერბალური ქცევის მნიშვნელოვანი ერთეულია. იგი იმპულსურ ვერბალურ აქტთა ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლია, დისკურსში საწყისი, შუალედური ან დამაბოლოოებელი პოზიციის მქონე ელემენტი. დისკურსის მიკრომონაკვეთების ზღვარზე განლაგებული შორისდებული ახდენს იმპულსური ქცევის მომდევნო აქტების სტიმულაციას.

შორისდებული ენის სხვადასხვა დონეზე არსებული იდიომატიზაციის პროცესის ერთეულია. როგორც ლექსიკური ერთეული იგი თავად არის რუტინა. დისკურსში იგი ახდენს წინადადების ლექსიკალიზებული ძირების ან დისკურსის იდიომატიზებული მონაკვეთების სტიმულაციასა და აქტივაციას.

- გერმანოვიჩი, 1961** — Германович А., Междометия русского языка, Киев, 1966.
- დარვინი, 1955** — Darwin Ch., The expression of the emotions in man and animals, New-York: Philosophical Library, 1955.
- ვანდრიესი, 1921** — Вандриес Ж., Язык, Москва, 1937.
- კიკნაძე, 1999** — გრ. კიკნაძე, თბულებანი, III ტ., თბ., 1999.
- კოლშანსკი, 1974** — Колшанский Г. В., Паралингвистика. Москва, 1974.
- კორდერი, 1973** — Corder, S. Pit, Introducing Applied Linguistics Harmondsworth, Penguin, 1973.
- ლეონტიევი, 1969** — Леонтьев А. Н., Язык, речь, речевая деятельность, Москва, 1969.
- ლურია, 1979** — Лурия А. Р. Язык и сознание. Москва, 1979.
- პეტერსი, 1977** — Peters, A. M., Language learning strategies: does the whole equal the sum of the parts? Language 53, 1977.
- რუბინშტეინი, 1946** — Рубинштейн С. Л., Основы общей психологии. Москва, 1946.
- სმირნიცკი, 1959** — Смирницкий А. Н. Морфология английского языка, Москва, 1959.
- უზნაძე, 1977** — დ. უზნაძე, შრომები, VI ტ., თბ., 1977.
- ფილოსოფიური ლექსიკონი, 1987** — Философский словарь, Москва, "Политиздат", 1986.
- ჰაკუტა, 1974** — Hakuta K., Prefabricated patterns and the emergence of structure in second language acquisition. Language Learning 24(2): 287-97, 1974.

The Interjection as a Sample of Impulsive Verbal Behaviour

Summary

The paper focuses on the questions often posed in scholarly literature: Is the interjection an element of man's conscious or unconscious behaviour, is its use of a voluntary or involuntary type, does it belong to the first or second signalling system? Quite often interjections as elements of emotional, affective speech are opposed to the elements of "intellectual semantics".

The study has proved that apart from being symptoms of man's emotional state, interjections are also bearers of certain types of cognitive and social information in discourse. The interjection is an element of the second signalling system. It can be a sample of both voluntary and involuntary types of behaviour, both types of behaviour are within the limits of the conscious.

In the study interjections are analyzed from the standpoint of D.Uznadze's set theory. The interjection is regarded as a sample of impulsive verbal behaviour. It is thought to be one of the units in the chain of impulsive acts. As is known, much of man's verbal behaviour is of routinized and ritualized type. Apart from creative language use, the processes of lexicalization, idiomatization and grammaticalization are evidenced at various language levels - at word, sentence and discourse levels. The results of these processes are single-word routines, idioms, lexicalized sentence-stems, texts built on idiom principle. Being routines themselves interjections in many a case are elements of lexicalized sentence stems and idiomatized texts.

Having initial, medial or ultimate position in discourse, being distributed on the borders of discourse units, interjections stimulate and activate further acts of impulsive behaviour.

On the other hand, interjections can be samples of voluntary use. As Ch. Darwin puts it quite often individuals demonstrate their emotions deliberately. This can be motivated by the individual's aim to affect his/her audience. The study has proved that in the three languages interjections can serve as means for various communicative strategies..

ინზა ლიპონიძე

გამოცანის ტიპები ფოლკლორში

სპეციალურ ლიტერატურაში გამოცანის სხვადასხვა ტიპის გვერდით გვხვდება ისეთი ფორმები, რომელთა შესახებ მკვლევართა შორის განსხვავებული თვალსაზრისები არსებობს. ჟანრის კვლევის სწორი წარმართვისათვის შევეცდებით წარმოვადგინოთ გამოცანის განსაზღვრება. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ვ. ზანდუკელისა და ვ. ვ. მიტროფანოვას მოსაზრებას, რომ გამოცანის დეფინიციაში უნდა აღინიშნოს ის თვისებები, რომლებიც მას აუცილებლად ახასიათებს. ეს არის დიალოგურობა და ილუმალეობა. რაც შეეხება მეტაფორულობას, რიტმულობასა და რითმას, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ქართული და ინგლისური კუმულაციური გამოცანებისათვის (და ფოლკლორის სხვა ფორმებისთვისაც) ფრიად დამახასიათებელი თვისებებია, ისინი ყველა გამოცანას არ ახასიათებს, ამდენად, ჩვენი აზრით, მათი შეტანა დეფინიციაში არ არის სასურველი. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ **გამოცანა** მცირე ზომის დიალოგური ფორმაა, რომელიც შეიცავს ილუმალეობას და აუცილებლად მოითხოვს გამოცნობას.

სწორედ ამ მახასიათებლების მიხედვით ვეცდებით დავადგინოთ, შეიძლება თუ არა ჩათვალოს ესა თუ ის საეჭვო ფორმა გამოცანად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მკვლევართა მოსაზრებები გამოცანის ცალკეული ფორმების შესახებ განსხვავებულია. ვ.ვ.მიტროფანოვა წერს: „ისეთი გამოცანების გვერდით, რომლებიც ადვილად თავსდება ჟანრის ფარგლებში, არიან ისეთებიც, რომელთა მიკუთვნება გამოცანის ჟანრისათვის ეჭვს იწვევს. ასეთია: 1) კითხვები საგნების თვისებებზე, ხასიათზე; 2) შეკითხვა-ხუმრობები; 3) კითხვები ალფავეიტის ასოებზე; 4) გამოცანა-ამოცანები; 5) ქარაგმული ნათქვამები (მიტროფანოვა, 1978)

ა. ტეილორი ყურადღებას არ უთმობს ამგვარ გამოცანათა კითხვით ფორმას. ვ.ვ. მიტროფანოვასგან განსხვავებით, იგი არ გამოყოფს მათ როგორც „კითხვებს“. მას მოჰყავს ასეთი გამოცანა:

What does a man love more than life,
hate more than death, or mortal strife?
That which contented men desire,
the poor have, the rich require.
The miser spends, the spendthrift saves,
and all men carry to their graves?

(Nothing!). (ტეილორი, 1951)

ასეთი ტიპის გამოცანებს ა. ტეილორი პირობითად „ნამდვილ, კლასიკურ გამოცანებს“ უწოდებს, ა. კრიკმანი — „ჩვეულებრივს“, ხოლო ვ. ვ. მიტროფანოვა — უბრალოდ "გამოცანებს". ასეთია, მაგალითად, შემდეგი ქართული ხალხური გამოცანები:

ასი, ასი, ასლამაზი,
ასი კაბა მაცვია,
აბრეშუმის ქოჩორი
თავზე გადამვარცხნია

(სიმინდი);

ძირითადად ასეთივე დაყოფას, მაგრამ მცირეოდენი განსხვავებით, გვთავაზობენ სხვა მეცნიერებიც (უ. ჰ. იანსენი, ა.ტეილორი, უ. ჰ. ბრუნვანდი, არვო კრიკმანი) (იანსენი, 1980; ტეილორი, 1951; ბრუნვანდი, 1992; კრიკმანი, 1995). ვ. ვ. მიტროფანოვა მის მიერ შემუშავებული დაყოფის პირველ ტიპს — კითხვები საგნების თვისებებზე, ხასიათზე — გამოცანად მიიჩნევს. იგი აღნიშნავს, რომ ეს გამოცანები უმეტესად ბუნების მოვლენებს ეხება. საილუსტრაციოდ მას მოჰყავს კითხვები ვარსკვლავების, მზის შესახებ:

Что чаще леса?

Что без учета?

Что без огня горит?

Чего на свете нет быстрее?

(მიტროფანოვა, 1978)

ასეთი ფორმები პირდაპირ არ ასახელებენ საგანს, ისინი მოითხოვენ პასუხს, რომელიც უფრო ხშირად რითმულად უკავშირდება გამოცანის კითხვით ნაწილს და საგნის თვისების მითითებით გვაძლევს გამოცნობის საშუალებას (მიტროფანოვა, 1978) ამ ტიპის გამოცანებს ა. ტეილორი ე. წ. კლასიკური გამოცანების ჯგუფში აერთიანებს და პირობითად „ნამდვილ გამოცანებს“ (ტრუე რიდლეს) უწოდებს. ასეთ გამოცანებს მკვლევარი შემდეგნაირად განმარტავს: ისინი

შეიცავენ შედარებას გამოსაცნობ ობიექტსა და რაღაც სხვას შორის, რომელიც კითხვაშია აღწერილი. ა.ტილორი ამ „ნამდვილ გამოცანებში“ გამოყოფს ისეთი ტიპის გამოცანებს, როგორცაა ე. წ. „კისრის გამოცანები“ (neck-riddles), რომლებსაც ე. წ. იანსენი მოიხსენიებს როგორც ამბავ-გამოცანებს (story riddles). ასეთია გამოცანა, რომელშიც გადმოცემულია სიკვდილმისჯილი პატიმრის ამბავი, რომელმაც თავის გადასარჩენად ისეთი გამოცანა უნდა თქვას, რომ იგი ვერავინ გამოიცნოს:

**Corn at corn in a high oak tree,
if you guess this riddle, you kin hang me!**

(ბრუნვანდი, 1992).

ეს გამოცანა ეხება სამოქალაქო ომში კონფედერაციის მომხრეთა ტყვეს, რომელსაც ერქვა ქორნი. იგი ხეზე იჯდა და მოხარულ სიმინდს მიირთმევდა, როცა დაიჭირეს. ცხადია, გამოცანა ვერ გამოიცნეს და ჯარისკაცმაც სიცოცხლე შეინარჩუნა.

როგორც ე. წ. ბრუნვანდი და უ. ჰ. იანსენი არაერთგზის აღნიშნავდნენ, ასეთი გამოცანების გამოცნობას აუცილებლად სჭირდება პრესუპოზიციური ცოდნა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ამას ვეთანხმებით, თუმცა გვსურს აღვნიშნოთ, რომ, ჩვენი აზრით, გამოცანა-ამბების ანუ, როგორც მათ ა. ტილორი უწოდებს, „კისრის გამოცანების“ სპეციფიკა ამაში არ მდგომარეობს. გარკვეული პრესუპოზიციური ცოდნა სჭირდება ნებისმიერ გამოცანას — ისევე, როგორც ნებისმიერ გამონათქვამს — იმისათვის, „რათა სწორად და ეფექტურად ჩატარდეს კონკრეტული ილოკუციური აქტი მოცემული გამონათქვამის წარმოთქმის დროს“ (შენგელაია, 67).

ჩვენი აზრით, განსხვავება ის არის, რომელ სფეროს ეკუთვნის ეს ცოდნა. არის ეს სამყაროსა და მისი მოვლენების ცოდნა, თუ რომელიც კონკრეტული კონტექსტური ცოდნა. ასეთი კონტექსტები ძალიან მრავალფეროვანია. არსებობს კულტურული, პოლიტიკური, სოციალური, კონკრეტულ-ინდივიდუალური, ოჯახური კონტექსტები და ა. შ. ზემოთ მოყვანილი გამოცანა-ამბებიდან პირველი — პატიმრის ამბავი — პოლიტიკურ-ისტორიულ კონტექსტს გულისხმობს, მეორე — კონკრეტულ-ინდივიდუალურია.

საინტერესოა თვით ჟანრის სახელწოდებაც — „გამოცანა-ამბავი“: როგორ უნდა გავიგოთ ამ შემთხვევაში სიტყვა „ამბავი“? იგულისხმება ერთეპიზოდური უბრალო ამბავი, რომელსაც არ გააჩნია სიუჟეტი,

თუ — მოთხრობა ტრადიციული გაგებით? ამ საკითხის გადაწყვეტა ეხმაურება ჩვენს მსჯელობას იმის თაობაზე, არის თუ არა ანეკდოტი მოკლე მოთხრობა. ცხადია, მოყვანილ შემთხვევაში სწორედ ერთეპიზოდური უბრალო სიტუაცია იგულისხმება (დაიჭირეს ჯარისკაცი), და არა მოთხრობა ტრადიციული გაგებით. ერთი შეხედვით, იქმნება მოთხრობის ილუზია, რადგან ავტორი გარკვეული სიუჟეტის სახით გადმოგვცემს კონტექსტურ პრესუპოზიციურ ცოდნას; თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ ფორმა არ შეიცავს ასეთ ცოდნას, ამიტომ შეუძლებელია იგი განისაზღვროს როგორც მოთხრობა. ჩვენი აზრით, გამოცანა-ამბავს გარდამავალი ჟანრის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს, რაზეც ქვემოთ ვიმსჯელებთ.

აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ ქართულ და რუსულ ფოლკლორში არ მოიპოვება ამერიკელის შესატყვისი გამოცანა-ამბის ტიპის ფორმები.

მეორე ტიპი, რომელსაც ა. ტილორი და უ. ჰ. იანსენი „ნამდვილი გამოცანების“ ჯგუფში აერთიანებენ, არის უცენზურო გამოცანები. ამ ფორმის აღწერით ნაწილში წარმოდგენილია რაღაც უწმაწური — ჩვეულებრივ, სექსუალური, მაგრამ სწორი პასუხი საკმაოდ ბანალურია. მაგალითად:

What is a four letter word ending in K that means the same as intercourse? — talk.

(იანსენი, 1980)

ვ. ჩერნელევიც ხალხურ გამოცანებში გამოყოფს ეროტიკული (სექსუალური ხასიათის) ტექსტებს და აღნიშნავს, რომ ისინი საშინლად იდევენბოდნენ საბჭოთა ცენზურის პერიოდში. ავტორი მათ „ცული გამოცანების“ სახელით იხსენიებს (ჩერნელევი, 1998) სხვა მკვლევრები (ა. ტილორი, უ. ჰ. იანსენი) მიიჩნევენ, რომ ასეთ გამოცანებს მუდამ მათი აღწერითი ნაწილის ხასიათისათვის მოულოდნელი, „წესიერი“ პასუხი აქვთ. მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს:

Шумит, хохочет, на девуку хочет

(Сарафан) (ჩერნელევი, 1998)

ზემოთ მოყვანილი ვერბალური გამოცანების გარდა, რომლებსაც ა.ტილორი, როგორც ითქვა, „ნამდვილ გამოცანებს“ უწოდებს, სხვა ავტორები (ე.წ. ბრუნვანი, ა.კრიკმანი, უ.ჰ.იანსენი) ყურადღებას ამახვილებენ ისეთ ფორმებზე, რომლებიც სიტყვების გარდა გრაფიკული სახით წარმოდგენას მოითხოვენ და მათ პირობითად არაზეპირი (non-oral) გამოცანების ჯგუფში აერთიანებენ (ბრუნვანდი, 1992).


მაგრამ ვიდრე უშუალოდ ამ ფორმებზე ვიმსჯელებდეთ, რამდენიმე სიტყვით შევეხებით ტერმინ „ნამდვილ გამოცანას“.

გამოცანის მიმართ გამოყენებული სიტყვა „ნამდვილი“ გარკვეულ ეჭვს იწვევს. ხომ არ მიაჩნია ა. ტეილორს, რომ ყველა დანარჩენი ტიპის ფორმა გამოცანას არ წარმოადგენს? არა, ეს ასე არ არის. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ტერმინი ტრუე რიდლდე ა. ტეილორმა თავდაპირველად ე. წ. კლასიკური ტიპის გამოცანების მიმართ შემოიღო, რათა გამოეყო ისინი ამავე ჟანრის ისეთი სხვა ტიპებისაგან, რომლებიც აკმაყოფილებენ გამოცანის ჟანრის ყველა მოთხოვნას (არიან დიალოგური, შეიცავენ ილუმალებას, უფრო ხშირად მეტაფორული ხასიათი და რითმული აგებულება აქვთ), და არა გამოცანის ჟანრის განსახვავებლად სხვა ჟანრებისაგან. თუმცა მოგვიანებით ამ ტერმინის საზღვრები გაფართოვდა. ამჟამად მას მიაკუთვნებენ სხვა ფორმებსაც, როგორცაა, მაგალითად, პანტომიმური გამოცანები, რომლებშიც მთქმელი კითხულობს: „რა არის ეს?“ და ამას გარკვეული შესტიკულაცია მოჰყვება, ხოლო პასუხი ისევ ვერბალურია (იანსენი, 1980)

უ. ჰ. იანსენი ტერმინ „ნამდვილ გამოცანას“ იყენებს იმ ჯგუფისათვის, რომელსაც ა. ტეილორის ტერმინოლოგიით „არაზეპირი (non-oral) გამოცანები“ ეწოდება, და მათ „ვიზუალურ გამოცანებადაც“ მოიხსენიებს. ამ შემთხვევაში მთქმელი სვამს შეკითხვას: „რა არის ეს?“ და სწრაფად მოხაზავს ფურცელზე რამდენიმე ხაზს, რომლებიც გარკვეულ ანალოგიებსა და ორაზროვნებას წარმოშობენ. პასუხი აქაც სიტყვიერია.

ასეთ არაზეპირ გამოცანათა საილუსტრაციოდ მოგვყავს ხალხური გამოცანის მაგალითი უ. ჰ. ბრუნვანდის მიხედვით:

What is this?



პასუხი ასეთია: **A man practicing his trombone in a telephone booth** („კაცი უკრავს ტრომბონზე ტელეფონის ჯიხურში“);

როგორც ვხედავთ, ამგვარ არავერბალურ გამოცანებში ანალოგია აღსაქმელ და მოცემულ საგანს შორის ემყარება აღსაქმელი საგნის გარეგნული ნიშნის ნახატივად გამოცემას.


საკითხავია, შეიძლება თუ არა ამ ტიპის არავერბალური ფორმები ჩაითვალოს გამოცანებად? ცხადია, შეიძლება, რადგან მათ აქვთ გამოცანისათვის დამახასიათებელი მთავარი ნიშნები: არსებობს კითხვა, რომელსაც უნდა გავცეს პასუხი, და იგი აშუცილებლად მოითხოვს არა მარტო პასუხის გაცემას, არამედ გამოცნობასაც, ე.ი. შეიცავს ილუმალებას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა ამ გამოცანათა აღწერითი ნაწილი არავერბალურია, მათ თან ერთვის სიტყვიერად გამოხატული კითხვა — „რა არის ეს?“ და პასუხიც ყოველთვის სიტყვიერია. იგივე შეიძლება ითქვას გრაფიკულ და ორთოგრაფიულ გამოცანებზე. ასეთია, მაგალითად:

What is this?

|R|E|A|D|I|N|G|

(Reading between the lines);

What is this?



(Peace nut).

ტერმინ „ნამდვილ გამოცანას“ (ფართო გაგებით) უ. ჰ. იანსენმა დაუპირისპირა ტერმინი პსელდო-რიდლდე „ვითომ-გამოცანები“. ამ

კლასს იგი მიაკუთვნებს ისეთ ფორმებს, როგორც არის: ტრადიციული ხალხური კითხვები, არითმეტიკული ამოცანები, საზრიანი კითხვები. „მათზე პასუხის გაცემა წარმოუდგენელია სპეციალური ცოდნის გარეშე“ — აღნიშნავს მიტროფანოვა (მიტროფანოვა, 1978).

განსხვავებულია მკვლევართა მოსაზრებები „საზრიანი კითხვების“ შესახებ. არვო კრიკმანი მათ გამოცანის ქვეყანად მიიჩნევს (კრიკმანი, 1995).

How can there be a cherry without a stone?

პასუხი ასეთია:

A cherry when it`s blooming, it has no stone.

ვ. ვ. მიტროფანოვა მსგავს ფორმებს „სახუმარო კითხვებს“ უწოდებს და მათ გამოცანებად არ მიიჩნევს, თუმცა არ უარყოფს მათ კავშირს გამოცანის ჟანრთან. მათ არსს იგი იმაში ხედავს, რომ დასცინონ იმ ადამიანის მოუსაზრებლობას, რომელმაც ვერ აღიქვა ხუმრობა და ცდილობს მოძებნოს „სერიოზული“ პასუხი. იმისათვის, რომ გადავწყვიტოთ, განეკუთვნება „სახუმარო კითხვები“ გამოცანის ჟანრს თუ არა, უნდა დავაზუსტოთ, რას გულისხმობს ვ. ვ. მიტროფანოვა, როდესაც საუბრობს ამ ფორმათა კავშირზე გამოცანებთან. რა აქვთ საერთო გამოცანას (ტრადიციული გაგებით) და „სახუმარო კითხვას?“ ჩვენი აზრით, მათი საერთო ნიშანია ის, რომ „სახუმარო კითხვებს“ უნდა მოვუძებნოთ პასუხი, რომელიც მოითხოვს ამოცნობას, ეს კი უკვე გამოცანის უპირველესი და აუცილებელი მახასიათებელია. შეიძლება ითქვას, რომ ის, რასაც „სახუმარო“ (ან „საზრიანი“) კითხვებს უწოდებენ, გამოცანებია. არსებითი მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ მათი გამოცნობა დაკავშირებულია ხუმრობასთან; ეს ხელს არ უშლის გამოცანის ჟანრისადმი მათ მიკუთვნებას.

მეცნიერები სხვადასხვა მოსაზრებას გამოთქვამენ აგრეთვე იმ გამოცანათა ამოცნობის შესახებ, რომლებიც შეიცავენ „არითმეტიკული“ ან „გენეალოგიური“ ხასიათის კითხვებს. მაგალითად, როგორცაა:

Сидели семь галиц,

Я стрелял, трех убил —

Много ли осталось?

— Три, остальные улетели.

(მიტროფანოვა, 1978)

მსგავსი ფორმები ქართულ ფოლკლორშიც მოგვეპოვება. მაგალითად:

მქონდა რვაჩაფიანი ღვინო.

გადავიღე რვაჩაფიანში, მეორეში,

შემდეგ გადავიღე ნახევარი ოთხიანში,

ესენი სულ ყველა პირველ რვიანში ჩავასხი.

მეორე ნახევარი — მეორე ოთხიანში.

მეორე ოთხიანი გადავიღე ორიანში და

ესენი სულ ყველა პირველ რვიანში ჩავასხი.

ღვინომ მოიკლო რვა ბოთლი. რატომ?

(*მშრალმა ჭურჭელმა შეიშრო*) (ხალხური სიბრძნე, 1965)

ასეთ ფორმებს ფ. ზანდუკელი თავსატეხებს უწოდებს და იქვე აღნიშნავს, რომ „გამოცანათა კლასიკური ფორმის ნიმუშთა გვერდით მომძლავრდა ახალი სახის გამოცანები, რომელთათვისაც ნიშანდობლივია შემდეგი შტრიხი: გამოცანის შინაარსი არა უბრალოდ უცნობის ამოცნობას მოითხოვს, არამედ მოცემული წინასწარი ფაქტების გაანალიზება-შეპირისპირების საფუძველზე კვლევითი ხასიათის დასკვნას“ (ზანდუკელი, 1985).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოცანა-ამოცანებს განეკუთვნება „გენეალოგიური“ ხასიათის ან, როგორც მათ ა. კრიკმანი უწოდებს, ოჯახური ურთიერთობის ამსახველი ფორმები. ასეთია, მაგალითად, ქართული ხალხური თავსატეხი:

ორი დედა, ორი შვილი, ბებია და შვილიშვილი. კითხვა: — რამდენია? პასუხი — ამდენია

(*სამი: ბებია, შვილი, შვილიშვილი*)

მსგავს ფორმებს გულისხმობს ვ. ვ. მიტროფანოვა, როდესაც ამბობს, რომ ზოგჯერ ერთი და იგივე ფორმა შეიძლება მივაკუთვნოთ როგორც გამოცანას, ისე მის ქვეყანას — ამოცანას. ალბათ ამიტომაც უწოდებს იგი ასეთ ფორმებს გამოცანა-ამოცანებს. მაგალითად, იგი განიხილავს ასეთ ფორმას:

Шли одной дорогой: муж с женою, брат с сестрою, шурин с зятем.

Спрашивается, сколько их всего было?

(Жена с мужем, да женин брат).

(მიტროფანოვა, 1978)

რა არის ეს? გამოცანა ნათესავებზე, თუ ამოცანა? — ორივე. ვიდრე დავითვლით, უნდა გავერკვეთ ნათესაურ კავშირებსა და ტერმინებს.

ჩვენი აზრით, ეს კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ ამა თუ იმ

ჟანრის სხვადასხვა ფორმას შორის არ არსებობს ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი საზღვარი. როგორც ვ. ვ. მიტროფანოვა აღნიშნავს, ერთი ფორმის მეორეში გადასვლა იმდენად ბუნებრივად ხდება, რომ ეს შეუძლებელია.

ვ. ვ. მიტროფანოვამ თავისი მსჯელობის დასაწყისში საეჭვო ფორმების ჩამოთვლისას ცალკე გამოყო კითხვები ანბანის ასოების შესახებ. ისინი კითხვა-ხუმრობების მსგავსად სიტყვათა თამაშზეა დაფუძნებული, რაც კომიკურ ეფექტს ქმნის. მაგალითად:

Что находится посредине Киева?—E (მიტროფანოვა, 1978).

მსგავს ფორმებს ამერიკულ ფოლკლორშიც ვპოულობთ, მაგალითად:

What has four eyes and cannot see? (Mississippi) (იანსენი, 1980).

კითხვებს ანბანის ასოებზე, ისევე როგორც ზემოთ მოყვანილ სხვა ფორმებს, აქვთ გამოცანის აუცილებელი თვისებები (დილოგურობა, ილუმალეობა, გამოცნობის აუცილებლობა) და ამიტომ მათი მიკუთვნება გამოცანის ჟანრისადმი, ჩვენი აზრით, ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

სრულიად განსხვავებული ფორმაა ე. წ. ქარაგმული საუბარი. გამოცანაზე მსჯელობისას ვ. ვ. მიტროფანოვა იმდენად ეხება მას, რამდენადაც იგი, გამოცანის მსგავსად, ქარაგმას შეიცავს, თუმცა ეს ფორმა მნიშვნელოვნად განსხვავდება გამოცანისაგან. გამოცანა აუცილებლად მოითხოვს გამოცნობას, პასუხს, რის გარეშეც იგი არ არსებობს, ხოლო ქარაგმული საუბარი იმისთვის გამოიყენება, რომ არ წარმოვთქვათ აკრძალული სიტყვები. მას ადამიანები ჩვეულებრივ იყენებდნენ, რომ დაემაღლათ რაღაც ინფორმაცია მტრისათვის, დემონებისათვის და ა.შ. მისი შემადგენელი ელემენტები უნდა იცოდნენ მხოლოდ თანამოსაუბრეებმა. გამოცანისა და ქარაგმული საუბრის კავშირს მეცნიერები იმაში ხედავენ, რომ გამოცანა მოწოდებულია განავითაროს ქარაგმული ენის გამოყენების უნარი. ვ. ვ. მიტროფანოვა ვარაუდობს, რომ ხანგრძლივმა თანაარსებობამ, ხატოვანი სახის სიახლოვემ, ორივე ჟანრის ქარაგმულმა ხასიათმა განაპირობა ის, რომ დღეს გამოცანების რეპერტუარში გვხვდება ქარაგმული ნათქვამის ცალკეული ელემენტები (მიტროფანოვა, 1978). მაშასადამე, ქარაგმული საუბარი შეიძლება ახასიათებდეს (და, უმეტეს შემთხვევაში, ეს ასეა კიდევ) გამოცანას, მაგრამ თვითონ ასეთი გამონათქვამები არ შეიძლება მივაკუთვნოთ გამოცანის ჟანრს.

ჟ. კ. ბრუნვანდი გვთავაზობს კიდევ ერთი ტიპის „ტრადიციულ

კითხვებს“, რომლებსაც იგი გამოცანებად მოიხსენიებს. ეს არის ე. წ. „გამოსაჭერი კითხვები“, რომლებზე პასუხის მოძებნა სრულებით არ არის საჭირო. ასეთია, მაგალითად, გამონათქვამი: „Do you know what virgins eat for breakfast?“ თუ ვინმე უპასუხებს: „No, what?“ ეს დაცინვასა და მოპასუხის შერცხვენას გამოიწვევს. ასეთ კითხვებს სხვაგვარად „სომხურ გამოცანებს“ ან „სახუმარო კითხვებს“ უწოდებენ.

პალინდრომი, რომელსაც წერილობითი სახე აქვს და დილოგურობა არ ახასიათებს, არ შეიცავს რაიმე ილუმალს, გამოსაცნობს. მაშასადამე, იგი არც არის გამოცანა.

ჟ. კ. ბრუნვანდი გამოცანის ჟანრში აერთიანებს აგრეთვე ენის გასატყეხებსა და მნემონურ საშუალებებს, რომლებიც ჩვენ გამოცანებად არ მიგვაჩნია.

ლიტერატურა

ბრუნვანდი, 1992 — Brunvand J.H., *The Study of American Folklore New-York*, 1992.

ზანდუკელი 1985 — ზანდუკელი ფ., „მხატვრული ოსტატობის საკითხები ქართულ ფოლკლორში“. „ნაკადული“, თ., 1985.

ტელიორი, 1951 — Taylor A., *English Riddles From Oral Tradition*; Berkley and Los Angeles University of California Press, 1951.

იანსენი, 1980 — Jansen W. Hugh. *Riddles: "Do-it yourself oracles"* in: "American Folklore", by Tristram Coffin, Wasington Press, Washington, 1980.

კრიკმანი, 1995 — Krikman A., *The Scratchy-Patchy "Kommunaar" Shoe: Riddles in Current School Tradition*. Department of Folkloristics of the Estonian Literature Museum. Tartu, 1995. Estonia <http://www.folklore.ee/rl/pubte/ee/bif/bif2/arvo>.

მიტროფანოვა, 1978 — Митрофанова В.В., *Русские народные загадки*, «Наука», Ленинград, 1978

ჩერნელევი, 1998 — Чернелев В., *Бытовые пословицы*, в: "Русские паремии 7777". Автор и сост. В.Чернелев. Изд.-во "Paragon", Кишинев, 1998

ხალხური სიბრძნე, 1965 — ხალხური სიბრძნე (ხუთ ტომად), ტ. V. „ნაკადული“, თბ., 1965.

INGA DIAKONIDZE

Types of Riddles in Folklore

Summary

Genre-specific, differentiating features of riddles are: dialogue principle and mystery that is to be solved. Hence the following forms should be included into the given genre: 1. the so-called classical riddle; 2. "a clever question"; 3. scabrous riddles; 4. graphic riddles; 5. arithmetic and genealogical riddles; 6. riddles based on the letters of alphabet. Palindromes, tongue twisters and mnemonic means have not been considered to be riddles.

კატარინე თოფურია

მთარგმნელობითი სტრატეგიის დეტალური ანალიზი

(ტექსტის ფუნქციონალური ტიპოლოგია)

შეტყობინების სუბიექტის კომუნიკაციური ინტენცია ის ფაქტორია, რომელიც განაპირობებს ამა თუ იმ პრაგმატული მიზანმიმართების მქონე ტექსტის წარმოქმნას, რომელიც შეტყობინების ენობრივი განსხვავებისათვის საჭირო ფორმათა სელექციის რეზულტატია. ამდენად, თარგმანის პრაგმატიკის საკითხთა კვლევა, როგორც ამას მოწმობს არაერთი სპეციალური გამოკვლევა, უშუალოდ უკავშირდება ტექსტთა ფუნქციონალური ტიპოლოგიის პრობლემას და ყოველი ფუნქციური ტიპისათვის ნორმატიულ ენობრივ მახასიათებლებზე დაკვირვებას. არანაკლებ მნიშვნელოვანია პრაგმატიკისათვის ჯ. ოსტინისა და ჯ. სერლის და მათი მიმდევრების მიერ დამუშავებული სამეტყველო აქტთა თეორია (თუმცა თავად ავტორები არ იყენებენ ტერმინს „პრაგმატიკა“), რამდენადაც სამეტყველო აქტები შეპირისპირებულ ენათა წყვილებში, მიუხედავად ანალოგიური პრაგმატული მიზანმიმართებისა, უმეტეს შემთხვევაში, განსხვავებულია ენობრივი გაფორმების თვალსაზრისით. ამ სამეტყველო აქტთა კატეგორიაში შედის გამონათქვამთა ისეთი სახეობანი, როგორცაა: ბრძანება, თხოვნა, მოთხოვნა, ნებართვის მიცემა, დაპირება, დათანხმება, შედაგება, რჩევა, მუქარა და ასევე ქცევის ეტიკეტთან დაკავშირებული რიტუალური ფორმულები, ყოველივე ის, რასაც სხვადასხვა ენობრივი კოლექტივები იყენებენ, განსხვავებული ეთნოფსიქოლოგიური და სოციალური ფონის გამო, შეუძლებელია არ ავლენდეს ენობრივი გამოხატვის არასტანდარტულ ფორმებს.

ტექსტთა ტიპოლოგიის სქემის შემუშავება სამეტყველო ურთიერთობებში ენის განსხვავებული ფუნქციონირების მიხედვით პირველად სცადა ფსიქოლოგმა კ. ბიულერმა, რომელმაც თავის სქემას საფუძვლად დაუდო სამეტყველო კონტაქტში მონაწილე სამი კომპონენტის იდეა. ესენია: ორი კომუნიკანტი (მოლაპარაკე და მსმენელი)

და გადასაცემი შეტყობინება. ამ კომპონენტებს უკავშირებს კ. ბიულერი ენის სამ ძირითად ფუნქციას, რომლებიც თავს იჩენს ნებისმიერ სამეტყველო კონტაქტში: პრეზენტაცია, ექსპრესია, აპელაცია. პრეზენტაციის ფუნქცია, ავტორის აზრით, განსაკუთრებით თვალსაჩინოა იმ შემთხვევაში, როცა ენა გამოყენებულია „ინფორმაციის გადმოსაცემად“ (იგულისხმება ის, რასაც შემდგომ „დეტონაციური“, „შინაარსობრივი“ ან „კოგნიტური“ ინფორმაციის ტერმინებით იხსენიებენ სპეციალურ ლიტერატურაში); მეორე — ექსპრესიულ ფუნქციაში — ნიშანდობლივია კომუნიკაციის სუბიექტის ემოციათა ასახვა, ხოლო მესამე-აპელაციურ ფუნქციაში — იგულისხმება მიზანმიმართება კომუნიკანტზე, მისი სათანადო რეაქციის გამოსაწვევად.

კ. ბიულერის ასეთი დიფერენციაცია არასაკმარისი გამოდგა კომუნიკაციის აქტში ენის მრავალგვარი ფუნქციონირების აღწერისათვის. აღნიშნულ ტიპოლოგიას შემდგომ დაემატა ი. მუკარჟოვსკის ახალი სქემა, რომელშიც აისახა კიდევ ერთი — პოეტური ფუნქცია. ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელია არა იმდენად გამოსახატავი აზრის, რამდენადაც ამ აზრის გამომხატველ ნიშანთა აქცენტირება.

ტექსტთა ტიპოლოგიის შემდგომი განვითარება მომდინარეობს რ. იაკობსონისაგან. იგი თვლის, რომ სამეტყველო ურთიერთობის განხორციელებისათვის ზემოაღნიშნულ ოთხ ფუნქციას უნდა დაემატოს ასევე „კოდის“ ცნება, რადგან საჭიროა იმ სემიოლოგიური სისტემის გათვალისწინებაც, რომლის გარეშე განუხორციელებელია სამეტყველო ურთიერთობა და რომ ამავე თვალსაზრისით საჭიროა ასევე „კონტაქტის“ ცნების შემოტანაც ამ სისტემაში, რადგან მოსაუბრეთა შორის კონტაქტის დამყარების გარეშეც წარმოუდგენელია სამეტყველო ურთიერთობის დამყარება. ყოველივე ამის გათვალისწინებით რ. იაკობსონი გამოყოფს ასეთ ფუნქციებს: 1. რეფერატული (შემდგომი გამოყენებისას — „რეფერენტული“), რომელიც მიმართულია საუბრის საგნის ასახვაზე, 2. ექსპრესიული ფუნქცია, რომელიც გამოხატავს მოსაუბრის ექსპრესიას, მის პირად დამოკიდებულებას საუბრის საგანთან, 3. კონოტიური ფუნქცია, რომელიც გულისხმობს პირდაპირ მიმართვას მოსაუბრისადმი, ნებელობით მოწოდებას რაიმე მოქმედებისაკენ, 4. ფატიკური ფუნქცია — ანუ მოსაუბრესთან კონტაქტის დამყარებაზე ან კონტაქტის უწყვეტელობაზე მინიშნება, მისი ყურადღების მიზიდვა, 5. მეტალინგვისტური ფუნქცია, რომელიც კვლავ მიზანმიმართულია მოსაუბრეზე და გამოიხატება შეტყობინე-

ბის ისეთ ორგანიზაციაში, რომელიც უკეთ იქნება მისადაგებელი კომუნიკანტის აღქმით შესაძლებლობებთან, 6. პოეტური ფუნქცია, მიზანმიმართული შეტყობინების ფორმაზე, მის ჟანრულ-ნორმატიულ მახასიათებლებზე.

ვ. ვინოგრადოვის შეხედულება ენის ფუნქციური გამოყენებაზე აისახება იმ პრინციპში, რომლითაც მან გამოიჭნა ერთმანეთისაგან ე.წ. ფუნქციური სტილები. ეს არის სამი ძირითადი ფუნქცია: 1. სამეტყველო ურთიერთობა, ანუ ყოველდღიური ყოფითი სამეტყველო კონტაქტი ადამიანებს შორის, 2. შეტყობინება, 3. ზემოქმედება. როგორც ვხედავთ ვ. ვინოგრადოვის „ზემოქმედებით ფუნქციაში“ გაერთიანებულია რ. იაკობსონის კლასიფიკაციაში ასახული მოსაუბრეზე მიზანმიმართული კონატიური, ექსპრესიული და პოეტური ფუნქციები. ამ პრინციპით იგი სამ ძირითად ფუნქციურ სტილს გამოყოფს: 1. ყოველდღიურ სასაუბროს, 2. საქმიან დოკუმენტურს, 3. ბელეტრისტულ — პუბლიცისტურს.

თარგმანმცოდნეობაშიც ცნობილია თარგმანისათვის რელევანტურ ტექსტთა ტიპოლოგიის რამდენიმე სახეობა. შეგვირდებით მათგან ძირითად ვარიანტებზე.

ტრადიციულად მიღებული შეხედულების თანახმად, განსხვავება ინფორმაციული (არამხატვრული) ტექსტისა და მხატვრული ტექსტის თარგმანის ნორმათა შორის არის ის, რომ არამხატვრულ თარგმანში ენობრივ ფორმათა აქტივიზაცია პირობადებულია საწყისი ტექსტის ინფორმაციის ინვარიანტულობის, მისი ზუსტი განმეორების საჭიროებით. მხატვრულ თარგმანში კი ენობრივ ფორმათა სელექციის პრინციპი არა მარტო სიგნიფიკატური მნიშვნელობის შენარჩუნებაშია, არამედ მას ეკისრება ტექსტის მხატვრული ღირებულების, მისი ესთეტიკური ინფორმაციის გადაცემა. ეს კი მთარგმნელისაგან მეტ შემოქმედებით ძალისხმევას და სამწერლო ნიჭსაც მოითხოვს.

ენის ფუნქციონირების მიხედვით თარგმანის ჟანრულ სახეობათა გამოყოფის მართლზომიერება, ერთი მხრივ, ეჭვს არ იწვევს, მაგრამ, მეორე მხრივ, ისიც ცხადია, რომ ასეთი გამარტივებული სქემა საკმარისი არ არის, რამდენადაც ორივე სახეობაში, როგორც მხატვრულში, ასევე არამხატვრულში, შესაძლოა მრავლად შეგვხვდეს ისეთი ტექსტები, რომელთა თარგმანს შეუძლებელია საფუძვლად დაედოს მარტოდენ ჟანრული ნორმატივები. გაუმართლებელია, მაგალითად, ინფორმაციული ტექსტების კატეგორიაში გაერთიანებული სამეცნიერ-

რო ლიტერატურის, დოკუმენტური ტექსტების ან, თუნდაც, საქონლის სპეციფიკაციის ამსახველი ან ფილოსოფიური ტრაქტატების ტექსტთა ერთი და იმავე ნორმებით თარგმნა თუნდაც იმიტომ, რომ პირველს — იურიდიულ დოკუმენტებს, ახასიათებს არა მარტო სტანდარტიზებული სტრუქტურული გაფორმება, არამედ გრაფიკულიც. ისიც ცხადია, რომ მხატვრულ ტექსტშიც ზოგად კანონზომიერებებთან ერთად მოქმედებს მრავალგვარი განსხვავებული ფაქტორიც, რაც განპირობებულია არა მარტო ჟანრის სპეციფიკით, არამედ მწერლის ინდივიდუალური ხელწერითაც. ამიტომ, შესაძლოა, მართალიცაა ვ. ნ. კომისაროვი, როცა პრინციპულად წინააღმდეგია თარგმანთან მიმართებაში ტექსტთა სხვადასხვა ფუნქციურ სტილებად დაყოფისა და მიაჩნია, რომ ეს იწვევს საკვლევი ობიექტის გაუმართლებელ დანაწევრებას და გაზვიადებულ ყურადღებას სხვადასხვა ტიპის ტექსტთა თარგმნის ტექნიკაში განსხვავებების ძიებისადმი.

ძირითადი ტენდენცია, რომელიც ახასიათებს თანამედროვე თარგმანის თეორიას, ის არის, რომ იგი ტექსტთა ფუნქციონალური ტიპოლოგიის სქემებს იღებს როგორც წინასწარ განამზადს და, თუ ტექსტთა შეპირისპირების ძირითადი მიზანია გამოავლინოს ენის ფუნქციონირების განსხვავებული შემთხვევები, თარგმანის თეორიამ ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე, საკუთრივ რაგვარია ტექსტის ფუნქციონალური დომინანტები და კონსტანტურია ისინი მთელი ტექსტის მასშტაბით, თუ მაინც გვხვდება განსხვავებულ სტილთა ინტერფერენცია.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ მოყვანილი გამარტივებული სქემის არასრულყოფილება ეჭვს არ იწვევს, მეორე მხრივ, დღემდე მაინც არ არსებობს ერთიანი კონცეფცია, რომელიც თარგმანისთვის რელევანტურ ტიპოლოგიას დაედებოდა საფუძვლად. ტექსტთა კლასიფიკაციის ზოგიერთ სქემას თარგმანთან მიმართებაში საფუძვლად უდევს თარგმანის განხორციელების მეთოდებისა და ნორმატიული მოთხოვნების განსხვავებული ხასიათი. ცალკეა გამოყოფილი ტექსტთა ისეთი ფუნქციური ტიპები, რომელთა თარგმნა მოითხოვს დარგობრივი ტერმინოლოგიის, სპეციალური ფრაზეოლოგიური კლიშეებისა და ტექსტუალური გაფორმების სტანდარტიზებულ ნორმათა ცოდნას. ასეთადაა მიჩნეული, მაგალითად, სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია (პატენტები, ტექნიკური ინსტრუქციები და სხვ.).

ძირითადი მოთხოვნა, რომელსაც უნდა პასუხობდეს ინფორმაციულ ტექსტთა თარგმანი, არის აზრობრივი სიზუსტე, დენოტაციური პლანის ინვარიანტულობა. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციულ ტექსტთა ყოველ სახესხვაობას უდავოდ გააჩნია თავისი სპეციფიკა, მათთვის საერთო თარგმნითი ნორმებია: შინაარსის უდანაკარგოდ შენარჩუნება, ინფორმაციის უტყუარობა და ენობრივი გამოხატვის ისეთ ფორმათა აქტივიზაცია, რომელებიც მხოლოდ ცალსახად შეიძლება იქნენ დეკოდირებული და არ უნდა შეიცავდნენ განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობებს.

თუ მთარგმნელის პრაგმატულ მიზანმიმართებას შეადგენს ადრესატისათვის სიგნიფიკატური მნიშვნელობის უდანაკარგო გადაცემა, მისი დამოკიდებულება ენობრივ ფორმებთან უნდა გამოიხატოს მის ორიენტაციაში თარგმანის ენის და არა წყარო ენის ენობრივ ნორმებზე, რადგან კომუნიკაციური ეფექტი მაშინაა სრულყოფილი, როცა იგი აზრისათვის უფრო მეტად გარანტირებული დამაჯერებლობის მინიჭების მიზნით, თარგმანის ადრესატს მიეწოდება მისთვის ჩვეული ენის ნორმებში.

ლიტერატურა:

ოსტინი, 1962 — Austin J., How to do things with words, Cambridge, 1962.

სერლი, 1969 — Searle J., Speech Acts; An Essay in Philosophy of Language, N.Y., 1969.

ბულერი, 1934 — Buler K., Sprachtheory, Iena, 1934.

მუკარსკოვსკი, 1977 — Mukarskovsky I., Two Studies of Poetic Designation; In: The Word and Verbal Art, New Haven and London, 1977.

იაკობსონი, 1975 — Jakobson R., Linguistics and Poetics. In: Style and Language, Cambridge, 1975.

ეგერი, 1978 — Егер Г., Коммуникативная и функциональная, эквивалентность. В кн. Вопросы теории перевода в зарубежной лингвистике. М., "Международные отношения", 1978.

რაისი, 1978 — Райс К., Классификация текстов и методы перевода. В кн. Вопросы теории перевода в зарубежной лингвистике. М., "Международные отношения", 1978.

EKATERINE TOPURIA

The Determiners of Translation Strategies

Summary

The paper deals with the type of translation for which the precision of content and invariability of the denotational aspect of the original are significant. Although each genre of informative texts has own specific aspects, some general norms of translating can be singled out:

1. Retention of the exact content information
2. Reliability of information
3. Activation of those linguistic means that prevent creating ambiguity while decoding.

ციცინო კვანტალიანი

**„შინამრეწველობის მასალების“ ენათმეცნიერული
მნიშვნელობა**

მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის შეკრებილია 1935 წელს საგანგებოდ მოწყობილი ექსპედიციის მიერ საქართველოში, აგრეთვე საინგილოში მცხოვრებ ქართველებს შორის.

ექსპედიციის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იყო ივ. ჯავახიშვილი.

შინამრეწველობის მასალები (დამკვიდრებულია ასეთი შემოკლებული სახელი ამ უნიკალური მასალისა) შეიკრიბა ერთი მეცნიერული პროგრამით და ერთროულად მთელ საქართველოში. „მასალების შეგროვების წესი“ ბ-მა ივ. ჯავახიშვილმა შეადგინა და გამოაქვეყნა 1935 წლის 10 აპრილს გაზეთ „საქართველოს შინამრეწველში“. №9(58), (საქ. შინამრეწველი, 1935).

„მასალები ასახავს ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის თავისებურებებს და მისი სამეურნეო ცხოვრებისა და ნივთიერი კულტურის სფეროების ერთგვარ კორპუსს წარმოადგენს“, — აღნიშნულია „შინამრეწველობის მასალების“ I ტომის წინასიტყვაობაში (მასალები, I, 1976, 5).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეკრებილი მასალა ჩაწერილია თითოეული დიალექტისათვის დამახასიათებელი ენობრივი თავისებურებების დაცვით. ამიტომ განსაკუთრებულია მათი ენათმეცნიერული მნიშვნელობა.

ექსპედიციის წევრებმა მასალები შეკრიბეს საქართველოს შემდეგ კუთხეებში: 1. ქიზიყი, 2. შიგნი კახეთი, 3. გარე კახეთი და ერწოთიანეთი, 4. თუშეთი, 5. ფშავი, 6. ხევსურეთი, 7. ხევი, 8. მთიულეთ-გუდამაყარი; ქართლი, რომელიც სამ სამუშაო ნაწილად იყო გაყოფილი: 9 ქართლი მტკვრის ჩრდილოეთით (ქსნისა და არაგვის ხეობები), 10. ზემო ქართლი, 11. ქართლი მტკვრის სამხრეთით, 12.

მესხეთი, 13. ჯავახეთი, 14. ზემო იმერეთი, 15. ქვემო იმერეთი, 16. ქვემო რაჭა, 17. ზემო რაჭა, 18. ლეჩხუმი, 19. ქვემო სვანეთი, 20. ზემო სამეგრელო, 21. ქვემო სამეგრელოში, 22. გურია და 23. აჭარა. გარდა ამისა, მასალები შეგროვდა საინგილოში და საკუთრივ, თბილისში (თბილისში მასალები შეკრიბა იოსებ გრიშაშვილმა).

მასალები არ შეკრებილა ქვემო ქართლში, ზემო სვანეთსა და აფხაზეთში.

1968 წელს პროფესორმა ვარლამ დონდუამ ყურნალ „მნათობ-ში“, № 9 გამოაქვეყნა ივანე ჯავახიშვილის 34 წერილი, რომლებიც ბ-ნ ივანეს მისთვის მიუწერია 1935-1940 წლებში თბილისიდან ლენინგრადში.

ივ. ჯავახიშვილი ერთ-ერთ წერილში ამ მასალების შესახებ წერს: „ვერ ავიწერთ, რა უხვი, მრავალმხრივი, საინტერესო და მნიშვნელოვანი მასალა შეგროვდა: წარსული კულტურის უკანასკნელი ანარეკლის მთელი ენციკლოპედიაა, მრავალი ახალი ტერმინი და გამონათქვამებია ჩაწერილი, ურომლისოდაც ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნა სრულებით შეუძლებელი იქნება. მოხარული ვარ, რომ ჩემი მუდმივი ნატვრა და ოცნება შესრულდა და აღბეჭდილია უკვე ის, რასაც ადამიანი მალე ვეღარ გაიგონებს და ვერც გაიგებს (მნათობი, 1968, 137).

მეორე წერილში ივანე ჯავახიშვილი წერს: „თავმოყრილია ისეთი მასალა, ურომლისოდაც მომავალში ვერც კულტურის ისტორიკოსი, ვერც ენათმეცნიერი და ვერც ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიაზე მომუშავე ვერას გააკეთებს. მოხარული ვარ, რომ ის საშვილიშვილო საქმე, რომელიც უნდა გაკეთებულიყო და რომელზედაც ყოველთვის ვოცნებობდი, ბოლოს მაინც განხორციელდა“ (მნათობი, 1968, 138).

ივ. ჯავახიშვილმა გულდასმით წაიკითხა და მოაწესრიგა ეს მასალა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა მისი გამოცემა. ვ. დონდუასადმი მიწერილ წერილში ბ-ნი ივანე წერს: „დღე და ღამე ამ ჩამოტანილი მასალების გამოსაცემად დამზადებისათვის ვმუშაობ. ისედაც საკუთარი კვლევა-ძიებით მოქანცულმა დიდი ზედმეტი ტვირთი ავიკიდე, მაგრამ ისეთი მშვენიერი ცნობებია, რომ დაქანცულობასაც ყურადღებას არ ვაქცევ და გატაცებით ვმუშაობ, რომ დაიბეჭდება, მაშინ ყველა დარწმუნდება, რამდენად დიდი და საშვილიშვილო საქმე გაკეთდა“ (მნათობი, 1968, 137). ბ-ნ ივანეს განზრახული ჰქონდა

აგრეთვე შემდეგში ამ მასალებისთვის შეედგინა ლექსიკონიც.

მრავალი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობისათვის ივ. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით გამოიცა 5 ტომად, რომელშიც გაერთიანდა 9 წიგნი, მხოლოდ I და V ტომები დაიბეჭდა თითო წიგნად, დანარჩენი ტომები მასალის მოცულობის გამო რამდენიმე ნაწილად გამოიცა: II ტომი — 2 ნაწილად, III ტომი — 2 ნაწილად, ხოლო მე-4 ტომი — 3 ნაწილად. I ტომი გამოქვეყნდა 1976 წელს, ბოლო, V ტომი კი — 1992 წელს.

პროფესიული ინტერესიდან გამომდინარე ეთნოგრაფებმა მასალა დარგების მიხედვით გაანაწილეს. როგორც აღვნიშნეთ, ივ. ჯავახიშვილს თვითონ სურდა მასალების გამოქვეყნება, ამიტომ სხვადასხვა კუთხეში შეკრებილი სხვადასხვა მასალა დარგებად დაალაგა ისეთივე თანმიმდევრობით, როგორც ამას მოითხოვდა მის მიერ შედგენილი „მასალების შეგროვების წესი“, ხოლო თითოეული დარგის მასალა დაალაგა საქართველოს კუთხეების მიხედვით: ტექსტები იწყება აღმ. საქართველოში შეკრებილი მასალით და შემდეგ მიჰყვება დასავლეთ საქართველოში შეკრებილი მასალა.

შინამრეწველობის მასალების სარედაქციო კოლეგიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ტექსტების ენობრივ მხარეს: რაკი აღნიშნული მასალები ჩაწერილია ამა თუ იმ კუთხის დიალექტზე, საჭიროდ ჩათვალეს ტექსტები სპეციალისტებს შემოწმებინათ. ზემოთ ჩამოთვლილი დიალექტური ტექსტები შეამოწმეს: ქიზიყური — ივანე გიგინეიშვილმა, ინგილოური — როგნედა დამბაშიძემ, ხევსურული და ფშაური — ალექსი ჭინჭარაულმა, თუშური — გიორგი ცოცანიძემ და თედო უთურგაიძემ, სვანური — მაქსიმე ქალდანმა, მეგრული — ანტონ კიზირიამ და გიორგი როგავამ.

ამ ტექსტების ენათმეცნიერული ღირებულება იმდენად დიდი იყო, რომ ტექსტების უკეთ დაცვისა და შენახვისათვის ენათმეცნიერების ინსტიტუტში საჭიროდ მიიჩნიეს გაეკეთებინათ ასლები და მასალა ხელახლა გადაეწერათ. ეს პირები 1956 წელს შეადგინა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რედაქციამ. პირები მაშინვე შეაჯერეს დედანთან და არაერთი შემოწმებით დარწმუნდნენ, რომ დედნები და მათი პირები სავსებით იდენტურია.

ენათმეცნიერების ინსტიტუტის კუთვნილი პირები მასალების გამოცემის მოსამზადებლად ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტი-

ტუტში გადაიტანეს, რადგანაც მასალები შეაჯერეს იმ აქტთან, რომელიც შედგენილია 1939 წ. 28 დეკემბერს ივ. ჯავახიშვილის სიცოცხლეში, მისივე ხელმოწერით და აღნუსხულია დაწვრილებით მთელი მასალა გვერდების მითითებით. სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ მასალის რაღაც ნაწილი დაკარგული იყო და ეს დაკარგული მასალა დაცული იყო პირების სახით. ამიტომ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ინსტიტუტმა თხოვნით მიმართა ენათმეცნიერების ინსტიტუტს, შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის მასალების გამოსაცემად მომზადებასთან დაკავშირებით, სარედაქციო-საგამომცემლო კომისიისათვის დროებით გადაეცა აღნიშნული მასალების პირები. ეს თხოვნა დააკმაყოფილა ენათმეცნიერების ინსტიტუტმა და აქტის საფუძველზე კომისიამ მასალების პირები მთლიანად ჩაიბარა. ეს პირები 30 წელზე მეტხანს ისტორიის ინსტიტუტში ინახებოდა და ენათმეცნიერების ინსტიტუტმა დაიბრუნა ახლახან, 2006 წლის გაზაფხულზე.

შინამრეწველობის მასალების მიხედვით დაწყებული იყო ენციკლოპედიური ტიპის ლექსიკონზე მუშაობა. ლექსიკონის პრინციპები ქეგლ-ის პრინციპებთან შეჯერებით შეიმუშავა ბ-ნმა ივ. ჯავახიშვილმა. სალექსიკონო მასალის დამუშავება ბ-ნი ივანეს ხელმძღვანელობით დაიწყო, მაგრამ საქმე გაჭიანურდა, რადგან 9 წიგნის გამოცემას საბჭოთა ეპოქაში საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა, ხოლო ბოლო, V ტომი რომ გამოიცა (1992 წ.) ჩვენს ქვეყანასა და ხალხს უკვე წიგნებისათვის აღარ ეცალა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თავიდანვე ივარაუდებოდა, შინამრეწველობის მასალებისათვის განმარტებითი ლექსიკონი ენათმეცნიერების ინსტიტუტში გაკეთებულიყო. მასალების V ტომი გამომცემლობას რომ ჩაბარდა, ისტორიის ინსტიტუტმა უარი განაცხადა ლექსიკონის მომზადებაზე, ჩვენი საქმე დამთავრებულია, ამიერიდან ენათმეცნიერებმა მიხედონო და შინამრეწველობის მასალების საპრობლემო ჯგუფის ის თანამშრომლები, რომლებიც საძიებლებს ადგენდნენ და ტექსტზე მუშაობდნენ, ენათმეცნიერების ინსტიტუტში გადაიყვანეს. ბ-ნი ივ. გიგინეიშვილის გარდაცვალების შემდეგ ამ ლექსიკონის დამუშავებისა და გამოცემის საქმეს კურირებდა ქ-ნი ქეთევან ლომთათიძე. ეს საკითხი რამდენჯერმე სამეცნიერო-საბჭოს სხდომაზეც განიხილეს.

საშური და საშვილიშვილო საქმეა შინამრეწველობის მასალების განმარტებითი ლექსიკონის შედგენა, მაგრამ მანამდე საჭიროდ მი-

გვაჩნია ზემოთ აღნიშნული პირების კომპიუტერული დამუშავება. ისტორიის ინსტიტუტი ცდილობდა თავისთვის დაეტოვებინა ენათმეცნიერების ინსტიტუტის კუთვნილი პირები, მათ სურდათ კომპიუტერული ფონდის შექმნა. ჩვენი ინტერესები ერთმანეთისაგან საკმაოდ დაცილებულია. მათ საყოფაცხოვრებო დარგები და მათი სპეციფიკა აინტერესებთ, ჩვენ კი ეს ტექსტები წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისით გვაინტერესებს. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ამ ფონდის შექმნა. ტექსტები უნდა დალაგდეს დიალექტების მიხედვით.

ფასდაუღებელია ამ ტექსტების ენათმეცნიერული ღირებულება. ჯერ მარტო მათი ფორმოზრივი სტრუქტურის შესწავლა სინტერესო სურათს შექმნის შემდგომი კვლევისათვის. ეს უნიკალური მასალა ხელს შეუწყობს დიალექტოლოგიური ატლასის შედგენას. საინტერესოა, როგორ არის განაწილებული ზმნაში სუბიექტური თუ ობიექტური პირის ნიშნები დიალექტების მიხედვით, თემის ნიშნების განაწილება. მასალა უაღრესად საინტერესოა მწკრივთა წარმოების თვალსაზრისითაც. დიალექტების სახელურ და ზმნურ ფუძეთა მონაცემთა ბაზების შევსებისათვის ეს მასალა ნამდვილად ფასდაუღებელი იქნება. ზმნისწინთა პარადიგმების შედგენაც ამ მასალების მიხედვით უფრო ხელმისაწვდომი გახდება.

საილუსტრაციოდ დავიმოწმებთ რამდენიმე ნიმუშს:

შინამრეწველობის მასალები ძალიან მდიდარია ლექსიკური თვალსაზრისითაც. პატარა ამონარიდიდან ეს ამკარად იგრძნობა: „დაძახვა უკულმა ხდება, ტარს დაძახვის დროს ორსავე სილას [ორივე ხელისგულს] ავლებენ ... როგორც დართვა, ისე დაძახვაც **ბოშადაც** შეიძლება და მაგრაც. ბოშად დართულს **ჩამოფლავნილსაც** ეძახიან“ (ქიზიყური).

„ერთ დღეს ერთი ადამიანი სამ-ოთხ გირვანქას **დასწეწავს** და **დასჩეჩავს** კიდევ ... კვირისტავს ქვემოთ ორი თითის დადება **დაპჩეჩება** ბოლო (ქიზიყური). აქ საინტერესოა **დასწეწავს**, **დასჩეჩავს**, **დაპჩეჩება** ფორმები.

ავ თემის ნიშნის ხმარება უფრო პროდუქტიული იყო დიალექტებში. იმ დროს სალიტერატურო ენის ნორმა უფრო ცნობდა **წეწს**, **ჩეჩს** ფორმებს და არა — **წეწავს**, **ჩეჩავს**. აქ აღსანიშნავია აგრეთვე III პირდაპირ ობიექტური პირის აღნიშვნა: და-ს-წეწავს, და-ს-ჩეჩავს ... რაც ქიზიყურისთვის იყო დამახასიათებელი.

საინტერესოა ზმნის ფორმათა წარმოება:

„სიღნაღიდან ჩამოჰქონებიან ნართი (ე. ი. ძაფი). ვხელსაც-
ვლაობდითო, ისინი ბამბას, ნართს გვაძლევდნენ, ჩვენ ვქსოვდით,
ზოგი ართავდა“ (ქიზ.).

ბრუნების თვალსაზრისით საინტერესოა ქვემო იმერული:

„საქსოვთ ჩვენ ბატკანის მატყლს ვხმარობთ“

ბატკანის — არ ხდება კვეცა ნათ. ბრუნვაში.

არ იკუმშება **ა, ო** ხმოვნები, იკუმშება — **ე**.

„ჩვენ ვღებავდით ლაფანის ფურცლით, ნიგვზის ფოთოლით და
ბრეწოულის კანით (ქვ. იმერ.).

ფურცლით — **ე**- ხმოვანი შეკუმშულია; ნიგვზის — **ო** შეკუმშუ-
ლია, არ იკუმშება — **ლაფანის, ფოთოლით**.

„ვისაც ლუშის ფერი [შალი] უნდოდა, შავი და თეთრი
მატყლს ოურევდით ერთმანეთში“ (ქვ. იმერ.).

არ ხდება შეთანხმება მიცემით ბრუნვაში.

„ასეთ გაკეთებულს ვიტყვით ამოღესილი ლობიოს (ქვ. იმერ.).

შიგ ჩავაცხობთ მოწელილი ცომს (ქვ. იმერ.).

აბრეშუმს... დღეში ორი არშინს ვქსოვდი. მაგრამ იქვე მთხრო-
ბელი სწორ ფორმასაც იყენებს:

„თუ ოჯახი ხელს არ შემიშლიდა, ოთხ არშინსაც მოვქსოვდი“
(ქვ. იმერ.).

ლექსებში საინტერესოა თემის ნიშანთა გამოყენება:

„ცხვარს რომ გავბარცემდით, მატყლს კაა გავრეცხამდით...“

გავბარცემდით — **ემ**- იხმარება **ავ** თემის ნიშნის ნაცვლად, ასე-
ვე **გავრეცხამდით** — **ამ** თემის ნიშანი -**ავ** თემის ნიშნის ნაცვლად.

„იქიდან მურგვებათ, რგვალათ ამოვახვევდით, რავარც გვერჩია,
ორფრად ან სამფრად და ავძახებდით ტარი და კვირისტავით.

ავძახებდით = ავძახავთ. **ებ** = **ავ**-ის ნაცვლად.

„თოკები დავრეხა ვიცოდით კანაფის. მოქსოვის მერე გამოვხარ-
შებდით და მერე ცივ წყალში გავრეცხავდით“.

ებ — **ავ**- თემ. ნიშ. ნაცვლად, **ებ** = **ავ**. **გამოვხარშებდით** =
გამოვხარშავდით.

„კანაფისაგან ჩემი მახსოვრობაში ვიცოდით პირსახოცის,
საწელეს და **საკაბოს** მოქსოვა, რომელს შავათ შეღებავდნენ და **მი-
ცვალელებული სუდარათ** ხმარობდნენ. **სა-ო** საკაბო ვით. ბრუნვაში
მართული მსაზღვრელი ბრუნვის ნიშანს ნაწილობრივ იყენებს: **მი-
ცვალელებული სუდარათ**, ნაცვლად: მიცვალელების სუდარად.

ზოგჯერ ზმნა უთემისნიშნოდ იხმარება.

„ხელით გავძენძდით კანაფს“.

გავძენძდით ზმნის ფორმის გვერდით მთხრობელი იყენებს **და-
ვწმენდავდით, შევსთავდით, დავგრებდით** და **დავქსელვდით**
ფორმებს.

საინტერესოა, ტერმინთა განმარტებები:

„**დაბარყვნას** ჩვენ საჩიჩელზე ჩიჩვას უძახდით“ (ქვ. იმერ.)

დაბარყვნა = საჩიჩელზე ჩიჩვას.

„**გადაწვერას** ჩვენ უძახდით, **დაბარყვნის** დროს **წვერს** რომ
ცალკე გადავიღებთ და **გულს** ცალკე გადავიღებთ“.

აქ უკვე **წვერი** და **გული** ცალკე ტერმინებია.

წვერი გრძელბეწვა მატყლია, **გული** კი დაბალი ხარისხის,
უბეწვო მატყლია.

შალს **სამექსლოზე** ვქსოვდით (აჭარა).

სა-მექსლო წარმოქმნილი სიტყვაა და დაზვას ნიშნავს.

მოხსენებაში საილუსტრაციოდ წარმოდგენილი მცირე მასალაც
კი ცხადყოფს, რომ, როდესაც გაკეთდება თითოეული დიალექტის სა-
ხელური, ზმნური თუ სახელზმნური ფუძეების მონაცემთა ბაზები, ამ
ტექსტების დამუშავებით შეივსება და დაიხვეწება ეს ბაზები. ამ
ფონდის დახმარებით უფრო სრული იქნება სახელისა თუ ზმნის
ფორმობრივი და ლექსიკურ-სემანტიკური პარადიგმები.

ლიტერატურა

მასალები, 1976 — მასალები საქართველოს შინამრეწველობისა
და ხელოსნობის ისტორიისათვის, 1976.

მნათობი, 1968 — ჟურ. მნათობი, 1968, №9.

საქ. შინამრეწველი, 1935 — გაზ. საქართველოს შინამრეწვე-
ლი, 1935, №((58)), 10 აპრილი.

TSITSINO KVANTALIANI

The Linguistic Significance of "Household-manufacturing Data"

Summary

The data on the history of household-manufacturing and handicrafts were accumulated in 1935 during a specially arranged expedition. In 1956 at the Institute of Linguistics the copies of the data were made and in 1976-1992 the data were published in 5 volumes (9 books).

The texts in question are linguistically relevant as they contain rich dialectological information and may be useful for compiling a dialect atlas.

The paper focuses on the peculiarities of the verbal categories and features reflected in the data viz.: the distribution of subjective and objective persons, the existence of thematic marker, peculiarities of series formation, preverb paradigms etc.

წინო კირვალში

**ნომინაციის კოგნიტური ასპექტი და არსებით
სახელთა ტიპოლოგიის პრობლემა
თანამედროვე ინგლისურ ენაში**

წინამდებარე სტატია ეძღვნება ნომინაციის კოგნიტური ასპექტის კვლევას და მის საფუძველზე არსებით სახელთა სისტემური ორგანიზების თავისებურებათა გამოვლენას თანამედროვე ინგლისურში.

ნომინაციის კოგნიტური ასპექტის არსი მდგომარეობს იმაში, თუ როგორ ხდება ამა თუ იმ ექსტრალინგვისტური ობიექტის სახელდების დროს მისი შემეცნება: მისთვის ობიექტურად დამახასიათებელი ონტოლოგიური (ე.ი. ბუნებრივი) მონაცემების საფუძველზე თუ სუბიექტური აღქმის შედეგად მისთვის რაიმე თვისობრიობის მიწერის ან განზოგადების გზით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნომინაციაში აისახება ფიზიკურად არსებული საგნობრივი სამყაროს შემეცნების ლოგიკა.

რას ვგულისხმობთ ამ ნათქვამში? შემეცნების აქტი, ფაქტობრივ, იწყება აღქმის ობიექტთა შეპირისპირებით და იმ ნიშან-თვისებათა გამოყოფით, რომელთა მიხედვითაც ხდება მათი დიფერენცირება ცალკეულ კლასებად. მოძღვრებას კლასების შესახებ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ლოგიკაში. კლასი — ეს არის ცნება იმ საგანთა ერთობლიობის შესახებ, რომელთაც საერთო ნიშან-თვისებები გააჩნიათ. თითოეული კლასის შიგნით ცალკეული საგანი გვევლინება მის შემადგენელ ელემენტად. კლასის ცნება, თავის მხრივ, წარმოადგენს ბაზისს ცალკეული სახეობის ცნების ფორმირებისათვის (კონდაკოვი, 1975, 247).

ადამიანების ცნობიერებაში კლასები ყალიბდება ორი სახით: ა) დიფერენცირების გზით, ანუ ერთობლიობის დაყოფით საერთო ნიშნის მქონე ცალკეულ ელემენტებად და ბ) ინტეგრირების გზით — საერთო ნიშნების მქონე საგანთა გაერთიანებით ერთ კლასად. სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ კლასის ცნება ჩამოყალიბებულად ითვლება მხოლოდ მაშინ, თუ მას გააჩნია სათანადო ენობრივი გაფორმება (გაკი, 1987, 49).

გამომდინარე იქიდან, რომ ერთი და იგივე ექსტრალინგვისტური საგანი რამდენიმე ნიშან-თვისებით ხასიათდება, ეს საგანი შეიძლება ერთდროულად მივაკუთვნოთ სხვადასხვა ლოგიკურ კლასს. ამასთან დაკავშირებით აუცილებელი ხდება განისაზღვროს, თუ რა ნიშან-თვისებათა საფუძველზე ხდება კლასების გამოყოფა და საგანთა კლასიფიკაცია.

ლოგიკაში განასხვავებენ ბუნებრივ კლასებს, რომლებიც გამოიყოფა არსებითი ნიშან-თვისებების გათვალისწინებით, და ხელოვნურ კლასებს, ე.წ. არტეფაქტებს, რომლებიც არაარსებით, თავისუფლად შერჩეულ ნიშან-თვისებათა საფუძველზე გამოიყვანება (კონდაკოვი, 1975, 247). ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, რა ნიშან-თვისებები შეიძლება ჩაითვალოს არსებითად და რა მეორეხარისხოვნად. განასხვავებენ საგანთა ამა თუ იმ კლასის (შესაბამისად კი ცნების) ობიექტურად დამახასიათებელ არსებით და მის შედარებით მეორეხარისხოვან ნიშან-თვისებებს. მათგან, პირველი ტიპის ნიშან-თვისებები აბსოლუტურია თავისი არსით იმდენად, რამდენადაც ისინი დამოკიდებული არ არის აღქმის სუბიექტურ ფაქტორზე. მეორე ტიპის ნიშან-თვისებები კი ფარდობითია, რადგანაც ისინი განპირობებულია გარკვეული სახის კავშირებითა და ურთიერთმიმართებებით და მათზე ყურადღების გამახვილება დამოკიდებულია სუბიექტის აღქმის ორიენტაციაზე, რომელიც, თავის მხრივ, მისივე პრაქტიკული მოთხოვნილებებით არის განპირობებული (გოიშვილი, 1967, 152).

აღნიშნულიდან გამომდინარე, განასხვავებენ ექსტრალინგვისტურ საგანთა ორი ტიპის ლოგიკურ კლასს: 1) **ბუნებრივს, ანუ ონტოლოგიურს** და 2) **ნომინალურს, ანუ პრაგმატიკულს** (გაკი, 1987; კონდაკოვი, 1975; უფიმცევა, 1986; შატუნოვსკი, 1993). კლასთა ასეთი დიფერენცირება ფიზიკური საგნობრივი სამყაროს ლოგიკითა და შემეცნების ლოგიკით განპირობებულ ბინარულ, ცნებით ოპოზიციას ქმნის, რომელშიც პირველი ტიპის, ე.ი. ონტოლოგიური ხასიათის ცნებები რეალურად არსებულ საგნებსა და მოვლენებს ასახავენ, მაშინ როდესაც მეორე ტიპის, ე.ი. ნომინალური ცნებები, ამავე სამყაროს გადააზრებულად, თვისობრიობის სულ ახალი კუთხით წარმოაჩენენ. ბუნებრივი, ანუ ონტოლოგიური კლასები ტაქსონომიურია და ისინი ფიზიკური სამყაროს მოდელის ანარეკლს, ე.ი. მის ენისმიერ ხატს ქმნიან. ონტოლოგიურისაგან განსხვავებით, ნომინალური, ე.ი. პრაგმატიკული კლასები ეფემერულია, რადგანაც ისინი კონკრეტული მიზნებიდან გამომდინარე გარკვეული სიტუაციისათვის იქმნებიან და

როგორც კი ეს სიტუაცია წარსულის საკუთრება ხდება, მათი არსებობაც წყდება (გაკი, 1987).

აღამიანის მიერ სამყაროს აღქმა რეალიზდება მის ორ მოდელში — კონცეპტუალურსა და ენობრივში. კონცეპტუალური მოდელი ცნებითი შინაარსის სფეროს წარმოადგენს. იგი განპირობებულია ობიექტური რეალობითა და აღამიანის აზროვნების ლოგიკით, რის გამოც იგი ინვარიანტული, ე.ი. საერთოა სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხისათვის. სამყაროს ენისმიერი მოდელი კი ინდივიდუალურია, რამდენადაც იგი ცვლილებას განიცდის ერთი ენიდან მეორეზე გადასვლისას. სამყაროს კონცეპტუალური მოდელის ერთეულებად გვევლინება ცნობიერების ისეთი სტრუქტურული კონსტანტები, როგორებიცაა: „საგანი“, „თვისება“, „მიმართება“, „ხდომილება“ და ა.შ.. მისი ენობრივი მოდელის, ანუ ენისმიერი ხატის ძირითად შინაარსობრივ ერთეულად კი მიჩნეულია სემანტიკური ველი, რომელიც ამა თუ იმ ენის სტრუქტურაში წარმოდგენილია ლექსიკურ-სემანტიკურ პარადიგმატულ დაჯგუფებათა სახით. ლექსიკურ-სემანტიკური პარადიგმატული დაჯგუფება ლექსიკურ ერთეულებს აერთიანებს ინვარიანტულობის საფუძველზე, რადგანაც პარადიგმა შეიძლება დავინახოთ მხოლოდ იქ, სადაც საკმაოდ მკაფიოდ არის გამოხატული რაიმე ინვარიანტის ვარიანტი.

სამყარო უპირველესად აღიქმება როგორც ფიზიკურ საგანთა ერთობლიობა, რაც აისახება კონცეპტუალურ ხატში, კერძოდ, ონტოლოგიური კლასების ცნებაში, რომელიც ვერბალურად არის განივებული ტაქსონომიურ სახელებში. ამ სახელთა ცნებითი შინაარსის განზოგადების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ტაქსონომიურია სახელი, რომელიც ამა თუ იმ ონტოლოგიური კლასის წარმომადგენლის სახელდებას ახდენს მისთვის ობიექტურად დამახასიათებელი არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით. ეს სახელები ჩვეულებრივად იღებენ ტერმინოლოგიურ-მეცნიერულ განმარტებებს, სადაც მითითებულია მათ მიერ აღნიშნული ექსტრალინგვისტური საგნის ყველა ის არსებითი, იმანენტური ნიშან-თვისება, რომელთა ერთობლიობაც მოცემული სახელის ცნებით შინაარსს ქმნის. მაგალითისათვის ავიღოთ ტაქსონომიური სახელის „oak“ („მუხა“) განმარტება Longman New Universal Dictionary-დან (4, 671) :

oak – n. a tough hard tree of the beech family, usually having lobed leaves and producing acorns as fruits.

ანალოგიურად არის ჩამოყალიბებული იმავე სიტყვის დეფინიცია

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (1990, 754):

მუნა — ა.ს. მსხვილფოთლოვანი, მაგარმერქნიანი ხე
წიფლისებრთა ოჯახისა, იზრდება ნელა,
ისხამს რკოს.

ასეთი ტიპის განმარტებებს ლოგიკაში რეალურს უწოდებენ, რადგანაც ეს არის ცნების განმარტება, რომელიც ასახავს საგნის ან მოვლენის არსებით ნიშან-თვისებებს და მიზნად ისახავს მოცემული საგანი ან მოვლენა გამოყოს ყველა სხვა საგნისაგან მის განმასხვავებელ თვისებებზე მინიშნების გზით (კონდაკოვი, 1975, 339; შატუნოვსკი, 1993). ამის საილუსტრაციოდ გამოდგება, თუნდაც, ჩვენ მიერ მოყვანილი „მუნის“ განმარტება, სადაც მოცემულია მითითება უახლოეს გვარობრივ (მაგ.: „ხე წიფლისებრთა ოჯახისა“) და მის განმასხვავებელ სახეობით ნიშნებზე („მსხვილფოთლოვანი, მაგარმერქნიანი, იზრდება ნელა, ისხამს რკოს“). უაღრესად საინტერესოა ტაქსონომიური სახელის „ადამიანი“ განმარტება **The Concise Oxford Dictionary of Current English (1984)** ლექსიკონის მიხედვით:

human – n. of or belonging to the genus Homo, distinguished from animals by superior mental development, power of articulate speech and upright posture (5, 485).

მოცემული ტაქსონომიური სახელის განმარტება ნამდვილად ტერმინოლოგიურ-მეცნიერულია, რადგანაც მასში ექსპლიციტურად ყველა ის ზოგადკატეგორიული ნიშან-თვისება, რომლითაც ადამიანი განსხვავდება სხვა სახის ცოცხალი არსებებისაგან. ეს თვისებებია: აზროვნება, დანაწევრებული მეტყველება და სხეულის ვერტიკალური მდგომარეობა, რომელთა წყალობითაც ადამიანს შეუძლია განახორციელოს შრომითი, შემეცნებითი, ინტელექტუალური, კომუნიკაციური და ა.შ. სახის აქტივობა და რომელთა ერთობლიობაც სიტყვა „ადამიანის“ ცნებით შინაარსს ქმნის.

საგნობრივი სამყარო ასახულია ყველა ცივილიზებული ერის ენაში. ნებისმიერი ასეთი ენის განმარტებით ლექსიკონებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ მათში საკმაო რაოდენობით ფიგურირებს ტაქსონომიური სახელები, რომლებიც სამყაროს ონტოლოგიურ კლასიფიკატორებს წარმოადგენს, რადგანაც სწორედ მათი საშუალებით ხდება მეტყველების დროს ექსტრალინგვისტური საგნის იდენტიფიკაცია ამა თუ იმ ბუნებრივ კლასად.

ენობრივი მასალის განზოგადების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ტაქსონომიური სახელები საგნობრივ-ლოგიკურ დიფერენცირებას

ექვემდებარება და ამ პროცესს საფუძვლად უდევს ველის პრინციპის გამოყენება, რომელიც ჰიპერო-ჰიპონიმური სტრუქტურაციით, ანუ იერარქიულობით ხასიათდება (ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონი, 1990, 104). ველის იერარქიულობა მდგომარეობს სემანტიკური ჩართვის პრინციპში და იგი რეალიზდება გვარობრივ-სახეობით ურთიერთობებზე დაყრდნობით. ჰიპერონიმებად გვევლინება ყველა ის სახელი, რომელთაც ფართო სემანტიკური ტევადობის გამო იდენტიფიკაციისა და ინტეგრაციის უნივერსალური თვისებები გააჩნიათ. თითოეული ჰიპერონიმული სახელი სისტემის მაორგანიზებელ ბირთვად გვევლინება, რადგანაც იგი თავის ირგვლივ აერთიანებს შედარებით კონკრეტული მნიშვნელობის მქონე ჰიპონიმურ სახელებს, რომელთა სემანტიკურ სტრუქტურაშიც ზოგადინტეგრალურ ნიშან-თვისებებთან ერთად ფიგურირებს ის კერძო-დიფერენციალური მახასიათებლები, რომლებიც მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს. მაგალითად, ფიზიკური სამყაროს ცნება პირობითია და იგი შეიძლება დავყოთ შემდეგ ძირითად სფეროებად: ფლორა, ფაუნა, კოსმოსი, საგნობრივი სამყარო, ადამიანი და ადამიანის მიერ შექმნილი საგნები, ე.წ. არტეფაქტები. თითოეულ ამ სფეროში უამრავი საგანია (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) გაერთიანებული. მათ აღმნიშვნელ სახელთა ჰიპერო-ჰიპონიმურობის საილუსტრაციოდ გამოდგება, თუნდაც, ადამიანის აღმნიშვნელი სახელთა სისტემა. აქ ძირითად ჰიპერონიმად გვევლინება სახელი „ადამიანი“, რომელიც მისთვის დამახასიათებელი ზოგად-ინტეგრალური კატეგორიული ნიშან-თვისებების წყალობით თავის ირგვლივ აერთიანებს შედარებით კონკრეტული მნიშვნელობის მქონე ისეთ ტაქსონომიურ სახელებს, როგორცაა: “a woman”, “a man”, “a child”, “a pigmy” („ქალი“, „კაცი“, „ბავშვი“, „ჯუჯა“) და ა.შ., რომლებიც ჰიპერონიმთან მიმართებაში უკვე ჰიპონიმებად აღიქმებიან.

იგივე შეიძლება ითქვას ცხოველთა სამყაროსთან დაკავშირებით, რომელიც პირობითად შეიძლება დავყოთ ისეთ ონტოლოგიურ კლასებად, როგორცაა: ძუძუმწოვრები, ჩლიქოსნები, უხერხემლოები და ა.შ.. თავის მხრივ, თითოეული მათგანი აერთიანებს ცხოველთა უკვე კონკრეტულ სახეებს. შესაბამისად, ექსტრალინგვისტური სინამდვილის ამ ონტოლოგიური კლასის ძირითად ჰიპერონიმად გვევლინება უაღრესად ზოგადი მნიშვნელობის მქონე სახელი “animal” („ცხოველი“). ლონგმენის განმარტებითი ლექსიკონი ამ სიტყვის შემდეგ დეფინიციას გთავაზობს (4, 39):

animal – n. any of a kingdom of living things typically differing

from plants in their capacity for spontaneous movement, esp. in response to stimulation; any of the lower animals as distinguished from human beings.

აღნიშნული ტაქსონომიური განმარტება უაღრესად ზოგადია, რადგანაც მასში ექსპლიცირებულია მხოლოდ ის კატეგორიული ფიზიოლოგიურ-ბიოლოგიური თვისებები, რითაც ცხოველი განსხვავდება სხვა სულიერი თუ უსულო სუბსტანციებისაგან. აქედან გამომდინარე, არსებითი სახელი “animal” („ცხოველი“) გვევლინება ზოონიმთა მაიდენტიფიცირებელ ძირითად ჰიპერონიმად, მაშინ როდესაც ესა თუ ის კონკრეტული ზოონიმი (მაგ.: “bear”, “fox”, “deer”, “tiger”, „დათვი“, „მელი“, „ირემი“, „ვეფხვი“ და ა.შ.) ჰიპონიმებად განიხილება.

ტაქსონომიური სახელების ლოგიკურ-სემანტიკური დიფერენცირება სრულად თითქმის შეუძლებელია, რაც ფიზიკური სამყაროს საგნობრივი მრავალფეროვნებით აიხსნება. სამაგიეროდ, სრულიად შესაძლებელია მათი, როგორც ონტოლოგიური კლასების მაიდენტიფიცირებელი საშუალებების, ნიშნობრივი თავისებურებების დადგენა. ამ სიტყვათა სალექსიკონო დეფინიციების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ტაქსონომიური სახელების სემურ შედგენილობაში დენოტატური სემები სჭარბობს სიგნიფიკატურს, რადგანაც ისინი საგნის სახელდებას ახდენენ მისთვის ობიექტურად დამახასიათებელი იმ არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით, რომლებიც მგრძობელობით აღქმას ექვემდებარება და რომელთა ერთობლიობაც ამ სახელთა შესაბამის საგნობრივ სფეროს ქმნის. ამავე დროს, ეს მახასიათებლები გვევლინება იმ ძირითად პარამეტრებად, რომელთა მიხედვითაც ტაქსონომიური სახელები შეიძლება გავაერთიანოთ ზემოთ აღნიშნულ ისეთ ცნებით სფეროებში, როგორიცაა: „ადამიანი“, „ფლორა“, „ფაუნა“, „კოსმოსი“, „საგნობრივი სამყარო“ და ა.შ..

ტაქსონომიურისაგან განსხვავებით, ნომინალური¹ სახელები ექსტრალინგვისტური საგნის სახელდებას ახდენენ არა მისთვის ობიექ-

¹ ცნება „ნომინალური“ ნასესხებია ლოგიკიდან, სადაც იგი გამოიყენება ცნება „რეალურის“ საპირისპიროდ. ამასთან, პირველადია რეალური ცნებები, რომლებიც რეალურად არსებულ საგნებს და მოვლენებს ასახავენ; ხოლო ნომინალური ცნებები კი მეორადად მოიაზრება, რადგანაც, ისინი ამავე სამყაროს უკვე ახლებურად, თვისობრიობის სულ სხვა კუთხით წარმოაჩენენ. იხ. Кондаков Н., Логический словарь, М.: “Наука”, 1975, с. 339; Уфимцева А.А. Лексическое значение. Принцип семиологического описания лексики. М.: «Наука», 1986, с. 117-124.

ტურად დამახასიათებელი იმ ზოგადკატეგორიული ნიშან-თვისებების მიხედვით, რომლითაც ერთი ონტოლოგიური კლასის საგანი მეორისაგან განსხვავდება, არამედ ამ საგნისადმი რაიმე დამატებითი თვისების მიწერის გზით. შესაბამისად, ამ სახელთა აღნიშვნის საგანს წარმოადგენს არა რეალურად არსებული რომელიმე ბუნებრივი ონტოლოგიური კლასი, არამედ ადამიანის ინტელექტუალურ-შემეცნებითი მოღვაწეობის კონსტრუქტი, რომელიც ამავე კლასს უკვე თვისობრიობის სხვა კუთხიდან წარმოაჩენს.

შეიძლება ითქვას, რომ ნომინალური ცნებების ფორმირება წარმოადგენს საზოგადოების სოციოკულტურული ევოლუციის გამოხატულებას. თავის მხრივ, იგი შესაბამისობაშია ლინგვისტური აზროვნების განვითარების დინამიკასთან, რომელიც თანამედროვე მსოფლმხედველობის იმ დინამიკის უშუალო ასახვას წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც სამყარო პირველ რიგში აღიქმებოდა როგორც საგანთა ანუ სუბსტანციათა ერთობლიობა, შემდეგ კი როგორც ზღომილება (ე. ი. სიტუაციათა) ერთობლიობა. ამ მსოფლმხედველობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე კი მკვლევართა ყურადღების ცენტრში მოექცა მეტყველი სუბიექტი და მის მიერ სამყაროს სინთეზური აღქმა-ვერბალიზაცია, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ანთროპოლოგიური ლინგვისტიკის ცნება.²

აღქმის სუბიექტური ფაქტორიდან გამომდინარე, ნომინალური სახელთა სემურ შედგენილობაში სიგნიფიკატური სემები სჭარბობს დენოტატურს, რის გამოც ისინი თვისობრივ ნიშნებად წარმოგვიდგება. საილუსტრაციოდ ლონგმენის ლექსიკონიდან (4) მოვიყვანთ ტაქსონომიური სახელის “money” („ფული“) და მისი რამდენიმე ნომინალური სინონიმის განმარტებას, რომლებიც ფულის რეფერირებას ახდენენ სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების მიხედვით:

money n. – smth. generally accepted as a means of payment, esp. officially printed, coined or stamped currency (p. 711).
ფული;

² ლინგვისტური აზროვნების განვითარების ფილოსოფიურ ანალიზს ეძღვნება გ. ლებანიძის მონოგრაფია „ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა“. თბილისი, 1998.

fee	n. – a sum of money paid esp. for a professional service (p.357). ჰონორარი;
payment	n. – sum of money paid (p. 302). ფულადი გადასახადი;
pension	n. – a fixed sum of money paid regularly to a person e.g. following retirement or as compensation for a wage-earner's death (p.715). პენსია;
salary	n. – a fixed usu monthly payment for regular services, esp. of a nominal kind (p. 857). ხელფასი, ჯამაგირი;
scholarship	n. – a grant of money to a student (p. 867). სტიპენდია;

აღნიშნულ ნომინალურ სახელთა ჯგუფში ძირითად ჰიპერონი-მად, ანუ გამაერთიანებლად გვევლინება სახელი “money”, რომლის აღნიშვნის საგანსაც წარმოადგენს ქაღალდის ან ლითონის სახით არსებული სუბსტანცია, არტეფაქტი, რომელიც გამოიყენება გადასახადის ან რაიმე სხვა დანიშნულებით და ექვემდებარება მგრძობელობით აღქმას. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ მისი მაიდენტიფიცირებელი სახელი “money” ტაქსონომიურ ერთეულად განიხილება. ზემოთ მოყვანილი ყველა დანარჩენი სახელის სემანტიკურ სტრუქტურაში იგი ზოგადინტეგრალური სემის სახით ფიგურირებს, ხოლო სიტყვის მნიშვნელობის დამაზუსტებელ სემებად კი ფულის სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების გამომხატველი კერძო-დიფერენციალური მახასიათებლები მოიაზრება.

კვლევა გვიჩვენებს, რომ რამდენადაც თვისობრივად მრავალმხრივია ფიზიკურად არსებული ესა თუ ის საგანი (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით), იმდენად დიდია ნომინალურ სახელთა რიცხვი, რომელთა საშუალებითაც ამ საგნის იდენტიფიკაცია ხორციელდება რეალურ მეტყველებაში. ამის კლასიკურ მაგალითად გამოდგება, თუნდაც, ადამიანი და ის ნომინალური სახელები, რომლებიც მის თვისობრივ მრავალფეროვნებას წარმოაჩენენ (კირვალიძე, ინაური, 1999; იგივენი, 1997). ემპირიული მასალის ანალიზის შედეგად დადგინდა,

რომ თანამედროვე ინგლისური ენის სისტემაში შეიძლება გამოიყოს შვიდი დიდი ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი, რომლებშიც მეტ-ნაკლები სისრულით გამოიხატება ადამიანი მის სამ განზომილებაში, როგორც: ა) გონიერი, მოაზროვნე არსება (**homo sapiens**), ბ) მეტყველი სუბიექტი (**homo loquer**) და გ) შრომისუნარიანი, სოციალური არსება (**homo faber**). ეს ჯგუფებია:

1) ადამიანის პროფესიულ-შრომითი მოღვაწეობის აღმნიშვნელი ნომინალური სახელები, რომლებიც ქმნიან მეცნიერების, ტექნიკის, განათლების, კულტურის, მედიცინის, მრეწველობის, ეკონომიკის, სამართალდამცავი, სამხედრო, საეკლესიო და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მუშაკთა კლასიფიკატორულ ღია სისტემას. მაგალითად: **scientist** (მეცნიერი), **mathematician** (მათემატიკოსი), **cosmonaut** (კოსმონავტი), **doctor** (ექიმი), **pilot** (მფრინავი), **stewardess** (ბორტგამაცილებელი), **general** (გენერალი), **tailor** (მკერავი), **priest** (მღვდელი), **engineer** (ინჟინერი), **teacher** (მასწავლებელი), **poet** (პოეტი), **pianist** (პიანისტი), etc. ამ ჯგუფში შემავალ სახელთა თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ, ერთი მხრივ, შესაძლებელია მათი შემდგომი სუბკატეგორიზაცია დარგებისა და სპეციალობების მიხედვით; მეორე მხრივ კი, დასაშვებია მათი დიფერენცირება იმ რელემენტების მიხედვით, რომლებიც რეალიზებულია მათ ცნებით შინაარსში. ინგლისურ ენაში შეიძლება გამოიყოს ოთხი ძირითადი სახის რელაციური მიმართება და მათი გამომხატველი ნომინალური სახელები. ესენია:

- ა) მოღვაწეობის სახე → მოღვაწე: **to teach - teacher**;
(სწავლება → მასწავლებელი);
- ბ) მოღვაწეობის სფერო → მოღვაწე: **music - musician**
(მუსიკა → მუსიკოსი);
- გ) მოღვაწეობის ადგილი → მოღვაწე: **bank - banker**
(ბანკი → ბანკირი);
- დ) წარმოების იარაღი → შემსრულებელი: **violin - violinist**
(ვიოლინო → მევიოლინე).

2) ნომინალური სახელები, რომლებიც ამა თუ იმ მოქმედების შემსრულებელ ადამიანს ასახელებენ. ეს არის ნომინალიზებული დერეკტივები, რომლებიც ზმნებისგან იწარმოება სუფიქსების **-er** და **-or** დართვით. თანამედროვე ინგლისურში ეს სუფიქსები მოქმედი სუბიექტის, ანუ აგენსის ენობრივ მარკერებად გვევლინება: **to drink** → **drinker** (სმა → მსმელი), **to dance** → **dancer** (ცეკვა → მოცეკვავე), **to**

jump → jumper (ხტომა → ხტომელი), to kill → killer (კვლა → მკვლელი) და ა.შ..

3) ნომინალური სახელები, რომლებიც ადამიანის სახელდებას ახდენენ მისი ფუნქციის მიხედვით სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურებში. არსებით სახელთა ეს ჯგუფი წარმოდგენილია, ძირითადად, ფუნქციონერ მოხელეთა ნუსხით — სახელმწიფოთა მონარქებითა და პრეზიდენტით დაწყებული, უბრალო მოხელით დამთავრებული. მაგალითად: monarch (მონარქი), king (მეფე), queen (დედოფალი), president (პრეზიდენტი), premier (პრემიერი), minister (მინისტრი), governor (გუბერნატორი), mayor (მერი), ambassador (ელჩი), consul (კონსული), director (დირექტორი), manager (მენეჯერი), clerk (მოხელე) და ა.შ..

4) ადამიანის სოციალური სტატუსის აღმნიშვნელი ნომინალური სახელები, რომლებიც საზოგადოების მაღალი ფენების წარმომადგენლებს ასახელებენ ტიტულებისა და წოდებების მიხედვით, ხოლო დაბალი ფენებისას კი — მათი თვისობრიობის მიხედვით. მაგალითად: prince (პრინცი), princess (პრინცესა), aristocrat (არისტოკრატი), marquis (მარკიზი), marchioness (მარკიზა), duke (პერცოგი), duchess (პერცოგინია), peer (პერი), lord (ლორდი), count (გრაფი), baron (ბარონი), squire (ესკვიარი), pensioner (პენსიონერი), worker (მუშა), beggar (მათხოვარი), tramp (მაწანწალა), pauper (დატაკი, მათხოვარი) და ა.შ..

5) ნომინალური სახელები, რომლებიც ადამიანის სახელდებას ახდენენ საცხოვრებელ ადგილთან მიმართებაში, რაც შესაბამისად აისახება მათ სტრუქტურულ აგებულებაშიც. თანამედროვე ინგლისურ ენაში მათი ორი ტიპი გვხვდება:

ა) სუფიქსაციის შედეგად წარმოქმნილი სახელები, რომლებშიც ძირეული მორფემა მიუთითებს ლოკაციაზე, სუფიქსი კი — იქ მაცხოვრებელ სუბიექტზე (citizen - ქალაქელი, villager - სოფელი, provincial - პროვინციელი, mountainer - მთიელი, aslander - კუნძულელი, coaster - ზღვის ან ოკეანის სანაპიროზე მცხოვრები, Londoner - ლონდონელი და ა.შ.);

ბ) კომპოზიტები, რომლის პირველი ნაწილი კვლავ ლოკაციაზე მიუთითებს, მეორე კი — იქ მაცხოვრებელ ადამიანზე. მაგალითად: townsman (ქალაქელი კაცი), townswoman (ქალაქელი ქალი), town dweller (ქალაქის მაცხოვრებელი), countryman (სოფლელი კაცი),

countrywoman (სოფლელი ქალი), uplander (მთიელი), lowlander (ბარელი) და ა.შ..

6) ნომინალური სახელები, რომლებიც ადამიანის სახელდებას მისი დანაშაულებრივი საქმიანობის მიხედვით ახორციელებენ, რის გამოც მათ სემანტიკურ სტრუქტურაში დენოტატურ და სიგნიფიკატურ სემებთან ერთად ფიგურირებს უარყოფითი შეფასების გამომხატველი კონოტაციური ნიშან-თვისებებიც. ასეთი სახელებია: criminal (დამნაშავე), murderer/murderess (მკვლელი), blackmailer (შანტაჟისტი), traitor (გამცემი), spy (ჯაშუში), thief (ქურდი), robber (ყაჩაღი), pirate (მეკობრე) და სხვა.

7) თვისობრივი ნომინალური სახელები, რომლებიც ადამიანის სახელდებას ახდენენ მისი ფსიქიკური და გონებრივი მონაცემების, მორალურ-ზნეობრივი, რელიგიური თუ პოლიტიკური მრწამსის რაციონალურ-ემოციური შეფასების შედეგად. მათ რიცხვს მიეკუთვნება ისეთი სახელები, როგორცაა: genius (გენიოსი), lunatic (შეშლილი), fool (სულელი), idiot (იდიოტი), coward (მხდალი), tyrant (ტირანი), scoundrel (არამზადა), rogue (თაღლითი), drunkard (ლოთი), bluster (მკეხხარა), christian (ქრისტიანი), catholic (კათოლიკე), atheist (ათეისტი), cosmopolitan (კოსმოპოლიტი), snob (სნობი) და ა.შ..

ნომინალურ არსებით სახელთა კოგნიტურ ასპექტზე მსჯელობისას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ცალკე ქვეტიპად გამოვყოთ ე.წ. რელაციური სახელები, რომლებიც ექსტრალინგვისტური საგნის სახელდებას ახდენენ მისი მიმართებით სხვა რომელიმე საგნისადმი, რომელიც მოცემული სახელის დეტერმინანტად გვევლინება. მაგ.: David's wife, my neighbour, her daughter's friends და სხვა. რელაციურ სახელთა ნიშნობრივი თავისებურება მდგომარეობს მათი ცნებითი შინაარსის ფარდობითობაში, რომელიც მასში რეალიზებული სემებისა და რელემების ურთიერთმიმართების შედეგად იქმნება (სემა საგნის ობიექტურად დამახასიათებელი დენოტატური და სიგნიფიკატური ნიშან-თვისებების ამსახველია სიტყვის აზრობრივ სტრუქტურაში, მაშინ როდესაც რელემა სხვადასხვა საგნებსა თუ მოვლენებს შორის არსებული მიმართებების აბსტრაპირებას წარმოადგენს — ნ.კ.). რელაციურია, მაგალითად:

ა) ნათესაობის აღმნიშვნელი სახელები: wife (ცოლი), husband (ქმარი), father (მამა), mother (დედა), daughter (ქალიშვილი), son (ვაჭიშვილი), brother (ძმა), sister (და), grandfather (პაპა, ბაბუა), uncle (ბიძა), aunt (დეიდა, მამიდა, ბიცოლა), cousin (ბიძაშვილი), nephew

(დისწული ან ძმისწული ვაჟი), **niece** (დისწული ან ძმისწული ქალი), **fiance** (საქმრო), **fiancee** (საცოლე), **stepmother** (დედინაცვალი), **stepfather** (მამინაცვალი), **father-in-law** (მამამთილი ან სიმამრი) და სხვა;

ბ) მეგობრული ან მტრული ურთიერთობების აღმნიშვნელი სახელები — იხ. **friend** (მეგობარი), **enemy** (მტერი) და მათი სტილისტური სინონიმები: **pal**, **chum**, **buddy**, **cron**, **foe** და ა.შ.;

გ) მხარდაჭერის ან წინააღმდეგობის აღმნიშვნელი სახელები: **supporter** (მხარდამჭერი), **adherent** (მომხრე), **ally** (მოკავშირე), **opponent** (ოპონენტი), **rival** (მეტოქე), **adversary** (მოწინააღმდეგე) და სხვა;

დ) სოციალური ურთიერთობების აღმნიშვნელი სახელები: **employer** (დამქირავებელი), **employee** (დაქირავებული), **boss** (უფროსი, ბოსი), **subordinate** (ხელქვეითი), **host/hostess** (მასპინძელი), **guest** (სტუმარი), **master** (ბატონი), **servant** (მსახური) და სხვა;

ე) პარტნიორული ურთიერთობების აღმნიშვნელი სახელები: **colleague** (კოლეგა), **partner** (პარტნიორი), **comrade** (ამხანაგი), **companion** (კომპანიონი) და ა.შ.;

ვ) სასიყვარულო ურთიერთობების აღმნიშვნელი სახელები: **lover** (საყვარელი), **sweetheart** (სატრფო), **admirer** (თაყვანისმცემელი), **wooer** (მიჯნური), **swain** და სხვა.

ილუსტრირებულ სახელთა თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მათი აზრობრივი სტრუქტურა ეფუძნება რელაციურ კარკასს — რელემას, რომელიც მოცემულ შემთხვევაში შეიძლება განისაზღვროს როგორც „პიროვნებათაშორისი ურთიერთობები“ (“interpersonal relations”). მაგალითად, ნათესაობის აღმნიშვნელ სახელთა ლექსიკურ-სემანტიკური ველის მარგანიზებელ პიპერონიმად გვევლინება ლექსემა “relative” („ნათესავი“), რომლის სალექსიკონო დეფინაციაშიც ფიგურირებს ისეთი ზოგადკატეგორიული რელაციური ნიშან-თვისებები, როგორც არის პიროვნებებს შორის სისხლით ან ქორწინებით ნათესაობა:

relative - n. a person connected with another by blood relationship or marriage (4, 822).

ადამიანთა შორის ყველა დანარჩენი ნათესაური ურთიერთობები და მათი განმაზოგადებელი რელემები — პირდაპირი ნათესაობა/არაპირდაპირი ნათესაობა, ნათესაობის აღმავალი თაობა/დაღმავალი თაობა, ნათესავის მდებარეობითი სქესი /მამრობითი სქესი და ა.შ. უკვე იმ პარამეტრებად მოიაზრება, რომელთა მიხედვითაც ხორციელდება

ამ ლოგოკონცეპტუალური ველის შემდგომი დიფერენცირება.

ამრიგად, თანამედროვე ინგლისურ ენაში ნომინაციის კონსტიტუირი ასპექტი რელიზდება, პირველ რიგში, ტაქსონომიური და ნომინალური სახელების ოპოზიციურ პარადიგმაში, როგორც საგნობრივი სამყაროს ონტოლოგიური და პრაგმატიკული ლოგოკონცეპტუალური სისტემების ვერბალურ გამოხატულებაში.

ლიტერატურა

ლებანიძე, 1998 — გ. ლებანიძე, ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა. თბილისი: „ენა და კულტურა“, 1998.

კირვალიძე, ინაური, 1999 — N. Kirvalidze, N. Inauri, Semiological Typology of Anthroponyms in Modern English. // Bulletin of the Georgian Academy of Sciences, Volume 160, # 3, November - December, თბილისი, 1999, pp. 586 - 591.

კირვალიძე, ინაური, 1997 — N. Kirvalidze, N. Inauri, Object-Logical Typology of Anthroponyms in the English Language. // Bulletin of the Georgian Academy of Sciences, Volume 155, # 2, Tbilisi, 1997, pp. 307 - 309.

ლონგმენის ახალი უნივერსალური ლექსიკონი, 2002 — Longman New Universal Dictionary, 2002.

ოქსფორდის თანამედროვე ინგლისური ენის ლექსიკონი, 1984 — The Concise Oxford Dictionary of Current English. OUP, 1984.

ვოიშვილო, 1967 — E. Воишвилло, Понятие. М., 1967.

გაკი, 1987 — В. Гак, Онтологические и прагматические логические классы в тексте. В кн.: Язык как коммуникативная деятельность человека. М., 1987, с. 49 - 57.

კონდაკოვი, 1975 — Н. Кондаков, Логический словарь, М.: “Наука”, 1975, с. 339;

ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონი, 1990 — Лингвистический энциклопедический словарь. М.: «Советская Энциклопедия», 1990.

უფიმეცევა, 1986 — А. Уфимцева, Лексическое значение. Принцип семиологического описания лексики. М.: «Наука», 1986.

შატუნოვსკი, 1993 — И. Шатуновский, Синтаксически обусловленная многозначность (имя номинального класса → имя естественного класса). // ВЯ, 1993, №2, с. 73 - 80.

NINO KIRVALIDZE

Cognitive Aspect of Nomination and the Problem of Typology of Nouns in Modern English

Summary

თაგარ ლომთაჲ

The paper deals with the study of cognitive aspect of nomination implying the logics of the perception of the physical world, i.e. how things are perceived in the process of communication, according to: a) their objective, immanent features by which things are differentiated into ontological, natural classes or b) some additional characteristics ascribed to the target object by the speaker in accordance with which things are differentiated into pragmatic, logoconceptual classes. In Modern English this difference in the ways of the perception of the physical world is manifested in the oppositional paradigm of taxonomic and nominal qualitative nouns.

Taxonomic nouns serve as ontological classifiers as they nominate things according to their inherent, immanent features which can be perceived through one of the senses. The componential analysis of dictionary definitions of these nouns reveals that in their seme constitution denotational semes which are concrete by their nature prevail over significative ones. Due to this fact the sign status of taxonomic nouns can be defined as denotational-significative, or that of the mapping names of the object world for which the function of identification is primary whereas the function of predication is secondary.

Contrary to taxonomic names nominal ones serve as pragmatic classifiers of the physical world as they nominate things by ascribing some additional, acquired features to them. Due to this fact these names represent logoconcepts of qualitative nature as in their semantic structure significative semes prevail over denotational ones. Accordingly, the primary function of these nouns is that of the predication while their identifying function is treated as a secondary one.

მუსიციკონომისა და ანთონომის დამკვიდრების ტენდენციები ქართულში

ენათა კონტაქტებზე, მათ დადებითსა და უარყოფით შედეგებზე ბევრი ითქვა და დაიწერა.

ქართულ ენას თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში მრავალ ენასთან ჰქონდა კონტაქტი. როგორც ნ. მარი ამბობდა, „სალიტერატურო ქართული გამდიდრებულია სხვა კულტურებიდან შემოსული ტერმინოლოგიით. ძნელად თუ მოიძებნება სხვა ენა, რომელზეც ამდენი ენიდან ითარგმნებოდა ლიტერატურა: ბერძნულიდან, სომხურიდან, სირიულიდან, არაბულიდან, სპარსულიდან, თურქულიდან და ა.შ. (ბოლქვაძე, 2003, 10). სწორედ ამის შედეგია ის, რომ წარმართობასთან დაკავშირებული ლექსიკა ქართულში, ძველი სპარსულიდანაა ნასესხები, ქრისტიანობასთან დაკავშირებული — ბერძნულიდან, მესაქონლეობის — თურქულიდან და ა.შ.

ტერმინი „ენობრივი კონტაქტები“, ისევე როგორც „სესხება“ აღნიშნავს საკმაოდ რთულ პროცესს. ენობრივი კონტაქტების დროს ყველაზე ხელშესახებად წარმოჩნდება ენის გავლენა არა მარტო ენაზე, არამედ კულტურასა და ცივილიზაციაზე.

XVIII-XIX საუკუნეებიდან ქართული ენის ისტორიაში, ენობრივი კონტაქტების თვალსაზრისით, ახალი ეტაპი დაიწყო. კერძოდ, რუსეთის იმპერიაში შესვლის შემდეგ, ქართული ენის სხვა ენებთან კონტაქტები ახალი გზით წარიმართა. კერძოდ, ამ დროიდან იწყება საქართველოში ქართულისა და რუსულის ხანგრძლივი და პარალელური გამოყენება.

მართალია, რევოლუციამდელი და საბჭოთა ენობრივი პოლიტიკა სხვადასხვაგვარი იყო და შეიძლება ეტაპებიც კი გამოვყოთ, მაგრამ მთავარი და საყურადღებო ჩვენთვის არის ის, რომ რუსულის გავრცელება საქართველოში დამოკიდებული იყო როგორც სუბიექტურ, ისე ობიექტურ ფაქტორებზე. მაგალითად, რუსულ-ქართულ ბილინ-

გვიზმს ირჩევდნენ ქართველი არისტოკრატები, როგორც საზოგადოების სხვა წევრთაგან გამოცალკევების საშუალებას. მათთვის რუსული ენა უფრო პრესტიჟული იყო, ვიდრე ქართული და რუსულის გამოყენებით ხაზს უსვამდნენ თავიანთ სოციალურ მდგომარეობას. ამ შემთხვევაში ქართულ-რუსული ბილინგვიზმი ნებაყოფლობითია. რუსეთის იმპერია მიმართავდა ძალდატანებას და უკიდურესად ზღუდავდა სწავლა-განათლების მიღებას მშობლიურ ენაზე. იმ შემთხვევებში, როცა იძულებული იყვნენ გაეხსნათ სკოლები, სადაც სწავლა მშობლიურ ენაზე ხდებოდა, ყველაფერი იქითკენ იყო მიმართული, რომ ამგვარი სკოლადამთავრებულები არსებითად გაუნათლებლები დარჩენილიყვნენ. იქმნებოდა ხელოვნური ბარიერი და ქართულ-რუსული ბილინგვიზმი ძალით იყო თავსმოხვეული, ხოლო საბჭოთა პერიოდში ძირითადად, გავრცელდა შეფარული დანერგვის შემთხვევები. ამ დროს ხდებოდა ე.წ. „მეცნიერული დასაბუთება“ რუსული ენის პრიორიტეტისა — მაგრამ როგორც ტ. სიხარულიძე მიუთითებს, ეს პროპაგანდა ყველგან როდი ჭრიდა. სწორედ ასეთი გამონაკლისი იყო საქართველოც, რის გამოც 70-იანი წლებიდან მოთხოვეს დასამტკიცებლად სადისერტაციო ნაშრომის რუსულ ენაზე წარდგენა. რუსული აუცილებელი იყო კარიერის თვალსაზრისითაც (სიხარულიძე, 1999, 15). მხოლოდ რუსული გამოიყენებოდა სამხედრო სასწავლებლებში და უპირატესად რუსული ფიგურირებდა პარტიულ-სახელმწიფოებრივ სამსახურებშიც. ამ პერიოდში გამოდიოდა რუსული ჟურნალ-გაზეთები, აბრეზზე გავრცელებული იყო რუსული წარწერები. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად ქართული სახელმწიფო ენა იყო, ქვეყანაში დასტურდებოდა (ახლაც დასტურდება) რუსულ-სომხური, რუსულ-აზერბაიჯანული, რუსულ-ბერძნული ორენოვნება.

მაგრამ ამავე დროს აღსანიშნავია ისიც, რომ ქართულ-რუსული ენობრივი კონტაქტები ორმხრივად წარიმართა. როგორც რუსულიდან შემოდიოდა ქართულში სიტყვები (სესხებისა და კალკის გზით), ასევე ქართულიდან შევიდა რუსულში ლექსიკური ერთეულები: ტალავერი, დოლი, თამადა (იხ. გ. გოლეტიანი, 1972). შეიძლება ითქვას, რომ ქართულ-რუსული ენობრივი კონტაქტები ყველაზე ნათლად და მკვეთრად გამოვლინდა ლექსიკაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამავე დროს ხდებოდა ნასესხებ სიტყვათა გაქართულება, ქართულ ენობრივ ყალიბში მოქცევა, ხოლო რუსულში — პირიქით, გა-

რუსულდება ჰქონდა ადგილი.

ენათა ურთიერთობა ასრულებს უდიდეს როლს ადამიანთა საზოგადოების, კაცობრიობის წინვლა-განვითარებისათვის. ენათა ურთიერთობა არა მარტო ფაქტია, არამედ საკაცობრიო კულტურის პროგრესის ერთი უმნიშვნელოვანესი პირობათაგანია.

უცხო ენიდან მომდინარე ფონოლოგიური ერთეულის — სამეტყველო ბგერის ან, ვთქვათ, ინტონაციური სურათის შეღწევა ამა თუ იმ ენის ფონოლოგიურ სისტემაში ძალიან ძნელია. მიუხედავად იმისა, რომ ქართულსა და რუსულს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა და ამიტომ ეს კონტაქტი თითქოს ფონოლოგიურ და გრამატიკულ მხარეზე უნდა ასახულიყო, ასე არ მოხდა. იყო მცდელობა რუსული ბგერის დამკვიდრებისა ქართულში, მაგრამ როგორც ცნობილია — ის მარცხით დამთავრდა, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ქართულში, ზეპირმეტყველებაში ეს ბგერა გამოიყენება (ლიქტი მუშაობს?). ასევე ითქმის მორფოლოგიური ინვენტარისა და სიტყვათწარმომქმნელი მექანიზმის შესახებ.

რუსულთან კონტაქტით გამდიდრდა კიდევ ქართული ენა. რუსული ბიძგის მიმცემი აღმოჩნდა ზოგ შემთხვევაში ჩვენი ენის შინაგანი პოტენციის გამოსავლინებლად. ეს ეხება როგორც ამა თუ იმ ლექსემის სემანტიკური სფეროს განვითარებას (ფილტვების **ანთება**), ასევე რუსულიდან შემოსული ახალი მნიშვნელობის სიტყვებით ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრებას (სამოვარი, ფოსტა, პოლკოვნიკი, აფთიაქი, თვითმფრინავი), აგრეთვე გრამატიკული ინვენტარის გადაზარებასაც (განსახლება, განქორწინება, წარმოდგენა).

ამასთანავე გაზიარდა რუსიციზმებით ენის დანაგვიანება (სტოლი, პოლი, პივა, საროჩკა, ქვიშა, შკაფი, სპიჩკა, ლუსტრა, ტორმუზი, სუღია, ვაფშე, კაროჩე, ვსიო).

1990-იანი წლებიდან საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. მოხდა ქართული ენის ფაქტობრივი და იურიდიული სტატუსის გათანაბრება. შეწყდა წარწერების, აბრეზების დუბლირება, ქართული ენის გამოყენება და გავრცელება დაიწყო ყველა სფეროში. ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი ამ პერიოდში ისეთ მაღალ დონეზე იყო, რომ უცხოენოვან მოსახლეობაშიც კი ქართულის ცოდნის აუცილებლობის შეგნება არსებითად გაიზარდა. შემცირდა რუსული სკოლებისა და ჟურნალ-გაზეთების რაოდენობა. ქართული ენა თანდათან იძენს იმ სოციოლინგვის-

ტურ ფუნქციებს, რაც რუსულს ჰქონდა მთელი საუკუნის განმავლობაში. მაგრამ ამავე პერიოდში რუსული ენის შევიწროება (და ქართულისაც) მეორე მხრიდანაც — ინგლისურიდან დაიწყო.

ანგლიზაცია-ამერიკანიზაცია ქართულ ენას ისევე შეეხო, როგორც რუსიფიკაცია. მართალია, თვითონ ამერიკა არ მიმართავს ძალდატანებასა და იძულებას, მაგრამ კვლავ აუცილებელია ინგლისურის ცოდნა კარიერის თვალსაზრისით. რუსულენოვანი წარწერები, აბრები ინგლისურმა შეცვალა.

თუ რუსიციზმები ძირითადად, გავრცელებული იყო ყოველდღიურ, სასაუბრო ენაში, ანგლო-ამერიკანიზმები მაღალი სოციალური წრის წარმომადგენელთა (პარლამენტარები, ჩინოვნიკები, ჟურნალისტები) მეტყველებაშია გავრცელებული და პროპაგანდა ტელევიზიითა და პრესით ხდება. ამ მხრივ საბჭოთა პერიოდში არსებული ცენზურა ნამდვილად დადებით როლს ასრულებდა.

ანგლო-ამერიკანიზმების დამკვიდრებას ხელს უწყობს ა) სოციალური პრესტიჟი, რომელიც დღევანდელ ქართულ საზოგადოებაში ინგლისურს აქვს. ბ) ტექნოლოგიური ცივილიზაციის აგრესიული ზეწოლა (ამ დროს შეიძლება ენა კიდევ გამდიდრდეს ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ტერმინებით, თუ ზომიერება იქნება დაცული), გ) კანონების თარგმნა (ქართული ენისათვის ერთ-ერთი მტიკინული ადგილია ოფიციალური დოკუმენტების ენა, რომელიც უცხოენოვანი კალკებით გაივსო, იმის გამო, რომ ქართული ენის სიმდიდრე და შესაძლებლობანი მივიწყებულია (წიბახაშვილი, 2004), დ) რეალობის ენობრივი შენიღბვის მცდელობა (ამ შემთხვევაში უცხო სიტყვა ასრულებს თავისებური ნიღბის როლს. მაგალითად, ს. ომიადე მიუთითებს, რომ სემანტიკურად ჯერ აუთვისებელი უცხო წარმომავლობის სიტყვები შესატყვისი ქართული სიტყვის ეკვივალენტურად არ აღიქმება. მსმენელი მათში რაღაც სხვა საზრისს ეძებს (ომიადე, 2006, 224) და სხვა.

განსაკუთრებით „მძიმე“ სიტუაციაა მასმედიის ენაში, პოლიტიკოსთა, ე.წ. „შოუბიზნესის“ წარმომადგენელთა მეტყველებაში, სპორტის ენაში, რაც არაერთხელ იქცა მსჯელობისა და კამათის საგნად (იხ. კვარაცხელია, 2004; ტაბიძე, 2001). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით არავითარი წინსვლა ამ მიმართულებით არ იგრძნობა.

განსაკუთრებით თვალშისაცემია მცდელობა შეიცვალოს ქართუ-

ლისათვის დამახასიათებელი ინტონაცია. ამერიკისაგან რომ ძალდატანებას არ განვიცდით, ეს კიდევ უფრო დიდ საშიშროებას ქმნის უმართებულო სესხებისათვის. ცნობილია, რომ სესხების თვალსაზრისით, ერი სწორედ იმ ხალხის ენას ერიდება ინტუიციურად, ვისგანაც განიცდის ძალდატანებას (ჯორბენაძე, 1997, 53). ამიტომ, ალბათ, სწორედ ამ იძულების არქონით უნდა აიხსნას ისეთი სიტყვების სესხება და შემოტანა ენაში, რომლის ეკვივალენტიც ქართულს ერთი კი არა რამდენიმე გააჩნია (ფართი, ლეგალი, მესიჯი, ნიუსი, კასტინგი, ტრენინგი, დერბი, ფლეი-ოფი...).

მართალია, არსებობს ინგლისურენოვანი გადაცემები, ჟურნალ-გაზეთები, საზოგადოებაში მაღალი პრესტიჟი ინგლისურისა, კარიერისათვის აუცილებლობა მისი ცოდნისა და ა.შ., მაგრამ ინგლისურმა ჯერ კიდევ ვერ შეიძლო ყველა რგოლში ჩანაცვლებოდა რუსულს. მან ჯერ კიდევ ვერ შეიძინა ის სოციოლინგვისტური ფუნქციები, რომელიც ჰქონდა მის წინამორბედს. მაგალითად, უცხოენოვანი მოსახლეობისათვის რუსული ჯერ კიდევ კომუნიკაციის ერთადერთ საშუალებად რჩება. ზოგ სფეროში ისე აქვს ფეხი მოკიდებული რუსიციზმებს, რომ მათი შენაცვლება ქართული ლექსიკური ერთეულებითაც კი ვერ ხდება. მაგალითად, ავტომობილები თავდაპირველად რუსეთიდან შემოდიოდა და ამიტომ ავტოსათადარიგო ნაწილებსაც რუსული ლექსიკა შემოჰყვა. დღეს, მართალია, ავტომობილები ევროპიდან და ამერიკიდან შემოაქვთ, მაგრამ ლექსიკა მაინც რუსული დარჩა (ცეპლენია, ტორმუზი, მოტორი...). ასევე გაბატონებულია რუსიციზმები ზოგ სოციალურ ჯგუფში. მაგალითად, მედიცინის მუშაკებთან პროფესიონალიზმები ძირითადად რუსულია, ნარკომანებისა და კრიმინალეების მეტყველებაში რუსული ჟარგონიზმებია გავრცელებული და ა.შ.

იმედია, ენა კვლავ შეასრულებს თვითგანწმენდის მისიას (რადგან დღესდღეობით სხვა საშველი არ ჩანს). განსაკუთრებით თუ ეროვნული სულსკვეთება სათანადოდ იქნება წარმოჩენილი, მაშინ ქართული სალიტერატურო ენა, რომლის სიმდიდრე და მოქნილობა ყველასათვის ცნობილია, კვლავ გაიწმინდება მავნე მინარევებისაგან და თავისი განვითარების ბუნებრივი გზით გააგრძელებს განვითარებას.

ბოლქვაძე, 2003 — თ. ბოლქვაძე, ენა და დიდი ტრადიცია, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის ავტორეფერატი, თბ. 2003.

გოლეთიანი, 1972 — Голетиани, Грузинская лексика в русском языке, Тб., 1972.

გ. კვარაცხელია, 2004 — გ. კვარაცხელია, მასმედიის ენა — ყველაფერი ნებადართულია? საქართველოს რესპუბლიკა, №84, 14 აპრილი, 2004.

ომიაძე, 2006 — ს. ომიაძე, უცხო სიტყვა — უცხო მენტალობა ეროვნულ დისკურსში. საენათმეცნიერო ძიებანი XXIII, თბ., 2006

სიხარულიძე, 1999 — ტ. სიხარულიძე, ენობრივი სიტუაციის, ბილინგვიზმისა და დიგლოსიის დინამიკა რუსული და კავკასიური ენების მასალაზე. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის ავტორეფერატი, თბ. 1999

ტაბიძე, 2001 — მ. ტაბიძე, მასმედიის ენის სოციალური შეგნებისათვის. თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის რესპუბლიკური კონფერენცია, თბ. 2001

წიბახაშვილი, 2004 — გ. წიბახაშვილი, ენის კანონები და კანონების ენა, ბურჯი ეროვნებისა, 10-12, თბ. 2004

ჯორბენაძე, 1997 — ბ. ჯორბენაძე, ენა და კულტურა, თბ. 1997

Tendencies in the Establishment of Russianisms and Anglicisms in Georgian

Summary

The eighteenth and nineteenth centuries mark the beginning of a new period of language contacts in the history of Georgian. This was largely conditioned by the fact that Georgia became a part of the Russian empire.

The spread of Russian was caused by objective as well as subjective factors; it was a voluntary process as well as a forced one.

The Georgian-Russian contacts were bilateral; there appeared Georgian borrowings in Russian and Russian Loan words were introduced into Georgian. Since 1990s (since Georgia regained its independence) the situation has greatly changed, the Russian language has gradually lost its sociolinguistic functions in Georgia. Now the Georgian language has de facto as well as de jure status.

However, the prestigious Russian is being replaced by English, though the introduction of anglicisms are not as forceful Russianisms are still used in certain social layers, while Russianisms used to be typical of the colloquial speech, Anglo-Americanisms are characteristic of the speech used by the representatives of a higher social layer, They are widely used by the mass media.

კობა ლომიძე

სპორტის სფეროში გამოყენებული ანგლიციზმები და მათი ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი

მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეული შესაძლებელია გამოიყოს როგორც ქართული ენის განვითარების ახალი ეტაპის დასაწყისი. მრავალი მიზეზის გამო:

- არსებითი ცვლილებები მის ფუნქციურ სტატუსში და ფუნქციური სტილების სისტემაში;
- მისი ურთიერთობა სახალხო-სალაპარაკო ენასთან და სხვა ენებთან;
- ცვლილებები მისი ლექსიკის, ფრაზეოლოგიის, სიტყვაწარმოების, გრამატიკის სისტემაში;
- კომუნიკაციურ-პრაგმატული ხასიათის ცვლილებები და ა. შ.

ქართული სპორტული ტერმინოლოგია, როგორც ასეთი, მეოცე საუკუნეში დანარჩენი ლექსიკისაგან აშკარად გამოიკვეთა. ეს ეხება არა მარტო ქართულს, არამედ თითქმის ყველა თანამედროვე ენას. ამის მიზეზია ის, რომ მეოცე საუკუნეში სპორტი განვითარების მაღალ საფეხურზე ავიდა, გაჩნდა სპორტის ახალი სახეობები. ახალი სპორტული სიტყვების დამკვიდრებას ენაში კი ხელი შეუწყო სპორტული ჟურნალისტიკის განვითარებამ. როდესაც საუბარია ინგლისურენოვან ნასესხებ სიტყვებზე ქართულ სპორტულ ტერმინოლოგიაში, საჭიროა 90-იან წლებამდე და მის შემდეგ ნასესხებ სიტყვებს შორის გავავლოთ ზღვარი. 90-იანი წლები ეს ის პერიოდია, როცა საბჭოთა კავშირი იშლება და ამასთან ერთად მის გარშემო იხსნება როგორც ტერიტორიული, ისე თვალთ შილავი საზღვრები. ამ დროს ჩვენში ინტენსიურად შემოდის დასავლური კულტურა. ეს ყოველივე კი სპორტზეც აისახება. ეს არის დრო, როცა ქართული სახელმწიფო დამოუკიდებლად იწყებს არსებობას და, შესაბამისად, ყალიბდება ამა თუ იმ სპორტის მიმდევართა ეროვნული (ანუ საქართველოს) კავშირები და ფედერაციები. სპორტის სახეობის სხვადასხვა ეროვნული

ფედერაციები შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრიანდება და ქართველ სპორტსმენებს საშუალება ეძლევათ საერთაშორისო არენაზე იასპარეზონ, ამჟღავნებენ არა საბჭოთა კავშირის (ანუ რუსეთის) სახელით. საერთაშორისო სპორტთან ახლო ურთიერთობამ გააჩინა იმის აუცილებლობა, რომ ქართული სპორტული ტერმინოლოგია საერთაშორისოდ მიღებულ ნორმებს შეესაბამებოდეს და რადგან ინგლისური ენა სხვასთან ერთად სპორტის ენაცაა, ამიტომ საერთაშორისო სპორტულ ტერმინოლოგიაშიც ძირითადად ინგლისურენოვანი ტერმინები მკვიდრდება. ველოსიპედის ხელახალი გამოგონება იქნებოდა, რომელიმე ენის სიწმინდის დამცველს, რაიმე შესატყვისი მოეძია თამაშის სახეობებში ისეთი ტერმინებისათვის როგორცაა, მაგალითად: დრიბლინგი (dribbling) ან დერბი (derby). dribble ინგლისურად, სხვა მნიშვნელობებთან ერთად, მეტოქე გუნდის მოთამაშეებს შორის ბურთით სიარულს ნიშნავს და ადვილი არ არის მას ისეთი ქართული შესატყვისი მოუძებნო, რომელიც მოკლე — ერთი სიტყვისგან შემდგარი იქნება და ამავე დროს მოვლენის არსს ნათლად გამოხატავს. თუმცა მონდომებული ადამიანი მოვლენის შინაარსიდან გამომდინარე მაინც მოძებნიდა შესაფერის სიტყვას, მაგალითად „გარღვევა“, მაგრამ ეს სრულიად ზედმეტი, და არასასურველი იქნებოდა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ სიტყვას „გარღვევა“ მრავალი სემა გააჩნია და დრიბლინგი მისი ერთერთი ბოლო მნიშვნელობა იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მის აღსანიშნად გამოვიყენებდით. და მეორეც, თანამედროვე სპორტში ენებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია უნიფიცირებული ტერმინოლოგია, რადგანაც მუსიკის მსგავსად სპორტი, და ასე ვთქვათ, სპორტის, როგორც სანახაობის, ენა ყველასათვის გასაგებია. და რაღა თქმა უნდა, სხვადასხვა ქვეყნის სპორტთან დაკავშირებული ადამიანებისათვის საჭიროა უნიფიცირებული ლექსიკონი.

ქართული სპორტული ლინგვოკულტურა, როგორც სუბკულტურული წარმონაქმნი, მთლიანობაში განიცდის XX საუკუნის ბოლოს კულტურულ-ენობრივი ტენდენციების ზეგავლენას. გაბატონებული ტენდენციაა სპორტული ტერმინოლოგიის ლექსიკური შემადგენლობის ინგლისურენოვანი ნასესხები სიტყვებით გამდიდრება. ინგლისურენოვან ნასესხებ სიტყვათა რაოდენობის ზრდას ქართულ სპორტულ ტერმინოლოგიაში ხელს უწყობს ცენზურისა და ავტოცენზურის შესუსტება, ოფიციალური სახალხო მეტყველების მკვეთრი ჩარჩოების არარსებობა. XX საუკუნის ბოლოს გამოიკვეთა ამერიკელთა სოცია-

ლურ-პოლიტიკური და გარკვეულწილად კულტურული უპირატესობა, ქართული სპორტის ენა „გამდიდრდა“ ამერიკაშიზმებით, რომლებიც სპორტულ ლექსიკაში სხვადასხვა სახეობაში საკმაოდ სწრაფად დამკვიდრდნენ.

ინგლისურენოვანი ნეოლოგიზმების უმრავლესობა სპორტულ ლექსიკაში მიეკუთვნება ეგრეთ წოდებულ პირდაპირ ნასესხებ სიტყვებს და წარმოდგენილია შემდეგი თემატური ჯგუფებით: სპორტული თამაშებისა და სპორტის სახეობების სახელწოდებები (*გოლფი, ბობსლეი*); კონკრეტული სპორტის წარმომადგენელთა სახელწოდებები (*ჰაფ-ბეჯი, ფორვარდი*); მოძრაობების, ილეთების, მდგომარეობების სახელწოდებები (*პრესინგი, მატჩპოინტი*); სპორტული ინვენტარის სახელწოდებები (*პანჩინგბოლი, ბუცი*); შეცდომების, დარღვევებისა და სასჯელების სახელწოდებები (*ოფსაიდი, ფოლი*); საასპარეზო სპორტული მოედნების ან მისი ნაწილის სახელწოდებები (*ტრეკი, ფინიში*); პაექრობათა ტიპებისა და ნაწილების სახელწოდებები (*გიგანტური სლალომი, რაუნდი*).

XX საუკუნის ბოლო ათი წლის მანძილზე საქართველოში შემოვიდა სპორტის ახალი სახეობები (სნოუბორდინგი, ბილიარდი, სერფინგი), რომლებმაც მალე დაკარგეს ეგზოტიკური კოლორიტი. მათთან ერთად ქართული სპორტის ლექსიკაში შემოვიდა და საკმაოდ მალე იქნა ათვისებული ტერმინოლოგიური მიკროსისტემები, რომლებიც სპორტის ამა თუ იმ სახეობას ემსახურებოდნენ.

ინგლისურ-ამერიკული ენობრივი ექსპანსია თვალნათლივ აისახა სამთო-სათხილამურო სპორტის სახეობათა ტერმინოლოგიაში (გიგანტური სლალომი, სპრინტერი), სადაც დიდი რაოდენობით გამოჩნდა უცხოური ვიწროპროფესიული სიტყვები, დაკავშირებული მოძრაობითი აქტივობის სპეციფიკასთან და ამა თუ იმ სახეობის წესებთან. ტერმინების გარდა, ქართული სპორტული ლინგვოკულტურა შეივსო რამდენიმე ათეული ინგლისურენოვანი უარგონიზმით და სლენგით, რომელთა უმრავლესობამ სწრაფად დაკარგა უცხოური ელფერი და შეითვისა ქართულმა ენამ.

ქართულ სპორტულ ლექსიკაში ახალი სიტყვების ათვისების პირველ ეტაპს ახასიათებს ფორმის ვარირება, ორთოგრაფიისა და წარმოთქმის არამდგრადობა. ქართული ენისათვის არადამახასიათებელი წარმოთქმისა და ფონეტიკური ნიშნების მქონე სიტყვების გამოჩენა გამონაკლისი კი არ არის, არამედ ძირითადი ტენდენციაა. კერ-

ძოდ, ნორმად იქცა ქართული ენისთვის უჩვეულო ბგერათმეხამებები. ქართულ ენაში სპორტული ანგლიციზმების ფონეტიკურ-ორთოგრაფიული ადაპტაციის პროცესში მათი ფორმა სტაბილიზდება, უახლოვდება ენა-რეციპიენტის ნორმებს და შორდება თავის უცხოურ ეტიმონს, რაც ანგლიციზმების ფონეტიკური ადაპტაციის ძირითად პრინციპებს მთლიანად ეთანხმება თანამედროვე ქართულ ენაში.

სპორტული ანგლიციზმების ათვისების სისწრაფე ქართულ ენაში უპრეცედენტოდ მაღალია. ლექსიკურ-სემანტიკურ პლანში სრულიად ათვისებულია, როგორც ადრე ნასესხები ანგლიციზმების დიდი რაოდენობა, რომლებმაც დროთა განმავლობაში ინტეგრირება მოახდინეს ქართული ენის სისტემაში და გახდნენ **სემანტიკურად ავტონომიურები**, ისე ბოლო ათწლეულში ნასესხები სიტყვები.

ქართული ენის სისტემაში ინტეგრირების პროცესში, სპორტული ანგლიციზმები აქტიურად ავლენს სიტყვაწარმოების უნარს. ახალ სიტყვებს ქართული მოდელის მიხედვით აწარმოებს. დერივაციული აქტივობის მიხედვით პირველ ადგილს იკავებენ ნასესხები არსებითი სახელები. ამგვარად ბევრი სპორტული ანგლიციზმი ქართულ ნიჟარადაგზე წარმოებულს იძლევა. ამგვარად წარმოიქმნება დერივატები, რომლებიც არ გვხვდება ინგლისურში, მის არც ერთ ვარიანტში. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სიტყვა უხვგოლიანი, რომლის მსგავსი შინაარსის სიტყვა ინგლისურში არ გვხვდება.

არსებობს სხვადასხვა ფაქტორი, რის გამოც ქართული ენა ითვისებს ახალ ანგლიციზმებს. ქართულ სპორტულ ლექსიკაში ინგლისურენოვანი სიტყვების წილი ყოველთვის დიდი იყო. ინგლისური წარმოშობის სპორტული ტერმინები იმდენად შეერწყა თანამედროვე ქართულს, რომ მათი უცხოური წარმომავლობა არც კი იგრძნობა (**სტარტი, ფინიში, რეკორდი** და სხვა).

სწორედ ამ მიზეზთა გამო სპორტული ტერმინოლოგია ინგლისური ენიდან ადვილად იგება ნასესხები ახალი სიტყვებით. ამ თემატურ ჯგუფში შემავალი სიტყვები შესაძლოა დავაჯუფოთ რამდენიმე ლექსიკურ-სემანტიკურ პარადიგმად.

ერთ-ერთი მათგანია ის ლექსემები, რომლებიც ახალი რეალიების სახელდებისთვის კი არ არის ნასესხები, არამედ უკვე არსებული ცნობილი სპორტული მოვლენების უფრო რაციონალური გამოხატვის მიზნით: **ოვერტაიმი** (*დამატებული დრო*), **ფლეი-ოფი** (*თამაშგარე მდგომარეობა*), **ტრანსფერი** (*გუნდიდან გუნდში გადასვლა*), **დრაფ-**

ტი (მოთამაშის შერჩევა). ესენი ის ერთსიტყვიანი ანგლიციზმებია, რომლებიც ენა-რეციპიენტში არსებულ, ცნობილი სპორტული მოვლენების აღმნიშვნელ სიტყვათშეხამებებს ენაცვლებიან.

თანამედროვე ქართულ ენაში სპორტული ტერმინის სახით, განსაკუთრებით კალათბურთში, ფართოდ გამოიყენება ანგლიციზმი **ოვერტაიმი**, თამაშის ძირითად დროზე დამატებული წუთების აღსანიშნად, რომელიც, როგორც წესი, ფრე ანგარიშის დროს ინიშნება სპორტულ თამაშში. მაგალითად, „**ოვერტაიმი** ქართველ კალათბურთელთა უპირატესობა აშკარა იყო“. ლექსემას ოვერტაიმი (ინგლ. overtime) — მრავალი მნიშვნელობა გააჩნია დონორ ენაში, მათ შორის — მეცადინეობის ან მუშაობის დამატებითი საათები, დამატებული სამუშაო დროის ასანაზღაურებელი თანხა. ქართულში იგი შემოდის არასრული სემანტიკური მოცულობით, მხოლოდ დამატებულ დროს აღნიშნავს და ისიც მხოლოდ — სპორტულ კონტექსტში.

ფლეი-ოფი (ინგლ. play-off) — სპორტული ტერმინია, რომელსაც ინგლისურ ენაში აქვს ორი მნიშვნელობა: 1) გადამწყვეტი შეხვედრა, 2) დამატებითი შეხვედრა თანაბარი ქულების შემდეგ. ქართულ ენაში ეს სიტყვა უფრო მეორე მნიშვნელობით გამოიყენება, რაზეც მიუთითებს შემდეგი მაგალითი: „ამ გამარჯვებით ჩემპიონთა თასის მფლობელებმა ფლეი-ოფში გასვლის შანსები შეინარჩუნეს“ (11X11 №279, 2004). *ფლეი-ოფთან* ხშირად გამოიყენება შემდეგი კოლოკაციები: *ფლეი-ოფში გასვლა*; *ფლეი-ოფში მოხვედრა*.

აღსანიშნავია, რომ ნასესხებმა ისეთმა სიტყვამ, როგორცაა ინგლისური **play-off**, ქართულ ენაში დეფისი შეინარჩუნა. როგორც ვიცით, დეფისი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა ორი სიტყვის მნიშვნელობა სხვადასხვა ცნებიანია. ამიტომაც დეფისი ლოგიკურია ინგლისურ ეტიმონში **play-off**, რადგან არსებობს მორფემები **play** და **off**, მაგრამ, ჩვენი აზრით, ქართულში ასეთ ნასესხებებს სიტყვაში დეფისის გამოყენება არალოგიკური და ზედმეტია. *ფლეი-ოფი* ქართული სპორტის ენაში ერთ მოვლენას, ერთ ცნებას აღნიშნავს და მისი დაყოფა *ფლეი* და *ოფ* ნაწილებად მნიშვნელობის მქონე სიტყვებს არ გვაძლევს, რადგან მიღებული ფსევდოსიტყვები ქართულ ენაში არ გვხვდება. თავისი არსებობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ქართულმა ისე, როგორც ყველა სხვა ენამ, ლექსიკონი მრავალი უცხოური ენის სიტყვებით შეივსო და ეს სიტყვები ქართული ენის სისტემაში არსებული ფონოლოგიური, მორფოლოგიური, თუ ორთოგრაფიუ-

ლი წესების შესაბამისად გადაამუშავა. ამგვარად, სიტყვაში ფლეი-ოფი, როგორი სახითაც ამ სიტყვას ქართული პრესის ფურცლებზე გვხვდებით — დეფისი არანაირ როლს არ თამაშობს. იგივე შეიძლება ითქვას სხვა ანგლიციზმებზეც, რომლებიც დეფისით იწერება. თუმცა დეფისის არსებობა ანგლიციზმში ეტიმონთან მისი ჯერ კიდევ შენარჩუნებული კავშირის წარმოჩენით შეიძლება გავამართლოთ, თუმცა ნასესხები სიტყვები, რაც უფრო მეტად მკვიდრდება ენაში და ინტეგრირდება ამ ენის სისტემაში, მით უფრო კარგავს ეტიმონის ნიშნებს.

ამავე ჯგუფში შედის სიტყვა **ტრანსფერი** (transfer), რომლის პირდაპირი თარგმანი *გადაცემა, გადაყვანა*. ქართულ და ინგლისურ სპორტულ ტერმინოლოგიაში იგი გამოიყენება მნიშვნელობით „სპორტსმენის გადასვლა ერთი გუნდიდან მეორეში (როგორც წესი უცხოურში) კონტრაქტის პირობებში“. მისგან ნაწარმოებია ზედსართავი სახელი **სატრანსფერო**, კოლოკაციით **სატრანსფერო სეზონი**.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ სპორტულ ტერმინოლოგიაში ანგლიციზმები დიდი რაოდენობითაა, გვაქვს ქართულ ძირზე ნაწარმოები შემდეგი აქტიურად ხმარებადი სიტყვები: *მცველი, ნახევარ-მცველი, საჭარბო, თავდამსხმელი, მსაჯი* და ა.შ. ბევრ ასეთ სიტყვას ინგლისურიდან ნასესხები წყვილი სინონიმის სახით არ გააჩნიათ.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სპორტული პაექრობების სახელწოდებების უმეტესობა ქართულენოვანია: *ფეხბურთი, კალათბურთი, ხელბურთი, წყალბურთი, ჩოგბურთი*. იმავე თამაშების აღსანიშნავად მრავალი ენა, მათ შორის რუსულიც (**футбол, баскетбол, волейбол, гандбол**), ანგლიციზმებს იყენებს. მაგალითად:

football	ფეხბურთი	футбол
basketball	კალათბურთი	баскетбол
power lifting	ძალოსნობა	пауэрлифтинг

თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ქართულშიც არის ინგლისური წარმომავლობის სპორტის სახეობათა სახელწოდებები. ესენია: *გოლფი, ბოქსი* და ა. შ.

ხშირ შემთხვევაში ქართულ ენაში ინგლისურენოვან ნასესხებ სიტყვებთან ერთად იმავე ცნებისა თუ მოვლენის აღმნიშვნელი ქართული სიტყვებიც თანაარსებობს. მაგალითად:

referee	რეფერი	მსაჯი
linesman	ლაინსმენი	გვერდითი მსაჯი
offside	ოფსაიდი	თამაშგარე

fan	ფანი	გულშემმატიკივარი
half-back	ჰაფბეკი	ნახევარმცველი
forward	ფორვარდი	თავდამსხმელი

მოცემული სიტყვების სემანტიკური ველი თითქმის ერთია. თუმცა ანგლიციზმებს შედარებით უფრო ვიწრო სემანტიკური ველი ახასიათებს. ასე, მაგალითად **ფანი** შესაძლოა იყოს მხოლოდ სპორტული გუნდის, სპორტსმენის ან პოპულარული შემსრულებლის გულშემმატიკივარი, ხოლო **გულშემმატიკივარს** სემების უფრო ფართო სპექტრი ახასიათებს. იგივე შეიძლება ითქვას **ფორვარდზე**, ის მხოლოდ სათამაშო სპორტულ სახეობებში გამოიყენება. **თავდამსხმელი** კი შესაძლოა იყოს ბოროტმოქმედი, რომელიც გაძარცვის მიზნით მსხვერპლს თავს ესხმის.

სპორტული ანგლიციზმების კიდევ ერთი ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი, რომელსაც საერთო სემანტიკური თვისება — „აგენტურობის“, მოქმედი პირის თვისება და საერთო სტრუქტურული ელემენტი სუფიქსი **er** აქვს, მოიცავს ანგლიციზმებს, რომლებიც სპორტსმენთა საქმიანობას გვიჩვენებს (*ბაიკერი, ფლეიმეიკერი, რაიდერი, როლლერი, გოლკიპერი*). ამ სიტყვების ენაში შემოსვლას და შემდგომ ათვისებას ხელს უწყობს მსგავსი ტიპის უფრო ადრეულ ეტაპზე ნასესხები სიტყვების არსებობა (*ბოქსიორი, იუნიორი* და ა. შ.).

უკანასკნელ პერიოდში იმ მოთამაშის აღსანიშნავად, რომელიც ძირითადი ფიგურაა თამაშში, სულ უფრო ხშირად გამოიყენება სიტყვა **ფლეიმეიკერი**. მაგალითად, გვაქვს ასეთი კოლოკაცია *გუნდის ფლეიმეიკერი*.

ახალი სიტყვები, რომლებიც სპორტის ნაირსახეობებს აღნიშნავს (*სნოუბორდინგი, სთრიტ-რეისინგი, სპინინგი, ბობსლეი* და სხვა) ცალკე ლექსიკურ-სემანტიკურ პარადიგმას ქმნის.

ლექსიკურ-სემანტიკურ კიდევ ერთ ჯგუფში ჩართულია ის ანგლიციზმები, რომლებიც სპორტული ინვენტარის სახელწოდებებს აღნიშნავს: *სკეიტბორდი, სკუტერი*. ამ შემთხვევაში სესხების ერთ-ერთი მიზეზი იმის მოთხოვნილებაა, რომ შესაბამისი ცნება დაზუსტდეს და დეტალურად წარმოჩინდეს. შესაძლოა სპორტული ინვენტარის ამა თუ იმ ნივთის სახელწოდება უკვე არსებობდეს ქართულში, მაგრამ ეს ხელს ვერ უშლის ახალი უფრო პრესტიჟული სიტყვის შემოსვლას. ამგვარად, ენაში უკვე არსებული და ახლად ნასესხები სიტყვები თითქმის სემანტიკური გავლენის სფეროებს იყოფს ერთმა-

ნეთში, ამასთან, ეს სფეროები შეიძლება რაღაც წერტილში გადაიკვეთოს, მაგრამ მთლიანად ერთმანეთს არასდროს ემთხვევა. იგივე ეხება სიტყვებს *ბაიკი* (მოტოციკლი) და სკუტერი.

კიდევ ერთი სპორტული ინვენტარის სახელწოდებაა *სკეიტბორდი* (**skateboard — to skate — სრიალი + board — დაფა**) — სპეციალური დაფა საგორაო ბორბლებით. მსგავსი ანგლიციზმია სნოუბორდი (**snowboard**), ამ შემთხვევაში დაფა თოვლზე სრიალებს. ეს სიტყვები ნასესხებია ახალი საგნების სახელდებისათვის.

უნდა ითქვას, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებში გამართული ტურნირების, ჩემპიონატებისა და სხვა პაექრობათა სახელწოდებები ორიგინალის სახით შემოდის ქართულში. ასეთებია მაგალითად, **NBA** ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი საკალათბურთო ტურნირი. ინგლისურში ის იმიფრება როგორც ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია (**National Basketball Association**), თუმცა სპორტულ ახალ ამბებში ძირითადად *ენ ბი ეი* გამოიყენება. ეს მარტო ინგლისურ ტურნირებს კი არ ეხება, არამედ იგივე შეიძლება ითქვას გერმანულ ბუნდესლიგაზეც.

საინტერესოა, აგრეთვე საერთაშორისო ტურნირების ჯგუფების სახელდება. ის უმეტეს შემთხვევაში ინგლისური ან ნახევრად ინგლისურია. ასე, **Group H** ქართველი სპორტული ჟურნალისტების მიერ გადმოიცემა, როგორც *ეიჩ-ჯეუფი*.

აშკარად კალკირებულია სპორტული ასპარეზობების სხვადასხვა დონის ამსახველი სიტყვები და ფრაზები: *დასავლეთ კონფერენცია, რეგულარული ჩემპიონატი, პრემიერლიგა, პირველი დივიზიონი*.

ზემოთ განხილული მაგალითებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართული სპორტის ენაში წარმოდგენილი ანგლიციზმების აბსოლუტური უმრავლესობა არსებითი სახელია. ცალკეულ ლექსემებს სინონიმური ურთიერთობა აქვს წმინდა ქართული წარმოშობის სიტყვებთან, მაგრამ ბევრ ანგლიციზმს ერთსიტყვიანი ქართული სინონიმი არ მოეპოვება და სხვაგვარად მხოლოდ აღწერიითი სიტყვათა ჯგუფით შეიძლება გადმოიცეს.

ლიტერატურა

ღებანიძე, 2004 — გ. ლებანიძე, კომუნიკაციური ლინგვისტიკა. ენა და კულტურა. თბ., 2004.

გაზეთი „სარბიელი“, 2006, № 52 ხუთშაბათი, 9 მარტი
ჟურნალი „სპორტის სიახლენი“, №48, 30 ნოემბერი — 6 დეკემბერი, 2004

ზაგოროვსკაია, 1987 — Загоровская О.В. (1987) Семантическое освоение лексических заимствований. Семантика слова и синтаксиса конструкций. Воронеж, 1987.

Görlach, 2001— Görlach M., A Usage Dictionary of Anglicisms in Selected European Languages. Oxford. OUP.

როლასონი, — Rollason, Ch., Language Borrowings in a Context of Unequal Systems. URL: <http://www.seikilos.com.ar/anglicisms.html>

KOBA LOMIDZE

Anglicisms Used in the Field of Sports and their Functional and Semantic Analysis

Summary

The paper examines a wide range of anglicisms used in the language of sport in current Georgian. Georgian sports terminology which became distinct from the rest of the vocabulary in the 20c is an interesting material for the investigation of anglicisms. The anglicisms used in sports field can be grouped into several lexical-semantic classes.

These include the names: a) denoting sports events; b) sports competitions; c) participants of different sports events; d) sports equipment.

As a result of the research. the following conclusions have been drawn: It should be noted that the majority of sports anglicisms are nouns. Some lexemes are synonymoust the words of Georgian origin. However, most of the anglicisms do not have single-word Georgian equi valents. Some tendencies in the adaptation of English sports neologism have been pointed out. It is assumed that the number of sports anglicisms in Georgian will increase.

თავარ მაგარდაზვინი

მიმღეობის წარმოების ისტორიისათვის ქართულში

მიმღეობა ზმნის ფუძისაგან ნაწარმოები სახელია, ანუ ე.წ. ნა-ზმნარი სახელი. როგორც სახელს, მას ის მორფოლოგიური კატეგორიები აქვს, რაც ქართულში სახელებს ახასიათებს, ამავდროულად რიგი ზმნური კატეგორიების გამოხატვაც შეუძლია. მათგან გეზი, ორიენტაცია და ასპექტი ახლანდელი ვაგებით ზმნისწინით გამოიხატება და თვით მიმღეობაში არ აღინიშნება, კონტაქტი კი ზმნის ფუძეშია გამოხატული, მაგრამ ზმნის კაუზატიური ფორმიდან მიმღეობა ჩვეულებრივ არ იწარმოება. ზმნური კატეგორიებიდან მიმღეობას შეუძლია დროის გამოხატვაც. ა. შანიძის აზრით, მიმღეობის დრო დამოუკიდებელი დრო კი არ არის (როგორც ეს პირიან ფორმებშია), არამედ მიმართებითი. პირიან ფორმებში დროის გაგება ემყარება იმას, თუ როგორია ურთიერთობა ზმნით აღნიშნული მოქმედების დროსა და საუბრის მომენტს შორის. მიმღეობის დროის გაგება კი „მიემართება იმ დროს, რომელიც წინადადებაში ნახმარ პირიან ზმნას აქვს. არსებითად ეს არის არა დროის კატეგორია, არამედ თანამდევრობისა, ამიტომ არა წარსული და მომავალი, არამედ უწინარესი და შემდგომი“ (შანიძე, 1973, 568-569).

მიმღეობათა წარმოებაში დროისა და გვარის საკითხის განხილვის დროს ირკვევა, რომ მიმღეობის მაწარმოებელი აფიქსები უშუალოდ დროს ან გვარს არ გამოხატავდა, არც მიმღეობის საწარმოებლად აღებული ზმნის ფუძე მიანიშნებს მათზე. ამდენად, გვარისა და დროის გამოხატვა მიმღეობებში გვიანდელი მოვლენაა და მეორეულია. მამასადაძმე, ზმნის ფუძიდან ნაწარმოები მიმღეობა ისტორიულად არც ერთ ზმნური ნიშნის მატარებელი არ იყო.

თანამედროვე ქართულში მიმღეობას აწარმოებს ოდენ პრეფიქსი, ოდენ სუფიქსი ან პრეფიქს-სუფიქსი. ამავდროულად პრეფიქსულ წარმოებაში პრეფიქსი მიუთითებს გვარსა და დროზე (მ- პრეფიქსია-

ნი მოქმედებითი გვარისა და აწმყო დროისაა, ნ- და ს- პრეფიქსიანი ვნებითი გვარისა, აქედან ნ-იანი ნამყო დროის, ს-იანი კი მყოფადი დროის). ოდენ სუფიქსურ წარმოებაში კი სუფიქსია დროისა და გვარის გამომხატველი (-ილ, -ულ სუფიქსიანი წარმოება ვნებითი გვარისა და ნამყო დროისა), პრეფიქს-სუფიქსურ წარმოებაში სუფიქსი უფუნქციო ჩანს და დროსა და გვარს პრეფიქსი გამოხატავს.

ქართული აგლუტინაციური ტიპის ენაა და ამ პრინციპის საფუძველზე ყოველ აფიქსს ერთი ფუნქცია უნდა ჰქონდეს. რადგან ოდენ პრეფიქსულ წარმოებაში პრეფიქსი გამოდის დროისა და გვარის გამომხატველი, უნდა ვივარაუდოთ, რომ მას ისტორიულად ერთი ფუნქცია უნდა ჰქონოდა. იგივე ითქმის პრეფიქს-სუფიქსურ წარმოებაში მიმღობის მაწარმოებელი პრეფიქსის შესახებ, ხოლო სუფიქსს, რომელიც ამჟამად უფუნქციო ჩანს, არ შეიძლება ისტორიულად ფუნქცია არ ჰქონოდა.

გამოირკვა, რომ იმ ორი ფუნქციიდან, რომელიც მიმღობის მაწარმოებელ აფიქსებს აქვს დაკისრებული, არც დროისა და არც გვარის აღნიშვნა პირველადი არ არის, მაშ რა ფუნქცია ჰქონდა მათ ისტორიულად? პრეფიქსები ახლაც აშკარად შესაბამისი ზმნის სუბიექტის ან ობიექტის მაჩვენებელი ჩანს: **მ-** მოქმედების სუბიექტზე მიუთითებს გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა მიმღობებში, **ს-** და **ნ-** პირდაპირ ობიექტზე. ამიტომ მოსალოდნელი იყო მიმღობაშიც სუბიექტისა და ობიექტის იგივე მაჩვენებლები გვქონოდა, რაც ზმნაში გვაქვს, სადაც გარჩევა პირის მიხედვითაა. მიმღობაში პრეფიქსი იმავე სუბიექტსა და ობიექტს აღნიშნავს, მაგრამ პირის განურჩევლად. ამავე დროს ზმნაში **მ-** სუბიექტის ნიშნად არა გვაქვს (ის ობიექტის მაჩვენებელია), **ნ-** და **ს-** კი ობიექტს არ აღნიშნავს.

ცხადია, **მ-, ნ-, ს-** მიმღობის მაწარმოებელი პრეფიქსები ზმნის სუბიექტური და ობიექტური პირის მაჩვენებლები არ არიან. სპეციალურ ლიტერატურაში ისინი გრამატიკული კლასის მაჩვენებლად არის მიჩნეული. იგივე ელემენტები მარტივ არსებით და ზედსართავ სახელთა ფუძეებშიც იქნა შედარების გზით გამოყოფილი და ამით ქართულში (ქართველურ ენებში) დადასტურდა გრამატიკული კლასის კატეგორიის ოდინდელი არსებობა (ჩიქობავა, 1942). გაირჩეოდა ადამიანისა და ნივთის კატეგორია. ადამიანის კლას-კატეგორიის ნიშანია **მ-**, ნივთის კატეგორიას კი რამდენიმე მაწარმოებელი აქვს: **ს, ნ, ბ, ლ, რ.** მიმღობებში ნივთის კატეგორიის მაჩვენებლებიდან მხო-

ლოდ **ნ** და **ს** გვხვდება.

გრამატიკული კლას-კატეგორიის მოქმედების პერიოდში გარდაუვალ ზმნას სუბიექტური მიმღობის სამი ფორმა უნდა უნდა ჰქონოდა, რომელთაგან **მ-** პრეფიქსით ნაწარმოები აღნიშნავდა სუბიექტ-ადამიანს, **ნ-, ს-** პრეფიქსიანი კი სუბიექტ-ნივთს.

გარდამავალ ზმნას აქვს სასუბიექტო და საობიექტო მიმღობის ფორმები. თუ გრამატიკული კლას-კატეგორიის მოქმედების პერიოდშიც ამავე ვითარებას ვიგულისხმებთ, გარდამავალ ზმნას **მ, ს, ნ** პრეფიქსიანი სასუბიექტო მიმღობაც უნდა ჰქონოდა და **მ, ს, ნ** პრეფიქსიანი საობიექტო მიმღობაც: **მ-ცემ-ელ-ი** იქნებოდა ვინც სცემს, **სა-ცემ-ელ-ი** და **ნა-ცემ-ი** — რაც სცემს, ხოლო ობიექტის გამოსახატავად მიმღობის იგივე ფორმები იქნებოდა: **მცემელი** — ვისაც სცემენ, **საცემელი, ნაცემი** — რასაც სცემენ.

რამდენად შესაძლებელია, მიმღობის ერთმა და იმავე ფორმამ მოქმედების სუბიექტსა და ობიექტზე მიუთითოს? თეორიულად ეს ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ამის დაშვების შესაძლებლობას მთის კავკასიურ ენათა მონაცემები იძლევა. ივ. ჯავახიშვილმა ქართული ენისა და მთის კავკასიური ენების მასალათა შეპირისპირების გზით იგივე პრეფიქსები გამოყო ქართულ ფუძეებში, ოლონდ ისინი გრამატიკული სქესის მაჩვენებლებად მიიჩნია (ჯავახიშვილი, 1937).

მიმღობის ერთ ფორმას შინაარსობრივად შეიძლება გარდამავალი ზმნის სუბიექტზედაც მოეცა მითითება და ობიექტზედაც, მაგრამ მორფოლოგიურად მიმღობაში მხოლოდ ერთი აფიქსია წარმოდგენილი. რისი აღმნიშვნელი იყო იგი, სუბიექტის თუ ობიექტის კლასისა? მაგ.: ბაცბურის გარდამავალი ზმნის მიმღობაში (უპირველეს ყოვლისა კი, ზმნაში), მიუხედავად იმისა, სუბიექტზე მიუთითებს მიმღობა თუ პირდაპირ ობიექტზე, პირდაპირი ობიექტის კლასია მორფოლოგიურად აღნიშნული. სხვა მთის კავკასიურ ენებშიც მსგავს წარმოებას აქვს ადგილი, აფხაზურ აბსოლუტივში პირდაპირი ობიექტია გამოხატული, სუბიექტის ნიშანი არ ჩანს, მაგრამ სუბიექტზე კი არის მითითება. ასევეა ხუნძურ მიმღობაშიც, მართალია იქ მიმღობა პოლიპერსონალურია და მასში სუბიექტის ნიშანიც არის წარმოდგენილი, მაგრამ პირდაპირ ობიექტზე პრეფიქსი მიუთითებს. სუბიექტის მაჩვენებელი სუფიქსია და მისი დართვა მიმღობის ფუძეზე გვიანდელი მოვლენაა (იქვე).

სამეცნიერო ლიტერატურაში ქართულის მიმართაც ამ ვითარე-

ბას მიიჩნევენ ამოსავლად. არნ. ჩიქობავა მიუთითებს „ვინ კატეგორიისა და რა კატეგორიის მიხედვით ცვლისას გარდაუვალი ზმნა სუბიექტური უღვლილებისა იყო, გარდამავალი — მხოლოდ ობიექტურისა. სუბიექტიცა და ობიექტიც ორ-ორ ფორმას იძლეოდა: ვინ კლასისას და რა კლასისას“ (ჩიქობავა, 1953, ა).

რადგან გარდამავალ ზმნაში პირდაპირი ობიექტის კლასი აღინიშნებოდა, ასეთი ზმნის მიმღობასაც ზმნის ობიექტი უნდა აღინიშნა, გარდაუვალისას — სუბიექტი. „პრეფიქსები გრამატიკულ კლასებს აღნიშნავდნენ, რეალური სუბიექტისას — თუ ზმნა გარდაუვალი იყო და რეალური ობიექტისას — თუ გარდამავალი (ჩიქობავა, 1953, ბ).

ამ ვარაუდს ქართულში მიმღობათა წარმოებაც უჭერს მხარს. ამ მხრივ მიმღობათა წარმოების ერთი ტიპი იქცევა ყურადღებას. მოქმედებითი გვარის მიმღობა არ შეიძლება იყოს ნამყო დროისა, ამ შინაარსის გამოსახატად ენა სხვა საშუალებას მიმართავს: საობიექტო მიმღობის წინ დაისმის პირდაპირი ობიექტი და ამ საშუალებით გამოიხატება გარდამავალი ზმნის სასუბიექტო მიმღობა ნამყო დროისა: ხმალამოწვდილი, ხელაღებული... პრინციპი ამგვარი წარმოებისა ხშირად გვხვდება ძველი ქართული ენის ძეგლებში, ფართოდაა გავრცელებული ახალ ქართულში და დამახასიათებელია იბერიულ-კავკასიური ენებისათვის, ამიტომ წარმოების ეს ტიპი არ შეიძლება ძველი არ იყოს.

ამავე ტიპისაა ნაცარქექია, ენატანია და მისთ., რომლებშიც მიმღობის მაწარმოებელი პრეფიქსი არა გვაქვს, თუმცა მისი ადგილი შესაბამისი ზმნის პირდაპირ ობიექტს უჭირავს. მიმღობის ამ ფორმებში პირდაპირი ობიექტია წარმოდგენილი, მაგრამ მთლიანად მიმღობა სასუბიექტოა, მოქმედების სუბიექტზე მიუთითებს, **ნაცარქექია** ისაა, ვინც ნაცარს ქექავს. ანალოგიური წარმოებაა ხმალამოწვდილის ტიპის მიმღობებში. თუ პირდაპირი ობიექტი წინ უძღვის მიმღობის ფორმას, მიმღობა სასუბიექტოა; **ხმალამოწვდილია** ის, ვინც ხმალი ამოიწვდა. თუ იმავე ფორმას მიმღობებისა მოსდევს ამოსავალი ზმნის პირდაპირი ობიექტი, მიმღობა საობიექტოა — ამოწვდილი ხმალი.

ქართულში გრამატიკული კლას-კატეგორიის არსებობის პერიოდში გარდამავალი ზმნის მიმღობაში ობიექტის კლასის ნიშანი იყო წარმოდგენილი, ხოლო მიმღობა შეიძლება სასუბიექტოც ყოფილიყო. რადგან პირდაპირი ობიექტი რა-კატეგორიისაა ჩვეულებრივ, **მ-** პრე-

ფიქსიანი ფორმა მიმღობისა გარდამავალ ზმნას იშვიათად ექნებოდა.

მიმღობის ერთსა და იმავე ფორმას რომ შეეძლო ამოსავალი ზმნის სუბიექტიცა და ობიექტიც გამოეხატა, ამას უარყოფითი მიმღობებიც უჭერს მხარს, რადგან ისინი ჩვეულებრივ ნამყო დროის საობიექტო მიმღობას უპირისპირდებიან შინაარსით. მაგრამ გვაქვს ისეთი ფორმებიც უარყოფითი მიმღობებისა, რომელნიც სასუბიექტო მიმღობებს წარმოადგენენ. ე.ი. წარმოების მხრივ ერთნაირი ფორმა უარყოფითი მიმღობისა ერთ შემთხვევაში სასუბიექტოა, მეორე შემთხვევაში — საობიექტო.

მაგრამ თუ მიმღობის მაწარმოებელი პრეფიქსები გრამატიკული კლას-კატეგორიის მაჩვენებლებია, როგორღა იკისრეს მათ გვარისა და დროის გამოხატვა? ან რატომ არა გვაქვს გარდაუვალი ზმნის **ს-** და **ნ-** პრეფიქსიანი სასუბიექტო მიმღობები და გარდამავალი ზმნის **მ-** პრეფიქსიანი საობიექტო მიმღობა? როგორც მიუთითებენ, ცვლილებები მიმღობათა წარმოებაში გრამატიკული კლას-კატეგორიის მოშლის შემდეგ უნდა ვიგულისხმოთ. კერძოდ, მაწარმოებელი პრეფიქსები — გრამატიკული კლას-კატეგორიის მაჩვენებლები — მისი მოშლის შემდეგ დარჩნენ, მაგრამ ფუნქცია იცვალეს. სუფიქსებიც დარჩნენ, მაგრამ უფუნქციოდ გამოიყურებიან (ოსიძე, 1957, 210-211). ე.ი. გრამატიკული კლას-კატეგორიის მოქმედების პერიოდში გარდაუვალი (ერთპირიანი) ზმნას ჰქონდა სამი (ორი ძირითადი) ფორმა სასუბიექტო მიმღობისა. **მ-** იანი სუბიექტ-ადამიანს გამოხატავდა, **ნ-** და **ს-** სუბიექტ-ნივთს. **მ-** თავსართიანი ფორმები მიმღობისა დღესაც გვაქვს, **ნ-** და **ს-** პრეფიქსიანი ფორმები ძველ ქართულშიც არ გვხვდება სასუბიექტო მიმღობის შინაარსით.

გრამატიკული კლას-კატეგორიის მოშლის შემდეგ (როცა ადამიანი და ნივთი აღარ არის დაპირისპირებული), ბუნებრივია, სუბიექტის გამოსახატავად უნდა დარჩენილიყო მიმღობის ერთი ფორმა. **მ-** თავსართიანი ფორმა აქტიურს აღნიშნავს, ვინ კლასის სახელია, ამიტომ დარჩა იგი სასუბიექტო მიმღობის გადმოსაცემად.

იშვიათად გვხვდება ერთპირიანი ზმნის მიმღობა **სა-** პრეფიქსითაც. მაგ.: **მ-დგ-ურ-ი** და **სა-დგ-ურ-ი**. ამ უკანასკნელის მნიშვნელობა სუბიექტის აღნიშვნის თვალსაზრისით იგივე იყო, რაც მდგურისა. **მდგური** — ვინც დგა, **სადგური** — რაც დგა. ბუნებრივია, მოხდა მნიშვნელობის დიფერენციაცია და სემანტიკა **ს-** პრეფიქსიანმა ფორმამ იცვალა, **სადგური** ახლა გამოხატავს ადგილს.

რაც შეეხება გარდამავალ ზმნას, მას დღესაც მიმღეობის სამი ფორმა აქვს, **მ**- პრეფიქსიანი მოქმედების სუბიექტზე მიუთითებს, **ს**- და **ნ**- პრეფიქსი მოქმედების ობიექტს აღნიშნავს, რამდენადაც იგი პასიურს, უმოქმედოს წარმოადგენს და შესაბამისად ნივთის კლასის ნიშანი განეკუთვნა. სუბიექტზე მიუთითება მიმღეობაში ზმნის ფუძის გააქტივების, ე.ი. აწმყოს წყების დრო-კილოთა ჩამოყალიბების შემდეგ უნდა დაწყებულიყო, როცა ზმნა პოლიპერსონალური გახდა და მასში სუბიექტის აღნიშვნაც დაიწყო. საინტერესოა, რომ აბსოლუტური უმრავლესობა გარდამავალი ზმნის მიმღეობის **მ**- პრეფიქსიანი ფორმებისა ამოსავლად იყენებს ზმნის აწმყოს ფუძეს, მაგრამ რატომ იკისრა **ნ**- პრეფიქსიანმა მიმღეობამ ნამყო დროის გამოხატვა, ხოლო **ს**- პრეფიქსიანმა მყოფადი დროისა? **ნ**- პრეფიქსიან მიმღეობაში **ნ** დარჩა ობიექტის მაჩვენებლად. პრეფიქსი აღნიშნავდა ისეთ პირდაპირ ობიექტს, რომელიც სახელობითში იდგა. რადგან გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტი სახელობითში ნამყო დროშია, წყვეტილში მიმღეობაც ნამყო დროისა მივიღეთ.

ს- პრეფიქსიანი მიმღეობაც სახელობითში დასმულ პირდაპირ ობიექტს აღნიშნავდა. ძველ ქართულში მყოფადი დროის ფუნქციას II კავშირებითი ასრულებდა, სადაც პირდაპირი ობიექტი სახელობითშია, ამიტომ იკისრა **ს**- პრეფიქსიანმა მიმღეობამ მყოფადი დროის გამოხატვა (ოსიძე, 1957).

ამგვარად, მიმღეობის მაწარმოებელი პრეფიქსები გრამატიკული კლას-კატეგორიის ნიშნებს წარმოადგენდნენ ისტორიულად. ისინი ზმნის სუბიექტისა თუ ობიექტის კლასის მაჩვენებლები იყვნენ მიმღეობათა წარმოებაში. მათი ამგვარი კვალიფიკაციით აიხსნება ის თავისებურებანიც, რაც მიმღეობათა წარმოებაში გვხვდება. ცხადია, მიმღეობათა წარმოების ჩამოყალიბების დროს ქართულში გრამატიკული კლას-კატეგორია მოქმედებდა.

რა ფუნქცია უნდა ჰქონოდა ისტორიულად სუფიქსებს? როგორც აღინიშნა, დროსა და გვარზე ისინი არ მიუთითებდნენ, თუმცა შეუძლებელია მათ გარკვეული ფუნქცია არ ჰქონოდათ. ქართველურ ენათა მასალის შედარებისა და ფუძეთა ანალიზის გზით გამოირკვა, რომ ერთი შეხედვით მარტივი არსებითი და ზედსართავი სახელების ფუძეები ისტორიულად ნაწარმოებია. საწარმოებელი სუფიქსები ამჟამად უფუნქციო არიან და ამიტომაც ძნელი მათი ფუნქციის დადგენა. როგორც ჩანს, ისინი არსებით სახელთა ფუძის საწარმოებელი

აფიქსები უნდა ყოფილიყვნენ და ერთვოდნენ ძირს, რომ სახელის ფუძის კონკრეტიზაცია მოეხდინათ. ამ სუფიქსთა სხვაგვარი გენეზისით შეუძლებელი იქნებოდა მათი არსებობის ახსნა არსებით სახელებში (ჩიქობავა, 1942).

ასეთი კვალიფიკაცია გასაგებს ხდის, თუ რატომ გვაქვს იგივე ელემენტები (ე.ი. სახელის ფუძის დეტერმინანტები) მიმღეობათა წარმოებაშიც. რადგან მიმღეობა ზმნის ფუძიდან ნაწარმოები სახელია, იმისთვის, რომ ზმნისაგან სახელი მიგვეღო, ბუნებრივია, სახელის ფუძის მაწარმოებელი სუფიქსი უნდა გამოეყენებინა ენას. პრეფიქსს, რომელიც მიმღეობათა წარმოებაში იღებს მონაწილეობას, არ შეეძლო ზმნური ფუძე სახელად ექცია. პრეფიქსი გრამატიკული კლას-კატეგორიის ნიშანი იყო და თანაბრად დამახასიათებელი როგორც ზმნის, ისე სახელისათვის. ზმნურ ფუძეს სახელად სწორედ მიმღეობის მაწარმოებელი სუფიქსი აქცევდა.

მაშასადამე, მიმღეობის მაწარმოებელი აფიქსებიდან პრეფიქსი გრამატიკული კლასის მაჩვენებელი იყო ისტორიულად, ხოლო სუფიქსი — სახელის ფუძის დეტერმინანტი.

რამდენადაც საწარმოებლად აღებულ ზმნის ფუძეში არ გამოიხატება ზმნის გვარი და დრო, მიმღეობისათვის ამოსავალი ყოფილა დროისა და გვარის მიხედვით განუსაზღვრელი ფუძე ზმნისა, რომელიც ზმნის პრეფიქს-სუფიქსის საშუალებით ყალიბდებოდა ნაზმნარ სახელად, მაგრამ, როგორც აღნიშნული იყო, ისტორიულად არც მიმღეობის მაწარმოებელი აფიქსები მიუთითებდნენ დროსა და გვარზე. მაშასადამე, ენაში გრამატიკული კლას-კატეგორიის მოქმედების დროს მიმღეობა არც გვარს და არც დროს არ აღნიშნავდა, ანუ ზმნურობის არც ერთი ნიშნის მატარებელი არ ყოფილა.

ამდენად, ქართულში შეიძლება მიმღეობათა ჩამოყალიბების შემდეგი გზა ვივარაუდოთ: ჯერ გვქონდა ზმნის ფუძისაგან ნაწარმოები სახელი, რომელიც დროისა და გვარის მიხედვით არ განირჩეოდა და მხოლოდ სუბიექტისა და ობიექტის კლასს აღნიშნავდა. გრამატიკული კლას-კატეგორიის მოშლისა და ზმნის უდვლილებაში დროის კატეგორიის ჩამოყალიბების შემდეგ ზმნის ფუძიდან ნაწარმოები სახელი მიმღეობად ჩამოყალიბდა და კლასის ნიშნებმა დროისა და გვარის გამოხატვა იკისრეს.

ლიტერატურა

ოსიძე, 1957 — ე. ოსიძე, მიმღობის წარმოება ქართულში, თსუ შრომები, ტ. 67, თბ., 1957

შანიძე, 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973

ჩიქობავა, 1953ა — არნ. ჩიქობავა, გრამატიკული კლას-კატეგორია და ზმნის უღვლილების ზოგიერთი საკითხი ძველ ქართულში, იკე, ტ. V, თბ., 1953

ჩიქობავა, 1953ბ — არნ. ჩიქობავა, მასდარისა და მიმღობის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართულში, იკე, ტ. V, თბ., 1953

ჯავახიშვილი, 1937 — ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937.

TAMAR MAMARDASHVILI

Towards the History of Participle Formation in Georgian

Summary

As is known, the participle is a verbal noun formed from the stem of a verb. It has nominal as well as verbal categories. However, the diachronic study of the tense and voice formation of Georgian participle has shown that neither the participle forming affixes nor the verb stem indicate the expression of tense and voice by the participle is of later origin and of secondary nature.

The paper presents the following stages in the evolution of the Georgian participle: primarily, a verbal formed from a verb stem indicated only subject and object classes.

Later, after the disappearance of the grammatical class-category and the emergence of the verbal formed from a verb stem turned into a participle and was able to express tense and voice.

ენის მარტო

ორენოვანების საკითხი 80-იანი წლების საქართველოში (XX საუკუნის 80-იანი წლების პერიოდის მიხედვით)

როგორც სოციოლინგვისტები მიუთითებენ, ენობრივი დისკუსიები თავს იჩენს მაშინ, როცა ქვეყანაში პოლიტიკური ცვლილებებია მოსალოდნელი. XX საუკუნის საქართველოში ამგვარი მომენტი რამდენჯერმე დადგა. ამ კუთხით ჩვენი შესწავლის საგანი 80-იანი წლები, ე. წ. „გარდაქმნის“ პერიოდია იყო.

საბჭოთა კავშირში ეროვნული ენები (რასაკვირველია, რუსულის გარდა) შეზღუდული უფლებებით სარგებლობდნენ. ზოგიერთი მათგანი უკვე „საოჯახო ენის“ სტატუსს ატარებდა და ხშირად გაქრობის პირასაც იდგა. ენის გამოყენების თითქმის ყველა სფეროში ეროვნულს რუსული ენაცვლებოდა და მას არა მარტო ხალხთაშორის ურთიერთობის, არამედ „მეორე მშობლიურ ენადაც“ მოიხსენიებდნენ.

საბჭოთა კავშირის არსებობის მანძილზე, მეტადრე, საბჭოური სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში, განსაკუთრებული სიმწვავეთ იჩინა თავი ორენოვანების პრობლემამ. ეს თემა საბჭოთა ენათმეცნიერებაში საგანგებოდ შეისწავლებოდა პედაგოგიკის, მეტყველების კულტურის, სტილისტიკის, თარგმანის და სხვა კუთხით (თუმცა სოციოლინგვისტური თვალსაზრისით ეს საკითხი ჯერაც შესასწავლია).

ქართულ-რუსული ენობრივი ურთიერთობები ორი მიმართულებით უნდა განვიხილოთ:

- ა) კულტურული ენობრივი კონტაქტები (ივლისხმება თარგმანი, ენათა სწავლება (რუსებისათვის ქართულის სახელმძღვანელოები და, პირიქით, სახელმძღვანელოები ქართველთათვის), სამეცნიერო ტერმინოლოგია და სხვ.);
- ბ) რუსული ენის მიერ ქართული სივრცის ექსპანსია; რუსული ენის შეჭრა ქართული ენის ფუნქციონირების სფეროებში.

80-იანი წლების ქართული მედია სისტემატურად აშუქებს ენობრივ პრობლემათიკას; განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ორენოვნების საკითხებს. თუმცა, ცხადია, იმდროინდელი მედია ვერ ახერხებდა (და არც ცდილობდა) ჩასწვდომოდა ორენოვნების საენათმეცნიერო სიღრმეებს, მაგრამ უდავოდ საინტერესო მასალის წარმოდგენა-აღწერა კი მან ნამდვილად შეძლო. სადისკუსიო მასალების მოკვლევადან აშკარად ჩანს ამ ნიადაგზე დასმული პრობლემების სიმწვავე და საზოგადოების (ენის პრაგმატული მომხმარებლის) აზრი ამ საკითხებზე. სხვათა შორის, საბჭოთა პერიოდში **ბილინგვიზმი**, როგორც ტერმინი, პოპულარული არ იყო, ეს მოვლენა „*двуязычие*“-დ იწოდებოდა და ქართული შესატყვისი — „ორენოვნება“ სწორედ მაშინ მოიძებნა.¹

ორენოვნების საკითხებზე გაშლილი დისკუსიების ამსახველი მასალა მოვიპოვეთ ქართული პერიოდიკიდან: „კომუნისტი“, „თბილისი“, „სახალხო განათლება“, „ლიტერატურული საქართველო“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „ქართული ფილმი“ და სხვ. ასევე ზოგიერთი რუსულენოვანი ჟურნალ-გაზეთებიდან: „*Известия*“, „*Правда*“, „*Советская культура*“, „*Литературная газета*“, „*Дружба народов*“.

ბილინგვიზმის კვლევისას, ჩვეულებრივ, რამდენიმე ასპექტს გამოყოფენ: სოციალურს, საკუთრივ ლინგვისტურს, ფსიქოლოგიურს, პედაგოგიურს... ჩვენ მიერ მოძიებულ მასალაში თითქმის ყველა ეს ასპექტი გამოიკვეთა.

ორენოვნების პროპაგანდა საბჭოთა კავშირში სოციალურ-პოლიტიკური ხასიათისა იყო და იდეოლოგიურ პრობლემას წარმოადგენდა. „ერთა და ენათა შერწყმის თეორია“, იგივე „ინტერნაციონალიზმი“, მიზნად ისახავდა ერთიანი საბჭოთა ერის ჩამოყალიბებას, რომელიც ერთ საერთო ენაზე ამეტყველდებოდა. ამის მისაღწევად რუსეთის იმპერია საჭიროდ მიიჩნევდა ა) პირველ ეტაპზე მოკავშირე ქვეყნებში ორენოვნების, კერძოდ კი, ნაციონალურ-რუსული (II ეროვნულ-რუსული) ორენოვნების დანერგვას (რაც მეორე ენის არა უბრალო ცოდნას, არამედ „შენიღბულად დედაენისადმი სხვა ენის დაპირისპირებას“ (ჯორბენაძე, 1989, (ა), 5), რუსულის ცოდნას ეროვნული ენის დონეზე, იმავე „ორი მშობლიური ენის“ არსებობას გულის-

¹ აქვე შევნიშნავთ, რომ პავლე თოფტურია მართებულ ფორმად „ორენოვნობას“ მიიჩნევდა.

ხმობდა), ბ) შემდგომი ეტაპი კი რუსული ენით ნაციონალური ენის ჩანაცვლება, ანუ სრული ერთენოვნების დამკვიდრება იქნებოდა.

რუსულის ცოდნა სავალდებულო იყო არარუსი ეროვნების მოქალაქეთათვის მაშინ, როცა უცხოენოვან გარემოში მცხოვრებ რუსებს ან სხვა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს არავინ ავალდებულებდა სცოდნოდა მკვიდრი ერის ენა (ამ უკანასკნელთათვისაც ურთიერთობის ენა რუსული უნდა ყოფილიყო); სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ორგანოებში მას თავისუფლად იყენებდნენ; განათლების ენაც მათთვის რუსული იყო.

ფორმალურად, საბჭოთა კავშირის კონსტიტუციით, რუსულს სახელმწიფო ენის სტატუსი არ ჰქონია მიანიჭებული, მაგრამ რეალურად ის ამ ფუნქციას ყველა მოკავშირე თუ ავტონომიურ რესპუბლიკასა და ოლქში ასრულებდა. უმაღლესი სახელმწიფო ინსტანციებიდან დაწყებული, სავაჭრო ქსელის უბრალო ფასმაჩვენებლებით დამთავრებული, იგი ყველგან წამყვანი იყო (ტაბიძე, 1988, 350-360). საბჭოთა იდეოლოგიით, რუსულ მეცნიერებასთან, მაღალ კულტურასთან ურთიერთობის, ერთა შორის კომუნიკაციის ენად მიიჩნეოდა; ტერმინოლოგიის სფეროშიც ის შეუცვლელი იყო. ჩნდებოდა საბჭოური კლიშეები: „დიადი რუსული ენა“, „ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ენა“, „მეორე მშობლიური ენა“, „მეორე დედაენა“ (ტაბიძე, 2005, 187).

ე. წ. „საბჭოური ორენოვნება“ ენობრივ წყვილში ერთ ენად აუცილებლად რუსულს გულისხმობდა. რუსული საბჭოთა ენობრივი პოლიტიკის საბოლოო მიზანსაც წარმოადგენდა, ამიტომ ორენოვნებას, როგორც რუსული მონოლინგვური საზოგადოების ჩამოყალიბების წინაპირობას, იდეოლოგიური დასაბუთებაც ეძებნებოდა;

1. ორენოვნების დასაცავად საბჭოეთის მეცნიერებსა თუ პოლიტიკოსებს სხვადასხვა არგუმენტი მოჰყავდათ. მათი აზრით, მეცნიერების მიერ დამტკიცდა, რომ „ორენოვანი ბავშვი გაცილებით უკეთაა განვითარებული, უფრო უკეთ აზროვნებს, სწავლობს“ (გუბოგლო, 1988, 3); მას „შემეცნების, აზროვნების, შეგნების ჩამოყალიბების პროცესის სტიმულირების გაცილებით მეტი შესაძლებლობა აქვს“ (შევარდნაძე, 1983, 4). ხშირად აბსურდულ მოსაზრებებამდეც მიდიოდნენ; გაზეთი „პრავდა“ წერდა: „თურმე შევედ მეცნიერებს გამოუკვლევათ, რომ ორენოვნება ადამიანის ჯანმრთელობისათვის

სასარგებლო რამ ყოფილა. ჯერ ერთი, ორენოვნება თურმე ადამიანის გონებას ბევრად უფრო აქტიურად ამუშავებს, ვიდრე ერთენოვნება და მეორეც, ორენოვანი ადამიანი უფრო მეტ ხანს ცოცხლობს, ვიდრე ერთენოვანი“ (ბაქრაძე, 1988, 3).

2. ზოგიერთნი ამტკიცებდნენ, რომ „მეორე ენის ცოდნა პოზიტიურად ზემოქმედებს პირველი ენის, დედაენის დაუფლებაზე“ (გუბოგლო, 1988, 3). ერთ-ერთ ენათმეცნიერს ამ დებულების დასამტკიცებლად ასეთი მაგალითი დაუსახელებია: როცა მოლდაველ სტუდენტს ვასწავლით რუსულ ფრაზეოლოგიზმს „იში ვეტრა ვ პოლე“, იგი უმაღვე გონებაში ეძიებს შესაბამის ფრაზეოლოგიზმს მოლდაველ ენაში და ამით მშობლიურ ენასაც უკეთ სწავლობს“ (გვანცელაძე, 1989, 5).
3. ორენოვნების დაკანონებას იურიდიულადაც ცდილობდნენ, რაც რესპუბლიკაში ორი სახელმწიფო ენის არსებობით გამოიხატებოდა. მეორე სახელმწიფო ენა რუსული უნდა ყოფილიყო. ასე, მაგალითად, ლატვიაში 1988 წელს მიიღეს დადგენილება ლატვიურისათვის სახელმწიფო ენის სტატუსის მისანიჭებლად. ზოგი ლატვიელიც კი მოითხოვდა ეროვნულთან ერთად სახელმწიფო ენის სტატუსი რუსულ ენასაც მინიჭებოდა (ალკსნისი, 1989, 3). იმავეს მოითხოვდნენ ყაზახეთში: „Казахский и русский для нас должны стать государственными языками“ (აუელბეკოვი, 1989, 3). ორი სახელმწიფო ენის საკითხი იდგა მოლდავეთშიც (კონდრატოვი, 1989, 3).

არსებობდა რესპუბლიკები, რომელთათვისაც ორი ენისთვის სახელმწიფო სტატუსის მინიჭება „პროგრესული მოვლენა იყო“. მათთვის ორენოვნება მშობლიური ენის გადარჩენას ნიშნავდა, რადგან ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოებრივ სტატუსს მშობლიურ ენასაც აღუდგენდნენ (ჯორბენაძე, 1989, (ბ), 3). ასე ფიქრობდნენ ბელორუსიაში: „...билингвизм для нас — единственный выход в сложившихся условиях, так как предполагает вторым языком белорусский. И мы за такое решение, когда национальному языку возвращаются его исконные права в республике“ (Нация. Язык. Литература., 1988, 256).

4. ორენოვნების კონსტიტუციურად დაკანონების თვალსაზრ-

სით, გამონაკლისი არც საქართველო ყოფილა. 1978 წლის კონსტიტუციის 75-ე მუხლის მიხედვით, რომელსაც თავის დროზე ქართველი ხალხის დიდი მღელვარება მოჰყვა, რუსულ ენას, სხვა ენებთან ერთად, სხვადასხვა ორგანოსა და სახელმწიფო დაწესებულებაში ფუნქციონირებისას იგივე უფლებები ენიჭებოდა, რაც ქართულს ჰქონდა. ამასთან დაკავშირებით ნოდარ წულეისკირი 1978 წელს შენიშნავდა: „სხვა ენებში“ იგულისხმება, ალბათ, აფხაზური, ოსური, სომხური, აზერბაიჯანული და ა. შ. განა უფრო სამართლიანი, და თუ გნებავთ, ლენინური არ იქნებოდა, რომ დაგვეწერა: „თავისუფალი ხმარება აფხაზური, ოსური, აგრეთვე სხვა ენებისა“... მაგრამ მაშინ ხომ მიზანი მიუღწეველი დარჩებოდა, ორენოვნება ვერ დაკანონდებოდა“ (წულეისკირი, 1989, 8).

აფხაზეთში სახელმწიფო ენის სტატუსი სამ ენას ჰქონდა: აფხაზურს, ქართულსა და რუსულს. აფხაზეთში რუსული ენისთვის ამგვარი სტატუსის მინიჭება საბოლოოდ აფხაზურ-რუსული ორენოვნების დამკვიდრებას ვარაუდობდა. ამის დასტურს წარმოადგენს 1989 წელს აფხაზეთი ერთი ჯგუფის მოთხოვნა, წაერთმიათ ქართულისათვის სახელმწიფო ენის სტატუსი. მათთვის „ოპტიმალურ ვარიანტს“ აფხაზურ-რუსული ორენოვნება“ წარმოადგენდა“ (ხოშტარია-ბროსე, 1989, 4).

სამი სახელმწიფო ენის: ოსურის, ქართულისა და რუსულის დაკანონებას ითხოვდნენ ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიურ ოლქშიც.

5. ორენოვნების მომხრეებს ხშირად მაგალითად მოჰყავდათ ბელგიის, კანადის, შვეიცარიისა და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნები, რომლებშიც რამდენიმე სახელმწიფო ენა ფუნქციონირებდა. ასეთ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, თავს იჩენს ხოლმე მოთხოვნილება ახალ საერთო ენაზე, რომელიც ერთაშორისი ურთიერთობის ფუნქციას იკისრებს. „შვეიცარიაში, მაგალითად, გერმანული, ფრანგული, იტალიური და რეტორომანული ენების პარალელურმა ფუნქციონირებამ გამოიწვია ახალი, უნივერსალური სამოკავშირეო ენის აუცილებლობა, რის შედეგადაც, შვეიცარიელები ჩივიან, რომ მათი ოთხივე ოფიციალური ენა სულ უფრო და უფრო იდევ-

ნება ინგლისური ენისაგან“ (თასოვეი, მირიანაშვილი, 1989, 4). საბჭოთა კავშირში ასეთი ენა, რალა თქმა უნდა, რუსული იქნებოდა. სწორედ ამას ისახავდა მიზნად 1989 წელს გამოქვეყნებული კომუნისტური პარტიის პლატფორმის პროექტი „პარტიის ეროვნული პოლიტიკა თანამედროვე პირობებში“, რომლის მიხედვითაც რუსული სახელმწიფო ენის სტატუსით უნდა აღჭურვილიყო მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით: „ყველა საბჭოთა ხალხის ინტერესების შესაბამისი იქნებოდა ის, რომ კანონმდებლურად დამკვიდრებულიყო რუსული ენა, როგორც საერთო სახელმწიფო ენა, რომელიც მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე გამოიყენება და ფუნქციონირებს თანასწორუფლებიანობის საფუძველზე რესპუბლიკების სახელმწიფო ენებთან ერთად“ (რესპუბლიკის სრული სუვერენიტეტის მიღწევის დიდი პროგრამა, 1989, 2). ეს იმას ნიშნავდა, რომ ყველა ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, საერთოდ ყველგან, რუსული ენა გამოდევნიდა ეროვნულ ენას.

6. ორენოვნების დასაკანონებლად სათანადო ტერმინოლოგია-საც პოულობდნენ, მაგალითად, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მ. გუბოგლო ორი სახელმწიფო ენის შესახებ წერს: „ვუწოდოთ ერთს **რესპუბლიკურ-სახელმწიფოებრივი**, ხოლო მეორეს — **საერთო-სახელმწიფოებრივი**. უფრო მარტივი ტერმინების შერჩევაც შეგვიძლია. **რესპუბლიკური და საერთაშორისო, ეროვნული და ერთაშორისი**“ (გუბოგლო, 1988, 3). საერთოდ, საბჭოთა პერიოდში ენობრივ საკითხებთან დაკავშირებულ დისკუსიებს თან ახლდა ტერმინოლოგიური ორაზროვნება და ბუნდოვანება. რუსულს ერთაშორის ენას უწოდებდნენ, თუმცა გაურკვეველი იყო, გულისხმობდა ეს თვითონ რესპუბლიკაში **ერთა შორის** ურთიერთობის, თუ **რესპუბლიკებს შორის** ურთიერთობის ენას. ქართველი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი ამ ტერმინის შეცვლას მოითხოვდნენ „რესპუბლიკათაშორისი ენის“ ცნებით, წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფო ენის სტატუსი ფიქტად იქცეოდა, ქართული ენა უბრალო სალაპარაკო ენად დარჩებოდა (გამყრელიძე, 1989, 2). ამის თაობაზე ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომელთა საერ-

თო კრებამ თავისი დადგენილებით გამოთქვა კრიტიკული შენიშვნები:

- „რუსული ენა საერთო საკავშირო ღონისძიებათა ენა სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის სფეროში;
 - იგი სსრ კავშირის ფარგლებში საქმის წარმოების რესპუბლიკათაშორისი ენაა;
 - რუსული ენის კვალიფიკაცია, როგორც ეროვნებათაშორისო ურთიერთობის ენისა, იწვევს სერიოზულ წინააღმდეგობას, რადგან ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის ფარგლებში ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ენა რესპუბლიკის ენაა“ (რესპუბლიკის სრული სუვერენიტეტის მიღწევის დიდი პროგრამა, 1989, 2).
7. ასევე ბუნდოვანი იყო ეროვნულ-რუსული (II ნაციონალურ-რუსული) და რუსულ-ეროვნული (II რუსულ-ნაციონალური) ენობრივი ურთიერთობის ცნება, რომელმაც ფაქტობრივად ორენოვნების გაცვეთილი ფრაზა შეცვალა (კიკალაიშვილი, 1989, 2), „სრულიად გაუმართლებელია ტერმინი „ნაციონალურ-რუსული“ ან „რუსულ-ნაციონალური“ ორენოვნება. ამის მიხედვით გამოდის, რომ რუსული ნაციონალური არ არის“, — წერდა ბ. ჯორბენაძე (ჯორბენაძე, 1989, (ბ) 3).
8. საბჭოთა კავშირში ხელოვნურად იქმნებოდა სიტუაცია მეორე (რუსული) ენის გამოსაყენებლად. იყო მოთხოვნა რესპუბლიკებში სამეცნიერო და სხვა სახის ლიტერატურა რუსულ ენაზე შეექმნათ (ქვათაძე, 1989, 2). ჩნდებოდნენ ორენოვანი მწერლები. მაგალითად, აფხაზი გიორგი გულია, ფაზილ ისკანდერი, ყირგიზი ჩინგიზ ათმატოვი, აზერბაიჯანელი ჩ. გუსეინოვი, ვ. სანგი, ი. რიტხეუ და სხვები, რომლებიც თავიანთ მოთხოვნებსა და რომანებს რუსულად წერდნენ: იყო მოწოდება, ხშირ-ხშირად გაეხმოვანებინათ და გადაეღოთ კიდევ ფილმები რუსულად (ბაქრაძე, 1988, 3). ს. მიხალკოვის შემოთავაზება იყო არარუსებს უცხო ენების შესასწავლად დრო არ დაეკარგათ და ეს დრო რუსულის შესწავლისთვის მოენდომებინათ. უცხო ენები რუსებს უნდა შეესწავლათ, არარუსებს კი მათი თარგმანები ეკითხათ (ბაქრაძე, 1988, 3).

9. ხდებოდა ეროვნული თეატრების, ყურნალ-გაზეთების რუსულად გადაკეთება. მაგალითად, ზაპოროჟიეში ერთ-ერთი უძველესი უკრაინული თეატრის დასმა 1989 წლის 8 იანვარს გადაწყვიტა რუსულ თეატრად გადაქცეულიყო (გულახდილი საუბარი დიდ პრობლემებზე, 1989, 2). მანამდე, რამდენიმე წლით ადრე, რუსულ ენაზე გადავიდა ჩერქეზული თეატრის დასი (პეტრიაშვილი, 1990, 253). ახალგაზრდულმა გაზეთმა „კომსომოლც ზაპოროჟიამ“ მკითხველებს შეკითხვით მიმართა: „ხელს გაძლევთ თუ არა, რომ ჩვენი გაზეთი მხოლოდ უკრაინულ ენაზე გამოდისო?“ (გულახდილი საუბარი დიდ პრობლემებზე, 1989, 2).
10. ორენოვენბას ხელს უწყობდნენ შერეულ ქორწინებათა პროპაგანდირებით, მიგრაციული პროცესებით. აკად. ე. პრიმაკოვის შემოთავაზებით, უნდა შექმნილიყო „ყოვლისმომცველი ინტერნაციონალური სტრუქტურები“; მთელ ქვეყანაში უნდა მომხდარიყო „კადრების ჰორიზონტალური როტაცია“. ასე შეიქმნებოდა სსრკ-ში „ერთიანი ინტერნაციონალური შენადნობი“. უნდა გაფართოებულიყო „კავშირები უმაღლეს სასწავლებლებს შორის“. ამ შემთხვევაში მოსკოვში განათლებული ქართველი საქართველოში არ უნდა „როტაცირებულიყო“ — ის სსრკ-ის მთელ სივრცე-სივრცეზე უნდა „გადაადგილებულიყო“; ასეთი კადრი, რასაკვირველია, რუსულ ენაზე ნათლდებოდა („სხვაგვარად, ვთქვათ, ლიტვაში „როტაცირებულ“ ყაზახს რას გაუგებენ?“ (თოფურია, 1989, 10).
11. საკავშირო მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობაზე ხდებოდა რუსულენოვანი მოსახლეობის ჩასახლება. ასე შეიქმნა, მაგალითად, ქალაქ ჯვარში ენგურჰესის მშენებლობისას რუსული დასახლებები. ჩამოსახლებულთათვის იხსნებოდა რუსული სკოლები და საბავშვო ბაღები, თუმცა ამ სკოლებსა და ბაღებში უმრავლესობას ქართველი ბავშვები შეადგენდნენ.
12. რუსულ ენაზე განათლების მიღება რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში, სწავლის გაგრძელების შემდგომ რომელიმე მაღალი თანამდებობის მიღების გარანტიას იძლეოდა. რუსული ენის ცოდნის გარეშე შეუძლებელი იყო სამსახურის

შოვნა. ამიტომაც სხვადასხვა რესპუბლიკის რუსულ სკოლებში რუსი ეროვნების მოსწავლეებს არარუსი ბავშვები სჭარბობდნენ.

ზოგიერთ რესპუბლიკაში ეროვნული მხოლოდ რვაწლიანი და დაწყებითი სკოლა იყო. ე. წ. „ჩრდილოეთ ოსეთში“, საშუალო და უმაღლესი სკოლა მხოლოდ რუსულენოვანი იყო. ე. წ. „სამხრეთ ოსეთშიც“ დაწყებითი სკოლა რუსული იყო. აფხაზეთში მეხუთე კლასიდან დაწყებული ყველა საგანი რუსულ ენაზე ისწავლებოდა (თოფურია, 1989, 10). აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აფხაზურ სექტორზეც სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა (ხერგიანი და სხვ. 1989, 14). ბაშკირეთის უმაღლეს სასწავლებელში 1960-იანი წლებიდან, მისაღები გამოცდები მხოლოდ რუსულ ენაზე ბარდებოდა (ხალიმი, 1988, 229). ისეთი მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს სასწავლებლებში, როგორც არის უკრაინა, ბელორუსია, მოლდავეთი, მრავალ სპეციალობას არ ჰქონდა ეროვნული სექტორი (გვანცელაძე, 1989, 5).

13. ეროვნულ სკოლებშიც დედაენაზე სწავლება მშობლების ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული (ხალიმი, 1988, 230). მშობლიური ენა ფაქტულტატურ, არასავალდებულო საგნად მიიჩნეოდა (გულახდილი საუბარი დიდ პრობლემებზე, 1989, 2); რუსული ენის სწავლება პირველივე კლასებიდან იწყებოდა; საქართველოში, მაგალითად, 1973 წელს მიიღეს დადგენილება, რომლის მიხედვითაც მეორე კლასის ნაცვლად რუსული ენის სწავლება პირველი კლასიდან უნდა დაეწყოთ (მაჭარაშვილი, 1983, 3). ამავე წლებში, მშობელთა თხოვნით, რუსული ენის სპეციალისტებს საბავშვო ბაღებშიც უშვებდნენ (შენგელია, 1983 (ა) 3). სკოლებში ხშირად რუსული ენის სწავლების საათები აღემატებოდა მშობლიური ენისთვის გამოყოფილ დროს; იხსნებოდა რუსული ენის წრეები; გამოყოფდნენ ე. წ. „რუსული ენის დღეებს“, როცა მოსწავლეები მხოლოდ რუსულ ენაზე ურთიერთობდნენ ერთმანეთთან (აუელბეკოვი, 1989, 3); იქმნებოდა რუსული სასკოლო თეატრები. საქართველოში რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების შესახებ 1983 წელს კვლავ მიიღეს დადგენილება. მიუხედავად ამ ღონისძიებებისა სასურველი შედეგი მაინც ვერ მიიღწეოდა. პირიქით,

აღნიშნავდნენ, რომ ენების ცოდნის დონე ძლიერ ეცემოდა. რუსული ენა ისწავლებოდა როგორც საგანი და არა როგორც ურთიერთობის საშუალება; მოსწავლეებს არ უფიქრობდათ თავისუფალი სამეტყველო ჩვევები (ძიძიგური და სხვ., 1986, 5). პრესაში უამრავი წერილი იწერებოდა რუსულის უკეთ სწავლების შესახებ. არნ. ჩიქობავას აზრი ამის თაობაზე ასეთი იყო: „ენა არ შეიძლება კაცმა ისწავლოს გრამატიკის მეშვეობით. ამიტომ რუსულის სწავლება ჩვენს სასწავლებლებში პრაქტიკულ ვარჯიშობას უნდა ემყარებოდეს: კითხვა-პასუხი, წინადადებათა შედგენა, დაფაზე წერით...“ (შენგელია, 1988 (ბ) 3).

ორენოვების მომხრეთა ოპონენტებს ძალზე სერიოზული არგუმენტები აქვთ. ორენოვების ასეთი ტოტალური მოძალემა მოზარდი თაობისათვის მართლაც საშიში უნდა ყოფილიყო:

1. სკოლამდელ ასაკში რუსული ენის სწავლების შემოღება, მშობლიური ენის გაკვეთილების რიცხვის თანდათანობით შემცირება ან რუსულ ენაზე განათლების მიღება, მხოლოდ ნახევარენოვების წარმოშობას უწყობდა ხელს (განათლების მდგომარეობა რესპუბლიკაში, 1989, 5). მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი ხშირად მიუთითებდნენ იმ უარყოფით მოვლენებზე, რასაც ადრეულ ასაკში არამშობლიურ ენაზე წერა-კითხვის დაწყება იწვევდა. იგი ბავშვისაგან აზროვნების ზედმეტ დაძაბვას მოითხოვდა, რასაც შეიძლებოდა გამოეწვია ბავშვის ინტელექტუალური განვითარების შეფერხება, სამეტყველო მოშლილობა, ენაბლუობა და ა. შ. მეცნიერების მტკიცებით, „ბავშვობის ასაკში პატარა ინდივიდი ენის ათვისების გზით განსაზღვრულ კულტურას, სამყაროს ეცნობა. ამ ეტაპზე სხვა ენობრივი სისტემის ჩარევით კი ეს ახლად ჩამოყალიბებული სისტემა — „ენა-სამყარო“ ირღვევა“ (Язык, начало, всех начал: 1988, 3), რაც ბავშვის ფსიქიკასა და ჯანმრთელობაზე, რასაკვირველია, უარყოფითად აისახება. როგორც მკვლევრები მიუთითებდნენ, ორენოვებით მხოლოდ მაღალინტელექტუალურ ოჯახებში აღზრდილი ბავშვები **იგებდნენ** (ჰინტი, 1988, 238).
2. ამ პერიოდში გაჩნდა ტერმინები — „безъязычие“ (სიტყვ. „უენოვნება“), „полужычие“ (სიტყვ. „ნახევარენოვნება“),

რაც იმას ნიშნავდა, რომ ბავშვი ვეღარ მეტყველებდა ვერც მშობლიურ და ვერც მეორე, შეძენილ ენაზე. ასეთ შემთხვევაში „ადამიანმა“ თითქოს ორი ენა იცის, მაგრამ შედარებით რთული კონსტრუქციების გამოხატვა არც ერთ ენაზე არ შეუძლია“ (ხინტი, 1988, 239). „ბავშვების აზროვნების უნარი, განსაკუთრებით დაწყებით კლასებში, მკვეთრად დაეცა. რუსული ენის ცოდნის გაღრმავების ნაცვლად მისი გაუარესება მივიღეთ. წარმოიშვა „უენოვნება“ (безъязычие): ბავშვებს აღარ შეუძლიათ აზრის გამოთქმა არც ერთ და არც მეორე ენაზე“, — წერდა ყურნალი „Дружба Народов“ (ხალიძი, 1988, 229).

ბელორუსთა უმეტესობა ე. წ. „трасянка“-ზე — შერეულ რუსულ-ბელორუსულ ენაზე — მეტყველებდა; რთული აზრების ადეკვატურად გამოხატვა არც რუსულ და არც ბელორუსულ ენაზე არ შეეძლოთ. იგივე სიტუაცია იყო ვოლგისპირეთისა და შუა ურალის ავტონომიურ რესპუბლიკებში (ხინტი, 1988, 241).

3. 1989 წელს ლ. ფრუიძე წერდა: „ბ0-იან წლებში ქვემო ქართლის აქა-იქ ოახისებივით გაბნეულ ქართულ სოფლებში ვნახეთ ქართველები, გონებრივად დამახინჯებულნი — ვერცერთ ენაზე ვეღარ აზროვნებდნენ და მეტყველებდნენ...“ (ფრუიძე, 1989, 4).
4. მშობლიურ ენაზე სწავლას ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა: „თუკი გვინდა, საბოლოო ჯამში, ადამიანური ადამიანი, ანუ შემოქმედი არსება აღვზარდოთ და არა ადამიანის მსგავსი რობოტი, რომელთა „პირველი მერცხლები“; სამწუხაროდ, აქა-იქ უკვე გვხვდებიან, სკოლა უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის ეროვნულ ბუნებას და, რასაკვირველია, ბავშვი უნდა სწავლობდეს დედენაზე“ (ჭილაძე, 1989, 3). „რუსულ სკოლაში სწავლა მხოლოდ რუსული ენის სწავლა როდია, — წერდა ალ. ფოცხიშვილი, — ეს არის რუსულ გარემოში აღზრდა და ტრიპალი, ქართული ხასიათის და ტრადიციის დავიწყება. არა ერთი მშობელი გვიან ხვდება, რომ მისი შვილი აღარც რუსია და აღარც ქართველი“ (ფოცხიშვილი, 1988, 2). „ამგვარი ბავშვისაგან ვღებულობთ გადაგვარებულ ქართველს, „არც ღვინოსა და არც წყალს“ რომ უწოდებენ ჩვენებუ-

რად“ (გვარამია, 1989, 15). უცხო ენაზე სწავლება, გარდა აზროვნების დამახინჯებისა, საარტიკულაციო ბაზისის შეცვლასაც იწვევდა. მაგალითად, ახალციხის რაიონის რუსულ სკოლაში აღმოჩნდა, რომ ქართველ მოსწავლეებს შესამჩნევი რუსული აქცენტი დაჰყვებოდათ და „ყარსა“ და „ღანსაც“ ვერ გამოთქვამდნენ გამოკვეთილად (გურგენიძე, 1988, 2).

საბჭოთა რესპუბლიკებში რუსულ ენაზე განათლების მიღება მხოლოდ მეორე ენის უკეთ სწავლებას არ ნიშნავდა. ამ მოვლენას გაცილებით შორს მიმავალი მიზნები უნდა ჰქონოდა. მეცნიერების აზრით, ენა არ უნდა აღქმულიყო როგორც უბრალო ნიშანთა სისტემა. ენათმეცნიერები (და არა მარტო) ხშირად მოუხმობდნენ ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის ნააზრევს, რომლის მიხედვით, „ენა ხალხის არის მისი სული და სული ხალხისა არის მისი ენა“. ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ყოველი ენა ერის მსოფლხედვას წარმოადგენდა — „სამყაროს აღქმა და მისი დანაწევრება მშობლიური ენის სისტემის შერყევა და მისი გადასხვაფერება, ბუნებრივია, ცვლის ერის მსოფლხედვას, ამ ერის წარმომადგენელი ადამიანის ფსიქიკას“ (შარმანაშვილი, გაბუნია, 1988, 3).

საბჭოთა ენობრივმა პოლიტიკამ თავისი მანერა შედეგებით განსაკუთრებით იჩინა თავი კონფლიქტურ ტერიტორიებზე. აფხაზურ-ქართულ და ოსურ-ქართულ ურთიერთობებში რუსული ენა ამ ურთიერთობათა დაპირისპირების მიზეზი აღმოჩნდა: „ის ოსები, რომლებსაც რუსულ ენაზე აქვთ მიღებული სწავლა-განათლება, საქართველოს სუვერენიტეტის გაფართოებისათვის მიმდინარე პროცესში ერთგვარად დაპირისპირებული აღმოჩნდნენ ქართველებთანაც და ქართული ორიენტაციის ოსებთანაც“ (ფუხაევი, 1989, 4); „ქართველებს ერთგულებდნენ და საქართველოს იცავდნენ ის აფხაზები და ოსები, რომელნიც ქართულ ენას ფლობენ, ე. ი. ქართული კულტურული სამყაროს წევრები არიან“, — შენიშნავს ა. ბაქრაძე. აფხაზისა და ოსისათვის განათლების, კულტურის, რელიგიის, სახელმწიფო ენის ქართულის ნაცვლად რუსულით შეცვლას კი, აფხაზისა და ოსის ეთნიკური გაუცხოება და ყოველივე ქართულთან დაპირისპირება მოჰყვა (ბაქრაძე, 2005, 314-315).

ორენოვნება რომ მართლაც სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ეროვნულ ენებს, ამას სტატისტიკური მონაცემებიც ადასტურებს: 1959 წლის აღწერით, მთელ საბჭოთა კავშირში რუსული თავის

მშობლიურ ენად დაასახელა არარუსი წარმოშობის დაახლოებით 10 მლნ. მოქალაქემ, 1970 წლის აღწერით — 13 მლნ. (Проблемы двуязычия и многоязычия, 1972, 24), ხოლო 1979 წლის ცნობით ამ რიცხვმა 16, 3 მლნ. კაცს მიაღწია (თოფურია, 1989, 11). ამავე წლის მონაცემებით საბჭოთა კავშირში რუსულ ენას თავისუფლად ფლობდა 214,8 მლნ. ადამიანი, ანუ მთელი მოსახლეობის 82% (ხიდაშელი, 1989, 6).

1989 წლის მონაცემებით საქართველოში რუსულ ენას თავის მშობლიურ ენად მიიჩნევდა 3 787 393 ქართველიდან — 8 877; 95 853 აფხაზიდან — 2 212, 164 055 ოსიდან — 4 246; 307 556 აზერბაიჯანელიდან — 3 972, 437 211 სომხიდან — 40 313, და ა. შ., თავისუფლად იცოდა რუსული ენა 1 203 788 ქართველმა, 77 193 აფხაზმა, 60 004 ოსმა, 105 083 აზერბაიჯანელმა, 187 666 სომეხმა და ა. შ. (საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, 1991, 62-63).

1988 წლის „სახალხო განათლებაში“ იყო ასეთი ცნობაც: „62 ათასი ქართველი ქართულს დედაენად არ აღიარებს“ (გურგენიძე, 1988, 2).

ამ მხრივ მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე იყო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ცხადი ხდება, რომ „ერების შერწყმა“, ანუ მათი გარუსება და ენების გაქრობა რუსული ენის ჰეგემონიის შედეგად, მართლაც რეალური ფაქტი იყო. მაგალითად, „მოსახლეობის პირველი საბჭოთა აღწერისას 1926 წელს დარეგისტრირდა 190-ზე მეტი ეთნიკური გაერთიანება (ერთობა) და დაახლოებით 150 ენა. 1959 წლის აღწერისას კი ეთნიკური ერთეულების რიცხვი 90-მდე შემცირდა“. 1972 წელს იწერებოდა: „ჩვენ თვალწინ ხდება კარელიელების (მათი რიცხვი 100 ათასზე მეტია) ენის დაკარგვა. ისინი ერთენოვნებაზე გადადიან (მშობლიური ენა ხდება რუსული)“ (Проблемы двуязычия и многоязычия, 1972, 24). ბევრმა აფხაზმა ასევე არ იცოდა აფხაზური ენა. ზოგიერთი, მათ შორის, აფხაზურ-ქართული ოჯახისთვის სალაპარაკო ენა რუსული იყო (ტატიანა ბოკუჩავა-გაგულიას ქმარი აფხაზი ჰყავს, ოჯახში კი სალაპარაკო ენა რუსულია) (ბოკუჩავა-გაგულია, 1989, 4). თავიანთ ენას კარგად ნანახლებიც; ახალგაზრდა თაობამ უკვე აღარ იცოდა მშობლიური ენა (ხოდყერი, 1989, 3). მოსახლეობის ასეთი გადასვლა ერთი ენი-

დან მეორეზე საბჭოთა კავშირში კანონზომიერ მოვლენად მიიჩნეოდა (Проблемы двуязычия и многоязычия, 1972, 24).

ლიტერატურა

ბაქრაძე, 1988 — ა. ბაქრაძე, „ბუმერანგი“, „სახალხო განათლება“, № 90, 5. XI. 1988.

ბაქრაძე, 2005 — ა. ბაქრაძე, თხზულებანი, თბ., 2005.

ბოკუჩავა-გაგულია, 1989 — ტ. ბოკუჩავა-გაგულია, „მეგობრობას უნდა გავეფრთხილდე“, „ლიტერატურული საქართველო“, № 17, 28. IV. 1989.

გამყრელიძე, 1989 — ო. გამყრელიძე, „დავამკვიდროთ კანონის უზენაესობა“, „თბილისი“, № 002, 3. I, 1989.

განათლების მდგომარეობა რესპუბლიკაში, 1989 — განათლების მდგომარეობა რესპუბლიკაში, „სახალხო განათლება“, № 5-6, 18. I. 1989.

გვანცელაძე, 1989 — თ. გვანცელაძე, „ისტორიის გაკვეთილები“, „სახალხო განათლება“, 14. IV. 1989.

გვარამია, 1989 — ა. გვარამია, „ვიდრე სექტემბრის ზარი დაირეკებოდეს“, „სახალხო განათლება“, № 36, 9. VIII. 1989.

გულახდილი საუბრები დიდ პრობლემებზე, 1989 — გულახდილი საუბრები დიდ პრობლემებზე, „სახალხო განათლება“, № 19, 6. V. 1989.

გურგენიძე, 1988 — კ. გურგენიძე, „ერთად მოთმინებით დავშალოთ გორგალი...“, „სახალხო განათლება“, № 98, 6. XII. 1988.

თასოევი, მირიანაშვილი, 1989 — გ. თასოევი, თ. მირიანაშვილი, „დრო განსჯის“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, № 116, 30. XI. 1989.

თოფურია, 1989 — პ. თოფურია, „ორენოვნობის ბუნება ანუ რამდენ ენაზე ვილაპარაკოთ?!“, „ლიტერატურული საქართველო“, № 5, 3. II. 1989; № 7. II. 1989.

კიკალეიშვილი, 1989 — ლ. კიკალეიშვილი, „მრავალი კითხვა... ერთი პროექტის ირგვლივ“, „თბილისი“, № 200, 3. VIII, 1989.

მაჭარაშვილი, 1983 — კ. მაჭარაშვილი, „რუსული ენა — დიადი, მეგობრობის ენა“, „სახალხო განათლება“, № 83, 19. X. 1983.

პეტრიაშვილი, 1990 — გ. პეტრიაშვილი, „როცა თქმა სჯობს არათქმასა“, თბ., 1990.

რესპუბლიკის სრული სუვერენიტეტის მიღწევის დიდი პროგრამა, 1989 — რესპუბლიკის სრული სუვერენიტეტის მიღწევის დიდი პროგრამა, „თბილისი“, № 225, 30. IX. 1989.

საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, 1991 — საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, თბ., 1991.

ფოცხიშვილი, 1988 — ალ. ფოცხიშვილი, „ქართული თუ სახელმწიფო ენა?“, „სახალხო განათლება“, № 95, 25. XI. 1988.

ფრუიძე, 1989 — ლ. ფრუიძე, „ეროვნული განვითარების კონცეფციისათვის“, „სახალხო განათლება“, № 39, 30. VIII. 1989.

ფუხაევი, 1989 — ა. ფუხაევი, „ძმობას გაფრთხილება უნდა“, „სოფლის ცხოვრება“, № 192, 19. VIII. 1989.

ქვათაძე, 1989 — ელ. ქვათაძე, „ფრთხილად — ეროვნული საკითხია!“, „სოფლის ცხოვრება“, № 199, 30. VIII. 1989.

შარმანაშვილი, გაბუნია, 1988 — თ. შარმანაშვილი, კ. გაბუნია, „გამოვასწოროთ ძველი შეცდომები“, „ლიტერატურული საქართველო“, № 49, 2. XII. 1988.

შენგელია, 1983(ა) — ლ. შენგელია, „რუსული სიტყვა — ხმა სამშვიდობო“, „სახალხო განათლება“, № 97, 7. XII. 1983.

შენგელია, 1988(ბ) — ვ. შენგელია, „განათლების ზოგიერთი საკითხი ჩვენში“, „კომუნისტი“, № 103, 4. V. 1988.

შევარდნაძე, 1983 — ე. ა. შევარდნაძის მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე 1983 წლის 8 ივლისს, „კომუნისტი“, № 159, 12. VII. 1983.

ტაბიძე, 1988 — მ. ტაბიძე, ქტემატონიმებისა და პრაგმატონიმების შესახებ ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მერვე, 1988.

ტაბიძე, 1988 — მ. ტაბიძე, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, თბ., 2005.

ძიძიგური და სხვ., 1986 — შ. ძიძიგური და სხვ., „მშვიდობისა და მეგობრობის ენა“, „კომუნისტი“, № 185-186, 13. VIII. 1986.

წულეისკირი, 1989 — ნ. წულეისკირი, „დადგენილება № 427, „ლიტერატურული საქართველო“, № 35, 1. IX. 1989.

ჭილაძე, 1989 — თ. ჭილაძე, „სფინქსის აჩრდილი“,

„ლიტერატურული საქართველო“, № 28, 14. VII. 1989.

ხერგიანი და სხვ., 1989 — მ. ხერგიანი და სხვ., „რომელი ბნელსა შინა სთქვით“, „ლიტერატურული საქართველო“, № 28, 14. VII. 1989.

ხიდაშელი, 1989 — შ. ხიდაშელი, „ფიქრები პარტიის ეროვნულ პოლიტიკასთან დაკავშირებით თანამედროვე პირობებში“, „სახალხო განათლება“, № 41, 13. IX. 1989.

ხომტარია-ბროსე, 1989 — ედ. ხომტარია-ბროსე, „ლია წერილი აფხაზ კოლეგებს“, „სახალხო განათლება“, № 23, 6. V. 1989.

ჯორბენაძე, 1989(ა) — ბ. ჯორბენაძე, „ენა, ერი, სახელმწიფო“, „სახალხო განათლება“, № 40, 6. IX. 1989.

ჯორბენაძე, 1989(ბ) — ბ. ჯორბენაძე, „საქართველო აღდგა!“, „თბილისი“, № 140, 19. VI. 1989.

ალკსნისი, 1989 — В. И. Алкснис, Только вместе мы — Латвия, "Известия", № 28, 28. I. 1989.

აუელბეკოვი, 1989 — Е. Ауельбеков, Как мы ищем новый язык, "Известия", № 34, 3. II. 1989.

გუბოგლო, 1988 — М. Губогло, Как два крыла в полете, "Правда", № 238, 25. VII. 1988.

კონდრატოვი, 1989 — Э. Кондратов, Услышать друг друга, "Известия", № 32, 1. II. 1989.

Нация. Язык. Литература, 1988 — Нация. Язык. Литература, "Дружба народов", № 6, 1988.

Проблемы двуязычия многоязычия, 1972 — Проблемы двуязычия и многоязычия, Москва, 1972.

ხალიმი, 1988 — А. Халим, Язык мой — друг мой..., "Дружба Народов", № 6: 1988.

ხინტი, 1988 — М. Хинт, Двуязычие и национализм, "Дружба Народов", № 5, 1988.

ხოჯერი, 1989 — Г. Ходжер, Незнакомый родной язык, "Известия", № 216, 4. VIII. 1989.

Язык начало всех начал — Язык начало всех начал, "Литературная газета", № 38, 21. IX. 1988.

NINO MARKOSIA

The Problem of Bilingualism in Georgia in the 80s of the Last Century (on the material of the Soviet press of the 80s)

Summary

Bilingualism was always a big problem throughout the history of the Soviet Union, however in the 80s of the last century it became particularly acute. In the Soviet press of the 80s social, linguistic, psychological and pedagogical aspects of bilingualism are widely discussed.

The paper focuses on the following tendencies of bilingualism in Soviet Georgia.

1. The tendency of legalising bilingualism constitutionally that might gradually lead to the dominance of Russian in all the spheres of man's activity: culture, science, education international relations.

2. Negative aspects of bilingualism The paper argues that the command of the two languages — of the Russian language and one's native tongue — by a Soviet bilingual was not satisfactory.

3. Bilingualism in the education system is also examined, viz receiving education in Russian, Russian as a second language.

ნანა მაჭავარიანი

**ვითარებითი ზედსართავის ოდნობითი ხარისხის
ცო-პრეფიქსის წარმომავლობისათვის აფხაზურში**

აფხაზურში ვითარებითი ზედსართავის ოდნობით ხარისხს -ცო პრეფიქსი აწარმოებს: ა-ცოგ-ყაფჷ „მოწითალო“, ა-ცოგ-ჯაჷ „მოყვითალო“, ა-ცოგ-ხა „მონაცრისფრო“.

-ცოა სუფიქსი გამოიყენება ასევე ინტენსივობის გამოხატვის ფუნქციით და ღვას უშუალოდ ზმნის ძირის შემდეგ. იხმარება უპირატესად ზმნის უარყოფით ფორმებში: “-დუ-ცო-ამ იგი (არაგონ.) დიდი სულაც (ოდნავადაც) არ არის.

ეს -ცოა შესაძლოა სწორედ ზედსართავის ოდნობითი ხარისხის -ცოა მაწარმოებლის ტრანსფორმირებული სახეობა იყოს.

ჩვენი აზრით, ცო აფიქსი უნდა უკავშირდებოდეს სასხვისო (სა-ზიანო) ქცევის ცო-პრეფიქსს აფხაზურში.

აფხაზურ ზმნაში ზმნის სასხვისო ქცევა ორი ქვესახეობითაა წარმოდგენილი: სასარგებლო ქცევა, რომელიც ირიბი ობიექტისათვის სასარგებლო მოქმედებას აღნიშნავს, მისი ნიშანია ზ-პრეფიქსი; სა-ზიანო ქცევა, რომელიც სუბიექტისათვის საზიანო მოქმედებას აღნიშნავს, მისი ნიშანია ცო-პრეფიქსი;

ქცევათა აღნიშნული ქვესახეობანი მიმართულების გაგებასაც შეიცავენ, (ქართულში მიმართულების აღსანიშნავად თანდებულები და ზმნისწინები გამოიყენება.) აღნიშნულ შემთხვევაში ზ- აფიქსით გადმოცემულ მნიშვნელობას -თვის თანდებულები, ან მი- ზმნისწინი შეესატყვისება: -ლ-ზგ-ზ-გო- ტ „მე რაღაცა მისთვის (ქალისათვის) მიმაქვს“; ცო აფიქსით გადმოცემულ მნიშვნელობას კი გან- თანდებულები, ან მო- ზმნისწინი შეეფერება: -ლ-ცოგ-ზ-გო- ტ “. „მე რაღაცა მისი (ქალის) სურვილის საწინააღმდეგოდ მომაქვს, მისგან მომაქვს“. რაც ქართულში თანდებულისა და ზმნისწინის კომბინაციით გამოიხატება, აფხაზურში ერთ აფიქსს შეუძლია გამოხატოს (ლომთათიძე,

1947, 417-418).

დიუმეზილის მოსაზრებით ცო ელემენტი უბიხურია (დიუმეზილი, 1932, 199).

აფხაზურ-უბიხური ცო- როგორც მორფოლოგიურად, ისე ფონეტიკურად უკავშირდება ქვემო აღიღურ მკვეთრ ლაბიალურ სპირანტს სპ-ს, რომლისგანაც მოდის ყაბარდოული ჭ;

ქეთევან ლომთათიძის ვარაუდით, იგი აფხაზურისავე ცოგ- „გარეთ“ წინდებულსაც შეიძლება დაუკავშირდეს. აცოგრა „გარეთ გამოსვლა“, აცოგ რგარა „გარეთ გამოტანა“ (ლომთათიძე, 1947, 419).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ცო აფიქსი უნდა მომდინარეობდეს აფხაზური აცორა „თლა“, „გათლა“, „თრაშვა“ მასდარისაგან: არ რ აქდღ იზიანგ იცოგ! „ეს მორი კარგად გათალე!“ ზმნური ფუძის თავდაპირველი მნიშვნელობა კი უნდა იყოს ა-ცოა „ტყავი, კანი, ნაჭუჭი, ქერქი, ალარდენი“. შდრ.: ქართ.: „ტყავი, ჩამოტყავება“ (მაჭავარიანი, 1998, 28).

ლგშაპქაა ლცო ტ ლან „მას (ქ.) ფეხები ჩამოაჭრა დედამისმა“; შაპცოგ ნაპცოგ ახგურდგნ დაქოტოჷჷ „ფეხმოჭრილი, ხელმოჭრილი ოქროს ურემზე დასვეს“.

ცო-ს თავდაპირველად უნდა ჰქონოდა რაღაცის მოკლება, ჩამოჭრის მნიშვნელობა. (აფხაზურისათვის აფიქსთა დამოუკიდებელი სიტყვებისაგან მომდინარეობა დამახასიათებელია; მაგ.: იშასწო ტ „ფეხთ ვიცვამ“, აშაპგ „ფეხი“, იხასწო ტ „თავს ვიხურავ“, ახგ „თავი“ და სხვ.)

ცოგ „გარეთ“ წინდებულშიც შესაძლოა ეს ელემენტი მონაწილეობდეს „კანის ტყავის“ (წარმოსახვითი) გაგებით.

ვითარებით ზედსართავთა აღმატებითი და ოდნობითი ხარისხის მაწარმოებლად ზმნური ელემენტების გამოყენება არც ქართულისათვისაა უცხო.

გავიხსენოთ ვითარებითი ზედსართავის აღმატებითი ხარისხის აუ პრეფიქსის წარმოშობის აკ. შანიძისეული ინტერპრეტაცია: მი-მკობ-ე-ის-ი, გ-ი-მკობ-ე-ის-ი, ხ-უ-მკობ-ე-ის-ი; (შანიძე, 1980, 143)

აკ. შანიძის აზრით, ვითარებითი ზედსართავის უ- პრეფიქსი წარმოშობით სასხვისო ქცევის უ- პრეფიქსი უნდა იყოს. (შანიძე, 1980, 143)

საყურადღებოა აგრეთვე ვითარებითი ზედსართავის ოდნობითი ხარისხის მაწარმოებლად მო-ო, წა-ო კონფიქსის გამოყენება ქარ-

თულში: მოწითალო /წაწითალო, მოთეთრო /წათეთრო. აკ. შანიძე ფიქრობს, რომ როგორც მო-, ისე წა- წარმოშობით იგივეა, რაც სათანადო ზმნისწინები (შანიძე, 1980, 141).

იგივე ც° ელემენტი აფხაზურში შესაძლოა ადამიანის (გონიერთა) მრავლობითობის გამომხატველ -ცა სუფიქსშიც ვივარაუდოთ: ასტუდენტცა „სტუდენტები“, აძღაბცა „გოგოები“, აჭკაგცა „ბიჭები“;

საგულისხმოა, რომ აღნიშნული ელემენტი მონაწილეობს აფხაზურ აც°-ეიჟ „სხეული“, სიტყვასიტყვით: „კანი და ხორცი“ კომპოზიტშიც, რომელიც მხოლოდ ადამიანის მიმართ იხმარება და ქართული „სისხლი და ხორცის“ სემანტიკისაა.

ც° ელემენტი რაღაცის „მოკლება“, „ჩამოჭრის“ მნიშვნელობასთან ერთად შესაძლოა ითავსებდეს მისთვის სრულიად საპირისპირო, გონიერთა კლასის მრავლობითობის აღნიშვნასაც; ამ, ერთი შეხედვით, ურთიერთსაწინააღმდეგო ცნებებს, როგორცაა „მოკლება“ და „სიმრავლე“, „კანის“ / „ტყავის“ მთლიანობის გაგება უნდა შეიცავდეს თავის თავში.

საგულისხმოდ გვეჩვენება აგრეთვე -აცა ელემენტის მონაწილეობა განუსაზღვრელი რიცხვითი სახელის ა-რაცა „ბევრი, მრავალი“ ფუძეში: აუა რაცა „მრავალი ხალხი“, აამთა რაცანგ იჰამოუბ „ბევრი დრო გვაქვს“.

ამ ლექსემაში თავიდანვე რ- წარმოშობით III პირის მრავლობითობის აწ უკვე გაქვევებული პრეფიქსი შეიძლება იყოს. მაგ.: აუა რაცოუბ სიტყვასიტყვით: „ხალხი (მათი) სიმრავლე“, წარმოსახვითი მნიშვნელობით: „ხალხი (მათი) მრავალ ტყავობა“

ის ფაქტი, რომ აფხაზურში მრავლობითობის აღნიშვნა სუფიქსით ხდება, ხოლო საზიანო ქცევისა და ზედსართავის ოდნობითი ხარისხის მაწარმოებლები პრეფიქსებია, მსგავსი სიძველის გრამატიკული მოვლენისათვის, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს დამაბრკოლებელი გარემოება.

ამრიგად, ვითარებითი ზედსართავის ოდნობითი ხარისხის (ა)ც°-პრეფიქსი, ზმნის სასხვისო (საზიანო) ქცევის ც°-პრეფიქსი და გონიერთა მრავლობითობის -ცა სუფიქსი აფხაზურში მატერიალურ ერთიანობას ამჟღავნებს.

ვვარაუდობთ, რომ ც° აფიქსის თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო „კანი, ტყავი“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ მხრივ საყურადღებოა ქართულის ჩვენება.

თუ ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრება აფხაზურ ენაში არსებულ ობიექტურ ვითარებას მართლაც შეეფერება, ეს შესაძლოა დამატებით მიუთითებდეს ქართული და აფხაზური ენების გრამატიკული წყობის განვითარების საერთო მიმართულებაზე, რაც ამ ენათა მორფოლოგიის ისტორიულ-შედარებითი კვლევის თვალსაზრისით ნიშანდობლივად გვეჩვენება.

ლიტერატურა

დიუმენილი, 1932 — A. Dumezil. Etudes comparatives sur les langues causiennes du Word-Ouest Morphologie, Paris, 1932.

ლომათიძე, 1947 — ქ. ლომთაიძე, ქცევის კატეგორიისათვის აფხაზურ ზმნაში, თსუ შრომები, ტ. XXX-XXXI, თბ., 1947.

მაჭავარიანი, 1998 — ნ. მაჭავარიანი, ზმნის სასხვისო ქცევის „ც“ აფიქსის წარმომავლობისათვის აფხაზურში, კრებ. „არნ. ჩიქობავა 100“, თბ., 1998.

შანიძე, 1980 — აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზ. თორმეტ ტომად, ტ. III, თბ., 1980.

NANA MACHAVARIANI

Towards the History of the Abkhasian Prefix c° Indicating Slight Degree in Manner Adjectives

Summary

In the paper it is assumed that the Abkhasian adjectival prefix c° showing a slight degree, the objective version forming prefix c° _ and the suffix c°a forming the plural of the class of the reasonable are of the same origin.

The affix in question might have originated from the word ac°a meaning skin / h. de.

ჯასამ რ. მაჭოლი

**ფრინველები და მათი სახეობანი მანუჩეჰი
დამლანის პოეზიაში**

მანუჩეჰი დამლანის ბავშვობამ დამლანში იმ ვრცელ უნაპირო ველთა შორის განვლო, ამ სოფელს ყოველმხრივ გარს რომ არტყია; ახალგაზრდობის ნაწილი კი, როგორც ამბობენ, კასპიის ზღვის სანაპიროსა და ალბორჯის მთის კალთებზე გაუტარებია. აღნიშნულმა გარემომ მას ბუნების სიყვარული გაუღვივა.¹

იმ გამოცდილებისა და ბუნების აღწერილობათა სპეციფიკის გაგება და გააზრება, რასაც მანუჩეჰი დამლანი თავის სამფლობელოში, საკუთარი გამოცდილებისა და შეგრძნებათა მეოხებით ახერხებს, ადვილად შეიძლება. ამიტომაც იყო, რომ მისი პოეტური ხატები შემდგომი ხანის პოეტებთან, იშვიათი გამონაკლისის გარდა, აღარასოდეს გამეორებულა და მისი სპეციფიკური გამოცდილებაც იმდენად თავისებური იყო, რომ სხვებმა ვერ შეძლეს, ის თავიანთ პოეტურ კრებულებში გადაეტანათ. ეს ხდება მაშინ, როცა მისი მოღვაწეობის ხანაშიც და მერეც, კარგა ხნის შემდგომ, პოეტურ ხატთა ერთმანეთისაგან აღება სპარსულ პოეზიაში გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენს. დამლანის პოეტურ ხატებს თუ უფრო ყურადღებით დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ამ ხატთა უმრავლესობა ისეთნაირადაა მოწოდებული, რომ მხოლოდ იმ კონკრეტულ ადგილასაა მიმზიდველი და მაღალმხატვრული, თორემ ადგილი უმნიშვნელოდაც რომ შევუცვალოთ, არა მარტო მშვენიერებასა და სიახლეს, არამედ მხატვრულ ღირებულებასაც დაკარგავდა. მაგალითად, მწყრის აღწერა, რომელსაც ქვემოთ დამოწმებულ ბეითებში შევხვდებით, პოეტური ხატის ელემენტთა ასეთი მშვენიერების მიუხედავად, სადმე, სხვაგან რომ გამეორებულყო, თავდაპირველ სილბოსა და ბრწყინვალეობას ალბათ ძნელად შეინარჩუნებდა.²

¹ ოსტატობის ქარავანში, გვ. 55

² წარმოსახვითი ხატები სპარსულ პოეზიაში, გვ. 510

მთის კალთებზე მწყერი
კაკაბთან საცეკვოდ გამოვიდა;
ფრთები ალიფივით გაისწორა, მაგრამ ვერ შეიძლო,
(ტივილის) მოუთმენლობისაგან დაღუნა ალიფი,
ფრთებზე დაიხატა რვა თუ ცხრა ალიფი
უკალმობის ანდა უმელნობის გამო.¹

ამ აღწერილობის მთელი სიახლისა და მშვენიერების მიუხედავად, ძნელი დასაჯერებელია სხვანაირად, რაიმე ფორმით მისი მიბაძვა მოხერხდეს და ეს თავისებურება დამღანის პოეტურ ხატთა უმრავლესობას ახასიათებს. შეიძლება ამიტომაცაა, რომ მისი ლექსების კრებული ამდენი საუკუნის მერეც ისევ გამოირჩევა სიახლით და მგრძნობიარე აღწერათა თვალსაზრისთ, განსაკუთრებით, როცა საქმე ბუნებას ეხება, კვლავინდებურად შეუდარებელია.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ მანუჩქოს არა მხოლოდ აჯადოებს და ნუსხავს ბუნება და მისი სხვადასხვა გამოვლინება, არამედ მთელი არსებით შეიგრძნობს მას და ბუნებასთან ეს თანაზიარობა, პირდაპირი კავშირი და ტრფობა გახდა მიზეზი იმისა, რომ პოეტმა მოახერხა ბუნების მშვენიერების შეცნობა და აღმოჩენა და ეს გამოცდილება პოეზიაში მალალმხატვრულად გადმოიტანა.²

მანუჩქორი არა მხოლოდ ბუნების სურათები აღწერა, რაც ხედვისა და მხედველობის არეალში შედის, არამედ თავის თანამედროვეებთან შედარებით უდიდესი ყურადღება დაუთმო ბუნებაში ფრინველთა და მათი ხმების საკითხს. ამდენად მის დივანში გვხვდება ჩიტთა ხმებისა და ჭიკჭიკის აღწერილობანი, რაც თავისთავად მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ პოეტი თავისი აღწერის საგნის აღსაქმელად მკითხველის არა მარტო თვალს, არამედ ყურასაც საჭიროებს.

ქვემოთ განვიხილავთ ფრინველთა იმ სახეობებს, რაც მანუჩქორი დამღანის დივანში გვხვდება და შევეცდებით წარმოვაჩინოთ, რა საინტერესოდ და ლამაზად ატეხს პოეტი ფრინველთა სახელებს მათ აღწერილობათა ჩარჩოებში, რათა მთლიანობაში ეს ყველაფერი ძალდაუტანებლად შეესაბამებოდეს მისთვის საინტერესო თემატიკას:

¹ მანუჩქორი დამღანის დივანი, გვ. 117

² სიტყვის ზეიმი, გვ. 308

შეგარდენი (სპარს. *baz*) — სანადირო ფრინველი, რომელიც სწრაფად დაფრენს, აქვს ძლიერი ჭანგები, მოკაუჭებული ნისკარტი, ბასრი ბრჭყალები, შიგნით მუქი, ხოლო გარედან ღია ყავისფერი ფრთები, გულზე კი შავი წინწკლები და ლაქები აყრია.³ ამ ჩიტს არაბულად *bazi* -ს ეძახიან.⁴ ამ ფრინველის სახელი მანუჩქორი დამღანის პოეზიაში მრავალჯერ დასტურდება. პოეტი შეგარდენს სხვადასხვა ადგილას ბუნების მრავალ საგანსა და არსებას ადარებს. მაგალითად, რეჰანის დახუჭუჭებული და დაბრეცილი ტოტები შეგარდენის ჭანგებს ახსენებს, ხოლო სხვაგან გაჭენებული ცხენი სისწრაფის მხრივ ამ ფრინველს მოაგონებს. ერთგან კი პოეტი კითხულობს: შეიძლება თუ არა წიწილა შეგარდენს დაუმეგობრდეს და მის მხარდამხარ იფრინოს.

თითქოს შეგარდენის ჭანგებია რეჰანის ღერო,
თითქოსდა იხვის ფეხებია ალვის ფოთოლი.

(მანუჩქორი, ლექსთა სრული კრებული, გვ. 36)

მიმინო (სპარს. *bashe*) — მომცრო ტანის სანადირო ფრინველი, რომელსაც ყვითელი თვალელები, მუქი ნაცრისფერი ზურგი და ინისფერი ლაქებით დაწინწკლული თეთრი მუცელი აქვს.⁵ ამ სიტყვის არაბიზებული ფორმაა: *bashik*.⁶ აღნიშნული ფრინველის სახელი დამღანის პოეზიაში ერთადერთხელ იხსენიება. ჩვენი აზრით, ქვემოთ დამოწმებულ ბეითში მანუჩქორი ცხენის სისწრაფეს მიმინოს ზემოდან ქვემოთ შენავარდების სისწრაფეს უდარებს:

ზოგჯერ მწყერივით მოგოგმანე ხარ, ზოგჯერ არწივივით ფრთამალი,
ზოგჯერ ზემოთ მიმინოსავით ავარდები,
ხოლო ზოგჯერ ქვემოთ შეგარდენივით დაეშვები.

(მანუჩქორი, ლექსთა სრული კრებული, გვ. 53)

ბატი (სპარს. *batt*) — წყლის ფრინველთა ერთგვარი ჯიშის ზოგადი სახელი. სხვადასხვა ფერისა და გვარის ამ ფრინველებს სპარსულად *kaz*-ს უწოდებენ. მათ მოკლე, აპკადაკრული ფეხები აქვთ.

³ ამიდი, სპარსული ლექსიკონი, გვ. 352

⁴ „კამუს ალ-მუჰიტ“, არაბული ენის დიდი განმარტებითი ლექსიკონი, გვ. 646

⁵ მიინი, „სპარსული ლექსიკონი“, გვ. 460

⁶ „ალ-მუნჯიდ ფი ლ-ლულა ვალ ილამ“, გვ. 25

გვხვდებიან როგორც შინაური, ასევე გარეული თუ ტყის ბატები.¹ არაბულადაც ამ ფრინველს **batt**-ს უწოდებენ.²

მანუჩეპრის სიტყვა „ბატი“ თავის პოეზიაში ორჯერ გამოუყენებია. საერთოდ მანუჩეპრის პოეზიის ერთ-ერთი თავისებურება სიტყვის შინაგანი მუსიკის მთავარი მოტივის აღმოჩენაა, რაც პოეტის მუსიკალურ გემოვნებასა და ცოდნაზე მიუთითებს. მის დივანში ბევრი ფრინველი მუსიკალურ საკრავებზე დამკვრელთანაა შედარებული. ჩვენთვის საინტერესო ფრინველი (ბატი) კი პოეტს თანბურზე დამკვრელისათვის შეუდარებია, ხოლო ორ სხვა შემთხვევაში ბატი ორატორადა ჰყავს წარმოდგენილი:

ყოველწამიერ, ბატი ორ-სამ სიტყვას რომ იტყვის,
წყალში ჩახტება და სამოსს ხელახლა გაირეცხავს.

(მანუჩეპრის ლექსთა სრული კრებული, 165)

ბულბული (სპარს. **bolbol**) — ბელურათა ჯიშის ფრინველი, რომელიც ზურგზე მეწამულისავენ გადახრილი რუხი ფერისაა, მუცელზე კი მოყვითალო ფერი გადაჰკრავს. ნისკარტი წამახული და ნატიფი აქვს.³ სიტყვის ძირი არაბულია.⁴ ეს ჩიტი მანუჩეპრის დივანში ყველაზე ხშირად იხსენიება. პოეტი ბულბულს კაზმული სიტყვის ოსტატებს, მგოსნებს, მთხრობელებს, მეხოტბეებსა და მუეძინებს ადარებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მანუჩეპრი ბულბულს ხშირად იხსენიებს. ერთ-ერთი მაგალითი, რომელიც ჩვენი განცხადების დასტურად გამოდგება, ქვემოთ მოყვანილი ნიმუშია, სადაც პოეტი ბულბულის გალობას სპარსული მუსიკის ჰანგებსა და მოტივებს, მაგალითად, „ყალუსის“ ჰანგს ადარებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთ ნიმუშში ბულბული არაბულ კასიდებსა და ლექსებსაც მღერის:

შემოსძახებს ტოროლა ტანაშოლტილ ალვაზე „სარგოსაჰის“ ჰანგს,
ბულბული კი ვარდის რტოზე „ყალუსის“ ჰანგს ააკენსებს.

(მანუჩეპრის ლექსთა სრული კრებული, გვ. 130)

ოფოფი (სპარს. **pupuk**) — ლამაზად მოხატული ფრინველია, რომელსაც თავზე ბიბილო ადგას. იგივე **hodhod**.⁵ ეს ჩიტი იმ ფრინველთა შორისაა, რომელსაც პოეტი თავის დივანში მხოლოდ ერთხელ იხსენიებს. მაგრამ მისი ლექსის ეს პასაჟი ძალზე საინტერესო და სასიამოვნო საკითხავია:

ეჯიბ ოფოფს თავზე უსტარი შემოუღია,
ხან გაშლის უსტარს, ხანაც დაკეცავს

(მანუჩეპრის ლექსთა სრული კრებული, გვ. 1)

ხოხოზი (სპარს. **tazarv**) — ქათმის ჯიშის ერთგვარი ფრინველი, რომელსაც შინაური ქათმისხელა ტანი აქვს, იგივე **karkavol**.⁶ ამ სიტყვის არაბიზებული ვარიანტია **tadarj**.⁷ ხოხოზი დამლანის პოეზიაში ში მხოლოდ ორგან იხსენიება. პოეტი ამ ფრინველის მეტად საინტერესო აღწერილობას გვთავაზობს და ხოხოზს ალვის ხეზე მჭდარ და „მიჯნურთა ფარდის“ ჰანგის მომღერლად წარმოგვიდგენს. სხვაგან ყანაში ჩამალულ ამ მოხატულ ფრინველს ჩინის ზღვაში დამხრჩვალ პატარძალს ადარებს:

ყანაში ისე ჩაიმალა ხოხოზი,
როგორც ჩინის ზღვის ტალღებში დამხრჩვალი პატარძალი.

(მანუჩეპრის ლექსთა კრებული, გვ. 180)

გნოლი (სპარს. **tihu**) — მწყრის ჯიშის ერთგვარი ფრინველი, რომელიც ჩვეულებრივ მწყერზე ოდნავ მომცროა, რუხი, ყლალი შეფერილობის ფრთები აქვს, ფრთებქვეშ კი შავი ფერისაა. ამ სიტყვის არაბიზებული ვარიანტია **taihu**.⁸ დამლანი თავის დივანში გნოლსაც მხოლოდ ორჯერ იხსენიებს:

გნოლს ბალახის ღერო უჭირავს პირით,
ხოლო ქურციკს ყვავილები ფერად-ფერადი

(მანუჩეპრის ლექსთა კრებული, გვ. 171).

¹ დეჰხოდა, „სიტყვის კონა“, გვ. 4210

² „მუჰიტ ალ-მუჰიტ“ (არაბული განმარტებითი), გვ. 44

³ მოინის ლექსიკონი, გვ. 565

⁴ არაბული ენის სრული განმარტებითი ლექსიკონი, 1251

⁵ დეჰხოდას ლექსიკონი, გვ. 5029

⁶ ამიდის სპარსული ლექსიკონი, გვ. 660

⁷ ალ- მუნჯიდ ფილ-ლულა ვალილამ (არაბული ლექსიკონი), გვ. 60

⁸ ბორჰანი ჯათი, დეჰხოდას ლექსიკონის საფუძველზე, გვ. 6357

ტოროლა (სპარს. *Chekav, chekavak, chekave*) — ბელურის მსგავსი ფრინველი, რომელსაც თავზე გვირგვინი ადგას და სასიამოვნოდ გალობს. ამ ფრინველის სამი დასახელება მანუჩეჰრის დივანში თითო-თითოჯერ გვხვდება.¹ როგორცა ჩანს, ამ ჩიტის სასიამოვნო გალობის გამო პოეტს მისი ხმა სპარსული ტრადიციული მუსიკის ისეთი ჰანგებისათვის შეუდარებია, როგორცაა „განჯე გავ“ და „განჯე ბად“. სხვაგან ტოროლას გვირგვინს მცენარეთა გვირგვინს ადარებს.

გამთენიისას ტოროლა სასიამოვნო სიმღერას იწყებს:
ხან „განჯე გავის“ ჰანგს მღერის და ხანაც კიდევ
„განჯე ბადის“ ჰანგს

(მანუჩეჰრის ლექსთა კრებული, გვ. 17)

ბუკიოტი (სპარს. *chok*) — ბუთა და ჭოტთა ოჯახის ერთგვარი ფრინველი. გამოსცემს ხმას, რომელსაც ხალხი სიტყვას „ჰაკკ“ (ჭეშმარიტება) ამსგავსებს. იმასაც ამბობენ, რომ ღამით ხის ტოტზე ეკიდება და იმდენ ჰაკკ-ჰაკკს იძახებს, სანამ ყელიდან სისხლის წვეთი არ ჩამოუვარდება.² ჩვენს პოეტს თავის დივანში ეს ფრინველი მხოლოდ ერთხელ უხსენებია, მაგრამ იგი არაფრისათვის არ შეუდარებია და მხოლოდ მისი მოძრაობა აღუწერია:

ბუკიოტმა თავი ხეზე ჩამოიკიდა,
შავმა ყორანმა ფრთებზე ამბრისა და მუშკის ნაზავი (ყალივ)
გადაისვა

(მანუჩეჰრის ლექსთა კრებული, გვ. 180)

მტრედი (სპარს. *hammam*) — გვრიტისებრთა ოჯახის ყველანაირი ფრინველი, რომელსაც ყელსაბამი ამშვენებს.³ ამ სიტყვის ძირი არაბულია.⁴ დამღანის ეს ფრინველი ერთჯერა ჰყავს ნახსენები ლექსის ბეითში, სადაც ოთხ სხვადასხვა ჩიტს ჩამოთვლის, რომელთაგან ყველა არაბულ ლექსებს ჰიკაჰიკებს:

¹ დეჰხოდას ლექსიკონი, გვ. 7202-7203

² ამიდის სპარსული ლექსიკონი, გვ. 904

³ მონის ლექსიკონი, გვ. 1372

⁴ „მუჰიტ ალ-მუჰიტ“ (არაბული ენის განმარტებითი ლექსიკონი), გვ. 196

მტრედი და გვრიტი რტოზე, ხოლო კაკაბ-ხოხობი ყვავილთა ქვემოდან მღერიან ლექსებს და არაბულად ამბობენ ღვთის სადიდებელ მოძახილს

(მანუჩეჰრის ლექსთა კრებული, გვ. 66)

ყანჩა (სპარს. *havasel*) — ამ ფრინველს დიდი ტანი და კონუსისებრი ნისკარტი, გრძელი და შეუბუზბლავი კისერი აქვს, ასევე გრძელი აქვს ფეხებიც. სახელი თავისი გრძელი კისრის გამო ეწოდა. იგივე *qamkhorak*.⁵ პოეტი იმ პასაჟში სადაც ყანჩის სახელი იხსენიება, აქლემის ან სპილოს ზურგზე გადამდგარ ჩარდახს, რომელიც უმთავრესად მორთული და შემკული იყო, ფარშავანგს ადარებს. იმავე სურათში აქლემი, გარეგნული მსგავსებისა და გრძელი, დაგრეხილი კისრისა გამო, ყანჩასთანაა შედარებული:

აქლემზე გადამდგარი ჩარდახი
ყანჩის ზურგზე მჯდარი ფარშავანგი გეგონებოდა

(მანუჩეჰრის ლექსთა კრებული, გვ. 66)

ძერა (სპარს. *khad*) — იგივე *zaqan*, რომელსაც ასევე *pand*-საც ეძახიან.⁶ ეს ფრინველი მანუჩეჰრის დივანში ნოვრუზის დღესასწაულისადმი მიძღვნილ და ხაჯე აბუ ლ-ჰასანის სახოტბო კასიდაში იხსენიება. პოეტი აქ ხაჯე აბუ ლ-ჰასანს არწივს ადარებს. აქვე უნდა გავიხსენოთ ერთი ანდაზა, რომელიც ამბობს: ძერას მუდამ შურს არწივისაო.

ო, მზის ნაცვალო, დღე და ღამე მუდამ ანათე,
შენ არწივს ჰგავხარ, ხოლო შენი დაწყევლილი მოშურნე — ძერას

(მანუჩეჰრის ლექსთა კრებული, გვ. 17)

ხარბათი (*kharbatt*) — იგივე *batt*-ია.⁷ პოეტი იმ პასაჟში სადაც ფრინველ „ხარბათს“ იხსენიებს, საინტერესო წარმოსახვით სურათს გვთავაზობს, დიალოგს, რომელიც ვაზსა და ყურძნის მტევანს შორის მიმდინარეობს. როგორც ჩანს, ეს სურათი პოეტის ერთ-ერთი ნოვაციაა.

⁵ „ლიას ალ-ლულათ“, დეჰხოდას ლექსიკონის საფუძველზე, გვ. 8107

⁶ „ბორჰანე ყათე“, დეჰხოდას ლექსიკონის საფუძველზე, გვ. 8145

⁷ დეჰხოდას ლექსიკონი, გვ. 8469

ვაზმა უთხრა მტევანს: გოგო, შე ბედოვლათო,
ეს რა მუცელი წამოგზრდია, როგორც ბატის ზურგი და ღიპი

(მანუჩეპრის ლექსთა კრებული, გვ. 203)

ხარდამა (ბულბულის ჯიში) — სასიამოვნო ხმისა და ფერის ფრინველია.¹ მანუჩეპრის თავის ლექსებში სიტყვა „ხარდამა“ სამჯერ აქვს გამოყენებული. აქ სამივე შემთხვევას განვიხილავთ. ერთ შემთხვევაში პოეტს „ხარდამა“ წარმოდგენილი ჰყავს, როგორც შემგებბელი, მეორეგან იგი ამ ჩიტისა და გულყვითელას ყვავილების სიყვარულს აღვნიშნავთ, ხოლო მესამეგან მისი ხმა კრინისა და ბანისათვის შეუღარებია:²

ხარდამას ჟღერტულმა ტიტა გამოაფხიზლა:
კრინი აწკრიალდა და ბანი აროხროხდა.

(მანუჩეპრის ლექსთა კრებული, გვ. 181)

მამალი (სპარს. khorus) — შინაური ფრინველი, ქათამთა ჯიში-სა.³ მამალი მანუჩეპრის ლექსებში მხოლოდ ერთხელ იხსენიება. პოეტს თავის დივანში მამლის ყვილი მუეძინის ძახილისათვის შეუღარებია. ეს შეღარება არაბულ-სპარსულ პოეზიაში, განსაკუთრებით ე. წ. „ხამრიათში“, ანუ „ღვინის ლირიკაში“, ფართოდ არის გავრცელებული.

გაისმა მამლის ყვილი — ღვინის ღუქანთა მუეძინისა,
ღილამ პირველად უჩვენა სახე თავის მაცქერალთ

(მანუჩეპრის ლექსთა კრებული, გვ. 179)

ხაშანსარი (სპარს. khashansar) — გარეული იხვის ერთ-ერთი ჯიში. დიდი ზომის წყლის ფრინველი, რომელიც შავი ფერისაა, ხოლო თავი ალაგ-ალაგ თეთრი აქვს. თურქები მას „ყალყაშდანს“ ეძახიან.⁴ პოეტს ამ ფრინველის სახელი თავის ლექსებში ერთადერთხელ აქვს ნახსენები, როდესაც ვაზის ფოთლებს ხაშანსარის ფეხებს ადარებს:

¹ მანუჩეპრი დამლანის დივანი, განმარტებანი, გვ. 361

² მანუჩეპრი დამლანი და მუსიკა, გვ. 127

³ მოინის სპარსული ლექსიკონი, გვ. 1415

⁴ ანდარაჯის ლექსიკონი, დეჰხოდას ლექსიკონის საფუძველზე, გვ. 8627

ხაშანსარის ფეხებსა ჰგავს ვაზის ფოთლები,
რომლებიც ახლა სნეულის დაწვივით გაყვითლებულან

(მანუჩეპრის ლექსთა კრებული, გვ. 26)

მერცხალი (სპარს. khattaf) — იგივე chelchele.⁵ ამ სიტყვის ძირი არაბულია და მისი მრავლობითია: khatatif.⁶ მერცხალი ის ფრინველია, რომელიც მანუჩეპრის, რაღაც პირადი მიზეზებით, მხოლოდ ერთხელ უხსენებია:

პატარა მერცხალს ამბრი ყელში გაეჩხირება,
როდესაც ამბრის გადაყლაპვას მოიწადინებს

(მანუჩეპრის ლექსთა კრებული, გვ. 26)

ტოროლა (სპარს. khul) — ბელურაზე მომცრო ფრინველია, რომელიც ძალზე მალა ფრენს და სხარტია. ზოგჯერ მას Chekavak-საც უწოდებენ.⁷ ჩვენთვის საინტერესო ეს ფრინველი მანუჩეპრის ლექსებში მხოლოდ ერთხელ იხსენიება. ამ მაგალითში პოეტი გვეუბნება, რომ ტოროლა თანბურს უკრავს. ბეითი კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს მანუჩეპრის მუსიკისადმი უზომო სიყვარულზე.

ტოროლა მათათა თანბურს უკრავს
ხიდან ხეზე ფრენს და გაიძახის: „აჰ!“

(მანუჩეპრის ლექსთა კრებული, გვ. 189)

დურაჯი (სპარს. dorraj) — ფრინველია ქათმის ჯიშისა. კაკბის გვარისაა და მინდვრად ბინადრობს. შავ-თეთრია და პატარა ნისკარტი აქვს.⁸ არაბულად durraj-ს უწოდებენ.⁹ მანუჩეპრის ამ ჩიტის თავისებურებანი საინტერესოა აქვს აღწერილი, განსაკუთრებით, შეღარებებისა და მეტაფორების მეშვეობით. ჩვენი აზრით, ერთგან პოეტი დურაჯის ფრთებზე დაყრილ შავ წინწკლებს „ყალიეს“ (შავი ფერის

⁵ მოინის სპარსული ლექსიკონი, გვ. 1306

⁶ ალ-მუნჯიდ ფილ-ლულა ვალ-ილამ (არაბული ენის განმარტებითი ლექსიკონი) გვ. 187

⁷ ბორჰანე ყათე' (დეჰხოდას ლექსიკონის მიხედვით), გვ. 8899

⁸ ამიდის სპარსული ლექსიკონი, გვ. 1101

⁹ „ალ-კამუს ალ-მუჰიტ“, გვ. 241

სურნელოვანი ნივთიერება; თმის მოვლის ტრადიციული საშუალება) რომ აღარებს, ამის მიზეზი ორივე საგნის შავი ფერია. მეორეგან დურუჯი სპარსულ ტრადიციულ ჰანგებს „შიშამსა“ და „ყალუს“ მღერის. რაც შეეხება არაბულ-სპარსული ტრადიციული ლექსწყობის ერთ-ერთ საზომს მუსამატს, ამ ფორმას თვითონ მანუჩეჰრი იყენებდა თავის პოეზიაში და მან, შეიძლება ითქვას, ეს საზომი ხელახლა დაამკვიდრა. ჩვენ მიერ განხილული ფრინველი პოეტის ერთ-ერთ ლექსში თვითონ მანუჩეჰრის მუსამატს მღერის:

ფარშევანგი ონსორის მადჰს (სახოტბო ლექსს) მღერის,
დურუჯი კი — მანუჩეჰრის მუსამატს

(მანუჩეჰრის ლექსთა კრებული, გვ. 117)

ყორანი (სპარს. zaq) — ფრინველია, რომელსაც არაბულად **qurab**-ს ეძახიან. მთლიანად შავია, ხოლო იმას, რომელსაც თეთრი ნისკარტი აქვს, სპარსულად **kolaq**-ს უწოდებენ.¹ მანუჩეჰრის თავის ლექსებში ამ ფრინველის შავი ფერი მრავალგვარი შედარების შესაქმნელად გამოიყენებია. ერთგან ყორანს აბისინიელ კაცს (შავკანიან ადამიანს) აღარებს, სხვაგან ხის ტოტზე შემომჯდარ ყორანს ამ ტოტის შავი ფერის ქუდად წარმოგვიდგენს, ხოლო კიდევ ერთ ბეითში ღრუბლის ფერი ამ ფრინველის ფერთანაა შედარებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, ზოგადად, პოეტი თავის ბევრ ლექსში მხატვრულ სახეთა შესაქმნელად ფრინველთა ფერებსაც აქტიურად გამოიყენებს:

გამოვიდა ყორნისფერი და შავი იხვის ტანიანი
მრუმე ღრუბელი კარუნის მთის მწვერვალიდან

(მანუჩეჰრის ლექსთა კრებული, გვ. 86)

წერო (სპარს. zaqur) — იგივე **laklak**.² ამ ფრინველის სახელი მანუჩეჰრის ერთადერთ ბეითში იხსენიება და იგივე ბეითია დამოწმებული ასადის ლექსიკონში სიტყვის „ზაყურ“ საილუსტრაციოდ.³ აქ პოეტი ბულბულსა და წეროს ერთმანეთს სილამაზისა და ხმის (გა-

ლობის) თვალსაზრისით აღარებს:

ერთურთისაგან თუ ვერ არჩევ წეროსა და ბულბულს,
დაუკვირდი ერთგან გალობასა და მეორეგან ლულულს

(მანუჩეჰრის ლექსთა კრებული, გვ. 212)

ძერა (სპარს. zaqan) — მონადირე ფრინველთა ჯიშის ერთგვარი ჩიტი, შევარდენთა სახეობისა. ცნობილია თავისი ბასრი მზერით, სისწრაფით, ძალითა და სისხლისმსმელობით. მისი ჯიშის ორ გვარად იყოფა. ერთი ნადირობს მინდვრის თავგებზე (აქედან მისი სპარსული სახელწოდებაც: **mushgir**).⁴ ჩვენთვის საინტერესო ფრინველი — ამ შემთხვევაში: **zaqan** — ბედაურთანაა შედარებული თავისი სილამაზის გამო:

ძერისაგან ვერ გამოვა მალემსრბოლი ბედაური,
თუმცა ცხენის ჭიხვინსა ჰგავს ხმა ძერისა

(მანუჩეჰრის ლექსთა კრებული, გვ. 82)

ზანდვაფი, ზანდბაფი — ამ ჩიტის თაობაზე სხვადასხვა თვალსაზრისია გამოთქმული. ზოგი ამბობს, რომ ბულბულის სახელია, ზოგი გვრიტად მიიჩნევს, ზოგი — ბელურად, ერთნი კი ამტკიცებენ, რომ ეს ყველა მაგალობელი ფრინველის ზოგადი სახელია.⁵ დამდანის თავის ლექსებში ეს ფრინველი სამჯერ უხსენებია. ერთ შემთხვევაში მანუჩეჰრი ზანდვაფს პოეტს აღარებს, — ზანდვაფს ისე აღგვიწერს, რომ ეს ჩიტი ალვის ხეზე შემომჯდარა და თითქოს „არდაშირის ტახტის“ ჰანგს ღიღინებს. რაც შეეხება ბოლო შემთხვევას, თითქოს პოეტს სურდა მკითხველისთვის ეგრძნობინებინა, რომ ზანდვაფი ავესტას განმარტებას ეწევა, რამდენადაც ზანდვაფი ზოროასტრელი სასულიერო პირებისათვის შეუდარებია:

ზანდვაფები ზენდავესტას საგალობლებს ბუტბუტებენ,
ბულბულებმა განთიადისას მთელი ავესტა ჩააგალობეს

(მანუჩეჰრის ლექსთა კრებული, გვ. 189)

¹ ბორჰანე ყათე, დეჰხოდას ლექსიკონის მიხედვით, გვ. 11048

² დეჰხოდას ლექსიკონი, გვ. 11052

³ ლოლათე ფურუს, გვ. 164

⁴ მოინის ლექსიკონი, გვ. 1741

⁵ მანუჩეჰრის დივანი, განმარტებანი, გვ. 371.

შაში (სპარს. sari) — შავი ფერის მგალობელი ფრინველი, რომელსაც თეთრი, წვრილი წინწკლები აყრია და ასევე sar-საც ეძახიან.¹ ეს ჩიტი მანუჩეჭრის ლექსებში სამ სხვა მგალობელ ჩიტთან ერთად იხსენიება. ჩვენი აზრით, ქვემოთ მოტანილ ფრაგმენტში შაში ნმადაბლა ჭიკჭიკებს ისე, თითქოს ვინმეს რაღაც ტექსტს კარნახობსო:

ხან ბულბული დაიწყებს მოგუდულ ჭიკჭიკს, ხან მერცხალი
ააყოლებს ბანს,
ხან გვრიტი დაიწყებს ქვითქვითს, ხანაც შაში აჟღერებულდება.
(მანუჩეჭრის ლექსთა კრებული, გვ. 123)

წითელი იხვი (სპარს. sorkhab) — წყლის ფრინველთა სახეობა, მეწამული ფერისა.² ამ ფრინველის სახელი იხსენიება ერთ კასიდაში, გაზაფხულის აღწერისა და ხაჯე თაჰერის ხოტბისას. როგორც ჩანს, აღნიშნული კასიდა ონსორის ამ კასიდის წაბაძვით შეიქმნა:

ნოვრუზისას წალკოტში ყველა კერბთაყვანისმცემელი ხდება
ყოველი ხის ხელახალი შესაქმე ახალი ლამაზმანი ხდება³

როგორც აღინიშნა, ჩვენთვის საინტერესო ფრინველი წყლის ერთგვარი ჩიტია. პოეტს კი სწორედ მისი ეს თავისებურება წარმოუჩინია:

მწყერი გოგმანებს, წითელი იხვი ყურყუმელოებს:
ის იმით არის ცნობილი და ეს კიდევ ამით

(მანუჩეჭრის ლექსების კრებული, გვ. 31)

შოშია (სპარს. sharak) — რუხად დაწინწკლული შავი ფერის ჩიტი, რომელსაც თუთიყუშივით ლაპარაკი შეუძლია და კარგადაც გალობს. იგივე sarv.⁴ ფუშეჟური აღნიშნავს: „მანუჩეჭრი ბუნებას მხოლოდ კი არ აკვირდება, არამედ მის ხმებსაც უფრო მეტად აყურა-

¹ დეჰხოდას ლექსიკონი, გვ. 11674

² ბორჰანე ყათე' (დეჰხოდას ლექსიკონის საფუძველზე), გვ. 11968

³ ონსორის ლექსთა სრული კრებული, გვ. 17

⁴ სამყაროს საზღვრები, გვ. 41

დებს, ვიდრე თავისი წინამორბედი. ამიტომაცაა, რომ მის სულზე ზემოქმედებს ფრინველთა გალობა“. ქვემოთ მოყვანილი ბეითი ამ აზრის საილუსტრაციოდ გამოდგება⁵:

მწყერი ნაყუსს უკრავს, შოშია — სანთურს,
გნოლი — სალამურსა და ბატი კიდევ თანბურს

(მანუჩეჭრის ლექსთა კრებული, გვ. 1)

თეთრი მიმინო (სპარს. shahin) — არწივის მსგავსი სანადირო ფრინველი, აქვს ძლიერი ნისკარტი და მძლავრი ჭანგები, ფრთები თეთრი ფერისა აქვს, მუქად დაწინწკლული. ძალზე შეუპოვარია, სწრაფი და მალდამფრენი.⁶ არაბულადაც ასევე shahin-ს უწოდებენ.⁷ ბენ.⁷ პოეტს არწივის ბოლოს გაელვება თეთრი მიმინოს თვალთ ცის ცის კამარისათვის შეუდარებია. ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ პოეტი ცის ხატს ძალზე ხშირად იყენებს მხატვრული ხერხების შესაქმნელად:

არწივის ბოლომ გაიელვა მთის მწვერვალიდან,
როგორც თეთრი მიმინოს თვალმა — ბუდიდან

(მანუჩეჭრის ლექსთა კრებული, გვ. 86)

სირაქლემა (სპარს. shotormoq) — დიდტანიანი, გრძელკისერა და პატარათავიანი ფრინველია. აქვს განიერი ნისკარტი, დიდი თვლები, გრძელი ფეხები, მოკლე ბოლო და პატარა ფრთები.⁸ მანუჩეჭრის თავის ლექსებში სიტვა „სირაქლემა“ ერთადერთხელ გამოუყენებია. ქვემოთ მოყვანილ ბეითში პოეტი ჩვენთვის საინტერესო ფრინველს სამ ცხოველთნ ერთად ახსენებს, ხოლო სირაქლემას, როგორც ჩანს, მის სხეულის სიდიდის გამო, მთას ადარებს:

ველსა და ჭალას, მთას და მდინარეს,
როგორც ქურციკი, როგორც ჭიქი, სირაქლემა და ვეშაპი

⁵ ბუნების ხატი XI საუკუნის სპარსულ ლირიკაში, გვ. 69

⁶ ამიდის, სპარსული ლექსიკონი, გვ. 1528.

⁷ „ალ-მუარაბ“ (არაბიზებულ სიტყვათა ლექსიკონი), გვ. 208

⁸ მოინის ლექსიკონი, გვ. 2028.

(მანუჩეპრის ლექსთა სრული კრებული, გვ. 62)

სკვინჩა (სპარს. sa've) — ბელურათა ჯიმის, წითელგულა ფრინველია.¹ ამ სიტყვის ძირი არაბულია.² მანუჩეპრის პოეზიაში პოეტური ხატი არა მხოლოდ მხატვრული ფუნქციით გამოდის, არამედ სიცოცხლითა და მოძრაობით არის სავსე, რაც ძალზე მიმზიდველად და ხატოვნადაა მოწოდებული. ქვემოთ მოყვანილი ეს ნიმუშიც ჩვენი სიტყვების ერთ-ერთ ილუსტრაციად გამოდგება:

სულელია ის მგელი, რომელიც ლომებს დაუწყებს ჭიდილს,
ბრიყვია სკვინჩა, ვინც ორბთან ფრენას მოიწადინებს

(მანუჩეპრის ლექსთა კრებული, გვ. 25)

გვრიტი (სპარს. selsel) — იგივე pakhte³ ამ ფრინველის სახელი მანუჩეპრის პოეზიაში ძალიან ხშირად იხსენიება. პოეტს თავის საინტერესო შედარებებსა და მეტაფორებში ამ ჩიტის სახელი არაერთხელ გამოუყენებია. მაგალითად, ერთგან გვრიტი ზელზელ რაზის ჰანგზე მღერის აბუ ნუვასისა და ჯარირის ლექსებს⁴, ხოლო სხვაგან პოეტი გვრიტის მოძახილს ტრადიციულ საკრავთა ხმებსა და ისეთ აღმოსავლურ ჰანგებს ადარებს, როგორცაა: „ბაღე სიაუშან“ ანდა „სარგოსეთაჰ“.⁵ ქვემოთ დამოწმებული ნიმუშის გარდა, ამ ფრინველის სახელი კიდევ ბევრ ადგილას იხსენიება.

გვრიტმა ცისკრისას ზელზელ რაზის ჰანგზე
აბუ ნუვასისა და ჯარირის ლექსთა მღერა იწყო

(მანუჩეპრის ლექსთა კრებული, გვ. 48)

ფარშავანგი (სპარს. tavus) — ქათმის ჯიმის ერთგვარი ფრინველი, რომელსაც ლამაზი ფრთები, მაღალი და ცოტა უსიამო ხმა აქვს. ფერად და მოხატულ ფრთებს ქოლგის ნახევარწრესავით შლის.⁵ ამ ფრინველის სილამაზის აღწერილობანი სხვა სპარსულ თუ არასპარ-

¹ „ღიას ალ-ლულაათ“ (დეჰხოდას ლექსიკონის მიხედვით), გვ. 13168

² ამიდის სპარსული ლექსიკონი, გვ. 1628

³ „მუჰიტ ალ-მუჰიტ“ (არაბული ენის განმარტებით), გვ. 510

⁴ ზელზელ რაზი ჰიჯრის მეორე საუკუნის ერთ-ერთი ცნობილი მუსიკოსი. მანუჩეპრი დამღანი და მუსიკა, გვ. 177.

⁵ მოინის ლექსიკონი, გვ. 2203

სულ პოეტებთანაც მრავლად შეგვხვდება. მანუჩეპრიმ განსაცვიფრებლად აღგვიწერა ამ ფრინველის ფრთათა მშვენიერება და მომნუსხველობა. მაგალითად, პოეტი ცინცხალ და ამწვანებულ გაზაფხულს ფარშავანგს ადარებს. მეორე ნიმუშში კი სოსნის ყვავილთა კონა — ფარშავანგის ბრჭყალებისთვის, ხოლო ამ ფრინველის ფეხები ლერწმის ლეროსათვის შეუდარებია. კიდევ ერთ ნიმუშში მანუჩეპრი ფარშავანგს ონსორის ლექსთა მომღერლად წარმოგვიდგენს.

ფარშავანგი წალკოტის შუაში კალთებსა შლის,
მისი ბრჭყალები სოსნის ყვავილია, ხოლო ფეხები ლერწმის
ლერონი

(მანუჩეპრის ლექსთა კრებული, გვ. 134)

თოდრელ, თოდროლ — შევარდნის ერთ-ერთი სახეობა. ერთგვარი სანადირო ფრინველი.⁶ ამ ფრინველის სახელი გვხვდება მანუჩეპრის იმ ცნობილ კასიდაში, რომელიც იწყება სიტყვებით: „უფრთხილდი ხვევან-ჩახუტების კარავში ყოფნას“. ჩვენი პოეტი სპარსულ პოეზიაში ბუნების საუკეთესო მხატვარი და ბუნების მომღერალი ყველაზე დიდი სპარსელი პოეტია. იმის მიუხედავად, რომ მისი შემოქმედებიდან მხოლოდ ფრაგმენტები შემოგვრჩა, მანუჩეპრის დივანი მაინც ბუნების წიგნი, ჩიტებისა და მათი ხმების, ცხოველთა და ყვავილთა ლექსების კრებულია.

ო, განა ვიდრე ღურუჯის და კაკბის ხმა არის,
ო, განა ვიდრე სიმორღის და თოდრელის სახელი ისმის

(მანუჩეპრის ლექსთა კრებული, გვ. 67)

თუთიყუში (სპარს. tuti) — თუთიყუშისებრთა გვარის ერთ-ერთი ფრინველი, რომელსაც მშვენიერი, მწვანე, ყვითელი, წითელი ანდა ზოგჯერ მთლიანად თეთრი ფრთები აქვს. ნისკარტი გაღუნული და მეწამული ფერისა აქვს, რომელსაც სქელი და ძლიერი წვეტი აბოლოებს. ბოლო გრძელი აქვს, ხოლო ძლიერი კუნთების წყალობით, რაკილა ესმის, სიტყვების გამეორებაც შეუძლია.⁷ ამ ფრინველის სახე-ხელი მანუჩეპრის პოეზიაში ბევრ ადგილას გვხვდება. ერთგან პოეტს

⁶ დეჰხოდას ლექსიკონი, 13644

⁷ მანუჩეპრის დივანი, განმარტებანი, გვ. 383

თუთიყუში მთხრობელად ჰყავს წარმოდგენილი, ხოლო, მეორეგან, როგორც ჩანს, ამ ჩიტის უნარის გამო — მიჰბადოს ადამიანის სიტყვებს — ფრინველის ჰიკჰიკი დამლანის ინდური საუბრისათვის შეუღარებია. სხვაგან კი პოეტს წითელი იასამინისა და სოსნის ყვავილები თუთიყუშის მეწამულ ნისკარტს ახსენებს. გარდა აქ აღნიშნული შემთხვევებისა, ჩვენთვის საინტერესო ფრინველის სახელი დამლანისთან კიდევ უამრავ ადგილას იხსენიება

მეწამული იასამანი დედალი თუთიყუშის წყვილი ბაგესავით
გადახსნილა,
რომლის ენასაც პირის შიგნით მოყვითალო ფერი გადაჰკრავს
(მანუჩეჰრის ლექსთა კრებული, გვ. 1)

თაითუ — წყლის იხვის ერთ-ერთი სახეობა. ერთგვარი წყლის ფრინველი.¹ ამ ჩიტის სახელი მანუჩეჰრის პოეზიაში მხოლოდ ერთხელ იხსენიება და პოეტი მის სასიამოვნო ხმას სპარსული მუსიკის ტრადიციულ ჰანგს „ბანდე შაჰრიარს“ ადარებს.

„საბზეიე ბაჰარს“ ჰგავდა იაღონის ჰიკჰიკი,
„ბანდე შაჰრიარივით“ ისმოდა თაითუს გალობა.
(მანუჩეჰრის ლექსთა კრებული, გვ. 134)

არწივი (სპარს. okab) — მონადირე ფრინველია, აქვს დიდი სხეული, ბასრი მზერა, მახვილი ფრთები და მალლა დაფრინავს. გრძელი ფრთები, გალუნული ნისკარტი და ბასრი ბრჭყალები აქვს.² სიტყვის ძირი არაბულია.³

არწივი მანუჩეჰრის პოეზიაში სამჯერ იხსენიება. ორ შემთხვევაში პოეტს ცხენის სიარული არწივის მიერ ირავს შეკვრას აგონებს. ერთგან კი ხაჯე აბუ ლ-ჰასანი არწივისათვის შეუღარებია.

ხან მიწაზე მოარული ხარ, როგორც მწყერი, ხან მალლამფრენი,

¹ ბორჰანე ყათე, დეჰზოდას ლექსიკონის მიხედვით, გვ. 13759

² დეჰზოდას ლექსიკონი, გვ. 14092

³ ალ-მუნჯიდ ფილ-ლულათ ვალ-ილამ, გვ. 518

ვით არწივი
ხან წამოხტომა, როგორც კოლო, ხან უკან მობრუნება, როგორც
შევარდენი.

(მანუჩეჰრის ლექსთა კრებული, გვ. 53)

იაღონი (სპარს. andalib) — იგივე hezardastan, რომელიც თავისი საამური, ფერადოვანი გალობით მონუსხავს მსმენელს.⁴ სიტყვის ძირი არაბულია.⁵ ამ ჩიტის სახელი მანუჩეჰრის კრებულში მრავალჯერ იხსენიება. პოეტი თავის დივანში იაღონს მომღერლებს ადარებს, სხვაგან კი სპარსული ტრადიციული მუსიკის ჰანგთა — „საბზეიე ბაჰარისა“ და „ბარე შაჰრიარის“ მგალობლად გვიხატავს. მისი ხმა სხვადასხვა ინსტრუმენტის უღერასა და ოთხფეხთა ყელზე შებმული ზანზალაკის წკრიალს აგონებს:

ზანზალაკი ათასნაირ ამბავს ჰყვებოდა,
როგორც იაღონთა გუნდის ერთი იაღონი

(მანუჩეჰრის ლექსთა კრებული, გვ. 66)

ანკა — ზღაპრული, გამოგონილი ფრინველი. სიტყვის ძირი არაბულია.⁶ ანკას სახელი მანუჩეჰრის დივანში ერთადერთხელ იხსენიება. პოეტი ამბობს, რომ არასდროს არ უნდა წარმოიდგინო, თითქოს სკვინჩას ანკას გვერდით ფრენა შეეძლოს, რადგანაც ტანის სიდიდისა და ღონიერების მხრივ სკვინჩა ანკას ვერაფრით შეედრება. პოეტის ეს თვალსაზრისი გვაფიქრებინებს, რომ ანკა არა ზღაპრული, არამედ რეალურად არსებული რაღაც ფრინველია.

ყორანი (სპარს. qurab) — იგივე zaq. სიტყვის ძირი არაბულია.⁷ ერთ-ერთი მოტივი, რასაც სპარსულენოვანი პოეტები არაბ მგონებს დაესესხნენ, ისიცაა, რომ არაბი მგონებისათვის ყორნის ხმა სატრფოს სიმორის მაუწყებელი იყო. ჩვენი პოეტიც თავის ლექსებში ყორნის ხმას სწორედ ამავე მიზნით იხსენებს:

⁴ ღიას ალ-ლულათ, დეჰზოდას ლექსიკონის საფუძველზე, გვ. 14468

⁵ მუჰიტ ალ-მუჰიტ, გვ. 637

⁶ ალ-მუნჯიდ ფილ-ლულათ ვალ-ილამ, გვ. 534

⁷ დეჰზოდას ლექსიკონი, გვ. 15654

ყორანო, თავს მეტად ნულარ დამჩხავი,
რადგან სატრფოს უკვე განმაშორე.

(მანუჩეჰრის ლექსთა კრებული, გვ. 6)

გვრიტი (სპარს. fakhte) — რუხი ფერის, საამურად მაგალობელი ჩიტი, მტრედის მსგავსი. ყელზე შავი ფერის „მძივი“ დაუდევს.¹ გვრიტი ერთი იმ ფრინველთაგანია, რომელსაც მანუჩეჰრი თავის ლექსებში მრავალჯერ ახსენებს. პოეტი ერთგან, ყელზე შებმული შავი მძივის გამო, ჩიტს მსახიობს ადარებს, რომელიც თოკებით თამაშობს. მეორეგან გვრიტი, ხმის სპეციფიკური ტემბრის გამო, მოტირალისათვის შეუდარებია, ხოლო საერთოდ მისი ვალობა ტრადიციული მუსიკის ჰანგთა და მოტივთა ხმებს აგონებს. სხვაგან გვრიტს მომღერლებს, მგოსნებს და მუეძინებს ადარებს:

ყოველწამს გვრიტი ქვითინებს, როგორც მოტირალი,
ყოველწამს მწყერი წამოხტება, როგორც მზვერავი

(მანუჩეჰრის ლექსთა კრებული, გვ. 130)

კაკაბი (სპარს. qatta) — იგივე sangkharak.² სიტყვის ძირი არაბულია.³ ამ ფრინველის სახელი მანუჩეჰრის პოეზიაში მხოლოდ ერთხელ თხელ იხსენიება.

მხველებს მისთვის გარს წრე დაერთყათ —
მისი მწყერებიდან, სირაქლემებიდან და კაკბებიდან

გვრიტი (სპარს. qomri) — ჩიტია, რომელსაც ყელზე მძივი აქვს მოვლებული, ძალზე მიმზიდველი, საამოდ შესახედავი და სასიამოვნო ხმისა. ფრთები ნაცრისფერი აქვს, რომელიც ყავისფერში გადადის.⁴ სიტყვის ძირი არაბულია.⁵ ამ ფრინველის სახელი მანუჩეჰრის დივანში არცთუ იშვიათად იხსენიება. პოეტს გვრიტი სხვადასხვა ადგილას შიიტებისათვის, ზოროასტრელთა მობედებისა თუ არაბი მგოსნების-

¹ ბორჰანე ყათე' დეჰხოდას ლექსიკონის საფუძველზე, გვ. 14922

² ამიდის სპარსული ლექსიკონი, გვ. 1893

³ მუჰიტ ალ-მუჰიტ, გვ. 638

⁴ მონის ლექსიკონი, გვ. 2727

⁵ ალ-მუნჯიდ ფილ-ლულა ვალ-იშლამ, გვ. 653

თვის შეუდარებია. ზოგ ლექსში კი გვრიტის ხმას სპარსულ სასიმღერო ჰანგებს ადარებს:

გვრიტი ათასნაირად იქვითინებს ალვის კენწეროზე,
როგორც შიიტები ნინევის მკვიდრთა სამარზე.

(მანუჩეჰრის ლექსთა კრებული, გვ. 134)

მწყერი (სპარს. kabk) — ნაცრისფერი ფრინველია, რომელსაც მოკლე ბოლო აქვს, ხოლო ფრთებზე თეთრი და მეწამული წინწკლები აყრია.⁶ არაბულად qabj-ს უწოდებენ.⁷ მანუჩეჰრის თავის ლექსებში სიტყვა „ქაბქ“ (მწყერი) მრავალ ადგილას გამოუყენებია. პოეტი მას ზანზალაკის მრეკავად და ცოდნის მძებნელად წარმოგიდგენს. მეორეგან მწყერს, მისი სიარულის ნაჩქარევი ყაიდისა და იმის გამო, რომ ამ ფრინველს ერთ, განსაზღვრულ ადგილას წინ და უკან გოგმანი უყვარს, ჯამუშს ადარებს. ხსნებულნი ნიმუშების გარდა, ამ ფრინველის სახელი მანუჩეჰრის კიდევ ბევრ ლექსში გვხვდება.

მწყერი სწავლის მძებნელსა ჰგავს და ამაში ეჭვი არ არის
ერთ საკითხს წაიკითხავს, სანამ დამის ერთი მესამედი ჩაივლის

(მანუჩეჰრის ლექსთა კრებული, გვ. 198)

მიმინო (სპარს. qush) — სანადირო ფრინველი, რომელსაც მოკა-უჭებულნი ნისკარტი, ბასრი ბრჭყალები და ძლიერი ფრთები აქვს.⁸

ამ ჩიტის სახელი მანუჩეჰრისთან ერთადერთხელ იხსენიება. ქვემოთ დამოწმებულ ბეთში პოეტი მიმინოს ძლიერ ფრთებქვეშ არსებულ ბუმბულთა მოლურჯო ფენას ზეცის ამავე ფერის კაბადონს ადარებს:

მიმინოს ფრთებქვეშ ცარგვლისფერი ბუმბული დასდევს,
ხოლო მწყერს ფრთებქვეშ მელნისფერი ხაზი დაჰყვება.

⁶ ამიდის სპარსული ლექსიკონი, გვ. 1943

⁷ მუჰიტ ალ-მუჰიტ, გვ. 710

⁸ ანენდარაჰის ლექსიკონი, დეჰხოდას საფუძველზე, გვ. 15696

(მანუჩეპრის ლექსთა კრებული, გვ. 3)

როჭო (სპარს. kabke dari) — მწყურის უფრო მოზრდილი სახეობა, რომელიც მთებში ანდა მთის ორწოხებში იბუღებს.¹ ამ ფრინველის სახელი მანუჩეპრის ლექსებში რამდენჯერმე იხსენიება. პოეტი ერთგან როჭოს აღთქმის გამტეხის სიარულს ადარებს, ხოლო მეორეგან როჭოს გოგმანი, ხმა და თვალების ფერი აქვს აღწერილი:

როჭო თუკი მიწის მზომელი და მშენებელი არ გამხდარა,
აბა, ჭალაში ამდენს რაღას დაგოგმანებს

(მანუჩეპრის ლექსთა კრებული, გვ. 22)

ქადარი — კაკბის (სპარს. qatta) ერთ-ერთი სახეობაა. ამ ფრინველს საერთოდ მრუმე ფერი და ყვითელი ყელი აქვს. იგივე sangkharak.² მანუჩეპრის ხედვა იმდენად მრავალგვარია, რომ ზოგჯერ ერთი და იმავე საგნის ნაირნაირ ხატს გვთავაზობს, თითოეული ამ ხატიდან კი მკითხველს საშუალება ეძლევა, განსაკუთრებული სამყარო და ცალკეული პერსონაჟი წარმოიდგინოს:

მთის კალთებზე მწყერი
კაკბთან საცეკვოდ გამოვიდა

(მანუჩეპრის ლექსთა კრებული, გვ. 117)

ხვაგი (სპარს. karkas)—დიდი ტანის, მძლავრბრჭყალიანი და ნისკარტიანი ფრინველია. კისერი გრძელი და შეუბუბლავე აქვს. იკვებება ცხოველთა ლეშით.³ მანუჩეპრი თავის დივანში ამ ფრინველის სახელს ერთადერთხელ ახსენებს, როცა ცხენს სვავის მოძრაობას ადარებს მხედველობის სისხარტის მხრივ, რადგანაც ეს ფრინველი ცნობილია სწორედ თავისი თვალისჩინით:

კარგად მხედველი, ისე ვით სვაგი და მონავარდე, როგორც არწივი,
აღმართ-დაღმართში მწყერივით მოგოგმანე და სწორზე წეროსავით
მოართული

¹ დეჰხოდას ლექსიკონი, გვ. 15992

² მანუჩეპრის დივანი, განმარტებანი, გვ. 392

³ ამილის ლექსიკონი, გვ. 1959

(მანუჩეპრის ლექსთა კრებული, გვ. 62)

ბოლოქანქარა (სპარს. karkama) — იგივე domjambanak.⁴ მანუჩეპრი თავის ერთ ლექსში ბოლოქანქარასა და იის სიყვარულს აღწერს.

წერო (სპარს. korki) — ფრინველია, რომელსაც ასევე kolang-ს უწოდებენ.⁵ პოეტს თავის დივანში ფრინველის ეს სახელი მხოლოდ ერთხელ უხსენებია. მანუჩეპრი ამ შემთხვევაში წეროს ხმას თურქულ სიტყვებსა და საუბარს ადარებს:

წერო წეროს თურქულად ებაასება,
თუთიყუში კი ინდურად ელაპარაკება მაზელის მთას.

(მანუჩეპრის ლექსთა კრებული, გვ. 69)

წერო (სპარს. kolang) — დიდტანიანი ფრინველი, გრძელფეხება, გადამფრენ ფრინველთა გვარისა.⁶ მისი სახელი მანუჩეპრის დივანში რამდენიმეგან იხსენიება. უმეტეს შემთხვევაში პოეტი ცხენს ადარებს წეროს, მოძრაობის ყაიდისა და სისხარტის თვალსაზრისით. ერთგან კი წეროს ხმას ომისას, მოწინააღმდეგის რიგებში შეჭრილი მეომრის ყიჟინას ადარებს:

გამთენიისას უეცრად წერო ისეთ ყიჟინას დასცემს,
თითქოს მტრის ჯარში შევარდნილი მეომარია

(მანუჩეპრის ლექსთა კრებული, გვ. 130)

ქივქავი (სპარს. iaskavi) — სასიამოვნო ხმისა და პატარა ტანის ჩიტია, ჩიტბატონას მსგავსი.⁷ მანუჩეპრი ბუნების აღწერისას, დანარჩენ პოეტთაგან განსხვავებით, რომლებიც დეტალებზე ყურადღებას არ ამახვილებენ, ყველა წვრილმანს მონიშნავს მას რაიმე საგნის თავისებურებათა აღწერისა და ამ საგნის სრულყოფილად წარმოჩენაში ბადალი არა ჰყავს. ჩვენს სიტყვებს ის ბეითიც ადასტურებს, სადაც

⁴ მონის ლექსიკონი, გვ. 2949

⁵ დეჰხოდას ლექსიკონი, გვ. 16113

⁶ მონის ლექსიკონი, გვ. 3038

⁷ ამილის ლექსიკონი, გვ. 2093

ჭიჭიჭის სახელია ნახსენები.

ტოროლა მათა თანბურზე დაუკრავს, ხოლო ჭიჭიჭი
ნიდან ხეზე გადაფრინდება და დასძახებს: ვაი-ვაი

(მანუჩეჰრის ლექსთა კრებული, გვ. 189)

ყარყატი (სპარს. *laqlaq*) არაბიზებული ვარიანტია იმავე სპარსულ-
ლი სიტყვისა *laklak*.¹ მანუჩეჰრის ეს ფრინველი თავის ლექსებში ერ-
თხელ ჰყავს ნახსენები და ამ პასაჟში როჭოსა და ყარყატის გულ-
წრფელ მეგობრობას წარმოგვიდგენს.

ყოველთვის, როცა სასტვენს ჩაჰბერს როჭო,
ყარყატიც ზარის ენას ჩამოჰკრავს

(მანუჩეჰრის ლექსთა კრებული, გვ. 130)

შავი იხვი (სპარს. *maq*) — ერთგვარი წყლის ფრინველი, რომელ-
საც ფეხის ჭანგებს შორის დამაკავშირებელი აპკი არ გააჩნია.² უმე-
ტეს შემთხვევაში

მანუჩეჰრი შავი იხვის სახელს იმიტომ ახსენებს, რომ მისი დიდი
ტანი ანდა შავი ფერი წარმოაჩინოს და რამეს შეუღაროს:

გამოვიდა ყორნისფერი და შავი იხვის ტანიანი
მრუმე ღრუბელი კარუნის მთის მწვერვალდან

(მანუჩეჰრის ლექსთა კრებული, გვ. 86)

ჩიტი (სპარს. *morq*) — ფრინველების ზოგადი სახელი, რასაც
არაბები *tair*-ს ეძახიან.³ ეს სიტყვა მანუჩეჰრის დივანში ხშირად იხსე-
ნენიება. ზოგ შემთხვევაში ჩვენი პოეტი ჩიტებს მკითხავენს, ბაზრის
ხალხს ანდა ძუძუთა ბალებს ადარებს, ზოგჯერ ჩიტების ვიწრო პი-
რი მღოვრის მარცვლისოდენაა, ხოლო ერთგან პოეტს ვარდის შტოს

წვერი ქარის ქროლვისას ჩიტთა კლანჭებისათვის შეუღარებია. სხვა-
გან ჩიტები მუსიკალურ ჰანგებს მღერიან. გარდა ხსენებული შემთხვე-
ვებისა სიტყვა „ჩიტი“ მანუჩეჰრის დივანში კიდევ ბევრგან იხსენიება.

ვარდის რტო ქარის ქროლვის გამო კისერზე ბრწყალივით მოეკიდათ
და ჩიტებმა რტოზე ტკივილისაგან კვნესა დაიწყეს.

(მანუჩეჰრის ლექსთა კრებული, გვ. 22)

მორყაბი — წყლის იხვების ზოგადი სახელი. ფრინველები, რო-
მელთაც განიერი ნისკარტი და ფეხის ბრწყალვებს შორის მაერთებე-
ლი აპკი აქვთ, იხვი.⁴ ეს სიტყვა მანუჩეჰრის პოეზიაში ორგან იხსე-
ნიება. ერთ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, პოეტი ბრძოლის ველზე
ცხენის მედგრად შეჭრას იხვის მდინარეში გადაშვებას ადარებს, ხო-
ლო მეორეგან სიყვითლეს, რომელიც „სირცხვილის სამოსს“ გადა-
ჰკრავს, იხვის თავისათვის შეუღარებია.

შეიჭრება უმტკივნეულოდ და უღარდელად,
შეიჭრება შიმისა და ცახცახის გარეშე,
როგორც აზარგომასპი ცეცხლში,
როგორც წყლის იხვი ნაკადულში

(მანუჩეჰრის ლექსთა კრებული, გვ. 147)

მოლალური — (სპარს. *musiche*), გვრიტის მგავსი ფრინველი;
ასევე გვხვდება *masuche* ფორმითაც.⁵ ეს სიტყვა მანუჩეჰრის დივანში
მხოლოდ ერთგან დასტურდება. ჩვენი აზრით, ამ პასაჟში პოეტი მო-
ლალურის ხმას აღგვიწერს.

ვარდის ბუჩქი ხოსროს მარგალიტს დაყინებით მიაცქერდება,
მოლალური მუსას გადასძახებს.

(მანუჩეჰრის ლექსთა კრებული, გვ. 171)

ტოროლა (სპარს. *narou*) — ბულბულივით საამურად მგალობე-

¹ მუნთაჰა ალ-არაბ, დეჰხოდას ლექსიკონის ბაზაზე, გვ. 17420

² მონის ლექსიკონი, გვ. 3705

³ ბორჰანე ყათე, დეჰხოდას ლექსიკონის ბაზაზე, გვ. 18258

⁴ ამიდის ლექსიკონი, გვ. 2220

⁵ დეჰხოდას ლექსიკონი, გვ. 19255

ლი პატარა ჩიტი, იგივე **jall**.¹ ამ ჩიტის სახელი მანუჩეპრის დივანში რამდენიმეჯერ იხსენიება. ზოგ შემთხვევაში იგი მუსიკალურ ჰანგებს მღერის, ზოგან კი არაბი პოეტების სახატო ლექსებს კითხულობს:

შემოსძახებს ტოროლა ტანაშოლტილ აღვაზე „სარვოსაჰის“ ჰანგს,
ბულბული კი ვარდის რტოზე ყალუსის ჰანგს ააკვნესებს.

(მანუჩეპრის ლექსთა სრული კრებული, გვ. 130)

ქედანი (სპარს. **varshan**) — მინდვრის ან ტყის ნაცრისფერი მტრედის სახეობა, რომელსაც ბოლოს ზემო ნაწილი თეთრი აქვს.² მანუჩეპრის თავის ლექსებში ეს ფრინველი თავისი სასიამოვნო გალობის გამო ყურანის მკითხველისათვის შეუდარებია

იქცა ქედანი ყურანის ქუფელ წამკითხველად,
და იქცა ქედანი ყურანის ბასრელ წამკითხველად

(მანუჩეპრის ლექსთა კრებული, გვ. 117)

ოფოფი (სპარს. **hodhod**) — ნაცრისფერი ჩიტი, რომელსაც ჟღალი და შავ-თეთრი წინწკლები აყრია. თავზე ფრთების კონა სავარცხლის მსგავსი გვირგვინით ადგას.³ მანუჩეპრი თავის პოეზიაში ამ ფრინველის საინტერესო აღწერილობას გვთავაზობს. პოეტი თავის მჭევრმეტყველებას ოფოფის მჭევრმეტყველებას ადარებს. აღსანიშნავია, რომ ოფოფის მჭევრმეტყველება ბევრი პოეტთან ფიქსირდება. მათ შორის ჯალალ ედ-დინ რუმი ამბობს:

დადგა ოფოფისა და მისი ოსტატობის ჯერი,
მისი მჭევრმეტყველების, ხელოვნების და ნაზრევისა⁴
მანუჩეპრი ამბობს:

მჭევრმეტყველი ვარ, როგორც ოფოფი,
მაგრამ ჩემი ოფოფი თავისი საბას სამეფოს საზღვრებს როდის
მიადწევს

¹ მანუჩეპრის დივანი, განმარტებანი, გვ. 406

² ბორჰანე ყათე, დეჰხოდას ლექსიკონის საფუძველზე, გვ. 20479

³ მოინის ლექსიკონი, გვ. 5108

⁴ „ზნეობრივი მესნევი“, ტ. I, გვ. 1214

(მანუჩეპრის ლექსთა კრებული, გვ. 94)

ბულბული (სპარს. **hezarava**) — იგივე **hezardastan**.⁵ მანუჩეპრის ფრინველის ეს სახელი თავის პოეზიაში ერთადერთხელ უხსენებია. ამ შემთხვევაში პოეტი ბულბულის სასიამო გალობას აღგვიწერს:

როცა ბულბული ალვის კენწეროდან ჭიკჭიკს დაიწყებს,
იტყვის: მას ნუ დაარტყამ, თორემ მღერას ქარი წაიღებს.

(მანუჩეპრის ლექსთა კრებული, გვ. 169)

იადონი (სპარს. **hezardastan**) — ბულბულის ჯიშის ცნობილი ფრინველი, რომელისთვისაც სახელი (ათასი ამბის მქონე) თავისი გალობის განსაკუთრებული ტემბრისა და დიაპაზონისათვის შეურქმევიათ. ასევე ეძახიან **hezarava**-საც.⁶ ფრინველის ეს სახელი მანუჩეპრისთან ორჯერ დასტურდება. პირველ შემთხვევაში პოეტი იადონის ჭიკჭიკს კრინსა და ბანს ადარებს, ხოლო მეორეჯერ იადონი მანუჩეპრისვე სახატო ლექსებს მღერის.

როცა იადონი კრინსა და ბანს ჩაახვევს,
ხალხი გამხიარულდება და ამით ბედნიერი შეიქნება

(მანუჩეპრის ლექსთა კრებული, გვ. 148)

ჰომა — ზღაპრული ფრინველი, შევარდნის მსგავსი.⁷ ამ ფრინველის სახელი მანუჩეპრის პოეზიაში სამჯერ ფიქსირდება. ერთ შემთხვევაში პოეტი სატრფოს სახეს სილამაზით ჰომას ადარებს, მეორეჯერ კი ჰომას ფრთათა მშვენებას აღგვიწერს:

ხედავ იმ წითელკაბიანი ლამაზმანის მარჯნის გადაპობილ ბაგეებს,
მისი სუმბული, როგორც თუთიყუშის ფრთები, ხოლო სახე — ჰომას
შარავანდი

(მანუჩეპრის ლექსთა კრებული, გვ. 106)

⁵ ნასერის შეხედულებათა საზოგადოება, გვ. 325

⁶ იქვე, გვ. 328

⁷ ამიდის სპარსული ლექსიკონი, გვ. 2497

ლიტერატურა

- ანჯუმან არაი ნასერი, რიზა ყოლიხან ჰედაით, თეირანი, 1288.
- ბა კარავან ჰოლლა, აბდ ალჰოსაინ ზარინკობ, თეირანი, 1373.
- ბორჰან ყათე', მოჰამმად ჰოსაინ თაბრიზი, ბე ეჰთემამ მოჰამმად მოინი, თეირანი, 1342.
- ბაზმ სუხან, ი. ყასირი, თეირანი, 1342.
- თაოსიფ ტაბი'ათ დარ შე'რ ღენაეი პარესი ყარნ იაზდაჰომ მი-ლადი, ფოშე კორ, ბარის, 1969.
- ჰოდოდ ალ- 'ალამ, უცნობი ავტორი, თაჰყიყ მინორესკი — ბარ-თოდდ, თარგმნა მირ ჰოსაინ შაჰ, ქაბული, 1342.
- დივან 'ონსორი, თაჰყიყ დაბირ სიყი, თეირანი, 1363.
- დივან მანუჩაპრი დამღანი, თაჰყიყ დაბირ სიყი, თეირანი, 1375.
- სოვარ ხაილ დარ შე'რ პარესი, მოჰამმად რიზა შაფი'ი კედკენი, თეირანი, 1366.
- ღიას ალლოღათ, ღიას ალდინ რამჰური, თაჰყიყ დაბირ სიყი, თეირანი, 1345.
- ფარჰანგ ანენდარაჯ, მოჰამმად პადეშაჰ, თაჰყიყ, დაბირ სიყი, თეირანი, 1335.
- ფარჰანგ პარესი 'ამიდ, ჰასან 'ამიდ, თეირანი, 1375.
- ფარჰანგ პარესი მოინი, მოჰამმად მოინი, თეირანი, 1377.
- ალ-ყამოს ალმოჰიტ, ალფაიროზაბადი, თაჰყიყ მოჰამმად ნა'იმ ალ'ერეყსოსი, ბეირუთი, 1996.
- ლოყათ პორს, ასადი ტოსი, თაჰყიყ დაბირ სიყი, თეირანი, 1336.
- ლოყათნამე დეჰზოდა, 'ალი აკბარ დეჰზოდა, თაჰყიყ მოჰამმად მო-ინი — საიიდ ჯა'ფარ შეჰიდი, თეირანი, 1343 .
- მასნავი მა'ნავი, თასჰიჰ რინოდდ ალინ ნიკოლსონ, ლიდენ, 1925 — 1929.
- მოჰიტ ალმოჰიტ, ბოტროს ალბოსტანი, ბეირუთი, 1977.
- ალმო'არაბ, ალჯავალიყი, თაჰყიყ აჰმად შეჰერ, ალყაჰერე, 1982.
- მონთაჰა ალერაბ, მირზა 'აბდ ალქარიმ საფიჰური, თეირანი, 1918.
- ალმონჯიდ ფი ალლოღა ო ალა'ლამ, ლოოის მა'იოფ, ბეირუთი, 1960.

Bird Species in Manuchehri Damghan's Poetry

Summary

The eleventh century Persian lyrical poet Manuchehri Damghan is a great lover of nature. In his poetry he tries to perceive and depict the beauty of nature and the world created by God.

The poet uses numerous plant and animal names in his works. The paper investigates the animal names encountered in Damghan's poetry. The Arabic equivalents of the Persian terms have been found and their etymology studied.

The results of the analysis presented in the paper may be significant not only for the researcher's of Damghan's poetry, but for those interested in Persian zoological terms as well.

ეთერ მელქაძე

სისტემისა და ევოლუციის ურთიერთმიმართება

(სუბიექტ-ობიექტების „ბრუნვის“ გამოხატვის საუშალებანი
თანამედროვე ფრანგულ ენაში)

რას ნიშნავს „ცვლილება“ ენაში?

უპირველეს ყოვლისა, ენა განხილულ უნდა იქნას ჯერ როგორც ფუნქცია, შემდეგ კი — როგორც სისტემა. თუ ენა ფუნქციონირებს, იგი უნდა შეიცვალოს. ენა სწორედ იმიტომ იცვლება, რომ იგი ფუნქციონირებს. ცოცხალი ენა მუდმივ ცვლებადია, იგი სულ იცვლება. ცვლებადობის ამოსავალი წერტილი მეტყველებაა. ამრიგად, ენა ერთდროულად სისტემაა და მეტყველებაც (ე. ი. ცვლებადობა).

ენის ცვლილების პრობლემა დაკავშირებულია ენის წინააღმდეგობრივ ხასიათთან, რაც იმას ნიშნავს, რომ ენა თან მდგრადია და თან „ცვლებადი“, ე.ი. — არამდგრადი. არამდგრადობა განპირობებულია გარე ფაქტორებით. გარე და შიდა ფაქტორებიდან, პირველი ითვლება ენის ცვლილების მიზეზად, მეორე კი ხელს უშლის ცვლებადობას და აღადგენს დარღვეული სისტემის წონასწორობას. აქედან გამომდინარეობს ცნობილი დიქტომია: ენა შეისწავლება ორ პლანში — სინქრონულში და დიაქრონულში. დიაქრონია აღწერს ტრადიციის რეალურ შედეგებს, თუმცა ტრადიცია ისე კი არ ვლინდება, როგორც „რალაცი“ გადაცემა, მისი იგნორირება არ ნიშნავს მის არარსებობას და მის მიერ ენის არ განსაზღვრას.

არაისტორიულობა (ე.ი. სინქრონულობა) არის არა ენის არსის, არამედ იმის აღწერა, რაც არსებობს. ისტორია და თეორია არ არიან ანტითეზები, ისინი ერთმანეთს ავსებენ და ქმნიან ერთიან მეცნიერებას. უბრალოდ, ობიექტის აღწერა და ისტორია ერთმანეთთან არათავსებადი ოპერაციებია, მაგრამ ერთმანეთს არ გამოირიცხავენ.

სინქრონული ელემენტები არსებობენ და ქმნიან სისტემას, მაშინ, როდესაც დიაქრონული ელემენტები ერთმანეთს მოსდევენ და ერთმანეთს ცვლიან, (მაგრამ არ ქმნიან სისტემას?). სინქრონული ფაქ-

ტები სისტემურია, დიაქრონული კი — სპეციფიკური, მრავალფეროვანი, იზოლირებული და განლაგებულნი სისტემის „გარეთ“. დიაქრონულ პერსპექტივაში განიხილება მოვლენები, რომლებიც არ უკავშირდებიან სისტემას, თუმცა განაპირობებენ მას. სინქრონიას და დიაქრონიას შორის არსებობს შემდეგი ანტინომია: 1) ენობრივი ფაქტი ისტორიულია და ესა თუ ის ენობრივი მოვლენა ენაში მკვიდრდება ისტორიის მეშვეობით; 2) ის, რაც ენაში დიაქრონულია, მეტყველების შედეგია. სწორედ მეტყველება ავითარებს ენას. უშუალოდ სისტემა არ იცვლება, იცვლება მხოლოდ ცალკეული ელემენტები და ის უცვლელი კავშირები, რომლებიც მათ აკავშირებს მთელ ერთობლიობასთან; 3) ცვლილებების მიზეზი განპირობებულია არა ენის ობიექტური ასპექტით, არამედ მეტყველების სუბიექტური ასპექტით. მხოლოდ ისტორიას შეუძლია ენის დინამიკური რეალობის გათვალისწინება და განიხილავს მას, როგორც სისტემას შექმნის პროცესში, მისი განვითარების ყოველ აქტუალურ მომენტში (კოსერიუ, 1956, 143-306).

ცნობილი ანტინომიიდან — სინქრონია არ ცნობს დიაქრონიას (წარსულს), დიაქრონიაც არ ცნობს სინქრონიას („ენის მდგომარეობას“) — მხოლოდ პირველი დებულებაა მართალი. დიაქრონიას არ შეუძლია არ ცნოს სინქრონიები, ანუ „ენის ურიცხვი მდგომარეობა“. დიაქრონია დამოკიდებულია სინქრონიაზე, რადგან სინქრონიის არ ცნობა დიაქრონიული კვლევის დროს, ნიშნავს ენის, რომელიც განუწყვეტლივ ცვალებადია დროში, იგნორირებას. ისტორიის ერთი მომენტი შეიძლება აღწერილ იქნას სხვა მომენტების გარეშე; თუმცა მთელის აღწერა შეუძლებელია მისი ნაწილების აღწერის გარეშე, პროცესის აღწერის დროს არ შეიძლება უარყოფილ იქნას მისი ეტაპები, ანუ „სისტემატიზაციის“ კვლევა არ შეიძლება ამ სისტემატიზაციის მომენტების აღწერის გარეშე. დიაქრონია არის ენის ისტორია, ხოლო ენის ისტორიისათვის მიუღებელია ანტინომია სინქრონიასა და დიაქრონიას შორის.

უნდა გვახსოვდეს, რომ ენა არსებობს ცვლილებების მეშვეობით და „კვდება“ ცვლილებების გარეშე. სისტემა, როგორც „შესაძლებლობათა სისტემა“ შენარჩუნებულია სინქრონული ჩარჩოების მიღმა. ენის ფორმირება არის არა ყოველდღიური, არამედ ისტორიული პროცესის ანარეკლი.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე მრავალი ნაშრომი თუ

სტატია, საერთაშორისო კონფერენცია თუ კოლოქვიუმი მიეძღვნა და ეძღვნება ენის ევოლუციის პრობლემას, კერძოდ დიაქრონიულ სემანტიკასა და დიაქრონიულ პრაგმატიკას. იქმნება ენის კვლევის ახალი მეთოდები და მეთოდოლოგიები; ენის შესწავლაც ამ ახალი მეთოდებითა და მეთოდოლოგიების გამოყენებით ხდება, რაც ნიშნავს დიაქრონიის დარგში უკვე დასმული ან ხელახლა წამოჭრილი პრობლემების უფრო ღრმად და სინთეზურად გადაჭრას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი თვალსაზრისი და კონცეფცია რადიკალურად შეიცვალა. თანამედროვე ენათმეცნიერებაში (langages 2002, 3-127) ლინგვისტური რეალობა არის წესრიგისა და უწესრიგობის ნარევი, ცვლილება და სტაბილურობა; ჰიპოთეზა კი ასეთია — გრამატიკულ ცვლილებებს საფუძვლად უდევს კოგნიტიური პროცესები და სამი ძირითადი მიზეზი: ანალოგია ანუ გაფართოება, რეანალიზი (გრამატიკალიზაცია) და სესხება გარედან. ისტორიული სინტაქსის შესწავლა ხდება ორი ფუნდამენტური გზით: ფორმალური ანუ გენერაციული (générativiste) და ფუნქციონალურ-დისკურსიული მიდგომით (პეირობი, 2002, 46-56)

გრამატიკულ ცვლილებას, ფორმალური ანუ გენერაციული თვალსაზრისით, საფუძვლად უდევს: ბავშვის მიერ მისი მშობლიური ენის შესწავლა; ეს ცვლილება, რომელიც რეანალიზის პროცესების შედეგია აჩქარებულია და არა პროგრესული; სინტაქსური ცვლილება ავტონომიურია და ოპერირებს ფუნქციონალური, სემანტიკური და პრაგმატული განხილვისაგან დამოუკიდებლად, რასაც ჩვენ არ ვეთანხმებით, თუმცა ბოლოს პეირობი ასკვნის, რომ სინტაქსური ცვლილება არ არის ავტონომიური და დამოუკიდებელი.

ფუნქციონალურ-დისკურსიული მიდგომის თვალსაზრისით ენა საკომუნიკაციო სისტემაა; გრამატიკა ორგანიზებული ერთიანობაა. კომუნიკაციური ფუნქცია, რომელიც კიდევ ქმნის და კიდევ ზღუდავს ენას დაკავშირებულია ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, ისტორიულ, სოციალურ-კულტურულ და ეკოლოგიურ ფაქტორებთან.

ენის ცვლილებების მიზეზებიდან მთავარია ანალოგია. იგი ცვლის ენის ზედაპირულ სტრუქტურას და არა სიღრმის სტრუქტურას.

რეანალიზაცია გულისხმობს იმ პროცესებს, როდესაც ლექსიკური ერთეულები, ზოგჯერ მთელი კონსტრუქციები ზოგიერთ ლინგვისტურ კონტექსტში გადაიქცევიან გრამატიკულ ფუნქციებად და გრა-

მატიკალიზაციის (რომელიც რეანალიზის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია) შემდეგ ისევ შეუძლიათ განაგრძონ გრამატიკული ფუნქციების განვითარება და შესრულება, რაც არ იწვევს შესაბამის ცვლილებებს ზედაპირულ სტრუქტურაში, მაგრამ იგი დინამიკური, ისტორიული და ერთმიმართულებიანი პროცესია.

მესამე მექანიზმი — გარედან გამოწვეული მიზეზებია ანუ გარედან სესხება, სხვადასხვა ენებთან კონტაქტის შედეგად. სესხებას ანალოგიისაგან განსხვავებით, მაგრამ რეანალიზის მსგავსად, შეუძლია შემოიტანოს სრულიად ახალი სტრუქტურა ენაში და აქედან გამომდინარე, გამოიწვიოს რადიკალური ცვლილებები.

გრამატიკული ცვლილებების მოტივაციის ძებნა დიაქრონიული ანალიზის იმ სპეციალისტთა მიერ შესწავლის მთავარი საგანია, რომლებიც ენისადმი ფუნქციონალურ მიდგომას იზიარებენ.

დღეს ლინგვისტიკაში აღიარებულია, რომ გრამატიკული ცვლილებების მოტივაცია სემანტიკურ-პრაგმატული (მეტაფორიზაცია, მეტონიმიზაცია, სუბიექტივიზაცია), ტიპოლოგიური (ტიპოლოგიური ზეწოლა), სტრუქტურული (სტრუქტურული მოთხოვნები) და ფონოლოგიური (ფონოლოგიური ცვლილებანი) ხასიათისაა.

ეგოლუციის მიზეზებისა და მოტივაციის შესწავლის თვალსაზრისით შეიძლება ეს უახლესი მიღწევები არ არის საკმარისი და ამომწურავი, მაგრამ, მაინც, წინგადადგმული ნაბიჯია. ჩვენ კი კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით ფრანგულ ენაში ბრუნვის გამოხატვის საკითხს და დავეყრდნობით ზოგიერთი ენათმეცნიერისა და ჩ. ფილმორის (ფილმორი 1981, 350-451) ცნობილ ნაშრომს ბრუნვათა შესახებ, რომელმაც მთლიანად შეცვალა ბრუნვათა მიმართ ტრადიციული მიდგომა.

ჩ. ფილმორი იყენებს ნ. ჩომსკის „ბაზისური კომპონენტის ცნებას“. ნ. ჩომსკი თვლის (ჩომსკი 1975, 19-20) (იგულისხმება ჩომსკის გენერაციული კონცეფციის სტანდარტული, კლასიკური ვარიანტი), რომ ბაზისური კომპონენტი უნდა ჰქონდეს ყველა გრამატიკას, რადგან იგი წარმართავს მოცემული ენის ყველა წინადადების სიღრმულ სტრუქტურას და უკიდურეს შემთხვევაში, უნდა შეიცავდეს ტრანსფორმაციულ წესებს. მათი ფუნქცია კი იმ მრავალი სიღრმული სტრუქტურების ასახვაა, რომლებიც იქმნებიან ბაზისურ კომპონენტში. სინტაქსური კატეგორიები — ქვემდებარე, პირდაპირი და ირიბი დამატებები, გარემოებითი დამატებები არ განეკუთვნებიან ბაზისურ

კომპონენტს და ისინი რეალიზდებიან ანალიზური ენების ზედაპირულ სტრუქტურებში. ბრუნვა ზედაპირულ სტრუქტურაში იძენს „ფარული“ კატეგორიის მნიშვნელობას, იგი არ გამოიხატება ექსპლიციტური „მორფემით“, მაგრამ მის არსებობას ამტკიცებს შერჩევითი შეზღუდვები და ენობრივ ერთეულთა ტრანსფორმაციული შესაძლებლობანი.

რა არის ბრუნვა, არსებობს თუ არა იგი ფრანგულ ენაში და თუ არსებობს, სულერთია იმპლიციტური თუ ექსპლიციტური „მორფემის“ სახით, როგორ ხდება მისი რეალიზაცია?

ჩ. ფილმორს „ბრუნვა“ ესმის როგორც სიღრმული სინტაქსურ-სემანტიკური მიმართება, ხოლო ტერმინი „ბრუნვის ფორმა“, როგორც მიმართების გამოხატვა კონკრეტულ ენაში და იგი შეიძლება ნებისმიერი სახით იყოს წარმოდგენილი — აფიქსაციით, სუბლექტივიზით, ენკლიტიკურ-პროკლიტიკური ნაწილაკებით, სიტყვათა რიგის შეზღუდვით წინადადებაში.

თანამედროვე ფრანგულ ენაში ბრუნვათა სისტემის სინტაქსური გამოხატვის დასადგენად, საჭიროა მოკლედ გადავხედოთ დიაქრონიული გრამატიკის იმ პერიოდს, როცა მას ნაწილობრივ მაინც გააჩნდა ბრუნვათა ფორმები. აქ ჩვენ ვეყრდნობით ა. დოზას მონაცემებს (დოზა, 1956, 270-275, 295-297)

ფონეტიკურმა ცვლილებებმა ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა არსებითი სახელის ფლექსიებზე. ბრუნვათა ფორმების გამარტივება ჯერ კიდევ კლასიკურ ლათინურში დაიწყო, ხოლო ვულგარულ ლათინურში ხდება არა ბრუნვათა კატეგორიის გაქრობა, არამედ შერწყმა, დაბოლოებათა დამთხვევა, ბრუნვათა ნარჩენების საბოლოოდ გაქრობა XIV საუკუნეში მოხდა. ამ მოვლენების მთავარი მიზეზი ფონეტიკურთან ერთად სინტაქსურიცაა: გაძლიერდა წინდებულები, რომლებიც წინათ ბრუნვათა დასაზუსტებლად იხმარებოდნენ. მათი მნიშვნელობის გაფართოებას კი მოჰყვა ბრუნვათა ხმარების არასაჭიროება. წოდებითი ბრუნვა დაემთხვა სახელობითს, მიცემითი ბრუნვის ნაწილი დაემთხვა ნათესაობითს ან მოქმედებითს; მიცემითი ბრუნვა გახდა ნაკლებ დამოუკიდებელი, ამ ბრუნვასთან არ იხმარება არცერთი წინდებულები, ხოლო მისი ფუნქცია შეითავსა წინდებულმა **ad** ბრალდებით ბრუნვასთან ერთად; მოქმედებითი ბრუნვა უფრო გვიან დაემთხვა ბრალდებითს, ნათესაობითი კიდევ უფრო მეტხანს შემორჩა, აღნიშნავდა რა არსებითი სახელის დამატებას. ზოგიერთი

ბრუნვის ნიშანი შემორჩა რთულ ტოპონიმიკურ სიტყვებში და კვირის დღეებში.

აქედან გამომდინარე ძველ ფრანგულში სახელთა ფლექსიები საკმაოდ გამარტივდა: დარჩა მხოლოდ ორი ბრუნვა — ქვემდებარის (ყოფილი სახელობითი) და დამატების (ყოფილი ბრალდებითი), და სახელთა ბრუნების 4 ტიპი.

პირის ნაცვალსახელები გამოხატავდნენ პირს, როგორც ზმნები. შემდგომში პირის ნაცვალსახელები იმდენად დასუსტდნენ, რომ გახდნენ მხოლოდ ზმნის პირისა და პირიანობის მაჩვენებლები. უნდა ითქვას, რომ სწორედ პირის ნაცვალსახელებმა შემოინახეს გამჭრალ ფლექსიათა უმეტესი რაოდენობა: — **me, te** იყო საერთო ფორმა ბრალდებითი და მოქმედებითი ბრუნვისათვის, მიცემითი ბრუნვა **mi-hi** შეიკუმშა და დარჩა **mi** ანალოგიით **tibi** → **ti**, მაგრამ შემდეგ მიცემითი ბრუნვის ნიშანი **i** გაქრა და მის მაგივრად გაჩნდა **e**, III პირის ნაცვალსახელმა **lei** → **li** მალევე დაუთმო ადგილი **lui (illui)** და **leur (illorum)**.

პირის უმახილო ნაცვალსახელმა აგრეთვე შემოინახა საშუალო სქესის ფორმა **le** და იგი დღესაც იხმარება — **Je le fais**; საშუალო სქესის ქვემდებარის გამოსახატავად შენარჩუნებულია მამრობითი სქესის უმახილო ნაცვალსახელი **il (il ya, il pleut)**.

ჩვენ შემოვიფარგლებით მხოლოდ არსებითი სახელებითა და მათი შესაბამისი პირის ნაცვალსახელებით, ვინაიდან ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს მხოლოდ სუბიექტ-ობიექტის „ბრუნვის“ გამოყოფა და მათი გამოხატვის საშუალებანი თანამედროვე ფრანგულ ენაში.

სინტაქსის ცენტრალური ადგილი უჭირავს გრამატიკაში, ამიტომ სიტყვათა ფორმებიც განისაზღვრება სინტაქსური ცნებების შესაბამისად.

ენათა ტიპოლოგიურმა კვლევამ გამოყო ბუნებრივ ენათა სიღრმის სტრუქტურებში უნივერსალური სინტაქსური კატეგორიები, რომლებიც ზედაპირულ სტრუქტურაში ჰპოვებენ რეალიზაციას განსხვავებული კონსტრუქციების სახით. დადგენილია მიმართებები არგუმენტებსა და პრედიკატებს შორის, რომლებიც გადმოიცემა ელემენტარული წინადადებებით მოვლენათა შესახებ. ამ მიმართებებს ჩ. ფილმორი ბრუნვებს უწოდებს და ისინი შეიძლება ამოსავალ ფორმებად მივიჩნიოთ იმ მრავალფეროვან ფუნქციათა ტიპების დასადგენად, რომლებიც წარმოადგენს მოვლენათა (რეალური სიტუაციის)

აღწერისას პრედიკატების შესაძლო კონტექსტებში გამოყენების საფუძველს. ამგვარად, პროპოზიციული მიმართებანი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც მიმართებანი ერთ, ორ და სამადგილიან ფუნქციებს შორის.

ტრანსფორმაციული წესების მიყენების შედეგად მიღებული ზედაპირული ქვემდებარე არის იმის შედეგი, რომ რომელიმე **GN** უერთდება **V**-ს იმ პირობით, თუ არც ერთი სხვა **GN** არ იქნება მასთან მიერთებული ასეთ მიმართებაში. სწორედ ეს მიმართებანი განსაზღვრავენ ბრუნვის კატეგორიებს: სახელობითი, ბრალდებითი და ა. შ.

ცხადია, ყველა ენის წინადადების სიღრმულ სტრუქტურაში არის პროპოზიციური ბირთვი, რომელიც შედგება ზმნისაგან **V** და ერთი ან მეტი სახელადი ჯგუფისაგან **GN**, რომელთაგან თითოეული იმყოფება განსაკუთრებული ბრუნვის მიმართებაში ბირთვიდან **P** და რა თქმა უნდა, აქედან გამომდინარე, ზმნასთან **V**.

ზმნებისათვის ლექსიკური შევსების წესი რეაგირებს ბირთვში **P** განსაზღვრული ბრუნვის ყოფნაზე. შევსების წესები ითვლება მკაცრ ლოგიკურ ტრანსფორმაციებად, რომელთა გამოყენების დროს მხოლოდ ბრუნვებია მხედველობაში მიღებული და უშუალოდ შედიან ზმნის შემადგენლობაში. სახელადი ჯგუფის ფორმა **P** შემადგენლობაში განსაზღვრულია სახელადი ჯგუფის ბრუნვის კატეგორიებით. სიღრმული ბრუნვის თეორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ელემენტია ფრეიმი (**frame** — ჩარჩო), რომლის ფუნქცია განისაზღვრება მიმართების დამყარებით სიტუაციის აღწერებსა და სიღრმულ სინტაქსურ წარმოდგენებს შორის (სტეპანოვი, 1981, 445-447).

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პირობას კარგად ექვემდებარება ფრანგული ენა, რომელიც ლათინური ენის სინთეზური სტრუქტურიდან გადავიდა ანალიზურ სტრუქტურაზე, რამაც, ბუნებრივია, გამოიწვია ზოგიერთი ენობრივი ერთეულის გაქრობა, ხოლო ზოგიერთის — ფუნქციონალური დატვირთვა.


ძველ ფრანგულში სიტყვათა რივი თავისუფალი იყო წინადადების წევრთა განლაგების თავლსაზრისით; დღეს კი სიტყვათა რივი მკაცრად დაცულია და მისი დარღვევა შეიძლება მოხდეს სტილისტური მოსაზრებით, რომელიმე წევრის აქტუალიზირების თვალსაზრისით.

თუ წინდებულები ძველ ფრანგულში იხმარებოდა ზოგიერთ ბრუნვათა დასაზუსტებლად, ბრუნვების გაქრობასთან ერთად მათი

ხმარება გაფართოვდა და დაიწყეს ბრუნვათა ფორმების გამოხატვა.

დღევანდელი ფრანგული ენა „ფარული ბრუნვების“ გამოსახატავად იყენებს: წინდებულს, სიტყვათა რიგს, არტიკლს, ზმნის გარდა-მავლობა-გარდაუვლობას (პირიანობას).

ფრანგული მარტივი გავრცობილი წინადადების წყობა ასეთია (შემოვიფარგლებით მხოლოდ სამი ბრუნვით: სახელობითი-ქვემდებარე, ბრალდებითი-პირდაპირი დამატება, მიცემითი-ირიბი დამატება):



(1) *Le père lit la lettre à un ami.*

(1) წინადადებაში *Le père* სახელობითი ბრუნვაა, ანუ ქვემდებარეა და დგას ზმნის წინ (მარცხნივ), იგი შეიძლება გაივრცოს დეტერმინანტებით; *la lettre* ბრალდებითი ბრუნვა ანუ პირდაპირი დამატება და *à un ami*. მიცემითი ბრუნვა ანუ ირიბი დამატება; *COD* და *COI*, ორივე დგას ზმნის შემდეგ (მარჯვნივ), ისინიც შეიძლება გაივრცონ დეტერმინანტებით. წესის თანახმად უშუალოდ ზმნას უნდა მოჰყვებოდეს ჯერ პირდაპირი დამატება, ხოლო შემდეგ — ირიბი დამატება, თუ ორივე დამატება ერთდროულად არის ნახმარი. სიტყვათა რიგის ასეთი დარღვევა ხდება ორი მოსაზრებით:

ა). თუ *COD* უფრო გრძელია, ვიდრე *COI*:

(2) *Le père lit à un ami la lettre qu'il a reçue hier.*

ბ). სტილისტური მოსაზრებით ან წინადადების რომელიმე წევრის აქტუალიზირების მიზნით:

(3) *La lettre, le père la lit à un ami.*

(4) *C est le père qui lit la lettre à un ami.* (გაძლიერდა *S*).

(5) *C est la lettre que le père lit à un ami.* (გაძლიერდა *COD*).

(6) *C est à un ami que le père lit la lettre.* . (გაძლიერდა *COI*)

შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ სიტყვათა რიგის ასეთი სიმკაცრე გამოიწვია ფლექსიების გაქრობამ. ასევე აუცილებელი გახდა ფრანგულ ენაში ქვემდებარის ხმარება, რომლის საჭიროებასაც წინათ ზმნა არ მოითხოვდა; დღეს ქვემდებარე ნაცვალსახელის სახით უპირო გამოთქმებსა და უპირო კონსტრუქციებშიც კი იხმარება საშუალო სქესის ფორმის გამოსახატავად:

(7) *Il pleut ; il fait du vent ; Il y a ; Il est nécessaire* და ა.შ.

ზმნასთან მიერთებული *GN* ამყარებს სპეციალურ მიმართებას

(ანუ ბრუნვის მიმართებას) მთელ წინადადებასთან; ეს მიმართებები ჩ. ფილმორის მიერ დახასიათებულია, როგორც კატეგორიები.

თუ ზმნა სამარგუმენტიანია, მაშინ იგი არსებით სახელს მიიერთებს სამ ბრუნვაში. სახელობითის ანუ ქვემდებარის ბრუნვა (*S*) გამოიხატა მისი ადგილით; იგი არ უშვებს წინდებულის ხმარებას მის წინ, ქვემდებარე შეიძლება იხმარებოდეს მხოლოდ განსაზღვრული ან განუსაზღვრელი არტიკლით (საკუთარი სახელი, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, არ უშვებს არტიკლის ხმარებას). *La lettre* არის ბრალდებით ანუ პირდაპირი დამატების (*COD*) ბრუნვაში, ამ ბრუნვის ფუნქციის შესრულება (*COD*) გამოიხატა მისი უშუალო ადგილმდებარეობით ზმნის შემდეგ, მის წინ შეიძლება იხმარებოდეს განსაზღვრული, განუსაზღვრელი და ნაწილობრივი არტიკლები; უკანასკნელი დასაშვებია, რამდენადაც არსებობს უცილობელი კავშირი ზედპირულ ბრუნვებსა და პარტიციპიულ ფუნქციებს შორის:

(8) *Pierre mange du pain.*

Du pain არის პირდაპირი დამატება და ამას ისიც მოწმობს, რომ მას ესმის პირდაპირი დამატების კითხვები:

(9) *Qu' est-ce que Pierre mange ?*

Que mange Pierre ?

Pierre mange quoi ?

(1) წინადადებაში *la lettre* რომ პირდაპირი დამატებაა, მოწმობს ისიც, რომ მისი გადაყვანა შეიძლება პასიურ ფორმაშიც (თუ არ არის ქვემდებარის შეზღუდვები).

(10) *La lettre est lue à un ami par le père.*

À un ami ირიბი დამატებაა, ანუ მიცემითი ბრუნვა, რომელიც გამოიხატა წინდებულის ხმარებით არსებითი სახელის წინ (*à + GN*). ირიბი დამატება ყოველთვის იხმარება წინდებულებით და ეს წინდებულები შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ *à* ან *de* (ან შერწყმული არტიკლები):

(11) *Pierre parle de son ami.*

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ბრუნვის ფლექსიების გაქრობის შემდეგ მთავარი როლი დაეკისრა სინტაქსურ მიმართებებს, სუბიექტ-ობიექტის ადგილი განსაზღვრა ძირითადად მათმა ადგილმა წინადადებაში.

ზმნის გარდამავლობა-გარდაუვლობა (არგუმენტი) მიუთითებს დამატების ტიპზე: (1) წინადადებაში ზმნა სამპირიანია და იგი უშ-

ვებს ორივე დამატების — პირდაპირის და ირიბის ხმარებას; (8) წინადადებაში ზმნა ორპირიანია — პირდაპირ გარდამავალი, ამიტომ მას მიუერთდება მხოლოდ პირდაპირი დამატება; (11) წინადადებაში ზმნა ორპირიანია, მაგრამ ირიბად გარდამავალი და იგი მიიერთებს მხოლოდ და მხოლოდ ირიბ დამატებას.

ერთი და იგივე ზმნა შეიძლება იხმარებოდეს, როგორც

ა) გარდაუვალი (ერთპირიანი):

(12) *Pierre écrit* — პიერი წერს (შეიძლება იმიტომ წერს, რომ უყვარს წერა).

ბ) პირდაპირ გარდამავალი:

(13) *Pierre écrit une lettre.*

გ) პირდაპირ — ირიბად გარდამავალი :

(14) *Pierre écrit une lettre à son ami.*

არსებობს კონტექსტები, რომლებშიც ბრუნვის კატეგორია შეიძლება დარჩეს ცარიელი (არამარკირებული) ე.ი. შევსების გარეშე. გარდა ამისა, არ არსებობს აბსოლუტური ზღვარი გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებს შორის (გარდა მდგომარეობის გამომხატველი ზმნებისა). რაც შეეხება მათ მნიშვნელობას იგი შეიძლება შეიცვალოს ან არ შეიცვალოს ან განსხვავდებოდეს ნიუანსებში, მაგრამ წინადადების კონსტრუქცია ყოველთვის იცვლება იმის მიხედვით, ზმნა მიიერთებს თუ არა პირდაპირ ან ირიბ ობიექტს.

რაც შეეხება **S-COD-COI** ფუნქციის მქონე არსებითი სახელების სუბსტიტუტებს, კერძოდ, პირის უმახვილო ნაცვალსახელებს, მათ მეტ-ნაკლებად შემოინახეს გამქრალ ბრუნვათა ფლექსიები სახელობით, მიცემით და ნათესაობით ბრუნვებში, ხოლო ირიბი დამატებანაცვალსახელის წინ დაიკარგა წინდებული.

ამგვარად, (1) წინადადება მიიღებს ასეთ სახეს :

(15) *Il la lui lit.*

ყველა ნაცვალსახელი დაიწერა ზმნის წინ შემდეგი თანმიმდევრობით:

P → S + COD + COI + V, მაგრამ **COD** და **COI** ადგილები შეიძლება შეიცვალოს თუ პირდაპირი და ირიბი დამატება სხვადასხვა პირისაა:

(16) *Il me la lit. (S + COI + COD + V).*

პირის ზოგიერთი ნაცვალსახელი ფორმით ემთხვევა ერთმანეთს: **nous, vous** შეიძლება იყოს ქვემდებარე, პირდაპირი და ირიბი დამატებები; **me, te** — პირდაპირი დამატება და ირიბიც, მაგრამ მათი ერთმა-

ნეთისაგან განსხვავება წინადადებაში ხდება მათი ადგილის მიხედვით: აქ ისევ ჩნდება სიტყვათა რიგის მკაცრად დაცვის პრინციპი.

როცა საჭიროა ქვემდებარე, პირდაპირი და ირიბი დამატებანაცვალსახელების გაძლიერება, ისინი ძლიერდებიან პირის შესაბამისი მახვილიანი ნაცვალსახელებით და ირიბი დამატება პირის ნაცვალსახელის წინ გაჩნდება წინდებული:

(17) *Il la lui lit → C est lui qui la lui lit* (გაძლიერდა **S**).

მაგრამ * *C est elle qu' il lui lit* (ქვემდებარისა და დამატების ფორმათა ფორმალური დამთხვევის გამო იქმნება ორაზროვნება და ასეთი წინადადება ენის ნორმისათვის მიუღებელია).

C est à lui qu' il la lit. (გაძლიერდა **COI**).

ლიტერატურა

კოსერიუ, — Э. Косериу. Синхрония, диахрония и история. — Новое в лингвистике, выпуск III, Москва, 1956.

Langages, juin 2002, №146, Larousse, Paris 2002 .

ბეირობი, 2002 — Alain Peyraube, L' évolution des structures grammaticales, Langages, juin 2002 №146, Larousse, Paris 2002 .

ფილმორი, 1981 — Ч. Филлмор, Дело о падеже, в сб. Новое в зарубежной лингвистике, вып. 10, Москва, 1981.

ჩომსკი, 1975 — Noam Chomsky, Questions de semantique, Paris, 1975.

დოზა, 1956 — А. Доза, История французского языка, Москва, 1956.

სტეპანოვი, 1981 — Ю, С. Степанов, Имена. Предикаты. Предложения, Москва, 19817

Relation between System and Evolution
(means of expressing subjective and objective
cases in current French)

Summary

The paper examines some syntactic means of expressing the case system in current French. The French case system is one more proof of the close connection between synchrony and diachrony. Deep structure case meanings and their surface structure realizations have been differentiated.

შანაწილი

მესამე სუბიექტური პირის გამოხატვა ქართულში

სალიტერატურო ენაში მესამე სუბიექტური პირის ნიშნებია მხოლოდ რიცხვში სუფიქსები **-ს, -ა, -ო (აკეთებ-ს, აქ-ო, დაწერ-ა)**, მრავლობითში — **-ენ, -ნენ, -ან, -ეს, -ნ (წერ-ენ, წერდ-ნენ, დაწერ-ეს, დაწერო-ნ, დარბი-ან)**. მრავლობითობის სუფიქსები ორმაგი ფუნქციის მატარებელი არიან, აღნიშნავენ პირსაც და რიცხვსაც. თუმცა, მკვლევართა აზრით, ისინი თავდაპირველად რიცხვს გამოხატავდნენ.

ქართულში მხოლოდითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშან **-ს**-ს ნაცვლად, როცა მის წინ ხმოვანი სუფიქსია, გვხვდება . მაგალითად, უდგა (უდგას), ეკუთვნი (ეკუთვნის), აშენებდე (აშენებდეს), ააშენო (ააშენოს).

გარდამავალი ზმნების წყვეტილში მესამე სუბიექტური პირის ნიშნად მრავლობით რიცხვში **-ეს** სუფიქსის მაგივრად გვხვდება **-ე** სუფიქსი: გააკეთე - (გააკეთეს), წაიღე - (წაიღეს), გარეკე - (გარეკეს), ააშენე - (ააშენეს) და სხვ.

წყვეტილში თავისებურებას იჩენს ზმნა "უამბო", რომელშიც მესამე სუბიექტური პირის ნიშნად მხოლოდ რიცხვში **-ო**-ს ნაცვლად გვაქვს **-ა**. ისტორიული თვალსაზრისით, **-ა**-ს ხმარებაა გამართლებული, რადგანაც გვაქვს სახელი "ამბავი", რომლისგანაც მიღებულია **უამბავა უამბავა უამბა**. ფორმა **უამბო** კი "უამბავაში" ვა კომპლექსის **ო**-დ ქცევის შედეგია. ჩანს, ყვარლის მეტყველებაში **უამბავა** ფორმის განვითარება სხვა გზით წარმართულა. **ვ** დაკარგულია **მბვ** კომპლექსში და ამის შემდეგ **ა** უცვლელად დარჩენილა (შალამბერიძე, 1955).

ქართულში მესამე სუბიექტური პირის **-ს** ნიშანი ხმოვანი სუფიქსის მომდევნოდ გვაძლევს **ა**-ს. მაგალითად, **დააბრუნო** (დააბრუნოს), **გაუჭირდე** (გაუჭირდეს). იოტიზებულ ნაირსახეობას იძლევა აგრეთვე მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის **-ეს** ნიშან-

ნიც, მაგალითად, **დაწერე** (დაწერეს), **გააკეთე** (გააკეთეს). ალგე-
თურში მის პარალელურად გვაქვს - **ს** და **ე ს. გააკეთო** - **ს** (გააკე-
თოს), **გააკეთე ს** (გააკეთეს) (ჯორბენაძე, 1989).

იმერულში მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის
ნიშნებად გვხვდება **-ნ, -ან, -ენ, -ეს ყე(ნ)** თავისი ფონეტიკური ნა-
ირსახეობებით, აგრეთვე, **არიენ//ლარიენ** მეშველი ზმნა (მ. ძიძიუ-
რი, ვ. ფანჩიძე, ო. კახაძე, ქ. ძოწენიძე, პ. გაჩეჩილაძე, ლ. ბარამიძე,
კ. კუბლაშვილი).

გარდამავალი ზმნების ნამყო ძირითადში მრავლობითი რიცხვის
მესამე სუბიექტური პირის ნიშნად **-ეს** ჩნდება ზემოიმერულში, თუმ-
ცა ზემოიმერულისავე დასავლეთ რეგიონში მის პარალელურად გამო-
ყენებულია **-ენ** ფორმანტიც: **დაწერეს//დაწერენ, უთხრეს//უთხრენ,**
-ეს გვაქვს ქვემოიმერულის ზოგ თქმაში (ოკრიბულში).

ქვემოიმერულში **-ან** მთლიანად შეცვალა **-ენ** სუფიქსმა: **ჭრიენ,**
ტირიენ, ჩანენ... ზემოიმერულში **-ან** შენარჩუნებულია, თუმცა პარა-
ლელურად თავს იჩენს **-ენ** ნიშანიც (განსაკუთრებით ქვემოიმერულ-
თან მიმდებარე რეგიონში): **დგარან//დგარენ, წევრან//წევრენ, ჯდი-**
ან//ჯდიენ, ყოფილან//ყოფილენ.

ქვემოიმერულში **-ენ** სუფიქსმა შეცვალა **-ეს** ფორმანტიც: **დაწე-**
რენ (დაწერეს), **გააკეთენ** (გააკეთეს).

-ნ/ენ ფორმანტის ადგილას თხრობითი კილოს ფორმებში ყო-
ველთვის **-ენ** გვაქვს **წერდ-ენ** (წერდნენ), **დეიმალ-ენ** (დაიმალნენ),
კავშირებითში — **-ნ** (**წერდ-ენ** (წერდნენ), **დეიმალეზოდ-ენ** (დაიმა-
ლენდნენ)).

ზემოიმერულში **-ყე** ფორმანტით გამოიხატება რეალური სუბიექ-
ტის მრავლობითობა ინვერსიულ ზმნებში (ის ჩვენ გვაქვს//გვაქ,
თქვენ გაქ-ყე, მათ აქ-ყე; ის მათ უყვარს-ყე, უყვარდა-ყე, ჰყვა-
რებია-ყე; ის მათ უჭამია-ყე, ეჭამა-ყე. მე მშობლებს ერთი შვი-
ლი ვყავდი-ყე. -ყე თანდათანობით იცვლება **-თ** ფორმანტით, ახალი
თაობა მას იშვიათად იყენებს.

ქვემოიმერულში **-ყენ//კენ//ენ** ფორმანტით გამოიხატება მრავ-
ლობითობა სუბიექტისა (თხრობით კილოში, ჩვეულებრივ, დაერთვის
მრავლობითობის სუფიქსს — ორმაგი გამოხატვა: **დეიძახეს-ყენ//დეი-**
ძახეწყენ//დეიძახეს-წყენ, გოუშვენ-კენ; კავშირებითში ჩნდება მხო-
ლობითი რიცხვის **-ს** ფორმანტის მომდევნოდ: **დეიძახებდეს-ყენ//დე-**
იძახებდეწყენ//დეიძახებდეს-წყენ, დეიძახოს-ყენ//დეიძახოწყენ

//დეიძახოსწყენ, გვხვდება ასეც სამტრედიულ თქმაში: **დეიძახოს-**
კენ//დეიძახოს-ენ; რა **ქნას-ყენ//რა ქნას-კენ;** რეალური სუბიექტისა
ინვერსიულ ზმნებში (ის ჩვენ გვიყვარს, თქვენ გვიყვარს-ყენ//გიყ-
ვარ-ყენ, მათ უყვარს-ყენ//უყვარ-ყენ; ასევე: **გიყვარს-კენ, უყვარს-**
კენ; ეშინია-ყენ, შეეშინდა-ყენ, წამოუყვანია-ყე, წამოუყვანივარ-
ყე (წამოუყვანივარ მე მათ), წამეყვანა-ყე, შეუხედავს-ყენ//შეხე-
და-ყენ). **-ყე//ყენ** განსაკუთრებით იფართოებს გამოყენების სფეროს
ხონურ, სამტრედიულ და ვანურ თქმებში.

-არიენ//ლარიენ მხოლოდ ქვემოიმერულს ახასიათებს (სპორა-
დულად გვხვდება ქვემოიმერულის მომიჯნავე ტერიტორიაზე ზემოიმე-
რულში, ისიც შეზღუდულად — სუბიექტის მრავლობითობის გამოსა-
ხატავად. აღინიშნება მრავლობითობა: აწმყომი — ერთვალენტიანი
მდგომარეობითი ზმნების სუბიექტისა **ჟილარიენ, წევლარიენ, ყრი-**
ლარიენ, ვარგილარიენ, მოდილარიენ. მრავლობითობის ფორმან-
ტად ზოგჯერ გაიზარება ბოლოკიდური **-ენ,** რის გამოც მხოლობითში
გვექნება **ჟილარია:** ("მოდის კაცი, ჟილარია ცხენზე"). ორვალენტიანი
გარდაუვალი ინვერსიული ზმნების რეალური სუბიექტისა (ის მათ
უყვალარიენ//უყვარლარიენ, ძულარიენ, უნდებლარიენ, უკვირ-
ლარიენ, ის თქვენ გიყვარლარიენ, გძულარიენ, გინდებლარიენ,
გიკვირლარიენ). ანალოგიით დინამიკური ზმნების სუბიექტისა
(ეჩხუბებლარიენ, გეჩხუბებლარიენ, მეჩხუბებლარიენ ისინი; ეკი-
თხებლარიენ, ეფერებლარიენ, ეპარებლარიენ, ითილარიენ). I
შედეგობითში — ერთვალენტიანი ზმნების სუბიექტისა **(მჟდლარი-**
ენ, დაყრილარიენ, მოსულარიენ); ორვალენტიანი გარდაუვალი
ზმნების სუბიექტისა **(ისინი მას გამომშვიდობებლარიენ, დამზავ-**
სებულარიენ, წაწყტომილარიენ). გარდამავალი ზმნების რეალური
სუბიექტისა **(მათ ის გოუტაცებლარიენ, გოუპარებლარიენ);** მესამე
შედეგობითში — სუბიექტისა **(ისინი ნაშენებლარიენ, ნაძლევლა-**
რიენ). მრავლობითობის ფუნქციის ამგვარი გაფართოება იწვევს
ფორმათა დამთხვევას: **უყვარლარიენ იგენს იგი, მას იგენი, იგენს**
იგენი; გეჩხუბებლარიენ ისინი შენ, ის თქვენ, ისინი თქვენ. გოუ-
პარებლარიენ იგენს იგი, მას იგენი, იგენს იგენი და სხვ.

ერთი შეხედვით, ქვემოიმერულში ჰრელი სურათია მრავლობი-
თობის გამოხატვის თვალსაზრისით. სინამდვილეში მოქმედებს მწყობ-
რი სისტემა, რომელსაც შეაპირობებს უნიფიკაციის მძლავრი ტენდენ-
ცია (ჯორბენაძე, 1989).

ლენინური მრავლობით რიცხვში მესამე სუბიექტური პირის ნიშნად გვაქვს -ენ: აწმყოში (წერენ, თონინენ, მღერინენ, მიდიენ). -ი სუფიქსიანებთან პარალელურად ჩნდება -ან: (თონინან), ნამყო უსრულში (წერდენ, თონინდენ). გარდაუვალ ზმნათა ძირითადში (გათბენ, დეიშალენ); გარდამავალ ზმნათა ნამყო ძირითადში უპირატესად შეგვხვდება -ეს (დაწერეს, გათონეს), კავშირებითში გვაქვს -ნ (წერდენ, დაწერონ).

მრავლობითობის აღსანიშნავად ლენინური გამოიყენება აგრეთვე -არიენ//ლარიენ.

-არიენ//ლარიენ მეშველზმნური ფორმანტით გამოიხატება მრავლობითობა: აწმყოში მდგომარეობითი ზმნების მესამე სუბიექტური პირისა (ისინი დგანლარიენ//დგილარიენ (დგანან), წვილარიენ (წვიანან), ყრილარიენ (ყრიან), ჯობლარიენ (ჯობიან), I შედეგობითში - გარდაუვალი ზმნის სუბიექტისა (დამდგარარიენ დამდგალარიენ - რეგრესული დისიმილაციით: დაწოლილარიენ, წასულარიენ, დასახლებულარიენ, დამთვრალარიენ); III შედეგობითში — სუბიექტისა (ნაშენებლარიენ, ნაცემლარიენ, ნაპარავლარიენ, მონატანლარიენ). -ლარიენ წარმოშობით რთული შედგენილობისაა: დამდგარარიენ დამდგალ-არიენ (რ-რ ლ-რ დისიმილაციით), სადაც რ ლ ფუძისეულია: დაწოლილ-არიენ, სადაც ლ ასევე ფუძისეულია, შემდგომ კი — ლარიენ გააზრიანდა ერთიან ფორმანტად: დგან-ლარიენ, წვი-ლარიენ, უყვარლა-არიენ (//უყვალ-არიენ) (ჯორბენაძე, 1989).

გურულში მხოლოდითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშნად ნამყო ძირითადში -ა გვაქვს იქაც, სადაც სხვა დიალექტებში -ო დასტურდება: იცნ-ა, მიასრ-ა (მიასწრო), შეიბყრ-ა, გაანმ-ა. ანალოგიური მდგომარეობაა მეორე შედეგობითშიც: ეცნ-ა, მიესრ-ა, შეიბყრ-ა. მეორე კავშირებითს ყველა ეს ზმნა -ა სუფიქსით აწარმოებს: იცნ-ა-ს, მიასრ-ა-ს, შეიბყრ-ა-ს. ფუძის ბოლოკიდური ვ-ს არსებობის შემთხვევაში შესაძლოა ვა-ო: მიესვა მისო, წაართვა წაართო (პ. ჯაჭანიძე), თუმცა უფრო გავრცელებულია: მისრთუა, წაართუა.

მრავლობითი რიცხვის მესამე პირის დაბოლოება საერთოდ, წარმოდგენილია -ენ-ით. გურულში ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სუბიექტური და ობიექტური წყობის აღრევასთან და ამიტომაც -ენ დაბოლოებაა ხმარებული იმ შემთხვევაშიც, სადაც -ან ან -თ დაბოლოე-

ბა არის მოსალოდნელი. მაგალითად, „ნენა, ახლანდელი ციციები გასუნელებული არიენ და მემ არ დაგეგინ“. „არიენ კლავმარგები“, „იმფერი სიტყვები იციენ“. -თ-ს მაგიერ -ენ: ნეტაი ეძინენ. ფიჭვეს და ნაძვებს ცაში ქონდენ წვერი“, „თვრალი მაყრები მოდიენ და ქალი მოყავენ, „ალარ გეყვენ იგი“ (ს. ულენტი).

გურულის ზოგ თქმაში ნამყო ძირითადში მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობის გამოსახატავად ჩნდება -ეს სუფიქსიც, როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებთან: გააკეთეს, მიეგებეს, მიეგებენ, მიექცეს (მოიქცნენ) ("მართლაც ასე მიექცეს"), ადგეს (ადგნენ). აღსანიშნავია, რომ -ეს შესაძლოა გამოყენებულ იქნეს რეალური სუბიექტის მრავლობითობის გამოსახატავადაც ინვერსიულ ზმნებში „ქონდეს (ქონდათ) ორუეს თონი“, „მიეწოეს (მოეწონათ) იგენს კაბა“, პარალელურად: ქონდენ, მიეწონენ (მ. ძიძიშვილი).

მდგომარეობითი ზმნების აწმყოში მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობა -არიენ//ლარიენ მეშველი ზმნით, უფრო სწორად ნამეშველზმნიანი ფორმანტით გამოიხატება: წუნ-ლარიენ, ყრი-ლარიენ, დგან-არიენ, ჯდან-არიენ.

-არიენ//ლარიენ ინვერსიულ ზმნებში გამოხატავს რეალური სუბიექტის მრავლობითობას: მათ უკვირლარიენ (უკვირთ), ტკვილა-არიენ (ტკვიათ), უჭირლარიენ (უჭირთ). აღინიშნება რეალური სუბიექტის მეორე პირის მრავლობითობაც: რეიზა გიკვირლარიენ? (ანალოგიით შეიძლება გაჩნდეს პირველი პირის ფორმაშიც: გვიკვილარიენ (გვიკვირს)).

„ზის, წევს, ჩანს“ ტიპის ზმნები აწმყოს მესამე პირის ფორმებში წარმოდგენილია როგორც უდანა, წვანა, ჩანა. ამ წესს მიჰყვება ჩივის ტიპის ზმნებიც: ჩივა, ყივა, კივა, ბღავა, ჯღავა. პირველი და მეორე პირის ფორმებში წარმოება მეშველზმნიანია: ვდგანვარ, დგანნარ, ვვდგანვარ, უდანნარ და იმავდროულად — უნიფიკაციის საფუძველზე: ვჩივივარ, ვმღერივარ, ჩივინარ, მღერინარ. აგრეთვე: ვჩქარავარ, ჩქარინარ და სხვ. (ჯორბენაძე, 1989).

აჭარულში მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშნად ნამყო ძირითადში -ა გვხვდება: იცნ-ა, მიაგნ-ა, მუასტრ-ა "მოსაწრო" ტიპის ზმნებში (I და II პირის ფორმებში: ვიცანი, იცანი, მივასტარ, მიასტარ).

მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშნად ყველა

ტიპის ზმნათა ნამყო უსრულსა და გარდაუვალ ზმნათა ნამყო ძირითადში ზემოაჭარული იყენებს პარალელურად **-ნ-ენ//ენ** ფორმანტებს (**სტავლობდენ//სტავლობდენ, იმცხოვრებდენ//იმცხოვრებდენ, იმაღვოდენ// იმაღვოდენ...**), ქვემოაჭარული მხოლოდ -ენ ფორმანტს იყენებს (**სტავლობდენ, იმცხოვრებდენ, იმაღვოდენ..**).

გარდამავალ ზმნათა ნამყო ძირითადში გვხვდება **-ენ//ეს: გადასკიდენ//გადასკიდეს, უთხრენ//უთხრეს, იმუშიენ//იმუშიეს**. -ენ უპირატესად ქვემოაჭარულშია (ჯორბენაძე, 1989).

იმერხელში (კლარჯულში) მხოლოდითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშნად ნამყო ძირითადში გამოიყენება **-ა** (იქაც, სადაც შესაძლებელია შეგვხვდეს **-ო**): **იცნა, მიუსწრა, დუუდვა, შეატყვა, შვი ტყვა**.

მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშანი ნამყო უსრულში არის **-ენ: ეტყოდენ**; ნამყო ძირითადში: ა) გარდამავალ ზმნებთან **-ეს: ტაცეს, სცემეს, გაწყვიტეს, თქვეს, სვეს, გამე ტანეს, მი(ს)ცეს, შეხედეს**. იშვიათად გვხვდება -ენ: **"ესკერი (= ჯარისკაცი, ჯარისკაცები) გაწვდიენ"** (გაწყვიტეს), გარდაუვალ ზმნებთან — **-ენ//ნენ: გახდენ, გე ქცენ, შეფხუადენ, წმევიდენ, ადგენ, დარჩენენ**. რაც შეეხება **"იყენენ"** ტიპის ფორმებს, აქ **ნ-ენ** შეპირობებულია სისტემით (**ვ-ი-ყვ-ენ-ი-თ, ი-ყვ-ენ-ი-თ, ი-ყვ-ენ-ენ//ი-ყვ-ნ-ენ**) (ჯორბენაძე, 1989, 583).

ჯავახურში მესამე სუბიექტური პირის ნიშანი სანი რიგ შემთხვევაში იცვლება **ჰაეთი (მიჰყიდებ, გააკეთებ, მიდიჰ)**.

არის შემთხვევა, როცა სანი მთლიანად იკარგება, მაგალითად: ხმოვნის შემდეგ: **გვაქ, დევ, ჰყავ, დგა...** ზოგიერთ ერთპირიან ზმნაში, მაგალითად, **მაძინებ სად არი? ეგ ვინ არი? ისიც არი ჩემი ძმა**.

მისი დაკარგვის შემთხვევები შეინიშნება აგრეთვე თანხმობის შემდეგ რამდენიმე ზმნის აწმყო — მყოფადისა და თურმეთობის ფორმებში. მაგალითად, **თავის ხარუბ, ხდილობ; ეს ძალდი ყფვამ ამ კაცსა. პურ ვინ მოცემ შენა! წყალი მოაქ; ქალს უთქვამ; ერთი გუგმი მაქ; ოქროს სინი გაქო? სუ ეს წვალება გვაქ**. ამ უკანასკნელ ზმნებში პირის ნიშანთან ერთად იკარგება ფუძისეული გ-ც, რის შედეგადაც ისინი აწმყოს სამსავე პირში ასეთ პარადიგმას ქმნიან:

I	მაქ	გვაქ	მიმაქ	მიგვაქ
II	გაქ	გაქთ	მიგაქ	მიგაქთ
III	აქ	აქთ	მიაქ	მიაქთ

წყვეტილის მხოლოდით რიცხვში მესამე სუბიექტური პირის ნიშნად **-ო**-ს ნაცვლად **-ა** სუფიქსი გვხვდება ისეთ ზმნებში, როგორცაა: **უამბო, იცნო**. მაგალითად, **იმ კაცმა უამბა; ბიჭმა უამბა; უამბა გოგოს; ძლივ იცნა**; დასტურდება **უამბვა** ფორმაც. მაგალითად, **ყველაფერი ასე უამბვა**. ეს უკანასკნელი, როგორც ჩანს, მომდინარეობს **უამბვა**-საგან. **დედამისმა უამბავა; ცოლი უამბავას**.

მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობის გამოსახატავად გარდაუვალ ზმნის წყვეტილსა და ყველა ზმნის უწყვეტელში გვხვდება როგორც **-ნენ**, ისე **ენ** სუფიქსი.. მაგალითად, **დაიჭიდ-ნენ, თამაშობდ-ნენ, გამგზავრდ-ნენ, გალაგდ-ენ, ილაპარაკებდ-ენ...**

დ-ზე დასრულებულ ფუძეებთან როგორც **-ნენ**, ისე **-ენ** სუფიქსების გამოყენება საერთოდ, დიალექტური წარმოშობისაა. პირველი სალიტერატურო ენაში ქართლურიდან და კახურიდან შემოვიდა, მეორე კი — იმერულიდან და ფშაურიდან. ამჟამად, სალიტერატურო ენის ნორმად ასეთ შემთხვევაში **-ნენ** არის მიჩნეული.

ზოგი გარდამავალი ზმნა, როგორცაა მაგალითად, **მისცეს, მოხარშეს**, წყვეტილის მესამე პირის მრავლობითში, დასავლური კილოების მსგავსად, **-ეს** სუფიქსის ნაცვლად **-ენ**-ს მიიღებს. გარდაუვალთან გვხვდება ამის საპირისპირო შემთხვევები. მაგალითად, **როცა შვიდი წლისა გახდენ, მისცენ სასწავლებელში. ქათამი მოხარშენ და ჰამეს... ახალციხეს დიესხეს; ძალა რო შეიძინეს, დაგვესხეს მაშინა**.

სტატიკური ზმნა **წევს** მესამე პირის მრავლობითში **წვანან** ფორმის ნაცვლად **წევან** ფორმით გვხვდება. მაგალითად, **ტალახში წევან ღორები; წყაროს თავზე ნახა, რო წევან** (მარტიროსოვი, 1984, 70).

ინგილოურში მხოლოდითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშნად ნამყო ძირითადში (ასევე II შედეგობითში) ხშირად **-ა** გვაქვს: **ქალმა გააკეთა, მეფეს წინ წაულა, მეფემ მა წონა, "ქალმა გააკეთა, მეფეს წაულა, მეფემ მოიწონა"** და ასე: **გა გა** (გაიგო), **გა-აგდა** (გააგდო). ფუძისეულ **ვ**-სთან შეხვედრისას წარმოქმნილი ვაკომპლექსი იძლევა **-ო**-ს: თქვა თქო.

მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშნად ნამყო უსრულსა და გარდაუვალ ზმნათა ნამყო ძირითადში **-ნენ** გამოიყენება: **ნიშნავდ-ნენ, დაჭუდიდ-ნენ** (დაჭკეტავდნენ). **ჩამოდიოდ-ნენ, გადა ხოწნენ** (გადაიხვეწნენ) (იმნაიშვილი, 1966).

თუშურში ნამყო უსრულში მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშანია -ეს: **წიყვანდ-ეს** (წიყვანდნენ)...

იგივე ფორმანტია გამოყენებული ნამყო ძირითადშიც (როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებთან): **დაბრუნდ-ეს** (დაბრუნდნენ), **ქაჭებილ წავიდნ-ეს** (წავიდნენ); **ვოც-ეს ერთმანერთი** (ჯორბენაძე, 1989, 258).

მესამე სუბიექტური პირის ნიშნად ფშაურში რამდენიმე ვარიანტი დასტურდება და დიალექტურ თავისებურებათა თვალსაზრისით ამ ვარიანტების განაწილებაა საინტერესო.

1) ნამყო უსრულში -ა სუფიქსიანი ფორმები თავისუფლად მონაცვლეობს **Ø-ოვან** ფორმებში. ან შესაძლებელია **უვლიდ-უვლიდა, უნდოდ-უნდოდა, იქნებოდ-იქნებოდა** და სხვ. მაგალითად, **აბა რა ვიცი, ვისა იქნებოდ; ერთხელ იქნებოდ მოკვდებოდ; თავად უვლიდ იმათ; მაგრამ აქვე გვაქვს: ის უფრო კარგ იქნებოდა;**

2) ასევე -ა და **Ø** მონაცვლეობს ფორმებში **იუბნ-იუბნა; და-ვსხედითო, იუბნ ერთხელა; ჩაიცვ-ჩაიცვა; აბა, ბა, ბა, ბა არ მიიკარა ქალის ტანისამოსი, სუ ისე ჩაიცვ, ვაჟურადა, მაგრამ -ტქავ გააძვრა იმოდენა სცემა; ახში დაატყვა ი დევმა...**

3) **იყო** ზმნასთან მესამე სუბიექტური პირის ნიშნად გვხვდება -**ო** სუფიქსის ნაწილობრივ რედუქციურებული ვარიანტი -**ვ**. მაგის **მა-მიდა იყვ ერთი. ზვავ ჩავლილ იყვ. ის გამოგორვილიყვ, ეგრე დაგორვილიყვ, მითო მა ხვდაო.**

თავისებურია სტატიკურ ზმნათა აწმყოსა და გარდამავალ ზმნათა პირველ თურმეობითში მესამე პირის ფორმათა წარმოება. აქ თავისუფლად მონაცვლეობს **Ø-იანი** ფორმები -ის სუფიქსიანი ფორმებთან. სტატიკურ ზმნათა აწმყოში იქნება **ღბავ//ღბავის, სტანავ//სტანავის, აქვ//აქვის, ხყავ//ხყავის** და სხვ. თურმეობითში: **მაუ-პელავ//მაუპელავის, მაუკლავ//მაუკლავის, წაუყვანავ//წაუყვანავის** და სხვ. მაგალითად, 1. ა) **აღარა საქმე აქვ ანასა; ერთ ქალ შინა მყავ; შუშანიკაის ბაღდი მტანავ; ემასა უჯობავ, ემ ფურსა, სხვა კი რაღა რა მაბადავ;**

ბ) **ბაღდიც აი მთაშია ხყავის; ჯანი გვაქვის; მაგრამ განა სულ ეგრე იქნები** (ვაჟა, III, 44)

2. ა) **ბაღლს იქ გაუვლავ; პურ უჭამავ, უქეიფებავ და დაუძინებავ; მკითხავისად უკითხინებავ;** ბ) **ფულიც ი მასწავლებელს მიუცავის, გაუგზვნის ი დებეშია და .. ი ბაღდი თავად დაუქე-**

რავის ველჩია.

3) **წაუყვანავ//წაუყვანავის** ტიპის ფორმათა თავისუფალ მონაცვლეობას უფრო ნათლად ადასტურებს მათი გვერდიგვერდ ხმარების შემთხვევები: **დედა-შვილ წაუყვანავის ლეკებსა ლეკეთში, რომ მიუყვანავის, ი შვილ ჩანგლებზე დაუკიდებავ, მე რო და-მცინი, არჯალავ, შენ რაღა გითქომ თავისა, პატივ არ გიცავ ღვთისადა, სანთელ არ აგინთავისა, ღვინო არ ამოგიტანავ, ქადა არ გაგიჭრავისა, ხინკალ არ მოგიხარშავის, ხმიანდ არ ჩაგიცხვავისა, ტაბლა არ გაგიკეთებავ, სახელ არ შაგიდვავისა** (რაზიკ. 193).

4. -ის დაბოლოება გვაქვს -**ვალ** ზმნის მესამე სუბიექტური პირის ფორმებთანაც: **იქ ყოველდღე დავალისო; მივალის ისიც ჩუ-მად ახლუაშია. ნუ იტირებთ, შვილო, დედათქვენი მალე მოა-ლის. ზოგჯერ ამ ზმნის ფუძეც შეკვეცილია: სად დავა შავ-შუაღდე-მეთა** (ვაჟა, IV, 211).

ამ პარალელურ ფორმათაგან განმარტებას მოითხოვს მეორე -ის სუფიქსიანი ფორმები. რა არის ეს -ის? როგორ უნდა განვიხილოთ იგი, როგორც ერთი მთლიანი თუ დაშლილად? თუ დაშლილად განვიხილავთ, მაშინ დაგვხვდება ამ -ის რაობის საკითხი, რომელზე პასუხიც, ვფიქრობთ ვაჭირდება. **ხკილავ-ის, ღბავის, დაუკიდებავ-ის, შაუმბავ-ის** სიტყვა-ფორმათა ფორმობრივ-შინაარსობრივი შეპირისპირებითი ანალიზი გვეუბნება, რომ მესამე სუბიექტური პირის გაგება დაკავშირებულია სწორედ ამ -ის სუფიქსთან მთლიანად: **შენ ვლბი-ვარ, შენ ღბიხარ, ის ღბავ//ღბავის; შენ შაუმბი-ვარ, შენ შაუბი-ხარ, ის შაუმბა//შაუმბავის.** აქ პირველი და მეორე პირის გაგება დაკავშირებულია შესაბამისად **ვარ** და **ხარ** მეშველ ზმნებთან. მესამე პირის ფორმებში კი -ავ ისეთივე სუფიქსია, როგორც პირველ-მეორე პირის ფორმებთან ფუძის ბოლოკიდური -ი: **ვლბი-ღბი-**, მესამე პირის მაწარმოებლად კი ერთმანეთს თავისუფლად ენაცვლება **Ø-** და -ის სუფიქსი.

კიდევ უფრო ნათლად ადასტურებს ამ ვარაუდის საფუძვლიანობას **დავალ** ზმნის ანალიზი: **შენ დავალ, შენ დანვალ, ის და-ვა//დავალის. დავალ-ი დანვალ-ი** ფორმები ფშაურმა არ იცის, მაშასადამე, აქ მესამე პირის გაგება -ის სუფიქსს უკავშირდება. უფლებს გვაქვს ვთქვათ, რომ ფშაურში მესამე სუბიექტური პირის პრეფიქსის ვარიანტებს შორის სალიტერატურო ქართულის -ა, -ს, -ო-ს

გვერდით **შ-**, **-ვ**, და **-ის** ვარიანტებიც გვხვდება.

მესამე სუბიექტური პირის ნიშნის ნულოვანი ვარიანტი იჩენს თავს ობიექტური წყობის ორპირიან სტატიკურ ზმნებთან: **მამწონ, მავსონ, გწამ, მიძე, გიძე, უძე და სხვ.** მაგალითად, **განა კი მავსონ, აღარ მავსონ, არ დამავსონდებ; დაჯე თუ ღმერთი გწამს. თუკი ძაღლობა არ უძე გულში** (ვაჟა, IV, 207- 211).

ნულოვანი ვარიანტითაა წარმოდგენილი ზოგი სხვა სტატიკური ზმნის მესამე პირის ფორმები: **ეგ ხო ჩან, ეგ მთა; როგორც სჯობ, იცი უკედა** (ვაჟა, II, 83).

ფშაურ კილოში, მსგავსად ძველი ქართულისა, უწყვეტელსა და წყვეტილში მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობა გამოხატულია **-ეს** სუფიქსით, როგორც მოქმედებით, ისე ვნებითი გვარის ზმნებში. **-ეს** სუფიქსი კარგადაა დაცული უკანა ფშაველი მოხუცების მეტყველებასში. მაგალითად, **შვიდ ქისტი, მერვე ფშაველიო გავიდეს მუქარაზედაო, შვიდთ მურგვლივ შამაუარაო, ცურავდეს სისხლის ტბაზედაო; / მას აღარა მცემდეს აღარ (მ)მეზობლობდეს...**

ზოგ ფშაურ სოფლებში (არტაანი, ჩაბანი, თეთრახედა, ჩუკურა-ანთოგი) **-ეს** სუფიქსს იშვიათად შეხვდებით. უწყვეტლის ფორმებთან ანდა გარდაუვალი ზმნების წყვეტილში უკვე გაბატონებულია **-ენ** ბოლოსართი: **ჩაჩდენ გზის ძირზედა, გადმოდიოდნენ, იტაცებდნენ საქონსაც, ხალხსაცა.**

აწმყოში ზოგიერთ გარდაუვალ ზმნას მესამე სუბიექტური პირის ნიშანი **-ს** ეკარგება: **მაქვ, მყავ, გვაქვ, გვყავ, დგა..**

თანამედროვე სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით, ფშაურ კილოში ობიექტის მრავლობითობის **-თ** სუფიქსის წინ შემონახულია მესამე სუბიექტური პირის ნიშანი **-ს** მხოლობითში და მრავლობითობის **-ენ, -ნ** სუფიქსები. მაგალითად, **მჭედელი გყავისთ თავისიო, რა გიჭირსთ გომეწრელებსაო!... სუყველა საბლით გიბავისთო ტაგან-ჩხუტი, სარძეულიო; რად გიკვირსთ ჩემ სიმღერაო? ბასილ სადა გყავისთ?** (ცოცანიძე, 1978, 123).

ხვესურულში მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობის აღნიშვნაში თავისებური ისაა, რომ ყველა გარდამავალ ზმნას ნამყო უსრულში სალიტერატურო ქართულის **-ენ** სუფიქსის ნაცვლად მოუღდის **-ეს** სუფიქსი... **ბაცეს სუმბატას მიუდგეს: სუმბატავ, შენა ხარიო?... დასხდეს, დარიგდეს ხვესურნი, ზურაბ მეღვინედ დგებაო.**

სალიტერატურო ქართულთან მიმართებით აქ სხვაობა ის არის,

რომ მესამე სუბიექტური პირის ნიშანი **-ს** (მხოლობით რიცხვში) და **-ენ** (მრავლობით რიცხვში) ყოველთვის დაცულია (**მიგინარცხებ-ს-თ, მიგინარცხებ-ენ-თ**).

ხშირია ზმნის მრავლობითობის **-თ** სუფიქსის ხმარება არსებით სახელთან და მეტყველების სხვა ნაწილებთან. მაგალითად, **არიქეთ, უშველეთ, დამეშველენით. აპაღეთა(დ), დიაცებო, ლუდ წაიღეთ, თქვენ კარგ ლუდი.** ერთგან ასეთი ფორმაც გვხვდება: **მადით, წამეე, ჩემთან, მსწავლე გექნები გზისაო** (ჭინჭარაული, 1961, 61).

მოხეტურში მხოლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშნად ნამყო სრულსა და II თურმეობითში ყოველთვის იხმარება **-ა**, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფონეტიკური გარემო (უ//გ-ს მეზობლობა) ხელსაყრელ პირობებს არ ქმნის **ო-ს** მიღებისათვის (**ჩააწყო საგძარი, ჩამაართო ჩელი, გაუშო ცხენი.. ნუგზარმა იოსები და ლეკები მიიმხრა; როცა იმან გაიგა, ხმლით სცა და თავი გაუბა, დააძრა ოქროს ვეშები. გააღა კარები, დაუწყა ჩხუბი, მავლა ჩელი; ადგილი ვერ დათმა; სულ ტყუილი ამბავია და ა.შ.**).

მრავლობითობის მესამე სუბიექტური პირის გაგებას ნამყო დროის ნაკვეთში ყველაზე მეტად ახასიათებს ძველი და ახალი ფორმების თანაარსებობა. გავრცელებული და ძველი **-ეს** ნიშნის ადგილს თანდათან იჭერს **-ენ** ნიშანი, ძალიან იშვიათად კი **-ნენ**. მაგალითად, **კაცს მახკლავდეს და თავის მკუდარს შასწირავდეს. რაჭის მთებამდისინ გადადიოდეს. გააკეთებდეს სარათასა და იმით ანიშნებდეს. ისებიც სტიროდნენ თავის ენაზე. ჩიოდნენ შავთელები. მართლაც ეგრე მაიქცნენ, მოვიდნენ და მიადგნენ ვაჭარს.**

ნამყო სრულის ფუძისაგან ნაწარმოები ნაკვეთების ი- და ე- პრეფიქსიანი ვნებითის მრავლობითობის ფორმებში ძველებური წარმოებაც არის, მაგრამ უპირატესად მაინც ახალი შეინიშნება: **წამეეპარნეს ხიშტები, ორნი კი დაიმაღნეს. ჩუენც საჩქაროზე მოვემზადენით. ერთურთს შეეკითხნეს... მაგრამ: მოვეფარეთ კლდის კედელსა დეენმარეს ცხო მეცხორეებიცა. გედეენუეს ერთურთსა და გადაკოცნეს.**

გვხვდება როგორც **ვიყვენით**, ისე უფრო ხშირად **ვიყავით**. პირთა გამოხატვასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს აგრეთვე ორი თავისებურებაც: 1) ერთი ჯგუფის ინვერსიულ ზმნებში დაკარგულია ლოგიკური სუბიექტის ნიშანი **ს** და ყველგან ისმის **მაქუ, მყავ, მომყავ, მიძინავ (/წძინია), მახსონ (მახსოვს)..**

იკარგება -ს სუფიქსი ზოგჯერ აგრეთვე გარდამავალ ინვერსიულ ზმნაშიც უთქომ და სხვ. 2) ახალ სალიტერატურო ქართულში ცნობილია -ია დაბოლოებიანი ზმნები: რომელთა უმეტესობა უძველესი ხოლმეობითის ნაშთია (მაგალითად, ჰქრვიან>ქვია, სწადის<სწადია..) მოხუერში ინარჩუნებს -ნ სუფიქსს. იმ ორშაბათობით მცადიან, ნუ გინარიან, ქალებო! ნუ გეშინიანთ, მოვალითო (ქავთარაძე, 1985, 85).

მთიულურ-გუდამაყრულში ნამყო უსრულში მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშნად გამოიყენება -ენ (იშვითად -ნენ): ართმევდ-ენ ჩიოდ-ენ, ჩოცდ-ენ.. ბოლო ზმნა იმითიცაა საინტერესო, რომ ერთ ფორმაში შეხამებულია არქაიზმი (ვოც ფუძის სახით) და ინოვაცია (-ენ პირის ნიშანი, ნაცვლად აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში წარმოდგენილი -ეს ფორმანტისა). ნამყო ძირითადად გარდაუვალ ზმნებთან უპირატესად მაწარმოებელია -ენ პირის ნიშანი, თუმცა ზოგჯერ ერთსა და იმავე წინადადებაში შეიძლება შეგვხვდეს ერთმანეთის გვერდით -ენ და -ნენ (ეს უკანასკნელი ქართლურის გავლენითაა შემოსული): ადგ-ნენ, წავიდ-ნენ (ჯორბენაძე, 1989).

რაც შეეხება რაჭულ დიალექტს, გოლოური ერთადერთი კილოკავია ქართული ენისა, სადაც მხოლოდობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშნად -ნ გვაქვს (შ. ძიძიგური). -ნ ამ დანიშნულებით კავშირებითის პარადიგმებში გვხვდება:

I კავშირებითი: „გწყალობდეს ღმერთი//გწყალობდენ წმინდა გიორგი“.

II კავშირებითი: ბოსლობა არ შეიძლება იყონ (= იყოს) თუთხმეტ იანვრიდან, არც შეიძლება, რომ გასცდენ (= გასცდეს) თოთხმეტ თებერვალს....

III კავშირებითი: „მაკვრიელი (მეკვლე) კაი ფენისა უნდა ყოფილიყონ (= ყოფილიყოს)“; „ქალამნის საბმური რო გასწყვეტოდა, წისქვილში უნდა წასულიყონ (= წასულიყოს) და იქ უნდა გაესკვანან (= გაესკვანას), "შეკვლეს იქ ექნებოდა ჩალა საღამო თ მოგროვილი, რომ დილაზე ძებილი არ დასჭირებოდენ (დასჭირებოდეს)... გარდამავალი ზმნების III კავშირებითში -ან სუფიქსით აღნიშნება რეალური ობიექტის (გრამატიკული სუბიექტის) პირი: „უნდა წავსულიყოთ წისქვილში, იქ ცეცხლი უნდა დაგვენთონ (დაგვენთოს), თავიც იქ უნდა დაგვენბანონ (დაგვენბანოს) და დაგვე-

ვარცხნონ (დაგვევარცხნოს), დაგვერეცხონ (დაგვერეცხოს), იქ უნდა გვეკერონ (გვეკეროს), ამ კვირეს ასე უნდა გაეარონ (გაეაროს)“.

იმავედროულად გვაქვს შემთხვევები, როცა -ნ ფორმანტით მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირი აღნიშნება: სახელობითში დასმულისა (ისინი რომ გწყალობდენ...), მოთხრობოთში დასმულისა (ქალებმა უნდა ჭამონ სამალულო ქადა; შვილი რო მომიკლანო ყაჩაღებმა?).

ასე რომ, მხოლოდობისა და მრავლობითის ფორმები ემთხვევა ერთმანეთს (გ. თოფურია, შ. ძიძიგური): „ქალმა უნდა ჭამონ (= ჭამოს)“ და „ქალებმა უნდა ჭამონ“; და ასე: მან//მათ წაიყვანონ. წააქციონ, ნახონ, ქნან, ზღონ... ის// ისინი გაერთონ, დაიკარგონ, გაძვრენ, იყონ...

არის შემთხვევები, როცა -ნ ფორმანტის ადგილს მხოლოდობითი რიცხვის ფორმებში საერთოქართული -ს იჭერს: „სტუმარს თავისი ხელით უნდა მოეჭრას ხორცი, მოეხარშოს და ეჭამოს“. "ნება მისცა, ცოლი შეერთოს"; "არ დაჰკლებოდეს არც ერთს (// მოეჭრას, მოეხარშონ, ეჭამონ, შეერთონ, დაჰკლებოდენ)".

ზემოაღწეულსა და რიგნისთაურში შესაძლოა დაიკარგოს მხოლოდობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშანი ინვერსიულ ფორმებში (თუმცა ამავე პოზიციაში ხშირად შენარჩუნებულიცაა): „უნახავს (იმათა ასე, მე კი არ მინახავ). უპირატესად იკარგება ობიექტური წყობის I და II პირის ფორმებში: მძინავ//ძინამ (მძინავს), მახსომ (მახსოვს), მიკვირ (მიკვირს), მყამ (მყავს), გძინავ//გძინამ, გყამ//გყავ...“

არსებითი სხვაობაა რაჭულის კილოკავებს შორის მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის აღნიშვნის თვალსაზრისითაც.

ქვემოაღწეულში თავს იჩენს უნიფიკაციის ტენდენცია — ვრცელდება -ენ ფორმანტი, რომელიც დასტურდება აწმყოში, ნამყო უსრულში, ნამყო ძირითადასა და გარდაუვალ ზმნათა I-II შედეგობითში. აწმჭოსა და I შედეგობითში -ენ შეენაცვლება ხოლმე -ან სუფიქსსაც: წერ-ენ, აკეთებ-ენ და იმავედროულად: ზრდი-ენ, ტირი-ენ, არი-ენ, იზრდები-ენ. ასევე წასულ-ენ, დამალულ-ენ, დამალვი-ენ. თუმცა პარალელურად შესაბამის პოზიციაში -ან სუფიქსიანი წარმოებაც ხშირია: ზრდი-ან, იზრდები-ან, წასულ-ან, დამალულ-ან, დამალვი-ენ, ტიროდ-ენ. ნამყო ძირითადად -ენ დასტურდება მხოლოდ

გარდაუვალ ზმნებთან: **გეიზარდ-ენ, დეიშალ-ენ, იყვ-ენ**. ანალოგიურად ერთვალენტიან გარდაუვალ ზმნათა II შედეგობითი : **წასულიყვ-ენ, დამალულიყვ-ენ**. ანუ: **-ენ** გამოიყენება იქ, სადაც საკუთრივ **-ენ** არის (**წერ-ენ**), აგრეთვე **-ან** (**ზრდი-ენ**) და **-ნ-ენ** (**წერდ-ენ**) ფორმანტების ნაცვლად. გარდამავალ ზმნათა ნამყო ძირითადში **-ეს** გვაქვს: **"შიიწვიეს, შეიყვანეს, პატივი სცეს, ავანშმეს, მერე ჰკითხეს, ვინ იყო?"**

ზემორაჭულში **-ენ** ჩვეულებრივ, დასტურდება იმ პოზიციაში, სადაც სალიტერატურო ქართულშივე იგივე ფორმანტია: **წერ-ენ, აკეთებ-ენ**, აგრეთვე თავს იჩენს **-ნ-ენ** ფორმანტის ადგილას: **წერდ-ენ, აკეთებდ-ენ, გაკეთდ-ენ, დაიშალ-ენ, წევიდ-ენ, იყვ-ენ**. გარდამავალ ზმნათა ნამყო ძირითადში **-ეს** გამოიყენება: **დაწერ-ეს, გააკეთ-ეს, დაუიშაქე-ეს, უთხრ-ეს**. **-ან** წესისამებრ არ იცვლება **-ენ** სუფიქსით: **არი-ან, ტირი-ან, წასულ-ან**.

ზემორაჭულის ანალოგიური მდგომარეობაა რიგისთაურშიც იმ განსხვავებით, რომ ამ კილოკავში **-ენ** ფორმანტის გვერდით **-ნ-ენ** ფორმანტიც გამოიყენება, ოღონდ განსაზღვრულ შემთხვევებში: კერძოდ, ნამყო უსრულში, ჩვეულებრივ, **-ენ** გვაქვს როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებში: **წერდ-ენ, აკეთებდ-ენ...** ნამყო ძირითადში გარდაუვალ ზმნებში **-ენ** და **-ნენ** მონაცვლეობს, პრეფიქსიან ვნებითი **-ნ-ენ** ფუძის სტრუქტურითაა შეპირობებული: **გ-ი-ყვ-ენ-ი-თ, ი-ყვ-ენ-ი-თ. ი-ყვ-ენ-ენ ი-ყვ-ენ-ენ** და ასე: **შეიბნენ, შეიკრიფნენ, გამოეყვნენ**. ანალოგიით **-ნ-ენ** გავრცელდა სხვა გარდაუვალ ზმნებშიც: **დარჩ-ნენ, გაჩერდნენ, მოვიდ-ნენ**: ამ უკანასკნელთ, წესისამებრ, **-ენ** უნდა ჰქონდეთ და ასეც გვხვდება: **დარჩ-ენ, გაჩერდ-ენ, მოვიდ-ენ**. ამათი ანალოგიით კი პრეფიქსიან ვნებითში გადავიდა **-ენ** (უკუგავლენა), ამის გამოა, რომ პარალელურად გვაქვს: **იყვ-ნენ//იყვ-ენ, შეიბ-ნენ//შეიბ-ენ, გაჩერდ-ენ//გაჩერდ-ნენ, მოვიდ-ენ//მოვიდ-ნენ**, მეორე მხრივ, გარდამავალი ზმნების ნამყო ძირითადში **-ეს** ჩნდება: **მოინახ-ეს** (მოილაპარაკეს), **გაიგნ-ეს** (გაიგეს), **უთხრ-ეს** (ეს გაიგნეს ძმებმა და აუტყდენ//აუტყდნენ ძმას"). იშვიათად გვხვდება **-ენ**: **დაინახ-ენ**.

კავშირებითი **-ნ** გამოიყენება: **უნდა იყვ-ენ, წერ-ო-ნ** (შდრ.: **უნდა იყვ-ენ კავშირებითი და „კაცები ცალკე იყვ-ენ" - თხრობითი**).

გლოლური პრინციპულად განსხვავდება რაჭულის სხვა კილოკა-

ვისაგან: ნამყო უსრულსა და ნამყო ძირითადში **-ეს** სუფიქსი გვაქვს: ნამყო უსრული **წერდეს** (წერდნენ), **აკეთებდ-ეს** (აკეთებდ-ნენ), **ჯდებოდ-ეს** (ჯდებოდ-ნენ,სხდებოდენ); ნამყო ძირითადი გარდამავალი ზმნებისა: **დაწერ-ეს, გააკეთ-ეს, მოზიდ-ეს**; გარდაუვალი ზმნებისა: **გაკეთდ-ეს** (გაკეთდნენ), **დახვდ-ეს** (დახვდნენ), **წამოვიდ-ეს** (წამოვიდნენ). პრეფიქსიანი ვნებითის ფუძე **-ენ** ნ სუფიქსით რთულდება: **გავემზად-ენ-ი-თ, გაემზად-ენ-ი-თ, გაემზად-ნ-ეს, გაემზადნენ** და ასე: **გადმოიხვეწ-ნ-ეს** (გადმოიხვეწნენ), **დაიკარგ-ნ-ეს** (დაიკარგნენ), **იყვ-ნ-ეს** (იყვნენ). **-ეს** ჩნდება ორვალენტიან გარდაუვალ ზმნათა I შედეგობითშიც: **გაჰკიდებოდ-ეს** (გაჰკიდებოდნენ), **დახვედროდ-ეს** (დახვედროდნენ). გლოლურში ძალზე იშვიათია შემთხვევები, როცა ნამყო უსრულსა და ნამყო ძირითადში **-ენ** წარმოჩნდება: მიჰყვებოდ-ენ (მიჰყვებოდეს), ცხოვრობდ-ენ (ცხოვრობდეს), გაეპარ-ნ-ენ (გაეპარ-ნეს), დაიკარგ-ენ (დაიკარგნეს), ასდგ-ენ და წამოვიდ-ენ (ნორმაა: ადგეს, წამოვიდეს) (ჯორბენაძე, 1989).

ამდენად, მესამე სუბიექტური პირის მორფემათა მიხედვით ქართული ენის დიალექტები პრინციპულად არ განსხვავდებიან თანამედროვე სალიტერატურო ქართულისაგან, მიუხედავად ამისა, ადგილი აქვს ზოგიერთ თავისებურებას. ასეთია მაგალითად:

ა) **-ა-ს-ს** ნაცვლად **იოტა** და **Ø**- ალომორფმა გამოვლენა აღმოსავლურ დიალექტებში. მაგალითად, **უშველო , უთხრე უნახამ, ძინავ...** (კახური);

ბ) **Ø-ის** მონაცვლეობა **-ა-სთან**, მაგალითად, **-ახსი, უჭამი, ყოფილა** (ინგილოური);

გ) **ზოლმეობითის მწკრივთა არსებობა მთის დიალექტებში, სადაც** მესამე სუბიექტური პირი **-ს** ალომორფით არის წარმოდგენილი. მაგალითად, **აატირის, ედგის** (ხევსურული), **აატირბდის, გაათბის** (თუშური); **გააწყრის, დააბის** (ფშაური).

დ) მესამე სუბიექტური პირის ნიშნის **-ო-ს** ნაცვლად ყველა შემთხვევაში **-ა** ალომორფის გამოვლენა ხევსურულსა და მოხეტური. მაგალითად, **აილა** (ხევსურული), **დაიწყა, წაუღა** (მოხეტური);

ე) მრავლობითი რიცხვის ფორმაში **-ეს-ს** ნაცვლად **-ენ-ის** გამოვლენა ზოგიერთ დასავლურ დიალექტში მაგალითად, **გაკეთენ, დაწერენ** (იმერული), და **-ან-ის** ნაცვლად **-ენ-ის** გამოვლენა. **არი-ენ, წამოვლი-ენ** (ლენხუმიური); **ჭრინ, მიდინ, უძახინ** (იმერული);

ვ) **-ნენ, -ენ** ნიშნების ნაცვლად **-ნან, -ან** სახესხვაობათა გამოვლენა მესხურში, მაგალითად, **გაფრინდ-ნან, გასცილდ-ან** და სხვ. მესამე სუბიექტური პირის ნიშანთა დისტრიბუცია შემდეგი სქემით შეიძლება განვიხილოთ:

	-	-ა	-ს	-ჰ	-ნ	-ენ	-ე	-ან	-ეს	-ყე(ნ)	-ნენ	-∅
კახური	+	+					+					
ქართლური	+											
იმერული					+	+		+	+	+		
ლეჩხუმური						+						
გურული		+				+			+			
აჭარული		+				+			+			
იმერხეული		+				+			+		+	
ყავახური		+		+		+					+	+
ჭერული		+									+	
თუმური						+			+			
ფშაური		+	+		+	+						+
ხევსურული			+			+			+			
მოხეური		+	+		+	+					+	
მთიულურ-გუდამაყრ.						+					+	
რაჭული			+		+	+		+	+		+	+

ლიტერატურა

იმნაიშვილი, 1966 — გრ. იმნაიშვილი ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბ., 1966.

მარტიროსოვი, 1984 — ა. მარტიროსოვი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბ., 1984.

ქავთარაძე, 1985 — ივ. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ., 1985.

შალამბერიძე, 1955 — გ. შალამბერიძე, კახური დიალექტის თავისებურებანი ყვარლის მეტყველების მიხედვით, იკე, VII, 1955.

ცოცანიძე, 1978 — გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, თბ., 1978.

ჭინჭარაული, 1961 — ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისე-

ბურებანი, თბ., 1961.

ჭორბენაძე, 1989 — ბ. ჭორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., I, 1989.

MANANA MIKADZE

Expression of the Thrid Subjective Person in Georgian

Summary

In Standard Georgian the third Subjective person markers are the suffixes _ -s, -a, -o in the singular, and -en, -nen, -an, -es, n in the plural they denote both person and number however, some scholars argue that primacily they were the markers of number. The paper surveys the changes the person markers have undergone throughout the history of Georgian. The differences between the Standard Georgian invariant of the third person subjective marker and its dialectal variants have been investigated. The third subjective person markers encountered in current Georgian dialects are: -e, -ej, h and ∅.

განა მხედველობა

**ლინგვისტური ერთეულის სემანტიკა და მისი
პრაგმატიკული ინტენციის მსახურული ფუნქციის
მხატვრულ ტექსტში**

(პ. პრიხატის მოთხრობის „ბუჩი საცხვის“ მასალაზე)

თანამედროვე ლინგვისტურ პრაგმატიკაში განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი ენობრივი ერთეულისადმი, რომელიც მხატვრულ ტექსტში მწერლის განზრახვის შესაბამისად ექსპრესიულ, სტილისტიკურ და არა სტილიკურ კონოტაციას იძენს. სიტყვის ერთ-ერთი სემის აქტუალიზაციით გამოწვეული ეფექტი დიდ ინტერესს იწვევს ამ ლინგვისტური ერთეულის სიტუაციურ კონოტაციაზე მსჯელობისას. გარდა ამისა, საყურადღებოა ქვეტექსტური ნიშნით აქტუალიზებული ერთეულის მიერ გამოწვეული შთაბეჭდილება, რომელსაც მკითხველი განიცდის სიტყვის არა დენოტაციური (ორდინალური) სემის ზემოქმედებით, არამედ სწორედ დაფარული, იმპლიციტური მნიშვნელობით, რომელსაც ზოგიერთ შემთხვევაში არაფერი აქვს საერთო ამ სიტყვის პოლისემიასთან.

უკვე რამდენიმე ათეული წელია, რაც მეცნიერები ცდილობენ იმ პოტენციური კავშირების კვლევას, რომელიც პერცეპტუალურ-კოგნიტურ და იმპლიციტურ-ინტერპრეტაციულ ეფექტს შორის არსებობს მხატვრულ ტექსტში. ფსიქოლინგვისტიკაში უკვე ემპირიულად დამტკიცებულია, რომ პროგნოზირებადი კავშირი ვერბალური ერთეულის პერცეპტუალურ ეფექტსა და მის პრაგმატიკულ გამოყენებას შორის დიდ გავლენას ახდენს მხატვრული აღქმის ასპექტებზე. ექსპრესიული, არასტაბილური სტილისტიკა კი, რომელიც განაპირობებს მხატვრული ტექსტის უჩვეულო, არაუზუალურ ინტერპრეტაციას, სწორედ დენოტაციური სტილისტიკიდან ამოდის და მასზე დაყრნობით ქმნის კონოტაციას. კონოტაცია კი, როგორც თანადადნიშნავა, თანამნიშვნელობა მართალია ემოციური, მეტ-ნაკლებად არა მკვეთრი, ან ლოგიკურ-საგნობრივია, მაგრამ მაინც მნიშვნელო-

ბაა, რომელიც ისევე უნიკალურად უკავშირდება ენის მცოდნის (ჩვენს შემთხვევაში მკითხველის) ცნობიერებას, როგორც დენოტაციური სემა (ასე რომ არ იყოს, ვერავინ შეძლებდა სუბრავერბალური კონოტაციის მიახლოებით ინტერპრეტაციას მაინც) და მის მსგავსად არის ენობრივი ერთეულის შემადგენელი, რომელიც ინარჩუნებს თავის ფუნქციას და სტილისტიკურ-ემოციურ შინაარსს.

მხატვრული ტექსტის კონტექსტში ემოციურ-სტილისტიკური კონოტაციის დეკოდირება ხშირად ძნელია, რადგან ლინგვისტური ერთეულები არაკონვენციური ნიშნითაა გამოყენებული და მათ სემათა ამოკითხვა ერთი შეხედვით შეუძლებლადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან არ ვიცით რა იმპლიკაციას დებს ავტორი ნაწარმოებში და რა არის მისი ინტენცია. წარმატებულ, კომპრენციულ ინტერპრეტაციას მკითხველის თეზაურუსის გარდა ემატება მისი ანალიტიკურ-კრიტიკული მიდგომა ტექსტისადმი. ემოციურ-სტილისტიკური მნიშვნელობა იმდენად მტკიცეადაა ჩაბეჭდილი კომუნიკანტების (მწერალ-მკითხველის) ცნობიერებაში, რომ გარკვეულ კონტექსტში, ფსიქოლინგვისტური კანონზომიერებების საფუძველზე შეიძლება ამუშავდეს და ერთეულთა (როგორც ლექსიკურ (სიტყვიერ), ისე ზეფრაზულ დონეზე) დამატებითი ან სულაც საპირისპირო, იმპლიციტური გაგება მოიტანოს. ამრიგად, იქმნება სემანტიკური პარალელიზმი, რომელიც უზუალურ მნიშვნელობას ურთავს საპირისპირო აზრს, ახდენს ტექსტის კონოტირებას და თავის მხრივ ქმნის პრაგმატიკულ იმპლიტემას (უჩვეულო სემით განიშნული ლექსიკური ერთეული თავის იმპლიციტურ მნიშვნელობაში გულისხმობს ნაწარმოების ქვეტექსტს).

იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული მწერალი განსხვავებულ ინტენციას დებს ნაწარმოებში, ლინგვისტური ერთეულებით გამოხატულს, ამიტომ ტექსტში ჩადებული საზრისი ინფერენტ-მკითხველისათვის ბოლომდე ყოველთვის არ არის გასაგები. შესაბამისად, ჩვენ მიერ მისი ინტერპრეტაცია მიახლოებითაა, ლინგვისტური ერთეულის ზომიერად თავისუფალი ინფერენცია კი გულისხმობს საერთო ენობრივი პოტენციის აქტუალიზებას და კონტექსტის მიხედვით ენის თავისებურ, განსხვავებულ გამოყენებას. ენის სისტემა ხომ თავისთავად არ იძლევა ენის გამოყენების ყველა შესაძლო ვარიანტს და კონტექსტს. რადგან მხატვრული ტექსტის საზრისი ენობრივი ნიშნების პირდაპირი დეკოდირებით არ გამოიყვანება, მნიშვნელობის იმპლიკაციური კომპლექსები განლაგდება ავტორის მიზნის მიხედვით

სისტემურად და ერთმანეთზე დაშრეგდება იერარქიულად; ბათიზმატიკურ-სილრმისეული ველის მოშველიებით საშუალება გვეძლევა „ზემოდან“ დაზნედოთ ტექსტს ანუ პრაგმატიკულ-დონეებრივ პლანში განვიხილოთ (ფურცელაძე, 1998).

წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ ავტორის მიერ ტექსტში ექსპლიციტური ერთეულები, რომლებიც კონტექსტუალურ-კონოტაციური და არა სტაბილური ნიშნით არიან ზეფრაზულ დონეზე გამოტანილი, პოლიფუნქციონალურ, სემანტიკურ-პრაგმატიკულ ჭრილში განგვეხილა ვიქტორ პრიჩეტის მოთხრობის „ბუზი საცხში“ (**The Fly in the Ointment**) მასალაზე (პრიჩეტი).

მოთხრობის გმირი ხანდაზმული ვაკოტრებული საქმოსანია. ნაწარმოებს იმპლივიპერთემად გასდევს ამ მცირე ბიზნესმენის მომხვეჭლური ბუნება, რომელიც მზადაა ახალი მაქინაციებით კვლავ დაავროვოს ქონება. სწორედ ამ დროს მასთან სანუგეშებლად მიდის მისი ვაჟი, ადგილობრივი კოლეჯის მასწავლებელი, რომელიც სარჩოს პატიოსანი გზით შოულობს. მამა-შვილს შორის იმართება ერთი შეხედვით არაფრისმთქმელი საუბარი, რომლის მიღმაც იშლება მთელი არსენალი იმ იმპლიკატორებისა, რომლებიც ეხმარებიან მკითხველს ნოველის დაფარული ინტენციის გახსნაში.

მოთხრობა არ გამოირჩევა ფაქტუალური ინფორმაციის სიჭარბით, პროცესუალური დინამიკითა და პრედიკაციული კონტინუუმის დისკრეტული ელემენტების (ეპიზოდი, კადრი, კადრის დეტალი) პერიოდული ცვლით (ენუქიძე, 1998). ამის საპირისპიროდ, ავტორს ნარატივში შემოაქვს მოულოდნელი ფრაზეოლოგიური ერთეულები და „გაცრუებული მოლოდინის ეფექტის“ მეშვეობით და ვერბალურ დონეზე აზრის კონდენსირებით ქვეტექსტობრივად ავრცობს სათქმელს: „**They were both short. The father was well dressed in an excellent navy-blue shirt. He was a vigorous, broad man with a pleased impish smile. The sunburn shone through the clipped white hair of his head and he had the simple, trim, open-air look of a snowman. The son beside him was round-shouldered and shabby, a keen but anxious fellow in need of a haircut and going bald**“.

ეს ეპიზოდი ნათლად გვიხატავს გმირების გარეგნულ და თვისობრივ თავისებურებებს. პრიჩეტი მათ აღწერას თითქოს თანაბარი სიმალლიდან იწყებს — „**they were both short**“ და სიტყვის „**short**“ მეორეული სემის გააქტიურებით („ხელმოკლე“) ოსტატურად ხსნის აზ-

რნაცვალ იმპლიკატორთა კასკადს. მომდევნო იმპლიკატორები ხაზს უსვამენ მამა-შვილს შორის არსებულ ძირეულ განსხვავებებს. ერთი შეხედვით ნეიტრალური სემის მატარებელი ლექსიკური ელემენტების მიღმა მოთხრობის იმპლივიპერთემული მაკროსტრუქტურა დგას, კერძოდ, მამა გარუჭულია, კოხტად თმაშეჭრილი „**the sunburn shone through the clipped white hair of his head...**“ ასეთ მოულოდნელ შინაარსობრივ გარემოში რეალიზდება ნოველის იმპლიკატორები „**sunburn**“ და „**clipped white hair**“, რომლებიც ტექსტში „გაიძვერა“, „გამოქექილი“, „ჭიპმოჭრილი“ ადამიანის სინონიმებად გვევლინებიან. ხოლო შვილის პატიოსანი ხასიათისა და ცხოვრების ყაიდის ხაზგასასმელად ავტორი ამბობს: „**a keen but anxious fellow in need of a haircut and going bald**“. სიმბოლურად „გასაკრეჭი თმა“ უახლოვდება გამოსაქექი, ტყუილში გასაწვრთნელი ადამიანის ტიპს. იმპლიკაციიდან გამომდინარე ვხვდებით მამის უკმაყოფილებას გამელოტებული შვილისადმი. პირველი, რასაც დიდი ხნის უნახავ შვილს ეუბნება, არის — „**მელოტდები**“ („**your hair's going thin, you oughtn't to be losing your hair hair at your age...**“). სემში „გამელოტებული“ ამოვიცნობთ ადამიანს, რომელმაც ფეხი ვერ აუწყო პრაქტიკულ საზოგადოებას. ვიწრო სემანტიკურ ფარგლებს სცილდება და პრაგმატიკის სფეროში იჭრება შემდეგი პასაჟი — „**I don't want you to think I'm criticizing you, you are old enough to live your life, but your hair you know — you ought to do something about it. If you used oil every day and rubbed it in with both hands, the thumbs and forefingers is what you want to use, it would be better...**“

ნათელია, რომ სიტყვებში **oil, thumb, forefinger** ავტორი კონვენციურ მნიშვნელობას სესხულობს და ითვალისწინებს რა მათ ზოგად თვისებებს — „სრიალა“, „ზეთოვანი“, გადატანითი მნიშვნელობით უკავშირებს ფხიან, გაიძვერა და თაღლით ადამიანს, რომელსაც თავისუფლად შეუძლია საჭირო მომენტში ხელიდან გასხლტომა. სიტყვის „**oil**“ კონოტაციური დატვირთვა ამით არ ამოიწურება. მისი ლოკალური იმპლიკაცია ძალიან ჰგავს ქართულ იდიომს — „თავის მოქონვა“. **Oil**-ის ორიგინალურმა რეალიზაციამ გვიბიძგა ჩავწვდომოდით კონოტაციურ შესიტყვებას „**thumb and forefinger**“. ეს ორი თითი ხომ ფამილიარულ სიმბოლიკაში ფულის აღმნიშვნელია. როგორც ვხედავთ, ტექსტის შინაარსობრივმა გარღვევამ და მამის რჩევამ, როგორ უნდა შეიჩეროს შვილმა თმის ცვენა, გამოიწვია ეპიზოდური იმპლიკატორის რეალიზაცია — მამის აშკარა მოწოდება თაღლითობისაკენ.

ტექსტის ქარგაში იმდენად ხშირად გვხვდება ლექსიკურ თუ ფრაზეოლოგიურ დონეზე მამის სურვილი შვილიც მის გზას დაადგეს, რომ ეს მოწოდება ლაიტმოტივურ ხასიათს იღებს და სხვა ერთეულებთან ერთად მოთხრობის იმპლიციპერტემას ქმნის.

მამის მონოლოგში არანაკლები ყურადღების ღირსია შემდეგი ნაწყვეტი: „There was the outer face like a soft warm and careless daub of innocent sealing wax...“ მეტაფორული იმპლიკატორი „daub“ უჩვეულოა როგორც სემანტიკურ-პრაგმატიკულ, ისე სინტაქსურ დონეზე. იგი ჩვეულებრივ ვერბალური გარსით გვხვდება [daub — მობათქაშება, თითხნა; უშნო ხატვა], მაგრამ მისი სახელზმნური ინვარიანტი უახლოვდება ამ სიტყვის ადიექტურ ფორმას — dauby [წებოვანი]. ეს უკანასკნელი კი წყვილდება ერთეულთან sealing-wax (გავისენოთ ზემოთ განხილული სიტყვა oil) და აზრნაცვალი ფორმები ემსახურება მამის მლიქვნელური ხასიათის ემფატურად წარმოჩენას. ემფაზას აძლიერებს და აგვირგვინებს ირონიული ლიტოთეზი innocent.

მოთხრობის უძლიერეს სიმბოლიკას წარმოადგენს ბუზის ეპიზოდი, რომელშიც მამა გამწარებული ცდილობს ოთახში მყოფი ბუზის მოკვლას. ეს ეპიზოდი ხსნის სათაურის სიმბოლიკას — იდიომს the fly in the ointment. თუ ამ იდიომის მნიშვნელობას დავესესებთ [a person or thing that spoils a situation or an occasion that is satisfactory in all other ways], დავინახავთ, რომ ახალგაზრდა მასწავლებელი ბუზის სახითაა წარმოდგენილი ნოველაში; „ბუზით“ გალიზიანებული მამა კი მშვენივრად გამოხატავს თავის დამოკიდებულებას შვილისნაირი ადამიანებისადმი.

ამრიგად, მხატვრული ტექსტის სიღრმისეული (ზეფრაზული) სემიური ანალიზის შედეგად ვასკვნივთ, რომ ლინგვისტურ ერთეულთა აქტუალიზაცია წინაპირობაა ესთეტიკური ეფექტის შექმნისა, ხოლო ნებისმიერ აქტუალიზაციას აქვს თავისი კონკრეტული შინაარსი, რომელიც რეალიზდება სხვადასხვა ტიპის იმპლიკატორთა მოშველიებით. ისინი გამოხატავენ მხატვრული ტექსტის პრაგმატიკულ ინტენციას და განსაზღვრავენ ეფექტის ესთეტიკურ ხასიათს.

ლიტერატურა

ფურცელაძე, 1998 — ვ. ფურცელაძე, ტექსტი როგორც ენობრივი მოღვაწეობის წერილობითი განცხადება, „სამშობლო“, თბ., 1998.

პრიჩეტი — Pritchett V. S., "The Fly in the Ointment", The Penguin Book of English Short Stories ed. by Christopher Dolley, Book II.

ენუქიძე, 1998 — რ. ენუქიძე, ლექციები ტექსტის ლინგვისტიკაში, თბ., 1998.

MEYA MCHEDLISHVILI

Semantics of a Linguistic Unit and the Aestheti Effect of its Pragmatic Intention in Fiction

Summary

The contextual meaning of a word has long been in the focus of linguistic analysis. The paper deals with interpretation of linguistic units from the pragmatic standpoint. As is known, semantics creates polysemy, whereas pragmatics sometimes provides an unusual interpretation of a linguistic unit. The paper investigates connotational usage of linguistic units in fiction; a esthetic aspects being particularly stressed. Implied meanings of words have been revealed via studying their semantics.

ანგლიციზმები გერმანულ ენაში

ანგლიციზმების გამოყენება გერმანულ ენაში იმდენად ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, რომ იგი თითქმის გერმანულ-ინგლისური ენების ნაზავად იქცა. (უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვაში ანგლიციზმი იგულისხმება ამერიკანიზმიც).

ყოველდღიური სასაუბრო გერმანული ენა ანგლიციზმების გარეშე უკვე წარმოდგენილია. სიტყვები **einkaufen, Kleidung, Mobiltelefon** შეიცვალა ანგლიციზმებით — **shoppen, Outfit, Handy**.

ამ ტენდენციამ საგანმანათლებლო სფეროშიც მოიკიდა ფეხი. მაგალითად: გერმანიაში სასწავლო საგანს **BWL – Betriebswirtschaftslehre axla BA – Business – Administration** ეწოდება. ნაცვლად **Diplom**-ისა სულ უფრო ხშირად გამოიყენება — **Bachelor**.

ამასთან დაკავშირებით, გერმანული ენის სიწმინდის დასაცავად, სახელმწიფოში შეიქმნა სპეციალური საზოგადოება, რომელიც ცდილობს შეაჩეროს ანგლიციზმების შემოსვლის პროცესი. მათი აზრით, სიტყვა „წვეულება“ გერმანული სიტყვით **Feier** უკეთესად გამოიხატება, ვიდრე ანგლიციზმით- **PParty** ან კიდევ სიტყვა „ყიდვა“ გერმანული სიტყვით **einkaufen** უკეთესად აღინიშნება, ვიდრე ინგლისურით — **shoppen**.

არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც ინგლისური ენის მემკვიდრით ზოგიერთი ცნება უკეთესად გამოიხატება.

გერმანულში ანგლიციზმების დიდი რაოდენობით შემოსვლის გამო, შეიძლება საერთოდ დაიკარგოს გერმანული ენა და მას ნაცვლად — **Deutsch** ეწოდოს - **Denglisch**, ანდა — **Engleutsch** (ციმერი, 1997).

საყურადღებოა, რომ გერმანულ ლექსიკაში მოხვედრისას, ზოგიერთი ანგლიციზმის „გაგერმანულება“ ხდება, ზოგი კი ინარჩუნებს ინგლისური სიტყვის ფორმასა და მნიშვნელობას. გამომდინარე აქედან, განარჩევენ ანგლიციზმების 4 კატეგორიას.

I კატეგორია — ე. წ. ნასესხები სიტყვები. ამ ჯგუფში ერთიანდება ისეთი ანგლიციზმები, რომლებიც გერმანული ენის ფონეტიკის, გრამატიკისა და ორთოგრაფიის წესებს ექვემდებარება. მაგალითად: **relaxen, clonen, outen, stretchen** და ა. შ.

II კატეგორია — ე. წ. უცვლელი სიტყვები. ამ ჯგუფს განეკუთვნება ისეთი სიტყვები, რომლებიც ზუსტად ისეთი ფორმით გამოიყენება გერმანულში, როგორც ინგლისურში. წარმოთქმა, უღლება, ხარისხები და ა. შ. უცვლელი რჩება. მაგალითად: **Scanner, Highlight, Shop, Gentleman, Countdown** და სხვა.

III კატეგორია — ე. წ. „ნაზავი“ სიტყვები ინგლისური და გერმანული ენებისა. დ. ციმერი ასეთ სიტყვებს უწოდებს „**Bastarde**“ (ციმერი, 1997) ასეთ სიტყვებში გაუგებარია, სად იწყება და სად მთავრდება ერთი ენა და სად — მეორე. აღნიშნული კატეგორიის სიტყვები ყველაზე ხშირად გამოიყენება. მაგალითად, **BahnCard, Family-Tarif, Infopool, Crashkurs, Sommer-Hit, Promotion-Aktion, Haarspray**

IV კატეგორიის განეკუთვნება ფსევდოსიტყვები, რომელთაც ინგლისური უღერადობა და ფორმა აქვთ. მაგრამ, თუკი ინგლისელს ან ამერიკელს ვკითხავთ ამ სიტყვის მნიშვნელობას, აღმოჩნდება, რომ ის გერმანულში სულ სხვა მნიშვნელობით გამოიყენება, ვიდრე ინგლისურში. მაგ. **Handy** გერმანულში ნიშნავს მობილურ ტელეფონს, ინგლისურში ამ უკანასკნელის აღსანიშნად გამოიყენება მობილ (**phone**) ან **cellphone**. **Handy** ზედსართავი სახელის სახით არსებობს ინგლისურში და შესაბამება გერმანულ სიტყვას **handlich**. **Smoking** ინგლისურში ზმნის სახით გამოიყენება და ნიშნავს „მოწევას“, ხოლო „**smokingi**“ ინგლისურში აღინიშნება სიტყვით **dinner jacket**. რთულია დადგენა, თუ სად ხდება სიტყვის „გაგერმანულება“ და სად ინარჩუნებს იგი ინგლისურის ფორმას. დიტერ ციმერი ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავს: „**Englisches wird manchmal übersetzt, manchmal englisch belassen. Wann das eine geschieht und wann das andere, entscheidet das Los**“ (ციმერი, 1997).

ისმის კითხვა: რამ განაპირობა გერმანულში ინგლისური სიტყვების შემოსვლის აუცილებლობა?

ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ ინგლისური ნომერ პირველი ენაა მსოფლიოში, ანუ შეიძლება ითქვას, რომ ინგლისური მართავს მთელ მსოფლიოს. თითქმის ყველა ქვეყანაში (მათ შორის საქართველოშიც), საითაც არ უნდა გავიხედოთ, აბრებზე ყველგან ინგლისურ

აღნიშვნებს ვხვდებით. ყველაზე მთავარი მიზეზი ანგლიციზმების გავრცელებისა არის ის, რომ ზოგიერთი სფეროს განვითარებამ საჭირო გახადა ენაში ახალი სიტყვების შემოსვლა. ვინაიდან გერმანულ ენას არ აქვს მათი აღმნიშვნელი სიტყვები, იგი იყენებს ინგლისურს. ეს სფეროებია: თანამედროვე ტექნოლოგიები, ტურიზმი, ეკონომიკა და ა. შ.

დ. ციმერი ერთ-ერთ მიზეზად ასახელებს იმას, რომ ინგლისური მოდური ენა გახდა. იმ შემთხვევაშიც კი, როცა არ იციან, თუ რამდენად სწორად გამოთქვამენ ამა თუ იმ ანგლიციზმს ან რამდენად ზუსტი მნიშვნელობით ხმარობენ მას, ამჯობინებენ ინგლისური სიტყვის გამოყენებას სულ უბრალო მიზეზის — მოდურობის გამო.

როგორც გერმანული ენის დამცველთა საზოგადოება ამტკიცებს, დასახელებულ მიზეზთაგან ანგლიციზმების გამოყენება შეიძლება გამართლებული იქნეს იმ შემთხვევაში, როცა მისი შესატყვისი გერმანული სიტყვა ენაში არ არსებობს.

ლიტერატურა

ციმერი, 1997 — Zimmer D. E., Deutsch und anders – Die Sprache im Modernisierungsfieber, Hamburg, 1997

კრემერი, 2001 — Krämer W., Modern Talking auf deutsch – München 2001.

TEONA NIZHARADZE

Anglicisms in German

Summary

The paper discusses the spread of Anglicisms in German. Four types of Anglicisms encountered in German have been singled out, besides reasons for their usage have been given. It is argued that the use of Anglicisms is approved only in case when there exist no corresponding words in German.

ზაზა ოთინაზილი

ლექსურის ხეობის ძველი ქართული ტოპონიმები

როგორც მთელ საქართველოში, ისე ლექსურის ხეობაში გეოგრაფიული სახელწოდებები ყალიბდებოდა ათასეული წლების განმავლობაში, იცვლიდა სახეს, ადგილს ან საერთოდ ქრებოდა, მაგრამ წერილობითმა წყაროებმა შემოგვინახეს და საშუალება გვძლევს დავადგინოთ მათი ლოკალიზაცია.

ლექსურის ხეობის მაგალითზე ვიტყვით, რომ აქ გეოგრაფიული სახელწოდებების შეცვლა მრავალჯერ მომხდარა. ეს ცვლილებები გამოწვეული იყო შემოსევებით თუ მთელი რიგი სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორებით, რაც აისახებოდა ხალხურ მეტყველებაში გეოგრაფიულ სახელებზეც. ამდენად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება წერილობით წყაროებს, რადგან მათ შემოგვინახეს ძველი ფორმები. ეს წყაროებია ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოების 1913 წლის გამოცემულ მეორე ტომში წარმოდგენილი „ამილახვართა საგვარეულოს სიგელ-გუჯრები“, ასევე ვახუშტის უნიკალური რუკები და სხვა.

ვახუშტის შრომაზე დართულ სოფლების სიაში ლექსურის ხეობა ცალკე არაა გამოყოფილი. ხეობის სოფლები ჩამოთვლილია „ქართლის“ აღწერაში. სინამდვილეში კი ბარის სოფლები საამილახვროში, ხეობის ზემო წელისა კი ქსნის საერისთაოში შედიოდა. ამ სათაურის ქვეშ „ქართლისა“ აღნიშნულია 35 დასახლება, მათ შორის: წირი, წუბენი, წოლდი, ზახორი, არმაზი, მხურვალეთი, სამთავისი, ცხეილოსი და სხვა.

„აღწერაში“ ჩამოთვლილი სოფლები ახმაჯი, ახალდაბა, ბოლი და ბენისი ლექსურის ხეობის სოფლებშია მითვლილი, რაც არასწორია. ეს ოთხი სოფელი ქსნის ხეობაშია განლაგებული მდინარის მარჯვენა მხარეს, მაგრამ ჩაწერილი სავლელ მასალების მიხედვით თუ ვიმსჯე-

ლებთ, აღნიშნული დასახლებული პუნქტები მდებარეობდნენ ლეხურისა და ქსნის წყალგამყოფ ხარულის ქედზე, გასული საუკუნის ბოლოს ჯერ კიდევ იყვნენ ცოცხლები ის ადამიანები, რომლებსაც მამა-პაპის ნათქვამი კარგად ახსოვდათ, მიუთითებდნენ თავიანთ ძველ საცხოვრისზე და ზაფხულობით თავიანთ ნასახლარებთან სათიბ-საძოვარს ფლობდნენ, სადაც ფარეხები ჰქონდათ მოწყობილი.

როგორც ვახუშტი ბაგრატიონის, ისე იოანე ბაგრატიონის „აღწერებში“, ხეობაში აღნიშნულია დასახლებული პუნქტი ახალქალაქი. ეს პუნქტი დატანილია ვახუშტის რუკაზეც, იგი მდინარის მარჯვენა მხარეს მდებარეობდა. დღეს ამ ადგილებს „ქალაქი“, ხან კი „ახალქალაქი“ ეწოდება და ტყე-ბუჩქნარითაა დაფარული.

ამავე წყაროებით მდინარის შუა წელზე, მისგან მარჯვენა მხარეს მდებარეობდა სოფელი რეხი, სადაც სასახლეც იყო მოწყობილი. დღეს იგი ნასოფლარია. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ რეხი იმ სახელწოდებათა ჯგუფს მიეკუთვნება, რომლებიც წარმოებულია „ხ“-ს საშუალებით, როგორებიცაა „კოლხ“, „ჯავახ“, „ტაოხ“ და სხვა.

ზახორი მდებარეობს ხეობის ზემო წელზე. საამილახვროს დავთრის მიხედვით იქ ცხოვრობდნენ მჭედლიშვილები, რომლებიც ბარად სოფელ ახალუბანში ჩამოსახლდნენ. სოფლის სახელწოდება შეიძლება უკავშირდებოდეს ჩვენი წარსულის ტრაგიკულ ისტორიას. მეჩვიდმეტე საუკუნეში გიორგი სააკაძის თანამებრძოლი იყო ლეხურის ხეობის აზნაური ზახორ ლაზნელიძე და მისი რეზიდენცია იყო კაბაურის ციხე-სიმაგრე, რომელიც მდინარის მარცხენა მხარეს ქედზე მდებარეობს. ლაზნელები ამოწყვიტეს ამილახვორმა და ქსნის ერისთავმა და აზნაურის მამულებიც მათ გაინაწილეს.

სოფელი ვერითა აღნიშნულია „საამილახვროს დავთარში“, იგი აღნიშნული არ არის ზემოხსენებულ „აღწერებში“ ეს პუნქტი მდებარეობდა ლეხურის მარჯვენა შენაკად წოდლის წყალზე, დღეს იქაურობა გაუქცარიელებულია.

სოფელი წინაგარა, წინაგორი „აღწერებში“, არის მოხსენებული, აღნიშნულია ვახუშტის რუკაზეც საკულტო ნაგებობით.

„საამილახვროს დავთარში“, სოფელ წინაგარაში ცხოვრობდნენ ამილახვრის ყმები თვალაშვილები, მესხიშვილები, დომედაშვილები. ამ დროისათვის იყო სოფელი წინაგარზაც, სადაც ცხოვრობდნენ სამნიაშვილები, მინდიაშვილები, იმედაშვილები. ეს უკანასკნელი სოფე-

ლი დღეს აღარ არსებობს, დარჩა ნასოფლარი, რომელიც დღევანდელი წინაგარას ჩრდილოეთით ყოფილა გაშენებული.

„აღწერებში“ აღნიშნულია ორი „მხურვალეთი“ — ზემო და ქვემო. ზემოში მდებარეობდა მონასტერიც, რომელიც ვახუშტის რუკაზეცაა, აღნიშნულია აქვე იყო სოფელიც, რომელიც დღეს აღარ არსებობს.

ხეობის სოფლები ორჯომანი, ყური, ზემო ყური, ჯოხისი, უსისტყე, ტყუურეთი, ორდულეთი, აბრევი, ჯეჯიკური, ცხინურისი, წირი, წუბენი, წოდლა და სხვები მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობით ქართულია.

დღეს ზემო ყური და ორდულეთი ეთნიკურად შეცვლილა, იქ, მართალია, ოსები ცხოვრობენ, მაგრამ ძალზე შეთხელებულად. ამ სოფლების უწინდელმა მცხოვრებლებმა კურდღელაშვილებმა, ხიბალიკებმა, მჭედლიშვილებმა, ძამაშვილებმა, სავაზაშვილებმა კარგად იციან თავიანთი ძველი საცხოვრისი და სალოცავად მთაში მიდიან.

ზემოხსენებულის გარდა დავაფიქსირეთ მთელი რიგი ნასოფლარები, რომლებიც წყაროებში არ დასტურდება. ესენია ლეხურის ზემო წელზე ბალოვანი და ბალის ხიდი, უფრო ზემოთ, მდინარის სათავესთან არის მთა, რომელსაც ახლაც „მთაწმინდა“ ჰქვია. აქვე ყოფილა სოფელი ამ სახელწოდებით. იგი მდინარესთან აღმოსავლეთის მხარესაა, მარცხენა ნაპირზე.

მდინარის მარცხნივ მთის ძირში ყოფილა სოფლები ბოსელთა და ლოითკარი, უფრო დაბლა ქვეთკირი.

მდინარე წოდლურას მარცხენა მხარეს ყოფილა სოფლები, ახლა კი ნასოფლარებია: ქარტისი, ჩანჩხარო გორგა.

გეოგრაფიული სახელები ცოცხლობს, იცვლება ფორმით, ზოგჯერ შინაარსითაც. ეს ისე, რომ ხშირად წყაროებითაც არ ხერხდება დამახინჯებული სახელის სწორი ფორმით აღდგენა. ეს იმიტომ, რომ ესა თუ ის ტოპონიმი ვერ მოხვდა წყაროებში ან კიდევ ამოვარდა ცოცხალი მეტყველებიდან. სახელწოდებები ხეობაში შეიცვალა და ყოველივე ეს მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი ტოპონიმების საწყისი ფორმის დადგენა.

ხეობის ტოპონიმებზე დაკვირვებამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ისინი ქართული წარმოშობისაა და ნაწილობრივ დავადგინეთ კიდევ ძველი ქართული გვარები. ამ მიმართულებით კვლევა კი გრძელდება.

ლიტერატურა

ბატონიშვილი, 1895 — ვახუშტი ბატონიშვილი, „საქართველოს გეოგრაფია“, წიგნი, გამოცემა მოსე ჯანაშვილისა, ქართლი, ტ. 1, 1895.

ბაგრატიონი, 1986 — იოანე ბაგრატიონი, „ქართლ-კახეთის აღწერა“, 41, თბ., 1986.

ბაგრატიონი, 1997 — ვახუშტი ბაგრატიონი, „საქართველოს ატლასი“, თბ., 1997.

ZAZA OTINASHVILI

Old Georgian Toponyms of the Lekhuri Valley

Summary

Historically the Lekhuri valley, which is situated in Shida Kartli (Inner Kartli) belonged to the Amilakhvari and Ksani princes. The geographical names of the valley are depicted in the works by Vakhushti and Ioane Bagrationi as well as in "Amilakhvari Chronicles".

The paper surveys old family names and toponyms of the region and stresses their importance for historical as well as linguistic studies.

ნაკო ოთინაშვილი

მეჯულის ხეობის ნასოფლარები

გეოგრაფიული სახელწოდებები ათასეული წლების მანძილზე ყალიბდებოდა, იცვლიდა სახეს, ადგილს ან საერთოდ ქრებოდა, მაგრამ წერილობითმა ძეგლებმა შემოგვინახეს და დღეს საშუალება გვაქვს სხვადასხვა ასპექტით ვიკვლიოთ იგი.

მეჯულის ხეობის მაგალითზე ვიტყვი, რომ აქ გეოგრაფიული სახელწოდების შეცვლა მრავალჯერ მომხდარა. ეს ცვალებადობა გამოწვეული იყო შინაური აწილობით, მტრების შემოსევებით, მიგრაციით, იმიგრაციით და სხვა ფაქტორებით.

როგორც ხეობის ისე სხვა რეგიონების კლევას ვაწარმოებთ კომლექსური მიდგომით — ესენია საკულტო ნაგებობები, გადმოცემები, წარწერები, საფლავის ქვები, გვარები, რუკები, ასევე ლანდშაფტი, რელიეფი, ციხე-სიმაგრეები.

1771 წელს ზემო ქართლში იმოგზაურა გიულდენშტეტმა, რომელმაც საინტერესო აღწერილობა დაგვიტოვა. მკვლევარი წერს: „სახლების გარშემო მეჯულაზე მდებარეობს ქართული სოფლები დათვიანკარი, წოლდევი, ატენი, ჯავახკარი, ისროლი და სალკენფარი.“

ატენი შემდგომი ხანის წერილობით წარწერებშიც არის მოხსენიებული. მეფე ერეკლე მეორის ბრძანებით ორჯერ 1774-81 წლებში მოხდა ქსნის ხეობის აღწერა. აღწერებში ჩამოთვლილია ქსნის ხეობის სოფლები და კომლთა რაოდენობა (უნ. შრომები, ტ. 45, თბ., 1951). იმ დროს სოფელ ატენში უცხოვრია 19 კომლს. მათი გვარები — სალუქაშვილი, ელიაური, ასტამაძე, სახაშვილი. ხეობის ზემო წელის რამდენიმე მიმოხილვის შემდეგ დადგინდა რომ სოფელი ატენი მდებარეობდა მდინარე ისროლისხევის მარჯვენა მხარეს, ტყეში. ყოველივე ეს ადრე მცხოვრები ადამიანების შთამომავლებმაც დაადასტურეს. ნასოფლარი მდებარეობდა უკვე დანგრეული ღვთისმშობლის ეკლესიის სიახლოვეს, სადაც ახლაც არის ნასახლავები. უფრო დასავლეთით არის ზემოთ ხსენებული ნასოფლარები **დათვიანთ კარი, ნა-**

ღირაანთ კარი, ნინიკაანთ კარი. დასახლებები მონოგამური ყოფილა — ცხოვრობდნენ — დათვიაშვილები, ნადირაშვილები, ნინიკაშვილები, ატენში ცხოვრობდნენ გვარად ციცაძეები და მათივე განაყარი ცახაშვილები, რომლებიც შესაბამისად ბარში სოფელ ციციად-ანკარში და გორის რ-ნის სოფელ ატენში ჩამოსახლდნენ. აქ მორუხო ფერის კლდის მასივებია და ბატონ სერგი მაკალათიას აზრით, ატენიეტონი ნაწარმებია „ტინი“ სიტყვისაგან. ს. საბას აზრით „ტინი არს კლდე დიდი, მაგარი.....

ხეობაში ნასოფლარია ისროლისხევი, რომელიც მოქცეულია ტბის მთასა და წოდოდის მთებს შუა.

ქსნის ერისთავთა საგვარეულო მათიანე „ძეგლი ერისთავთა“, რომელიც XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე შექმნილი, არაერთხელ ასახელებს ისროლის ხევს. — „აღიყვანეს და მოახსნეს ხევსა ისროლისასა ნაკაფუანს. ამან აღშენა უკანა ციხე თავსა ისროლის ხევისასა“. ვახუშტი ბაგრატიონმა თავის „აღწერაში“ ცალკე თავი მიუძღვნა ისროლისხევის აღწერას და მისი ლოკალიზაცია მთლიანად სოფელ ბიყრის (ბეგიაანკარის) ზევით მოახდინა.

ისროლისხევი შედგებოდა თემებისაგან და მათი გაერთიანება მოხდა სათემო ხატისადმი დამორჩილების ვზით. თემის მეთაური იყო ხუცესი — ხევის ბერი, რომელიც ადმინისტრაციულად განაგებდა თემს. გაერთიანების ცენტრი ყოფილა ნასოფლარში მდგომი სამება. გადმოცემით დადასტურდა, რომ აქ უცხოვრია უფროს სასულიერო პირს და მასვე ემორჩილებოდა სოფლები, ახლა უკვე ნასოფლარები — სალუქიანთ კარი, დვალიანთ კარი, ბერუაანთ კარი, გოგიაანთ კარი და საერთოდ ყველა სოფელი სოფელ ბიყრის ჩრდილოეთით.

ცნობილი ენციკლოპედისტის იოანე ბაგრატიონის წიგნში — „ქართლ-კახეთის აღწერა“ (გვ. 37) ცალკეა მოცემული სათაური — ისროლისხევის სოფლები.

ბატონიშვილების მამულების 1803 წლის აღწერით მოცემულია ორი ზემო და ქვემო ისროლისხევი. დღეს უკვე ნასოფლარი. ზემო უსრულისხევი მდებარეობდა მდინარე მეჯუდის მარჯვენა ნაპირზე, მისგან დასავლეთით ქედზე და იქ ცხოვრობდნენ გვარად გინტურები, რომლებიც თავიანთ სამოსახლოს ჯავხთასაც უწოდებდნენ. ყოველივე ეს ზეპირგადმოცემებმაც დაადასტურა. ქვემო ისროლისხევი უფრო სამხრეთით მეჯუდის მარჯვენა ნაპირზე, გომთის ხევის სიახლოვეს უნდა ყოფილიყო. აქვე დასტურდება ტოპონიმები: მათეს ახო, ტუეხოს

ახო, ისაკას ახო, ისინი გვარად გინტურები იყვნენ და მათი ნასახლარები ახლაც იკითხება.

ნასოფლარის დასავლეთით ერთი კილომეტრის დაცილებით დიდ ახოში არის ნასახლევი, რომელსაც ეწოდება ასკილანთი. მესისხლეობის გამო ქსნის ხეობის სოფელ პავლიანიდან გვარად პავლიან-ვილების ერთი შტო — პოვლურად წოდებული აყრილან და მეჯუდის ხეობაში ჩამოსულან საცხოვრებლად, ადგილობრივ ხალხს უთქვამს მათი თავკაცისათვის — რა ასკილივით გაწითლებულხარო. ამის შემდეგ ისინი ასკილაშვილები გამხდარან. მოსისხლეები თურმე არც აქ ასვენებდნენ — აყრილან და პატარა ლიხვის ხეობის სოფელ აწრისხევიში ჩამოსახლებულან. მეჯუდაზე კი დარჩა ნასოფლარი, რომლის არსებობა დღეს აწრისხეველმა ასკილაშვილებმა კარგად იციან.

აღნიშნული ნასოფლარის სამხრეთით ტყეში ასევე ნასახლარებია, რომელსაც **ცხენვალი** ეწოდება, აქ ცხოვრობდნენ ფიდიურები. აქვე ნასოფლარი კვირიკაანთი, სადაც კვირიკაშვილები ცხოვრობდნენ, ისინიც ბარში, კერძოდ კი, ახალუბანში ჩასახლდნენ.

აღმოსავლეთით მეჯუდის მარჯვენა ნაპირზე — ქედზე, ნასოფლარია ჟამურლიანთ კარი, სადაც გვარად ჟამურელები ცხოვრობდნენ. ისინი საუკუნეების წინათ მდინარე ქსნის სათავე ჟამურიდან ჩამოსახლდნენ და აქ დამკვიდრებულან, მაგრამ მერე გადაშენებულან.

„ძეგლი ერისთავთაში“ ნახსენები სოფელი ნაკაფოვანი, დღეს ნასოფლარია. იგი მდებარეობს მეჯუდის მარჯვენა მხარეს მთა ტერჯოვანის ჩრდილოეთით. მისი ლოკალიზაცია შეიძლება ნაკაფოვანის დიდი ციხით, რომელიც ისევ მკვიდრად დგას, როგორც ჩვენი ისტორიის დიდი მოწმე.

მოვიყვანთ მაგალითებს, თუ როგორ იცვლებოდა ხეობა და როგორ ნადგურდებოდა ქართული სოფლები. 1778 წლის 20 მაისს გიორგი XII უფლისწულობის პერიოდში იასე ბეგიაშვილს აძლევს წყალობის წიგნს, რომ ლეკისაგან დატყვევებული იყავი, მოხვედი და შენი თავი ჩვენ გავყმევი, იგრეთს ჩვენი ყმის ფოსურის ამოწყვეტილი მამული დაგვეაჯე და შეგიწყალეთ და გიბოძეთ ფოსურის მამული და მეჯვრისხევის ამავე ფოსურის ვენახი (დოკ. საქ. უნ. II, თბ., 1953). ამავე ეპოქას განეკუთვნება ნასოფლარები: ღრომი, ანდორეთი, გორეთი. მიუხედავად მწვავე დემოკრატიული პროცესებისა XVIII საუკუნის მთელ მანძილზე მეჯუდის ხეობის მოსახლეობა ქართული რჩება. მძიმე შედეგები მოჰყვა ლეკიანობას, ოსიანობას, ამან გაანადგურა სოფლები.

მეჭუდის ხევი, როგორც ქსნის საერისთაოს ისტორიული ნაწილი, ყოველთვის ახლოს იდგა მასთან და დასახლების წარმოქმნა, გეოგრაფიული სახელწოდებანი, ეთნიკური გარემო მასთან ნათესაობას ამჟღავნებენ. დასახლებები ძირითადად მონოგამური იყო და -ურ სუფიქსით იყო გაფორმებული, რომელიც ამავე დროს ინდივიდის გვარსაც აღნიშნავდა. ეს უკანასკნელი ახლაც ცოცხლობს. მაგალითად, ინაურში — ინაურები, ფოსურში — ფოსურები, ასადურში — ასადურები, ფაჩურში — ფაჩურები, ციცალიანთ კარში — ციცაურები, ჯეჯიკურში — ჯეჯიკურები, ფსუტურში — ფსუტურები, ვეშგურში — ვეშგურები, იგივე ვეშგურები და სხვ.

ხეობაში არის ნათესაობის რთული სისტემა, გვართა წარმოშობა, რომელიც უფრო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისათვის არის დამახასიათებელი, გვართა განშტოებანი ტოპონიმიკასთან კავშირში, გადაუდებელია მათი მეცნიერული ფიქსაცია, არ უნდა დაიკარგოს უმდიდრესი განძი. საჭიროა გაძლიერდეს ფუნდამენტური კვლევა, უპირველეს ყოვლისა ეთნიკურ სფეროში, რაც მთის ისტორიის ობიექტური შესწავლის საფუძველი გახდება.

ლიტერატურა

გიულდენშტეტის მოგზაურობა საქართველოში I. გერმანული ტექსტი გამოსცა გ. გელაშვილმა ქართული თარგმანითურთ.

ვახუშტი ბატონიშვილი, 1895 — ვახუშტი ბატონიშვილი, „საქართველოს გეოგრაფია II „ქართლი“, გამოცემა მ. ჯანაშვილისა, 1895.

იოანე ბაგრატიონი, 1986 — იოანე ბაგრატიონი, „ქართლ-კახეთის აღწერა“ 41. თბ., 1986

„ძეგლი ერისთავთა“, 1953 — „ძეგლი ერისთავთა“, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1954.

ბერძენიშვილი, 1953 — ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალურ ურთიერთობათა ისტორიიდან, თბ., 1953.

NIKO OTINASHVILI

Mejudi Valley Settlements

Summary

According to some historical sources the upper part of the Mejudi valley was populated by Georgians. Many of the settlements were destroyed during numerous invasions and migration processes. The paper attempts to trace the location of the toponyms mentioned in historical sources.

ნიკო ოთინაშვილი

ფრონეს ხეობის ტოპონიმები

ფრონეს ხეობის ტოპონიმის დიდი ნაწილი ძველია, უამთა სვლის გამო ზოგიერთი მათგანი განსხვავებული სახით გვევლინება. მათი წარმომავლობისა და ლოკალიზაციის დადგენა კვლევას მოითხოვს. გვხვდება შეცვლილი სახელებიც და ამისი მიზეზია XVIII საუკუნის დასაწყისში ხეობის სოფლებში ჩამოსახლებული რაჭველები და იმერლები, რომლებმაც თავიანთი საცხოვრისის სახელები გადმოიტანეს. აქედან გამომდინარე, სახელწოდებათა ცვლილების ქრონოლოგიის განსაზღვრა მეცნიერულ ინტერესს წარმოადგენს, თუმცა ზოგჯერ ცვლილების დადგენა საკმაოდ ძნელია.

ხეობაში მდებარეობს სოფელი თიღვა, თავისი ცნობილი ტაძრით. მისი სამშენებლო წარწერა გვაუწყებს, რომ ტაძარი აუგია დავით აღმაშენებლის ასულს, შირვანის დედოფალს, თამარს. სოფელი მოხსენებულია ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების თხზულებებში. 1715 წლის „რუისის საეპისკოპოსო დავთრის“ მიხედვით თიღვაში სახლობდა იონჩაძის გვარის რამდენიმე ოჯახი. დღეს ეს გვარი სოფელში აღარაა, მაგრამ სოფლის ჩრდილოეთით არის ჰიდრონომი იონჩაძის წყარო, აშკარაა, რომ აქ სახლობდნენ იონჩაძეები. სოფლის სამხრეთით, სამი კილომეტრის დაცილებით, არის პატარა სოფელი იონჩა, რომლის დაარსებასაც აღნიშნული გვარის ცნობილ პიროვნებას მიაწერენ.

სოფელი ალიბარი წყაროებში არ გვხვდება. დღეს იგი ადმინისტრაციული დაყოფით ცალკე ერთეულია, თუმცა ადრე სოფელ თიღვაში შედიოდა. მისი წარმოშობა ამილბარიშვილის გვართან უნდა იყოს დაკავშირებული. 1715 წლის „რუისის საეპისკოპოსოს დავთრის მიხედვით ამ გვარის წარმომადგენლები სოფელ თიღვაში სახლობდნენ. მის ორ უბანს ერთმანეთისაგან „კოჭლახევი“ ყოფდა. ალიბარის დასავლეთით ტყებუჩქნარს „გოლათის ახოებს“ უწოდებენ. აღნიშნული დავთრის მიხედვით, აქ სოფელი ურმისხელი მდებარეობ-

და, რომელიც დაფიქსირებულია ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების შრომებში. იქიდან მიგრირებული შთამომავლებისაგან (ნაკაშიძეები, კუბატაძეები, ვაჭრიშვილები) მიღებული ზეპირი გადმოცემით დადგინდა ნასოფლართა ადგილმდებარეობა.

დავთრის მიხედვით ძალიან დიდი სოფელი ყოფილა, სადაც სახლობდნენ ჭილაძეები, გვიტაშვილები, დონაძეები, გელიაშვილები, ბარბაქაძეები, მწყერაშვილები, ჯგაძეები და სხვები. დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით გვაქვს ორი ზემო და ქვემო ძალიან. ზემო ძალიანში არის „დონაძის ტყე“; რომელიც სოფლის დასავლეთით სერზე მდებარეობს. ფეოდალურ ხანაში ამ გვარის კაცის საკუთრება იყო ეს ტყე.

„დავთრის“ მიხედვით 1715 წელს ფცის ფრონეს მარცხნივ დასტურდება დიდი სოფელი ახალშენი. ახლა სოფელი მდინარის მარჯვენა მხარესაა. უწინდელი საცხოვრისი მთა ლებეურას ფერდობზე ყოფილა და შედარებით მკაცრი ჰავით გამოირჩეოდა, სასმელი წყალიც შორიდან იყო მოსატანი. ამის გამო მოსახლეობა გადასახლდა იმ ადგილზე, რომელიც მათი სახნავ-სათესი იყო, ნასოფლარში კი გვაქვს ტოპონიმები „ხუციან ტბები“ (ხუციშვილები), „ყარამანის წყარო“, ლოთეს ველი (მესხი), რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ ზუსტად განვსაზღვროთ ძველი ახალშენისა და მისი უბნების, საძოვრების ადგილმდებარეობა.

სოფელი ოქონა ერთ-ერთი ძველი სოფელია ქართლში. მისგან აღმოსავლეთით, ლეხეურის მთის სამხეთის კალთებზე არის დაშლილი საკულტო ნაგებობა, გალავნის ნაშთები, რომელთაც უწოდებენ „ნაკაშაურებს“. „დავთრის“ მიხედვით კი აქ უცხოვრიათ: ფრიკა, ბერი და თანდილა ნაკაშიძეებს. „დავთარში“ დასახლებულია ერთი კომლი ბეჟან ნაგლაძე, რომლის წინაპრები მეწისქვილეები ყოფილან. დღეს ფრონეს მარცხენა ნაპირზე, დავაკება პატარა ადგილს ეწოდება „ნაგლაანთ წისქვილი“. ასევე ნასოფლარშია პატარა ადგილი სახელით — „ბეთიაურები, რომელიც ბეთიაშვილის გვართანაა დაკავშირებული.

ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების შრომებში აღნიშნულია სოფელი წირეთი, რომელიც დღეს აღარ არსებობს, მაგრამ XVIII საუკუნის შუა წლებში იმერეთიდან გადმოსულმა მოსახლეობამ (სამხარაძე, მაისურაძე, დიდუბაშვილი) ამ სოფლის სახელი შემოინახა. მიუთითებენ, რომ დღევანდელი სოფელი ნაბაკევი უწინდელი წირეთის ეკლესიის სამხრეთით, ორასიოდ მეტრის მოშორებით გაშენდა. ძველი წირეთის საძოვრებს „წირეთები“ ეწოდება და ნაბაკევის საკუთრებაა.

ნასოფლარ წირის აღმოსავლეთით ლებეურას მთის კალთაზე მდებ-

ბარეობდა სოფელი მუწრისი, რომელსაც ზემოხსენებული წყაროები მოლნისად მოიხსენებენ. ეს ადგილი ცნობილია იმით, რომ საქართველოს გაერთიანებისათვის მეგრძოლ მეფე ბაგრატ მესამეს აქ შეებნენ ქართველი ფეოდალები ქავთარ ტბელის მეთაურობით. „დავთრის“ მიხედვით 1715 წელს მულრისში ცხოვრობდნენ მამაცაშვილები, რომლებიც დღეს მდინარე ფრონეს მარჯვენა მხარეს, სოფელ ტყისუბანში არიან ჩასახლებულნი. აღსანიშნავია, რომ ამ სოფელს ვახუშტისთან ეწოდება ტვისუბანი, ხოლო იოანე ბაგრატიონთან ტყისუბანი.

ფცის ფრონეს მარცხენა ნაპირზეა, ნასოფლარი მთავარეული, რომელიც სოფელ ხუნდისუბნის სამხრეთით მდებარეობს. აქვეა საკულტო ძეგლი, რომელიც უკვე დანგრეულია.

რიგი გეოგრაფიული სახელები დღეს შეცვლილია და სხვა ფორმით არის წარმოდგენილი. ვახუშტისა და იოანე ბაგრატიონების მიერ დაფიქსირებული ღვერთელი დღეს ღვერთევია, ერკნეთი — არკნეთია, კნოლე — კნოლეგია, ძვიმლეტი — ძვილეტია და სხვა.

ზოგიერთი ტოპონიმი საერთოდ გამქრალია მთელი რიგი მიზეზების გამო. აღარ არის ტულიბერი, წნური, ზემო წორბისი და სხვები. ძველი მოსახლეობა კი, რომელიც წყაროებშია დადასტურებული საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ აღნიშნული ტოპონიმები.

ფრონეს ხეობის ძველი და ახალი ტოპონიმების ერთმანეთთან შედარებისა და ლოკალიზაციის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ხეობაში გეოგრაფიული სახელები ქართული წარმოშობისაა, მთიან ნაწილში გვხვდება უცხოენოვანი, ოსური წარმოშობისაც, რომლებიც ძირითადად ერთფუძიანია და ქართული ტოპონიმის თარგმანს წარმოადგენს. მიკროტოპონიმია, რომელიც აქ არ წარმოგვიდგენია, საინტერესო სურათს იძლევა და ხეობაში ძირითადად ქართლური და იმერული დიალექტები დომინირებენ. მაგალითად, სელთი, ლისა.

ლიტერატურა

ვახუშტი ბატონიშვილი, 1895 — ვახუშტი ბატონიშვილი, „საქართველოს გეოგრაფია II წიგნი, ქართლი, თბ., 1895, მოსე ჯანაშვილის გამოცემა.

იოანე ბაგრატიონი, 1986 — იოანე ბაგრატიონი, „ქართლ-კახეთის აღწერა“, გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ და გ. ბედლოშვილმა, თბ., 1986.

თაყაიშვილი, 1907 — ე. თაყაიშვილი, მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი I, (რუისის საეპისკოპოსოს დავთარი) ტფ. 1907.

მაკალათია, 1963 — ს. მაკალათია, „ფრონეს ხეობა“, თბ., 1963.

ვახუშტი ბაგრატიონი, 1997 — ვახუშტი ბაგრატიონი, „საქ. ატლასი“, თბ., 1997.

NIKO OTINASHVILI

Prone Valley Toponyms

Summary

The Prone valley which connects several regions, provides interesting dialectological data. The paper studies 'The Ruisi Episcopal Chronicles' (1715) and aims to trace the location of the toponyms encountered in it.

ამთავან რეზიუმე

არააქტიური პრედიკაციის გამოხატვა ბმისა და მართვის თეორიის დებულებებზე დაყრდნობით

ბმისა და მართვის თეორია, რომელიც ძირითადად „ახალი სინტაქსის“ სახელითაა ცნობილი, წარმატებით გამოიყენება თანამედროვე ენათმეცნიერებაში. მოცემულ თეორიაზე დაყრდნობით შეიქმნა საყურადღებო გამოკვლევათა განსაზღვრული რაოდენობა, რომლებშიც განხილულია, როგორც კონკრეტული ენობრივი პრობლემები, ასევე წარმოდგენილია ზოგადი სისტემური ანალიზი; მოცემული ნაშრომი არა-აქტიურ პრედიკაციას იკვლევს დასახელებული თეორიის დებულებათა გამოყენებით.

ახალი სინტაქსის შემქმნელი ნ. ჩომსკია, ეს თეორია თავისთავად გენერაციული კონცეფციის გაგრძელებას წარმოადგენს; მასში თავდაპირველად წარმოდგენილია გაგრძობილი სტანდარტული თეორიის ძირითადი კომპონენტები.

- 1) ლექსიკა
- 2) სინტაქსი (I) ბაზისური კომპონენტი (II) ტრანსფორმაციული კომპონენტი
- 3) ინტერპრეტაციის კომპონენტი: (I) ფონოლოგიური კომპონენტი [FP] (II) ლოგიკური ფორმების კომპონენტი [FL]

ამ ნაწილში განიხილება თემატურ როლთა განსაზღვრა სათაო პოზიციაში, ე.წ. თემა-მარკირების პარამეტრები სილრმის (D-სტრუქტურებში) და ზედაპირულ სტრუქტურებში წესის „ამოძრავე ა“-ს საშუალებით, და აქედან გამომდინარე ინდექსების, ცარიელი ელემენტისა და კვალის ცნებები.

თემა-პოზიციის განსაზღვრა მხოლოდ სინტაქსურ სტრუქტურაში ყალიბდება და სტრუქტურულადვე განისაზღვრება, ამდენად იგი თემა-მარკირების კონფიგურაციულ მიდგომად ითვლება. გრამატიკული

სტრუქტურის არგუმენტებსა და თემა-როლებს შორის ურთიერთცალსახა მიმართების პრინციპი მოქმედებს: ერთი არგუმენტი ასრულებს მხოლოდ ერთ თემა როლს და მხოლოდ ერთი თემა-როლი მიეწერება ერთ არგუმენტს. ლექსიკური თავის არგუმენტის როლს მხოლოდ რეფერენტული გამოთქმები ([+R]) ასრულებს, ასეთია, როგორც უკვე აღინიშნა, სახელადი ჯგუფები და მათი კვალი, ანაფორები (ნაცვალსახელები), საკუთარი სახელები.

წარმოდგენილ ზოგად ნაწილს ემატება რამდენიმე კონკრეტული თეორია.

- 1. X- შტრიხების თეორია (X)
- 2. თემატური თეორია
- 3. ბრუნვის თეორია
- 4. ბმის თეორია
- 5. ზღვართა თეორია
- 6. კონტროლის თეორია
- 7. მართვის თეორია

X — შტრიხის თეორიის მიხედვით, ყოველი მეთაური (მთავარი) კატეგორია განიხილება სამსაფეხურიან იერარქიად : X შედის X' დონეში, რომელიც თავის მხრივ X' ნაწილია.

- A) X" - ...X'
- b) X' - - ...X
- X ცვლილია და აღნიშნავს N, V, P, A
- X —ისათვის X' მინიჭების შემდეგ
- X - NP,VP,PP,AP

X კატეგორიები, ანუ უშუალო ლექსიკური მნიშვნელობანი მოქმედებს, როგორც თავი X" - ის არეში; X-ი შეიძლება მაქსიმალურად განიხილოს, მაშინ იგი უმაღლესი იერარქიული კატეგორიაა, თავია და დომინირებს თავის პროექციაზე. ეს პროექცია სპეციფიკურია ყოველი კონკრეტული ენისათვის; მაგალითად, ფრანგულ ენაში X —ის მარცხენა მხარეს მისი განმსაზღვრელები დაიკავებენ, ხოლო მარჯვნივ კი დამატებები განლაგდებიან (ეს იმ დამატებათა სიმრავლეა, რომელთა მიმართ X ქვეკატეგორიებია).

ბრუნვის თეორია აბსტრაქტულ ბრუნვას მიაწერს იმ ჯგუფებს, რომლებსაც ბრუნვით მარკირების პოზიცია უჭირავთ; ესენია პარდაპირი ან წინდებულებანი ობიექტები და სუბიექტები სასრულ დროიან წინადადებებში. ამ თეორიის ძირითად პრინციპს ბრუნვის ფილტრი წარმოადგენს,

რომლის მიხედვით ნებისმიერ სახელად ჯგუფს, ფონოლოგიურად გამოხატულს, აუცილებლად უნდა ჰქონდეს ბრუნვა, რათა „თვალსაჩინო“ გახდეს FP და FL წესების გამოყენების სივრცე; შესაძლებელია ბრუნვის ფილტრის თემა-კრიტიკრიუმებზე დაყვანა.

ბმის თეორია აწესრიგებს ნაცვალსახელთა და ანაფორათა ურთიერთმიმართებებს მათ ანტეცედენტებთან. თვითონ ცნება ბმა (**binding, liaison**) ფორმალურად გამოხატავს მიმართებას „... ის ანტეცედენტთან ყოფნა“ [être antécédent de]; მას საფუძვლად უდევს C- მართვის (C-command, კონსტიტუენტთა მართვის) ცნება (იგი რეინარტმა შემოიღო).

ეს პრინციპია:

ჯგუფი α (კვანძი **noeud**) α **c** — მართავს

ჯგუფი (კვანძი **noeud**) β , თუ ისინი ერთმანეთზე არ დომინირებენ და თუ პირველი განტოტვილი კვანძი, რომელიც დომინირებს α -ს, დომინირებს აგრეთვე β .

შესაბამისად ბმა შემდეგნაირად განისაზღვრება:

კატეგორია α ბმულია კატეგორია β , მაშინ და მხოლოდ მაშინ:

(I) α და β კოინდექსირებულნი არიან

(II) β C-მართავს α .

არაბმული კატეგორია თავისუფალია.

ბმის თეორია აწესრიგებს და ფორმალურ სახეს ანიჭებს მიმართებებს ნაცვალსახელებსა და ანაფორებს შორის და განსხვავებს მიმართებებს A (არგუმენტულ) ბმასა და A' (არა არგუმენტულ) ბმას შორის.

A პოზიცია მოიცავს ყველა გრამატიკულ პოზიციას [Sujet de, objet de]

A' - პოზიცია მოიცავს პირის უმახვილო ნაცვალსახელთა მიერთების კომპლემენტარიაციის (COMP) და X —ის ყველა სათაო პოზიციათა სიმრავლეს.

β (მბმელ) კატეგორიას უჭირავს ან A ან A' პოზიცია. A ბმის მიერთებები სახელად ჯგუფსა და ანტეცედენტს შორის შემდეგნაირად განზოგადდება:

პრინციპი A : ანაფორა ბმულია თავის მმართველ კატეგორიაში;

პრინციპი B: ნაცვალსახელი თავისუფალია თავის მმართველ კატეგორიაში;

პრინციპი C : რეფერენტული გამოთქმა თავისუფალია.

“მმართველი კატეგორია“ ანაფორისათვის მისი ანტეცედენტი, ხოლო ნაცვალსახელისათვის მისი რეფერენტი.

ამრიგად:

α არის β მმართველი კატეგორია მაშინ და მხოლოდ მაშინ თუ α მიწვეულია კატეგორიაა და შეიცავს როგორც β -ს, ასევე β მმართველს, და $\alpha = S$ ან PN.

ზღვართა თეორია განსაზღვრავს ლოკალურობის პრინციპებს იმ წესთა მიმართ, რომლებიც მოქმედებენ „Deplacer“ α “-ს სქემებით და იმ სტრუქტურათა მიმართ, რომლებიც ამ წესების შედეგად მიიღება.

კონტროლის თეორია ადგენს ნულოვანი ელემენტის PRO — ს ინტერპრეტაციისა და ანტეცედენტის ძიების წესებს. ასეთი ანტეცედენტი (კონტროლიორი, **le contrôleur**) კონსტრუქციის მიხედვით შეიძლება ან აუცილებელი იყოს, ან ფაკულტატიური. აუცილებელი კონტროლიორი გულისხმობს PRO — ს ბმელ სინტაქსურად გამოხატულ ანტეცედენტს; არა აუცილებელი კონტროლის პირობებში ანტეცედენტი არ არსებობს, ან თუ არსებობს, არ აბამს PRO — ს.

მართვის თეორია ემყარება მიმართებას ზმნასა და მის დამატებებს შორის. ქვე-კატეგორიაციის ცნება (ნ. ჩომსკის მიერ შემოღებული) მართვის ფორმალურად გამოხატვის ცდაა.

ქვე-კატეგორიაციის მოქმედების არე ლოკალურად მკაცრად განსაზღვრულია. მაგ.: V (ზმნის) ქვე-კატეგორიაში V მეთაურ სიტყვას წარმოადგენს და მართავს ზმნის ჯგუფის შინაგან შემადგენლებს, მართვა სტრუქტურული მიმართებაა ჯგუფის თავსა და მასზე დამოკიდებულ დამატებათა შორის. მართვის მიმართება ასე ყალიბდება

მოცემულია კონფიგურაცია [$\beta \dots \gamma \dots \alpha \dots \gamma \dots$],

I. რომელშიც $\alpha = X$

II. მაქსიმალური პროექცია Φ თუ მართავს γ , მაშინ γ მართავს α .

III. α C - მართავს γ

მაშინ α მართავს γ .

პროექციის პრინციპი ძირითადად განიხილავს მიმართებებს თემა ცხრილსა (თემა როლების დაულაგებელი ჩამონათვალი) და S (ზედაპირულ სტრუქტურას ან უბრალოდ წინადადებას) შორის და ეყრდნობა ძირითად დაშვებას, რომლის თანახმად, სინტაქსურ ფორმას ლექსიკური მახასიათებლები განსაზღვრავს.

ამრიგად, პროექციის პრინციპი უშვებს ცარიელი კატეგორიების არსებობას, რომლებიც უნდა აღდგეს S სტრუქტურებში და ინფინიტიურ წინადადებებში და რომლებითაც უნდა შეივსოს ცარიელი ობიექტების

პოზიცია და თეა-როლი კონინდექსაციის საშუალებით.

მართვის ზღვარს მაქსიმალური პროექცია (შემადგენელთა მართვა) წარმოადგენს, მართვა ზედაპირულ S-ში ხდება კატეგორიით (infl) [flexion- ფრანგული ვარიანტი), რომელიც X თეორიაში განიხილება როგორც ნულოვანი კატეგორია და წარმოადგენს S-ის მეთაურს; [Infl] გამოხატავს დროის, კილოსა და შეთანხმების მახასიათებლებს.

ბმისა და მართვის თეორიის გავრცობილი პროექციის პრინციპი უშვებს ცარიელ კატეგორიებს, რომლებიც მართავს ყოველ კვალს და რომლებიც უშუალო დაკვირვებას არ ექვემდებარება, არ გამოიხატება მატერიალური (ფონეტიკური) ფორმით.

ცარიელი კატეგორიები (catégorie vide- cv) ისეთსავე პოზიციებში ჩნდება, სადაც მათი შესაბამისი სრული კატეგორიები : ანაფორები, ნაცვალსახელები, R — გამოთქმები, თუმცა ეს მიმართება ხშირად არ ჩანს და სპეციალურ დაკვირვებას მოითხოვს.

ცარიელი კატეგორია ასე გამოიხატება:

[e, i] [N^e e] i ; i პოზიციის ინდექსია, e - ნულოვანი ერთეული (ნულოვანი მწკრივი) .

ნულოვანი (ცარიელი კატეგორიების) კატეგორიების ორი ძირითადი ტიპი არსებობს:

1. კვალი, რომელსაც ამოსავალ პოზიციაში ტოვებს „მოძრავი α“ (გადაადგილების ოპერაცია) ოპერაცია; ამოსავალ წევრს და ცარიელ კატეგორიას შორის იდენტურობას ინდექსი აღნიშნავს: ერთნაირი ინდექსი მიეწერება ამოსავალ პოზიციას და გადაადგილებულ წევრს; ეს კონინდექსირების პრინციპია

[NP_i → t_i]

(1) Pierre a été arrêté

Pierre a été arrê_t_e [N^ee]_i

an

Pierre_i t_i

(2) Quel livre_i Jean a-t-il acheté [N^ee]_i

t_i

(t-trace)

მეორე კვალი სპეციფიკური კვალია, მას Qu — კვალს უწოდებენ. (ე. ი. კითხვითი პროცედურის კვალს).

ამგვარად, აქ ყველა კვალი გადაადგილებული NP —ს კვალია.

2. pRO —ს სუბიექტის პოზიცია უჭირავს ინფინიტივურ და გე-

რუნდიულ წინადადებაზე, და აგრეთვე ისეთ რთულ წინადადებაში, რომლის სუბიექტს ინფინიტივი წარმოადგენს, მაგალითად:

(1) Pierre veut partir à la campagne Pierre veut [e]_i partir à la campagne

(2) Partir à la campagne ennuie Picrre [e]

[ti] partir à la campagne ennuie Picrre

PRO არ წარმოადგენს „déplacer α“ (ტრანსფორმაციის) შედეგს და იგი ფიგურირებს უკვე D სტრუქტურაში.

ანაფორის მიმართება ცარიელ (ნულოვან) ანტეცედენტთან თავს იჩენს PRO-ს და déplacer α-ს შემთხვევაში. ამ შემთხვევაში გამოიყენება იდენტური ინდექსები ანაფორისა და ანტეცედენტისათვის.

მართვის თეორიის ცარიელი კატეგორიების პრინციპი ამბობს, რომ NP-ს ყოფილი კვალი უნდა იყოს მართული. ბმის ბრუნვის მართვისა და ზღვრების თეორიები ისე ურთიერთმოქმედებენ, რომ განსაზღვრავენ განსხვავებას და მსგავსებას ცარიელ კატეგორიებსა და რეალიზებული ერთეულების დისტრიბუციას შორის.

ცარიელი ელემენტები ხასიათდებიან იმის მიხედვით, გააჩნიათ თუ არა მათ დამოუკიდებელი თეა-როლი, ან ატეცედენტი. ცარიელი ელემენტები ზღვართა თეორიის თანახმად ემორჩილებიან სპეციფიკური ქვემდებარისა და სახელადი კუნძულის პრინციპებს.

déplacer α- ენის ტრანსფორმაციული კომპონენტია, იგი შემდეგნაირად იკითხება:

ა) déplacer α განსაზღვრავს მიმართებას ანტეცედენტსა და ცარიელ ადგილს შორის;

ბ) ანტეცედენტს არა აქვს დამოუკიდებელი თეა-როლი;

გ) ცარიელი ადგილი საკუთრივ იმართება

დ) მიმართება ემორჩილება ზღვართა თეორიას

ან: (ქვეშ-მდებარეობის პრინციპს).

déplacer α ისეთი წესია, რომელიც ქმნის D — სტრუქტურიდან S-სტრუქტურას (ჩომსკი 178)

ასეთია ბმისა და მართვის თეორიის ზოგადი და კონკრეტული პრინციპები, რომლებიც წამოჭრილი საჭიროების მიხედვით გამოიყენება მოცემულ ნაშრომში. ვინაიდან ხშირად მოიხსენიება ლ. ბურციოს კონცეფცია, მოკლედ იქნება წარმოდგენილი მისი ძირითადი დებულებანი.

სინტაქსის სხვადასხვა ასპექტის განხილვისას განზოგადოებული ცოდნის მისაღებად ავტორი ეყრდნობა პერლმუტერის არააკუზატიურ

ჰიპოთეზას, ნულოვან სუბიექტთა რიცხისეულ ანალიზს, კაუზატიური კონსტრუქციების წარმომქმნელ სინტაქსური წესების შესახებ რიცხის მოსაზრებას, თეორია ძირითადად ბმისა და მართვის თეორიის უნივერსალურ მახასიათებლებს ეყრდნობა. შესაბამისად დადგენილ იქნა პრინციპთა და წესთა შეზღუდული რაოდენობა. მათ შორის ძირითადად შემდეგი პრინციპები გამოიყოფა.

არსებობს **D** — სტრუქტურის, **S** — სტრუქტურის **FL**-ის გამონატელების სამი დონე და კონინდექსირების შემდეგი კლასები (I) , (II), და (III)

სწორად აგების პირობები შემდეგი მიმართებით გამოიხატება:

D — სტრუქტურა **S** — სტრუქტურა **FL** — ლოგიკური ფორმა

(I)	X	X	X
(II)	X	X	X
(III)	X	X	X

(i) კლასი გამონატავს კლიტიკ — **ec** (ცარიელ კატეგორიას) მიმართებებს; ეს მიმართებები სწორად უნდა აიგოს ამოძრავე **a**-ს როგორც წინ, ასევე შემდეგ, **D** და **S** სტრუქტურებში. ივარაუდება მათი სწორად აგება აგრეთვე **FL** - ში.

(ii) კლასი გამოიხატება **NP** — ნაკვალავის მიმართებებით. ესენი არ არსებობს ამოძრავე **a**-მდე, ვინაიდან ისინი სწორად ჩამოყალიბებული უნდა იყვნენ ამოძრავე **a**-ს შემდეგ. სავარაუდოა, რომ ისინი ასეთად ჩამოყალიბდნენ **FL**-ში.

(iii) კლასი წარმოადგენს **NP-PRO** ან **NP-t (soi meme_)**- ეს უკანასკნელნი მხოლოდ **FL**-ში არსებობენ.

მათი სწორი აგება მტკიცდება რეკონსტრუქციის შედეგად. ისინი არ აიგება და არც არსებობს არც **D** და არც **F** სტრუქტურებში.

ბმისა და მართვის თეორია შედგება რამდენიმე ქვეთეორიისაგან, რომლებიც აგებულია „ლოკალურობის“ კონფიგურაციით განსაზღვრული ცნების ირგვლივ, რომელიც ძირითადად მართვას წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით ბმის თეორია არ ითვალისწინებს ისეთი სინტაქსური მექანიზმის არსებობას, როგორცაა თემატური მიმართებები: „აგენტი“ „პაციენტი“ და სხვა. ან ისეთ გრამატიკულ მიმართებებს, როგორცაა „სუბიექტი“ „პირდაპირი“/ „ირიბი“; იგი უშეგებს, რომ სინტაქსურ მექანიზმს შეუძლია გააანალიზოს ისეთი მსგავსი კონსტიტუენტები, რომლებ-

ბიც გამონატავენ განსხვავებულ გრამატიკულ და თემატურ მიმართებებს. ამრიგად, ბრალდებითი ბრუნვის მიწერა ერთნაირად მოქმედებს, კორეფერენციის პრინციპი და პასივიზაციის პრინციპიც ერთნაირად მოქმედებს. დამხმარე ზმნის მიწერის მექანიზმიც ერთნაირია, თუნდაც თემატური ან გრამატიკული მიმართებები სრულად განსხვავებული იყოს. თუკი განზოგადება ძნელია თემატური და გრამატიკული მიმართებების თვალსაზრისით, ასეთივე განზოგადების უნარის მქონედ შეიძლება ჩაითვალოს ისეთი კონფიგურაციული ცნება, როგორცაა მართვა; მაგ.; ელემენტისა ზმნის მიერ (სუბიექტის პოზიციაში) არც კლიტიციზაციაში არ უნდა თამაშობდეს როლს თემატურ / გრამატიკული მიმართებები, თუმცა კლიტიკი ყოველთვის იმართება ზმნის მიერ და ამის შემდეგ იღებს მ-როლს;

ამრიგად, არც დამხმარე ზმნის მიწერა, არც **NP**- მოძრაობა, არც კლიტიზაცია არ მოქმედებს თემატური ან გრამატიკული მიმართებების საფუძველზე (ბურციო).

ლიტერატურა:

ბურციო, 1986 — Burzio L. Italian Syntax Dorduecht / Boston / Lancaster / Tokyo D. Reidel Publishing Company 1986.

კეინე, 1975 — Kayne R. Extensions du liage et du marquage du cas. Linguisticae Investigationes. 1975.

პერლმუტერი, 1983 — Perlmutter, David, ed. Chicago, Univ. 1983

რიცი, 1981 — Rizzi L. Lexical Subjects in Infinitives: Government, Case and Binding. 1981.

ჩომსკი, 1987 — Chomsky N. La nouvelle syntaxe. Edition du Seuil. Paris. 1987.

KETEVAN REKHVIASHVILI

**Expression of Non-active Predication from the Standpoint
of Government — and — Binding Theory**

Summary

The paper discusses non-active predication from the standpoint of Government _ and _ Binding Theory because the given theory embraces structural, syntactic, semantic pragmatic and cognitive processes. The mentioned processes and the results of their possible interrelation are reflected in the following notions: argument configuration, theta-roles, empty categories, trace, reference, co-reference, projection, interpretation etc.

ქეთევან რახვიაშვილი

ფსიქოლოგიის შესახებ განსხვავებულ თეორიულ
თვალსაზრისთა ანალიზი

ფსიქოლოგიური ზმნები არააქტიური პრედისკაციის გამომხატველი ერთ-ერთი დიდი კლასია;

ფსიქოლოგიური ზმნები სხვადასხვა თვალსაზრისით ანალიზდებოდა, ამ ზმნებს შეისწავლიდა გენერაციული გრამატიკა; მნიშვნელოვანი მიღწევა იყო მარკირების სემანტიკური პრინციპების გამოყენება ფსიქოზმნათა კლასიფიკაციისა და რუბრიკების შედგენის პროცესში, თემატურ მიმართებებს დაეყრდნო ბმისა და მართვის თეორიაში ფსიქოზმნების არგუმენტული და სემანტიკური სტრუქტურები.

ყოველ მიდგომას განსაზღვრული არგუმენტაცია და შედეგები ჰქონდა. ფსიქოზმნების თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ამ ზმნათა განსაზღვრულ ჯგუფებს ურთიერთშეზღუდული მიმართება აქვთ სუბიექტთან და ობიექტთან, ვინაიდან ფსიქოზმნათა უმრავლესობა ხასიათდება თემატური მიმართებებისა და არგუმენტთა სტრუქტურის თავისებურებებით, ისინი შეიძლება ჩაითვალოს ძირითადად საშუალო გვარის ზმნებად, ვინაიდან მოქმედება კონცენტრირდება სუბიექტის ან სუბიექტისკენ მოძრავი ობიექტების ირგვლივ.

გენერაციული სემანტიკა მიმართებას სუბიექტთან და ობიექტთან ან ტრანსფორმაციებზე, ან ინტერპრეტაციის წესებზე დაყრდნობით განიხილავს; გამოიყენება ე.წ. „ფსიქიური მოძრაობის“ ტრანსფორმაცია [PSYCHMOVEMENT] და ტრანსფორმაციაში მონაწილე ზმნები [±PSYCHMOVEMENT] ნიშნით დახასიათდება, ტრანსფორმაციული ანალიზის მომხრეა პოსტალი, მას ბუნებრივად მიაჩნია ერთმანეთთან დაკავშიროს NP (პიროვნება), (სულიერი) და სუბიექტის (სიღრმის) პოზიციები; ნ.რიუვეს არ მიაჩნია ერთი მახასიათებლის ქვეშ სიღრმის სუბიექტის, აგენტის და NP (პიროვნების ან სულიერის) გაერთიანება მოცემული ტრანსფორმაციის დასასაბუთებლად, ვინაიდან „სულიერი სუბიექტის“ მოწოდების მოტივაცია „ავტონომი-

ური აქტიურობისკენ“, ვიდრე უსული სუბიექტისა, ხშირად ირღვევა, ამიტომ საჭირო ხდება დამატებითი წესების შემოღება, რომლებიც წინასწარ განსაზღვრავს აგენტთა დისტრიბუციას (მაგ.: I. მხოლოდ სიღრმის სუბიექტი შეიძლება ინტერპრეტირდეს, როგორც აგენტი; II. être-ის სიღრმის სუბიექტი არასოდეს არ განისაზღვრება, როგორც აგენტი), თუმცა ზოგჯერ წინადადებათა არაერთმნიშვნელოვანობის გამო, საჭირო ხდება, რომ აგენტის თემატურ ფუნქციას შეუერთდეს „ადგილის“ ან „თემის“ ფუნქციები. გარდა ამისა, პოსტალის აზრით, ზმნიზედასთან „personnellement“ სიღრმის სუბიექტი იხმარება მხოლოდითი რიცხვის I პირში (რაც აგრეთვე ყოველთვის არ მართლდება):

Personnellement, je suis dégoûté de Marie

Rersonnellement, je méprise Marie

* Personnellement je dégoûte Marie.

ვითარების ზოგიერთი სხვა ზმნიზედის დისტრიბუცია არ ემორჩილება ხსენებულ ტრანსფორმაციას: ზოგიერთი მათგანი უკავშირდება სიღრმის სუბიექტს, ზედაპირულ სტრუქტურაში კი — ობიექტს.

ფსიქო-მოძრაობის ტრანსფორმაცია ერთმნიშვნელოვნად ვერც კორეფერენციის საკითხებს ვერ ხსნის, რის გამოც პოსტალმა მოითხოვა დერივაციებზე გლობალური შეზღუდვების შემოღება კორეფერენციის პრობლემის გადასაწყვეტად.

ამრიგად, ფსიქომოძრაობის ტრანსფორმაციას არ შეუძლია გადაჭრას სუბიექტ-ობიექტთან დაკავშირებული სემანტიკური და სინტაქსური პრობლემები და აუცილებელი ხდება დამატებითი წესების შემოღება.

ტრანსფორმაციული მიდგომის თვალსაზრისით განსხვავებანი ფსიქოზმნიან კონსტრუქციებს შორის ძირითადად ზედაპირულ დონეზე მყდვანდება და წესთა თვისებებით განისაზღვრება და ლექსიკურ რუბრიკაში აისახება. წინდებულების ხმარება, უკუქცევითი ფორმის გამოყენება, „ადგილის“ არსებობა PP-სთვის თემატური მიდგომის თვალსაზრისით ყველა ჩამოთვლილი განსხვავება სიღრმის სტრუქტურაში აისახება და ამოქმედდება მოდის ზმნის მკაცრი — ქვე-კატეგორიზაციის წესების საფუძველზე (რიუვე, 1972, 181-196)

თემატური ანუ სემანტიკური ანალიზი შექმნეს ჯეკენდოფმა, გრუბერმა, ფილმორმა, ისინი სემანტიკურად მსგავს და ხშირად ომონიმურ ზმნებს ორ დიდ ჯგუფად ყოფენ:

A ჯგუფში შედის „mépriser“-ს მსგავსი ზმნები, ხოლო B-ჯგუფში **dégouter** — კლასი; ორივე ზმნა გარდამავალია.

თემატური ფუნქციები ერთგვარი სემანტიკური პრიმიტივებია, რომლებიც გამოხატავს (ფორმალურად) ისეთ ცნებებს, როგორცაა „აგენტი“, „ბაციენსი“, „ბენეფიციერი“, „ინსტრუმენტი“, „წყარო“, „მიზანი“, „თემა“ და სხვა. რომლებიც პროექციის წესების საშუალებით უკავშირდებიან არგუმენტებს ამ თემატურ პრიმიტივთაგან (ანუ თემა-როლთაგან) ყველაზე ნეიტრალური, ნაკლებმარკირებული — თემა. იგი ძირითადად გარდაუვალი ზმნების ქვემდებარეა. (ე.წ. ბუნებრივი მოვლენების გამომხატველ ზმნებში, თემა ჩართულია თვით ზმნაში. მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებში თემა მოძრავი NP-ეა, „ლოკატიურ“ ზმნებში თემა — ლოკალიზებული NP.

თემატური ფუნქციები განსხვავებულად ნაწილდებიან წინადადებაში, ე.ი. განსხვავებულ სინტაქსურ პოზიციას იკავებენ და ხშირად რამდენიმე მნიშვნელობას ითავსებენ. მაგალითად, აგენტის (სუბიექტის) თემატური ფუნქცია (თემა-როლი) იერთებს „წყარო+აგენტი“, „მიზანი+აგენტი“, „თემა+აგენტი“.

თემატური ფუნქციების თეორია აერთიანებს სემანტიკურ პრიმიტივებს, ახლოს დგას ფილმორის ბრუნვათა თეორიასთან, სემანტიკურ პრიმიტივებს აკავშირებს აბსტრაქტულ სინტაქსურ ცნებებთან და წარმოადგენს კონკრეტული და აბსტრაქტული, ფიზიკური და ფსიქოლოგიური პროცესების თანაკვეთის არეს.

მაგალითად, ქვემდებარე, ემოციის განცდის „ფსიქოლოგიური ადგილი“ არ წარმოადგენს ფსიქოზმნის ნამდვილ აგენტს, ხოლო თვითონ ზმნებიც მოქმედებას არ გამოხატავენ (**aimer, admirer, redouter**), სწორედ ამიტომ ხდება სუბიექტისა და ობიექტის თემა — როლების დამთხვევა. მაგალითად, ზმნების: „mépriser“ და „dégouter“ შემთხვევაში ლექსიკურ რუბრიკაში აისახება ფსიქოლოგიური პროცესის ერთი მხრივ — სუბიექტის, ხოლო მეორე მხრივ — ობიექტის მიერ შესრულება (განცდა).

méprisée [+V], [+ - NP], + [+ [Humain] -]

[+ [lieu] -]

dégouter [+V], [+ - NP], [± - humain], [+ - [- lieu] (რიუვე, 1972, 187)

შეიძლება გარდამავალ ზმნათა განსაზღვრული სიმრავლე განაწილდეს ორ კლასად, რომელთაგან ერთი „mépriser“, ხოლო მეორე

„dégouter“ — ს მსგავსად გაანალიზდება:

I. mépriser, aimer, adorer, admirer, détester, supporter, déplorer, redouter, regretter, estimer, apprécier.

II. dégoûter, amuser, intéresser, agacer, ennuyer, effrayer, gêner, terrifier, horrifier, humilier, surprendre, étonner, impressionner, préoccuper.

ტრანსფორმაციული მიდგომის თანახმად მოცემულ ზმნათა კონსტრუქციები შეიძლება დაექვემდებაროს შესაბამის ტრანსფორმაციებს, რომლებიც აისახება ზედაპირულ სტრუქტურებში, მაგალითად, წინ გამოტანა, სუბიექტის აწევა და ობიექტის შექმნა, ფსიქო მოძრაობა, განაცვალსახელება და უმახვილო ნაცვალსახელთა მოთავსება.

კორენფერენტული მიმართებების ანალიზის სრულყოფის მიზნით ჯეკენდოფი თემატურ ფუნქციებს შემდეგ იერარქიულ რიგს ანიჭებს:

1) თემა, 2) მიზანი, წყარო, ადგილი, 3) აგენტი.

ამ რიგის მიხედვით უკუქცევითი ნაცვალსახელი მხოლოდ ისეთი NP — ს კორენფერენტული შეიძლება იყოს, რომელსაც იერარქიაში მისი იდენტური ადგილი უჭირავს, ხოლო ის NP, რომელიც „აწევის“ მეშვეობით გადაადგილდა, იერარქიაში ყველაზე დაბალ დონეზე გადაინაცვლებს. (რიუვე, 1972, 216).

განსხვავება A და B კლასის ზმნებს შორის ძირითადად შემდეგი კონსტრუქციებით გამოიხატება:

NP₁ ... V ... NP₂

NP₂ ... V ... NP₁

ეს კონსტრუქციები მოიცავს ე. წ. „ომონიმურ ზმნათა“ სიმრავლეს, რომელთაგან A- ფიზიკური მოქმედების, ხოლო B- ფსიქოლოგიური პროცესის გამომხატველი ზმნაა; მაგ: განსხვავება ზმნა „frapper“-ს ორ ვარიანტს შორის, რომელთაგან „frapper_A“-ფიზიკურ მოქმედებას, ხოლო „frapper_B“- ფსიქოლოგიურ პროცესს გამოხატავს. მათ შორის განსხვავება დადგენილია სხვადასხვა ტრანსფორმაციული ტესტების და თემატური როლების ანალიზის საშუალებით.

agacer, altérer, abasourdir, affaiblir, agiter, anéantir, aigrir, apaiser, ahurrir, attendre, accrocher, affoler, attacher, attirer, affecter, achever, assombrir, bouleverser, broyer, brûler, briser, blinder, charmer, choquer, casser, chiffonner,

miner, manquer, mordre, nouer, outrager,

percer, peler, perturber, pénétrer, prendre, purifier,

révolter, ruiner, retourner, ronger, renverser, remuer, refroidir, rafraîchir,

rompre, raser, secouer, séduire, surprendre, saper, sonner, saouler, suffoquer, submerger et etc.

A და B კლასის ზმნებს შორის სისტემური მიმართება არსებობს. ფრანგულ ენაზე მოლაპარაკე ყველა გრძნობს ამ ორ ჯგუფს შორის არსებულ სემანტიკურ მიმართებას.

A და B ჯგუფებში მოთავსებული ზმნების NP სუბიექტი შეიძლება გამოხატავდეს ამ ზმნების მიერ გადმოცემულ პროცესთა მიზეზს. ხოლო NP ობიექტზე ეს პროცესი გარკვეული სახით მოქმედებს ან ეხება მას.

ორივე ჯგუფის ზმნები თავიანთი მნიშვნელობით უახლოვდებიან კაუზატივებს (მაგ: ნ.ჩომსკი ზმნას amuse (amuser) -ს განიხილავს კაუზატივის მნიშვნელობით be amused at)

A და B ჯგუფის ზმნების შიდა არეში განსაზღვრული მოძრაობა და არამდგრადობა შეიმჩნევა, მაგ: ომონიმურ ზმნათა ხმარებაში რემისტრული და სტილიდან მომდინარე განსხვავებული ხმარებანი, მნიშვნელობის ცვლილება და ჯგუფიდან ჯგუფში გადასვლა.

ამრიგად, ომონიმური ზმნების როგორც ტრანსფორმაციული, ასევე თემატური ანალიზი ზოგიერთ, ძირითად კითხვას ღიად ტოვებს: ეს საკითხი ეხება ფსიქოზმნათა შორის ომონიმის საკითხს. გადამწყვეტი ამ შემთხვევაში A და B ჯგუფებს შორის სიღრმის სტრუქტურათა იდენტურობა და სემანტიკური რეპრეზენტაციის დაკავშირებაა. აღსანიშნავია აგრეთვე არამკაფიო დიქტომიის არსებობა A და B ჯგუფის ზმნებს შორის, როგორც აღნიშნულ იქნა, ზმნები ხშირად მოძრაობენ ჯგუფიდან ჯგუფში და ზოგჯერ ძნელდება ზუსტი მნიშვნელობის გამიჯვნა, რაც ბუნებრივად წარმოქმნის გარდამავალ არეს.

ჩვეულებრივი ლექსიკონები ყველაზე კარგად ასახავს შესაბამის სალექსიკონო რუბრიკებში თავმოყრილ ბუნდოვანებას.

„ომონიმურ ზმნათა“ შორის, ზოგჯერ A და B ჯგუფებს შორის განსხვავება მოლაპარაკის მიერ აღიქმება, როგორც ერთ-ერთი მათგანის მეტაფორული ხმარება, მნიშვნელობის გარკვევას გააადვილებს ზმნიზედის „littéralement“ გამოყენება ასეთ კონსტრუქციებში; როდესაც A ტიპიდან არ გამოიყვანება B ტიპის მნიშვნელობა, უმჯობესია განსხვავებული ლექსიკური რუბრიკის დადგენა A და B ტიპებისათვის.

ბ. რიუვე „ომონიმური“ A და B ტიპის ზმნებს იყენებს „მარკი-

რების“ თეორიაში; არ განიხილება გარდამავალი ტიპის ზმნები; ყოველ ზმნას მიეწერება სათანადო სემანტიკური და სინტაქსური მახასიათებლების მქონე განსხვავებული ლექსიკური რუბრიკა, მაგალითად: არსებობს სამი ზმნა „toucher“ – toucher_A, - ფიზიკური ზედაპირის შეხების ზმნა; toucher_B- „ფსიქოლოგიური მდგომარეობის შეცვლის“ ზმნა; toucher_{A2} - „ფიზიკური მდგომარეობის შეცვლის“ ზმნა. არსებობს 2 „impressionner“, 2 – „efflurer“;

რუბრიკები შემდეგნაირად ყალიბდება:

toucher_{A2}: [+V], [+ - NP], [+ - [+ lieu], [+phys], [- changt], [- Np être [A --- ant]];

toucher_{A2}: [+v], [+ --- NP], [+ - [+ lieu]], [phis], [+changent], [- NP être [A --- ant]]

toucher_B: [+V], [+ - NP], [+ - [+ lieu]], [+ psych], [+ changt], [+NP être [A --- - ant]]

გრამატიკა უნდა შეიცავდეს განსაზღვრული რაოდენობის შეთანხმებებს, რომლებიც იმ როლს ასრულებენ, რომელსაც ასრულებდა აქამდე სიჭარბის წესები. თითოეული შეთანხმება ამბობს, რომ ზოგიერთ მოცემულ პირობებში, მახასიათებელი (αF) [სადაც α ცვლადია + ან –], გაიგება, როგორც არა — მარკირებული.

ეს შეთანხმებები ასე გამოიყურება

პირობებში (1..... , , C_n, [αF] → [uF]

(სადაც u —არამარკირებულია (unmarked)

შეფასების პრინციპი, რომელიც გაზომავს გრამატიკის სირთულეს მისი სიგრძის ცნებების გამოყენებით, ე.ი. იმ სიმბოლოთა რიცხვის გამოყენებით, რომლებიც იხმარება გრამატიკაში (სპეციფიკურულ მახასიათებელთა რიცხვი ლექსიკაში) არ იღებს მხედველობაში არამარკირებულ მახასიათებლებს. ეს პროცედურა ძლიერ ეკონომიურს ხდის მახასიათებელთა აღწერას ლექსიკაში და გრამატიკა, რომელიც ასეთ წესებს შეიცავს მარტივია და შეფასების მაღალი ხარისხით ხასიათდება.

მოცემულ შეთანხმებებში [αF, ... , βG] წარმოადგენს ფონოლოგიური და მორფოლოგიური მახასიათებლების მატრიცას.

1. თუ ლექსიკა შეიცავს რუბრიკა I, რომელიც მატარებელია მახასიათებლებისა [αF, ... , βG], [+V], [+ --- NP], [+ - [lieu]], [+ phys], ერთი მხრივ, რუბრიკისა J, რომელიც ატარებს მახასიათებლებს [αF, ... , βG], [+V], [+ --- NP], [+ - [lieu]], [+ psych], და მეორე მხრივ, მახ-

სიათებლები [αF, ... , βG], [+V], [+ --- NP], [+ -- [lieu]], [+psych], J-ში არამარკირებულია.

II. თუ ლექსიკა შეიცავს რუბრიკა I—ს, რომელიც ატარებს მახასიათებლებს [αF, ... , βG], [+V], [+ --- NP], [+ - [lieu]], [+ phys], ერთი მხრივ, და რუბრიკას, რომელიც შეიცავს ნიშნებს [αF, ... , βG], [+V], [+ --- NP], [+ - [lieu]], [+ changt], მეორე მხრივ, ნიშნები [αF, ... , βG], [+V], [+ --- NP], [+ - [lieu]], [+ phys], [+ changt] არამარკირებულია.

III. თუ ლექსიკა შეიცავს რუბრიკა J—ს, რომელიც ატარებს მახასიათებლებს [+V], [+ --- NP], [+ - [+ lieu]], [psych], [+changt], ნიშანი [+changt] I—ში არამარკირებულია.

IV. თუ ლექსიკა შეიცავს რუბრიკას I, რომელიც ატარებს ნიშნებს [+V], [+ --- NP], [+ - [+ lieu]], [+ psych], [+NPêtre [A --- - ant], მახასიათებელი [+NPêtre [A --- - ant] I—ში არამარკირებულია.

V. თუ ლექსიკა შეიცავს რუბრიკა I-ს, რომელიც ატარებს მახასიათებლებს [+V], [+ --- NP], [+ - [+ lieu]], [+ phys], [- NPêtre [A --- - ant], მახასიათებელი [- NPêtre [A --- - ant] I—ში არამარკირებულია.

VI. ეს შეთანხმებები შეესაბამება შემდეგ ინტუიციურ მონაცემებს:

I ნიშნავს, რომ თუ არსებობს ლექსიკაში ფიზიკური ქმედების გარდამავალი ზმნა, არსებობს აგრეთვე გარდამავალი ფსიქოლოგიური ზმნა — ომონიმი.

II. ნიშნავს, რომ თუ არსებობს ლექსიკაში ზმნა, რომლის ობიექტი არის „ადგილი“ არსებობს ზმნა ომონიმი, რომელიც აღნიშნავს მდგომარეობის შეცვლას.

III. აღნიშნავს, რომ ფსიქოლოგიური ზმნა საინტერესო კლასისა ამავე დროს არის მდგომარეობის შეცვლის ზმნა.

IV. აღნიშნავს, რომ ფსიქოლოგიური ზმნისთვის ნორმალურია ფიგურირებდეს NP₁ être [A Vant] (pour NP₂) — ჩარჩოში.

V. ამბობს, რომ აქ ფიზიკური მოქმედების ზმნები არ შედის ზემოთ დასახელებულ ჩარჩოში.

ყველგან გამონაკლისს წარმოადგენს ზმნები **effleurer, heurter**.

I-V შეთანხმებების გამოყენება იძლევა მახასიათებელთა დიდ ეკონომიას. ამრიგად:

toucher [+ V], [+ -- NP], [+ - [+ lieu]], [+ phys], [- chant ...]

étonner : [+V], [+ --- NP], [+---[+ lieu]], + [psych] ...

impressionner: [+V], [+ -- NP], [+ - [+ lieu]], [+phys], [+changt],

[laisser une image sur une pellicule photographique] ...

ეს შეთანხმებები არაფერს ამბობს ფსიქოლოგიური ზმნების მეტაფორულ თუ არამეტაფორულ მნიშვნელობაზე. ასეთი წესები ჯერ არ შემუშავებულა (რიუვე 181-250). ფილმორის ბრუნვათა თეორიის მიხედვით A კლასის ზმნების ბაზისური მნიშვნელობა „ფიზიკური მოქმედება“, მათ შორის ორი სემანტიკური კლასი გამოიყოფა: „casser“—ს ტიპის ზმნები „მდგომარეობის შეცვლის ზმნებს“ წარმოადგენენ (ობიექტი განიცდის მდგომარეობის შეცვლას); „frapper“—ს ტიპის ზმნები „ზედაპირთან შეხების“ გამომხატველი ზმნებია და გამოხატავენ კონტაქტს ორ ობიექტს შორის, მაგრამ ობიექტი არ განიცდის აუცილებლად ძირულ ცვლილებას. I ჯგუფის ზმნები ითხოვენ ობიექტურ ბრუნვას და აქვთ კაუზატიური ხასიათი; ამ შემთხვევაში სუბიექტი იწვევს მდგომარეობის შეცვლას ობიექტში.

II ჯგუფის ზმნები ითხოვენ „ლოკატივს“. აღნიშნული სემანტიკური განსხვავებანი სინტაქსურ განსხვავებებში აირეკლება. I ჯგუფის ზმნები აწარმოებენ სტატიკურ ზედსართავებს (ნამყო დროის მიმდევების pp — ომონიმებს), რომლებიც მოქმედების შედეგს აღნიშნავენ და სუბიექტი ამ შედეგის მატარებელია.

ზედაპირთან შეხების ზმნები სხეულის ნაწილების სახელებთან (გაუსხვისებადი საკუთრება) ქმნიან ლოკატიურ წინდებულებას სახელად ჯგუფს, რომლებშიც მფლობელი — პირდაპირი ობიექტია, ხოლო PNP- სხეულის ნაწილის სახელი. ორივე ტიპის ზმნასთან ობიექტს იდენტური თემატური ფუნქცია უნდა ჰქონდეს, B ჯგუფში მიმართება ზმნასა და ობიექტს შორის იცვლება **frapper_B, toucher_B** და **blesser_B** „ფსიქოლოგიურ ცვლილებას“ უნდა გამოხატავდეს, რაც კიდევაც მტკიცდება წარმოებული სტატიკური ზედსართავების საშუალებით:

Pierre est touché [blessé, frappé] de ce que tu lui as dit.

ფილმორის თეორია ისევ ეჭვის ქვეშ აყენებს A და B ჯგუფებს შორის სემანტიკური მიმართების რეგულარობას, ზღვარი A და B ჯგუფებს შორის ისევ არამკვეთრი რჩება და არც ომონიმია ინარჩუნებს სტაბილურობას. ირდევ ფილმორისეული განზოგადება წინდებულებიანი ლოკატივის შესახებ. A ტიპში იგი დასაშვებია, B ჯგუფი — იყენებს ძირითადად „ფსევდო ლოკატივებს“, და ამ ჯგუფის ყველა ზმნა არ აწარმოებს შესაბამის სტატიკურ ზედსართავებს.

არსებობს „ფსიქოლოგიური ზედაპირის შეხების ზმნები“, ხოლო

A ტიპის ზმნათაგან ზოგიერთი „მდგომარეობის შეცვლასაც გამოხატავს“, ამრიგად, ისევ არარსებული მკვეთრი განსხვავება A და B ტიპებს და შესაბამისად ბრუნვათა „locatif“ vs „objectif“ და თემატურ „lieu“ vs „affecte“ - ფუნქციებს შორის.

ნ. რიუვეს მიაჩნია, რომ უმჯობესია ორივე ჯგუფის ზმნები მარკირებულ იქნეს [+ -- [+ lieu]] მახასიათებლით, რაც გარკვეულ რაოდენობას მდგომარეობას შეუცვლის (რიუვე, 1972, 245)

ბმისა და მართვის თეორია ფსიქოზმნებს განიხილავს ამ თეორიაში აღიარებული ცნებითი აპარატის ფარგლებში; ამოსავალი ენებია ზმნათა კლასიფიკაციის განსხვავებული პრინციპები, არგუმენტთა რაოდენობა, განაწილება და მათთვის თემა-როლებისა და ბრუნვის მიწერა, რეფერენციისა და კორეფერენციის საკითხები, მნიშვნელობის ცვალებადობა.

ლიტერატურა:

ბელეტი, 1988 — Belletti A. Psych Verbs and Theta Theory. Natural Language and Linguistic Theory. 1988

ბუშარი, 1992 — Bouchard D. Psych Constructions and linxing to Conceptual Structures. Hirschbuhler and Koerner. 1992

დიუბუა, 1967 — Dubois J. grammaire structurale de français. Le verbe. Larousse, Paris, 1967

კეინე, 1977 — Kayne R. Syntaxe du français. Editions du Seuil. Paris 1977

რიუვე, 1972 — Ruwet N. Théorie syntaxique et syntaxe du français. Paris, Edition du Seuil, 1972

ჩომსკი, 1987 — Chomsky N. La nouvelle syntaxe. Edition du Seuil. Paris 1987

KETEVAN REKHVIASHVILI

The Analysis Various Theoretical Standpoints on Psychovebs

Summary

Psyloverbs are a big class of verbs conveying the meaning of non-active predication. The y form homonymous groups and are characterized by reverse order of theta-roles; they change meanings that creafes ambiguity between the distribution of arguments and theta-roles.

The verbs in question can mostly be considered to be medial voice verbs since the action is mainly concentrated round non-theematic subjects or objects directed towards the subject. N. Reuvel uses the homonymous A and B type verbs for the marking theory, Fillmore doubts the existance of semantic relation regularity between the groups A and B...

The boundary between the given verb groups is vagne and homonymy is unstable. The three classes of psychoverbs reveal three different types of deep structure configuration; transitive, non-dative, non-accusative. The paper examines the verbs in question from the standpoints of various theories.

ციალა საპარული

კონვერგენცია რობორტ სემანტიკური პროცესი

გადაბმის, ანუ შეჭიდულების პრობლემა ტექსტში თანამედროვე ენათმეცნიერების ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემათაგანია. აღნიშნული საკითხის შესწავლას მრავალი საინტერესო ნაშრომი მიეძღვნა (შენგელაია, 1987; ჰუსეინოვი, 1981; ატაევა, 1981), რაც განპირობებულია მეცნიერების ინტერესით შეისწავლონ ენის კომუნიკაციურ-პრაგმატიკული თავისებურებები. სწორედ ტექსტური კავშირების მოთხოვნილებათა ჭრილშია საინტერესო ტექსტის ერთეულთა სემანტიკური ურთიერთმიმართებების ხასიათის დადგენა.

გ. გაკი თავის შრომაში აღნიშნავს (გაკი, 1971), რომ ლექსიკურ ერთეულთა უნარი, საერთო სემანტიკური ნიშნის არსებობის საფუძველზე დაუკავშირდნენ ერთმანეთს, მათი სემანტიკური სტრუქტურების მსგავსებითაა განპირობებული. ტექსტში სიტყვის სემანტიკური ბუნების ასეთმა ინტერპრეტაციამ ენათმეცნიერებს შესაძლებლობა მისცა ახლებურად დაენახათ ტექსტში მიმდინარე პროცესები: ენის კომუნიკაციურ-პრაგმატიკული ასპექტიდან გამომდინარე, ენას აქვს უნარი გაზარდოს თავისი რეალიზაციის შესაძლებლობების საზღვრები, გამოიძებნოს აქტუალიზაციის ახალი ფორმები. სწორედ ენის ასეთი უნარის გამო საუბრობენ ენის სისტემის „ჩაკეტილობასა“ და „ლიაობაზე“. ენობრივი სისტემის „ჩაკეტილობა“ ამ სისტემის მოწესრიგებულობას გულისხმობს, „ლიაობა“ კი — მის უნარს გაზარდოს მოდალობით დატვირთული ენობრივი პროცესების სახეები, რის საფუძველზედაც კონტექსტებში მთელი რიგი მხატვრული ხერხები რეალიზდება.

„ტექსტური კავშირების“ ხასიათის დასადგენად მხოლოდ უშუალო სინტაქსური კავშირების შემადგენელ ერთეულთა შორის საერთო სემის დადგენა საკმარისი არ არის. ტექსტში რეალიზდება სხვადასხვა ხასიათის კონტექსტუალური ურთიერთობები, როგორცაა ჩამონათვალი, განკერძოებული სტრუქტურები და სხვა, რომელთა

ერთიან კონტექსტში ჩართვის პირობების დადგენა საერთო სემის არსებობის საფუძველზე შეუძლებელია, საჭიროა ისეთი სემანტიკური განზომილების შემოტანა, რომელიც ტექსტში ერთეულთა შეჭიდულობის კიდევ ერთი საფუძველი იქნება. ვფიქრობთ, „სემანტიკური ველის“ პარამეტრი წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ „ტექსტური კავშირების“ კვლევისას.

კონვერგენცია, ლექსიკურ ერთეულთა დაახლოება-დამსგავსება, შემადგენელ სემათა დინამიკური ხასიათითაა განპირობებული. მთელი რიგი ავტორების შრომებში კონვერგენცია განხილულია როგორც სტილისტური (რიფატერი, 1960), უმთავრესად სინტაქსური (ლური, 1957; ობნორსკაია, 1972) ხერხი.

საინტერესოა, რომ ი. გალპერინი თავის ნაშრომში (გალპერინი, 1977) კონვერგენციას სტილისტურ ხერხებს შორის არ მოიხსენიებს. ი. არნოლდი კი კონვერგენციას, კერძოდ კი — სინტაქსურ კონვერგენციას, როგორც სტილისტურ ხერხს, თავის წიგნში ცალკე თავს უძღვნის (არნოლდი, 1973).

ჩვენი აზრით, ენობრივ ერთეულთა დამსგავსება-დაახლოების პროცესის, კონვერგენციის სინტაქსურ-სტილისტურ ხერხად მიჩნევა არ არის გამართლებული. კონტექსტებში კონტექსტუალური მიკრო და მაკრო სემანტიკური ველების რეალიზაციის შესაძლებლობების გამო, სადაც არასისტემური ხასიათის არქისემა რეალიზდება, მთელი რიგი სტილისტური ხერხები სწორედ კონვერგენციის სემანტიკური პროცესითაა განპირობებული (მეტაფორა, ოქსიუმორონი, მეტონიმია და სხვა), მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კონვერგენცია სტილისტური ხერხია.

ჩვენ განვასხვავებთ „სემანტიკური ველის“ ორ ტიპს: სისტემურს და არასისტემურს (კონტექსტუალურს). სისტემური ხასიათის სემანტიკური ველი ენაში ყოველგვარი კონტექსტის გარეშე რეალიზებული, იგი ხომ ლექსიკურ ერთეულებს ერთი ცნების ქვეშ აერთიანებს. არასისტემური (კონტექსტუალური) ველი ისეთ ლექსიკურ ერთეულთა ერთიანობაა, რომლებიც ენის სისტემურობისაგან დამოუკიდებლად კონტექსტებში სიტუაციურად არიან განპირობებულნი. სწორედ ამ მიზეზის გამო, ჩვენ მათ არასისტემურ (კონტექსტუალურ) სემანტიკურ ველს ვუწოდებთ.

წარმოდგენილ შრომაში კონვერგენციის მოვლენას განვიხილავთ როგორც ჩამონათვალში ან სხვა დანაწევრებულ სინტაქსურ კავში-

რებში რეალიზებული ერთეულების სემანტიკურ პარამეტრს, ხოლო „სემანტიკური ველის“ პრინციპს, როგორც კონვერგენციის პროცესის განმაპირობებელს.

ტექსტში რეალიზებული ყოველი ჩამონათვალი შეიძლება იყოს სისტემური ან არასისტემური, ანუ კონტექსტუალური. ჩამონათვალს სისტემური ხასიათი აქვს მაშინ, როდესაც მისი შემადგენელი ერთეულები განიხილებიან ერთი სისტემური სემანტიკური ველის წევრებად. ამ შემთხვევაში კონვერგენცია სისტემური ხასიათისაა, მაგალითად:

I'll be among a bunch of young kids, I realize, doing chemistry and zoology and physiology and physics and math and anatomy (1,266).

მოცემულ კონტექსტში რეალიზებული ჩამონათვალის შემადგენელი ერთეულები ერთი სისტემური სემანტიკური ველის — „მეცნიერებათა სახეები“ — წევრები არიან, რის გამოც მათ შორის აქტუალიზდება შესაბამისი არქისემა და კონტექსტის მთლიანობას განაპირობებს რეალიზებულ პოლისინდენტონის სტილისტურ ხერხთან ერთად.

ისეთ კონტექსტში, სადაც ჩამონათვალის შემადგენელი ლექსიკური ერთეულები ერთ სისტემურ სემანტიკურ ველს არ მიეკუთვნებიან, მაგრამ ერთიანდებიან კონტექსტით (სიტუაციურად) განსაზღვრულ სემანტიკურ ველში, ხდება კონტექსტის შემადგენელი ლექსიკური ერთეულების დაახლოება არასისტემური საერთო არქისემის ინდუცირების საფუძველზე, რის გამოც კონტექსტი სტილისტურად დამუხტულია, ხოლო მისი ერთიანობა — დაცული, მაგალითად:

The hut appeared to be a storehouse for odds and ends, worn out mats and baskets with holes in them, old horns and bones, knives, nets, ropes and the like (1,126).

მოცემულ კონტექსტში რეალიზებული ჩამონათვალის შემადგენელი ლექსიკური ერთეულები შეიძლება გაერთიანდეს არა რომელიმე სისტემური ხასიათის სემანტიკურ ველში, არამედ სიტუაციურად განსაზღვრულ კონტექსტუალურ ველში „ხელთ არსებული ყველანაირი ნივთი“, რის გამოც ტექსტში რეალიზებული გამონათქვამის ერთეულები „შეჭიდულების“ ძალას ინარჩუნებენ, თვით ტექსტი კი „მოულოდნელობის ეფექტის“ სტილისტური ხერხითაა დამუხტული ასინდენტონისა და პოლისინდენტონის სტილისტურ საშუალებებთან ერთად.

სწორედ მოქმედი კონვერგენციის სემანტიკური პროცესის გამო შეიძლება შემდეგ კონტექსტში ერთმანეთისგან ერთი შეხედვით სე-

მანტიკურად დაშორებული ელემენტების დაკავშირება:

(ღმერთებზე) **They ruled the air, the mountains, fire, planets, cattle, sickness, clouds, birds, death (1,170).**

მოცემულ კონტექსტში ჩამონათვალის საერთო ნიშნის არმქონე ლექსიკური ერთეულები სწორედ არასისტემურ კონტექსტუალურ სემანტიკურ ველში — „ყველაფერი ამქვეყნიური“ ერთიანდებიან და შედეგად ხდება შემადგენელი ლექსიკური ერთეულების დაახლოება-დამსგავსება, მათი კონვერგენცია; თვით კონტექსტი სტილისტურად დამუხტულია „მოულოდნელობის ეფექტის“ სტილისტური ხერხის რეალიზაციის გამო.

ჩამონათვალი (დეტალიზაცია) კონტექსტში არა მარტო ცალკეული ლექსიკური ერთეულებით შეიძლება რეალიზდეს, არამედ პარალელური კონსტრუქციებითაც, განმეორებებით და სხვა. ისევე როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულებით ჩამონათვალის დროს, სიტყვათკავშირებით ჩამონათვალის დროსაც კონვერგენციის სემანტიკური პროცესი შეიძლება იყოს სისტემური და არასისტემური (კონტექსტუალური). სისტემური ხასიათის სიტყვათკავშირებით პარალელური ხასიათის ჩამონათვალის დროს კონვერგენციაც სისტემურია, ანუ კონტექსტის ერთიანობა სისტემური ხასიათის სემანტიკური ნიშნის საფუძველზე რეალიზდება. მაგალითად:

(პოლის დანახვისას) **If she could be mistress of him in his weakness, take care of him, if he could depend on her, if she could, at it were, have him in his arms, how she would love him (2,192).**

მოცემულ კონტექსტში რეალიზებულია ანაფორული პარალელური კონსტრუქციები. კონტექსტის მთლიანობა უზრუნველყოფილია კონსტრუქციებს შორის სისტემური ხასიათის სემანტიკური ველის „სიყვარულის რომანტიკა“ რეალიზაციით, რაც მათი სემანტიკური კონვერგენციის პროცესის საფუძველია.

კონტექსტების ანალიზი ცხადყოფს, რომ მთელი რიგი ანაფორული კონსტრუქციები „შეჭიდულობის ძალას“ შეიძლება არასისტემური ხასიათის კონვერგენციის საფუძველზე იძენდნენ, რაც ამ კონსტრუქციების სწორედ არასისტემური ხასის კონტექსტუალურ სემანტიკურ ველში გაერთიანების შესაძლებლობითაა განპირობებული. მაგალითად:

Therefore, I continued, while I told myself what a rare and probably great man that king was, how he must be nothing less than a genius, and how as-

tonishly his personal beauty was, how the hum he made reminded me of that power station on 16th street in New York on a hot night, how we were friends and bound by a truth-telling agreement (1,205).

მოცემულ კონტექსტში ანაფორული კონტექსტებით რეალიზებული ჩამონათვალი ვერც ერთ სისტემურ სემანტიკურ ველში ვერ გაერთიანდება. კონტექსტში მათ „შეჭიდულობას“ (მთლიანობას) არასისტემური კონტექსტუალური სემანტიკური ველის „პიროვნული აღქმა“ დაფიქსირება განაპირობებს, რაც შესაბამისად, სემანტიკური კონვერგენციის საფუძველია. იმის გამო, რომ ენაში სემანტიკური ველი „პიროვნული აღქმა“ არასისტემური ხასიათისაა, კონტექსტში სტილისტური ხერხი „მოულოდნელობის ეფექტი“ არის რეალიზებული.

საინტერესოა, რომ ჩამონათვალი უმეტესად კულმინაციური კიბის დასრულებით ხასიათდება, რაც მხატვრული ტექსტის შინაარსის ემოციური მუხტისათვის ძალზე მომგებიანი ტექსტური სვლაა. ასეთ ტექსტებში დაკავშირებული ერთეულები არასისტემური ხასიათის ლექსიკური ოდენობებია. ტექსტის დეკოდირებისას ამ ერთეულების სემანტიკური კავშირის დადგენა — კონვერგენციის პროცესის მიკვლევა სიფრთხილეს მოითხოვს. მაგალითად:

How can I disinter the human character from the heavy scene - the daily newspaper, the daily mail, the traffic grinding towards Battersea, the gulls coming up from the Thames looking for bread, and the early summer of 1939 glinting on the park where the children sailed their boats – one of those bright condemned pre-war summers (3,25).

მოცემულ კონტექსტში ჩამონათვალი კულმინაციის (climax) განკერძოებული ფორმით მთავრდება; ჩამონათვალის ერთეულები კი არასისტემური სემანტიკური ველის „ბანალური სურათები“ წევრებია და არასისტემური ტიპის კონვერგენციის სემანტიკურ პროცესს ექვემდებარება.

ჩამონათვალის რეალიზაციისას ხშირად ხდება შემადგენელი ერთეულის განკერძოება, რაც რეალიზებული მნიშვნელობის ხაზგასმას ემსახურება. მაგალითად:

My heart is beating fast and here is Mlle. Montecuccoli whose fifty-year-old face is heart-shaped and who has a slender long smile of French, Italian and Romanian pathos; and the large bust (1,114).

მოცემულ კონტექსტში ჩამონათვალის ბოლო წევრი განკერძოე-

ბულია, რაც მის მიერ რეალიზებულ შინაარსს განსაკუთრებულად გამოყოფს. ჩამონათვალის წევრთა სემანტიკურ კონვერგენციას უზრუნველყოფს არასისტემური (კონტექსტუალური) სემანტიკურ ველში — „უცნაური გარეგნობა“ გაერთიანების შესაძლებლობა, რაც კონტექსტის შეჭიდულობის განმაპირობებელი სემანტიკური ფაქტორია.

ჩამონათვალი კონტექსტებში პარაფრაზით შეიძლება იყოს წარმოდგენილი. მაგალითად:

(ბავშვებს ეჯავრებოდათ მამა მთვრალი რომ მოდიოდა სახლში)
They had one tight place of anxiety in their hearts, one darkness in their eyes, which slowed all their lives (2, 99).

მოცემულ კონტექსტში პარაფრაზული სიტყვათკავშირები **one tight place of anxiety in their hearts, one darkness in their eyes** კონვერგენციის სემანტიკურ პროცესს ექვემდებარებიან, რაც მათი ერთ არასისტემური (კონტექსტუალური) სემანტიკურ ველში წარმოდგენის შესაძლებლობით დასტურდება. აღნიშნული ველი შეიძლება განისაზღვროს როგორც „გამოუთქმელი დარდი“.

ამრიგად, კონვერგენცია სტილისტურ ხერხს არ წარმოადგენს, როგორც ზოგ ენათმეცნიერს მიაჩნია, იგი ენობრივ ერთეულთა სემანტიკური დაახლოება-დამსგავსების პროცესია. კონვერგენციის გზით რეალიზებული სტილისტური ხერხი შეიძლება იყოს განკერძოება, გამეორება, პარაფრაზი, მოულოდნელობის ეფექტი და სხვა.

კვლევისას „სემანტიკური ველის“ თეორიის ზოგადი პრინციპების გამოყენებამ საშუალება მოგვცა გამოგვეყო სემანტიკური ველის ორი სახე:

ა) სისტემური სემანტიკური ველი (ენის სისტემით განსაზღვრული);

ბ) არასისტემური (კონტექსტუალური) სემანტიკური ველი, სადაც ენობრივი ერთეულების არსებობა კონტექსტითაა განპირობებული.

წარმოდგენილ სტატიაში შევისწავლეთ ჩამონათვალის შემადგენელი ნაწილების სისტემური და არასისტემური (კონტექსტუალური) კონვერგენციის თავისებურებები. კონვერგენცია, როგორც სემანტიკური პროცესი კონტექსტის შემადგენელ ერთეულთა „შეჭიდულობის“ ერთ-ერთი ფაქტორია.

შენგელაია, 1987 — ნ. შენგელაია, ტექსტის ლინგვისტიკის პრობლემები, თბილისის 1987 წ.;

ჭუსეინოვი, 1981 — Гусейнов А. Р., Некоторые вопросы связного текста, Баку, 1981, Материалы конференции “Функциональные и контекстуальные уровни языковой системы“, Баку, 1981.;

ატაევა, 1981 — Атаева Е.А., Элементы связанности в романе Ф.С.Фицджеральда „Великий Гетсби“, Ашхабад, 1981.;

გაკი, 1971 — Гак, В.Г., Семантическая структура слова как компонент семантической структуры высказывания, კრ. Семантическая структура слов, Москва, 1971;

რიფატერი, 1960 — Riffaterre M., Stylistic Context, Word, Aug., vol. 16, №2 ;

ლურია, 1957 — Louriа I. La convergence stylistique chez Proost, Paris, 1957;

ობნорსკაია, 1972 — Обнорская М.Е., Синтаксические конвергенции, კრ. Ученые записки ЛГПИ им. Герцена, т. 491, 1972;

გალპერინი, 1977 — Galperin I., Stylistics, Moscow, 1977;

არნოლდი, 1973 — Арнольд И.В., Стилистика современного английского языка, Ленинград, 1973.

წყარო:

Bellow S., Henderson, The Rain King, Penguin Books, 1981;

Lawrence D.H., Sons and Lovers, Penguin Books, 1981;

Christie A., Death in Clouds, The Barkley Books, 1984..

Convergence As A Semantic Process

Summary

The paper argues that convergence is a semantic process and not a stylistic device like some linguists consider it to be.

The paper is an attempt to study convergence as a semantic process in such linguistic units as `enumeration~ where the character of integrity of its elements is explained with the help of systematic or non-systematic semantic fields.

ჯამბაჯ სალუში

არაბული სამყარო და საადი

შეიხ საადი შირაზელი (1184-1294) სპარსული კლასიკური ლიტერატურის ბრწყინვალე წარმომადგენელია. საადის შემოქმედებაში ყველაზე ცნობილია დიდაქტიკური ხასიათის თხზულებები - ლექსების კრებული „ბუსთანი“ („ბაღი“, „ბოსტანი“) და ლექსნარევი პროზით დაწერილი არაკების კრებული „გოლესთანი“ („ვარდნარი“).

„ბუსთანი“ შედგება შესავლისა და ათი კარისგან: სამართლიანობის, ქველმოქმედების, სიყვარულის, მორჩილების, კმაყოფილების, ბედით კმაყოფილების, აღზრდის, მადლიერების, სინანულისა და სამართლიანი გზის, ლოცვებისა და წიგნის დამთავრების შესახებ.

„გოლესთანი“ შედგება შესავლისა და რვა კარისგან: მეფეთ საქციელისთვის, დარვიშთა ზნეობისთვის, ბედით კმაყოფილებისათვის, დუმილით სარგებლობისთვის, სიჭაბუკისა და სიყვარულისთვის, სიბერისა და უძლურებისთვის, აღზრდის გავლენისა და საუბრის წესისათვის.

„ბუსთანისა“ და „გოლესთანის“ გვერდით საადიმ შექმნა ლირიკული ნაწარმოებები, კერძოდ, ყაზალები. დავით კობიძის აზრით, საადის ყაზალები „მუსიკალურობით, მხატვრული ფერებით და წარმტაცი პოეტური სახეებით ჰაფეზის შეუდარებელ ყაზალებს არ ჩამოუვარდებიან“ (კობიძე, 1975, 347), ხოლო მოჰამად თაყი ბაჰარი მაღალ შეფასებას აძლევს საადის პროზის დახვეწილობას, მხატვრულ-ამსახველობითი სამკაულების ოსტატურ გამოყენებას, რის შედეგად მან დასაბამი მისცა „პროზული ლექსის“ („შეწერ მანსურ“) ჟანრის ჩამოყალიბებას სპარსულ ლიტერატურაში (ბაჰირი, 1370, 154).

დაწყებითი განათლება საადიმ მშობლიურ შირაზში მიიღო, ხოლო მუსლიმურ თეოლოგიაში, სამართალმცოდნეობაში, არაბულ ლიტერატურაში, ლოგიკასა და პოეტიკაში საფუძვლიანი ცოდნა შეიძინა ბაღდადის განთქმულ მედრესე „ნიზამიეში“, რომელიც სელჩუკთა იმ-

პერიის „პოლიტიკური დროშის“ ვეზირ ნიზამ ალ-მულქის (XI ს.) ინიციატივით დაარსებულ შვიდ სასწავლებელთა შორის უმნიშვნელოვანეს საგანმანათლებლო ცენტრს წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ „ნიზამიეში“ ყველა მოსწავლე ახალგაზრდა სახელმწიფოს კმაყოფაზე იმყოფებოდა. ბაღდადის მედრესე „ნიზამიეში“ სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ მუსლიმურ სამყაროში ცნობილი მეცნიერები და მოღვაწეები, როგორცაა მუჰამედ ალ-ლაზალი, შაჰაბ ად-დინ სოჰრეგარდი, იბნ ალ-ჯაუზი და სხვები. ცნობილმა ირანელმა მეცნიერმა და მწერალმა საიდ ნაფისიმ ბაღდადის „ნიზამიეს“ ისტორიას მიუძღვნა წიგნი (ს. ნაფისი), რომელიც არაბულ ენაზე თარგმნა აგრეთვე ცნობილმა მეცნიერმა ჰოსეინ ალი მაჰფუზმა (მაჰფუზი, 1953) საადიმ სამი ათეული წელი დაყო ბაღდადში, როგორც „ნიზამიესა“ და მედრესე „მუსთანსირიეს“ მუდარისმა (ნ. მა'რუფი, 1354).

მრავალმხრივი მომზადებისა და ერთდროული მქონე მართლმორწმუნე მუსლიმს მორალურად ევალეზობდა ყოფილიყო ზნეობრივი სიწმინდისა და ღვთისადმი სიყვარულისა და ერთგულების მქადაგებელი. სწორედ ასეთად გვევლინება საადი როგორც მწერალი, პოეტი, მოძღვარი და დამრიგებელი (ბაჰირი, 1370, 111).

საადიმ თავისი სიცოცხლის თითქმის ნახევარი დაყო მუსლიმურ ქვეყნებში, ერაყის გარდა, სირიაში, მცირე აზიასა და სხვა ქვეყნებში. იგი მოწმე იყო ამა ქვეყნის ძლიერთა ძალადობისა. მან გადაიტანა ბევრი გაჭირვება და გადალახა მრავალი სიძნელე. საადი მოწმე გახდა ქალაქების დანგრევისა და მშვიდობიანი მოსახლეობის დარბევისა, რაც თან სდევდა ირანში მონღოლთა ურდოების შემოსევას. სიცოცხლის ბოლო პერიოდში, სა'დ ბენ აბუ ბაჰრის ზეობის დროს საადი დაბრუნდა მშობლიურ შირაზში (მაჰფუზი 1957, 6).

საადის ღრმა განსწავლულობამ და შექმნილმა დიდმა გამოცდილებამ განაპირობა მისი ნაწარმოებების დატვირთვა ცხოვრებისეული ფილოსოფიით, პრაქტიკული მორალით. საადის აზრით, ადამიანის სიცოცხლე წუთიერია, სიმდიდრეცა და სიღარიბეც წარმავალია. საადი შირაზელი გვასწავლის, რომ სამი რამ არის, რისი არსებობაც სამი რამის გარეშე არ შეიძლება: სიმდიდრის შექმნა ვაჭრობის გარეშე, მეცნიერების განვითარება კამათისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის გარეშე, სახელმწიფო გონიერი მმართველის გარეშე.

როგორც აღვნიშნეთ, საადი ზედმიწევნით ფლობდა არაბულ ენას, ხოლო როგორც ღრმად განსწავლული თეოლოგი და მარ-

თლმორწმუნე მუსლიმი დეტალურად იცნობდა საღვთო წიგნს ყურანს, რელიგიური ხასიათის მდიდარ ლიტერატურას და აგრეთვე საერო არაბული ლიტერატურის ნიმუშებს. თავის შემოქმედებაში საადი ფართოდ იყენებს ყურანსა და სხვა არაბულ წერილობით წყაროებს, ანდაზებს, თქმებს. განსაკუთრებით იგი დიდ ინტერესს იჩენს ცნობილი არაბი პოეტის ალ-მუთანაბის შემოქმედებისადმი (მაჰფუზი, 1957). საადი დიდი ოსტატობით იყენებს აიებს ყურანიდან, სენტენციებს არაბულ ენაზე, მთელ ნაწყვეტებს არაბი პოეტების ნაწარმოებებიდან. ამა თუ იმ ჰეჰაიათის თხრობისას ან რჩევა-დარიგების მოცემისას რიგი აიებისა უცვლად არის გამოყენებული საადის მიერ, ზოგჯერ კი აიას შინაარსი ოსტატურადაა მოქცეული საადისეული სპარსული ლექსისა თუ პროზული ტექსტის სეგმენტურ ქსოვილში. საადი თხზავდა „ჭრელ ლექსებს“, „ჭრელ ყასიდებს“. „ეს სახელწოდება ამ ყასიდებმა იმიტომ მიიღეს, რომ ისინი ორ ენაზეა შეთხზული. ასეთი სახის ყასიდებში თუ ბეითის პირველი ნახევარი სპარსულია, მეორე არაბული იქნება. მეორე ბეითში კი, პირიქით: პირველი ნახევარი არაბულია, მეორე — სპარსული“ (კობიძე, 348). საადის ზოგი ნაწარმოები მთლიანად არაბულ ენაზეა დაწერილი.

ამრიგად, საადის შემოქმედებაში უხვადაა გამოყენებული არაბული ლექსიკა, სენტენციები, წინადადებები და ლექსები. მაგრამ, როგორც აღნიშნავენ სპეციალისტები, საადი ზომიერად ხმარობს არაბიზმებს და ერიდება „ძნელი“ არაბული სიტყვების ხმარებას, რომლითაც თავს იწონებდა ზოგი მისი თანამედროვე სწავლული (ბაჰირი, 1370, 202). საინტერესოა ზოგიერთი სემანტიკური თავისებურებანიც, რაც ვლინდება საადის მიერ არაბული ლექსიკური ერთეულების გამოყენებაში: არაბ, *ihyā* „აღორძინება“ „ცოცხლად შენახვა“ — საადისთან ხალხის, ტომის „საცხოვრებელი ადგილის“ მნიშვნელობით; *sā'at* - ყურანში — „მეორედ მოსვლა“ — საადისთან „აბსოლუტური დროის“ მნიშვნელობით; ხოლო არაბ. *hukīya* -ს ნაცვლად საადი ხმარობს სპარსული *āvarde and* -ს — „მოუყოლიათ“, „ამბობენ“.

აგრეთვე ყურადღებას იქცევს არაბული არსებითი სახელების მსხვრეული მრავლობითის ფორმები და არსებითი+ სპ. ფორმანეთი სტრუქტურის მონაცვლეობა: *hakim – hokamā – hakimān , ālem – olamā – alemān , zāhed – zohadā – zāhedān* .

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ მთელ აღმოსავლეთში განთქმულია საადი შირაზელის მიერ რვა საუკუნის წინ სპარსულ და

არაბულ ენებზე შექმნილი ბრწყინვალე პოეზია და პროზა. მის მდიდარ მემკვიდრეობას ვერ შეეხო დროთა გრივალი. საადი უხვად აფრქვევდა ტკბილი იუმორით შეზავებულ სიბრძნის მარგალიტებს სპარსულ და არაბულ ენებზე.

„გოლესთანის“ წინასიტყვაობაში კვითხულობთ:

ne če krā āyadat ze gol tabqī
az golestāne man bebar varaqī

gol hamīn pang rūz o šeš bāšad
vīn golistān hamiše khoš bāšad

რაში გამოგადგება ვარდით საცხე ტაბაკი,
ჩემი გოლესთანადან აიღე ერთი ფოთოლი;

ვარდი მხოლოდ ხუთ-ექვს თუ გაძლებს,
ჩემი გოლესთანი კი მუდამ აყვავებული იქნება.

ლიტერატურა

კობიძე, 1975 — დ. კობიძე, სპარსული ლიტერატურის ისტორია, თბ. 1975.

ბაჰირი, 1370 — M. Bahār , Safkšenasi , III , Tehrān , 1370 h

მა'რუფი, 1354 — N. Ma`rūf , Al- Madrasa al- Mustansariya , Baghdād , 1354h .

მაჰფუზი, 1957 — H. Mahfūz , Mutanabi va Saadi , Tehrān , 1957.

მაჰფუზი, 1372 — S. Nafisi li-Madrasa al-Nizamiya , tarğ. M. Mahfuz (Mağ. al-ilmi al-Iraqi III) , W1 , 1372h

ნაფისი, 1313 — S. Nafisi , Madraseye Nezāmiye dar Baghdād , Tehran , 1313h .

JAWAD SALEH

The Arabian World and Sa'adi

Summary

The works of the finest representative of the classical Persian literature Sa'adi reveal the writer's deep knowledge of the Arabic language, secular and religious Arabic literature and folklore. This can be explained by the collisions of Saadi's biography and the fact that he spent a long period of his life in the Arabian countries. The paper discusses some peculiarities of usage of Arabic lexis in Saadi's works.

ენო საინიჰა

აბსოლუტურ კონსტრუქციასა ფუნქციონირების სტილისტური ასპექტი ინგლისურენოვან მხატვრულ ნარატიულ ტექსტში

თანამედროვე ინგლისურენოვანი მხატვრული ნარატიული ტექსტის ჟანრობრივ-სტილისტური ტიპობრიობის ერთ-ერთ ლინგვისტურ მახასიათებელს წარმოადგენს ე.წ. აბსოლუტური კონსტრუქციების უხვი გამოყენება, რაც დაკავშირებულია ისეთ პრაგმატიკულ ფაქტორებთან, როგორც არის ავტორის ესთეტიკურ-შემეცნებითი სუბიექტური მოდუსი და მისი კომუნიკაციური სტრატეგია.

მიუხედავად ამისა, სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე აბსოლუტური კონსტრუქციების განხილვა შემოიფარგლება მხოლოდ მათი გრამატიკული, უფრო ზუსტად კი, მათი სინტაქსური ფუნქციების დადგენით წინადადებაში. ანგლისტიკაში დღემდე დაუდგენელია ამ კონსტრუქციასა ლინგვისტური სტატუსი, რადგანაც სპეციფიკური აგებულების გამო ზოგი მეცნიერი მათ განიხილავს როგორც სიტყვათშეთანხმებას და შესაბამისად წინადადების სინტაქსური სტრუქტურის ადვერბიალურ წევრს (ლიჩი, 1989; მაკლინი, 1994), ზოგი — როგორც რთულ ქვეწყობილ წინადადებაში შემავალ დამოკიდებულ წინადადებას (კერმი, 1931; იესპერსენი, 1958), ხოლო ზოგი კი — როგორც დამოუკიდებელ წინადადებას (საზონოვა, 1974; კომისაროვა, 1982). ბუნებრივია, იბადება კითხვა, თუ რითია განპირობებული აზრთა ასეთი სხვადასხვაობა. ერთი მხრივ, წინადადებისაგან განსხვავებით, აბსოლუტურ კონსტრუქციას არ შეუძლია განახორციელოს დამოუკიდებელი კომუნიკაციური ერთეულის ფუნქცია იმ უმთავრესი მიზეზის გამო, რომ მის სტრუქტურაში არ ფიგურირებს ზმნური შემასმენელი. მეორე მხრივ, ასევე დაუშვებელია აბსოლუტური კონსტრუქციის გათანაბრება სიტყვათშეთანხმებასთან, რადგანაც, ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, იგი ასახავს ექსტრალინგვისტური სინამდვილის არა ცალკეულ საგნებსა და მათ თვისებებს, არამედ მთლიან სიტუაციას, რის გამოც მას პროპოზიციური სტრუქტურა და

მისი შესაბამისი ინტონაციური გაფორმება აქვს.

აქედან გამომდინარე, წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს აბსოლუტური კონსტრუქციების ლინგვისტური სტატუსის დადგენას და მათი ფუნქციონირების სტილისტური თავისებურებების განზოგადებას მხატვრულ ნარატიულ ტექსტში. ვფიქრობთ, რომ კვლევის თანამედროვე ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური მეთოდოლოგიის გამოყენება შესაძლებლობას მოგვცემს სრულად წარმოვაჩინოთ ის უნიკალური როლი, რასაც ეს კონსტრუქციები ასრულებენ ავტორის ესთეტიკურ-კომუნიკაციური ჩანაფიქრის რეალიზებაში. ლინგვისტურ ლიტერატურაში ხომ ცნობილია, რომ ავტორისეული მოდუსი გამოხატულებას ჰპოვებს არა მარტო ტექსტის საერთო შინაარსში, პერსონაჟების სახეების შექმნასა და ნაწარმოების არქიტექტონიკაში, არამედ მის სტილისტურად მარკირებულ სინტაქსურ სტრუქტურაშიც, რომელიც ყველაზე ქმედით ფაქტორს წარმოადგენს მხატვრულ ნარატიულ ტექსტში (კუხარენკო, 1988, 53).

აბსოლუტურ კონსტრუქციათა ლინგვისემიოტიკური სტატუსის დადგენას ართულებს წინააღმდეგობა მათ სემანტიკურ და სინტაქსურ ასპექტებს შორის. ტრანსფორმაციული მეთოდის გამოყენებით შეიძლება დასაბუთდეს, რომ ისინი წარმოადგენენ ნომინალიზაციის სამეტყველო მოვლენის შედეგად წარმოქმნილ კონსტრუქტებს, რომლებშიც ზმნის უპირო ფორმით წარმოდგენილ პრედიკატს დაკარგული აქვს პრედიკატულობის მაჩვენებელი ობიექტური მოდალობის¹

¹ ლინგვისტურ ლიტერატურაში მოდალობას (ლათ. *modus*) ზოგადად განიხილავენ როგორც უნივერსალურ ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიას, რომელიც გამოხატავს როგორც გამონათქვამის მიმართებას სინამდვილისადმი, ასევე მასში მოცემული შეტყობინების სხვადასხვა ტიპის სუბიექტურ კვალიფიკაციას (ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონი, 1990, 303). შესაბამისად, განასხვავებენ მოდალობის ობიექტურ და სუბიექტურ სახეებს. ობიექტური მოდალობა ნებისმიერი წინადადების აუცილებელ ნიშან-თვისებას წარმოადგენს, რადგანაც ტემპორალობის კატეგორიასთან ერთად იგი მის პრედიკატულობას ქმნის, გამოხატავს რა გამონათქვამის დამოკიდებულებას ობიექტურ სინამდვილესთან მიმართებაში მისი რეალურობა/არარეალურობისა და ა.შ. პლანში. ობიექტური მოდალობა ზმნის კილოს კატეგორიის საშუალებით რეალიზდება წინადადების გრამატიკულ პარადიგმაში.

სუბიექტური მოდალობა კი ავტორის დამოკიდებულებას გამოხატავს გამონათქვამში ასახული ექსტრალინგვისტური რეფერენტული სიტუაციის მიმართ. მის კონცეპტუალურ საფუძველს შეფასების ცნება წარმოადგენს ამ სიტყვის ფართო გაგებით, რადგანაც იგი გულისხმობს არა მარტო შეტყობინების სუბიექტურ კვალიფიკაციას, არამედ მეტყველი სუბიექტის ემოციურ რეაქციებსაც (ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონი, 1990, 303). იდეა, რომელიც გამონათქვამის ფაქტობრივი

კილოსა და ტემპორალობის კატეგორიალური მახასიათებლები და მათთან ერთად კომუნიკაციური ავტონომიურობა, ანუ ინფორმაციის დამოუკიდებლად გადმოცემის უნარი, თუმც თავად კონსტრუქცია ინარჩუნებს პროპოზიციის სუბიექტურ-პრედიკატულ სტრუქტურას. ამით ისინი ენობრივ ნიშანთა იერარქიულ სისტემაში ერთი საფეხურით დაბლა იწევენ და შუალედურ ადგილს იკავებენ წინადადებისა და სიტყვათშეთანხმების დონეებს შორის.

ენობრივი მასალის განზოგადება შესაძლებლობას გვაძლევს დავაკვანათ, რომ თანამედროვე ინგლისურ ენაში აბსოლუტური კონსტრუქციები ორი სტრუქტურული ვარიანტით გვხვდება: მიმღეობიანი და მიმღეობის გარეშე. მიმღეობიან კონსტრუქციებში სახეზე გვაქვს მხოლოდ დევერბალიზაცია, ანუ გრამატიკული ნომინალიზაცია, რა დროსაც მიმღეობა მთლიანად ინარჩუნებს ზმნის ლექსიკურ-სემანტიკურ მნიშვნელობას, რომელიც განაპირობებს მის არგუმენტულ კონფიგურაციას. მაგალითად:

1. **He saw a long procession of people coming across the dunes, all of them carrying parcels and bundles and some of them pulling carts.**

(Maurier D.D., "Rebecca.", .291).

2. **"Disjointed pictures flashed, one by one through my bewildered mind. Maxim sitting in the car beside me in the south of France".**

(Maurier D. D. "Rebecca.", p.110)

მიმღეობის გარეშე კონსტრუქციებში კი სახეზე გვაქვს პრედიკა-

შინაარსის(დიქტუმის) შეპირისპირებას ითვალისწინებს მის ინდივიდუალურ შეფასებასთან (მოდუსთან), დასაბამს იღებს ფრანგი მეცნიერის, შარლ ბალის ლინგვისტურ კონცეფციაში. შ. ბალი მოდუსს განსაზღვრავს როგორც მეტყველი სუბიექტის აქტიურ გონებრივ ოპერაციას იმ რეფერენტული სიტუაციის მიმართ, რომელიც დიქტუმშია მოცემულ (ბალი, 1955, 44).

ლინგვისტური პრაგმატიკის განვითარებამ ბიძგი მისცა სუბიექტური მოდალობის განხილვას სხვადასხვა დონეზე. ჯ. ოსტინის, ჯ. სერლის და ზ. ვენდლერის მიერ შექმნილ სამეტყველო აქტების თეორიაში იგი გამონათქვამის პრაგმატიკულ კატეგორიად მოიაზრება მის პროპოზიციულ შინაარსთან მიმართებაში (კობოზევა, 1986). მათგან განსხვავებით, ვ. კუხარენკო (კუხარენკო, 1988), ი. გალპერინი (გალპერინი, 1981) და ზ. ტურაევა (ტურაევა, 1986) უკვე ტექსტის მოდალობაზე მსჯელობენ და მას ავტორის ესთეტიკურ-ფილოსოფიური კონცეფციის, მისი კოგნიციის, პრაგმატიკული მიმართების, ინდივიდუალური სტილისა და აზროვნების მაჩვენებლად მიიჩნევენ.

ტული წევრის არა დევერბალიზაცია-ნომინალიზაცია, არამედ მისი სრული იმპლიცირება. ემპირიული მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ასეთ იმპლიცირებას ექვემდებარება მხოლოდ ის პრედიკატული წევრი, რომელიც პროპოზიციულ არგუმენტებს შორის მხოლოდ ურთიერთმიმართებებზე მიუთითებს მათი დახასიათების გარეშე. ამ მიმართებების ენობრივი გამოხატვა ინგლისურ ენაში ხდება მხოლოდ ორი ზმნის — *be* და *have* საშუალებით. მაგალითად:

1. Then she came back, **the glass of water in her hands.**
(Maurier D. D., “Rebecca.”, p. 249)

2. They walked without hats for long hours in the gardens attached to their house, **books in their hands, a fox terrier at their heels, never saying a word and smoking all the time.**

(Galsworthy J., “The Man of Property.”, p. 249)

აქედან გამომდინარე, თანამედროვე ინგლისურ ენაში აბსოლუტური კონსტრუქციის შემცველი წინადადება შეიძლება განვიხილოთ რთული წინადადების სინტაქსურ სინონიმად, რადგანაც მათ საერთო პოლიპროპოზიციული სემანტიკური სტრუქტურა აქვთ, რომელიც ინვარიანტად გვევლინება ენობრივი გაფორმების ვარიანტულობის დროს. თვალსაჩინოებისათვის ავიღოთ სინტაქსური წყვილები:

He saw a long procession of people coming across the dunes, all of them carrying parcels and bundles and some of them pulling carts. (Maurier D.D., “Rebecca.”, p.291). < > **She saw a long procession of people coming across the dunes; all of them were carrying parcels and bundles and some of them were pulling carts.**

მოცემული წინადადებები ერთი და იმავე რეფერენტული ექსტრალინგვისტური სიტუაციის ასახვის სამეტყველო ვარიანტებს წარმოადგენს და მათი ურთიერთტრანსფორმირების შესაძლებლობა ორმხრივი ისრით არის აღნიშნული.

ჩვენი აზრით, აბსოლუტური კონსტრუქციების სპეციფიკურობა ის არის, რომ მათში, დიქტალურ(ფაქტობრივ) ინფორმაციასთან ერთად, გამონათქვამის ილოკუციური ფუნქცია, ანუ ავტორის კომუნიკაციური ინტენცია და მისი სუბიექტური მოდუსის კოგნიტური ასპექტის ემოციურობა რეალიზდება სინტაქსურად. ექსპრესიულობა სინტაქსურ დონეზე გულისხმობს წინადადების ისეთ სტრუქტურულ ორგანიზებას, რომელიც უზრუნველყოფს გამონათქვამის ემოციურ

და/ან ლოგიკურ ინტენსიფიკაციას, ასახავს რა მეტყველი სუბიექტის დამოკიდებულებას ექსტრალინგვისტური რეფერენტული სიტუაციის მიმართ. ემპირიული მასალის ტრანსფორმაციული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ერთი და იმავე აზრის ექსპლიკაციის ვარიანტულობის დროს სწორედ ნომინალიზაცია მათებს წინადადებას ასეთ ემოციურ შეფერილობას და ექსპრესიულობას:

“She read one story from the Arabian Nights to Lily each Sunday night, **Lily calling it their Sunday dessert** (Stone I., “Immortal Wife”, p. 150).” → She read one story from the Arabian Nights to Lily each Sunday night. **Lily called it their Sunday dessert.**

როგორც ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითში ჩანს, საწყისი, ანუ ავტორისეული წინადადება თავისი სინტაქსური სტრუქტურაციით და ინტონაციური გაფორმების წყალობით ექსპრესიულობითა და დინამიკურობით ხასიათდება, მაშინ როდესაც მის ტრანსფორმაციულ ვარიანტში სუბიექტური მოდულობის გამომხატველი ეს კონსტრუქციური ნიშნები დაკარგულია მეორე პროპოზიციის ქვემდებარულ-შემასმენლური გაფორმების გამო, რის შედეგადაც თხრობა ფაქტების რაციონალური კონსტატაციით შემოიფარგლება.

მხატვრული ნარატიული ტექსტების ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მათში აბსოლუტურ კონსტრუქციასთან ფუნქციონირება ძირითადად ორი სახით ხდება: 1) განკერძოებულად, დამოუკიდებელი გამონათქვამის სახით და 2) რთული ადვერბიალური წევრის ფუნქციით, რომლის საშუალებითაც სინტაქსურად მარტივი წინადადება სემანტიკურად ასიმეტრიულ, პოლიპროპოზიციურ სტრუქტურად გარდაიქმნება. მათ საერთო, ინტეგრალურ თვისებას ავტორისეული მოდუსის გამომხატველი ექსპრესიულობა წარმოადგენს, ხოლო დიფერენციალურ მახასიათებლებად ამ მოდულობის ემოციურ-შეფასებითი და კოგნიტურ-ემოციური ასპექტები გვევლინება.

თავდაპირველად განვიხილოთ ავტორისეული მოდუსის გამომხატულება გამონათქვამის ნომინალიზაციის გზით, ანუ აბსოლუტური კონსტრუქციით, რომელიც დამოუკიდებელ წინადადებად არის გამოტანილი ტექსტში:

1. “Jessie got home as quickly as possible, refused dinner and went straight to bed, lying as still and lifeless as a corpse. **John coming home under arrest!**”

(Stone I., "Immortal Wife", p. 156)

2. "Rhett didn't mind lending his money to that old matron, Mrs. Merriwether. She started with a basket of pies and look at her now! **A bakery employing half a dozen people, old grandpa happy with his delivery wagon and that little Creole, Rene, working hard and liking it!**"

(Mitchell M., "Gone with the Wind", p. 620)

საილუსტრაციოდ მოყვანილ მაგალითებში ემოციურად დატვირთული ეპიზოდებია წარმოდგენილი, სადაც ავტორი ე.წ. „ყოველმცოდნე მთხრობელად“ გვევლინება, რომელიც გარედან აკვირდება განვითარებულ მოვლენებს. შესაბამისად, მისი სუბიექტური მოდუსი ტექსტში ორი სახით რეალიზდება: ერთპლანური, საკუთრივ მთხრობელის ემოციურ-შეფასებითი მოდალობა, რომელიც პირველ მაგალითში ფაქტობრივ ინფორმაციასთან ერთად საწყის გამონათქვამში არის უშუალოდ ექსპლიციტური სტრუქტურულ-სემანტიკურად ხატოვანი შედარებით - "lying as still and lifeless as a corpse", რის გამოც მისი აღქმა-დეკოდირება არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს მკითხველისათვის. ემოციურობა კულმინაციას აღწევს მომდევნო გამონათქვამში - „**John coming home under arrest!**“, რომელიც, ლექსიკურ-სემანტიკური ნეიტრალურობის მიუხედავად, კონოტაციურად უაღრესად დატვირთულ ქვეტექსტს წარმოქმნის სინტაქსური და ინტონაციური ექსპრესიული საშუალებებით. ამ მიზნით ავტორი მიმართავს გამონათქვამის ნომინალიზაცია-დევერბალიზაციას, რითაც მთხრობელის ემოციურ-შეფასებითი ნარაცია ორპლანური ხდება, იღებს რა ამავედროულად მოქმედი პირის, ჯესის შინაგანი მეტყველების ფორმას, რომელშიც უკვე მისი პირადი ემოციებია ჩაქსოვილი. გამონათქვამის ზედაპირულ სტრუქტურაში ავტორი ახდენს ჯესის ამგვარი სულიერი და ფიზიკური მდგომარეობის გამომწვევი მიზეზის ექსპლიციტურ ინტონაციურად გაფორმებული მიმდებარე პრაქტიკულ-სემანტიკურ სტრუქტურით, რის შედეგადაც გამონათქვამი კარგავს ობიექტური მოდალობის კილოსა და ტემპორალურ მახასიათებლებს, მაგრამ სანაცვლოდ იძენს სუბიექტურ მოდალობას, რომელიც ქვეტექსტში რეალიზდება და რომლის აღქმაც მხოლოდ კონტექსტის ფონზეა შესაძლებელი. ეს არის ჯონის დაპატიმრებით გამოწვეული ჯესის შემოფოთება, შიში, გაურკვევლობა და ამ ფაქტის დაუჯერებლობა. რომ არა გამონათქვამის ნომინალიზაცია, ეს მოდალური ინფორმაცია

დაიკარგებოდა ქვეტექსტთან ერთად. ანალოგიურად შეიძლება იქნას ინტერპრეტირებული მეორე მაგალითიც, სადაც ნომინალიზებულ გამონათქვამთა („**A bakery employing half a dozen people, old grandpa happy with his delivery wagon and that little Creole, Rene, working hard and liking it!**“) ქვეტექსტში მისი მერიუოთერისა და მისი ოჯახის წევრების დაუდალავი შრომით და ბიზნესწარმატებებით გამოწვეული რეტ ბათლერის დადებითი ემოციები — მოწონება და აღტაცებაა ჩაქსოვილი.

ემპირიული მასალის ანალიზი გამონათქვამის ნომინალიზაციის და მისი დამოუკიდებელ წინადადებად გამოტანის კიდევ ერთ სინტერესო თავისებურებას წარმოაჩენს. ემოციური ხასიათის ნარატიულ ტექსტში ხშირია შემთხვევები, როდესაც ამ ტიპის ნომინალიზაცია ავტორის მოდუსის არა ემოციურ-შეფასებით, არამედ მისი კოგნიციის ემოციურ-ექსპრესიულ გამოხატულებას ემსახურება. ასეთ დროს ნომინალიზებული გამონათქვამების გამოყენება ემფატიკურად გამოყოფს და მკითხველის ყურადღებას მიაპყრობს სინამდვილის ისეთ მოვლენებსა და ხდომილებებს, რომლებიც ავტორის ცნობიერებაში დაფიქსირებულია როგორც განსაკუთრებული ემოციური დატვირთულობის მქონე ცხოვრებისეული დეტალები. მაგალითად:

"I remember every minute of our departure. Jasper, knowing something was wrong, as dogs always do. Trunks being packed. Cars being brought to the door. Dogs stand-ing with their drooping tails, dajecting eyes, wandering back to their buckets in the hall when the sound of the dies away."

(Maurier D.D., "Rebecca" p. 363)

ჩვენ მიერ მოყვანილ ტექსტობრივ ფრაგმენტში სწორედ ნომინალიზაციის საშუალებით იქმნება ის სინტაქსურ-სტილისტური ექსპრესიულობა, რომელშიც ავტორის ემოციურ-კოგნიტიური ასპექტი რეალიზდება. თითოეულ ასეთ გამონათქვამში თითქოსდა ფილმის კადრით არის აღბეჭდილი ის ხდომილება-დეტალები, რომელთა ერთობლიობაც ტექსტის რეფერენტულ სივრცეს ქმნის. აზრის ასეთი ექსპლიკაცია ავტორის ინდივიდუალური სტილისა და კომუნიკაციური სტრატეგიის მაჩვენებელია, რომლის საშუალებითაც იგი ტექსტს ერთდროულად სტატიკურობასა და ემოციურობას სძენს.

საინტერესოა, რომ ლოკაციური და ეგზისტენციალური შინაარსის გამონათქვამებში ნომინალიზაციას თან ახლავს პრედიკატული

წევრის იმპლიციურებაც, რაც ტექსტს უფრო მეტ გამომხატველობას ანიჭებს, აორმაგებს რა მის სტატიკურობას. მაგალითად, ს. ბეკეტის მცირე პროზაში, რომელიც თანამედროვე კლასიკად არის აღიარებული, ემოციურობა ხშირად წინადადებათა ამგვარი სტრუქტურაციით მიიღწევა. შედეგად, თხრობა თითქოსდა ეკრანიზებული ხდება, რა დროსაც ავტორი კადრების სახით აფიქსირებს მკითხველის ცნობიერებაში ტექსტში აღწერილ მოვლენებს. ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვანო დასაწყისის მისი ცნობილი მოთხრობიდან „ერთ საღამოს“, სადაც დინამიკურ თხრობას ენაცვლება სტატიკური სცენები, რომლებიც ნომინალიზებული დამოუკიდებელი წინადადებებით არის ექსპლიციურებული (თვალსაჩინოების მიზნით ტექსტი მოვყავს მცირედი შემოკლებებით — ნ.ს.):

One Evening

He was found lying on the ground. No one had missed him. No one was looking for him. An old woman found him.. It happened so long ago. She was straying in search of wild flowers, yellow only. With no eyes but for these she stumbled on him lying there. He lay inconspicuous in the greenish coat. **Face downward, arms outspread. Near the head a hat askew on the ground, at once on its brim and crown...** May she have seen him somewhere before? Somewhere on his feet before? Not too fast. She was all in black. **The hem of her long black skirt in the grass.** It was lambing time. But there were no lambs. She could see none. Were a third party to chance that way theirs were the only bodies he could see. **The old woman all in black stockstill. The body stockstill on the ground. Yellow at the end of the black arm. The white hair in the grass. The east foundering in night. Not too fast. Sky overcast all day till evening.** In the west-north-west near the verge already the sun came out at last...

(Beckett S., “One Evening”, p. 253)

მიგვაჩნია, რომ სხვა ფაქტორებთან ერთად, წინადადებათა ნომინალიზებული სტრუქტურაცია აბსოლუტური კონსტრუქციებით და მათი არანყირობით შექმნილი სინტაქსური პარალელიზმი აყალიბებს ბეკეტის სტილის განუმეორებელი ინდივიდუალურობის ერთ-ერთ თავისებურებას — რიტმულობას, რომელშიც პროზა პოეზიას ერწყმის და, როგორც მისი შემოქმედების ცნობილი მკვლევარი ს. გონტარსკი აღნიშნავს, „Beckett’s intense awareness of human loneliness develops in its

full complexity: the psychological, ontological, narratological bewilderment at the duality of the human predicament, the experience of existence” (გონტარსკი, 2004, 19).

ავტორისეული მოდუსის ემოციურ-შეფასებითი და კოგნიტური ასპექტების ამგვარი რეალიზება გამონათქვამის ნომინალიზაციის გზით ინტონაციურად ყოველთვის არის სათანადოდ გაფორმებული, რაც მას დამოუკიდებელი წინადადების სტატუსს ანიჭებს. მაგრამ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი წინადადებები მხოლოდ სინტაქსურ-სტილისტურად მარკირებულ სამეტყველო კონსტრუქტებს წარმოადგენენ და არა ენის სისტემურ ერთეულებს.

ენობრივი მასალის განზოგადება ინგლისურენოვანი ნარატიული ტექსტის კიდევ ერთ თავისებურებას წარმოაჩენს. ეს არის ავტორისეული მოდუსის კოგნიტური ასპექტის ემოციურობის რეალიზება პოლიპროპოზიციული, მაგრამ სინტაქსურად მარტივი წინადადებით, რომელშიც ნომინალიზებული კონსტრუქტი ან კონსტრუქტები (ე.ი. აბსოლუტური კონსტრუქციები) რთული ადვერბიალური წევრის ფუნქციას ასრულებენ, ახდენენ რა ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვში მოცემული მსჯელობის საგნის სხვადასხვა პარამეტრით კვალიფიკაციას ან რეფერენტული ექსტრალინგვისტური სიტუაციის თანმხლები ხდომილებებით დაზუსტებას:

“That purpose was accomplished. It should have been allowed to run down and then stop, **the driver asleep at the wheel, the passengers sitting docilely with their mouths wide open waiting for their bus to fly away, the estate left unfinished, the shops shuttered and overrun with rats, the unmilked cows lowing in agony with swollen udders, the dogs and cats running wild and bloody-mouthed.**”

(Braine J., “Room at the Top”, pp. 241-242)

მიუხედავად იმისა, რომ აბსოლუტური კონსტრუქციები ნომინალიზაციის სამეტყველო მოვლენის შედეგად წარმოქმნილ კონსტრუქტებს წარმოადგენენ, ისინი მაინც ექვემდებარებიან სტრუქტურულ და სემანტიკურ განზოგადებას. ენობრივი მასალის კვლევის შედეგად დგინდება, რომ ავტორისეული მოდუსის ნომინალიზებული რეალიზება გამომხატება ორი ტიპის კონსტრუქციაში: მახასიათებლურსა და ხდომილებრივში.

პროპოზიციული კონფიგურაციის მიუხედავად, მახასიათებლური

კონსტრუქციების საშუალებით ავტორი ახდენს წინადადების ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვში მოცემული მსჯელობის საგნის ემოციურ-ექსპრესიულ კვალიფიცირებას გარეგნული ნიშნების ან მისი შინაგანი მდგომარეობის მიხედვით. მათში სემანტიკური სუბიექტი მხოლოდ „ნაწილის“ სახით არის წარმოდგენილი ადამიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილის ან ორგანოს აღმნიშვნელი სახელებით, ხოლო თავად სუბიექტი „მთელის“ სახით ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვში ფიგურირებს:

1. James was brooding on the end of the bench, **his hands clasped over his umbrella** (Galsworthy J., “The Man of Property”, p. 278).

2. Scarlett stood on the lower step of the train, **her crepe veil fluttering almost to her heels** (Mitchell M., “Gone with the Wind”, p.122).

3. She saw Prissy leaning out of the upstairs window, **fright and worry on her face** (Mitchell M., “Gone with the Wind”, p 304).

4. She swept into the reception room of Miss English’s Academy, **her hazel eyes bright with anger** (Stone I., “Immortal Wife”, p.1).

მსჯელობის საგნის სხვადასხვა ნიშნით დახასიათებისას ნომინალიზებული კონსტრუქციები ხშირად გვხვდება ერთმანეთის თანმიმდევრობით ერთი წინადადების ფარგლებში, რის შედეგადაც ისინი ქმნიან თემატურად დახურულ მსჯელობათა ჯაჭვს, ანუ მიკროტექსტს, რომელიც ხშირად კომპოზიციურად აბზაცის სახით არის გაფორმებული. ასეთ დროს იქმნება სინტაქსური პარალელიზმი, რაც თხრობას სტილისტურად მარკირებულს ხდის, რითაც კიდევ უფრო ძლიერდება ავტორისეული მოდუსის გამომხატველი ემოციური ექსპრესიულობა:

“As Jesiie stepped into the room she caught a picture: Lieutenant John Fremont on a high stool leaning over the table, **a heavy drawing pencil in his right hand, the wide-spread fingers of his left hand holding down the pages of a journal, his shirt sleeves rolled high, his plain Army shirt open at the throat, his dark hair rumped and falling slightly over his brow, his face filled with the intensity of the man who is devoted to the job on hand.**”

(Stone I., “Immortal Wife”, p, 28)

ავტორისეული მოდუსის კოგნიტურ-ემოციური ასპექტის ნომინალიზებული ექსპლიკაცია აბსოლუტური კონსტრუქციით რეალიზდება ასევე ხდომილებრივ პროპოზიციებში, რომლებსაც საკუთარი სემანტიკური სუბიექტი და პრედიკატი გააჩნიათ. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ თხრობის დროს ნომინალიზაციას ორი ტიპის ხდომილება ექვემდებარება: 1) ხდომილება, რომლის მოქმედი სუბიექტიც ადამიანი ან სხვა სულიერი არსებია:

“Before Archie could catch her, Melanie had fainted. Then a hubbub ensued, **Archie picking her up, India running to the kitchen for water, Pitty and Scarlett fanning her and slapping her wrists.**”

(Mitchell M., “Gone with the Wind”, p 671).

და 2) ხდომილება, რომელშიც მოქმედების აქტიურ შემსრულებლად უკვე ბუნებრივი ძალა ან მოვლენა გვევლინება (მხატვრულ ლიტერატურაში ამ ტიპის კონსტრუქციებით უმთავრესად იმ გარემოს აღწერენ, რომლის ფონზედაც სიუჟეტი ვითარდება):

“ There are moments when Nature reveals the passion hidden beneath the careless calm of her ordinary moods – **violent spring flashing white on almond-blossom through the purple clouds; a snowy, moonlit peak, with its single star, soaring up to the passionate blue; or against the flames of sunset, an old yaw-tree standing dark guardian of some fiery secret.**”

(Galsworthy J., “The Man of Property”, p.196)

მახასიათებლური ნომინალიზებული კონსტრუქციებისაგან განსხვავებით, ხდომილებრივ აბსოლუტურ კონსტრუქციასა საშუალებით წარმოქმნილი მიკროტექსტი უკვე მაკროთემით ერთიანდება, რომელიც ლოგიკურად გამოიყვანება წინადადების ქვემდებარულ-შემასმენლური ბირთვიდან. ეს ერთიანობა ხაზგასმულია გრამატიკულადაც, რადგან, მიუხედავად აზრობრივი ავტონომიურობისა, ყველა კონსტრუქცია ნომინალიზაციის საშუალებით სინტაქსურად არის დაქვემდებარებული ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვზე როგორც მისი დამაკონკრეტებელი თანმხლები გარემოება:

“Scarlett sat in the window of her bedroom watching the merry cavalcade, that streamed gaily out Peachtree road, **(1) girls cool in flowered cotton dresses, with light shawls, bonnets and mitts to protect their skins and little parasols held over their heads, (2) elderly**

ladies placid and smiling amid the laughter and carriage-to-carriage calls and jokes, (3) convalescents from the hospitals wedged in between stout chaperons and slender girls who made great fuss and to-to over them, (4) officers on horseback idling at snail's pace beside the carriages - (5) wheels creaking, (6) spurs jingling, (7) gold braid gleaming, (8) parasols bobbing, (9) fans swishing, (10) negroes singing.”

(Mitchell M., “Gone with the Wind”, p 137)

ეს მაგალითი ერთწინადადებიან, უაღრესად ექსპრესიულ მიკროტექსტს წარმოადგენს, სადაც ხდომილებათა დინამიკური განვითარება მათი ნომინალიზებული ექსპლიკაციით რეალიზდება აბსოლუტური კონსტრუქციების საშუალებით. ტექსტის გამაერთიანებელი მაკროთემა — „ქუჩაში მიმავალი მხიარული კავალკადა“ წინადადების ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვშია მოცემული, ხოლო მისი დამაკონკრეტებელი, რეფერენტული სივრცის შემქმნელი ათი ხდომილება კი გაფორმებულია აბსოლუტური კონსტრუქციებით, რომელთა სტრუქტურული კონფიგურაციაც გრადუალურად მარტივდება და ბოლოს ბინარული ხდება, რითაც პროპორციულად იზრდება თხრობის ემოციურობა და დინამიზმი. მიგვაჩნია, რომ წინადადების გადაყვანა მიკროტექსტის რანგში ნომინალიზებული პარალელური კონსტრუქციებით წარმოადგენს ავტორის კომუნიკაციური ინტენციის, მისი სუბიექტური მოდუსის კოგნიტურ-ემოციური ასპექტის რეალიზების სტილისტურ სტრატეგიას, რომლის საშუალებითაც იგი ტექსტის სინტაქსურად მარკირებულ და ინტონაციურად გაფორმებულ ექსპრესიულობას ქმნის.

ლიტერატურა:

ლებანიძე, 1998 — გ. ლებანიძე, ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა. თბილისი: „ენა და კულტურა“, 1998.

ბალი, 1955 — Ш. Балли, Общая лингвистика и вопросы французского языкознания. Москва: ~Наука~, 1955.

გალპერინი, 1981 — И. Гальперин, Текст как объект лингвистического исследования. Москва: ~Наука~, 1981.

იესპერსენი, 1958 — О. Есперсен, Философия Грамматики. М., 1958. – 404 с.

კობოზევა, 1986 — И. Кобозева, ~Теория речевых актов~ как один из вариантов теории рече-вой деятельности. - В кн.: Новое в зарубежной лингвистике, вып. XVII: ~Теория речевых актов~, Москва: ~Прогресс~, 1986, с. 7-21.

კომისაროვა, 1982 — Ю. Комиссарова, Причастное предложение в английском языке. Автореферат дис. канд. филол. наук. – М., 1982. – 122 с.

კუხარენკო, 1988 — В. Кухаренко, Интерпретация текста. Ленинград: ~Просвещение~, 1988.

ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონი, 1990 — Лингвистический энциклопедический словарь. Москва: ~Советская Энцикло-педия~, 1990.

საზონოვა, 1974 — Н. Сазонова, К вопросу теории предложения (на материале английского и украинского языков). – Киев, 1974. – 86 с.

სოლგანიკი, 1991 — Г. Солганик, Синтаксическая стилистика. Москва: ~Высшая школа~, 1991.

ტურაევა, 1986 — З.Тураева, Лингвистика текста (Текст: структура и семантика). Москва: ~Просвещение~, 1986.

ბეკეტი, 2004 — S. Beckett, One evening. - In: Samuel Beckett. The Complete Short Prose 1929 - 1989, (2 nd edition), New York: “Grove Press Books”, 2004.

კერმი, 1931 — G. Curme, A grammar of the English language, pt. II, syntax. N.Y., 1931.

განშინა, ვასილევსკაია, 1964 — M. Ganshina, N. Vasilevskaya, English Grammar. Higher School Publishing House, 1964.

გონტარსკი, 2004 — S. Gontarski, Samuel Beckett’s Short Proze. - In: Samuel Beckett. The Complete Short Prose 1929 - 1989, (2 nd edition), New York: “Grove Press Books”, 2004.

გორდონი, კრილოვა, 1973 — E. Gordon, I. Krilova, The English verbals, M., 1973.

კაუშანსკაია, კოვნერი, 1963 — V. Kaushanskaya, R.Kovner, A Grammar of the English Language, Leningrad, 1963.

ლიჩი, 1989 — G. Leech, An A-Z of English Grammar and Usage. London-Melbourne-Auckland, 1989.

მაკლინი, 1994 — A. Maclin, Reference Guide to English: A Handbook of English as a Second Language. Washington 1994.

NINO SAMNIDZE

Stylistic Aspect of Functioning of Absolute Constructions in the English Literary Narrative Text

Summary

The paper deals with the study of stylistic functioning of Absolute Constructions in the English narrative text as one of the characteristic linguistic features syntactically expressing the author's modality, i.e. his subjective emotional and evaluative attitude towards the extralinguistic target situations and events presented in the text.

Absolute Constructions are viewed as dynamic constructs created by the author with the help of nominalization in the process of textmaking according to his communicative intention and strategies to make the narration emotionally coloured and expressive.

With the employment of anthropocentric-communicative methodology of research, on the one hand, and transformational method, on the other, it has been proved that, when functioning as independent utterances or adverbial modifying members, these constructions acquire connotational meaning of the author's subjective modality implying the evaluative and emotional aspects of his/her cognition. The author refers to nominalized presentation of target situations and events either to emphasize the dynamism of their development or to fix them in the addressee's mind as emotionally loaded episodes of the narration. It enables the author to make his utterance polypropositional, thus converting it into a microtext characterized with syntactically and intonationally marked expressiveness.

სოფიო ტყეშელაშვილი

ვ ფონემა ფერეიდნულ დიალექტში

ფერეიდნულ დიალექტს დღემდე შემოუნახავს საერთოქართველურისათვის დამახასიათებელი ვ ფონემა, მიუხედავად იმისა, რომ ძველ ქართულში გამოყენებული აწ უხმარი ხუთი ნიშნიდან მხედრულს თავიდანვე დაჰყვა ვ და საშუალო საუკუნეთა საერო მწერლობას, როგორც აღრინდელი, ისე მოგვიანო ხანის ძეგლებში მას საკმაოდ მტკიცე პოზიცია აქვს (ა. მარტიროსოვი, 1954), დღესდღეობით თანამედროვე სალიტერატურო ქართულსა და დიალექტთა უმრავლესობაში ვ მაინც არ გვხვდება, გვაქვს ხანი. ვ უმეტესად დაცული აქვს აღმოსავლეთის მთის დიალექტებს — ხევსურულს, ფშაურს, თუშურს, მოხურს, მთიულურ-გუდამაყურს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტთაგან — კახურს. გვხვდება ასევე კახური დიალექტის ქიზიყურ კილოკავში, ისიც ძირითადად ქიზიყის მთიან ადგილებში, იშვიათად ბარის სოფლებშიც, რაც შეეხება კახეთის სხვა რეგიონებს, იქ სპორადულად დაჩნდება.

ვ აქტიურად ვლინდება ჩრდილო ქართლურშიც, კერძოდ, არაგვისა და ქსნის ხეობათა მეტყველებაში (ჯორბენაძე, 1998).

დასავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის ვ დამახასიათებელი არ არის. დასავლურ დიალექტებში ვ-ს დაკარგვა და ხ-თი შეცვლა უფრო ადრეა მომხდარი, ვიდრე აღმოსავლური ბარის დიალექტებში.

ისტორიულად ვ საერთოდ კახურისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი, ამას ადასტურებს ვ ფონემის არსებობა ინგილოურსა და ფერეიდნულში, რომლებიც კახურის განაყოფი დიალექტებია (ჯორბენაძე, 1998).

ფერეიდნულ დიალექტში ვ დაცულია იქ, სადაც ძველ ქართულშივე გვხვდებოდით: ვმა, ფევი, ჯორცი, ჯოცვა...

ფერეიდნულში, ისევე როგორც კახურში, დასტურდება ხ—ვ ოპოზიციის მოშლის მაგალითები: ველი||ხელი, ფევი||ფეხი, ვბო||ხბო...

იმ ფაქტს, რომ ხ-სა და ვ-ის ოპოზიცია საერთოდ მოშლილია, ნათლად ასახავს ჩვენ მიერ გაანალიზებული ფერეიდნული ტექსტები.

ამ მასალის საფუძველზე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხ—ვ დაპირისპირება არ არსებობს, ფერეიდნულში ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს სიტყვას ფევი და ფეხი, ჯელი და ხელი, ჯმალი და ხმალი, ჯივინი (< ჯვივინი) და ხიხინი (< ხვიხვინი), ჭივინი (< ჭივინი) და ჭიხინი (< ჭიხვინი)...

ჯ-სა და ხ-ს მონაცვლეობას უძველეს ქართულშივე მიუთითებს ვ. თოფურია. მისი აზრით, მჯედ-არ-ი, სა-ჯედ-არ-ის ძირი ჯედ უკავშირდება ს-ხდ-ომ-ას: ს-ჯედ-ომ-ა > ს-ხდ-ომ-ა (თოფურია, 1979), თუმცა ამ აზრს არ იზიარებენ თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი. ისინი მიუთითებენ, რომ ამ ფუძეთა დაკავშირება შეუძლებელია (გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965).

ზ. სარჯველაძე აღნიშნავს, რომ ქართულ სალიტერატურო ენაში ჯ და ხ ფონემათა ოპოზიციის მოშლა დაიწყო IX საუკუნის ბოლოდან, მაგალითად: გულისჯმა||გულისხმა, ჯრწნა||ხრწნა... და ეს პროცესი თანდათან ინტენსიური ხდება (სარჯველაძე, 1967).

ხ—ვ დაპირისპირების ნეიტრალიზაციაზე მიუთითებს აგრეთვე სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში სიტყვათა განმარტებებისას პარალელურად წარმოდგენილი ჯარიანი და ხანიანი ფორმები: ჯსოვნა||ხსოვნა... (მიქაუტაძე, 2005).

გაქრობის გზაზე ასევე ფშაურში ჯ ფონემა, ხდება ხ:ჯ ოპოზიციის ნეიტრალიზაცია, ოღონდ არა რომელიმე კონტექსტში, არამედ საერთოდ მთელს დიალექტში (ცოცანიძე, 1978).

ხ—ვ მონაცვლეობა, როგორც ითქვა ხ:ჯ ოპოზიციის მოშლის შედეგად და ქართულისათვის ისტორიული ფაქტია. ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს, რომ დიალექტთა უმრავლესობისათვის და სალიტერატურო ენაში საბოლოოდ დასრულდა ჯ—ხ პროცესი (ჯორბენაძე, 1998).

საინტერესოა ფერეიდნულ დიალექტში ჯ ფონემის დისტრიბუცია. უმეტესწილად ის გვხვდება ხმოვანთა მეზობლობაში, მაგალითად, ჯორცი, ჯელი, ფევი, ჯალი, ჯოცვა... აქტიურად ვლინდება ასევე სონორთა მეზობლობაშიც, კერძოდ, სიტყვის თავკიდურ პოზიციაში ფონემა კომბინაციაში შედის მ ნ რ ვ-სთან და შესაბამისად, დასტურდება შემდეგი თანხმოვანთკომპლექსები:

- ჯმ: ჯმა, ჯმელი, ჯმალი...
- ჯრ: ჯრელი (< ჯვრელი)...
- ჯნ: ჯნა...
- ჯვ: ჯვივინი...

ფერეიდნულ დიალექტში ჯ ფონემა თანხმოვანთა მეზობლობაში არ ვლინდება, ჩვენ მიერ გაანალიზებული მასალის მიხედვით მხოლოდ ერთადერთი შემთხვევა დადასტურდა, როდესაც ის თანხმოვანთკომპლექსს ქმნის, ამ მხრივ საყურადღებოა ჯბ||ჯფ||ჯპ კომპლექსები. ფერეიდნულ დიალექტში ჯბ||ჯფ||ჯპ პარალელური ფორმები ჯარბობს ხბოხფოხპო ფორმებს. ეს აიხსნება იმით, რომ ხბ, ხფ, ხპ კომპლექსები ისტორიულად ქართულ ენაში არ არსებობდა, ისინი ახლაც არ გვაქვს მთის დიალექტში, სადაც ჯერ კიდევ შემონახულია ხშული, ძველ ქართულში დასტურდება ჯბო, ჯბოვარი (შდრ. ჯბოვრელი); მასასადამე, ხბ-ს გაჩენა ენაში დაკავშირებულია ჯხ პროცესთან (უთურგაიძე, 1976).

ლიტერატურა

გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965 — თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, საერთოქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია, თბ., 1965.

თოფურია, 1979 — ვ. თოფურია, ხ და ჯ სიბილანტ-აფრიკატებთან მეზობლობაში, „შრომები“ III, თბ., 1979.

მიქაუტაძე, 2005 — მ. მიქაუტაძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურის საკითხები V-XI საუკუნეთა წერილობითი ძეგლების მიხედვით, ქუთაისი, 2005.

მარტიროსოვი, 1954 — ა. მარტიროსოვი, საერო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი, იკე, VI, თბ., 1954.

სარჯველაძე, 1967 — ზ. სარჯველაძე, ჯ და ხ ფონემათა ურთიერთმიმართებისათვის, ორიონი, აკაკი შანიძეს, თბ., 1967.

უთურგაიძე, 1976 — თ.უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976.

ცოცანიძე, 1978 — გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, თბ., 1978.

SOPIO TKESHELASHVILI

The Phoneme q [q] in the Fereidian Dialect of Georgian

Summary

The Fereidian dialect has preserved the phoneme [q] in the same position as it was in Old Georgian.

Similar to Kakhetian the opposition [x – q] is neutralized in Fereidian. The distribution of the phoneme in question is of particular interest; it is evidenced in vowel environment and is quite common in combination with the sonorants [m] [n] [r] and also v [v] in the initial position.

ენო ფაბაძე

**არაქული ნასმსობანი საწყლე ჭურჭლის
ტარმინოლოგიაში**

ძველ წერილობით ძეგლებში დასტურდება უცხოური წარმომავლობის სიტყვები, საწყლე ჭურჭლის ტერმინები. მათი ფუნქციონირება დიაქრონიულად და განსხვავებულ ენობრივ ქვესისტემებში საინტერესო სურათს გვიჩვენებს.

1. **ლიტრა** ძველ საქართველოში საწონი ერთეულის მნიშვნელობით გამოიყენებოდა: ილ. აბულაძის მიხედვით, **ლიტრას** საწყლს მნიშვნელობა ჰქონდა. **ლიტრა** – „საწყლს ერთეული, დაახლოებით გირვანქა“ (ილ. აბულ.): „მოილო **ლიტრა** ერთი ნელსაცხებელი ლარდიონი (ნარდისა OE) რჩეული“ (ი. 123); მოგვიღოდა ჩუენ მის მიერ **სამი ლიტრა** პური დღითი – დღედ“ (ი. მოც. 59,2); „მისცეს... ალვა **ასი ლიტრა** (ი.-ე. 23,5); „იყიდე ათი პური... და **ათი ლიტრა** ჯორცი (Ier. – 36,20 v); „მოილო სეტყვა **ლიტრისა** სწორი“ (წმ. ნინ. ცხ.).

ლიტრას საწონი ერთეულის მნიშვნელობა აქვს ისტორიულ საბუთებშიც: XI ს. ნიკორწმინდის სიგელში მოხსენებულია „რკინა **ლიტრა** რვა“, „ცვილი **ლიტრა** იდ“ (ქრონიკები, II, გვ. 46,48). თამარ მეფის 1190წ. სიგელში ნათქვამია: „მოიღებდნენ ყოველთა წელიწადთა შინა ცვილს, თხუთმეტსა **ლიტრასა**“ (შიომღვიმის ისტორიული საბუთები, გვ. 22). „თხუთმეტი **ლიტრა** აბრეშუმი კარგი“ იხსენიება შიომღვიმის 1227-30წწ. სიგელში, ხოლო 1246-50წწ. სიგელში – „თხუთმეტი **ლიტრა** ზეთი“ (ქრონიკები, I, გვ. 102, 128).

ჩვეულებრივი **ლიტრის** გარდა „ქალაქური ლიტრაც“ იხსენიება. მაგალითად, 1124 წლის ერთ სიგელში „გორული ლიტრა“ დასახელებული (ისტ. საბ. II, გვ. 33). სახლთუხუცესის ივანე სოლოღამვილის 1519წ. ქვათახევისადმი შეწირულობის წიგნში ნათქვამია, რომ შეწირული ყმა „მოიღებდეს ქვათა ჳეგსა ოთხსა **ლიტრასა** ცვილსა და ერთსა **ლიტრასა** საკმელსა ტფილის ქალაქურითა **ლიტრითა**“

(ისტ. საბ. III, გვ. 48).

ძველთაგანვე **ლიტრის** საფუძველზე არკვევდნენ სხვა საზომ ერთეულთა მოცულობასაც. წერილობითი წყაროების გარდა, ამაზე მეტყველებს **ლიტრის** საბასეული და ჩუბინაშვილისეული განმარტებებიც: **ლიტრა** (19,39 იოანე) „პირველ(ი) ჟამთა **ლიტრა** უმცირეს იყვნეს, ვიდრე აწინდელი... ახალი **ლიტრა** აღმოსავალთა აწ რომ არს, იპყარ რიცხვით: 4 **ქრთილის** მარცვალი ერთი **ყირათია**, რომელ არს **კერატი**, 3 კერატი ერთი **დანგია**; 6 დანგი ერთი **დრამია**; დრამნახევარი ერთი **მიტყალია**; 33 მიტყალი და ნახევარი ერთი **თუნტია**, რომელ არს სტილი. ხოლო ქალაქით(ი) — ქალაქად **ლიტრისა** წონა სადამე ოცი თუნტია, სადამე მეტი და სხვაგან ნაკლები. 48 თუნტის წონა ერთი **თილანია**; სპარსნი **ლიტრისა** ნაოთხალსა ჩარექს(ა) უ მობენ, რომელსა სომხურად **ნუჟი** და ქართულად გვერდი გინა ნაოთხალი ეწოდება; ხოლო გვერდისა ნაოთხალსა **ქსანი** ეწოდება. სადა **ლიტრათა** მცირე-დიდობა არ(ი)ს, ეგრეთვე ნაოთხალი და ქსანი განიყოფ(ვ)იან (საბა). **ლიტრა** (ბერძნ; არაბ.) - „ოცი სტილის წონა: გარნა ძველებური ლიტრა იყო უმცირესი საწონი, ერთი მნა ან აწინდელის გირვანქის ოდენი“ (დ. ჩუბ.).

როგორც ლ. ბოჭორიშვილი აღნიშნავს, **ლიტრის** მიხედვით ისაზღვრებოდა საქართველოში ძველთაგანვე საყოველთაოდ გავრცელებული ღვინის საწყავი **კოკისა** და საწყავ-საწონ სხეულთა პატარა საზომი ერთეულის — **ჩარექას** სიდიდეც (ბოჭორიშვილი, 1949, გვ. 200).

ტერმინ **ლიტრას** სემანტიკური ცვლილების გასაანალიზებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მიმართება ლექსიკურ ერთეულ **თუნგთან**. ეს უკანასკნელი, **ლიტრის** მსგავსად, წერილობით წყაროებში საწყავის მნიშვნელობით დასტურდება. ამასთან, აშკარაა ტერმინთა სემანტიკური დიფერენცირება — მნიშვნელობათა დაკონკრეტება: **ლიტრა** — მარცვლეულის ასაწყავი და სხვადასხვა საგანთა საწონი ერთეული, **თუნგი** — ღვინის საწყავი ერთეული:

„დასტურლამალში“, წინა დროის ძეგლების მსგავსად, ყოველგვარ ნივთიერებათა საწონ და საწყავ ერთეულად **ლიტრა**ა წარმოდგენილი და სითხეთა, კერძოდ — ღვინო-არაყის, ასაწყავადაც **თუნგთან** ერთად **ლიტრაც** კვლავ არის გამოყენებული. ასე მაგ., „მეძალღეთხუცესს, სხვა სურსათთან ერთად, დღეში „ღვინო ლიტრა ა“ უნდა მისცემოდა („დასტ.“, რგ-მეძალღეთ-ხუცისათჳს; ქარხნის ნა-

ზირს, წლიური ჯამაგირისა და სხვა სახის მისაცემელთა გარდა, დღიურად „ატენური ღვინო **ლიტრა** ა საჯელგო ღვინო **ლიტრა** ა“ ეკუთვნოდა (დასტ.“; რით-ქარხნის ნაზირის სარგოსათჳს)...

სასმელიც ისევე **ლიტრობით** იყიდებოდა („ვინც იჯარად აიღებს არაყს, სხუა კაცი მის მეტი ვერც გაჰყიდის, ვერც იყიდის. სოფლის არაყს იყიდის **ლიტრას** სამს ბისტად, შაურად; მერმე დუ თაშად გამოჰჳდის და ექუს შაურად **ლიტრას** გაჰყიდის, ვან შვიდ შაურად“ — „დასტ.“; იბ-არაყხანის იჯარისათჳს) და სურებიც **ლიტრობით** იწყებოდა („სადღინის თავლიდარმა სურები გამოწყული იქონიოს; რამდენიც სურა დაიხარჯოს, სურაში რამდენი **ლიტრა**ა, ის შეიტყონ რა რასაც სახლში რამდენი კოკა დაიხარჯოს, იმას თავლადირი ნაზირს შეატყობინებდეს“ — „დასტ.“ სიე-ჭამის ღვინისათჳს).

ამავე ძეგლში, როგორც აღვნიშნეთ, სითხის საწყავის მნიშვნელობით **თუნგიც** გამოიყენება. ერთ ძეგლში პარალელურად ორი საწყავი ერთეულის გამოყენება მათ მოცულობით სხვაობაზე უნდა მიუთითებდეს.

1784წ. „ქალაქის მოურავს სარგოსა“ და მეორე, აგრეთვე XVIII ს. მეორე ნახევრის „ქალაქის მოურავის სარგოშიც“, მარცვლეულის ასაწყავ და სხვადასხვა საგანთა საწონ ერთეულად ძველებურად კვლავ **ლიტრა**ა წარმოდგენილი, ღვინის საწყავი ერთეულის როლი კი მხოლოდ **თუნგსა** აქვს მინიჭებული: „ბატონის ნაცვალი ყოველთვის უნდა სინჯავდეს ლიტრას, ადლს, საწყავს და ყოველივე საწონს და გასაზომს და **თუნგს** და რომელსაც ნაკლებობა და სიმრუდე შეაჩნდეს, ჯარიმა, უნდა წაერთვას“ (საქ. სიძველენი, ტ. II, 527). „მოურავის ნაცვალი მუდამ ბაზარში უნდა დავიდოდეს და იჯდეს, და ადლს, **ლიტრას** და **თუნგს** უნდა შინჯავდეს; და რომელსაც ნაკლები ან **ლიტრა** ან ადლი ან **თუნგი** აქ, ჯარიმა უნდა წა(ე)რთვას, ათისთავს მოურავისთვის აიღებს და სხვას მეფის სარქარში მიაბარებს“ (იქვე, 529-530). ეს იმაზე მეტყველებს, რომ **თუნგი** თანდათან აძევებს **ლიტრას** სითხის საწყავი ერთეულთა რიგებიდან და ამ ფუნქციას თავად იღებს.

ლ. ბოჭორიშვილის აზრით, საქართველოს ზოგიერთ კუთხეში დღესაც საწყავად ხმარებული კოკის სიდიდის **თუნგით** განსაზღვრავ (მაგ., ქსნის ხეველნი კოკას 12 — თუნგიან საწყავოდ თვლიან) შეიძლება ლიტრის თუნგით შეცვლის სინამდვილეს ადასტურებდეს (ბოჭორიშვილი, 1949, 204).

მოგვიანებით **ლიტრამ** კიდევ იცვალა მნიშვნელობა. იგი თიხის პატარა საწყლვე ჭურჭლის აღმნიშვნელი გახდა.

ლიტრა, როგორც კონკრეტული ჭურჭლის სახელი, ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ისტორიაში“ არის მოხსენიებული: ავგორგიმ მუხრანის ციხეში გამაგრებულ ბაგრატს ალყა შემოარტყა, „შეამჭირვა ფრიად... წარუვლინა ღვინო **ლიტრითა** ბაგრატს. ხარ ძე მეფისა და არს ჟამი მრავალი, რომელსა არა გისვამ, აწ ივმიე“ (ქარ. ცხ.). **ლიტრას** ამავე მნიშვნელობით 1687 წელს საქ. კათალიკოს ნიკოლოზ ამილახორის მიერ შედგენილ საბუთშიც გვხვდებით. კათალიკოსად კურთხევის შემდეგ მის მიერ ტაძრისათვის შეძენილ ნივთთა შორის „ვერცხლის **ლიტრაც**“ არის ნახსენები (თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 506). ანუკა ბატონიშვილის მზითვის წიგნშიც (1712წ.) **„ლიტრა** წყლის სასმელი ვერცხლისა ერთი“ არის შეტანილი (საქ. სიძველენი, ტ. III, გვ. 498).

ქველ-ის მიხედვით **ლიტრა** არის 1. თიხის პატარა, ვიწროყელიანი წყლის ჭურჭელი. 2. ძველებური ქართული წონის ერთეული (სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა კუთხეში განსხვავებული: უდრიდა 1,4 კგ-ს); ერთი ლ. ერბო. — ასი ლ. საფანელი (ქველ). სითხის საწყაოს მნიშვნელობას კი ფრანგ. წარმოშობის **ლიტრი** გამოხატავს (ქველ).

ლიტრა პოლისემიურია კილოებში. კახურში იგი საწყლვე ჭურჭლის აღმნიშვნელია, საწყავის მნიშვნელობა აღარ აქვს (ბოჭორიშვილი, 1949, 204). იგივე მნიშვნელობა აქვს აჭარულში („თიხიდან ვაკეთებთ **ლიტრას**... **ლიტრაში** წყალ ჩავასხამთ“ — ჯავახ. მას. 252). ქართულურში **ლიტრა** საწყლვე ან საღვინე ჭურჭლის აღმნიშვნელია (**„ლიტრას** ვაკეთებთ ჩალხზე... **ლიტრაში** ჩადის ერთი თუნგიდან სამ თუნგამდის. ვხმარობთ წყალზე და ღვინოზედა“ — ზ. ქართ. — ჯავახ. მას, 111). ქართულშივე **ლიტრას** სითხის საზომის მნიშვნელობაც აქვს. როგორც ჯ. სონღულაშვილი მიუთითებს, ქართლში თიხის ლიტრას ასახელებენ, რომელიც სითხის საზომად ყოფილა გამოყენებული და რომელშიც ოთხი ჩარეკი ჩადიოდა. ხმარობდნენ ღვინისა და არაყის საწყაოდ (სონღულაშვილი, 1974, 192). პოლისემიურია ლიტრა ზემომიმერულში. იგი საწყლვე ჭურჭელსა და საწყაოს აღნიშნავს (კაკაბაძე, 1982, 76,85).

ტერმინი ლიტრა მრავალ ენაში არსებულია: ბერძნულად **„ლიტრა“**, ლათინურად **„ლიბრა“**, ასურულად **„ლიტრა“**, სომხურად

„ლიტრა“, არაბულ-სპარსულად **„რიტლ“**. ეს ტერმინი ბერძნებს რომაელებისაგან შეუთვისებიათ და ქართულში კი, როგორც ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს, ბერძნულიდან (**litra**) შემოსულა (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, 72). თავდაპირველად მას საზომ-საწონი ერთეულის მნიშვნელობა ჰქონდა, შემდეგ კი ქრონოლოგიურად და ენობრივ ქვესისტემებშიც სემანტიკური ცვლილება განიცადა.

ლ. ბოჭორიშვილის აზრით, ტერმინი **ლიტრა** სითხის ოდენობის გამოხატვის მიზნით მოეხვია თავს ძველ საქართველოში სხვა სახელწოდებით არსებულ ჭურჭელს, შემდეგ კი მის საკუთარ სახელადაც განიკუთვნა (ბოჭორიშვილი, 1949, 530).

ლიტრისაგან აფიქსური წარმოებით მიღებულია **ლიტრიანი** — „ჭურჭელი (ჩვეულებრივ ბოთლი), რომელშიც ერთი ლიტრი სითხე ჩადის“ (ქველ).

ტერმინ **ლიტრის** პარალელურად თანამედროვე სალიტერატურო ქართულსა და კილოებში გვხვდება **ნიტრა**.¹ **ნიტრა** — „ლიტრა“ (ქველ). წყლის მომცრო ჭურჭელს ქართლ-კახეთში **ლიტრა-ნიტრა** ჰქვია, იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმშიც — **ლიტრა-ნიტრა** (ვ. ბერ.), სამეგრელოში — **ნიტრა ან ნიტრა**, ჭანეთში **ლინტრე** (ივ. ჯავახ. მას., 54, 199, 217, 20...).

2. ძველ წერილობით წყაროებში გვხვდება საწყლვე ჭურჭლის აღმნიშვნელი ტერმინი **ტაკუკი** — „საწყლვე ჭურჭელი, კოკა, დოქი“ (ივ. იმნაიშვილი), „სარწყული, კუტალი, საწყლვე“ (ილ. აბულ.): „აღავსენით **ტაკუკი** ეგე წყლითა“ (ი. 2,7c), „ჰქმნე ტაკუკები და ციცხუები“ (ი, გამოსვლ. 25,29); **„ტაკუკნი** მათნი დაამჯუნა“ (ლონგ. 190,33); „ეპჰ შენი **ტაკუკ** წახნაგებულ“ (ი, ქება, 7,1).

საბას განმარტებით (16,33 გამოსვლ.), **ტაკუკი** „მომცრო საღვინე ჭურჭელია“ (საბა).

დ. ჩუბინაშვილი წერილობით წყაროებს ასახელებს (გამოსვლ. 16-33; 25-30; რიცხვი 4-8; ებრ. 9-4), **ტაკუკს** სომხური წარმოშობის სიტყვად მიიჩნევს და ასე განმარტავს: „მომცრო ტარიანი თასი ოქროსა ან ვერცხლისა“ (დ. ჩუბ.).

¹ ლ/ნ მონაცვლეობისათვის: კახ. ნიტრა < ლიტრა (იხ. ა. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956, გვ. 45); რაჭ. წენი < წელი (მ. ძიძიუტრი, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954, გვ. 220) სვან. ლიც „წყალი“ ნიც (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში), თბ., 1965, გვ. 129).

ქველ-ში მითითებულია ტერმინ **ტაკუკის** არქაულობა და ფაქტობრივად გამეორებულია საბასეული განმარტება: **ტაკუკი** (ძვ.) „მომცრო საღვინე ჭურჭელი“ (ქველ).

ღიალექტებში **ტაკუკი** არ დასტურდება.

როგორც აღვნიშნეთ, **ტაკუკი** დ. ჩუბინაშვილს სომხური წარმოშობის სიტყვად მიაჩნია, თუმცა იგი ქართულ-სომხური საერთო მოხმარების ლექსიკურ ერთეულად უნდა ჩაითვალოს. ორივე ენაში ტაკუკი საშუალო სპარსულიდან უნდა მომდინარეობდეს. მზ. ანდრონიკაშვილი წარმოგვიდგენს ფონეტიკურ შესატყვისობებს საშუალო სპარსულსა და ქართულს შორის: საშ. სპარს. **takōk** – ქართ. **ტაკუკი**: საშ. სპარს. **t** - ქართ. ა. თავკიდურა პოზიციაში; საშ. სპარს. **ō** ქართ. **უ** სიტყვის შიგნით (და ბოლოს). საშ. სპარს. **t** - ქართ. ტ. თავკიდურა პოზიციაში; საშ. სპარს. **k** – ქართ. კ სიტყვის შიგნით და ბოლოს (ანდრონიკაშვილი, 1961, 183,189, 194, 196). საშ. სპარსულში **takōk**-ს „საღვინე თასის“ მნიშვნელობა ჰქონდა (იქვე, 374), ქართულში კი საწყლე ჭურჭლის მნიშვნელობაც მიუღია, სემანტიკურად დატვირთულა იგი სომხურშიც („დოქი, ჭიქა, სასმისი, ჭურჭელი“) (იქვე).

3. საწყლე ჭურჭლის აღმნიშვნელია არქაული **გოვზაკი** – „სურა, დოქი, თასი, (ილ. აბულ): „ქმნა... **გოვზაკები**, რომლითა შეწირის მით“ (გამოსვლ. 87, 16); „აღილე ჰოროლი ეგე **გოვზაკი** სთუნლით მაგისა“ (მფ. 26,11).

ამავე წყაროთა მითითებით (№ მფ. 26,17; გამოსვლ. 37,16), საბა **გოვზაკს** განმარტავს სარწყულად: **გოვზაკი** – სარწყული, სარწყული ჭურჭელი, სარწყული კოკა“ (საბა).

დ. ჩუბინაშვილი **გოვზაკს** სპარსული წარმოშობის სიტყვად („დიდი სარწყული“) მიიჩნევს. მის სინონიმად ასახელებს **გოვზა**-ს, თუმცა საღვინეს განმარტებაში იგი შეტანილი აქვს საერთო ჩამონათვალში სხვა საღვინე ჭურჭლის გვერდით.

გოვზა და **გოვზაკი** ტერმინები თანამედროვე ქართულში აღარ გვაქვს.

მზ. ანდრონიკაშვილის აზრით, ქართ. **გოვზაკი** წარმოადგენს საშუალო სპარსულ ფორმას ახალი სპარსული სიტყვისა, რომლის მნიშვნელობაა „თიხის ქოთანი, ქოთანი“. საშუალო სპარსულში უნდა გვქონოდა ***kovz-ak** (ანდრონიკაშვილი, 1966, 306).

მკვლევრის აზრით, იმავე სიტყვიდან უნდა მომდინარეობდეს

ქართ. **კოვზი** (შდრ. აგრეთვე **გოზა, გოზაური**, „საღვინე ჭურჭელი“) (იქვე).

საინტერესოა, რომ არნ. ჩიქობავაც **კოვზი**-ის ქართულ წარმომავლობას საეჭვოდ მიიჩნევს. მისი აზრით, ამ სიტყვის აღნაგობა ეჭვს ბადებს, რომ **კოვზი** იყოს ჩვენი ენების ძველი კუთვნილება, მიუხედავად იმისა, რომ ის ქართულშიც გვაქვს, მეგრულშიც და ჭანურშიც: ჭან. **კუნ-ი/კიზ-ი**, მეგრ. **კიზ-ი**, ქართ. **კოვზი** (ჩიქობავა, 1938, 170). მეცნიერი ზმნურ ფორმათა ფონეტიკურ აღწერილობასაც იძლევა: ***კოვზ-** და **კუნ-** ერთი და იგივე ფუძეა; **ვ-** ქართულში ფონეტიკურად უნდა იყოს განვითარებული **ო-**ს შემდეგ; ეგვე **ო უ-** დ არის დავიწროებული ათინურსა და ვიწურ-არქაბულში; **კიზ-** ხოფურში მიღებულია **უ-**ს **ი-**თ შენაცვლებით. ხოფური ვარიანტი **კიზ-** მეორდება მეგრულში (იქვე).

ჩვენი აზრით, ქართ. **კოვზი** არქაული ქართული ნასესხობაა: „ფეშხუმი **კოვზითურთ** და ბრწყლით“-ი.-ე. 22,25 (ილ. აბულ.). თუ მზ. ანდრონიკაშვილის თვალსაზრისს ვირწმუნებთ (***kovz-ak**-იდან **კოვზის** მომდინარეობას), **ვ-**ს ჩანართობას ვერ გავიზიარებთ. იგი საშ. სპარსული ფორმიდან მომდინარედ უნდა მივიჩნიოთ. მეგრულ-ჭანური **კუნ-ი-კიზი** კი ქართული **კოვზიდან** უნდა იყოს მიღებული (როგორც არნ. ჩიქობავაც მიუთითებს).

სემანტიკურადაც **გოვზაკისა** და **კოვზის** დაკავშირება შესაძლებელია. საერთო სემანტიკა უნდა იყოს „სითხის ამოსაღები ჭურჭელი“ → 1. სარწყული (გოვზაკი) 2. (ლუკმის) ამოსაღები ჭურჭელი (კოვზი). სითხის ამოღება (საწვენდ გამოყენება) კოვზისთვისაც ნიშანდობლივია (შდრ. **კოვზი**; „მცირე ციციხვი მეტალისა, გინა ხისა, სახმარი დასასხმელად ან საჭმელად წვნიანთა“ – დ. ჩუბ; „მცირედ ჩაღრმავებული ტარიანი მოგრძო იარაღი სითხის, ფაფის და წვნიანი საჭმლის ასაღებად“ – ქველ. საბას განმარტება უფრო ზოგადია: „ლუკმის შთასაღებელი ნიჩაბი“ - საბა).

სპარსული წარმოშობის **-აკ** დაბოლოებიანი სიტყვები ქართულში სხვადავა: აგარაკი, ზუარაკი, ხორშაკი... (ანდრონიკაშვილი, 1966, 168-170). **გოვზა გოვზაკისაგან** უნდა იყოს მიღებული **აკ-**ის ჩამოცილებით, ამ უკანასკნელის ქართულ **-აკ** კნინობითობის მაწარმოებელთან ანალოგიით.

ამდენად: არქაულ ტერმინთაგან **ლიტრამ** საწყლე ჭურჭლის მნიშვნელობა სემანტიკური ცვლილების შედეგად მოიპოვა, **ტაკუკი**

და გოვზაკი კი თავიდანვე საწყლვე ჭურჭლის მნიშვნელობით და-
მკვიდრდა. ამავე დროს, პოლისემიურობა არც ტაკუკისათვის აღმო-
ჩნდა უცხო.

ლიტრა თანამედროვე სალიტერატურო ქართულსა და დიალექ-
ტებში აქტიური ლექსემაა. **ტაკუკი** და **გოვზაკი** კი აღარ გვხვდება.

შემაჯავებანი

ილ. აბულ. – აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი,
თბ., 1973

ვ. ბერ. - ბერიძე ვ., სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა,
თბ., 1986

ივ. იმნაიშ. – იმნაიშვილი ივ., ქართული ოთხთავის სიმფონია –
ლექსიკონი, თბ., 1986

საბა - საბა-სულხან ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I-II,
თბ., 1991-1993

დ. ჩუბ. – ჩუბინაშვილი დ., ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ.,
1984

ივ. ჯავახ. მას. – მასალები შინამრეწველობისა და ხელოსნობის
ისტორიისათვის, ივ. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, II, თბ., 1979

ლიტერატურა

ანდრონიკაშვილი, 1966 — მზ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები
ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966

ბოჭორიშვილი, 1949 — ლ. ბოჭორიშვილი, ქართული კერამიკა,
I, კახური, თბ., 1949

კაკაბაძე, 1982 — ც. კაკაბაძე, შრომული კერამიკა, თბ., 1982

სონდულაშვილი, 1974 — ჯ. სონდულაშვილი, საქართველოს მე-
ვენახეობის ისტორიისათვის, თბ., 1974

ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, თბ.,
1950-1964

ჩიქობავა, 1938 — არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შე-
დარებითი ლექსიკონი, თბ., 1938

ჩუხუა, 2003 — მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარები-
თი ლექსიკონი, თბ., 2003.

Loanwords Used for Water Vessel Terms in Georgian

Summary

Among the Georgian terms denoting water vessels some are of foreign
origin viz.:

litra (from Greek) primarily denoted the unit for measuring the volume
of a Tiqmid, gradually developed the meaning of a vessel for measuring
liquid, and finally acquired the meaning of a water vessel.

takuki – from Medieval Persian, **takōk** meaning wine bowl → water
vessel.

takuki is evidenced in Armenian as well.

govraqi – from Medieval Persian **kovrale** – a piece of pottery → water
vessel, jug.

litra is a widely used lexeme in Standard Georgian and its dialects,
whereas **takuki** and **govraqi** are not evidences nowadays Presumably **kovsi** is
(spoon) originates from **govraqi**.

ზიზა ჯაფარიძე

თხრობითი კილოს მარტივ დროთა წარმოება
იანეთში რეპატრიირებული მოსახლეობის
თურქულ მეტყველებაში

მეორე მსოფლიო ომის დასასრულს, 1944 წლის ნოემბერში, საბჭოთა იმპერიის ხელისუფალთა მიერ საქართველოს სამხრეთ რაიონებიდან (ისტორიული სამცხე-ჯავახეთიდან) შუა აზიაში გადასახლებულ და XX საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში რეპატრიირებულ ადამიანთა აშქამინდელი მეტყველება მრავალმხრივა საკვლევი; იგი განსაკუთრებით საინტერესოა სამეტყველო კოდების შერევის თვალსაზრისით, ვინაიდან ბოლო საუკუნეების მანძილზე ეს საზოგადოება ინტენსიური ენობრივ-კულტურული ინტერფერენციის პირობებში არსებობდა. ამ უნიკალური მასალის ლინგვისტური ანალიზი უტყუარ შედეგებს მოგვცემს ეთნო-კულტურული მახასიათებლების ისტორიული დინამიკისა და აწმყოს შესახებ.

შეიძლება ითქვას, რომ რეპატრიირებულთა თურქული მეტყველება ერზრუმის ვილაიეთის დიალექტს ემთხვევა. აღნიშნული მოსახლეობის მეტყველების ცალკე ენობრივ ერთეულად მიჩნევა მხოლოდ იმიტომ შეიძლება, რომ მასში მძლავრადაა შერჩენილი სუბსტრატი (ქართული) ენის ფონეტიკურ-ლექსიკური მონაცემები.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, გამოავლინოს ის ძირითადი თავისებურებანი, რომელიც ახასიათებს ზოგიერთი თხრობითი კილოს მარტივ დროთა წარმოებას ზემოთ აღნიშნული ხალხის თურქულ მეტყველებაში.

აწმყო-განსაზღვრული დრო. იანეთში მცხოვრებ მაჰმადიანთა თურქულ მეტყველებაში აწმყო-განსაზღვრული (ახლანდელი) დროის მაწარმოებლად **-yer** ფორმანტი გვაქვს, რომელიც თურქული ენის ამავე რიგის **-yor** აფიქსის ფონეტიკურ სახესხვაობას წარმოადგენს. მაგ.:

	წართქმითი ფორმა	
მხ. რიცხვი		მრ. რიცხვი
1. gädiyerim	„მე მივდივარ“	1. gädiyerux

2. gädiyersin		2. gädiyersiz
3. gädiyer		3. gädiyelär

უკუთქმითი ფორმა

მხ. რიცხვი		მრ. რიცხვი
1. gätmiyerim	„მე არ მივდივარ“	1. gätmiyerux
2. gätmiyersin		2. gätmiyersiz
3. gätmiyer		3. gätmiyelär

შესაძლებლობის ფორმა

მხ. რიცხვი		მრ. რიცხვი
1. gädebiliyerim	„მე შემიძლია წასვლა“	1. gädebiliyerux
2. gädebiliyersin		2. gädebiliyersiz
3. gädebiliyer		3. gädebiliyelär

შეუძლებლობის ფორმა

მხ. რიცხვი		მრ. რიცხვი
1. gädemiyerim	„მე არ შემიძლია წასვლა“	1. gädemiyerux
2. gädemiyersin		2. gädemiyersiz
3. gädemiyer		3. gädemiyelär

თურქულ ენათა ოლუზური ჯგუფის მახასიათებელი კითხვითი აფიქსი **mi** რეპატრიირებულთა მეტყველებაში შესაძლებელია არ იქნეს გამოყენებული, ასეთ შემთხვევაში კითხვით შინაარსს ინტონაცია გადმოსცემს. მაგ, წინადადება **Hasan galdi mi?** „ჰასანი მოვიდა?“, შესაძლოა რეპატრიირებულმა კითხვითი ინტონაციით ასეც წარმოთქვას: **Hasan galdi?**. ე.ი. მახვილი გადაინაცვლებს ბოლო მარცვალზე. ასეთი ტიპის კითხვითი წინადადების დროს **mi** კითხვითი ნაწილაკის არგამოყენების შემთხვევები ხშირად ფიქსირდება წარმოშობით ლაზთა მეტყველებაში. იანეთელთა მეტყველებაში უპირატესად მაინც **mi** კითხვითი ნაწილაკის შემცველი ფორმები გვსმენია.

კითხვით წინადადებაში აწმყო-განსაზღვრული დროის მხ. რიცხვის მეორე პირში სპორადულად ჩნდება რედუცირებული ფორმაც **-yen** დაბოლოებით. მაგ. **ne iştiyen?** „რა გინდა?“

Mäktäbä näye gäzmiyen? „სკოლაში რატომ არ დადიხარ?“

როგორც აღვნიშნეთ, თურქულ ენებში დადასტურებული აწმყო-

განსაზღვრული დროის მაწარმოებელი **-yor** აფიქსი, რეპატრიირებული მეთყველებში ძირითადად **-yer** ფორმითაა წარმოდგენილი. თურქული ენის სხვა ენობრივ უბნებში **-yor** აფიქსი რიგ ნაირსახეობას გვიჩვენებს: ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში, ტრაპიზონის ვილაიეთში აწმყო-განსაზღვრული დრო **-(i)yur, -ayur, -(i)y-ey** ფორმანტებით იწარმოება, ერზრუმში ვხვდებით **-yir, -yer** ვარიანტს, ყარსში — **-ir, -ir** ფორმებს, მაკედონიურში — **-yor > -iür. -yor** აფიქსის ასეთი მრავალსახეობა დიალექტებში ამ აფიქსის არც თუ ისე დიდი ხნის ისტორიაზე უნდა მიუთითებდეს (გუდიაშვილი, 1957, 220).

მყოფადი (მომავალი) კატეგორიული დრო. დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ რეპატრიირებულთა თურქულ მეთყველებში მყოფადი კატეგორიული დროის მაწარმოებელი **-AcAk, -(y)AcAk** აფიქსები გამარტივებულია.

იკარგვის რა ბოლოკიდური **k**, იგი მხ. რიცხვის III და მრ. რიცხვის სამივე პირში ამ მეთყველებისათვის დამახასიათებელ **x**-ში გადადის. მაგ.

	წართქმითი ფორმა	
მხ. რიცხვი		მრ. რიცხვი
1. yazacam	„მე დავწერ“	1. yazacayux
2. yazacan		2. yazacaxsız
3. yazacax		3. yazacaxlar
	უკუთქმითი ფორმა	
მხ. რიცხვი		მრ. რიცხვი
1. yazmiyacam	„მე არ დავწერ“	1. yazmiyacayux
2. yazmiyacan		2. yazmiyacaxsız
3. yazmiyacax		3. yazmiyacaxlar
	შესაძლებლობის ფორმა	
მხ. რიცხვი		მრ. რიცხვი
yazabülacäm	„მე შევძლებ დაწერას“	1. yazabülacäyux
yazabülacän		2. yazabülacäxsız
yazabülacäx		3. yazabülacäxlar

შეუძლებლობის ფორმა

მხ. რიცხვი		მრ. რიცხვი
1. yazamiyacam	„მე ვერ დავწერ“	1. yazamiyacayux
2. yazamiyacan		2. yazamiyacaxsız
3. yazamiyacax		3. yazamiyacaxlar

მყოფადი კატეგორიული დროის **-y(AcAk)** აფიქსი ასეთივე ფორმით გამარტივებულია თურქული ენის სივსურ დიალექტშიც (იხ. გურგენიძე, 1987, 198).

აწმყო-მყოფადი დრო. იანეთელთა მეთყველებში აწმყო-მყოფადი, ანუ აწმყო განუსაზღვრელი დროის წარმოება თურქულ ენებთან შედარებით დიდ განსხვავებას იძლევა. დროის აღმნიშვნელად მაგარი ხმოვნების შემცველი ფუძეებისათვის გვაქვს — **-iyir**, რბილი ხმოვნების შემცველი ფუძეებისათვის — **-iyir** აფიქსი. ბაგისმიერი ვარიანტი კი აღნიშნულ აფიქსს არ გააჩნია. აღნიშნულ ფაქტი გვხვდება აგრეთვე თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლურ დიალექტებში: **yola çığıyır, gahve içiyir** (ჯაფეროღლუ, 1994, 27).

ფონეტიკური ხასიათის ცვლილებები გვაქვს უკუთქმით ფორმაში, რომელთაც ქვემოთ შევხებით. განვიხილოთ თითოეული ფორმა ცალ-ცალკე.

	წართქმითი ფორმა	
მხ. რიცხვი		მრ. რიცხვი
1. baxıyırım	„მე ვუცქერ“	1. baxıyırux
2. baxıyırısın		2. baxıyırısız
3. baxıyır		3. baxıyılär
	წართქმითის კითხვითი	
მხ. რიცხვი		მრ. რიცხვი
1. baxıyır miyim?		1. baxıyırux mi?
2. baxıyır misin?		2. baxıyır misiz?
3. baxıyır mi?		3. baxıyırılär mi?
	უკუთქმითი ფორმა	
მხ. რიცხვი		მრ. რიცხვი
1. baxmam	„მე არ ვუცქერ“	1. baxmazux
2. baxmasın		2. baxmasız
3. baxmas		3. baxmazlar

უკუთქმითის კითხვითი ფორმა

მხ. რიცხვი

1. baxmam mi (ki)?
2. baxmaz misin?
3. baxmaz mi?

მრ. რიცხვი

1. baxmaz miyux?
2. baxmazmisiz?
3. baxmazlar mi?

როგორც ჩანს, როდესაც მხ. რიცხვის მეორე პირში უკუთქმითობის **-mA** მაწარმოებელს ემატება დროის **-z < r** ფორმანტი და შემდეგ ერთვის მეორე პირის **-sIn** აფიქსი, ჩვენს მეტყველებაში **z** თანხმოვანი **s**-სთან მეზობლობისას ჯერ ასიმილირდება და შემდეგ სრულიად იკარგება. იგივე ხდება მესამე პირშიც და მრავლობითი რიცხვის მეორე პირში, ესე იგი, საქმე გვაქვს **z**-ს ასიმილაციურ დაკარგვასთან.

მრავლობითი რიცხვის პირველ პირში კი თურქულისაგან განსხვავებით შენარჩუნებულია **-maz** ფორმანტი, ხოლო პირის ნიშნად სალიტერატურო **-Iz** შემასმენლობითი აფიქსის ნაცვლად ერთვის **-ux** აფიქსი, რომელიც, როგორც ვფიქრობთ, აღმოსავლეთ ანატოლიაში გავრცელებული **Hx < -ik** ფორმანტის ფონეტიკური სახესხვაობაა. (შდრ. თურქული **gelmeyiz**). ხმოვანთა ჰარმონიის წესის დარღვევის გამო კითხვითობის **mI** ნაწილაკის ხმოვანად მხოლოდ **i** გვხვდება.

შესაძლებლობის ფორმა

მხ. რიცხვი

1. baxabülürüm „მე შემიძლია ცქერა“
2. baxabülürsün
3. baxabülür

მრ. რიცხვი

1. baxabülürux
2. baxabülürsüz
3. baxabülülär

შესაძლებლობის კითხვითი ფორმა

მხ. რიცხვი

1. baxabülür miyim?
2. baxabülür misin?
3. baxabülür mi?

მრ. რიცხვი

1. baxabülür miyux?
2. baxabülür misiz?
3. baxabülülär mi?

შეუძლებლობის ფორმა

მხ. რიცხვი

1. baxamam „მე არ შემიძლია ცქერა“

მრ. რიცხვი

1. baxamazux

2. baxamasın

3. baxamas

2. baxamasız

3. baxamazlar

შეუძლებლობის კითხვითი

მხ. რიცხვი

1. baxamam mi?
2. baxamaz misin?
3. baxamaz mi?

მრ. რიცხვი

1. baxamaz miyux?
2. baxamaz misiz?
3. baxamazlar mi?

მაგალითები:

O ixtiyar ana-babasına baxıyır „ის მოხუც მშობლებს უყლის“.

Abu naxıra sän mi baxıyırın? „ამ ნახირს შენ უყლი?“

Yarın mäktäbe gelebüür misin? „ხვალ სკოლაში შეძლებ მოსვლას?“

İçiyirux, dans ediyirux „ვსვამთ, ვცეკვავთ“.

ნამყო-კატეგორიული დრო. ნამყო-კატეგორიული დროის წარმოება თურქულ ენათა ამავე დროის წარმოებასთან შედარებით გარკვეულ განსხვავებას იძლევა. დროის მაწარმოებელი აფიქსი მხოლოდობით რიცხვში ხმოვანთა ჰარმონიის წესის დარღვევით ერთვის ფუძეს. გამოიყენება მხოლოდ **-di/-dı, -ti/-tı** აფიქსები. მრავლობითი რიცხვის მეორე პირში **-niz** ფორმანტის ნაცვლად გვაქვს **-Iz** აფიქსი.

ყრუ თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეზე დართული **-ti/-tı**-ს თანხმოვნითი ნაწილი რეპატრიირებულთა მეტყველებაში ფშვინვიერი არ არის, მკვეთრია.

მაგ.

Llaçın yeni kompyuter açtı „ლაჩინმა კომპიუტერი გახსნა“

It cûcül qaçtı „ძალმა წიწილა გაიტაცა“

qız şehirden dışeri çıxtı yola düşti getdi „გოგო ქალაქგარეთ გავიდა, გზას გაუდგა, წავიდა“

ეს მოვლენა, ვფიქრობთ, მხოლოდ რეპატრიირებულთა მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი. სალიტერატურო აზერბაიჯანულში, აგრეთვე თურქული ენის ჩრდილო-აღმოსავლურ დიალექტებში ყრუ თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებს აღნიშნული დროის აღსანიშნად მხოლოდ მყდერი **-d**-ს შემცველი **-di** აფიქსი ერთვის. განვიხილავთ უღლილებს ნიმუშს;

წართქმითი ფორმა

მხ. რიცხვი		მრ. რიცხვი
1. içtim	„მე დავლიე“	1. içtux
2. içtin		2. içtiz
3. içti		3. içtilär

წართქმითის კითხვითი ფორმა

მხ. რიცხვი		მრ. რიცხვი
1. içtim	mi?	1. içtux mi?
2. içtin	mi?	2. içtiz mi?
3. içti	mi?	3. içtilär mi?

ნამყო-შედევობითი დრო. ამ დროის ფორმებიც რეპატრიირებულითა თურქულ მეტყველებაში სხვა თურქულ ენებთან შედარებით გარკვეულ ცვლილებებს ავლენს. კერძოდ, მხ. რიცხვის მეორე პირში ნამყო-შედევობითი დროის გამომხატველ **-miş** ფორმანტს დაერთვის **-sIn** შემასმენლობითი აფიქსი, ჩვენს მეტყველებაში კი **s** რედუცირებულია. შიშინა და სისინა ბგერათა მეზობლობაში სისინა გაუჩინარდა.

წართქმითი ფორმა

მხ. რიცხვი		მრ. რიცხვი
1. gälmişim	„თურმე მოვსულვარ“	1. gälmişux
2. gälmişin		2. gälmişiz
3. gälmiş		3. gälmişlär

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენს მეტყველებაში თხრობითი კილოს ზოგიერთ მარტივ დროთა წარმოების შემთხვევებში დადასტურებული განსხვავებები ფონეტიკური ხასიათისაა. თავისებურება უფრო მეტად ვლინდება პირის ნიშნებში, რომლებიც განსხვავებულია თურქულ ენათა ნორმებისაგან, მაგრამ მსგავსია თურქული ენის დიალექტთა ფორმებისა.

ლიტერატურა

გუდიაშვილი, 1962 — E. V. Гудиашвили, Фонетические особенности Ризе и Трапезунда, Вопросы тюркских языков, Баку, 1962.

გუდიაშვილი, 1957 — ე. გუდიაშვილი, ზოგიერთი ზმნური ფორმის შესახებ ქვემო წალკის თურქულ მეტყველებაში, საქ.სსრ. მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, II, თბ., 1957.

გურგენიძე, 1987 — მ. გურგენიძე, თხრობითი კილოს მარტივ დროთა წარმოება თურქული ენის სივასის დიალექტში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №4, 1987.

ვეკილოვი, 1973 — А.Векилов, Турецкая диалектология, Издательство Ленинградского университета, 1973.

ჯაფეროღლუ, 1994 — A.Caferoğlu, Kuzey-Doğu İllerimiz Ağızlarından Toplamalar (Ordu, Giresun, Trabzon, Rize ve Yöresi Ağızları). İkinci baskı, Ankara, 1994.

GIGA KAMUSHADZE

Formation of Simple Tenses of the Indicative Mood in the Turkish Speech of Moslem Population in Janeti

Summary

მანანა ლაგაზიძე

For the Turkish speech of Janeti moslems the formant *y* of the Definite Present tense is typical. The given formant is a phonetic variant of the Turkish affix *-yor*.

The affixes forming the Future categorical tense *_ Ac Ak _ (y) AcAk _* are simplified. The ultimate *k* is lost and in the third person singular and the plural of all the persons it is replaced by *x*.

The formation of the Present - Future tense or the Present Indefinite Tense differs greatly from the formation which is common in Standard Turkish.

The tense marking stems with strong vowels have **iyir**, whereas the stems with weak vowels have **ıyr**. The labial variant of the affix is not evidenced.

Similar variant is evidenced in North eastern dialects of Turkish.

In comparison with other Turkish languages the formation of Past Categorical reveals slight differences. In the singular the addition of the tense-marking affix is accompanied by the violation of vowel harmony. Only the affixes *-di/di -ti/ti* are used. In the second person plural the affix *iz* is used instead of the formant **-niz**. As is known, in the Past Resultative the second person singular the formant *-miş* takes the predicate affix *-sin*. In the Janeti accents it is reduced.

ბანაკაროვური ზედსართავი სახელის სემანტიკა და ნომინაციის პროცესები ნომინალურ სინტაგმაში

ზედსართავი სახელი, როგორც სიტყვა, ხასიათდება სემანტიკური, პრაგმატული და სინტაქსური ასპექტებით.

სემანტიკური თვალსაზრისით განკერძოებული ზედსართავი სახელის ლექსიკურ მნიშვნელობაში ჩვენ გამოვყოფთ ორ ასპექტს: სიგნიფიკატს და დენოტატს. ცნების ეს სტრუქტურული ნაწილები, როგორც ფენები, კომპონენტები შედიან ზედსართავი სახელის ლექსიკურ მნიშვნელობაში და ქმნიან მის სემანტიკურ ასპექტს.

ნომინალურ სინტაგმაში განკერძოებული ზედსართავი სახელები წარმოდგენილია დენოტატური მნიშვნელობებით (არ იწარმოება სემანტიკური იერარქიული სტრუქტურა, არ გამოიყოფა კონტაქტური მნიშვნელობები) და შესაბამისად გამოხატავენ საგნის დამახასიათებელ რეალურ ბუნებრივ თვისებებს, რომლებიც უფრო ხშირად საგნის გარეგნული ფიზიკური მონაცემია. დენოტატს ფართო განსაზღვრა აქვს, ანუ იგი არის მნიშვნელობის ცნებითი ბირთვი, აზრის ობიექტური, ნომინაციური, არასიტუაციური, ფაქტიური, დიქტალური, საგნობრივ-რელაციური კომპონენტი, რომელიც აბსტრაქტიზებულია მოდალური, პრაგმატული, სუბიექტურ-ემოციური, კომუნიკაციური დატვირთვისაგან. (ლინგვ. ენციკლ. ლექ. 1990, 129). (*ein malvenfarbiges Tüllkleid, golddurchvirkt* (ვაისკოფი, 1966, 575). *große Madonnenaugen, schön und unschuldig, neugierig und lasterhaft zugleich* (ზელბმანი, 1968, 356). *Onkel Augut, braungebrannt* (შუბერტი, 1967, 72)).

ნომინალურ სინტაგმაში ზედსართავი სახელის სემანტიკური ასპექტები დაკავშირებულია მის შინაგან ფორმასთან, ანუ სიტყვის მორფემის შემადგენელ სემანტიკურ და სტრუქტურულ ნიშანთან, რომელიც წარმოადგენს ნომინაციის საფუძველს.

ენის გამოყენებას, როგორც ურთიერთობის, აზრის გადმოცემის,

გაგებინების საშუალებას, საფუძვლად უდევს სამი ფუნქცია:

- 1) დაასახელოს რეალური სამყაროს საგნები (ნომინაცია);
- 2) დასახელებული დააკავშიროს ერთმანეთთან (პრედისკაცია);
- 3) ლოკალიზაცია მოახდინოს სივრცესა და დროში მთქმელის მიმართ (ლოკაცია).

ეს სამი დასახელებული ფუნქცია შეესატყვისება სემიოტიკის სამ ასპექტს:

- 1) „ნომინაციას“, როგორც ენობრივი ნიშნის მიმართებას ობიექტთან, შეესაბამება „სემიოტიკა“.
- 2) „პრედისკაციას“, ნიშნის ნიშანთან მიმართებას, შეესაბამება „სინტაქტიკა“.
- 3) „ლოკაციას“, მთქმელის ენობრივი ნიშნის მიმართებას თავის მესთან, შეესაბამება „პრაგმატიკა“.

თითოეულ ამ ფუნქციას აქვს თავისი გამოხატულების საშუალებანი, ანდა ფორმალური აპარატი.

ნომინაციის პირველადი ფორმალური აპარატი შედგება ენობრივი ნიშნებისაგან, რომლებიც შეადგენენ სახელად და ზმნის ჯგუფებს. ამჟამად ენებში სახელების შემდეგი კლასიფიკაცია არსებობს:

- 1) აქტიური და არააქტიური კლასები;
- 2) **სუფიქსიალური** და **პრაფიქსიალური** კლასები;
- 3) სულიერი და უსულო კლასები;
- 4) გრამატიკული გვარები.

ზოგიერთი ამ კლასიდან შეიძლება არსებობდეს ერთსა და იმავე ენაში. ნომინაციის ნიშნები ყოველთვის მიუთითებენ საგანთა კლასზე. ისინი ასახელებენ საგანს, ახასიათებენ მას. ნომინაციის ნიშნებს ეწოდება „დამახასიათებელი“ ნიშნები.

სინამდვილის ფრაგმენტების სახელებით აღნიშვნის ხასიათის მიხედვით განვასხვავებთ პირველადი და მეორადი ნომინაციის ტიპებს.

პირველადი ნომინაციის პროცესები თანამედროვე ენებში იშვიათია. ენის ნომინაციური ინვენტარი ამჟამად ივსება ძირითადად სესხების ან მეორადი ნომინაციის ხარჯზე, ნომინაციის აქტებში უკვე არსებული ერთეულის ფონეტიკური სახის გამოყენებით ახალი აღნიშვნებისთვის. პირველადი ნომინაციის შედეგები ენის მატარებლის მიერ აღიქმება, როგორც თავდაპირველნი. ასეთი ნომინაციის მწარმოებლობა შეიძლება აიხსნას მხოლოდ ეტიმოლოგიური და ისტორიული ანალიზით. მეორადი ნომინაციის პროცესებში გამოიყოფა ორი

ძირითადი ტიპი. მეორადი ნომინაციის ავტონომიური ტიპი და არა-ავტონომიური ტიპი.

მეორადი ნომინაციის ავტონომიური ტიპი ხორციელდება ერთი სახელის ბაზაზე:

- 1) **die Haut** — ადამიანის კანი 2) **die Haut** — ნაყოფის კანი.

მოცემულ შემთხვევაში სიტყვის მეორად მნიშვნელობას, რომელიც დამოუკიდებლად იძენს ნომინაციურ ფუნქციას, შეუძლია სინამდვილის მოვლენებზე ავტონომიურად მიუთითოს (ლინგ. ენციკ. ლექ. 1990, 336; ვაკი, 1977; კუბრიაკოვა, 1982).

ნომინალურ სინტაგმაში განკერძოებული ზედსართავი სახელის დენოტატური მნიშვნელობების აქტუალიზაციის საფუძველზე, ნებისმიერ კონტექსტში შენარჩუნდება განკერძოებული ზედსართავი სახელის შინაგანი ფორმა, ანუ სიტყვის მორფემის შემადგენელი სემანტიკური და სტრუქტურული ნიშანი, რომელიც წარმოადგენს ნომინაციის საფუძველს. აქედან გამომდინარე, ხორციელდება განკერძოებული ზედსართავი სახელის პირველადი ნომინაციების რეალიზაცია, ანუ განკერძოებული ზედსართავი სახელის პირველადი ნომინაციები განსაზღვრავენ მის სემანტიკას, შენარჩუნდება განკერძოებული ზედსართავი სახელის სემანტიკური მნიშვნელობა და მატერიალური სახე. (საპირისპიროდ ნომინალურ სინტაგმაში არაგანკერძოებული ზედსართავი სახელის სიგნიფიკატური მნიშვნელობების, რომლის საფუძველზეც ირღვევა ზედსართავი სახელის შინაგანი ფორმა. პირველადი ნომინაციები ვერ განსაზღვრავენ ზედსართავი სახელის სემანტიკას და ხორციელდება მეორადი ნომინაციის არაავტონომიური ტიპი. არაგანკერძოებული ზედსართავი სახელის შინაგან, ლოგიკურ-სემანტიკური ასპექტებიდან გამომდინარეობს მისი, როგორც არსებით სახელთან კავშირის „სუბიექტური სიტყვათაწყობის ფორმა“. ყველა ტიპის მეორად ნომინაციას საფუძვლად უდევს ასოციაციური ხასიათი. ნომინალურ სინტაგმაში არაგანკერძოებული ზედსართავი სახელის სიგნიფიკატური მნიშვნელობების ახლებური გააზრება მეორადი ნომინაციის პროცესებში ხორციელდება ტროპების სხვადასხვა ლოგიკური ფორმების სახით: 1) მეტაფორის; 2) მეტონიმის; 3) სინეკდოქას; 4) ეპითეტის; 5) ჰიპერბოლას; 6) ლიტატას; 7) ოქსიუმორონის; 8) პერიფრაზის; 9) ფუნქციონალური გადატანის სახით).

... ohne daß er die Gabe bessern hätte, Gedanken und Gefühle, gute und böse, mit anderen zu teilen (ზელბმანი, 1968, 77).

Die Zeit, die Zeit, furchtbar (შუბერტი, 1967, 41).

Die Mutter des Kleinen, rotbackig, mit glatten

Haaren und kleinen Portierzwiebel (შუბერტი, 1967, 204).

Heinricy, dickfällig und trotzig, setzte sich mit Scharren und Knarren.
(მანი, 1958, 634).

ნომინალურ სინტაგმაში განკერძოებული ზედსართავი სახელი მისი შინაგანი, ლოგიკურ-სემანტიკური სტრუქტურიდან გამომდინარე ემსახურება არსებულის დადასტურებას, ფაქტის აღნიშვნას, დაფიქსირებას და ნაკლებად დახასიათებას. განკერძოებული ზედსართავი სახელის შინაგანი, ლოგიკურ-სემანტიკური ასპექტებიდან გამომდინარეობს ნომინალურ სინტაგმაში მისი არსებით სახელთან კავშირის, როგორც „ობიექტური სიტყვათწყობის“ ფორმა.

სემანტიკური თვალსაზრისით ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრება აღნიშნავს საგნის არა მხოლოდ აქტიურ ან პასიურ ნიშანს ატრიბუტული მნიშვნელობით, არამედ ნიშანს, რომელიც მიეწერება საგანს, ე.ი. აქვს პრედიკაცია.

პრედიკაციის პირველადი ფორმალური აპარატის უმარტივესი მაგალითი შეიძლება იყოს ორი სახელის მიმართება. მაგ: არსებითი სახელისა არსებით სახელთან, არსებითი სახელისა ზედსართავ სახელთან. პრედიკაციის ნიშნები იწოდებიან „უნივერსალურად“ და „სინტაქსურებად“, რადგან ისინი წარმოიშობიან ყოველთვის უნივერსალურად.

პრედიკაცია არის აზრის დამოუკიდებელ საგანთა შეერთების აქტი, რომლებიც გამოხატულნი არიან დამოუკიდებელი სიტყვებით, პრედიკატიტ და მისი აქტანტებით, იმ მიზნით, რომ ასახონ „საქმის მდგომარეობა“, სინამდვილის ვითარება, სიტუაცია.

ნომინალურ სინტაგმაში განკერძოებული ზედსართავი სახელის პრედიკაციის არსებობა ადასტურებს მსაზღვრელი და საზღვრული სიტყვების დამოუკიდებლობას და მიუთითებს მათი კავშირის თავისუფლებაზე.

პრედიკაცია არის გამოხატვა არასრული გამონათქვამისა ანუ მნიშვნელობა, რომელიც ახლოს დგას შემასმენელთან, მაგრამ არაიგივეობრივია მისი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, განკერძოებული განსაზღვრება თავის თავში შეიცავს დამატებითი გამონათქვამის ელემენტს, მაგრამ არა იმ დონით დამოუკიდებელს, როგორც შემასმენელია, არამედ რამდენადმე შესუსტებულს შემასმენელის არსებობით.

ატრიბუტული განსაზღვრება გადმოსცემს ნიშანს, ანუ იგი არაფერს არ გვატყობინებს საგნის შესახებ, რომელსაც მოცემული ნიშანი მიეწერება. როცა ამგვარი შესიტყვებები გამოიყენებიან დასახელებულის არსებობის დასადასტურებლად, მაშინ ისინი ხდებიან გამონათქვამი წინადადებები, ხოლო მის წევრებს შორის წარმოიშობა პრედიკაცია. ეს შესაძლებელია მაშინ, როცა ხდება ატრიბუტული სინტაგმის აქტუალიზაცია მეტყველებაში.

სტრუქტურაში „არსებითი სახელი — ზედსართავი სახელი“ ზედსართავი სახელი გადმოსცემს არა მხოლოდ ნიშნის დასახელებას, არამედ აგრეთვე მიმართებას საგანსა და ნიშნის დასახელებას შორის, დროის გარკვეულ მონაკვეთში. ეს მიმართება გამოიხატება განსაკუთრებული გრამატიკული საშუალებებით, კერძოდ, ინვერსიით.

განკერძოებული განსაზღვრება თავის თავში შეიცავს არა მარტო ნიშნის დასახელებას, რომელიც მოცემულია საგანში, არამედ აგრეთვე ელემენტს მის შესახებ გამონათქვამისა. ეს გამონათქვამი გვაძლევს წარმოდგენას ნიშანსა და საზღვრულ საგანს შორის მიმართების არსებობაზე ამა თუ იმ დროის მონაკვეთში და თავისი გამოხატვისთვის საჭიროებს განსაკუთრებულ, დამატებით გრამატიკულ საშუალებებს, რომლებიც მიიპყრობენ მკითხველის ან მსმენელის ყურადღებას და გამოიწვევენ ქვემდებარის ჯგუფის დანაწევრებას, მაგრამ ამავე დროს არ მოითხოვენ დამატებით ლექსიკურ საშუალებებს ან სხვა მორფოლოგიურ გამოხატვას არაგანკერძოებულ განსაზღვრებასთან ან განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებასთან შედარებით.

პრედიკაცია განკერძოებულ განსაზღვრაში წარმოიშობა:

1) ამხსნელი ინტონაციით და პაუზებით წარმოქმნის დროს, რაც წერილობით აღინიშნება სასვენი ნიშნებით და რომლის წყალობითაც მიიღწევა ქვემდებარის ჯგუფის დანაწევრება.

2) დამატებითი ლოგიკური მახვილით წარმოქმნის დროს.

3) სიტყვათა ჩვეული წყობის შეცვლით, ანუ ინვერსიით.

ინვერსია განკერძოების დროს გამოდის როგორც ყველაზე უფრო ძლიერი საშუალება მიპყროს მკითხველის ან მსმენელის ყურადღება წარმოთქმული აზრისკენ, შტრიხისკენ.

განსაზღვრების დაყენება საზღვრული სიტყვის შემდეგ — ინვერსია, ზრდის განსაზღვრების კუთრ წონას, რომელიც გადაადგილების და გამოყოფის აქცენტოლოგიური საშუალებებით წინადადებაში იძენს დიდ ძალას, დიდ დამოუკიდებლობას, პრედიკაციას.

ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრების პრედიკატული მნიშვნელობის არსებობა და მისი დამოუკიდებლობა დასტურდება იმ გარემოებითაც, რომ განკერძოებულ ზედსართავ სახელს შეიძლება ახლდეს დამოკიდებული წინადადებაც.

Zwei Prachtkerle, dick, stark und übermütig, die in den Gehölzen der Umgegend regelrechte Faustduelle veranstalteten (მანი, 1958, 553).

Doch ein anderes Bild, so unvermittelt, daß er sekundenlang erstarrt neben ihr lag (ფრიში, 2000, 104).

ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრება უფრო შემოიფარგლავს, რალაცაზე მიუთითებს, ვიდრე ხსნის ქვემდებარის აზრს. გარდა ამისა, განსაზღვრება განკერძოების დროს იქნის დროითი მნიშვნელობის ელფერს — იწვევს ნიშნის მიმართების წარმოდგენას დროის ამა თუ იმ მომენტთან და არა საერთოდ დროსთან, ე.ი. გამოხატავს არა მტკიცე ნიშანს, არამედ შემოსაზღვრულს დროში, რომელიც დაკავშირებულია დროის განსაზღვრულ მონაკვეთთან, რაც მას აახლოვებს შემასმენელთან.

ნომინალურ სიტაგმაში განკერძოებული ზედსართავი სახელები აფიქსირებენ საგნის ნიშან-თვისებებს მოცემულ მომენტში, დროის მოცემულ მონაკვეთში. ისინი ახასიათებენ, განსაზღვრავენ საგანს ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულების მომენტთან მიმართებით (საპირისპიროდ არაგანკერძოებული ზედსართავი სახელის სიგნიფიკატური მნიშვნელობებისა, რომლებიც გადმოსცემენ მუდმივ ნიშანს, რომელიც არ არის შემოსაზღვრული დროში).

Und so schreiten wir mit erhobenen Stirnen, voller mannhafter Zuversicht, über die Schwelle dieses neuen Jahres (ვაისკოფი, 1966, 31).

Vor ihm die Dogge, irgendwie entsetzt und verwirt (ფრიში, 2000, 42).

Viele Bücher standen in der Vitrine, mit bunten Umschlägen, dicke, dünne (კაუერი, 2000, 290).

... zum Glück gibt es noch eine Straßenbahn, eine letzte (ფრიში, 2000, 30).

ამრიგად, ნომინალურ სიტაგმაში განკერძოებული ზედსართავი სახელები ხასიათდება:

- ა) პრედიკაციით;
- ბ) დროითი მნიშვნელობის მომენტით.

ლიტერატურა

ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონი 1990 — Лингвистический энциклопедический словарь. Под ред. В. Н. Ярцевой. Москва. 1990.

ვაისკოფი, 1966 — Weiskopf F. C. Abschied vom Frieden. Aufbau Verlag Berlin und Weimar 1966.

ზელბმანი, 1968 — Selbmann F. Die Söhne der Wölfe. Mitteldeutscher Verlag Halle (Saale) 1968.

შუბერტი, 1967 — Schubert D. Acht Unzen Träume. Verlag Neues Leben Berlin 1967.

გაკი, 1977 — Гак В.Г. Языковая номинация. М., 1977.

კუბრიაკოვა, 1982 — Кубрякова Е.С. Способы номинации в современном русском языке. М., 1982.

მანი, 1958 — Mann Th. Buddenbrooks. Verlag für fremdsprachige Literatur 1958.

ფრიში, 2000 — Frisch M. Skizze (Schinz). Verlag „Menedsher“ Moshaisk 2000.

კაუერი, 2000 — Kauer W. Der Mann mit dem Lexikon. Verlag „Menedsher“ Moshaisk 2000.

MANANA GAMBASHIDZE

**Semantics of Isolated Adjectives and Nominal Processes
in a Nominal Syntagma**

Summary

სოფიო ჟივანო

In nominal syntagma the semantic aspects of an isolated adjective are connected with its inner form i. e. with the semantic and structural features of the morphemes of the given word.

The logical and semantic aspects of an isolated adjective determine the relation of its inner form which creates the basis for the realization of primary nomination.

Semantically isolated attributes expressed by adjectives denote:

1. Not only the active or passive attributive meanings of an object, but the predication as well.

2. Isolated attributes acquire temporal meanings as well. They show the reference to a particular time.

Thus in a nominal syntagma the isolated adjective is characterized by a) predication and b) temporal meaning.

**Can მოდალური ზმნის მნიშვნელობა და გამოყენების
ძირითადი შემთხვევები**

ინგლისურ ენაში მოდალურ ზმნებს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვთ. მოდალური ზმნები გამოხატავენ რეალობასთან განსაზღვრულ კავშირსა და დამოკიდებულებას. მათ შეუძლიათ გამოხატონ მოდალურ მნიშვნელობათა მდიდარი გამა, რომელიც დამოკიდებულია წინადადების კონტექსტსა და სტრუქტურაზე. ისინი გვევლინებიან აზრთა ზუსტი შეფერილობის გამომხატველ ადექვატურ საშუალებებად.

ინგლისურ ენაში მოდალური ზმნა **can** შესაძლებლობის გამოხატველი ერთ-ერთი ძირითადი ლექსიკური საშუალებაა. განვიხილოთ მისი მნიშვნელობისა და გამოყენების ძირითადი შემთხვევები:

1. მოდალური ზმნა **can** გამოიყენება მნიშვნელობით „უნარის ქონა, შეძლება“. ამ შემთხვევაში **can** მიუთითებს მოქმედების შესრულების შესაძლებლობაზე ფიზიკური ძალის, გონებრივი შესაძლებლობის, ცოდნისა და პირადი თვისებების საშუალებით. მაგალითად:

He can walk without my help now.

He could not take his eyes off her.

I can't exactly express my meaning.

You can't take away the knowledge you gave me.

I have forgotten my own language, and can speak nothing but yours.

The girl is genius. She can play the piano quite beautifully.

I can be civil and kind to people which is more than you can.

He can learn a language in a fortnight.

ამ და სხვა მსგავს წინადადებაში **can** გამოხატავს მოქმედების შესრულების შესაძლებლობას, როდესაც ეს დამოკიდებულია პირად შესაძლებლობებზე.

2. გარდა პირადი შესაძლებლობების გამოხატვისა მოდალური ზმნა **can** თანამედროვე ინგლისურ ენაში ასევე გამოიყენება ობიექტუ-

რი შესაძლებლობის მნიშვნელობით.

თხრობით წინადადებაში **can** გამოხატავს რეალურად არსებულ შესაძლებლობას, სადაც იგულისხმება არა პირადი შესაძლებლობანი მოქმედების განსახორციელებლად, არამედ ისეთ ობიექტურ პირობათა არსებობა, რომლის დროსაც მოქმედება ადვილად შეიძლება განხორციელდეს. ეს მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, უფრო შესამჩნევია, როდესაც მოქმედების სუბიექტი პასიურია. მაგალითად:

We'll go away today, if you like. We can easily catch the 3.40.

It is quite fine now, Clara. We can walk to a motor bus.

I will let you know, so you can be there.

I don't think now that people can be divided into the good and the bad...

I think we're very good friends already. We can always remain so as long as you

don't spoil it by saying extravagant silly things to me.

ყველა ჩვენ მიერ განხილულ მაგალითში **can** გვიჩვენებს მოქმედების განხორციელების შესაძლებლობას, გამოხატულს ინფინიტივით, არა შესაძლებლობისა და გონებრივი ძალით, არამედ გარეგანი მიზეზებიდან გამომდინარე, ობიექტური პირობებით, რომელიც ხელს უწყობს ამ მოქმედებათა განხორციელებას.

უარყოფით წინადადებაში შესაბამისად უარყოფილია მოქმედების განხორციელების შესაძლებლობა ამა თუ იმ გარემოებათა გამო. მაგ:

You can't open a paper nowadays without seeing advertisements for staff.

He was certain there could be no light.

There can't be any feelings between the like of you the like of me.

"I'm afraid it can't be to-night", said Shelton, "I must get back".

3. უარყოფითი წინადადება **can** მოდალური ზმნით ხშირად ატარებს რამდენიმე სხვადასხვაგვარ აზრს. თუ ზემოთ განხილული მაგალითები შეიცავენ მოქმედების განხორციელების შესაძლებლობას მოსაუბრის აზრით, მაშინ წინადადებაში, რომლებიც ახლა უნდა განვიხილოთ, ეჭვის ქვეშ დგება ან უარყოფილია მოქმედების შესაძლებლობა. ასეთი წინადადებები თავისი ხასიათით ატარებენ გამოთქმული აზრის საპირისპირო მნიშვნელობას. მაგალითად:

You can't mean it.

Oh! It can't be true!

Listen! He's still playing - he can't know.

თუ უარყოფილია ესა თუ ის მოვლენა წარსულში, მაშინ ზმნა **can** გამოიყენება პერფექტ-ინფინიტივთან ერთად:

Oh! Freddy, there must be one. You can't have tried.

He can't have taken it upstairs this morning.

მოქმედების მოსალოდნელობის უარყოფისას წარსულში შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც **can**, ასევე **could** მოდალური ზმნა. ასეთ შემთხვევაში მოვლენის უარყოფას აქვს ნაკლებ კატეგორიული ხასიათი და ჩართულია გარკვეული ვარაუდი. მაგალითად:

He can't have said such a thing.

He couldn't have said such a thing.

4. ასევე მნიშვნელოვანია **can**-ის გამოყენება კითხვით წინადადებაში, როდესაც გამოხატულია ეჭვი, მოქმედების მოსალოდნელობა.

კითხვითი წინადადება ხშირად გამოიყენება არა რეალურად არსებული ამა თუ იმ კავშირის გამოსარკვევად, არამედ მოსაუბრის დამოკიდებულების გამოსახატავად ამა თუ იმ ფაქტისადმი ან მის შესაფასებლად.

ეჭვის გამომხატველი კითხვითი წინადადება ხშირად მოიცავს **can** მოდალურ ზმნას, რისი საშუალებითაც უფრო გაძლიერებულია ეჭვი:

What could you know of such things?

Could you believe that?

ასეთი კითხვები ახლოა უარყოფის, ალბათობისა და ეჭვის მნიშვნელობასთან. შეკითხვა — **What could you know of such things?** გულისხმობს **You can't know anything of such things**, ხოლო წინადადება **Could you believe that? _ I should think you can't believe that.** იგივე შეიძლება ითქვას შემდეგი წინადადებების შესახებაც:

Can you blame the girl?

Could it be that the consummate little actress was still bluffing?

მოდალური ზმნა **can** გამოიყენება ასევე ისეთ კითხვით წინადადებაში, რომლებიც გამოხატავენ განცვიფრებასა და გაოცებას. ეს ემოციური შეფერილობის მქონე კითხვებია, რომლებიც პასუხს არ მოითხოვენ. ემოციურ-ექსპრესიული და მოდალური შეფერილობა წინადადებისა გამომდინარეობს კითხვის სემანტიკიდან, მოდალური ზმნის ლექსიკური მნიშვნელობიდან და ინტონაციიდან.

How can you let things slide like that, Dick?

I'm sorry, sir; but how can you expect women nowadays to have the same views as our grandmothers?
. . . but what else could her letter mean?
What can Freddy be doing all this time? He's been gone twenty minutes.

ემოციური შეფერილობის მქონე კითხვითი წინადადებებში ხშირად გამოიყენება **could**, და თუ მხედველობაშია მოქმედება, რომელიც წარსულის გეგმებს ეხება, მაშინ გამოიყენება ინფინიტივის პერფექტის ფორმა.

How else could you possibly know that she is here?
I wonder what that could have meant?

განხილულ საკითხებს შეიძლება ჰქონდეთ უფრო მეტი ემოციური შეფერილობა, რომელიც დამოკიდებულია წინადადების ლექსიკურ შემადგენლობასა და ინტონაციაზე.

How could you be so silly, Henry?
Why on earth couldn't you have written?
How can you be so conceited, Dumby?

5. მოდალური ზმნა **can may**-ის მსგავსად გამოხატავს ნებართვას. ადრე ის არ გამოიყენებოდა ნებართვის მნიშვნელობით. ეს მსგავსება მხოლოდ თანამედროვე ინგლისურში შეიძინა. **Can** გამოიყენება არაოფიციალურ ინგლისურში მეგობართან, ნაცნობთან ან სოციალურად დაბალ საფეხურზე მყოფ ადამიანთან საუბრისას:

“ Can we have beds here?~ inquired Mr. Pickwick, summoning the waiter.

You can keep the change.

You can wait in the kitchen.

Can Mr. Pearce go to bed? We don't want anything more, do we?

There's such a smell of burning, Daddy. Can I go down and see?

Can ასევე გამოიყენება „უფლების ქონის“ მნიშვნელობითაც:

Now you are free and can do what you like.

. . . the matter is, sir, that you can't take a girl up like that as if you

were picking up a pebble on the beach.

ეს არის ის ძირითადი მნიშვნელობები, რომლებიც გადმოიცემა

can მოდალური ზმნით.

ზოგიერთი მკვლევარი მიუთითებს **can** - ის მსგავსებას ზმნასთან **be able to**. მართალია, ის თავისი ერთ-ერთი მნიშვნელობით მსგავსია **be able** - ისა, მაგრამ მას ახასიათებს მთელი რიგი მნიშვნელობები, სადაც ისინი სინონიმებად არ გვევლინებიან. თანამედროვე ინგლისურში ის იძენს მთელ რიგ ახალ მნიშვნელობებს (ნებართვა, ვარაუდი).

განხილული მაგალითების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ **can**-ის ძირითადი მნიშვნელობა არის როგორც პირადი და ობიექტური შესაძლებლობანი, ასევე მისი გამოყენება წინადადების უარსაყოფად. როგორც ვნახეთ, ზმნა **can** ხშირად გვხვდება ემოციური ელფერიტ ეჭვის, გაოცებისა და განცვიფრების გამოსახატავად.

ლიტერატურა:

ერმანი, 1966 — Ehrman, M. E. _ The meaning of the modals in present day English, The Hague: Mouton, 1966

იოჰანსონი, 1978 — Johanneson, N. L. _ The English modal auxiliaries, Stockholm: Almqvist & Wiksell International, 1978

ლიჩი, 1971 — Leech, G. N. _ Meaning and the English verb, London, Longman, 1971.

პალმერი, 1979 — Palmer, F. R. _ Modality and the English Modals, Longman, London and New York, 1979

SOPIO KIPANI

Expression of Probability in Current English

Summary

The paper discusses various means of expressing probability in current English such as: the modal verbs -can, may; the modal words - probably, perhaps, maybe, possibly, presumably, constructions to be / not to be likely; I suppose, to be possible etc.

ენის უარაზენიძე

ტექსტის ინფორმაციული მოცულობის ცვალებადობა

ტექსტში მოცემული ინფორმაცია შეიძლება იყოს ექსპლიციტური ან იმპლიციტური. მისი აღქმისას კომუნიკანტი მნიშვნელოვანწილად ეყრდნობა კონტექსტუალურ ცოდნას, კონკრეტული სიტუაციის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას (შტეტერჰაიმი, 1997). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტექსტის გაგებაში ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს ასრულებს აგრეთვე წინარე ცოდნის კომპლექსი.

ინფორმაციის მოცულობა ტექსტში ცვალებადი სიდიდეა. ერთი მხრივ, კომუნიკანტის მიერ დაწერილის აღქმისას ენტროპია მცირდება. მეორე მხრივ, ერთი და იგივე ტექსტი სხვადასხვა კომუნიკანტის მიერ სხვადასხვაგვარად გაიგება, ვინაიდან, როგორც აღნიშნავს ჰ. შტრონერი, ცოდნის ცნება განაპირობებს ინფორმაციის ცნებას (შტრონერი, 2000, 262). ამის შედეგად ერთი ტექსტის ფარგლებში ინფორმაციის მოცულობა მერყეობს მკითხველის ინდივიდუალური ინტელექტის შესაბამისად.

მაგალითი 1:

Jetzt leuchtet es wieder wie einst in barockem Glanz, in Tönen zwischen Honig, Karamel, Orangeat und Kirche: das „achte Weltwunder“, das geheimnisumwitterte Bernsteinzimmer [aus: Deutschland 2003 N2, 13].

მაგალითი 2:

Schließlich ist die „Dritte Welt“ genau genommen, das Produkt der vergangenen Epoche [aus: Deutschland D Spezial, 10].

მაგალითი 3:

Gemälde, darunter ein Cranach, ein Watteau und ein Brueghel, wurden von ihr zerschnitten und auf den Müll geworfen [aus: Focus 2002 N46, 90].

მაგალითი 4:

Der Brigadier hatte sehr leise das Krankenzimmer betreten, als lägen da Todkranke in den Betten, doch bereits nach zwei Minuten ging es ihm wieder

ganz munter von den Lippen: „Junge, Junge, du wirscht dein eigener Luzifer nicht mehr sein, das kannst du mir glauben“ [aus: Steiniger, Melde mich vom Knast zurück, 258].

მაგალითი 5:

Sein Schatten wirkt wie der des Hundes von Baskerville [aus: Kienast, Die letzte Tour, 169].

მკითხველი, რომელმაც არ იცის, რას ნიშნავენ ცნებები „მსოფლიოს მერვე საოცრება“ (იხ. მაგალითი 1), „მესამე სამყარო“ (იხ. მაგალითი 3), რომ ლუციფერი (იხ. მაგალითი 4) ბიბლიური, ხოლო ბასკერვილების ძაღლი (იხ. მაგალითი 5) ლიტერატურული პერსონაჟებია, ვერ გამოიყვანს ამ მიკროტექსტებიდან სათანადო ინფერენცს და გაიგებს მათ მხოლოდ ნაწილობრივ.

ხანდახან ინფერენცის გამოყვანა შეიძლება საერთოდ არ შედგეს. მაგალითად, წარწერა ორი ახალგაზრდა მამაკაცის სურათის ქვეშ:

მაგალითი 6:

Die beiden sollen jahrelang mit importiertem Billig-Zahnersatz gedealt haben [Focus 2002 N49, 46].

დარჩება გაუგებარი, თუ კომუნიკანტმა არ იცის, რომ ზმნა deal „ნარკოტიკებით, ხოლო აქ: უკანონო ვაჭრობას“ ნიშნავს და დამახასიათებელია სასაუბრო ენისათვის, მოცემულ მაგალითში კი იგი საკვანძო სიტყვაა.

მაგალითი 7:

Obwohl selbst Vorzeigekapitalist, ist Kafelnikow stets ein Gegner der amerikanischen Hegemonie auf der Tennis-Tour geblieben - ein kalter Krieger [aus: Süddeutsche Zeitung 2002, N275, 31].

იმისთვის, რომ გავიგოთ გამოთქმა „Kalter Krieger“, უნდა ვიცოდეთ, თუ რას წარმოადგენს ცნება „ცივი ომი“, რომელიც აქ გადატანილი მნიშვნელობით გამოიყენება.

მაგალითი 8 (ტექსტი მოყვანილია სრულად):

Erinnerung an Bertolt B.

Meckerndes Gelächter. Unrhythmisches, unregelmäßiges Rucken des runden Kopfes: Spannung vor ständigem Start. Überdruck in der grauen Kluft; das einzige Ventil: die Zigarre. Heitere Augen, kräftige Worte: Scheiße das schwächste. Zwei Lederlatschen, die mit ihm hin und her gingen. Insbrünstig nichts glaubend. Beispielend. Von großzügigem Geiz. Fortdauer nur der Veränderung gestattet dieser letzte Heilige des Zweifels, der asketische Syba-

rit und Verkünder der Wissenschaft der Kunst und der Kunst des Wissens. Manchmal: Im winzigen Sessel, der schaukeln konnte, in diesem seiner Erde nah, tief am hölzernen Boden; die andern, wir, auf erhöhten Plätzen. Und sahen zu ihm auf. Und er war nicht mehr da [Kunert, Erinnerung an Bertolt B.].

გ. კურნეტის მინიატიურიდან „Erinnerung an Bertolt B.“ მკითხველი საერთოდ ვერ გამოიყვანს ინფერენცს, თუ მას არ ექნა წინარე ცოდნა იმის შესახებ, თუ ვინ იყო ბერტოლტ ბრეხტი, ვინაიდან თავად ნაწარმოებში მწერლის არც გვარი და არც სახელი ნახსენები საერთოდ არ არის.

შემდეგი მაგალითი წარმოადგენს მონაკვეთს სტატიიდან „Pact zwischen Himmel und Hölle“:

მაგალითი 9:

Unabhängige Forscher dürfen erstmals die Papiere sichten, die päpstliche Archive in den dunklen Schächeln den Nuntiaturen München und Berlin oder in den grünen Mappen mit der Aufschrift „Sacra Congregazione degli Affari Ecclesiastici Straordinari“ (AES) aufbewahren. AES war das kleine Außenministerium des Vatikans, geleitet von einem Kollegium aus knapp 20 Kardinälen sowie einer Hand voll Mitarbeiter [aus: Spiegel 2003 N17, 64].

სტატიაში არ არის მოცემული ზემოხსენებული იტალიური გამოთქმის თარგმანი („განსაკუთრებულ საეკლესიო საქმეთა წმინდა კონგრეგაცია“), ამიტომ გერმანული ენის მატარებელი, რომელიც ფლობს აგრეთვე იტალიურს, გამოიყვანს უფრო მეტ ინფერენცს, ვიდრე ადამიანი, რომელსაც ამგვარი ცოდნა არ გააჩნია.

მაგალითი 10 (ტექსტი მოყვანილია სრულად):

Schröder und Eichel fahren Boot. Das Boot sinkt. Wer überlebt? Deutschland [aus: Focus 2002 N48, 28].

იმისათვის, რომ გამოვიყვანოთ სწორი ინფერენცი, უნდა ვიცოდეთ, თუ რა პოლიტიკური სარჩული ძევს ამ ანეკდოტში. ლაპარაკია გერპარდ შროდერზე, გერმანიის ყოფილ კანცლერზე, და ჰანს აიხელზე, გერმანიის ფინანსთა მინისტრზე, რომელთა მოღვაწეობით ხალხი ძალიან უკმაყოფილო იყო, როგორც ეს იმპლიციტურად ჩანს ანეკდოტში. მისი ძირითადი აზრი გამოხატავს შემდეგს: გერმანიისთვის იქნება უკეთესი, თუ მის სათავეში აღარ დადგებიან გ. შროდერისა და ჰ. აიხელის მსგავსი პიროვნებები, რომლებიც არც თუ ისე კარგად უძღვებიან თავიანთ საქმეს.

აქედან გამომდინარე ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სხვადასხვა დონის მცოდნე მკითხველისთვის ერთი და იმავე ტექსტის ინფორმაციული მოცულობა განსხვავებული იქნება, ინფორმაციული მოცულობა ცვალებადი სიდიდეა, სადაც ენტროპიის ხარისხი დაწერილის წაკითხვის შემდეგ იზრდება ერთ კომუნიკანტთან მიმართებაში და მცირდება მეორე კომუნიკანტისთვის, თუ ეს უკანასკნელი უფრო მაღალი დონის ინტელექტით გამოირჩევა.

ლიტერატურა

კინასტი, 1983 — Kienast W. Die letzte Tour. 3. Auflage. Velag Das neue Berlin. Berlin.

კუნერტი, 1972 — Kunert G. Erinnerung an Bertolt B. In: Bettina pflücht wilde Narzissen. Mitteldeutscher Verlag. Halle / Leipzig.

შტაინიგერი, 1974 – Steiniger K. Melde mich vom Knast zurück. Gutenberg Buchdruckerei. Weimar.

შტრონერი, 2000 – Strohnner H. Kognitive Voraussetzungen: Wissenssysteme – Wissensstrukturen – Gedächtnis. In: Handbücher zur Sprach- und Kommunikationswissenschaft. Hrsg. von A. Burkhardt / H. Steger / H.-E. Wiegand. Walter de Gruyter. Berlin / New York. Bd. 16.1.

შტუტერჰაიმი, 1997 – Stutterheim Ch. von. Einige Prinzipien des Textaufbaus / Empirische Untersuchungen zur Produktion mündlicher Texte. Max Niemeyer Verlag. Tübingen.

Deutschland 2003, N2

Deutschland D Spezial, 10

Focus 2002, N48

Focus 2002, N46

Focus 2002, N49

Spiegel 2003, N17

Süddeutsche Zeitung 2002, N275

NINO SHARASHENIDZE

Variability of Text Information Volume

Summary

As is known, text information can be of explicit as well as implicit type. Perception and interpretation of a text largely depends upon contextual and background knowledge of the communicant. Hence text information is a variable; in the process of reading the degree of entropy changes from reader to reader.

ნუნუ ჩარაშენიძე

მოქმედების სახის ცვლა ლინგვისტურ მეცნიერებაში

ასპექტის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია შეიძლება ჩავთვალოთ უნივერსალიად, რომელიც ბევრ ენას ახასიათებს, თუმცა გარდა იმ კომპონენტებისა, რომლებიც საერთოდ ენებს ახასიათებს, მასში შედის ელემენტებიც, რომლებიც მოცემული კონკრეტული ენისათვისაა სპეციფიკური; მაშასადამე, როგორც კონკრეტული შემადგენლობა, ისე **ასპექტის იერარქიული ორგანიზაცია** ენებში განსხვავებულია.

ყველა ენაში მოქმედების მიმდინარეობის ხასიათი, გარდა ასპექტის გრამატიკული კატეგორიისა, გამოიხატება სხვადასხვა პრაგმატული საშუალებებით. ასპექტის ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიაში პერიფერიული ელემენტების სახით შედის ზღვრადობა-არაზღვრადობა, ზმნების სემანტიკური კლასები, ასპექტის არაზმნური ლექსიკური მაჩვენებლები (მაგალითად, ზმნიზედები, რომლებიც მიუთითებენ მოქმედების ერთგზისობასა და მრავალგზისობაზე, განგრძობითობასა და მომენტობრიობაზე, დასრულებულობასა და დაუსრულებლობაზე) და სინტაქსური საშუალებები.

ასპექტობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა მივიღოთ, როგორც მისი ფუნქციონალური შესაძლებლობა, ასევე სემანტიკური პოტენციალი. აქ გასარკვევია არა მარტო ერთი სემანტიკური ნიშანი, არამედ მთელი რიგი ნიშნებისა, განსახილველია მოცემული ნიშნის მიმართ დამოკიდებულების სხვადასხვა ტიპი. ასპექტური ფორმების რეალურად გამოხატული გრამატიკული მნიშვნელობები შეიცავენ სემანტიკურ ნიშნებსაც, მაგრამ ისინი არასოდეს გვხვდებიან „სუფთა სახით“. ეს ნიშანი (ზღვრადი მოქმედების მთლიანობის ან პირიქით, არაზღვრადი მოქმედების არამთლიანობისა) ყოველთვის თითქოს გადის ზმნის ფუძის ზღვრადი ან არაზღვრადი მნიშვნელობის პრიზმაში, ასევე ამა თუ იმ მოქმედებათა სახეების მნიშვნელობის პრიზმაში (რიგ შემთხვევაში არსებითია ისიც, თუ რომელ ლექსიკურ-გრამატიკულ ჯგუფს განეკუთვნება ზმნა).

რუსი ენათმეცნიერი ტ. ი. დეშერევა აღნიშნავს, რომ ასპექტის კატეგორიას არ აქვს „ერთმნიშვნელოვანი საზოგადოდ აღიარებული, სრულიად დამაკმაყოფილებელი განსაზღვრება“. ამიტომაც არის, რომ მას ზოგჯერ ვერ არჩევენ „მოქმედების სახისგან“, „მოქმედების ხასიათიდან“, რომელიც ტემპორალობის ან მოდალობის სემანტიკური ველის კომპონენტებით განისაზღვრება. ამ ორ ცნებას შორის განსხვავება, პირველ რიგში, ენის შინაარსში ჩანს. „მოქმედების სახის“ ან „მოქმედების ხასიათის“ ენობრივი საშუალებები არ განისაზღვრება მორფოლოგიის სფეროთი. ისინი შეიძლება იყოს სინტაქსური, ლექსიკური, კონტექსტუალური. აღნიშნული ტერმინებით — „მოქმედების სახე“ და „მოქმედების ხასიათი“ — ჩვენ აღვნიშნავთ ზმნური სემანტიკის განუყოფელ თვისებას, რომელიც მოქმედების შესრულების სხვადასხვაობას გამოხატავს. ამის გათვალისწინებით, ჩვენ ვთვლით, რომ „მოქმედების ხასიათი“, „მოქმედების სახის“ ცნება მოიცავს მასზე დაქვემდებარებულ „მოქმედების სახის“ გაგებას.

ზმნების სემანტიკური ჯგუფები-ასპექტობის პერიფერიული კომპონენტები, რომლებიც მოქმედებათა სახითაა ცნობილი განისაზღვრება ზმნური მოქმედების მიმდინარეობის ნიშნით (მაგ. დაწყებითი მოქმედების სახე: ათამაშდა, ალაპარაკდა, გამძლიერებელი: აბობოქრდა) და მოიცავენ ზმნური ლექსიკის უმეტეს ნაწილს. „ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმ დროის მიმდინარეობისა და განაწილების მიხედვით, რასაც ზმნის მოქმედება გამოხატავს (მასლოვა, 1978, 71)

1908 წელს სიგურდ აგრელი სლავური ენების მაგალითზე განასხვავებდა ორ პრინციპულად საპირისპირო მოვლენას-ასპექტის გრამატიკულ კატეგორიას (**Aspekt**) და იმ მნიშვნელობებს, რომელთაც გრამატიკული გამოხატულება არ აქვთ (განმეორება, საწყისობა და ა.შ.), რაც ზმნას ძირითადად პრეფიქსაციის მეშვეობით ენიჭებოდა (აგრელი, 1908, 70) ს. აგრელის მიერ შემოთავაზებულმა თეორიულად სავსებით მართებულმა განსხვავებამ ასპექტსა და მოქმედების სახეებს შორის გერმანული ასპექტის თეორიას ნათელი ვერ მოჰფინა.

განსხვავება სლავურ ენებში გერმანულზე იქნა გადატანილი, მაგრამ ასპექტსა და მოქმედებათა სახეებს შორის განსხვავების პრინციპი კვლავ სემანტიკურად რჩებოდა. სხვაობას ასპექტსა და მოქმედების სახეებს შორის მკვლევრები მათ მიერ გადმოცემულ მნიშვნელობებში კი არ ხედავდნენ, არამედ იმაში, რომ ასპექტი არის გრამატიკული კატეგორია, ხოლო მოქმედების სახეები-ზმნის ლექსიკური და-

ჯგუფები. მ. დოჩბინი მოქმედების მიმდინარეობის სახეებში გაერთიანებულ მნიშვნელობების ფორმალურ საშუალებებს მიიჩნევს: ა) ინტენსიურობასა და მოქმედების განმეორების შესაძლებლობას ბ) ხანგრძლიობას და მოქმედების ფაზის არსებობას გ) ცვლილებებს სუბიექტის მდგომარეობაში (დოჩბინი, 1920,1931)

თანამედროვე მეცნიერებამ ვერ მიაღწია საერთო შეთანხმებას იმაში, რომ ზუსტი განსხვავება დაედგინა ასპექტსა და მოქმედების სახეს შორის, მაგრამ იგი ვერ უვლის გვერდს იმ ფაქტს, რომ ისინი ზმნის განსხვავებული ელემენტებია. მოქმედების სახე მოქმედების თვისების ასახვაა, რომელიც ზმნურ მახასიათებლად მიიჩნევა. მოქმედების სახე არ არის გრამატიკული კატეგორია, რომელიც ზმნის გრამატიკულ ფორმას ეფუძნება. იგი არის პრაგმატიკული კატეგორია, რომელიც სიტყვის (**Lexis**) მნიშვნელობაზე აკეთებს ორიენტაციას, რადგანაც იგი ცალკეულ კონტექსტში გამოიყენება (ეს კი იმას ნიშნავს, რომ ერთი და იმავე სიტყვას შეიძლება ჰქონდეს მოქმედების სახის ღირებულებები, რომლებიც დამოკიდებულია კონტექსტურ გარემოებებზე და გვიჩვენებს იმას, რომ იგი სემანტიკური, სიტყვის დონის კატეგორია კი არ არის, არამედ — პრაგმატიკული წინადადების დონის თვისება). ამ კლასების შესაბამისი დამახასიათებელი ნიშნებია: მდგომარეობა, აქტივობა, სრულობა, მოქმედების კულმინაცია ან პუნქტუალობა. კლასიფიკაცია ეფუძნება დინამიურობას, დიურატიულობას ან ზღვრადობას, რომელსაც ლექსიკა და კონტექსტი აერთიანებს.

მ. კრუიზინგა ინგლისური ზმნის ასპექტის მისეული განხილვით ცდილობს განასხვავოს ასპექტის სემანტიკური მნიშვნელობები (ზმნის სემანტიკა) და ასპექტური გრამატიკული ფორმები. იგი თვლის, რომ ზმნის ლექსიკური ხასიათი გრამატიკულ ფორმას არ უკავშირდება, მაგრამ, სამაგიეროდ, იგი ასპექტურ მნიშვნელობას გადმოსცემს.

ენათმეცნიერთა ერთი ნაწილი საერთოდ უარყოფს, რომ მოქმედების სახე ასპექტურია. ისინი განიხილავენ მას, როგორც გარკვეულ სემანტიკურ კატეგორიას, რომელსაც მოქმედების სახეს უწოდებენ (ბახი, 1982; ფანინგი, 1990, 30-42; პორტერი, 1989, 46) კ. ჰუოვილა არ ეთანხმება მათ და მიიჩნევს, რომ იგი მოქმედების სახე კი არ არის, არამედ ასპექტია ლექსიკურ დონეზე (ჰუოვილა, 1993, 3) ე. ბახის თვალსაზრისით ასპექტი და მოქმედების სახე ორი სემანტიკურად განსხვავებული კატეგორიაა. სხვაობა პერფექტივსა და იმფექტივს შორის ასპექტია, ხოლო სხვა ყველა დანარჩენი მოქმედების სა-

ხეა (ბახი, 1982, 77), შეიძლება ითქვას, რომ ასპექტი და მოქმედების სახეები არ არის მკაფიოდ განსხვავებული. მოქმედების სახე უფრო მეტად გადმოგვეცემს, როგორ ხდებოდა მოქმედება, ასპექტი კი მოქმედების მიმდინარეობას გამოხატავს.

მკვლევრები განსხვავებას ასპექტურ ოპოზიციაში შემავალ ასპექტურ წყვილებს და ზმნების სემანტიკურ დაჯგუფებებს (მოქმედების სახეები) შორის არაერთგვაროვნად ხსნიან. ზოგ ლინგვისტს მიაჩნია, რომ ზმნის მოქმედების სახეში შედის ზმნები, რომელთა მნიშვნელობის სხვადასხვა სახე ფორმულურადაა გამოხატული. სახელობრ, ისინი ზმნისწინებისა და სუფიქსების მეშვეობით გამოხატავენ დაწყებითობას, ზღვრადობას, დასრულებულობას, გზისობას და მოქმედების მიმდინარეობის კიდევ ბევრ სხვა მნიშვნელობას, ზმნების ეს სტრუქტურულ-სემანტიკური ტიპები მხოლოდ არაუშუალოდ უკავშირდება ასპექტის გრამატიკულ კატეგორიას. ბევრი ასეთი ზმნა ერთასპექტიანია. მეორენი კი მოქმედების სახეებში გარდა ზემოთ დასახელებული ზმნებისა აერთიანებენ ისეთ ზმნებს, რომლებსაც არ ახასიათებთ ზმნების მნიშვნელობის პორმალური გამოხატვა, სახესხვაობა, მოდიფიკაცია. უსრულობის, სრულობის, ზღვრადობის თუ ინტენსიურობის გადმოცემას უზმნისწინო და უაფიქსო ზმნებიც ახერხებენ. უდავოა, რომ მოქმედებათა სახეების ასეთი განხილვისას ზმნის ასპექტზე მათი შემოქმედება დიდი.

„მოქმედების სახე ცალკე ასპექტს არ წარმოადგენს, მაგრამ საინტერესოა ასპექტის კატეგორიასთან მიმართების თვალსაზრისით. მოქმედების სახე სემანტიკურად ახლოსაა ასპექტთან, რამდენადაც ასახავს რაღაც სხვაობას ზმნის მიერ აღნიშნულ მოქმედების მიმდინარეობის წესში, მაგრამ ასპექტისაგან განსხვავებით იგი არ წარმოადგენს გრამატიკულ კატეგორიას, ვერ ქმნის მკაფიო პარადიგმულ წყვილებს და ზმნათა შორის ლექსიკური სხვაობის სფეროში რჩება (ჭუმბურიძე, 1986, 32)

რუსი მეცნიერი ნ. ს. ავილოვა მოქმედების სახეებში გამოყოფს 3 დიდ ჯგუფს: ხარისხობრივი, დროითი და რეზულტატური. ხარისხობრივს იგი მიაკუთვნებს ისეთ ზმნებს, რომლებსაც თავისი მნიშვნელობის ხასიათით არ შესწევთ უნარი შექმნან შესაბამისი ასპექტობრივი კორელატი. იგი მოქმედების ამ სახეს კიდევ 2 ჯგუფად ყოფს. პირველ ჯგუფში შედის ისეთი ზმნები, რომლებიც მოქმედების ხანგრძლიობით ხასიათდებიან და რომელთაც არავითარი ზღვარი არ

საზღვრავს. ეს ისეთი ზმნებია, რომლებიც თავისი ბუნებით სემანტიკური ნიშნით, თავიანთი მნიშვნელობას ვერ უთავსებენ სრულ ასპექტს. ამ ზმნებს მიეკუთვნება მრავალჯერადობის (მრავალჯერადობის) მოქმედების სახე (ზმნები: დადის), წყვეტილ-შენელებითი (შეთვალთვლება), ხანგრძლივ შენელებითი (წაივადმყოფა), ხანგრძლივ-დისტრიბუტული (დაარბენინებს ძალს), თანმხლებითი (მიმღერება), ხანგრძლივ შენელებითი (ფშვიტინი), გართულებულ ინტენსიური (გამათრახება) და ხანგრძლივ-დისტრიბუტული. მოქმედების სახეების ამ ქვეჯგუფში ასპექტთან კავშირი უარყოფითია. ჩამოთვლილ მოქმედებათა სახეების ზმნები მიეკუთვნება აბსოლუტურად უსრული ასპექტის ზმნებს. ისინი არასოდეს შედიან ასპექტულ წყვილში. აქ სემანტიკური ფაქტორის გავლენა აშკარაა. ხარისხობრივი მოქმედების სახის მეორე ქვეჯგუფში შედის ისეთ მოქმედებათა სახეები, რომლებიც ხასიათდებიან ერთჯერადობით (ახტა), შემცირების მნიშვნელობით (ტყუილის გამორევა) შენელების მნიშვნელობით (წაითამაშა). მასში შედის უპირატესად სრული ასპექტის ზმნები. აქ აშკარაა ერთჯერადობის, მყისიერებისა და შემცირების მოქმედება. მყისიერებისა და ზღვრადი შემოსაზღვრადობის გამო, რაც ზემოთ დასახელებული ზმნების სპეციფიკური სემანტიკური ნიშნებია, ისინი ვერ აწარმოებენ არასრული ასპექტის მეწყვილე ზმნას.

მოქმედების სახის სხვა ორი დიდი ჯგუფი — „დროითი“ და „რეზულტატური“ — აერთიანებს ზმნებს, რომლებიც ასპექტური წყვილის აგების თვალსაზრისით არაერთგვაროვნებას ავლენენ. ამ ჯგუფის სპეციალური ქვეტიპები წმინდა ასპექტურ დამოკიდებულებას გვიჩვენებენ, სადაც ასპექტური წყვილების შექმნა უდავოა.

ცნობილია მოქმედებათა სახეების ყველაზე გავრცელებული ტიპები: ინხოტიური, ფინიტური, ერთგზისი, მრავალჯერადი, დროით შემოსაზღვრული, ერთაქტიანი, მრავალაქტიანი, ინტენსიური, ოდნობითი, ტოტალურ-ობიექტური, რეზულტატური, ზომიერადსაზღვრული, ატენატური, თანადროული, დისტრიბუციული, წინასწარ განსაზღვრული რელატური და ა.შ. თუმცა სხვადასხვა ენაში გვხვდება ამ ენისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური სახეებიც. მოქმედების სახეების გადმოცემის თვალსაზრისითაც ენები ამჟღავნებენ გარკვეულ თავისებურებებს. ზოგი მიმართავს ანალიტიკურ საშუალებებსა და ლექსიკურ მაჩვენებლებს, გვაქვს სინთეზურიც და ანალიტიკური ფორმებიც. ზოგიერთი ენის ზმნის სემანტიკას ძალუძს გამოხატოს რამდენიმე მო-

ქმედების სახე სხვა დამხმარე საშუალებების გარეშე. მოქმედების სახეების გადმოცემის დროს ენებში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს შესაბამისი ზმნიშედები, რომლებიც ზოგჯერ კონტექტსაც ცვლიან. ამრიგად, ზმნის ფორმები აღნიშნავენ არა მხოლოდ მოქმედების დასრულება/დაუსრულებლობას, არამედ მოქმედების წყვეტა-უწყვეტობას, ერთგზისობა-მრავალგზისობას, წერტილებრიობა-განმგრძობითობას, ესენი კი საშუალებას გვაძლევენ ვილაპარაკოთ მოქმედების პროცესზე, მაგრამ რადგან ზოგიერთ ენაში ისინი სუსტადაა გამოხატული და არ შესწევთ უნარი შექმნან ცალკე გრამატიკული კატეგორია, განიხილება, როგორც მოქმედებათა სახეები. ესა თუ ის სახე რაიმე განსაკუთრებულს არ წარმოადგენს, ისინი ყველა ზმნის სემანტიკაშია ჩაქსოვილი და დროში ზმნის მოქმედების განაწილების ტიპებში მზგავსების საფუძველზე გამოიყოფა.

ლიტერატურა

მეგრელიშვილი, 1986 — მ. მეგრელიშვილი, ზმნის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიები ინგლისურ ენაში, თბ., 1986.

ჭუმბურიძე, 1967 — ზ. ჭუმბურიძე, ასპექტისა და მოქმედების სახის მიმართებისათვის ქართულში, ორიონი, თბ., 1967.

ასილოვა, 1975 — Асилова И.С. Способ Глагольного действия и возможности видовой соотносительности глагола, Научные доклады высшей школы, Москва, 1975.

Вопросы сопоставительной аспектологии, (Под ред. Ю.С. Маслова Л. Изд. Ленинград. Гос. ун-та, вып., №1).

მასლოვა, 1978 — Маслова Ю.С. К основаниям сопоставительной аспектологии, - В кн. Вопросы сопоставительной аспектологии, - Л. Изд. Ленинград. Гос. ун-та, 1978 вып., №1.

დეშერევა, 1976 — Дешерева, Т.И. К проблеме соотношения глагольных категории вида и времени, - Вопросы языкознания, 1976, №4.

კრუინგა, 1931 — Kruisinga, E.A. (1931) A Handbook, of present day English, pt. 2. vol. I 304-333.

NUNU CHARKVIANI

The Notion of Akzionsart in Linguistics

Summary

The paper examines the notion of Akzionsart which is debatable in traditional as well as modern linguistics. Various viewpoints on the relation between aspect and akzionsart have been discussed.

According to the view maintained in the paper, akzionsart is included in the functional grammatical category of aspect as a lexical-grammatical phenomenon.

Its means of expression differ totally from the morphological means typical of aspect. Akzionsart embraces semantic groups of verbs each group showing a different mode of action.

იოლდა ჩობაძე, სოფიო მორალიშვილი

ფრაზიმი – ცოდნის წარმოდგენის სტრუქტურული საშუალება

როგორც ცნობილია, ადამიანი სამყაროს შეიცნობს უმთავრესად თავისი ფიზიკური გამოცდილების საფუძველზე. ეს გამოცდილება ჩვენს ხუთ გრძობას ემყარება. ბუნებრივი ენის სემანტიკაზე სინამდვილის პროცირების შედეგად წარმოიქმნება „პროცირებული სამყარო“, რომლის რეალურისაგან განსხვავება განპირობებულია ადამიანის ფიზიკური თავისებურებებითა და კონკრეტულ კულტურათა სპეციფიკით.

კოგნიტიურ ლინგვისტიკაში ბუნებრივი ენა განიხილება არა როგორც მკაცრად მოწესრიგებული სტრუქტურა, არამედ როგორც რთული ბიოლოგიური სისტემა: ამიტომ მისი, როგორც ფორმალურ-ბუნებრივი სისტემის, აღწერისას სირთულეებს ვაწყდებით (გამყრელიძე, 2003, 465-466).

ენისადმი კოგნიტიური მიდგომის მიზანია შექმნას ისეთი მოდელები, სადაც გვეჩვენება ადამიანის ინტელექტუალური საქმიანობის მიზანმიმართული და ინფორმაციის გადამუშავების სისტემა. ლაპარაკია ბუნებრივი ენის გადამუშავების მექანიზმზე, მოდელების აგებაზე მის სხვადასხვა დონეზე (იქნება ეს სიტყვისა და მისი სემანტიკური სტრუქტურის, გამონათქვამებისა თუ მთლიანად ტექსტის დონე).

საკითხი ცოდნის სხვადასხვა სტრუქტურათა წარმოდგენის შესახებ ითვლება ენისადმი კოგნიტიური მიდგომის ერთ-ერთ ძირითად პრობლემად. მეცნიერთა გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ ადამიანის მიერ აღქმული ახალი მონაცემები გადამუშავდება მის მეხსიერებაში არსებული მონაცემების საფუძველზე, ამ დროს ახალი მონაცემების გადასამუშავებლად გამოყენებული სტრუქტურები ანალოგიურია მეხსიერების ორგანიზაციისათვის გამოყენებული სტრუქტურებისა“ (გერასიმოვი, პეტროვი, 1988, 8).

ცოდნის წარმოდგენის სტრუქტურის განსაზღვრისას ენის შემეცნების შესწავლის პროცესის ჩარჩოებში გამოიყენება მთელი რიგი

ტერმინები: ფრეიმები (გოფმანი 1974, მინსკი 1979, ჩერნიაკი 1978), სქემები (რუმელჰარტი 1975; ჩეიფი 1983), სცენარები (შენკი, აბელსონი 1977), პროტოტიპები (სმიტი, მედინი 1981), ბლოკები („units“) (ბობროვი, ვინოგრადოვი, 1977), მენტალური მოდელები (ჯონსონ-ლერდი 1980), სიტუაციური მოდელები (ვან დეიკი 1989) და სხვ. ცოდნის ეს სტრუქტურები წარმოადგენენ ინფორმაციის პაკეტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სტანდარტული სიტუაციების ადეკვატურ კოგნიტიურ გადამუშავებას (გერასიმოვი, პეტროვი, 1988, 8). ტერმინი „ფრეიმი“ შეიძლება გამოვიყენოთ იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა სპეციფიკური ლექსიკურ-გრამატიკული საშუალებები, რომლებსაც ფლობს მოცემული ენა კატეგორიათა და მიმართებათა დასახელებისა და აღწერისათვის და რომლებიც წარმოგვიდგება სქემების სახით.

ფრეიმის იდეა ამერიკელ მეცნიერს მარვინ მინსკს ეკუთვნის. მისი თეორიის მიხედვით, ნებისმიერი მანქანური მოდელი, რომელიც რეალური სამყაროს სირთულეებს აირეკლავს, შეიძლება გავიგოთ როგორც მოქმედება, განსჯა, მხედველობითი წარმოდგენა. ახალი ინფორმაციის შემეცნების პროცესი, გონებაში უკვე არსებული, შესაბამისი ფრეიმების აქტივიზაციითა და შეთანხმებით მიღწევა.

ცოდნის წარმოდგენის წარმატებით გადმოცემის პრობლემა მთავარია ხელოვნური ინტელექტის ყველა მიმართულებით კვლევისათვის, დაწყებული ბუნებრივი ენის პრობლემებით, მხედველობითი სახისა და საუბრის მანქანური აღქმით დამთავრებული. რეალური სამყაროს მანქანური მოდელის შექმნის სირთულის უპირველესი მიზეზი იმალება სწორედ ამ სამყაროს უსასრულო მრავალფეროვნებაში. დავუშვათ, რომ ისეთი მოდელის შექმნა, რომელიც შეძლებს ადამიანთა უსაზღვრო ბრძანებების შესრულებას და შეუზღუდავად ფუნქციონირებას, შესაძლებელია. შეიქმნება მთელი რიგი ნაკრები პროგრამებისა, რომლებიც წარმოადგენენ მთელი სამყაროს მოდელს, მაგრამ ამ პროგრამიდან რომელიმე, კონკრეტული სიტუაციისათვის იქნება შესაბამისი. რა თქმა უნდა, გასაგებია რა სირთულეები წარმოიშობა ამ დროს, მაგრამ ორი მათგანის კონკრეტიზაცია შესაძლებელია. პირველი, ეს არის მეხსიერებაში არსებული ფონური ცოდნის, პროგრამების უსაზღვრო ნაკრებთა არსებობა, რომლებიც შესაფერის სიტუაციაში შესაბამისი ბრძანების შესასრულებლად არიან განსაზღვრულნი. მეორე სირთულე, მეხსიერებიდან მათი ამორჩევა

დროის შეზღუდულ მონაკვეთში, შემდეგ კი მართვა და გამოყენება შესაბამის სიტუაციაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საუბარია მანქანური ენის აღქმაზე შეზღუდული დროის მანძილზე და „ენის სენსორებზე“, რომლის საშუალებით აღიქმება შინაგანი სამყაროს ის თავისებურებანი, რომლებიც აუცილებელია ბრძანების შესასრულებლად. რეალური სამყაროს მანქანური მოდელის ორგანიზებისათვის ერთ-ერთი შესაძლებელი ახალი გზა არის მინსკის მიერ შემუშავებული ფრეიმული მიდგომა. ამ მიდგომის თანახმად, რეალური სამყაროს მანქანური მოდელი უნდა იყოს წარმოდგენილი მეხსიერებაში ფონური ცოდნის მონაცემთა სტრუქტურებით, რომლებიც სტერეოტიპულ სიტუაციებს წარმოადგენენ.

მ. მინსკი არ ავლენს საზღვარს ადამიანური აზროვნებისა და ხელოვნური ინტელექტის შექმნის (მოაზროვნე მანქანა) თეორიას შორის. მას მიაჩნია, რომ ადამიანის აზროვნების პროცესები ემყარება მის გონებაში არსებულ, შენახულ მრავალ მონაცემთა სტრუქტურას. ფრეიმებს, რომელთა დახმარებით ადამიანი შეიცნობს მხედველობით სახეებს (მხედველობითი სახის ფრეიმები), იგებს სიტყვას (სემანტიკური ფრეიმები), განსჯას, მოქმედებას (ფრეიმი-სცენარები), თხრობას და სხვა. ამ შეცნობის პროცესს თან ახლავს გონებაში არსებული შესაბამისი ფრეიმისა და მისი ტერმინალების აქტივიზაცია მოცემულ სიტუაციასთან. როცა გონება ვერ ახდენს შესაბამისი ინფორმაციის მოძებნას, პროცესში ერთვება ფრეიმთა ქსელი, რომელიც ფრეიმთა მთელ სისტემას აერთიანებს, ამოიჩევა სხვა ფრეიმი, რომლის ტერმინები შეიძლება უფრო შესაფერისი აღმოჩნდეს მოცემული სიტუაციისათვის. ეს პროცესი, ერთი ფრეიმის მეორით ჩანაცვლება, განსაკუთრებით კარგად ვლინდება ადამიანის აზროვნების ისეთ სფეროში, როგორცაა ბუნებრივი ენის გაგება, განსჯა, ანალოგიების მიხედვით დასკვნის გამოტანა და სხვა. ეს ჩვენი ინტუიციური წარმოდგენაა, რომელიც იწყება დაუსრულებელი სახეებით და თანდათან იცვლება უფრო უკეთესი სრულყოფილი სახეებით, მაგრამ არა სრულყოფილი აზრებით.

სამყაროს შეცნობა ფრეიმთა სისტემის საშუალებით სავსებით ნაყოფიერია ხელოვნური ინტელექტის კვლევის მრავალ სფეროში, დაწყებული ბუნებრივი ენის შემეცნებიდან, დამთავრებული სმენითი და მხედველობითი სახეების მანქანურ შეცნობამდე. ამას მოწმობს მრავალ ცნობილ მეცნიერთა რ. შენკის, რ. აბელსონის, ე. ჩერნიაკის

და სხვათა შრომები, რომლებიც ფრეიმთა კონკრეტიზაციასა და განვითარებას ეძღვნება. ასევე ფრეიმთა კონცეფციის გამოყენება შესაძლებელია საინფორმაციო-მართვის კომპლექსის მანიპულაციურ სამუშაოებში. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ცოდნის წარმოდგენის პრობლემების მინსკისეული მიდგომა მაინც არ არის მოკლებული სრულყოფილებას. კერძოდ, ადამიანს უნარი აქვს გაიგოს არა მარტო ცნობილი, არამედ ახალი სიტუაციები, რომლის შესაბამისი ფრეიმი ჯერჯერობით არ არსებობს. ახალი ფაქტების გადამუშავების მანქანური „შეცნობის“ მექანიზმი ფრეიმთა სისტემის ბაზაზე განვითარების პროცესშია და ის მომავლის საქმეა.

ლიტერატურა

გამყრელიძე, 2003 — თ. გამყრელიძე, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003.

გერასიმოვი, პეტროვი, 1988 — В. И. Герасимов, В. В. Петров, На путях когнитивной модели языка // ИЗЛ. - Вып. XXIII/-М.: Прогресс, 1988.

მინსკი, 1979 — М. Минский, Фреймы для представления знаний. - М.: Энергия, 1979.

მინსკი, 1988 — М. Минский, Остроумие и логика когнитивного бессознательного // НЗЛ.-Вып. XXIII/-М.: Прогресс, 1988.

I. CHKHOBADZE, S. MORALISHVILI

Frame - A Structural Means of Knowledge Representation

Summary

The paper stresses the importance of Artificial Intelligence in the process of knowledge representing. Different terms describing how knowledge of the world is organised in human memory and how it is activated in the process of discourse understanding have been surveyed. Special emphasis is placed upon M. Minski's term 'frame' which, as is known, represents stereotypical situations stored in memory. Some essential points of frame theory have been examined.

დარეკვან ჩხობანიშვილი

ფერეიდნული ტექსტები

ფერეიდნული მივლინებით ყოფნისას (მე და ბ-ნი თედო უთურგა-იძე) ყურადღებანიანმა მასპინძლებმა ფერეიდნის თორმეტი ქართულენოვანი სოფელი შემოგვატარეს, სადაც თითქმის ერთი თვის განმავლობაში ვმუშაობდით, ვუსმენდით მათს საუბარს და ვიწერდით ყოველი სოფლის მეტყველების ნიმუშებს. საერთო საუბარში მათ რამდენჯერმე ახსენეს ქალაქი აზღონშაპრი, თუმცა ჩვენი ამ ქალაქში წაყვანა საჭიროდ არ ჩაუთვლიათ. . 2006 წლის ივლისში შესაძლებლობა მომეცა ქ. აზღონშაპრში მცხოვრებ სამ ფერეიდნულ ქართველს შევხვედროდი. ესენი არიან რეზა ხუციშვილი (64 წ.), მოჯთაბა სეფიაშვილი (55 წ.) და აბას ალი ასლანიშვილი (54 წ.), რომლებიც მოკლე დროით ჩამოვიდნენ საქართველოში აქაურების და აქაურობის გასაცნობად. ისინი ოჯახში მესტუმრნენ და მათი ქართულიც მოვისმინე. ჩემი სტუმრები უაღრესად საინტერესო ადამიანები იყვნენ, „დედას ენისა“ და თავისი ისტორიული სამშობლოს მოყვარულნი და პატივისცემელები.

მათგან შევიტყვე, რომ აზღონშაპრი ქ. ნაჯაფაბადიდან სამი კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. იგი სულ ოცდაათი-ორმოცი წელია რაც არსებობს. იმ მიდამოებში ძველად ბაღები ყოფილა გაშენებული. „საქმესათინ რო ჩამოიდეს, ფერეიდნელებმა ნაჯაფაბადის გერძე დასახლდეს“.

დღეს ამ ქალაქში სამოცი-ოთხმოცი ათასი კაცი ცხოვრობს, მათგან დაახლოებით 10% ქართველია. ისინი ჩამოსახლებული ყოფილან ფერეიდნის სხვადასხვა კუთხიდან, დიდი ნაწილი ჩუღურთელები არიან. აქვე შეხვდებით მარტყოფიდან, სიბაქიდან, ახჩიდან და სხვა სოფლებიდან გადმოსახლებულ ადამიანებს. ქართველების გვერდზე სახლობენ ირანელები, თურქები და ირანული მოდგმის ტომები: ბახტიარები, ლურები და ქურთები. მოსახლეობის დიდი ნაწილი მეტალურგიულ ქარხანაში, კაფელ-მეტლახისა და ქსოვილების საწარმოებში მუშაობს.

მათი ცნობით, აზღონშაპრელ ქართველებს ცალკე მეჩეთი აუშენებიათ და ნავრუზობას (ახალ წელს) იქ ხვდებიან, მერე კი საკუთარ სახლებში აგრძელებენ ზეიმს.

ცნობილია, რომ ერთი საუკუნის წინ ლადო აღნიაშვილმა იმოგზაურა ფერეიდანში და თავისი შთაბეჭდილებები გამოაქვეყნა წიგნში „სპარსეთი და იქაური ქართველები“ (მგზავრის წერილები, 1896წ.). მან დაახასიათა ფერეიდნელი ქართველების ცხოვრების წესი, ბუნება, ხასიათი და ყურადღება გაამახვილა სამ არსებით ნიშანზე, რომლებიც ამ ადამიანთა ძირითად მახასიათებლებად მიიჩნია. მისი დასკვნით, ფერეიდნელ ქართველებს შემორჩენილი აქვთ დედაენა, ქართული ცნობიერება და ზნე-ხასიათი. დღესაც, ერთი საუკუნის შემდეგ, იგივე შეიძლება ითქვას. ფერეიდნელები ამჟამად თავიანთი ენით, თავისი წარმომავლობით. იციან, „ვისი გორისა“ არიან. დღესაც ქართული აქვთ მიკროტოპონიმია — სოფლების, მთების, წყაროების, მამულების სახელები, მაგრამ დროთა მსვლელობამ მათს მესხიერებაში წაშალა ქართული ჰანგები, ადამიანთა ქართული სახელები, რაც ალბათ უცხოენოვან გარემოში ცხოვრებამ და მუსლიმთა რელიგიის ზეწოლამ გამოიწვია. ქართული სახელები, როგორც ჩანს, ქრისტიანული რწმენის ერთგვარ გამოხატულებად იქნა გაგებული.

ფერეიდნელ ქართველთა ზეპირსიტყვიერება მდიდარია თხრობითი ხასიათის გადმოცემებით, თქმულებებით, ლეგენდებით, ზღაპრებითა და სხარტი გამონათქვამებით; ლექსი ნაკლებად ეხერხებათ. აქა-იქ გაიგონებთ ყმაწვილებისთვის გამოთქმულ გალექსილ სტრიქონებს, რომლებიც მიზნად ისახავენ — მიეხმარონ მოზარდებს დედაენის დაუფლებაში, მშობლიური ქართულის ცოდნაში.

რეზა ხუციშვილი იმ მცირერიცხოვან ფერეიდნელთა ჯგუფს ეკუთვნის, რომლებიც თავის გრძნობებს, ფიქრებსა და განცდებს ლექსითაც გამოთქვამენ. ქვემოთ ვაქვეყნებთ რამდენიმე ლექსს, დიდი ემოციით დატვირთულს და პოემას (თუ შეიძლება ასე ითქვას), სადაც ისტორიული ამბებია გადმოცემული.

რეზა ხუციშვილი, 64 წლის

წაველ, დავჯე რუის პირზე,
მამაგონდა წყალის პირზე,
მე ირანში ქართველი ვარ,
მე თავი არ მომხრელი ვარ.
ქართველი ვარ, ქართველი ვარ,
მე თავი დადებული ვარ.

ქართველი ვარ, ქართველი ვარ.
შენ რო მიხოლ, მოდი გნახო,
დედას ენა შენ შა ნახო.
შენ რო მიხოლ კალოზევა,
კალათა გეცო ველზევა.
ჩემი სამშობლო შორს არი,
ჩემი გული კახეთს არი.
სამშობლო რო შანახულა,
რაქსიდე სისხლი დაღრილა.
ამაღამ თოვლი მოსულა,
ქუჩა და კარი ავსულა.
სახლის ჭერი ჩამოსულა.
შაპბასი რო მოსულა,
კახეთი გასწორებულა.

* * *

ზაფხული მო და და მოიდა ყაყაჩო,
საქართველოს მიწას მინდა ვაკოცო.
თოლი ავახილე, დედა დავინახე,
ყაყაჩო მოუგლიჯე, დედას შოონახე.
ყაყაჩო მოუგლიჯე კალათაჩიგა,
დედას მე ჩოოყარე თავის კალთაჩიგა.
დედამ გამადიდა მე აკვანჩიგა,
ქართული ენა მიკითხა მე ყურჩიგა.

* * *

თავი მტკივის, მე ერთ რამე მამაკარ,
ე მაგ შენ ჭაპანი მე შამამაკარ.
ე მაგ შენ ჭაპანი საქართველოსია,
არ ვიცი — შენ დედას როგო უთხრა.

* * *

შენ რო იჯე რუისპირზე,
ჯუჭტი ძუძუ გულისპირზე
თეთრი, თეთრი ფეწებთა,
სურმა, სურმა თოლებთა.

* * *

ღმერთო, იგრე არ მამკლა — თავი მოვნახო,
საქართველოს თა და გორა დავინახო.
ღამით მეძინა და სიზმარჩი ვიყავ,
ჩიტსავით მეცა ჩემ ბუდეჩი ვიყავ.
როგორ მინდა წაიდე საქართველოჩი,
ფეჭი დავადგა ჩემ დედას მიწაჩი.
მინდა ვიყო ელ ამ დედას მიწაზე,
ესები დასწერე ჩემ სამარეზე.
მეჭავრების, რო უჭრეტავ ემასა,
ქართველები კარგვენ დედას ენასა.

* * *

წაველ, დავჯე წნურის ხეს ქოლგაჩიგა,
ნათია დავინახე თავით ოზოჩიგა.
გამარჯობა მითხრა, ვთქი — გაგიმარჯოს
ღვინო დავლივე და მითხრა — შეგერგოს.

* * *

საქართველოს თოლები ვიყრია შენა,
არ ვაკირვება რასთი შაყრია შენ.
როგორ მინდა, რო ჩემ დედას ზალი იყო,
გახარებული ჩონს შამოსულიყო.
საქართველოს ტანსაცმელი ჩეგეცოს,
თამარა ნეფფეზე შენ დეგეფიცოს.

* * *

რასთი ეგეთ შაკრულიხარ, გულოჯონ!
გულისპირზე დაკრული ხარ, გულოჯონ!
მაგე თოჟღმა რა გაჩენა, გულოჯონ!
საქართველო მოგაჩენა, გულოჯონ!

* * *

როგო ზად (მ)ზე ქენ ოზოჩი შამოსულა,
ქენ სახლი რასთი ჩუღრუთს გარდასულა.
ოცცი დღეღა ზაფხულისაყენ გასულა,
დარაბიონჩი ყაყაჩო ამოსულა.

* * *

შაჰ-აბასმა გომოგრეკა,
ქერე დანში ომოგრეკა,
ქართველები სულ გაშალა,
ერთმანერთი სულ დაშალა.
შოომალჩი გარეკაყე,
ნაჯაჭაბადს მორეკაყე,
სოფელოჩინ ამორეკაყე.
არ უთხრეს ემ ქარიმხანსა—
რა გინდა შენ ეგეთ ღღესა,
მოსულხარ შენა მარტყოფსა,
შამოსულხარ სოფელოჩიგა,
ამოსულხარ ემ თაჩიგა,
რა გინდა ჩონ ოზოჩიგა.
ქართველებმა სუნთ შაქუჩდეს,
სიხეჩიგა სუნთ დაქუჩდეს,
ქარიმხანსათი და ზიდეს,
ვმაღლები სუნთ გამა ზიდეს.
სიბილუამ თოფი გაისროლა,
სარ ყალიანსა ესროლა,
სარ ყალიანი გაყარა,
ცეცხლი პირზე მიყარა.
ქარიმხანმა არ დაჯიდა,
ადგა და ცხენზე შაჯიდა,
ქართველები სუ დაწყიტა,
მე და შენ წელი მოგწყიტა.
ვიფიცავ მე ქართველზეგა,
ვიფიცავ მე ქართველზეგა.
ასულვარ ამ თას წერზეგა.
მინახავ მე ანს ადგილა, რო
გორდოუგდიაყე ჩემ დიდდეღა.
ასულვარ ამ თას წერზეგა,

მინახავ მე ანს ადგილა,
 რო გორდოუგდიაყე ჩემ პაპა,
 კედელი გოუტარებიაყე,
 თაინთი შომოუტარებიაყე.
 იმაშინ ლამე მოსულა,
 თორე მალლად ამოსულა,
 ქართველის მოსკლავი
 ამ სიხეჩიგა ჩასულა.
 ქართველები გამორეკეს,
 დაქსილები სად მორეკეს,
 ოთხას წელმა გა არა,
 თავინთ ენა მაგრად შაინახეს,
 არმის თვალით არ დაინახეს.
 შენ ხო ელ ანს ქართველი ხარ,
 ნუ გეგონოს პარსელი ხარ,
 რასთი ჰკარგავ დედას ენას,
 ზურგს უბრუნებლა შენ მამას.
 არ გესმისყე, რო ქენ ჰჰმებით,
 ერთმანეთსაყენა ჰთხებით.
 გამა ღიძე შენ, ნუ გძინავ,
 თოლმონხუჭილი ნუ ჰფრინავ.
 ჩა ვარდები ემ ჰაჩიგა,
 რასა ჰთესავ ბაღჩაჩიგა.
 ქერს და თესავ, ქერს მა ჰთიბავ,
 არ მა ჰთიბავ სხო რამესა.
 რასთი გინდაყე გა ყარნეთ!
 მოდით თა სუნი შა ყარნეთ.
 ძმოობა ჯარის გავნულია,
 ასლიქარი ეს გულია!
 მინდა ჩემ რიშა მოვნახო,
 ქართველი მალლად დაინახო.
 გამა ღიძე, შენ ნუ გძინავ!
 ხალღის გომზეგა ნუ ჰფრინავ.

გადმოფრინდი შენ გომზეგა
 ჩამა ხე ემ საკომზეგა.
 გამიხარე შენ ეს გული
 მინდა მამხდეს მე შენ სული.
 გელოდები დოავზეგა
 დავჯიდეთ ქარქუაზეგა.
 გავამწონოთ ჩონ ხორბალი
 ელ ამ ჩონ ჯამსიაზეგა.
 ისპანის ჯევზეგ შენ წადი,
 ოზდაცამმეტ ჯიდზე გადი,
 ქართველს წომოუყენებია,
 ანბანი აუყენებია,
 ალაჰვერდინი პაპა,
 ემამყულუხანის მამას.
 გა ხედეთ ამ მოჯასამას
 ყეშმჩი წამოოყენებიაყე,
 ემამყოლიარი ოოყენებიაყე,
 ჯმალიც ხო დოოკიდნიაყე,
 ქართველი აუყენებიაყე
 შენ ხო ელ ანს ქართველი ხარ,
 ნუ გეგონოს სპარსელი ხარ,
 მაგე შენ ერთ დარნელი ხარ!
 რასთი ჰკარგავ დედას ენას,
 ზურგს უბრუნებლა შენ მამას.
 თუ არ გინდოდეს შენ ენა,
 დაგამიწყედების შენ მამა.

ზოგი სიტყვის განმარტება

ანსი ის
ასლიქარი მთავარი, არსებითი რამ
დაზიდვა: „ქარიმხანსათი და ზიდეს“ „ქარიმხანს შეუტივეს“
დარაბიონი ღელეა ჩუღრუთის სამხრეთით
დარნელი ქ. დარანის მკვიდრი

დოაგი	მინდვრის სახელია ს. ჩუღურთთან
ზადი	კარგი
მოსკლავი	ვარსკვლავი
მოჯასამა	ძეგლი, ქანდაკება
ნაჯაქაბადი	ქალაქი ისპაჰანთან ახლოს
რაქსიდე	რამსიდიდე, ბევრი
რიშა	ფესვი, მოღვმა
საკომი	საკვამური
სარყალიანი	„ჩილიმი“, „ყელიანი“
სიბილუა	ფერეიდნელი კაცის სახელია
სოფელი	ქ. მარტყოფი, ძვერე ღუნშაპრი; ასე ეძახიან მას მარტყოფის ზემოური სოფლების მკვიდრნი
სუნი, სუთ	ყველანი, ყველამ
სურმა	თვალის საღებავი
ქარქუა	მინდვრის სახელია
ქოლვა	ჩრდილი
ყეში	კუნძულია სპარსეთის ყურეში, სადაც იმამყული უნდილაძის ძეგლი დგას
შოომალი	ირანის ჩრდილოეთი, მაზანდარანის რ-ნი
ჭაპანი	ნაწნავი
ჭამსია	მინდვრის სახელია
ჭუქტი	წყვილი

მინა ცერცვაძე

ფრაზეოლოგიური ერთეულების სემანტიკური ტრანსფორმაცია და კონტექსტის სახესხვაობები

(მ. ამირეჯიბის როგან „დათა თუთაზნისა“ და მისი რუსული თარგმანის გაბალითზე)

ფრაზეოლოგიური ერთეულების კომპონენტების სემანტიკური ტრანსფორმაცია, ესე იგი, მისი შემადგენლობისათვის „სიტყვის“, სტატუსის დაბრუნება შესაძლებელია მხოლოდ განსაზღვრულ კონტექსტის წრეში. მაგრამ ფრაზეოლოგიური ერთეულების კავშირი კონტექსტთან შეიძლება იყოს წარმოდგენილი სხვადასხვა სისტემური და ლოგიკური დამოკიდებულების სახით. ლიტერატურულ ტექსტებში ყველაზე უფრო ტრადიციულია ფრაზეოლოგიური ერთეულების მნიშვნელობის შედარების შემთხვევები მის ნომინაციურ მნიშვნელობასთან. მეორე შემთხვევაში ფრაზეოლოგიური ერთეულების ორსახოვანი სემანტიკური ფუნქციონირება ხდება ისეთ კონტექსტის ჩარჩოში, სადაც ხდება ენობრივი ელემენტების მხატვრული გადაზრება (ენობრივი ელემენტები იქნენ ახალ მნიშვნელობას), სხვადასხვაგვარად რომ ვთქვათ, დენოტატური მნიშვნელობა თითქოს იკარგება და ფრაზეოლოგიური ელემენტების კავშირი მის ნომინაციურ მნიშვნელობასთან მყარდება გადაზრებული ლექსიკური პლასტის მეშვეობით. ასეთი ტიპის კონტექსტს მიმართავენ ის მწერლები, რომლებსაც ახასიათებთ თხრობის მეტაფორული მანერა (ასეთი მწერლების რიცხვს მიეკუთვნება ჭ. ამირეჯიბი).

დასაშვებია, აგრეთვე მესამე შემთხვევა, რომელიც ილუსტრირებს სხვადასხვა ტიპის კონტექსტების კომბინირებას, ეს არის შემთხვევა, როდესაც ერთეულების აქტუალიზაცია ხდება გადაზრებული (ფრაზეოლოგიური და მეტაფორული) ვიწრომასშტაბური კონტექსტის მეშვეობით; სრულიად ბუნებრივია, რომ სემანტიზირებული ფრაზეოლოგიური ერთეულების თარგმნისას აუცილებელია ზემოაღნიშნული ფაქტების გათვალისწინება, რაც ვარაუდობს არა მხოლოდ ფრაზე-

ოლგიური კომპლექსის ადეკვატურ აღდგენას, არამედ მათი პრიორიტეტული როლის დაცვას (ფრაზეოლოგიური ერთეულების სემანტიკური ტრანსფორმაციის სტილისტური ხერხების რეალიზაციაში, ვინაიდან ფრაზეოლოგიური ერთეულებისა და კონტექსტის დამოკიდებულება იღებს განსაზღვრულ აზრობრივ და მხატვრულ რელეფირებას.

შევადაროთ ფრაზეოლოგიური ერთეულების ორსახოვანი ფუნქციონირება ჭ. ამირეჯიბის **რომანის „დათა თუთაშხიას“ და მისი რუსული თარგმანის მაგალითებზე** ყველა სახესხვაობის კონტექსტში.

რომანში მოყვანილია ეპიზოდი, როდესაც ერთი პოლიტპატიმარ კლასიონ კვიმსაძისგან, ცდილობენ გაიგონ მისი პოლიტიკური ორიენტაცია.

- თქვენი პლატფორმა, ამხანაგო კლასიონ-
- რიონი, ბატონო!..

თარგმანში ვკითხულობთ:

Во время политической дискуссии его спросили прямо

— **Ваша платформа товарищ Класион?**

— **Риони друг - ответил Класион**

მოცემული მაგალითი ილუსტრირებს ფრაზეოლოგიური ერთეულის რედუცირებულ კომპონენტის „ჯახს“ (მის კონკრეტულ ნომინაციასთან საკუთარი სახელის სახით (საწყისი ფორმა, იდეოლოგიური პლატფორმა) აბსტრაქტული მნიშვნელობის მქონე ფრაზეოლოგიური ერთეულის ამდაგვარი „ჯახი“ კი არის ფრაზეოლოგიური ერთეულის ორსახოვანი სემანტიკის იუმორისტული ეფექტის წყარო.

ბ) ფრაზეოლოგიური ერთეულის სემანტიზირება მეტაფორულ კონტექსტში.

რომანის ერთ პერსონაჟს სანდრო ქორიძეს, ცენზურის მუშაკს, მიმართავენ შემდეგ სიტყვებით

— დღისით, შე კაი კაცო, ცენზურაში ხარ, ხანჯალი გიჭირავს, თავისუფლებას ჟანდარმერიის დავალებით ყელს ჭრი, სალამოთი მოდიხარ აქ და დღისით დახოცილებს ტირი?

როგორც ვხედავთ, ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის დეკოდირება არ ხდება უშუალოდ მეტაფორულ კონტექსტში, რაც აძლევს ტექსტის მოცემულ ნაწყვეტს (ფრაზეოლოგიურ ერთეულს და კონტექსტს) საერთო მხატვრულ-მეტაფორულ ტონალობას, ჩვენი აზრით,

მოცემული ნაწყვეტის თარგმნისას აუცილებელი იყო თავისებური აზრობრივი რიგის პარალელიზმის შენარჩუნება, წარმოდგენილი თვით ფრაზეოლოგიზმებით. ვნახოთ, როგორ არის ნათარგმნი ნაწყვეტი:

— **Что же братец, ты мой, получается, днем ты цензор, покорный властям, в руках твоих меч, и ты казнишь тех, кого они хотят казнить. А вечером приходишь сюда и оплакиваешь тех, кто пал от твоей руки днем, не так ли?**

რუსულ ვარიანტში შენარჩუნებულია დომინირებული მეტაფორული ტონალობა, მაგრამ ფრაზეოლოგიური ხატოვნება მთლიანად შთანთქმულია კონტექსტუალური ხატოვნებით.

შესაბამისად ნაწყვეტი დარჩა სემანტიკური ორსახოვნის სტილისტური ეფექტის გარეშე.

შემდეგი მაგალითი:

ერთ-ერთ პაციენტს ლაზარეთში იძულებით შიმშილობისას მიმართავენ სიტყვებით:

— სიბნელეში ნუ წერ, თვალები გაგიფუჭდება

— ჩვენ გაფუჭებას ჩემი თვალების გაფუჭება ჯობია, ბიძია. ბიძაშვილი მყავს აგერ სამტრედიაში და ჩამომიტანოს, იქნება, პატარა ყბის მოსაქნევი, თვარა მომსვლელი არ ჩანს არვინ — არ დააყოვნა ტონიამ.

ნაწყვეტის შესაბამისი თარგმანი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

— **Зря ты Чониа, в темноте пишешь, глаза испортишь**

— **Пуст лучше браток, мои глаза пропадут, чем мы вес — с голодухи. Родственник у меня здесь в Самтрედиа, может подбросит что-нибудь хоть по губам помазать, а то никого не видать, — ответил Чониа.**

მოყვანილ ნაწყვეტში დაცულია ფრაზეოლოგიური და მეტაფორიული კონტექსტუალური სახის შესაბამისობა, მთარგმნელმა მოახერხა გადმოეცა ნაწყვეტის სტილისტური ჟღერა და ფრაზეოლოგიური ერთეულების ორსახოვანი სემანტიკის ეფექტი.

გ) ფრაზეოლოგიური ერთეულების სემანტიზირება კომბინირებულ კონტექსტში.

დათა თუთაშხიას წერილში ნანო თავყელიშვილთან არის შემდეგი ფრაზა:

ვიღებ თქვენი თავის **პატიოსან თვალს**, როგორც დედოფლის საჩუქარს

აღნიშნული ფრაზეოლოგიზმი შეიძლება ითქვას მხოლოდ მისი

მომდევნო კონტექსტთან შესაბამისობის საფუძველზე, სადაც თანმიმდევრობით წარმოდგენილია ფრაზეოლოგიზმის პირდაპირი და მხატვრული მნიშვნელობა, კერძოდ, ნანო თავის წერილში დათა თუთაშხიას წერს: ამ ბეჭედს გიგზავნი ხსოვნისათვის და ნიშნად ამაღლებული მეგობრობისა. ამეთვისტო ჩემი **თვალთა**.

გამოყოფილი სიტყვის დენოტატური მნიშვნელობის გადათამაშება ხდება ფრაზეოლოგიურად გააზრებულ კომბინაციაში, რომელიც მოცემულია დათას პასუხში წერილზე:

არის ადამიანისათვის ერთი სანუკვარი გრძნობა, კიდევ ის სიხარული, როდესაც გაიგებ, რომ შენზე ფიქრობს ვინმე და შენი ბედი აწუხებს... **პატიოსანი თვალთა** იშვიათი და ძვირფასი სიხარულია ეს სიხარული.

პირდაპირი და ფრაზეოლოგიური მნიშვნელობების საბოლოო შეთავსება პირველ ფრაზაში უზრუნველყოფს მთელი სიტყვაშეხამების სემანტიკურ ორსახოვნობის სტილისტურ ეფექტს. აღნიშნული ეფექტი დაკარგულია თარგმანში შესაბამისი ფრაზეოლოგიური ეკვივალენტის არსებობის გამო.

Аметист мой любимый **камень** и камень месяца моего рождения - пишет Нано

მოცემული სიტყვა რჩება თავისუფალი სიტყვაშეხამების კომპონენტათ

— Человек одарен еще одним прекраснейшим свойством — радостью от того что кто-то другой думает о тебе. Как драгоценный камень редка и дорога эта радость და შემდეგ

Принимаю ваш **камень** как дар королевы.

ამგვარად, ფრაზეოლოგიური ერთეულის სემანტიკური ორსახოვნობის განხორციელება შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის კონტექსტებში.

სემანტიზირებული ფრაზეოლოგიური ერთეულების თარგმნისას აუცილებელია კონტექსტის მნიშვნელობის შესაბამისობის გათვალისწინება, რაც არის აზრობრივი პარალელიზმის პირობა, ვინაიდან ის გამოიწვევს სემანტიკური ორსახოვნობის სტილისტურ ეფექტს.

ლიტერატურა

ამირეჯიბი, 1986 — ჭ. ამირეჯიბი „დათა თუთაშხია. თბ. 1986.

შმელიოვი, 1977 — დ. ნ. შმელიოვი, ლექსიკა, მ., 1977.

ქუთათელაძე, 1995 — გ. ქუთათელაძე, ქართული და რუსული ენების შეპირისპირებითი ლექსიკა, სადოქტორო დისერტაცია, 1995.

MZIA TSERTSVADZE

Semantic Transformation of Phraseological Units and Varieties of Context in Georgian and Russian

(on the material of Ch. Amirejibi's novel 'Data Tutashkhia and its Russian translation)

Summary

Semantic transformation of the components of a phraseological unit, i. e. returning the word status to its elements is possible only in certain contexts. The paper discusses semantic transformation of the mentioned elements in various types of context: nominative, metaphoric and combined.

The research has been carried out on the material of Ch. Amirejibi's novel 'Data Tutashkhia' and its Russian translation. When translating phraseological units that can undergo transformation in Russian, the correspondence of contextual meanings should be taken into consideration. The latter is a premise for content parallelism and might result in the stylistic effect of a double meaning.

ზონა ცარცვაჰე, ი. ბერიძე

ირიბი მეტყველების წყობის ძირითადი საშუალებები რუსულ და ქართულ ენებში

როგორც ცნობილია, ურთიერთობისას მოსაუბრეს შეუძლია გადასცეს თავისი ან სხვისი ნათქვამი სიტყვასიტყვით, უცვლელად ან შეცვლილი ფორმით. ამასთან დაკავშირებით განასხვავებენ პირდაპირ და ირიბ ნათქვამს (მეტყველებას).

მოცემული ნაშრომის მიზანია ირიბი მეტყველების წყობის (სტრუქტურის) ძირითადი და გრამატიკული საშუალებების შეპირისპირება რუსულ და ქართულ ენებში (კ. პაუსტოვსკის მოთხრობის „კოლხიდის“ რუსულ და მისი ქართული თარგმანის და აგრეთვე ჯავახიშვილის რომან „არსენა მარაბდელის“ მასალებზე) ირიბ მეტყველებას მიმართავენ იმ შემთხვევაში, როდესაც ვისიმე ნათქვამს ან აზრს მოსაუბრე გადმოგვცემს თავისი თვალსაზრისით (ე.ი. შეცვლილი გრამატიკული ფორმით, ზოგჯერ სიტყვების გამოტოვებით ან ჩამატებით). ირიბი მეტყველების კონსტრუქციები წარმოადგენს ტევად და რთულ სინტაქსურ ქვესისტემას, რაც განაპირობებს რუსი და ქართველი ენათმეცნიერების გარკვეულ ინტერესს მისი შესწავლის მიმართ. რუსულ და ქართულ ენებში ყველაზე ჩვეულებრივია ირიბ მეტყველებიანი რთულწყობილიანი კონსტრუქცია (რომელიც შედგება მთავარი და განმარტებითი დამოუკიდებელი ნაწილებისაგან).

ირიბი მეტყველებიანი წინადადების წყობის ძირითადი გრამატიკული საშუალებებია განმარტებითი კავშირები: «**ЧТО**», «**ЧТОБЫ**», «**БУДТО**», «**БЫ**», - რუსულში, „რომ“, „რაც“, „თუ“ — ქართულში.

კავშირი „**ЧТОБЫ**“ გამოიყენება წინადადებაში შესაძლებლობის, ნდობის ელფერის გამოსახატავად.

შეგადართ:

Полгода назад Лапшин поспорил с Невской из-за того, где лучше сажать новый сорт чая: на склонах холмов или в низинах. Лапшин настаивал, **чтобы** чай сажали в низинах, где кусты будут защищены от

ветра (П. Колхида, 602)

ლაპშინმა და ნევსკაიამ ჯერ კიდევ ექვსი თვის წინათ იღავეს, სად უფრო აჯობებდა ახალი ხარისხის ჩაის მოშენება: მთის ფერდობზე თუ დაბლობ ადგილას. ლაპშინი მოითხოვდა, **რომ** დაბლობ ადგილას მოეშენებინათ, დაბალზე ნაკლები ქარი იცისო.

რუსულ ენაში განმარტებითი კავშირების გარდა (გვ.350), ირიბი მეტყველების წყობის საშუალებებია მაერთებელი სიტყვები: **кто, что, какой, где, откуда, почему** и др. (ნაცვალსახელები და ნაცვალსახელიანი ზმნიზედა) და სხვა. მაერთებელი სიტყვების მეშვეობით აკავშირებენ მთავარ და დამოკიდებულ (კითხვითი, ძახილისა და აგრეთვე თხრობით) ნაწილებს.

მაგალითად:

Швейцер попросил жену Прибыльского, **почему** Чирков, по профессии настройщик, обивает в их доме диван (გვ. 379).

ქართულ ენაში ძირითადად გამოიყენება მხოლოდ კავშირები. „რომ“ კავშირის გარდა ქართულში გამოიყენება აგრეთვე კავშირი „თუ“. ეს კავშირი ხშირად გამოიყენებოდა ძველ ქართულში, თანამედროვე ქართულში ის გვხვდება იშვიათად. ჩვენ მიერ გაანალიზებულ მ. ჯავახიშვილის რომან „არსენა მარაბდელში“ გვხვდება ეს კავშირი მხოლოდ ორჯერ. როგორც წესი, „თუ“ კავშირი დგას კითხვითი სიტყვების წინ და გამოიყენება კითხვის ირიბად გადმოსაცემად.

მაგალითად:

როსტია მეტად მორცხვი ჭაბუკი იყო და ეხლავ სცხვენოდა ეთქვა, **თუ** როგორ გააბრიყვა ის უცნობმა ქალმა (მ. ჯავ. 190).

Застенчивому юноше не хочется признаться, что сестру беглеца он принял за русалку и так легко поддался ее чарам (გვ. 143).

მამასადამე, ირიბი მეტყველების წყობისათვის ორივე ენებში გამოიყენება განმარტებითი კავშირები. მათ შორის უფრო გამოიყენება «**ЧТО**», «**ЧТОБЫ**», «**БУДТО**», «**БЫ**» — რუსულში და „**რომ**“, „**რაც**“, „**თუ**“ — ქართულში. კავშირების გარდა, რუსულ ენაში მთავარი და ირიბიანი დამოკიდებული ნაწილების დასაკავშირებად შესაძლებელია გამოყენებული იქნას მაერთებელი სიტყვები, ქართულში ისინი ამ დანიშნულებით არ გვხვდება.

ლიტერატურა

ფეიქრიშვილი, 1995 — ჟ.ფეიქრიშვილი. ქართული ენის სინტაქსი. ქუთ., 1995.

კოზლოვსკი, 1980 — პ.კოზლოვსკი. პირდაპირი და ირიბი მეტყველებიანი წინადადებების შეერთების შესახებ. ფილოლოგიური ჩანაწერები. ტ.4-5, 1980.

პაუსტოვსკი, 1986 — კ. პაუსტოვსკი. მოთხრობები „კოლხიდა“. ბაქო, 1986.

პაუსტოვსკი, 1990 — კ. პაუსტოვსკი. მოთხრობები „კოლხიდა“. ქართული თარგმანი. თბ., 1990.

ჯავახიშვილი, 1970 — მ. ჯავახიშვილი. „არსენა მარაბდელი“. თბ., 1970.

MZIA TSERTSVADZE, I. BERIDZE

Main Means of Indirect Speech Order in Russian and Georgian

Summary

The paper is a contrastive study of various means for the formation of indirect speech in Russian and Georgian. The study has been carried out on the Russian and Georgian versions of K. Paustovski's 'Kolkhida' and M. Javakhishvili's Arsen of Marabda'. The main grammatical means typical of indirect speech word order are conjunctions Russ. **чтобы, будто, ны**, Georg. **rom, rac, tu**. In Russian specific connective words linking the main clause with the subordinate indirect speech clause are used.

ენათმეცნიერული

საფუხარ- სიტყვის წარმოგვლობისათვის

საგნისა და მისი აღმნიშვნელი სიტყვის ისტორია ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ხშირად სიტყვის ახალი მნიშვნელობა რეალის ცვლილებითაა გაპირობებული და პირიქით. ამიტომ სიტყვის შინაგანი ფორმის, მისი ეტიმოლოგიის რკვევისას, ორივე ეს მხარე უნდა იქნას გათვალისწინებული.

ამ თვალსაზრისით შევეცდებით წარმოვადგინოთ **საფუხარ-**სიტყვის ისტორია. ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტების მიხედვით ჩვენ მიერ განსახილველი სიტყვის შემდეგი ფონეტიკური და სემანტიკური ვარიანტები დასტურდება: **საბუხარი** || **საფუხარი**: 1. ტყავის ხელთათმანი. არას მარგია მე შენი ხელთათმანები, საბუხარს არა ვჩვეულვარ, რას მარგებს მაგისთანები? (რ. ერისთ.) 2. ეკლ. „სამღვდელოთა შესამოსელოთაგანი მაჯებზედ შესაცემელი“ (დ. ჩუბ.).

თოფი და ხმალი ვაყებისა, იმას ყვარობდნენ წინანი, ხელზე საფუხარ ჩაეცვენს, ფეხზე დაეკრნეს რკინანი (ხალხ.). „მარჯვენა ხელზე საფუხარი გქონდა გაკეთებული, თეთრი შავარდენი გიჯდა“ (ნ. ლორთქ.) (ქეგლ).

საბუხარი „რუსულდანიანის“ შემდეგ კონტექსტებშიც დასტურდება: ...ეგზომ შევნიერი და ტურფად დაკაზმულნი, რომელი მათ უამესი კაცისაგან არა ინახოდა რა, და ეგრევე თავის ოქროს თურებიტა და მარგალიტის ნაკერის საბუხრებიტა (რუსულ. 96, 21); თითო მურასა ჯამთასი ედგისთ, ხორცის დასალბობი, და თვითო მარგალიტის საბუხარი ეკიდის ყველასა თავ-თავისთვის (რუსულ. 213, 27).

აღნიშნულ წიგნს დართულ ლექსიკონში **საბუხარი** განმარტებულია, როგორც „სანადირო ფრინველის გამწვრთნელის (ან მონადირის) თათმანი თითების დასაცავად“.

ამ მნიშვნელობით გურულში იხმარება **საფუხარი** ან **ხელის ფონი**.

მიმინოს გამართვას პირველივე დამიდან შეუდგებიან. მონადირე მარცხენა ხელის დიდსა და საჩვენებელ თითებზე მეშის საფარველს გაიკეთებს, რომელსა ეწოდება ორთითი (ს. ჩიბათი), ან საფუხარი (ქ. მახარაძე), ან ხელის ფოხი (ლანჩხუთი), მარცხენა ხელზე დასმულ მიმინოს განათებულ ოთახში შეიყვანენ და პირველ ყოვლისა მკრთალ შუქზე თვალებს აუხსნიან. სახამლავისა და საღლიამხრეს ბოლოები მონადირეს თანაბრად აქვს მოზიდული და მარცხენა ხელის დიდი და საჩვენებელი თითებით უჭირავს (გურ. რობაქ.).

დიალექტური ლექსიკონები კი შემდეგ ცნობებს გვაწვდიან ამ სიტყვის შესახებ.

საფუჯარი ჯ., ფშ. (დ. პ.. ჭყ.). 1. „ასე ეტყვიან ხევსურები მართო ცერა-თითიან ხელთათმანს“. **საბუჯარი** (მრ. საბუჯრები) ჯორ., **საფუჯარი** გუდ. (ა. შან.). 2. ხელთათმანი (ქსოვილისა და ჯაჭვისა) საფუჯრებს ხქსოვენ კვირტისას: ოთხ თითი ერთად ას მაქსოვილი, ბერა თითის სათითურა ცალკე იქსოვების... მეორენაირ საფუჯრები ას ჭრელი, ნაღბულისაი (შინამრეწვ. 27-ა); [ვაშაკაცმა] ჯელზე საფუჯრებ ჩაიცვას, ფეჯზე დაიკრნას რკინანი (ხევს. პოეზ. 341, 7); რისვისა თათი, საგებელი, საფუჯარი' ეგეეთურა კეთდების (ხევს. თავისებ. 261, 17);

ორნივე საფუჯარნი წამართენეს, ქუდ წყალჩი გადამიგდესა (ალ. ოჩ. 99, 28);

ხევსურულ დიალექტშივე გვხვდება **საფუჯარ-** ფუძიანი ნაწარმოები სიტყვებიც.

საფუჯარიანი ხელთათმანჩაცმული. არც გაჭრა შვხლის ხანჯარმა სამკლავე საფუჯარიანი (ხევს. პოეზ. 584, 8).

სასაფუჯრე სახელთათმანე (ნართი, მატყლი...). წინ-წინ სათათესა' სასაფუჯრეს გავსთავთ საზამთროდ, კაცისად (ხევს. თავისებ. 261, 17) (ხევს. ჭინჭ.).

3. საერთოდ, ხელთათმანი არის თითიანი და უთითო — საფუჯრები. ძველად ყოფილა **ჯაჭვის საფუჯრებიც** — საომარი აბჯრის ნაწილი, რომელიც ხელის ზურგსა და თითებს ფარავდა (ფშ. ხორნ.).

საფუხარს ხელთათმანის (ჩვეულებრივისა და ჯაჭვისასაც) მნიშვნელობით ხმარობს ვაჟაც. ნეტავ რად უნდა კარგს ყმასა სამკლავე საფუხარია? („ბათურის ხმალი“); (სასძლომ) ზოგს უნდა ჭრელი წინდები მისცეს, ზოგს საფუხრები (ხელთათმანები) (ფშაველი და, VII) (ვაჟა).

4.1. სქელი, სამუშაოში სახმარი ხელთათმანი, ხშირად უთითოა. „ზამთრის ძროხადებასა-დ გარეთ ტრიალს საფუჯრებ გვეცვის“ — ზამთარში ძროხების მიხედვისას და გარეთ ტრიალში საფუხრები გვეკეთა ხოლმე. 2. ჩვარი ცხელი საგნებისთვის ხელის წასავლებად. „ერთიღავ, შენ გახარებასავ, ემ საფუჯარ მომაწვადე“ (თუმ. ცოც.); ეს უკანასკნელი დასტურდება საფოჯარის ფორმითაც (თუმ. უთურგ.).

5. ქიზიყურში **საფუხარი** ნიშნავს „თოფის დასაჭერს“, თოფზე ხელის წასავლებ ადგილს, ხელის მოსაკიდებელს (ქიზ. მენტ.).

მოხეტურში კი „ტყავის ხელთათმანების“ მნიშვნელობით დასტურდება **საბუჯე** (მოხ. ქავთ.).

ზემოთქმული რომ შევაჯამოთ, ქართულში ლექსემები **საბუხარი** || **საფუხარი**, **საბუჯარი** || **საფუჯე**, **ხელის ფოხი** სხვადასხვა სემანტიკური მნიშვნელობითაა ცნობილი. 1. საჩვენებელ თითზე გაკეთებული მეშის საფარველი მიმინოს დასასმელად, ორთითი. 2. თოფის დასაჭერი, თოფზე ხელის წასავლები ადგილი, ხელის მოსაკიდებელი; 3. ცერათითიანი ხელთათმანი; 4. ტყავისა და ჯაჭვის ხელთათმანები. 5. „სამღვდელთა შესამოსელთაგანი მაჯებზედ შესაცემელი“ (დ. ჩუბ.).

აქვე ყურადსაღებია მის **ერთ-ერთი ფონეტიკური ვარიანტის საფუჯარ** || **საფოჯარ**-ის გადატ. მნიშვნელობა „ჩვარი“.

აღნიშნული ვარიანტების ამოსავალი ჩანს **სა-ფუხ-არ-ი**, რომელიც გამოვყოფთ **სა — არ** მაწარმოებელს. **სა-ბუჯე-ში** კი **სა — ე-ს; ჭ|ნ, ფ|ბ** კი ცნობილი პროცესებია ქართულში (ქავთარაძე, 1964, 42, 209).

ფუძე კი უნდა იყოს **ფოხი**, რომელიც სვანურში (ჩოლურულში) დადასტურებული „თითის“ აღმნიშვნელ **ფოხი** || **ფხულე** „თეს ფოხ მად იყირი“ — თვალში თითს ვერ იტაკებ (სვან. ლიპარტ.) ნასესხობას უნდა წარმოადგენდეს. თავის მხრივ, სვანური **ფხულე** სიტყვის ძირისეული ნაწილია ადიღური ენებიდან შეთვისებული **ფხუ, ლე** ელემენტი გაურკვეველია (როგავა, 1987, 23).

მაშასადამე, ჩვენი აზრით, **საფუხარი** იმავს უნდა ნიშნავდეს, რაც სათითე, სათითური.

თუ სიტყვის ისტორიას გავითვალისწინებთ, მაშინ იგი სამონადირეო ტერმინოლოგიიდან უნდა იყოს დამკვიდრებული სამწერლო ენაში. დროთა განმავლობაში იცვლებოდა ამ ტერმინით აღნიშნული საგანი და მასთან ერთად სიტყვის მნიშვნელობაც.

როდის ჩნდება სიტყვა, ამის გარკვევა ჭირს. ერთი კი შეიძლება აღინიშნოს, რომ ალ. რობაქიძეს მდიდარი ეთნოგრაფიული მასალე-ბისა და ისტორიულ-ლიტერატურული წყაროების საფუძველზე გა-რკვეული აქვს, რომ ქორ-შავარდნით ნადირობის ბუნება უნდა მივიჩ-ნიოთ, როგორც არისტოკრატიული ნადირობის ფორმა და მისი ამ სახით წარმოშობა გარკვეულ საზოგადოებრივ ფორმაციას უკავშირებ-და (რობაქიძე, 1949, 180).

ლიტერატურა

როგავა, 1987 — გ. როგავა, ზოგი ადიღური სიტყვა ქართვე-ლურ ენებში, ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 1987.

რობაქიძე, 1949 — ალ. რობაქიძე, მიმინოთი ნადირობა გურია-ში, „მომომხილველი“, I, თბ., 1949.

ქავთარაძე, 1964 — ივ. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისა-თვის, თბ., 1964.

შემაჯავებანი

გუდ. — გუდამაყური, ა. შანიძე, მთის კილოთა ლექსიკონი, თხზულებანი, I, თბ., 1984.

ვაჟა — ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, შეადგინა ალ. ჭინჭა-რაულმა, თბ., 1969.

თუშ. უთურგ. — თ. უთურგაძე, თუშური კილო, თბ., 1960.

თუშ. ცოც. — გ. ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი, თბ., 2002.

მთ. — მთიულური, იხ. გუდ.

მოს. ქავთ. — ივ. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექ-ტი, თბ., 1985.

რუსუდ. — რუსუდანიანი, ილ. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვი-ლის რედაქციით, თბ., 1957.

საბა — სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV₂, ავტოგ-რაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილია აბულა-ძემ, თბ., 1966.

სვან. ლიპარტ. — ასლან ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლურის კილო), თბ., 1994.

ფშ. — ფშაური, იხ. გუდ.

ფშ. ხორნ. — გ. ხორნაული, ფშაური ლექსიკონი, თბ., 2000.

ქეგლი — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქო-ბავას საერთო რედაქციით, ტ. VI, თბ., 1960.

ქიზ. მენთ. — სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943.

დ. ჩუბ. — დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სა-სტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ, თბ., 1984.

ნ. ჩუბ. — ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ალ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961.

წოვა-თ. — დ. ქადაგიძე, ნ. ქადაგიძე, წოვა-თუშურ ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.

ხევს. ჭინჭ. — ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005.

ჯ — ჰევსურული, იხ. გუდ.

NINELI CHOKHONELIDZE

On the Origin of the Word Sapuxari

Summary

According to Standard Georgian and its dialects the words _ sabuxria, sapuxari, sabuqari / sapuqari, xelis poxi mean: 1. index-finger cover used by falkonets. 2. a gun-handle 3. mittens 4. Leather or chain gloves 5. arm cover used by the clergy.

The initial word for the given variants is sapuxari which consists of the derivative affix sa _ ar and the stem poxi. The latter is evidenced in Svan (Cholurian) _ poxi // pxule / meaning finger.

The Svan word **pxule** in its turn originates from the Adigh root pxu, the meaning of the element **le** is unclear.

ლუიზა ხაზაშრიძე

ბუნდრუკი // საკმეველი // სული ჰამოჯ

„IV-V საუკუნეებში ქართულ ენაზე ბიბლიური წიგნების გადმოთარგმნა შეუძლებელი იქნებოდა, რომ ქართულ ენას ძველი ლიტერატურული ტრადიცია არ ჰქონოდა. მართო ის ფაქტი, რომ ბიბლია ადრე ითარგმნა, აშკარად მეტყველებს საქართველოს ძველ და მაღალ სამწერლო კულტურაზე“ (დანელია, 1998, 443); „... ძველი მთარგმნელები ადრევე ცდილან ნასესხები სპეციფიკური ტერმინისათვის ქართული შესატყვისობანი დაეძებნათ, რისი შედეგიცაა სინონიმური პარალელები“ (დანელია, 1998, 193).

ჯერ კიდევ კერპთაყვანისმცემლობის დროს კულტისადმი დიდ შესაწირავად ყვავილთა არომატული სურნელება ითვლებოდა. არქეოლოგიური აღმოჩენების თანახმად, ეგვიპტურ სამარხებში, რომელიც ჩვ. წ. აღ-მდე XVI ს-ს განეკუთვნება, ნაპოვნია ქილები, რომლებშიც სხვადასხვა კეთილსურნელოვანი ზეთი და ფისი ინახებოდა. პაპირუსის ხელნაწერებში კი მითითებულია, თუ რა ძნელად მოიპოვებდნენ მას და სწირავდნენ როგორც ღვთაებებს, ასევე ფარაონებს. აღნიშნულ კეთილსურნელებებს ლათინებმა **par fimum** უწოდეს, რაც სიტყვისაიტყვით „როგორც საკმეველს“ ნიშნავს. აქედან წარმოიშვა სიტყვა პარფუმერია (De L'histoire des parfums, 2004).

ბიბლიის თანახმადაც **ღვთისმსახურებაში ოდითგანვე ერთ-ერთ ძვირფას შესაწირავად გამოიყენებოდა კეთილსურნელოვანი ფისი.**

ბერძნულში მის აღსანიშნავად გვხვდება ტერმინი „**λίβανος**“ და განიმარტება, როგორც წიწვიანი მცენარე, რომელიც იძლევა სურნელოვან ფისს, საკმეველს. მოცემული სიტყვა ბერძნულში ებრაულიდან ნასესხებადაა მიჩნეული. გვხვდება სემიტურ ენებში და მომდინარეობს აქადური „**lubanu**“-დან (ნედოსპასოვა, 1979). საანალიზო ტერმინის მრავლობითი რიცხვის ფორმაა „**Libanoth**“, რომელიც ბერძნულში „**λίβανωτος**“- სახითაა გადასული და იგივეა, რაც ладон кадилница (Древногреческо-русский словарь Дровецкий И. М., 1958).

აღნიშნული ფორმა „**ლივანოტი**“ სულხან-საბასთან გვაქვს და განმარტავს: „**საკმეველია სუნნელი**“. ქართულ თარგმანებში ბერძნული „**λίβανος**“ თარგმნილია „**გუნდრუკ**“ სიტყვით: „გუნდრუკსა შესწირვიდენ შენდა“ (გამოსვლათა 30,34), „დასდვეს მას ზედა გუნდრუკი“ (ლევიტელთა 2,1), „არა დაასხას მას ზედა ზეთი და არცა დასდვას მას ზედა გუნდრუკი“ (რიცხვთა 50,15), „აჰა, წარმოგზავნეთ თქვენდა ვეცხლი და იყიდენით ვეცხლითა ყოვლად-დასაწუენლი და გუნდრუკი და... აღიდეთ საკურთხეველსა ზედა უფლისა ღვთისა ჩვენისასა“ (ბარუქი 2,10), „არამედ საკურთხეველსა წილ აქუნდა ოქრო სამეუფო, მური მსწრაფლ მკურნალი წყლულებითა და გუნდრუკი სულ-ამო“ (მროველი, ქართლის ცხოვრება, 98, 8; 1986).

ტერმინი „**გუნდრუკი**“ მომდინარეობს სპარსული სიტყვიდან „**ქუნდურუქ**“, რაც ებრაული „**ლიბანოსისა**“ და ქართული „**საკმევლის**“ სემანტიკური ცალია. მ. ანდრონიკაშვილი აღნიშნავს: „საშუალ სპარსული „**უ**“ ქართულში სიტყვის შიგნით გადმოცემულია „**უ**“ ხმოვნით. ახალ სპარსულში მას შეესაბამება „**ქონდორუ**“ (ანდრონიკაშვილი, 1966). „გუნდრუკი“ ქართულში სომხურიდან შემოსულად მიაჩნიათ ნიკო და დავით ჩუბინაშვილებს.

ქართულ წერილობით ძეგლებში ზემოთ განხილულ ტერმინთა პარალელურად გვხვდება — „**სული სუნნელი**“, „**სული ჰამოჯ**“, რაც ბერძნული „**ἀρωμα**“ (კეთილსურნელება, სასიამოვნო სუნი) და „**μύσχα**“ (სურნელება) ზუსტი თარგმანია: „ესე არს აღსავლენი ყოვლად დასაწუელი სუნად სუნნელად უფლისათვის“ (ლევიტელთა 1, 13), „სუნი სუნნელთა მსგავსია სულისა წმიდისა მადლითა“ (ჯრუჭის მონასტრის ხელნაწერი, „ჯვარი ვაზისა“, №4, 1992) „მოიმზადეს სუნნელი და ნელსაცხებელი“ (ლუკა 23,58)... [აქვე შევნიშნავთ, რომ, როგორც ლათინური **par fimum**-იდან, სიტყვისაიტყვით „საკმეველი“, წარმოიშვა სიტყვა პარფუმერია (რაც ხშირად სუნამოდ ითარგმნება), ასევე ქართული **სული ჰამოდან** (> **სულ ჰამო** > **სულ ამო** >) **სუნამო**].

უფლისადმი შესაწირავი კეთილსურნელოვანი ძღვენის ზემოგანხილულ ტერმინთა საკუთრივ ქართული შესატყვისია „**საკმეველი**“. იგი მომდინარეობს „**კვამლ**“ სიტყვისაგან. ქართული „**კუამ-ლ-ი**“, „**კუმ-ოდ-ა**“, „**კუმ-ევ-ა**“, „**სა-კუმ-ევ-ელ-ი**“, მეგრ. „**კუმ-ა**“(კვამლი), „**კუმ-აფ-უ**“ (საკუმეველი); ლაზ. „**კომ-ი**“ (კვამლი), სვან. „**კუამ-ე**“ (ბოლავს), „**ლა-კმ-არ-უნ**“ (სურნელი) (ფეინრიხი, სარჯველაძე, 1990).

საანალიზო ტერმინი ზემოთ აღნიშნული სხვა სემანტიკური ცა-
ლების პარალელურად გამოიყენება, როგორც ძველ წერილობით ძეგ-
ლებში, ასევე შემდგომი დროის ქართულ მწერლობაშიც: „აპრონ და
ძენი მისნი აკუმევედს საკუმეველსა" (I ნეშტთა 6,49 — მცხეთური),
„აკუმოს მას ზედა საკუმეველი სამიმდემო მარადის წინაშე უფლისა
ნათესავსა შინა მათსა" (რიცხვთა 30,9 — მცხეთური), „და არა აღვი-
დეს მას ზედა საკუმეველი... მსხუერპლი და შესაწირავი არა შეწი-
რულ იქმნეს მას ზედა" (რიცხვთა 30,10 — იქვე), „ტაძარი იგი აღივ-
სო საკუმეველითა" (ესაია 6,4 — იერუსალიმური), „უკმევედა საკუმე-
ველსა და უზორვიდის კერპთა" (III მეფეთა 11,8 — ოშკური), „წარე-
მართენ ლოცვა ჩემი ვითარცა საკუმეველი შენს წინაშე" (ფს. 140,2),
„აქუნდა ლანკანნი ოქროისანი სავსენი საკუმეველითა" (გამოცხადება
5,8 — ექვთიმე ათონელის თარგმანი), „მეცა მას საკუმეველი ფრია-
დი და აღხდა კუამლი იგი საკუმეველთა“ (გამოცხადება 8,3 — 4- მი-
სივე)... „შევაძკეთ ეკლესია ხატითა, კანდელითა, სანთელითა, საკმევე-
ლითა..." (შეწირულობის სიგელი ბაგრატ მეფისა გელათისადმი, 1545
წ; ქსძ), „უნდა მოეგებონ მის უწმიდესობას და... დიაკონი შემოსილი
და ხელთა საცეცხლურისა მქონებელნი და უკმიონ ამას ღერბსა სა-
კმეველითა" (სამღუდლო დასთათვის განწესება და დაწყობა, განწესე-
ბა ერეკლე მეფის დაკრძალვისა, 1798 წ; ქსძ)... „ჯობს, რომ გიძღვან
კინამკასი, გუნდრუკ-მური და შტახს-ალო, ჯვარცმულისა ქრისტეს
დედავ, ცოდვილს მკურნე დედოფალო" (ბესიკი, ყოვლადწმიდის ქება,
1990), „ვითა გუნდრუკსა სამადლობელსა შენდა აღკმევენ სურნელე-
ბასა!" (ბარათაშვილი, შემოღამება მთაწმიდაზედ, 1996), „მუნ გუნ-
დრუკის წილ შევსწირავდი წმიდას სიყვარულს" (იქვე), „და მისსა
ფერფლსა, ვითა საკმეველს, შევსწირავ სატრფოს, ჩემსა სალოცველს"
(იქვე), „ვაჟი კეთილმშვენიერებას გუნდრუკს უკმევედა" (ლორთქიფა-
ნიძე, ზღაპარი, 1989), „გრძობათა შენთა საკმეველი უკმეიე ხატებს"
(გამსახურდია, სონეტი, 1990).

დღეს **გუნდრუკი** საკმეველის მნიშვნელობით თითქმის აღარ
გვხვდება არც საეკლესიო მრევლის, არც ფართო საზოგადოების მე-
ტყველებში. იგი შემორჩენილია მხოლოდ ფრაზეოლოგიზმში „გუნ-
დრუკის კმევა" და ძირითადად პირფერობის მნიშვნელობით გამოიყე-
ნება: „მოსწყინდა გრძობას უცხო კერპის გუნდრუკის კმევა" (შანში-
აშვილი, 1946)... „ზოგი ხელისუფლებას უკმევს გუნდრუკს" (დსკი)...

ეკლესიაში დასაკმევი კეთილსურნელოვანი ფისის აღსანიშნავად

გამოიყენება მხოლოდ ოდითგანვე მისი ქართული შესატყვისი „**საკმე-
ველი**". აღსანიშნავია ისიც, რომ დღესდღეობით საზღვარგარეთის
ქვეყნებთან (საბერძნეთი, იერუსალიმი) ხშირი მიმოსვლის გამო,
გვხვდება საკმეველის სხვადასხვა სახეობა: ლიბანის//ლივანოტის, კედა-
რის, როზმარის, ყასმინის, ვარდის, იასამინის... ღვთისმსახურებაში
გამოსაყენებელი ზეთის ზეთიც სხვადასხვა მცენარის არომატით
იქვინდება.

სავარაუდოა, ძველი საქართველო უცხოური საკმეველებიდან მხო-
ლოდ ლიბანისას იცნობდა; შესაძლოა, სხვა ქრისტიანული ქვეყნები
საკმეველის მხოლოდ ამ სახეობას გამოიყენებდნენ ღვთისმსახურებაში,
ამიტომაც ითარგმნებოდა **ლივანოტი** ქართულად საკმეველის მნიშვნე-
ლობით და არა როგორც საკმეველის ერთ-ერთი სახეობა.

საეკლესიო ლექსის დინამიკაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ
მართლმადიდებელ ეკლესიაში ადრეული საუკუნეებიდანვე შეინიშნე-
ბა ბერძნულ ტერმინთა გაქართულების ტენდენცია, რაც მოწმობს
ქართველ მთარგმნელთა ძლიერ სურვილსა და ოსტატობას, წარმოე-
ჩინათ მშობლიური ენის დიდი შესაძლებლობა და, ამასთანავე, ღვთის
სიტყვა გასაგები და მისაღები გაეხადათ ქართულენოვან მორწმუნე-
თათვის.

ლიტერატურა

- ანდრონიკაშვილი, 1966** — მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., 1966.
- ბარათაშვილი, 1996** — ნ. ბარათაშვილი, შემოღამება მთაწმი-
დაზედ, თხზულებანი სიმფონია-ლექსიკონით, თბ., 1996.
- ბესიკი, 1990** — ბესიკი, ყოვლადწმიდის ქება, თხზულებანი,
თბ., 1990.
- გამოსვლათა 30,34** — წიგნი ძუელისა აღთქუმისანი, თბ., 1989.
- გამოცხადება 5,8** — ახალი აღქუმა“, გიორგი და ექვთიმე
მთაწმიდელების თარგმანთა გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2003.
- გამსახურდია, 1990** — ზ. გამსახურდია, სონეტი, მთვარის ნიშ-
ნობა, თბ., 1990.
- დანელია, 1998** — კ. დანელია, ნარკვევები ქართული სამწერ-
ლობო ენის ისტორიიდან, თბ., თსუ-ს გამომცემლობა, 1998.
- ლევითელთა 2,1** — წიგნი ძუელისა აღთქუმისანი, თბ., 1989.

ლუკა 23,58 — ახალი აღქთუმა“, გიორგი და ექვთიმე მთაწმი-
დელეების თარგმანთა გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2003.

ლორთქიფანიძე, 1989 — ნ. ლორთქიფანიძე, ზღაპარი, თბ.,
1989.

მროველი, 1986 — ლ. მროველი, ქართლის ცხოვრება, სიმფო-
ნია-ლექსიკონი, თბ., 1986.

ნედოსპასოვა, 1978 — მ. ნედოსპასოვა, უცხო წარმოშობის
ლექსიკა არაბულ ოთხთავში, თბ., 1978.

I ნეშტა 6,49 — მცხეთური ხელნაწერი, თბ., 1985.

რიცხვთა 50,15 — მცხეთური ხელნაწერი, თბ., 1985.

ფეინრიხი, სარჯველაძე, 1990 — ჰ. ფეინრიხი, ზ. სარჯველაძე,
ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990.

ფს. 140,2 — ფსალმუნნი მეფის დავითისა, თბ., 1989.

ქსძ, 1970 — ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III,
თბ., 1970.

შანშიაშვილი, 1946 — ს. შანშიაშვილი, 1946 — თხზულებანი,
თბ., 1946.

ჩუბინაშვილი, 1971 — დ. ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული
ლექსიკონი, თბ., 1971.

ჩუბინაშვილი, 1984 — ნ. ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული
ლექსიკონი, თბ., 1984.

ჯრუჭის მონასტრის ხელნაწერი, „ჯვარი ვაზისა“, №4, 1992.

Дварецкий И. М., 1958.

De L'histoire des parfums, Paris, 2004.

LUIZA KHACHAPURIDZE

**"Gundruki" (incense), "Sakmeveli" (frankincense),
'Sul' hamoj' (pleasant smell)**

Summary

From time immemorial ore of the precious offerings during the church service has been frankincense _ a gum or resin burning with a fragrant smell. Its Greek term is 'λιβανος' which is evidenced in the Semitic languages as well. The term in question originates from the Acadian "lubanu" whose plural form was borrowed by Greek [libanoth]. The form livanot is encountered in Šulkhan-Šaba's Dictionary and is translated as "saḳmeveli sunneli (meaning frankincense).

In Georgian translations the Greek 'λιβανος ισ translated as 'gundruki'; the latter is a loan word from Persian (kundruki) and issynonymous to the hebrew 'libanos' and the Georgian 'sakmeveli'. Besides the above-mentioned terms, the terms 'suli, surneli, sulī hamoj' (fragrant small, pleasant smell) are also encountered in Georgian written records.

The word 'sakmeveli' originates from the Georgian word 'kvamli' (smoke) Georg. 'ḳum-li', 'ḳum-oda', 'ḳum-j-va', 'sa-ḳum-cv-eli'; Megr. 'ḳum-a', o-ḳum-ap-u'. Nowadays only the word sakmeveli is used in church service.

თეონა ხეცურიანი

რეპორტაჟი როგორც ზოგადპუბლიცისტური ჟანრების
ფენომენი და საბაზეთო რეპორტაჟი

წინამდებარე სტატიის მიზანს წარმოადგენს რეპორტაჟის როგორც ზოგადპუბლიცისტური ჟანრის დახასიათება, კერძოდ, საგაზეთო რეპორტაჟის თანამედროვე ტექსტობრივი განზომილება.

შეიძლება ითქვას, რომ რეპორტაჟის როგორც ჟანრის და მისი ტექსტობრივი სივრცე ხასიათდებოდა შემდგომი კვლევისათვის გადამწყვეტი ნიშნით: მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ის, რაც აქამდე თქმულა რეპორტაჟზე და მისი ტექსტობრივი განზომილების კვლევის პრობლემაზე, ატარებდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ზოგადმედიურ“ ხასიათს: რეპორტაჟიც როგორც ჟანრი და მისი ტექსტობრივი სივრცეც განიხილებოდა, ერთი მხრივ, როგორც ზოგადპუბლიცისტური ფენომენი, ე.ი. იმის დაკონკრეტების გარეშე, თუ მედიასისტემის რომელ ქვესისტემას — პრესას, რადიოს თუ ტელევიზიას — ეკუთვნოდა იგი და მისი ტექსტობრივი სივრცის პრობლემაც დასმული იყო მაქსიმალურად ზოგადი სახით: სარეპორტაჟო ტექსტი შეიძლებოდა გაგებულყო ასევე მაქსიმალურად ზოგადად — როგორც საგაზეთო, ანუ ნაბეჭდი თუ რადიო (ე.ი. აუდიოტექსტი), თუ ტელეტექსტი (ე.ი. აუდიოვიზუალური ტექსტი). ყველაფერი ის, რაც ითქმოდა რეპორტაჟზე და მის ტექსტობრივ სივრცეზე, როგორც საკვლევ პრობლემაზე, ნაულისხმევი იყო გლობალურად და არ ხდებოდა — როგორც უკვე ითქვა — ნათქვამის დაკონკრეტება ქვესისტემების მიხედვით. ასეთ მიდგომას გამართლება ჰქონდა შემდეგი საში მოსაზრების გამო:

ა) როგორც არ უნდა იყოს ფუნქციურ-სტრუქტურული განსხვავებები მედიასისტემის ქვესისტემებს შორის, მაინც არსებობს როგორც შინაგანად ერთიანი მედიასისტემა, ისე ერთიანი პუბლიცისტური ფუნქციური სტილი, ანუ ფუნქციურად და სტრუქტურულად **ერთიანი პუბლიცისტური დისკურსი**;

ბ) სანამ ჩვენ შევუდგებით რომელიმე ქვესისტემის ჟანრობრივი თუ ტექსტობრივი თვალსაზრისით კვლევას, საჭიროა გვეჩვენოს ჟანრობრივ-ტექსტობრივი ზოგადი წარმოდგენა მთელ მედიასისტემაზე;

გ) ჩვენთვის, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს შემდეგ და ბოლო მოსაზრებას: თანამედროვე ლინგვისტიკა იმდენად გააფართოვა ტერმინ „ტექსტის“ მნიშვნელობა, რომ იგი (ეს ტერმინი) შეიძლება დაუკავშირდეს ნებისმიერი პუბლიცისტური ქვესისტემის ნებისმიერ ჟანრს. აქედან გამომდინარე, უნდა მივიჩნიოთ, რომ ყოველივე ის, რაც უკვე ითქვა სარეპორტაჟო ტექსტის კომპოზიციურ სტრუქტურაზე — სახელდობრ, ის, რომ ამგვარი ტექსტის ცენტრალურ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმად უნდა ფიგურირებდეს **დინამიკური აღწერა** — შეიძლება და აუცილებლად უნდა მიესადაგოს ნებისმიერ ქვესისტემაში წარმოდგენილ სარეპორტაჟო ტექსტს. როგორც ტექსტი ზოგადად, ისე სამეტყველო-კომპოზიციური ფორმაც შეიძლება (და აუცილებელიცაა), რომ გააზრებულ იქნეს მაქსიმალურად ფართოდ: დინამიკური აღწერა შეიძლება გვეჩვენოს როგორც ნაბეჭდ ტექსტში, ისე რადიო — და ტელეტექსტშიც.

მაგრამ ასევე გამართლებულად უნდა ჩათვალოს ჩვენი შემდგომი კვლევითი ნაბიჯი. როგორ უნდა მოხდეს საგაზეთო რეპორტაჟზე და, რაც ჩვენთვის მთავარია, მის ტექსტობრივ განზომილებაზე მსჯელობა? სანამ აქ დასმულ კითხვაზე კონკრეტულ პასუხს გაცევით, აუცილებლად მიგვაჩნია დავასახელოთ ორი აზრობრივი პოსტულატი, რომელთა გათვალისწინების გარეშე, ჩვენი აზრით, შეუძლებელი იქნებოდა დასმულ კითხვაზე ადეკვატური პასუხის გაცემა:

1) როგორც არ უნდა იყოს გაზეთის განსხვავება მედიასისტემის სხვა ქვესისტემებისაგან, მისი ჟანრობრივი სტრუქტურა და, შესაბამისად, ამ სტრუქტურის შესაბამისი ტექსტობრივი განზომილებაც უნდა დაექვემდებაროს ზოგადმედიურ კანონზომიერებებს. სხვა საკითხია, თუ როგორ იქნება დანახული მიმართება გაზეთის თავისებურებებსა და ამ ზოგად კანონზომიერებებს შორის. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თანამედროვე აზროვნება დიდი ხანია გასცდა ფენომენებსა და საგნებს შორის ისეთ მიმართებათა დადგენის საზღვრებს, როგორცაა მიმართება გვარსა და სახელს, ან ფენომენსა და მის ტიპებს შორის. ამგვარ მიმართებათა პარალელურად თანამედროვე აზროვნება ახდენს ისეთი მიმართების პოსტულირებასაც, რომელიც შეიძლება

არსებობდეს ერთი და იმავე ფენომენის **სიღრმისეულ და ზედაპირულ** სტრუქტურებს შორის, ანუ განიხილავს მიმართების ისეთ ტიპებსაც, რომელთა საკვლევად საჭიროა დინამიკური შინაარსის ცნებები (მაგ, ისეთები, როგორცაა გენერირებისა და ტრანსფორმირების ცნებები). რა სახის მიმართებასთან გვაქვს საქმე გაზეთსა და ზოგადად მედიას შორის? ბუნებრივია, ამ კითხვაზე პასუხი უნდა მოგვცეს ისეთმა კონკრეტულმა კვლევამ, რომელიც სრულად გაითვალისწინებს მიმართებათა ზემოთ განხილულ ტიპოლოგიას;

2) წინა პუნქტში მოყვანილი ზოგადთეორიული მოსაზრების გარდა მხედველობაში მისაღება, ალბათ, შემდეგი მოსაზრებაც: ისტორიულად გაზეთი (პრესა) წარმოადგენს **ყველაზე ძველ მედიასისტემას**. ამიტომ შეუძლებელია არ დაუშვათ, რომ იმ მედიასისტემათა განვითარებას, რომელიც უკავშირდება ჩვენი დროის ზოგად ცივილიზაციურ ცვლილებებს, არ მოეხდინა მასზე გავლენა.

ზემოთ ხსენებული გავლენა, ალბათ, გარდუვალად უნდა ჩაითვალოს, მით უმეტეს, რომ, როგორც აღინიშნება თანამედროვე მედიაკულტურისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში, „მედიაკულტურის როლი საზოგადოებაში იზრდება ადრე ძნელად თუ წარმოსადგენი ტემპებით“ (კიროლოვა, 2005, 11). მაგრამ, თუ ეს ასეა (და ამ ფაქტის რეალობაში დღეს არავის ეჭვი არ ეპარება), შეუძლებელია არ გამოითქვას ვარაუდი იმის თაობაზე, რომ ზემოთ ხსენებულ გარემოებას, ანუ იმ ფაქტს, რომ გაზეთი ისტორიულად წინ უსწრებს სხვა მედიასისტემებს, რომ უნდა არსებობდეს გარკვეული — და იქნებ მნიშვნელოვანი — განსხვავება იმ თვალსაზრისით, თუ როგორ არიან წარმოდგენილი ზოგადკულტურის სტატუსის მქონე ჟანრები და მათი შესაბამისი ტექსტობრივი განზომილებანი, ერთი მხრივ, გაზეთში და, მეორე მხრივ, რადიოსა და ტელევიზიაში. ამასთან, ალბათ, არ უნდა დავივიწყოთ შემდეგი მნიშვნელოვანი მომენტი: თუ იზრდება მედიაკულტურის როლი, უნდა ვივარაუდოთ, რომ ზრდის ამგვარი ტემპები მეტი რელიეფურობით უნდა იყოს ასახული ისეთ უფრო „ახალგაზრდა“ მედიასისტემებში, როგორცაა რადიო და, ბუნებრივია, განსაკუთრებით ტელევიზიაში. და რადგან ჩვენ პირველ რიგში დაინტერესებული ვართ გაზეთით, ბუნებრივია, რომ მოგვიხდება ყურადღების კონცენტრირება მოვახდინოთ გაზეთის (პრესის) იმ თავისებურებებზე, რომლებზეც მიუთითებს ყურნალისტიკის თანამედროვე თეორია (როგორც ვხედავთ, ჩვენ თითქმის ვაიგივებთ ერთმანეთთან გაზეთსა

და პრესას, თუმცა ვიცით, რა თქმა უნდა, რომ პრესა თავისი მოცულობით უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე გაზეთი. მაგრამ ამავე დროს ვიცით ისიც, რომ, ერთი მხრივ, გაზეთი უფრო რეპრეზენტატიულია პრესისთვის, ვიდრე მისი სხვა სახეობები; და, გარდა ამისა, ვიცით ისიც, რომ თუ რეპორტაჟი საერთოდ დამახასიათებელია პრესისათვის, ეს, პირველ რიგში, ეხება სწორედ გაზეთს).

ჩვენ არა გვაქვს იმის ადგილი და დრო, რომ ვილაპარაკოთ გაზეთზე როგორც მედიასისტემის ქვესისტემაზე, მთელი შესაძლო სიფართოვით, მაგრამ გამოვყოფთ მის ისეთ თავისებურებებს, რომლებიც განსაკუთრებული რელიეფურობით წარმოაჩენენ იმას, თუ რა განსხვავებას მას რადიოსა და ტელევიზიისაგან. მიგვაჩნია, რომ ამ განსხვავებათა ცოდნა დაგვეხმარება იმის გაგებაში, თუ როგორი შეიძლება იყოს რეპორტაჟისა და მისი შესაბამისი ტექსტობრივი სივრცის სახე და ადგილი თანამედროვე გაზეთში. მაგრამ მოკლედ მაინც მივუთითოთ იმაზე, თუ რა იძლევა საერთოდ იმ განსხვავებებზე მსჯელობის საფუძველს, რომლებიც არსებობს მედიასისტემის განსხვავებულ ქვესისტემებს შორის: „ყოველი ცალკეული ქვესისტემა ასრულებს თავის ყურნალისტიკურ ფუნქციას თავის იმ სპეციფიკურ თავისებურებათა საფუძველზე, რომლებიც ვლინდებიან, პირველ რიგში, იმაში, თუ როგორ ხდება ინფორმაციის ფიქსაცია და გადაცემა“ (პროხოროვი, 2002, 209).

ზემოთ ციტირებული მონოგრაფიის ავტორი, მსჯელობს რა პრესის იმ თავისებურებებზე, რომელთა გამო, მისი აზრით, იგი „აგებს“ სხვა მედიასისტემათა ფონზე, მიუთითებს პრესის შემდეგ ამგვარ თავისებურებაზე:

1) „პრესა აგებს ინფორმირების ოპერატიულობის თვალსაზრისით. გასაგებია, რომ შეუძლებელია არ არსებობდეს მნიშვნელოვანი დროითი ინსტანცია იმ მომენტს შორის, როცა მზადდება ნომერი, იბეჭდება ტირაჟი და იმ მომენტს შორის, როცა „მომხმარებელი“ იღებს ამ ნომერს“ (პროხოროვი, 2002, 211);

2) „უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ პრესა ხელმისაწვდომია მხოლოდ მეტად თუ ნაკლებად განათლებული ადამიანისათვის, რომელსაც აქვს კითხვის საკმაოდ განვითარებული ჩვევები და ამ ჩვევების საფუძველზე შეუძლია გამოიყენოს ამ კომუნიკაციური საშუალების დამახასიათებელი უპირატესობა — ინფორმაციის ანალიტიკურობის, კომენტირებულობის ის მაღალი და სულ უფრო და უფრო

მხარე დონე, რომელიც მას განასხვავებს რადიოსა და ტელევიზიისაგან“ (იქვე).

პრესის ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანი მხარეები უფრო რელიეფურ სახეს იღებენ, როცა ავტორი ლაპარაკობს რადიოსა და ტელევიზიის თავისებურებებზე: მისი აზრით, „რადიოს ახასიათებს ოპერატიულობის ისეთი დონე, რომლის მიღწევა პრესაში პრინციპულად შეუძლებელია: შეტყობინება გადაეცემა რადიომსმენელს პრაქტიკულად იმავე მომენტში, როცა რაღაც ხდება“ (პროხოროვი, 2002, 212).

რაც შეეხება ტელევიზიას, იგი, ავტორის სიტყვით, „გამოჩნდა 30-იან წლებში და იქცა, ისე, როგორც რადიო, ინფორმაციის მასობრივ საშუალებათა „ტრიუმფირატის“ სრულუფლებიან წევრად მე-20 საუკუნის 60-იან წლებში“ (პროხოროვი, 2002, 214). და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რასაც ავტორი შემდეგ ამბობს ტელევიზიის შესახებ: „მთელ რიგ პარამეტრთა მიხედვით (ფაქტობრივი ინფორმაცია, კულტურა, გართობა) იგი გამოვიდა პირველ ადგილზე“ (იქვე). ჩვენი კვლევითი კონტექსტისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ტელევიზიის ავტორის მიერ ხაზგასმულ შემდეგ უპირატესობას: „ტელევიზიაში შესაძლებელია ოპერატიულ გადაცემათა ორგანიზება როგორც სტუდიიდან, ისე იმ ადგილებიდან, სადაც ხდება მოვლენა“ (პროხოროვი, 2002, 215).

და ბოლოს, მოვიყვანთ პრესის შესახებ ავტორის მიერ გამოთქმულ აზრს, რომელსაც ასევე უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა ჩვენი კვლევითი მიზნებისათვის: „პრესისთვის დამახასიათებელი უნდა იყოს ფაქტობრივი ინფორმაციის ისეთი **კრებითი** (ხაზგასმა ჩვენია — თ.ხ.) ხასიათი, როცა ინფორმაციას თან ახლავს სერიოზული კომენტარი და სოციალური სინამდვილის ფუნდამენტურ კანონზომიერებათა განხილვა“ (პროხოროვი, 2002, 217). ამის საპირისპიროდ კი რადიოზე ნათქვამია, რომ იგი იძლევა „სამყაროს პულსის“ შეგრძნების საშუალებას (იქვე), „ტელეჟურნალისტი კი ვალდებულია მოამზადოს ინფორმაციულობით დატვირთული გადმოცემები დღის მოვლენების შესახებ“ (იქვე).

იმისათვის, რომ ცხადი გახდეს ყოველივე ზემოთ ნათქვამის მნიშვნელობა ჩვენი კვლევითი კონტექსტისათვის, გავიხსენოთ ის, თუ როგორ ხასიათდება, ერთი მხრივ, ჟურნალისტურ ჟანრთა ინფორმაციული კატეგორია ზოგადად, ხოლო შემდეგ ისიც, თუ რა არის, კერ-

ძოდ, დამახასიათებელი რეპორტაჟისთვის.

რაც შეეხება ინფორმაციულ ჟანრთა ზოგად დახასიათებას, იგი გამოიყურება შემდეგნაირად: „ოპერატიული, შეკუმშული შეტყობინება ერთეული ფაქტისა და მოვლენის შესახებ“ (გვენცაძე, 1985, 108). რაც შეეხება რეპორტაჟს როგორც ჟურნალისტურ ჟანრს, ჩვენ უკვე საკმაოდ ვიმსჯელებთ მასზე. მაგრამ, მიუხედავად ამისა და იმის გათვალისწინებით, რომ სწორედ რეპორტაჟი მისი ტექსტობრივი განზომილებით წარმოადგენს ჩვენს უშუალო თემას და პრობლემას, კიდევ ერთხელ გავუსვავთ ხაზი იმას, თუ რას მიიჩნევს ზემოთ ციტირებული ავტორი რეპორტაჟის დომინანტურ კომუნიკაციურ ინტენციად: „დომინანტური კომუნიკაციური ინტენცია — მოგვაწოდოს ინფორმაცია ისე, რომ შეგვიქმნას კონკრეტული წარმოდგენა მომხდარ ფაქტზე პირადი მონაწილეობის საფუძველზე“.

ლიტერატურა:

კირილოვა, 2005 — Н. Кириллова, Медиакультура: от модерна к постмодерну, Москва, Академический проект, 2005.

პროხოროვი, 2002 — Е. П. Прохоров, Введение в теорию журналистики, Москва, издательство Рип-чолдинг, 2002.

გვენცაძე, 1985 — М. А. Гвенцадзе, Коммуникативная Лингвистика и типология текста, издательство Ганатлеба, Тб., 1985.

TEONA KHETSURIANI

**Reporting as a Common Journalistic Genre and
Newspaper Reporting in Particular**

Summary

The paper deals with the relation between reporting as a journalistic phenomenon and media culture. News reporting is investigated from the standpoint of linguosemiotics. It is maintained that the press as one of the oldest media forms influences the development of other media styles.

The communicative intention realized in news reportings aims to convey information about the facts and events perceived through reporters' eyes.

RAHEEM M. JABER

**Influence of philosophical terms of Ibn al-Arabī on
the Mathnawi of Rumi**

The creation of philosophical language and terminology was an important development in the history of mystics.

Without doubt the greatest mystical poet of Arabs, that distinction amongst the Persians unquestionably belongs to Jalal ud- Din Rumi, the author of the great mystical mathnawi.[2,506]

We come now to a much more important group of writers, the great Sufis and mystics of Mongol period , amongst whom are included some of the most celebrated names in this branch of thought and literature, one of them Shaykh Muhiyyud-Din Ibn al-Arabi,the illustrious theosophist of Andalusia and the most notable of Shaykh Muhiyyud-Din ḳ's disciples, and perhaps one or two other contemporary mystics, Attar and Mawlana Jalal ud din Rumi [2,489].

Ibn al Arabi is universally admitted to have been amongst the greatest, if not the greatest of the many mystics produced in Muslim lands to wit, shaykh Ibn al Arabi, who was born at Murcia, in Spain, on July 28,A.D 1165, began his theological studies at Seville in A.D 1172, and in A.D. 1201 went to the east, living in turn in Egypt, the Hijāz, Baghdad, Mosul, and Asia Minor, and finally died at Damascus on November 16,A.D.1240.his extant works being enumerated of these the most celebrated are the Fususul- Hikam (Bezels of wisdom) and the Futuhatul- Makkiiya(Meccan victories or Disclosures) [2,497].

Jalalud-Din Rumi better known by his later title of Mawlana (our Master) Rumi (of Rum or Asia Minor, where the greater part of his life was spent is without doubt the most eminent Sufi poet whom Persia has produced, while his mystical mathnawi deserves to rank amongst the great poems of all time. He was born at balkh in the autumn of A.D.1207.

The Mathnawi represents the saint not only as a mirror of reality, but al-

so as a personage invested with divine authority and power, an indispensable guide on the way to god, a physician who can diagnose and cure diseases of the soul, a preacher of the truth and a teacher of the law- the law of reverent obedience, through which “ Heaven was filled with light and the Angels became pure and holy” professing to expound the esoteric doctrine of the Quran, this vast rambling discourse provides instruction and entertainment for all seekers. Few would care to read it through but every one can find in it something to suit his taste, from abstruse and recondite theories of mystical philosophy to anecdotes of a certain kind, which are told in the plainest terms possible [6,222].

Rumi also continued to study the formal religious sciences in Aleppo until he became a perfect master in such disciplines as Quranic commentary, sciences of Hadith, jurisprudence, theology and even philosophy [8, 9] .

He settled down for some time in the Anatolian town of Konya. There he attended the teaching of Sadr ad- Din Qunavi, one of the earliest expounders of the mystical philosophy of Ibn al Arabi [7, 59].

Mawalana when he went to Aleppo and Damascus to seek further instruction he met shaykh Muhiyyad –Din Ibn al Arabi there [8,121]; [2,500], some sources have spoken of Rumi’s meeting Ibn- Arabi, who also lived and died in Damascus [8,20].

No mystic of Islam, perhaps, with the possible exception of Jalalud- Din Rumi, has surpassed Shaykh Muhiyyud-Din in influence, mystic poet of Persia ,actually met and associated with Shaykh Muhiyyud –Din Ibn –Arabi and was doubtless influenced by him and ideas of the generation of Persian mystics that no single individual except ,perhaps ,Jalalud Din Rumi produced a greater effect on the thought of his successors than the Shaykh-i- Akbar (Most great shaykh) of Andalusia.

Yet other sections of Rumi’s writing, especially the Mathnawi are purely didactic and doctrinal, and in them Rumi appears as the Metaphysician and Gnostic who describes the verities of gnosis in a theoretical language .This aspect of Rumi is closely akin to the works of al- ghazzali and especially Ibn Arabi[8,26], oriental interpreters expound the Mathnawi in terms of the pantheistic system associated with Ibn al Arabi [9,19]. H. Ritter considers necessary to study Maulavi’s philosophy first of all from other authentic sources [4,242].

Now there are many terms which Rumi used them in his poetry under influence Ibn Aarbi. Examples:

1-Ahwal and Maqamat(states and stations)

In Ibn Arabi’s view, it mean practical advice about the spiritual journey.[5,331],[3,19]

This term came in Rumi poetry;

Bar novis ahwal pir rahdan

Pir ra bagoin v aen radan.[11,137]

2- alam kabir,saghyr(Macrocosm world and Microcosm world)

In Ibn Arabi’s view, there are two fold: namely alam kabir, which is the celestial sphere with what is within it, and alam saghyr, which is man, as being[a microcosm] an epitome of all that is in the alam kabir.[5,818],[3,271]

This term came in Rumi poetry;

Pas ba sort alam azgher toe

Pas ba Maana alam akber toe. [11,602]

3-jowhar (principle)

In Ibn Arabi’s view, in the conventional language of scholastic theology, signifies substance, as opposed to accident.[5,297],[3,334]

This term came in Rumi poetry;

Konto kanzan gofet makhfean šno

Jowher khod gom makon azhar šo.[11,714]

4 -qotb (pivot of religion or pole)

In Ibn Arabi’s view, in the conventional language of the mystics, it is applied to the hierarch of the saints of his generation, who is also called and is supposed to be pre-eminently endued with sanctity , and with thaumaturgic faculties , and to be known as the qotb.[5,910],[3,317]

This term came in Rumi poetry;

Sar nakhahi ka raved to pay baš

Dar panah qotb sahib ray baš.[11,274]

5-kimiya(alchemy)

Ibn al- Arabi can indicate alchemy as a natural, spiritual, divine science,

as a whole, it was a natural philosophy which aimed not only at teaching the transmutation of metals , but also at the whole connection of the world. For many scientists, however, the effort to refine matter was inseparable from purification the soul.[5,37],[3,332]

This term came in Rumi poetry;
Sad hazaran kimiya haq afrid
Kimiyaie hamçon saber adam naded.[11,439]

6- qalam(guarded tablet)

In Ibn Arabi's view, the preserved or guarded, tablet, whereon are said to be inscribed all the divine decrees ,the depository of the decrees, or willed events, ordained by God.[5,923],[3,320]

This term came in Rumi poetry;
Khofta az ahwal donya roz o šab
Čon qalam dar panjaya taqleeb rab.[11,22]

7-fana(Annihilation in God or Destruction)

In Ibn Arabi's view, in the language of the Mystics, means lost in contemplation of God. [5,202], [3,306]

This term came in Rumi poetry;
Az Maqamat tabatol ta fana
Paya paya ta Molaqate khda. [11,547]

8-saho (solriety)

In Ibn Arabi's view, in the language of the Mystics, means recovered, or became free from his intoxication. [5, 1206], [3,246]

This term came in Rumi poetry;
Jomlaya zarat dar vi maho šod
Alam az vi mast gašt o saho šod. [11,247]

9-riazat(discipline) .

In Ibn Arabi's view, it means: he trained, disciplined or subdued, him-

self or he became clement or forbearing, train, discipline, or subdued, thyself well by piety.[5,725], [3,203]

This term came in Rumi poetry;
Mordan tan dar riazat, zandgyset
Ranj ain tan rohra payendegyeset.[11,507]

10-abdal (elect)

In Ibn Arabi's view, it means the substitutes or lieutenants' certain righteous persons of whom the world in never destitute, when one dies, God substituting another in his place ,certain persons by means of whom God rules the earth.[5,190],[3,5]

This term came in Rumi poetry;

Ham karamatašon ham ešan dar haram
Namšan ra našanavand abdal ham.[11,495]

11-zowq(test)

In Ibn Arabi's view, it means experiences the savour of faith with his heart, like as the mouth tastes or experiences, the savour of food and drink.[5,493],[3,189]

This term came in Rumi poetry;
Lek zowqi sajdaie peš khoda
Khošter ayed az do sad davlat tora.[11,608]

Reference

1. An Introduction to Persian literature, Reuben levy, New york,1969
2. A Literary history of Persian, Edward G. Brown, Cambridge, 1956
3. Farhang Mostalahāt, seyed sajadī,Tehran,1960
4. History of Iranian Literature, Jan Rypka,Holland,1968
5. Al-Mojam Al-sofi,saad al- Hakem,Beirut,1981
6. Oriental essays ,A.J.Arberry,London,1960
7. Persian Sufi poetry,JTP de Bruijn,Britain,curzon,1997
8. Rumi Persian poet and sage,seyed Hossein Nasar,Tehran,2004
9. Tales from the Masnawi, A.J.Arberry,London,1963

10. Terminology in Arabic and Persian, soheil M. Afnan, Leiden, 1964

11. Mathnwi Manawi, Nicholson Reynold, Tehran, 1968

ნაწროში ქართული ენის სამხრული კილოების
ფონემატური სტრუქტურის შესახებ*

რეცენზია

რამიზ მიჯარ ჯაბარ

იბნ ალ-არაბის ფილოსოფიური ტერმინოლოგიის ბავლენა
ჯალალ უდ-დინ რუმი მასნავიში

ფილოსოფიური ენისა და ტერმინოლოგიის განვითარება შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა მისტიციზმის ისტორიაში.

არაბთა უდიდეს მისტიკურ პოეტად ითვლება XIX საუკუნეში მოღვაწე ჯალალ უდ-დინ რუმი — ავტორი დიდი მისტიკური მასნავიებისა. მრავალმა მუსლიმმა მისტიკოსმა ავტორმა მისი შემოქმედების დიდი ზეგავლენა განიცადა. მაგრამ ჯალალ უდ-დინ რუმი არ იყო პიონერი თავის საქმეში. იგი თვით განიცდიდა სხვადასხვა სუფისტი ავტორების ზეგავლენას და ძირითადად ეს ეხება შეიხ მუჰი დ-დინ იბნ ალ-არაბის — გამოჩენილ ანდალუსიელ თეოლოგს.

ჯალალ უდ-დინ რუმი (იგივე მავლანა რუმი) და იბნ ალ-არაბი პრაქტიკულად ერთმანეთის თანამედროვენი იყვნენ. ორივე ავტორი სირიის სხვადასხვა საგამნამათლებლო ცენტრებში (დამასკო, ალეპო) ხელოვნდებოდა ისლამის დისციპლინებში. მათი შეხვადრა დამასკოში მოხდა, სადაც მისტიკოსებმა ერთმანეთს გაუზიარეს ყურანის ეზოთერიული დოქტრინის საკუთარი ხედვა. ამის შემდეგ ავტორთა მიერ იქმნება მისტიკური ხასიათის ნაწარმოებები — მასნავიები, სადაც აშკარად გვხვდება შეიხ მუჰი დ-დინ იბნ ალ-არაბის მსოფლმხედველობის გავლენა მავლანა რუმიზე.

გულწრფელად მოგახსენებთ: როცა **მამია ფაღავას** დისერტაციას ვკითხულობდი, განსაკუთრებით მის პირველ თავს („სამხრული კილოები, მათი შესწავლის მდგომარეობა და წყაროები“, გვ. 8-112), იყო მომენტები, როცა მაგიწყდებოდა, რომ ეს იყო საკვალიფიკაციო ნაშრომი და მე ვიყავი ოფიციალური ოპონენტი; იმ შემთხვევაში მე ვიყავი მკითხველი საინტერესო ნარკვევისა, ეროვნული ტკივილით და მუხტული ავტორის გამოკვლევისა, ჩვენი ეროვნული უბედურების მატრიანისა...

სამხრული კილოების, ასე ვთქვათ, „თურქეთის საქართველოში“ მცხოვრებ ქართველთა მეტყველების ენათმეცნიერული შესწავლის საქმეში ორი ძირითადი პერიოდი უნდა გამოიყოს: ა) მეოცე საუკუნის დასაწყისი (ნიკო მარის სახელთან არის დაკავშირებული ეს პერიოდი) და ბ) მეოცე საუკუნის დასასრული — 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული. ამ ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევა-ძიების საფუძველზე ორი სადოქტორო დისერტაცია დაიწერა. 1995 წელს დისერტაცია დაიცვა ქალბატონმა შუშანა ფუტყარაძემ („ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით“ და მეორე გავლავთ დღეს საპაექროდ წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი ბატონი მამია ფაღავასი — „ქართული ენის სამხრული კილოების ფონემატური სტრუქტურა“.

ეს, თავისთავად ცხადია, უმნიშვნელოვანესი ფაქტია — ჩვენ მო-

* წინამდებარე რეცენზია არის შემოკლებული ვარიანტი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **მამია ფაღავას** მიერ წარმოდგენილი დისერტაციისა — „ქართული ენის სამხრული კილოების ფონემატური სტრუქტურა“ (413 გვ.). დისერტაციის დაცვა გაიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2004 წელს.

გვეცა საშუალება, ძირძველ ქართულ მიწაზე მოსახლე ქართველად მოსაუბრე ქართველთა მეტყველება საფუძვლიანად შევისწავლოთ.

გავუსწრებ მოვლენებს და ამთავითვე მაღლობა მინდა გადავუხადო დისერტანტს ამ უაღრესად საჭირო და საინტერესო ნაშრომისათვის, იმისათვის, რომ მან ჩვენ, ვინც მხოლოდ ისტორიული საბუთებიდან თუ სახელმძღვანელოებიდან ვიცნობდით გრიგოლ ხანძთელის საქართველოს, ასე გულდასმით, საქმის ცოდნით, ქართული საქმის სიყვარულით გვიმეგზურა ტაო-კლარჯეთში, შავშეთში, იმერხევში... და დამეთანხმებით, ვინც წაიკითხა დისერტაცია, ანდა ავტორეფერატი, ძალიან მძიმე საფაქრელი გაგვიჩინა: რა ელის ხვალ, ზეგ თუ მახვებ ამ მხარის ქართველებს; რა ელის ამ მხარეში ქართულ ენას? ამ კითხვას მძიმე პასუხი აქვს...

ჩვენთვის, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაზე“ გაზრდილი თაობებისათვის, მძიმე წასაკითხია: „დღეს არაფერი ვიცით ხანძთისა და შატბერდის ადგილმდებარეობაზე, თვით ტოპონიმებიც კი გამქრალა; გიორგი მერჩულეს თხზულების გარდა არაფერი მიღწეულა ხანძთელ მამათა შემოქმედებიდან“ (რეფ. გვ. 5) (ამ აზრის შემდეგ დამატებითი კომენტარიც იქნება ალბათ საჭირო, დღეს სხვადასხვა ექსკურსიებისა თუ ექსპედიციების წევრთა მიერ დახატული თუ აღწერილი ხანძთისა და შატბერდის მონასტრების თაობაზე; ფოტოებიც მრავლად იბეჭდება, რა ხდება? თუმცა მინიშნება ამის თაობაზე არის...).

სადისერტაცია ნაშრომის ერთი ნაწილის (I თავის I პარაგრაფი) სათაური ასეთია: „ენობრივი სიტუაცია სამხრეთ საქართველოში ძველად და ახლა“ (გვ. 8-28). როგორც ჩანს, ამ თემაზე ავტორს ორი სტატიაც გამოუქვეყნებია ბათუმში გამოცემულ კრებულში „ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი“ (1999 წ.) და ბათუმში სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში (ტ. V, 2003 წ.). ჩემდა სამწუხაროდ, მე ამ წერილებს არ ვიცნობდი, ასე რომ, სამხრეთ საქართველოს ენობრივი სიტუაცია ძველად და ახლა მხოლოდ ამ დისერტაციის წაკითხვისას გახდა ჩემთვის, ასე ვთქვათ, ნაცნობი. პუბლიკაციები იმიტომ ვახსენე, რომ დღეს დედაქალაქში გამოავალი სამეცნიერო კრებულები არაა ხელმისაწვდომი სპეციალისტებისთვის მიზეზთა გამო, მით უმეტეს, ბათუმში გამოცემული შრომები... არადა, ეს ის მონაკვეთია დისერტაციისა, რომლის წაკითხვასაც ყველას ვურჩევდი, თუმცა უემოციოდ ეს არ მოხერხდება, ძნელი იქნება. არ არის იოლი იმის მოსმენა, რომ „სპერსა და იმიერტაოში ქართული მთლიანად

დავიწყებას მიეცა, თუმცა ქართულისა და საერთოდ ქართველთა ნაკვალევი ამ კუთხეში დღემდეა შემორჩენილი“ (გვ. 13). თუმცა ორისამი საუკუნის წინათ თურმე აქ ქართული ისმოდა... დისერტანტი ვახშუტი ბატონიშვილს იმოწმებს.

ისევე მსჯელობა: „ქართული ენა გამქრალა კოლასა და არტაანში“... ქართული დაივიწყეს ჩილდირისა და ფოცხოვის ქართველებმა და ა. შ... უბედურების დინამიკა ასეთია: ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავდა, რომ „შავშეთში ქართული ენა მოსპობილია. ადგილობრივთა გადმოცემით აქ ქართული 60 წლის განმავლობაში გამქრალა... XVIII საუკუნეში ჯერ კიდევ ყველა ოჯახში სცოდნიათ ქართული ენა... XIX საუკუნის ბოლოსათვის შავშეთში ქართული ენის ნიშნები აქა-იქ შემორჩენილი ყოფილა, მეტადრე სოფლის სახელებში“... და ასე შემდეგ... ერთი საგულისხმო მომენტიც: დისერტანტი ავტორებს მოიშველიებს და წერს, რომ რჯულის შენარჩუნება-დაკარგვა უშუალო კავშირშია ენის შენახვასთან... ესეც ჭეშმარიტებაა და ეს ჭეშმარიტება ჩვენს თავზე ახდა ამ ძირძველ ქართულ მხარეში...

მძიმე მოსასმენია, მაგრამ მაინც მინდა ჩავიკითხო ლივანელი მოლას ნათქვამი: „მეც და ჩემი ქვეყნელებიც შთამომავლობითაც, შეხედულებითაც ქართველები ვართ. ეს მე კარგად მესმის, მაგრამ სარწმუნოება მაჰმადისა გვიჭირავს. რადგან ყოველმა პატიოსანმა კაცმა და განსაკუთრებით ჭეშმარიტმა მაჰმადიანმა ხალხოსნობის წინაშე უპირატესობა სარწმუნოებას უნდა აძლიოს, ამისთვის მე სულით და გულით ვეკუთვნი ოსმალეთს და არა ქართველებს და ჩემს სამშობლოს შეადგენს ჩემი თანამორწმუნე ოსმალეთი და არა საქართველო“ (გაზეთი „დროება“, 1878 წ.). ეს XIX საუკუნის მიწურულს ითქვა. 1906 წელს წერდა ზ. ჭიჭინაძე: „ქართველს გაიუტრს უწოდებდნენ, თქვენი არაფერი გვინდა, არც წიგნი, არც ენა, არც სწავლა და არც სამშობლო ქვეყანა. ჩვენ თათრები ვართ, ჩვენი ენა, წიგნი, ისტორია და სამშობლო თათრობა არის, ყველაფერი თათრულია და ჩვენც თათრები ვართ“ — ასე ამბობდნენო...

ამ ფაქტებზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ ეს შეგნება ქართული ენის გაქრობის საფუძველია. „ტაო-კლარჯეთში მოგზაურობის დროს გერმანელ მეცნიერს, კარლ კოხს, ერთი ბეგი შესჩიოდა თურმე: „პაპაჩემი ქრისტიანი იყო და ქრისტიანად გარდაიცვალა. მაშინ და მე მაჰმადის ნათელით გავნათლდით, ოღონდ ენა ჩვენი წი-

ნაპრების შეგვრჩა. „მართალია, ცოდვა და დანაშაულია გიჟურის ენაზე ლაპარაკი, მაგრამ ეს ენა თვით ღმერთის მიერ გვაქვს ბოძებული და რა ვქნათ“... გაგვიგრძელდა საუბარი...

საბედნიეროდ ჩვენდა, ქართული მაინც ბევრმა შემოგვინახა და დისერტანტი ცდილობს, სიზუსტით აგვიხსნას, რა ვითარებაა ამჟამად სამხრეთ საქართველოში; რა დღეშია ქართული ენა. თავადაც განიცდის, როგორც ჩანს, ტაოელი ქართველი ამას: „ჩვენი გურჯიჯა თქვენი არ დეიჭირვის, ვერ მივმხტარვარო“...

თურქეთის საქართველოში ქართული ენის დაკარგვის ტემპების გათვალისწინება დისერტანტს ასეთ პესიმისტურ დასკვნას გააკეთებინებს: „ჩვენებურების“ მეტყველება განიცდის თურქული ენის გავლენას, ეს უკანასკნელი ყოველდღიურად ავიწროებს მას და საფრთხეს უქმნის საერთოდ მის არსებობას“ (გვ. 88). ეს ვითარება ქართული ენათმეცნიერების ამოცანებსაც დასახავს. საშურია სამხრეთ საქართველოში ქართველთა მეტყველების დაფიქსირება, მისი შესწავლა.

რამდენადაც შეუფასებელია ნიკო მარის, ზ. ჭიჭინაძის, ა. ყაზბეგისა თუ სხვათა ღვაწლი დღეს; ღვაწლი იმ ადამიანებისა, რომელთაც XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ვითარების ამსახველი ენობრივი სიტუაციის სურათი შემოგვინახეს, იმდენად დიდია მნიშვნელობა წინამდებარე ნაშრომისა და იმ საქმიანობისა, რასაც დისერტანტი მ. ფაღავა ეწევა, ერთი მხრივ, როგორც მკვლევარი და, მეორე მხრივ, როგორც ხელმძღვანელი ექსპედიციისა, რომელიც სამხრეთ საქართველოს სწავლობს.

ნაშრომის სტრუქტურაზე აღარ შეგვირდებით. უპირველესად ყურადღებას მივაქცევთ იმას, როგორია სამხრეთ საქართველოს დიალექტური გარემო, რომელი დიალექტების შესახებაა საუბარი, როცა ვმსჯელობთ სამხრულ დიალექტებზე.

ქართულ დიალექტოლოგიაში არსებული პრობლემა დიალექტთა კლასიფიკაციისა ამ ნაშრომშიც იჩენს თავს.

დისერტანტი სამხრულს უწოდებს თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველთა მეტყველებასა და აჭარულს.

ტრადიციულად ქართულ დიალექტებს ორ ჯგუფად ყოფენ: აღმოსავლურად და დასავლურად. აჭარული და იმერხეული დასავლურ ჯგუფში განიხილებოდა.

შემანა ფუტკარაძემ სამხრულ-დასავლური უწოდა თურქეთის ტერიტორიაზე მოსახლე ქართველთა მეტყველებას და ხუთი დიალექ-

ტური ერთეული გამოყო: იმერხეული, ლივანური, მაჭახლური, ტაოს ქართული და მუჰაჯირთა შთამომავლობის მეტყველება. ამ თვალსაზრისს ემყარება და გარკვეულწილად ახალ თვალსაზრისს გვთავაზობს ტ. ფუტკარაძე. მან მესხური კილოები უწოდა და ასე დააჯგუფა: აჭარული, ლივანური, მაჭახლური, იმერხეული, ტაოური, სამცხური და ჯავახური. ხოლო „ჩვენებურების“ ქართულს (იგივე მუჰაჯირთა შთამომავლობის ქართულს) ფერეიდნულისა და ყიზლარ-მოზდოკურის გვერდით მიუჩინა ადგილი. ამ უკანასკნელ თვალსაზრისში ბევრი რამ სადავოა და ამის თაობაზე სხვაგან გვექნება საუბარი.

არსებულთან შედარებით, განსხვავებულ თვალსაზრისს გვთავაზობს დისერტანტი. მისი აზრით, „სამხრეთ საქართველოში პირობითად შეიძლება გამოიყოს აჭარული, შავშური, კლარჯული და ტაოური კილოები“. მუჰაჯართა შთამომავლების მეტყველებას იგი ნარეგ მეტყველებად მიიჩნევს და მას სამხრული მეტყველების შესასწავლ დამატებით მასალად გამოიყენებს. ეს უკანასკნელი მსჯელობა ჩვენთვის ნამდვილად სარწმუნოა და დამაჯერებელი, მაგრამ გარკვეულ კითხვის ნიშნებს აჩენს დიალექტთა წარმოდგენილი კლასიფიკაცია.

საერთოდ, პირობითობა ეთნიკურ-ტერიტორიული დიალექტების გამოყოფისას გარდაუვალია. ქართული დიალექტოლოგიაში არ არის და, ალბათ, არც შეიძლება იყოს აზრთა ერთგვარობა დიალექტთა კლასიფიკაციაში. თუნდაც ერთი მაგალითი: სამცხე-ჯავახეთის ქართველთა მეტყველება ზოგ ავტორთან ერთ დიალექტად (მესხურ-ჯავახურად, ან სამცხურ-ჯავახურად) მოიაზრება. იყო მცდელობა, მესხურ-ჯავახური ქართულთან ერთად ყოფილიყო წარმოდგენილი (ქართული მესხურ-ჯავახურითურთ). ძირითადად მას აღმოსავლურ დიალექტთა ჯგუფში მოიაზრებენ, თუმცა არის შემთხვევები, როცა გამოიწინავენ აღმოსავლურისგან. რა თქმა უნდა, თავიანთი არგუმენტები ყველა თვალსაზრისს აქვს.

ცხადია, ჩვენ ვენდობით დისერტანტს, რომელსაც სოფელ-სოფელ აქვს მოვლილი აჭარა თუ ტაო-კლარჯეთი, შავშეთი თუ მუჰაჯართა დასახლებანი; საკუთარი მასალაც მოეპოვება და არსებულს, რა თქმა უნდა, გამოუყენებია... და ამის საფუძველზე აკეთებს დასკვნებს. ვთქვით, ჩვენ ვენდობით-თქო, მაგრამ ნდობის ფაქტორი არ არის არგუმენტი... დისერტანტს სიფრთხილეს არ აკლია — პირობითად შეიძლება გამოიყოს ოთხი დიალექტო, მაგრამ მაინც ვვრძნობთ ნაკლებობას იმგვარი მსჯელობისას, რომელიც გამოყოფილ დიალექტურ ერ-

თეულებს შორის განსხვავებას დაგვანახებდა; იმ განსხვავებას, რაც ამგვარი დიალექტური დაყოფის საფუძვლიანობაზე მიგვანიშნებდა. ჩვენი სურვილი ასეთია: უნდა გამოიკვეთოს, ლინგვისტურად რა არის ის არსებითი სხვაობა, რაც ამგვარი კილოური დაყოფის საფუძველს გვაძლევს. კილოურ დაყოფას კილოკაური დაყოფა ხომ არ აჯობებდა?... წინამდებარე დისერტაცია ფონემატური სტრუქტურის კვლევაა. ცხადია, თურქეთის საქართველოს მოსახლე ქართველთა მეტყველების ყოველმხრივი შესწავლა ჩვენ მიერ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემას გააადვილებს. ამ საქმეში წვლილი ჩვენმა დისერტანტმაც უნდა შეიტანოს და გვჯერა, ასეც იქნება.

მე როცა ვამბობდი, რომ საინტერესოდ იკითხება-მეთქი, ამის მიზეზად მიმაჩნდა არა მხოლოდ ის, რომ საინტერესო ფაქტებზეა საუბარი, არამედ ისიც, რომ დისერტანტს შეუძლია იმსჯელოს ლოგიკურად და დამაჯერებლად; საჭიროების შემთხვევაში პრინციპულადაც. ამგვარი მსჯელობის მაგალითი მრავლადაა დისერტაციაში. ნიმუშისათვის რამდენიმეს დავასახელებ. თუნდაც მსჯელობა **ჭ** არის თაობაზე.

საუკუნის წინათ ნიკო მარის მასალებში ექვსიოდე მაგალითია **ჭ**-ს დაფიქსირებისა. როგორც ჩანს, საგანგებოდ ცდილობდა ამ ბგერის მოძიებას ნ. მარი. ნ. მარის მასალაში ეჭვის შეტანა ძნელია, ამიტომ დისერტანტი ფიქრობს და მართებულადაც, რომ **ჭ** არაა ჩვეულებრივი და ბუნებრივი იმერხეთლისათვის. შ. ფუტკარაძის მასალებში **ჭ**-ს დაფიქსირების მრავალი მაგალითია. არადა თავად დისერტანტს საგანგებოდ მოუნდომებია, მაგრამ ვერ დაუდასტურებია **ჭ**. საინტერესო მსჯელობის შემდეგ მ. ფალავა დაასკვნის: ზემოთქმული, ვფიქრობთ, ერთგვარად ეჭვის ქვეშ აყენებს ავტორის (შ. ფუტკარაძის — გ. გ.) მიერ ჩაწერილი მასალის სანდობას. სარწმუნოა და დამაჯერებელი დისერტანტის მსჯელობა და არგუმენტაცია.

აჭარული დიალექტის შესახებ ბევრი დაწერილა. დიალექტური მასლაც მრავლად გვაქვს. საულისხმო ფაქტად მიგვაჩნია ისიც, რომ უკრიტიკოდ არ იღებს ამ მასალას დისერტანტი. იგი საკმაოდ კომპეტენტურად და დამაჯერებლად მსჯელობს ამ მასალის ავ-კარგზე; საკმაოდ მკაცრია და პრინციპული შეფასებისას; მე მხედველობაში მაქვს შ. ნიუარაძის, შ. ძიძიგურისა თუ სხვათა მასალაზე მსჯელობა; დისერტანტი ხშირ შემთხვევაში ეჭვქვეშ აყენებს მათ სანდობას, სარწმუნობას და ამ შემთხვევაშიც მსჯელობა და აგრუმენტაცია დამაჯერებელია... მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება (გვ. 96-97).

თუმცა ცალკეული ფაქტები, მსჯელობა, დასკვნა შეიძლება სადავო იყოს.

ზოგის თაობაზე ზემოთ მოგახსენეთ, ზოგი რამ შეიძლება დავა-მატოთ:

კარგი იქნებოდა, დღეს მოპოვებული მასალის მონაცემთა შედარება ნიკო მარის მასალასთან. რა შეცვალა და როგორ, როცა არის ამის შესაძლებლობა. ეს საინტერესო სურათს მოგვცემდა. ყოველ შემთხვევაში, როცა გამოსაცემად მომზადდება ეს ნაშრომი, სასურველი იქნება ამგვარი სამუშაოს ჩატარება. გამოცემა კი არათუ საჭიროა, აუცილებელიცაა... სხვაც შეიძლებოდა შეგვენიშნა, სურვილი გამოგვეთქვა, მაგრამ ამჯერად ამას, ვფიქრობთ, არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. ჩვენ მივესალმებით ამგვარ კვლევას და წარმატებას ვუსურვებთ მკვლევარს.

გიორგი გოგოლაშვილი

„ენა საღვთო რამ არის“

(რეცენზია „ბუნების“ სახელმძღვანელოზე)

უკანასკნელ ხანებში ძალზე გაიოლდა წიგნების ბეჭდვა. საკმარისია, გქონდეს სახსრები და გეყოს სითამამე. ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოსო... — ბრძანა დიდი ილიამ და ჩვენ რა ღმერთი გვიწყობა? საუბარი არ გვაქვს დეტექტიურ, სათავგადასავლო თუ სხვა ჟანრის ლიტერატურაზე. საკითხი ეხება სასკოლო სახელმძღვანელოს, რომელიც საქართველოს სკოლის მეორე კლასებისთვისაა განკუთვნილი.

კალამი ხელში ერთმა უბრალო შემთხვევამ ამაღებინა. მომეცა-დინე შვიდი წლის შვილიშვილის ხითხითმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. დავინტერესდი, თუ რამ გაამხიარულა. მომიგო, ნახე, როგორ წერენო. მეც გაოცებულმა მივაღვინე თვალი: ოქ-ტომბერი (გვ. 15), გვი-შლის (გვ. 29), სამო-სელი (გვ. 34), არე-მარე (გვ. 65), მი-მაგრებული (გვ. 73), თვით-მფრინავს (გვ. 75)...

გუთხარი, რომ ეს კომპიუტერის უბრალო შეცდომაა, შეეშალა-მეთქი. დებილი ყოფილა ეგ კომპიუტერი, აკი აქვს, ძალიან ჭკვიანი მანქანააო? შევეცადე, დამეცვა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვა და შეძლებისდაგვარად ამეხსნა, რომ თუ ხაზზე ახალი სიტყვა ჩაემატება ან მოკლდება, კომპიუტერი გადატანის ნიშნისა და რთული სიტყვის გამყოფ დეფისს ვერ განასხვავებს-მეთქი. ბავშვმა ეშმაკურად შემომხედა და მკითხა: კომპიუტერთან ვინც ზის, ისიც ვერ ასხვავებსო?

ბავშვის მარტივმა, მაგრამ სავსებით სამართლიანმა შენიშვნამ მაიძულა მისი სახელმძღვანელო ყურადღებით წამეკითხა. ეს წიგნი კი არის — **ბუნება, 2, ავტორები: ნ. დარჩიაშვილი და ლ. კარდენა-ნიშვილი, გამომცემლობა „დია“, 2006 წელი, თბილისი.**

ბავშვის გონება სუფთა დაფაა. II კლასელის მენსიერებაში ჩაბეჭდილი არასწორი გრამატიკული ფორმა თუ გაუმართავი გამონათქვამი შეიძლება სამუდამოდ ჩარჩეს და ვეღარ წაიშალოს. არც ისაა დიდად სასიამოვნო, თუ სახელმძღვანელოს მიმართ აღრეულ ასაკშივე

ირონიულ და ავდებულ დამოკიდებულებას გამოვუმუშავებთ მოსწავლეებს. მით უფრო ცუდია, თუ ამაში დიდ „წვლილს“ შეიტანს სასკოლო სახელმძღვანელო. დასახელებული წიგნი კი, როგორც გამოირკვა, მრავალფეროვან შეცდომათა უხვ წყაროს წარმოადგენს.

ქართული ენის სიტყვაწარმოება მრავალგვარობით, მაგრამ არა ნებისმიერობით ხასიათდება. როგორც გაგვიხარდება, ყველაფრის ყოველგვარი წარმოება დაუშვებელია: „მის შვილიც პატარა და უმწეოა, როცა **წამოჩიტდება** ისიც იწყებს თამაშს“... (გვ. 74. აქაც და შემდგომაც ყურადღებას ვამახვილებთ კონკრეტულ შეცდომაზე და არა სასვენი ნიშნების უგულებელყოფაზე).

სინტაგმებშიც ყველანაირი მსაზღვრელი ვერ ქმნის ნებისმიერ საზღვრულთან სიტყვათშეხამებას: „**ახალგაზრდა ხეებს** უფრო დიდხანს შერჩათ ფოთოლი“... (გვ. 38),

„აი, **ახალგაზრდა ნაძვი**, მას ისევ ხასხასა მწვანე „სამოსი“ აცვია“ (იქვე).

ახალგაზრდა ხე, ნაძვი (молодое дерево, молодой ель) რუსულის კალკია. ქართულად მცენარეზე შეიძლება ითქვას ნორჩი.

ასევე რუსულის კალკია: „— იმსჯელებთ მოთხრობის ირგვლივ“... (გვ. 11, **вокруг рассказа**).

სინტაქსურად გამართული ქართულით იქნებოდა: იმსჯელებთ მოთხრობის შესახებ ის რაც რუსულისათვის ბუნებრივია, ქართულისათვის მიუღებელია.

ქართული ენის ბუნებიდან გამომდინარე, მსაზღვრელ-საზღვრული მხოლოდ ფორმით ეთანხმება ერთმანეთს და არა შინაარსით. „ისიც უნდა გითხრათ, რომ **ნაირნაირი გამოცანებისა და კროსვორდების** ამოხსნა მოგიხდება“ (გვ. 3), „მათი წვენი წყალია, რომელშიც **სხვადასხვანაირი ნივთიერებებია** გახსნილი“ (გვ. 18), ... „სასკოლო და **სხვა ნივთებიც** ოდესღაც ბუნების ნაწილი იყო“ (გვ. 76)...

სწორი ფორმები იქნებოდა ნაირ-ნაირი გამოცანა და კროსვორდი, სხვადასხვანაირი ნივთიერება, სხვა ნივთიც...

მაგრამ როდესაც ქვემდებარე სულიერია, იგი შემასმენელსაც და სახელსაც ითანხმებს რიცხვში: „უფროსებიც კმაყოფილი არიან“... (გვ. 31).

უნდა იყოს: კმაყოფილნი არიან.

რიცხვითი სახელები, თუ ისინი ბრუნვის ნიშნის გარეშეა, იკითხება სახელობით ბრუნვაში: „ადამიანის ნორმალური ტემპერატურა

+ 36° თერმომეტრზე, რომლითაც ადამიანი სარგებლობს 37° წითელი ფერითაა აღნიშნული ვერცხლისწყალმა თუ 37° მიაღწია, ადამიანი ავადაა“ (გვ. 25), „მაგალითად, თუ ნოლს ზევით ფერადი წყალი 5 აჩვენებს, ასე დაიწერება + 5°“ (იქვე).

პირველი წინადადება არათუ მეორეკლასელთათვის, დიდისთვისაც ბუნდოვანი მეჩვენება. უნდა იყოს: თუ 37°-ს მიაღწია, 5-ს აჩვენებს. „რას ჰქვია ენის ცოდნა? რასაკვირველია, არა კმარა მხოლოდ სიტყვები ვიცოდეთ, უნდა ისიც გვესმოდეს, თუ როგორ შევუთანხმოთ ეს სიტყვები ერთიმეორეს და წინადადება როგორ ავაშენოთ“ (ვაჟა).

ქართული ენის გრამატიკის წესების მიხედვით, ფუძეებისდა მიხედვით, შესაბამის ბრუნვებში კუმშვა და კვეცა აუცილებელია. თუმცა, ამ წესების უგულვებლყოფა არცთუ იშვიათია: „ჰაერის გაჭუჭყიანება არა მარტო ადამიანის ჯარმრთელობის, არამედ დედამიწაზე არსებული ყველა ცოცხლისთვისაც ცუდი“ (გვ. 23), „ერთი მუჭა თოვლი მაცივრის საყინულედანაც შეიძლება აიღო (გვ. 32), „ტყეში ისე ვერ გაივლი, ჰიანჭველას ბუდეს რომ არ წააწყდე“ (გვ. 72)...

ცოტა ქვემოთ სწორი ფორმითაც გვხვდება: „ზოგჯერ ჰიანჭველის ბუდესთან ფრინველი მოფრინდება“ (იქვე).

სიტყვის დაწერილობაში ხშირად სხვაგანაც გვხვდება შეცდომები. ორ-ორი ფორმით გვხვდება ნული, არაცოცხალი, ვერცხლისწყალი, ბალახისმჭამელი...

„მაგალითად, თუ ნოლს ზევით ფერადი წყალი 5 აჩვენებს“... (გვ. 25) და „ნულს ქვევით დაბალი ტემპერატურა აღირიცხება“ (იქვე).

„2. არა ცოცხალი ბუნება“ (გვ. 9) და „— დასახელე მაგალითები ცოცხალი და არაცოცხალი“ ბუნების კავშირის შესახებ“ (იქვე).

„ადამიანის ტემპერატურის გასაზომ თერმომეტრში ვერცხლის წყალია ჩასხმული“ (გვ. 25) და „მასში ფერადი სითხე ან ვერცხლისწყალია მოთავსებული“ (იქვე).

„მათ ბალახის მჭამელ ცხოველებს უწოდებენ“ (გვ. 56), „ბუნებისათვის ყველა ცხოველი საჭიროა, უწყინარი ბალახის მჭამელიც და საშიში მტაცებელიც“ (გვ. 57) და ... „მტაცებლები უწყინარ ბალახისმჭამელებს ანადგურებენ“... (იქვე).

სწორი ფორმებია: არაცოცხალი, ბალახისმჭამელი, ვერცხლისწყალი.

საინტერესოა, რომ სწორი და უმართებულო ფორმები ერთსა და იმავე გვერდებზეა მოთავსებული. მცირეოდენი ყურადღება და პასუხისმგებლობის გამოჩენა იყო საჭირო მათ აღმოსაფხვრელად.

და კავშირით შეერთებულ ერთგვარ ბრუნვაში დასმულ სინტაგმის პირველ ნაწილს ა მავრცობი ესაჭიროება: „რომელი ცხოველები იძლევიან ხორცს და ტყავს“ (გვ. 53), „ამინდის ცნობებს ტელევიზიის და რადიოს საშუალებით ვიგებთ“ (გვ. 27), „მას ხავსით, ბუმბულით და ბალახით აგებენ“ (გვ. 62)...

ერთგვარ წვერთავან მიცემით ბრუნვაში და კავშირის წინ სახელი თანდებულს არ დაირთავს, გაფორმებულია ბრუნვის ნიშნით: „იგი არის მიწაში, ჰარში და ყოველ ცოცხალ ორგანიზმში“ (გვ. 18). უნდა იყოს ჰაერსა და...

მიცემით ბრუნვაში დასმულ ნაცვალსახელს თუ თანდებულს ან ზმნიზედა მოსდევს, ნაცვალსახელი ბრუნვის ნიშანს არ დაირთავს: „სასურველია დაფიქრდე, გაიგო რა ხდება შენს ირგვლივ“... (გვ. 3), „ჩვენს ირგვლივ არსებული სასკოლო და სხვა ნივთებიც ოდესღაც ბუნების ნაწილი იყო“... (გვ. 76)... უნდა იყოს: შენ... ჩვენ ირგვლივ.

მართალია, ში და ზე თანდებულები ერთსა და იმავე მიცემით ბრუნვას დაერთვის, მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავებაა: ზე რამეზე მდებარეობას აღნიშნავს, ში კი — შიგ მყოფობას. ამ შემთხვევებშიც აღრეულია მათი გამოყენება: „შინაური ცხოველები ადამიანის კარმიდამოზე ბინადრობენ“ (გვ. 53), „ზაფხულზე სოფელს ახარებს... შემოდგომაზე დაგვტოვებს“ (გვ. 67)...

ზმნაში ირიბობიექტური პირის არსებობისას მისი ნიშანი იტყობებლად იწერება: „ვისაც უნდა კითხოთ გიპასუხებენ“ (გვ. 26)...

არის ზმნა მოკლდება და ხშირად ა ფორმით მიერთვის წინა სიტყვას, მაგრამ არიან ზმნის ა-მდე დაყვანა დაუშვებელია: „მწერები ფრინველების საუკეთესო საკვებია“ (გვ. 71), „როგორი ფრინველებია ბულბული, ტოროლა, შაშვი, მერცხალი და სხვა (გვ. 65), „— როგორი ფრინველებია ბულბული, შაშვი, ტოროლა, მერცხალი?“ (გვ. 66). მწერები და ფრინველები სულიერები არიან და მათ შესატყვისად არის ზმნის შემოკლებული ფორმის გამოყენება გაუმართლებელია.

სიმწყობრე არც სასვენ ნიშნებთან დაკავშირებით გვხვდება. ერ-

თავარ წევრთა ჩამონათვალს წინ ორი წერტილი უძღვის:

„საქართველოს მდინარეებში გვხვდება_კალმახი, წვერა, ღორჯო და სხვა“ (გვ. 68), „მგალობელი ფრინველებია_ბულბული, ტოროლა, შაშვი, მერცხალი და სხვა.“ (გვ. 65).

მძიმე იწერება ნაწილაკებსა და შორისდებულებთან: „აბა_გი რა კაცია ასი ჩოხა რომ აცვია? (გვ. 46), „აი_რატომ არის ცა ცისფერი“ (გვ. 26), „ვისთან არის სტუმრად_ნეტა?“ (გვ. 17).

ასევე საჭირო და აუცილებელია, და არა სასურველი, მძიმის დასმა განკერძოებულ სიტყვებთან: „სასურველია_დაფიქრდე, გაიგო რა ხდება შენს ირგვლივ“... (გვ. 3), მართალია_ცხოველი მთლიანად ვერ დაინახე“... (გვ. 5), ... „რაც მთავარია_შეუძლია კითხვა, წერა, მეტყველება“... (გვ. 75), სამაგიეროდ_ისინი უზრუნველყოფენ რძით, ხორციტ“... (გვ. 53), ... „მთელ ტანში ჟრუანტელმა დამიარა, ალბათ_ცული ფერი მედო“ (გვ. 59), ... „ირმები მართლაც მომრავლდნენ, მაგრამ მერე_პირიქით_თანდათან შემცირდნენ“ (გვ. 58), „შემოდგომაზე, „სექტემბერს სწავლა იწყება“ (გვ. 14)...

მძიმე იწერება ერთგვარ წევრებს შორისაც: „აი, ახალგაზრდა ნაძვი, მას ისე ხასხასა_მწვანე „სამოსი აცვია“ (გვ. 38)... „ისიც ხედავს_ესმის_გრძნობს სუნს და გემოს“... (გვ. 74), „მოდით_ვცადოთ_ვიცხოვროთ ისე, რომ დედამიწა... იყოს ლამაზი (გვ. 77), „სასურველია დაფიქრდე, გაიგო რა ხდება შენს ირგვლივ“... (გვ. 3).

მძიმით გამოიყოფა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი წინადადებები: ... „როცა წამოჩიტდება_ისიც იწყებს თამაშს“... (გვ. 74).

გამოტოვებული წევრის მაგივრობა წინადადებაში ტირეთი აღინიშნება: „დედამიწაზე მრავალი გარეული ცხოველი ბინადრობს, ზოგი დიდია, ზოგიც — პატარა, მგელი — შედარებით პატარა, კურდღელი მგელზე პატარაა, თავი_კიდევ უფრო პატარა (გვ. 56).

ეს ელემენტარული წესები ნებისმიერ სასკოლო გრამატიკისა თუ პუნქტუაციის სახელმძღვანელოშია განხილული და სკოლის მოსწავლეებისა და აბიტურიენტთათვის (ალბათ, არა მხოლოდ მათთვის) სავალდებულოდაა მიჩნეული.

ჩამონათვალი შეცდომების მცირე ნაწილია, თუმცა, ესეც საკმარისზე მეტია.

შეიძლება სახელმძღვანელოს ავტორებმა გაიკვირონ, რაღა ჩვენი წიგნი ამოიღო მიზანშეწონილ, მაგრამ ისე ილიას სიტყვებით ვუპასუხებდი: „შენ ათასსა ჰგვანებიხარ [წიგნი] და ათასი შენა“. ... „იმედი მაქვს ეგ გასწორების განზრახვა, დღესა თუ ხვალე, შენში [ავტორში]

გაიღვიძებს“.

მეტი პასუხისმგებლობა და გულმოდგინებაა საჭირო ახალგაზრდა თაობის აღზრდისათვის. ბავშვები ხომ ქვეყნისა და ერის მომავალს წარმოადგენენ. ენა კი, „ენა ის კალაპოტია, აზროვნების უნართან ერთად შექმნილი ის სულისკვეთება, რომელიც წარმართავს ეროვნული კულტურის განვითარებას“ (ბ. ჯორბენაძე).

ვახტანგ მაღრაძე

მაკა სალია, „მეთევზების ლექსიკა ზანურში“

რეცენზია

„საქმიანობასთან დაკავშირებით ლექსიკის დაგუფება-შესწავლა დამახასიათებელია ქართული ლექსიკოლოგიისათვის“ — აღნიშნავს ბ. ფოჩხუა „ქართული ენის ლექსიკოლოგიაში“ (1974 წ., გვ. 211) და ლექსიკის ამგვარი შესწავლის სათანადო ფაქტებსაც ასახელებს.

მეთევზეობა საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის უძველესი და უწყვეტი საქმიანობა იყო მთელი ისტორიის მანძილზე. უცხოელ მკვლევარ-მოგზაურებს აქეთკენ იზიდავდა არა მარტო საქართველოს შავიზღვისპირეთის მდიდარი ფლორა და ფაუნა, მათ შორის აკვაფუნაც, არამედ ამ რეგიონის შესახებ არსებული უძველესი მითები და წარმოდგენებიც.

ცნობილი გერმანელი გეოგრაფი და ბუნებისმეტყველი მორიც ვაგნერი, რომელმაც XIX ს. I ნახევარში იმოგზაურა საქართველოში, ასე აღწერს თავის რომანტიკულ-მითოლოგიური რეფლექსიით გაჯერებულ ღამისთევას მეთევზის ღარიბულ ქოხში:

„ღამეში გაეხვია ფაზისის ნაპირი. მეთევზის გოგომ მომიშადა საწოლი არა როგორც კირკეს ბეჯითმა მოახლემ „მშვენიერი მბრწყინავი, ზემოდან ალისფერი წითელი ბალიშებით, ქვემოთ სელის ხალიჩებით“, არამედ სიმინდის გამხმარი ფოთლების მდარე ჩალით და ლერწმით. მე გავხვებე ჩემს ვაცისთმიან ქურქში, რომელმაც კარგი სამსახური გამიწია შემოდგომის ღამის სუსხში. მოხუცი მეთევზე, ჩემი მეგზური და მენავეები ცეცხლთან შემომსხდარნი ფხიზლობდნენ. გურული ნიმფა, რომლის ტემპერამენტიც განსხვავებული ჩანდა ლამაზად დავარცხნილი მელოდირი კირკესაგან, გაქრა... (მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, თბ., 2002, 147-148).

ჩვენს ზღაპარ-თქმულებებში, მეთევზეობა-მონადირეობასთან დაკავშირებულ წესებსა და ჩვევებში იკითხება სხვა (მეთევზე-მებაღურ)

ხალხთა ლეგენდებში (ძველ ინდურ, მალაიზიის მკვიდრთა, ავსტრალიის აბორიგენთა...) დაცული ცნობები თევზისა და ადამიანის ურთიერთკეთილსმყოფელობისა და ურთიერთნდობის შესახებ. გავიხსენოთ თუნდაც უძველესი მითები მსოფლიო წარღვნაზე (იხ. Дж. Джордж Фрезер, Фольклор в ветхом завете, М., 1990). აი, ერთი ლაზური ზღაპარი „ბადი დო ფათიშაიშ ბერე“ („ბერიკაცი და ხელმწიფის ვაჟი“). „ნახა ბიჭმა, რომ ზღვას თევზი (ჩხომი) ამოუვდია და ფართხალებს (ფარცხალანს). ბიჭს შეებრაღა თევზი და ზღვაში დააბრუნა. თევზი ეუბნება: რახან სიკვდილს გადამარჩინე, მეც სიკეთეს გადაგიხდი ჩემი ქერცლით (ჩქიმი ქერცელათენ). როცა გავიჭირდება, გაუსვი ქერცლი ქერცლს (ქერცელა ქერცელას) და შენთან გავჩნდებიო“. არც უნივერსალური ოქროს თევზია ამ ზღაპრებისთვის უცხო: შდრ. „ჩხომი ნა ეზდეს, გოწკედიმი, ალთუნისთეი ჩხუტუტუ“ „თევზი რომ აიღეს და გახადეს, ოქრსავით ბრწყინავდა“ (ფუკაიში ბერე „ღარიბის შვილი“, იხ. გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, თბ., 1993) და არც წყაროში მათა „ქალთევზაა“, უჩვეულო. მეთევზეობასთან დაკავშირებული ლინგვისტური მასალაც საკმარისზე მეტია — თევზთან და მეთევზეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს ცალკეული წერილები, მაგრამ არ არსებობს, უფრო ზუსტად, არ არსებობდა რაიმე თვალსაზრისით გაერთიანებული შემაჯამებელი ნაშრომი.

მაკა სალიას მონოგრაფიაში „მეთევზეობის ლექსიკა ზანურში“ (217 გვ.) შეკრებილია და გაანალიზებული მეთევზეობის მეგრული და ლაზური ლექსიკა. ნაშრომი შედგება შესავალისა და ოთხი თავისაგან. პირველი თავის გარდა, თითოეული თავი დაყოფილია ქვეთავებად; ნაშრომს ახლავს დასკვნითი დებულებები და დამოწმებული ლიტერატურის სია (173 დასახელება), რეზიუმე (რუსულ ენაზე).

შესავალ ნაწილში კომპაქტურად, შერჩევით არის წარმოდგენილი არქეოლოგიური, ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და ლინგვისტური მასალები, რომლებიც ადასტურებენ, რომ მეთევზეობა ადამიანის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი ყოფილა და არის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

არქეოლოგიური მასალებიდან ყურადღებას იქცევს ნეოლითურ ფენაში აღმოჩენილი მოკაუჭებული ძვლის ანკესები, მცირე ზომის ქვის საწაფები, ცხოველის ძვლისაგან ნაკეთები ჭვილთი (საგვარჯილედან); ნეოლითურ და ენეოლითურ სადგომებში ყველგან გვხვდება ბა-

დის საწაფები, ლითონის ანკესები, ბადის საძირავები, თევზის ძვლები, რიტუალური დანიშნულების თევზის გამოსახულება (ძვლისაგან ნაკეთები). ვანში, გვიანელინისტური ხანის ფენაში ნაპოვნი ბრინჯაოს ჩხირები — 24 სმ. სიგრძისა, ანკესები, ბადის საქსოვები. ნაქალაქარ ფიჭვნარის ტერიტორიაზე ქვიშაზვინულებში აღმოჩენილია აბაზანისებური თიხის დიდი ჭურჭელი თევზის დასამარილებლად. მთელ შავიზღვისპირეთში დაფიქსირებულია მეთევზეთა და მემარილეთა ნასადგომარები. წალენჯიხის რაიონის სოფ. პალოურში ნაპოვნია ორგულის სამი ბრინჯაოს ქანდაკება და სხვ.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალებიდან მოკლედაა განხილული ძველბერძნული წყაროები: სტრაბონი (I ს. ძვ. წ. და ახ. წ.), ქსენოფონტე (IV ს. ჩვ. წ.), უცხოელი ავტორ-მოგზაურები: არქანჯელო ლამბერტი (XVII ს.), ე. შარდენი (XVII ს.), ა. გიულდენშტეტი (XVIII ს. 70-იანი წლები) და სხვები, ქართველი ავტორები (ვახუშტი ბატონიშვილი, იესე ბარათაშვილი), ისტორიული საბუთები; ამოკრეფილია აქ დატული ცნობები მეთევზეობის გავრცელება-განვითარების, თევზისა და თევზეული პროდუქტების წარმოებისა და შენახვის შესახებ, თევზისა და თევზპროდუქტების რელიგიური დანიშნულების შესახებ, წყაროებში შემონახული ფოლკლორული და ლინგვისტური ცნობები თევზ-მეთევზეობასთან დაკავშირებით და სხვ.

I თავში სტრუქტურულ-სემანტიკური თვალსაზრისით აღწერილია და გაანალიზებული თევზის ჯიშის აღმნიშვნელი ლექსიკა მეგრულსა და ლაზურში. აღწერა იწყება თევზის აღმნიშვნელი ზოგადი სახელით ჩ ხ ო მ ი || ნ ჩ ხ ო მ ი (მეგრ.), შ ხ ო მ ი (ლაზ.). ლაზურში ზოგადი მნიშვნელობით დასტურდება თურქულიდან ნასესხები ბ ა - ლ უ ლ ი ც . წარმოდგენილია ჩ ხ ო მ - ფუძის მონაწილეობით წარმოქმნილი სიტყვაწარმოებითი მოდელები და მათი სემანტიკური დახასიათება. ანალოგიურად, სტრუქტურულ-სემანტიკური თვალსაზრისითაა განხილული თევზის კერძო სახეობები, წარმოჩენილია მათი ფონეტიკური და სემანტიკური ვარიანტები, დერივაციული ნაირსახეობები. აღსანიშნავია, რომ თევზის ჯიშების აღმნიშვნელ ლექსიკაში გვხვდება როგორც საკუთრივ მეგრულ-ლაზური, ასევე საერთო-ქართველური ფუძეებიც და ნასესხები მასალაც: ქართული, თურქული, ბერძნული, სომხური, სპარსული, რუსული. თურქულიდან ნასესხებ ტერმინთა დიდი ნაწილი, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, დასტურდება ლაზურში.

ნაშრომის II თავი თევზის ანატომიის, შეფერილობის, გარეგნული იერის, მოძრაობისა და თვისების აღმნიშვნელ ლექსიკას ეთმობა და, შესაბამისად, ხუთი ქვეთავი გამოიყოფა. როგორც მოსალოდნელი იყო, აგებულების აღმნიშვნელ სახელებად ძირითადად ადამიანის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი სახელებია გამოყენებული. ნაშრომში განსაკუთრებით იმ სახელებზეა ყურადღება გამახვილებული, რომლებიც საკუთრივ თევზის აგებულებას უკავშირდება. მეგრ.-ლაზ. ლაყური, მეგრ. ლაყურში / ლაყურში, მეგრ. ქეცა || ქირცა || ქვრცა, ლაზ. ქვრცელა „ქვრცი“, მეგრ. ხა (< ქართ. ფხა) და მისი სემანტიკური პარალელები: ჩხომიშ ძვალი „თევზის ძვალი“, ქაცუ „თევზის წვრილი ძვალი“: ჭიფანა ძვალი, შდრ.: ლაზ. ჭიფა ძვალი „წვრილი ძვალი“ და სხვ.

თევზის ჯიშების სახელებისას განმასხვავებელ ნიშნად გვევლინება თევზის შეფერილობა (ჭითა ჩხომი (მეგრ.), მჭითა ჩხომი (ლაზ.), ჩე ჩხომი (მეგრ.), ხჩე ჩხომი (ლაზ.), უჩა ღორჯო (მეგრ.) და სხვ. საერთო შეფერილობის აღნიშვნის გარდა ხშირად თევზის სახელებისას მითითებულია თევზის სხეულის რომელიმე ნაწილის განსხვავებული ფერი: ჭითაფოფორამი „წითელფარფლა“ (მეგრ.), ჭიფათოლამი კიფალი (მეგრ.), მჭითათოლამი კიჭალი (ლაზ.) „წითელთვალა კეფალი“ და სხვ.

თევზის გარეგნული იერის აღმნიშვნელ ტერმინთაგან ძირითადად გამოირჩევა ორი ჯგუფი — მოცულობის (სიდიდე-სიპატარავისა) და ქვრცლის ქონა-არქონის მიხედვით განსხვავებული სახეობები. ხშირად ეს ნიშნები დამატებითი დეტალებითაც ზუსტდება: ჭიფექირცამი (მეგრ.) „წვრილქვრციანი“, დიდი ქვრცელი (ლაზ.) „დიდქვრციანი“, ცვაფართია „ფართოშუბლიანი“ და სხვ.

ცალკე თემატურ ჯგუფშია განხილული თევზის მოძრაობის აღმნიშვნელი ტერმინები. არსებითად ეს ბევრწერითი ლექსიკაა და ზოგიერთი მათგანი თევზის მოძრაობას გამოხატავს. მაგ.: მეგრ. ხვანცალი. შდრ. გურ. ხვანცალი „ახლად დაჭერილი თევზის მოძრაობა“ (ქლენტი, 1936, 261), იმერ. ხვანცალი „თევზისა და ქვეწარმავლის სწრაფი მოძრაობა (შარაშენიძე, 1938, 64), თუმცა ბევრი სხვა სულდგმულის მოძრაობასაც აღნიშნავს. ძირითადი მნიშვნელობის გარდა ეს ზმნები დამატებითი მნიშვნელობებითაც ხასიათდებიან.

ცალკე განიხილება ასევე თევზისთვის დამახასიათებელი ჩვევათვისებების ამსახველი ლექსიკა: მეგრ. „თოლიშ ელაბონუა „თვალის

ამოხანა“, ტანიმ გოწიმინდლა „ტანის გაწმენდა“, ტანიმ გოფართხუა „ტანის გაბერტყვა“, ტყობინ(ჯ)ი „დამალვა“ — გამრავლების პერიოდში მდინარეში არსებულ ღრუში თავის შეფარება და სხვ.

III თავში განხილულია თევზის გამრავლების, თევზის ნაშიერისა და თევზსაბუნავე ადგილების აღმნიშვნელი ლექსიკა.

თევზის გამრავლების აღსანიშნავად მეგრულ-ლაზურში რამდენიმე ტერმინი გვხვდება ფონეტიკური და სიტყვაწარმოებითი ნაირსახეობებით: მეგრ. ტოფუა || ტოფობა || ტოფობუა || ტოფუობა „ტოფობა“, ციმა || ცემა „ცვენა, ყრა“, რღვაფა „ყრა (კალმახის)“, ქართ. ნასესხები ქვირითობა — ქვირითუა || ქვილითუა || ქვილითობა, ქვირითიმ ღორღვაფა „ქვირთის დაყრა“, კარჩხუა „ქვირითის დაყრა“, ობრავლუ || ომბრიალუ „გამრავლება“, ლაზ. დობლა და სხვ. გამრავლების წესის მიხედვით. თევზები არიან კვერცხისმდებლები და ცოცხალმშობნი; შესაბამისად, მეგრულსა და ლაზურში ტერმინოლოგიურად გარჩეულნი არიან თევზთა ნაშიერები, რომლებიც ქვირითით მრავლდებიან (მეგრ. ციტუ „ბატარა თევზი“ || ციტუა || ციტუია... ლაზ. მჭიფე ჩხომი „წვრილი თევზი“) და თევზები, რომლებიც ცოცხლად იბადებიან (მეგრ. ჩხომიმ სქუა „თევზის შვილი“, ლაზ. ჩხომიმოთა...); ხშირად თევზის ჯიშების მიხედვით ნაშიერთა სახელებიც განსხვავებულია.

მრავალფეროვანია თევზის სამყოფელის აღსანიშნი სახელწოდებები. აქ ერთიანდება როგორც ზღვის, ტბის, მდინარის აღმნიშვნელი მეგრულ-ლაზური სიტყვები, რომლებიც წარმომავლობით საერთო-ქართველური სიტყვებია, ასევე, სათევზე ადგილების (მეგრ. ლაზ. ოჩხომუ...) აღმნიშვნელი საკუთრივ მეგრულ-ლაზური თუ ნასესხები სიტყვები: ონძილე, ღვიჯე, ფო(თ)ქვი || ფოთქი || ფოქვა, ბეჩა || ბეჩო, ჩიბე, ორმო, ხორგი || ხურგი, პალური იალაღი და ა. შ.

ნაშრომის IV თავში განხილულია თევზსაჭერი მოწყობილობებისა და თევზჭერის ხერხების აღმნიშვნელი ლექსიკა. თევზჭერის ფორმები, ხერხები და იარაღები ნაირგვარია და ეს ნაირგვარობა ასახულია სათანადო ტერმინებშიც. მარტო ბადეთა დასახელებებში სხვადასხვა დიფერენციალური ნიშნის მიხედვით (გამოყენების წესის, გაწყობის წესის, მოწყობილობის გარეგნული იერის, ქსოვის წესის, დასაჭერი თევზის ჯიშის სახელის და სხვ.) რვა ჯგუფს გამოყოფს, თითოეულ ჯგუფში ბადის რამდენიმე სახეობა დასტურდება (მაგ. გამოყენების წესის მიხედვით გამოყოფილ ჯგუფში გვაქვს ბადის შემდეგი სახეობა-

ნი: მასუმალარ ბადე „მოსასმელი ბადე“, ფოთამალ ბადე || სარსოლი || სარსოლბადე „სასროლი ბადე“, ოთორმოსა || ო(ნ)თირმოსა || ო(ნ)თირბადე „სათრეველა ბადე...“. ასევე მრავალფეროვანია ბადეთა ნაწილების სახელები დაწვრილებითაა განხილული ანკესის სახეობანი და ანკესის ნაწილები, მათი სახელების პრინციპები, სატყუარები, თევსაჭერი წნულების სახელწოდებანი (მაგ. ღობილი, გეცხირლი || გოცხირილი, გეჩა, კუნო ქუეფე და სხვ.).

ნაშრომში წარმოდგენილია თევზჭერის სხვადასხვა ხერხის აღმნიშვნელი ტერმინები და დახასიათებულია ეს ხერხები: წყარიმ გინოტოთამა „წყლის გადაგდება“ || წყარიმ გინოლობუა „წყლის გადალობვა“ (მეგრ.). ლაზ. ღალიმ გენწირუ „წყლის დაწრეტა“, მეგრ. წყარიმ ეშასქირაფა „წყლის ამოშრობა“, ნოთეთ ჭოფუა || გესინთუა „მაშხალით ჭერა“, მეგრ. წყვინთიახი ჭოფუა „ხელაობა“ და სხვ.

ნაშრომს ასრულებს მეთევზეობასთან დაკავშირებული სამეურნეო, ყოფითი თუ სხვა დანიშნულების ტერმინებისა და მეთევზეობის ტერმინების მონაწილეობით შექმნილი ფრაზეოლოგიზმებისა და ანდაზა-გამოთქმების განხილვა. მ. სალიას შრომის ძირითადი ნაწილის ბოლო ფრაზაც ანდაზაა: მით გიოჯინე გეჩახია, ღორონთ თის მეჩანსია „ვინც დახედავს ფაცერსაო, ღმერთი იმას აძლევსაო“. ფექრობთ, რომ ავტორის მიერ გაწეული შრომა თვალსაჩინო შედეგით დასრულდა.

ნაშრომის ძირითადი შედეგი ისაა, რომ მეთევზეობის მეგრულ-ლაზური ლექსიკა პირველად იქნა ერთად თავმოყრილი, სისტემატიზებული და აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით გაანალიზებული.

მნიშვნელოვანია, რომ მეთევზეობის დარგობრივი ლექსიკის შესწავლისას გამოყენებული იყო ტერიტორიული პრინციპი; ჩვენში, როგორც მეთევზეობის უძველეს ქვეყანაში, ეს ტერმინოლოგია ბუნებრივი გზით არის შექმნილი და მის მიმავრებას გარკვეულ ტერიტორიასთან (სამეგრელო-ლაზეთთან) ამ საქმიანობის პრაქტიკა განსაზღვრავს.

ფასეულია, რომ დაიძებნა და გამოიყო ისეთი თემატური მახასიათებლები (როგორც საგნობრივი, ასევე შესასწავლი ობიექტის ენობრივ კოლექტივთან მიმართების თვალსაზრისით), რომლებმაც მეთევზეობასთან დაკავშირებული ლექსიკის შედარებით სრულად აღწერას

შეუწყეს ხელი.

აღწერამ წარმოაჩინა, რომ თევზთან და თევზჭერასთან დაკავშირებული ენობრივი სინამდვილე მეგრულ-ლაზურში ინტენსიურად არის დიფერენცირებული. ამის დასტურია თევზის სახეობების გარჩევა ნაირნაირი მოტივაციით, ბადებისა და ანკესების (და მათი ნაწილების) მრავალფეროვნება და ბევრი სხვა, ამის დასტურია თუნდაც ასეთი ენობრივი მონაცემი: „ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ მეგრელთა მეტყველებაში ლექსიკურად გარჩეულია თევზები, რომლებიც ქვირითით მრავლდებიან და რომლებიც ცოცხლად იბადებიან“ (გვ. 107). ეს ყველაფერი კი ამ ტერიტორიაზე მეთევზეობის ხანგრძლივ ისტორიას მოწმობს.

ღირებულია, რომ ტერმინთა განსაზღვრის დროს მთქმელთა კომენტარებიცაა მოხმობილი. ეს კომენტარები პრაქტიკით არის გამოცდილი; ასეთია მაგ., ფერის მიხედვით თევზის სქესის, სამყოფელის დადგენა (გვ. 65), თევზი მიგრაციის თავისებურებათა აღწერა (გვ. 95). მეთევზეთა კომენტარები ხელს უწყობს აღსაწერი ობიექტის იდენტიფიკაციას, შდრ.: მეგრ. ზღარფურცქამი — მეთევზეთა ცნობით, თევზის ამ სახეობას სხეული ქიცვებითა აქვს დაფარული, რის გამოც მოგვაგონებს ზღარბს. შესაბამისად: ზღარფურცქამი „ბუძიანი ზღარბია“ (გვ. 65). ასევე, მეგრ. გორდი — მთქმელთა განმარტებით, თევზის ეს სახეობა გარეგნული იერით ჰგავს ბაყაყს. გორდი ბაყაყის აღმნიშვნელი სახელია მეგრულში (გვ. 56). რეტერმინოლოგიზაციის, ისევე როგორც ტერმინოლოგიზაციის, ფაქტები ნაშრომში სხვაც გვხვდება.

მთქმელებთან მოძიების შემდეგ გაირკვა, რომ წყაროებიდან ცნობილი ზოგი ტერმინი უკვე აღარ იხმარება, ან ფორმა და მნიშვნელობა შეიცვალა. ასეთებია, მაგ., ლაზ. ჩოშელი „თევზის სახეობა“ (მარი, 1910, 211), მეგრ. მორონი, რომელსაც ა. ლამბერტი განმარტავს როგორც „გამხმარი თევზის ნაჭერს“ (გვ. 64)...

კვლევამ გამოავლინა, რომ მეთევზეობის მეგრულ-ლაზური ლექსიკიდან უმრავლესობა საკუთრივ მეგრულ-ლაზურია, დასტურდება საერთოქართველურიდან მომდინარე ფუძეებიც — რაც ძალიან არსებითია. ნასესხობები გვაქვს ქართულიდან, ბერძნულიდან, თურქულიდან, რუსულიდან... მეთევზეობასთან დაკავშირებული არც ერთი ლექსემა არ არის ნასესხები აფხაზური ენიდან, სამაგიეროდ ამ ენას

მეგრული მეტყველებიდან ან მისი მეშვეობით შეუთვისებია 12 ტერმინი. ქართულ ენასა და მის დიალექტებს 2 ათეულზე მეტი ტერმინი აქვთ შეთვისებული მეგრულ-ლაზურიდან.

კვლევის შედეგები ონომასიოლოგიის ძირითად პრობლემას — სახელების მოტივაციისა და საშუალებების განსაზღვრასაც ეხმიანება. ნაშრომში მოტივაციის საკითხს დიდი ადგილი ეთმობა; სახელები ხდება თევზის გარეგნული იერის, ფერის, ქვირითობის წესის, მიგრაციის, მსგავსების და ბევრი სხვა ნიშნის მიხედვით. აქ მნიშვნელობა ენიჭება სახელმძღვანელო საცხოვრებელ ადგილსაც: მაგ., ზღვის ნაპირას მცხოვრებნი თევზს, რომელიც განსაზღვრული დროით ტოვებს ზღვას და შედის მდინარეში გუმშაულარ ჩხომის — „გამსვლელ თევზს“ ეძახიან, მდინარის ნაპირას მცხოვრებნი კი — მუმშაულარ ჩხომის „შემომსვლელ თევზს“ (გვ. 58).

ავტორი აქ საყურადღებო დასკვნას გვთავაზობს: მეგრული და ლაზური მასალების მიხედვით, თევზის ჯიშების სახელების მოტივაციის საფუძველი ერთნაირია (გვ. 59).

ნაშრომში განხილულია და გაანალიზებული დამოწმებულ ლექსიკურ ერთეულთა სტრუქტურული მოდელები: მარტივი ფუძეები, დერივაციული წარმოებანი, კომპოზიტები...

ნაშრომის ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს განსხვავებულ ლექსიკურ ერთეულთა წარმომავლობის კვლევასაც და ბევრ საინტერესო და მისაღებ დაკვირვებასაც გვთავაზობს. ერთ მათგანზე შეჩერდებით, ქართ. კურცხ- : მეგრ. კარჩხ-, კარჩხუა „ქვირითობა“; ფონეტიკური წინააღმდეგობა, ვ თანხმოვნის არქონა, ასახსნელია.

ავტორი გრძნობს, რომ ხშირად მისი ეტიმოლოგიური ძიებანი ბოლომდე არ არის მიყვანილი, ფრთხილობს და დასკვნების გამოტანისას კატეგორიული არ არის.

გვაქვს სურვილი და შენიშვნაც:

1. ვფიქრობთ, დისერტანტისათვის სასარგებლო იქნებოდა, საკვლევ თემასთან დაკავშირებით სამეგრელოდან გამოსულ ქართველ მწერალთა ნაწარმოებებისთვისაც რომ გადაეხედა (უიარაღო, ლ. ქიაჩელი, დ. შენგელია, კ. გამსახურდია...) აი, ერთი ნიმუში:

„ბასილ მძებრაძის სახლში ეს არის ისადილეს. სიტყვაზე სადილი კარგი ჰქონდათ. ახალი ტოფე, უგვარო, წვერედია და კალმახი. სულ ამ დღეებში დაჭერილი ზეთიანი დოში, სათალი და საზღვარგარეთული „სარდინკაც“ ამშვენებდა ბასილას

ტაბლას.

ბასილ მძებრაძე წყლის ახლო ცხოვრობდა დეა ამიტომ თევზის ჭერაც კარგი იცოდა. ახალგაზრდობაში მესასროლე იყო... (უიარაღო, II, „მაძიებელი“).

2. თევზის აქ ჩამოთვლილი ჯიშებიდან ყურადღებას იქცევს უგვარო. დისერტანტს განსხვავებული ვარიანტები აქვს დამოწმებული, უ^რგვარო || უ^რგვარია || უგვარე და ახსნილი აქვს სიტყვის წარმომავლობაც: ქართ. უ-გვარ-ო = „უგვარო“, „უჯიშო“. მეთევზეთა განმარტებით, ეს ჯიში მდარე ხარისხის თევზია. მოტივაცია ნათელია; თუ იმასაც გაითვალისწინებთ, რომ უგვარო მეგრულში ვაზის ჯიშსაც ჰქვია, „ისხამს საშუალი სიდიდის შავ მარცვალს, ღვინო დგება მაგარი და მწლაკე (იხ. ო. ქაჯაია, მეგრ.-ქართ. ლექს., III, გვ. 54) სადაოც თითქოს არაფერი რჩება. ყველაფრის მიუხედავად, მწერლის მიერ დასახელებული უგვარო შემოწმებას მოითხოვს. ეს ფორმა ჩვენს ყურადღებას რუს. **угорь** სიტყვისკენ წარმართავს. ავტორი თავად აღნიშნავს: „მეგრულსა და ლაზურში „გველთევზას“ აღსანიშნავად რუსულიდან ნასესხები უგორ სახელიცაა დადასტურებული“ (გვ. 55).

3. სასურველი იყო ავტორს გაეთვალისწინებინა ა. ჭანტურიას „მასალები მეგრულ-ქართული ეთნოგრაფიული ლექსიკონისათვის“ (თსუ შრ., 321. ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, თბ., 1996), სადაც თევზის სახეობის (ანჩა, ანჩქასია, კოკობა, ფარგა, წებრი...), თევზჭერის საშუალებათა (კირკიმელი, სხაპი, ჩხვანკალი, გეკვეხუა...). თევზის გამრავლების (ოხურობა „ქვირითობა“) აღმნიშვნელი ათეულობით ტერმინია წარმოდგენილი.

4. არ არის ზუსტი ღორჯო || ღორყო || ღორძო || ღოძო სიტყვების განხილვა ფონეტიკურ ვარიანტებად (გვ. 40), ისინი სხვადასხვა ენობრივ სისტემებს განეკუთვნებიან: ღორჯო || ღორყო ფონეტიკური ვარიანტები ქართულიდანაა მეგრულში შესული, ღორძო || ღოძო მეგრულის (ზანურის) ფონეტიკური ვარიანტებია.

5. ბოლომდე გამოკვეთილი არაა დისერტანტის თვალსაზრისი ქართ. ბად- (ბად-ე), ბანდ- (ბანდვა) და ბანდლ- (ბანდლ-ი „ობობას ქსელი“) ფუძეებსა და მათი ზანურ-სვანური რეფლექსების მიმართე-ბასთან დაკავშირებებით (გვ. 122) და სხვ.

6. კარგი იქნებოდა ნაშრომს დართვოდა საძიებელი.

ეს შენიშვნები ნაშრომის ღირსებას არ ვნებს.

ახალი ზელანდიის მკვიდრ მათრებს ასეთი რიტუალი ჰქონიათ. პირველად დაჭერილ თევზს წყალში უშვებენ, რათა შემდეგში ბადეს უფრო მეტი თევზი მოჰყვეს. ვფიქრობ, ეს პირველი შემაჯამებელი ნაშრომი მეთევზეობის შესახებ კიდევ ახალი წარმატებების საწინადრი გახდება.

მურმან სუნიშვილი.

„საქართველოს ლინგვისტიკური კვლევების“ XVI-XXV ნომრებში
გამოკვეთილ ნაშრომთა ბიბლიოგრაფია*

1. ე. აბაიშვილი — მო- და შე- ზმნისწინების ვარიანტები ფშაურში XXII, 2006.
2. ე. აბაიშვილი — მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების თავისებურებანი ფშაურში, XIX, 2005.
3. ნ. აბაშიძე — ინგილოური სამეტყველო რიტმი, XXIII, 2006
4. ნ. აბაშიძე — პარონიმია და მისი დამოკიდებულება სხვა ლექსიკურ კატეგორიებთან, XXIII, 2006.
5. ლ. ავალიანი — დალალი და დალაქი სიტყვათა ფორმობრიგ-სემანტიკური ანალიზისათვის, XXIV, 2006.
6. ლ. ავალიანი — მეხარკე და მეხარკეთაღრიცხვე სიტყვათა ფორმობრიგ-სემანტიკური ანალიზისათვის, XXIII, 2006.
7. ლ. ავიძბა — შელოცვები აფხაზურ ხალხურ მედიცინაში, XXII, 2006.
8. ლ. აზმაიფარაშვილი — კლასნიშნის სუფიქსები ხუნძური ენის არსებით სახელებში, XX, 2005.
9. ლ. აზმაიფარაშვილი — სიტყვაწარმოებითი პრეფიქსი რ- ხუნძურში, XXI, 2006.
10. ლ. აზმაიფარაშვილი — ხუნძური როხათი სიტყვის ეტიმოლოგიისათვის, XIX, 2005.
11. ნ. აკობია — „ოთხი უნარ-ჩვევა“, XXIII, 2006.
12. ნ. აკობია — პრაგმატული კატეგორიების განხილვა საგაზეთო სტატიის მიხედვით, XXIV, 2006.
13. ნ. აკობია — პრაგმატული კატეგორიების პრევალირება-ნაკლებობის დადგენა იურიდიულ ტექსტში, XXIV, 2006.
14. მ. ალავეძე — ზოგიერთი მოსაზრება გრაისის იმპლიკაციის თეორიის შესახებ, XVIII, 2005.
15. მ. ალავეძე — ქვეტექსტი, როგორც ლინგვისტური მოვლენა, XIX, 2005.
16. თ. არაბული — ბილინგვ ბავშვის მეტყველების პრაგმატული ასპექტი, XVI, 2004.
17. თ. არაბული, ლ. გოქსაძე — ორენოვანი ბავშვის შეცდომების ანალიზი სემანტიკურ დონეზე, XXII, 2006.
18. მ. არეშიძე — სემანტიკური წარმომავლობის ერთი სიტყვის მნიშვნელობისათვის ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონში, XXIV, 2006.
19. ე. არჩვაძე — იმპლიციტური პირობის შემცველი გამოთქმების კომუნიკაციური ინტენციები, XVIII, 2005.
20. ე. არჩვაძე — იმპლიკაციური ტექსტის სტრუქტურა როგორც ტექსტის ერთეული XIX, 2005.
21. ა. ასრათოვ-ომარაშვილი — ძირითადი ფონეტიკური მოვლენები ინგილოურ ტოპონიმებში, XXII, 2006.
22. ი. აფაქიძე — კულტურული შოკი: მისი წარმოქმნა და აცილების ხერხები, XVIII, 2005.
23. თ. აძინაია — თანაობის გამომხატველი უბრალო დამატება ქართულსა და მეგრულში, XVII, 2004.
24. ფ. ანლაია — ანთროპონიმთა კნინობით-ალერსობითი ფორმები მეგრულში, XXIII, 2006.
25. დ. ახვლედიანი — ზოგიერთი ჩართული სიტყვა და გამოთქმა ე. წ. ხალხოსან მწერალთა და ეგნ. ნინოშვილის ნაწარმოებების მიხედვით, XVI, 2004.
26. ნ. ახვლედიანი — ერთი ზანური ლექსიკური ერთეულისათვის სამხრულ დიალექტებში, XVII, 2004.
27. ნ. ახვლედიანი — ზანური ლექსიკური ერთეულები სამხრულ დიალექტებში, XVII, 2004.
28. ნ. ახვლედიანი — სარეკლამო დისკურსის ლინგვისტიკისტური თავისებურებანი, XXII, 2006.
29. ნ. ახვლედიანი — სურათისა და ტექსტის კომბინაციების ურთიერთშემოქმედება და მათი როლი რეკლამაში, XXI, 2006.
30. ც. ახვლედიანი — საფრანგეთის ლინგვისტური პოლიტიკა, XXIV, 2006.
31. ც. ბაბუნაია — მოდალობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია ინგლისურ ენაში, XX, 2005.
32. ნ. ბაგრატიონ-დავითაშვილი — პირთა კომბინაციების შედეგად გამოვლენილი ზოგი თავისებურება ორპირიან ზმნებში, XXIV, 2006.

* შეადგინეს ც. კვანტალიანმა და რ. ლანდიაშვილმა.

33. **ნ. ბაგრატიონ-დავითაშვილი** — „ჰყოფს“, „ქადაგებს“, „დაჰბადა“ ტიპის ზმნები ძველ ქართულში, XXI, 2006.
34. **ე. ბაკარაძე** — კომპიუტერული (ინტერნეტის) შემოკლებები; Chat-ისა და E-Mail-ის ენა, XVI, 2004.
35. **ე. ბაკარაძე** — სლენგი, როგორც იუმორისტული მოვლენა თანამედროვე ახალგაზრდობის მეტყველებაში, XVIII, 2005.
36. **ლ. ბაკურაძე** — იოანე დამასკელის „დიალექტიკა“ და სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“, XVI, 2004.
37. **ე. ბალიაშვილი** — საინფორმაციო საგაზეთო სტატიათა სემანტიკური კვლევის ფორმები (5ws & H), XXIV, 2006.
38. **ნ. ბარნოვი** — თავკიდური თანხმობანთკომპლექსები სვანურში, XX, 2005.
39. **ე. ბასილაია** — საგაზეთო სათაურების გრამატიკული თავისებურებანი ბრიტანული პრესის მაგალითზე, XVIII, 2005.
40. **ა. ბალიშვილი** — არაბული წარმოშობის ლექსიკა მეგრულში, XXII, 2006.
41. **ო. ბებია** — ნათესების მავნებელი ფრინველების, მწერებისა და მღრღნელების აღმნიშვნელი მეგრული ლექსიკა, XVI, 2004.
42. **ო. ბებია** — რამდენიმე მეგრული სამიწათმოქმედო დენდრონი, XVI, 2004.
43. **ო. ბებია** — ყანის შემოღობვა-შემოკავების აღმნიშვნელი მეგრული ლექსიკის ნიმუშები, XVII, 2004.
44. **თ. ბერია** — ფორმისა და სემანტიკის მიმართებისათვის გვარის ფორმებში, XXII, 2006.
45. **ე. ბერიძე** — შავშეთის ტოპონიმები გიორგი ყაზბეგის „სამი თვე თურქეთის საქართველოში“, XVI, 2004.
46. **თ. ბერიძე** — ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები საშუალ ქართულში, XVIII, 2005.
47. **მ. ბერიძე** — სამსრის ისტორია-ეტიმოლოგიისათვის, XXI, 2005.
48. **მ. ბერიძე** — ტამალის ისტორია-ეტიმოლოგიისათვის, XX, 2005.
49. **ნ. ბერიძე** — აქტანტების სტატუსის საკითხისათვის ვალენტობის თეორიაში, XX, 2005.
50. **ნ. ბერიძე** — ვალენტობის თეორიის განვითარების ძირითადი ეტაპები, XIX, 2005.
51. **ნ. ბერიძე, მ. ბერიძე** — ზანურ-მესხური შეხვედრები, XIX, 2005.

52. **მ. ბერსენაძე** — ინგლისური მოდალური ზმნის „must“ გრამატიკულ-სემანტიკური შესატყვისები ქართულში, XXIII, 2006.
53. **მ. ბერსენაძე** — შესაძლებლობის გამოხატვის გრამატიკულ-სემანტიკური საშუალებები ინგლისურსა და ქართულში, XXII, 2006.
54. **მ. ბერსენაძე-კაციტაძე** — ინგლისური მოდალური ზმნის „could“ გრამატიკულ-სემანტიკური შესატყვისები ქართულში, XVIII, 2005.
55. **ე. ბესტავაშვილი** — ქართული დამწერლობის პროტოტიპისა და ანბანის ქრონოლოგიის საკითხი თედო უორდანიას გრამატიკაში, XVIII, 2005.
56. **მ. ბოლქვაძე** — დროის ცნება ლინგვისტურ მეცნიერებაში, XX, 2004.
57. **მ. ბოლქვაძე** — ზმნის უნივერსალური დ სპეციფიკური თავისებურებები გერმანულსა და ქართულ ენებში, XIX, 2005.
58. **ა. ბოჭორიშვილი** — საქმიანი სატელეფონო საუბრების ზოგიერთი მახასიათებელი, XXIII, 2006.
59. **ა. ბოჭორიშვილი, ლ. გოქსაძე** — ბიზნეს წერილების ეტიკეტის ლინგვისტური მახასიათებლები, XX, 2005.
60. **ე. ბუღალავა** — მხედველობითი აღქმის ძირეული ზმნები და რეციპროკი თანამედროვე თურქულ ენაში, XVII, 2004.
61. **თ. ბურჭულაძე** — ერთი წყების უბრალოდამატებიან წინადადებათა შესახებ, XVI, 2004.
62. **შ. გაბისკირია** — აღმოსავლურ ენებში „ქრისტიანული ჯგრისა“ და „ხაზის“ მნიშვნელობებით დამკვიდრებული ერთი ქართული ლექსიკური ნასესხობის შესახებ, XXIII, 2006.
63. **ზ. გაბიჩვაძე** — მევენახეობა-მელვინეობის აღმნიშვნელი ლექსიკით მოტივირებული ტიპონომიკა საქართველოში, XXIII, 2006.
64. **ზ. გაბიჩვაძე** — მევენახეობა-მელვინეობის ლექსიკა ქართული ენის დიალექტებში, XXI, 2006.
65. **ფ. გაღე** — ვასწავლოთ სტილი (მთარგმნელი ქეთევან ჯაში), XXI, 2006.
66. **ხ. გამისონია** — ძველი ბერძნული მითი, როგორც ალუზია და სიმბოლო, XXI, 2006.
67. **თ. გასიტაშვილი** — ტერმინი „ბარაქაშის“ მნიშვნელობისათვის

„რუსუდანიანი“, XXII, 2006.

68. **ე. გეგეშიძე** — ენობრივი პოლიტიკა ამიერკავკასიის ფედერაციის საკანონმდებლო აქტების გათვალისწინებით, XXIV, 2006.

69. **ნ. გელდიაშვილი** — დიალექტიზმები საშუალო ქართულის სამართლის ძეგლთა ენაში, XVIII, 2005.

70. **ნ. გელდიაშვილი** — ზმნიზედა საშუალო ქართულის სამართლის ძეგლთა ენაში, XX, 2005.

71. **ქ. გენებაშვილი** — ქართველურ ენათა დიფერენციაციის საკითხის ისტორიისათვის, XVIII, 2005.

72. **რ. გერსამია** — აბსოლუტური სინონიმია მეგრულში, XVIII, 2005.

73. **რ. გერსამია** — „განძი“ — ძველი ქართული სამართლის ტერმინი, XXIII, 2006.

74. **რ. გერსამია** — სისტემური, განმეორებადი მოქმედების გადმოცემა გილა-ზმნისწინის საშუალებით მეგრულში, XXII, 2006.

75. **გ. გვანცელაძე** — ვარდის მეტაფორული სემანტიკის საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“, XXIII, 2006.

76. **ზ. გვარიშვილი** — კიბერრელიგიური ნეოლოგიზმების შესახებ, XIX, 2005.

77. **დ. გვაძაბია** — ისტორიულ შედარებითი მეთოდი ლინგვისტიკაში, XIX, 2005.

78. **ქ. გიგაშვილი** — ასპექტის გამოხატვასთან დაკავშირებული საკითხები საშუალო ქართულში, XVII, 2004.

79. **ქ. გიგაშვილი** — თემის ნიშანთა და ზმნისწინთა ისტორიული ურთიერთმიმართებისათვის ქართულში, XVII, 2004.

80. **ლ. გიგლემიანი** — წყალ-ს ფუძე კომპოზიტებში, XXI, 2006.

81. **თ. გიორგობიანი** — პერფექტი ძველ ბერძნულში, XVI, 2004.

82. **ე. გოგალაძე** — ფატიკური კომუნიკაციისა და სამეტყველო აქტების შესახებ სპარსულში, XXII, 2006.

83. **გ. გოგოლაშვილი, ვ. იმნაიშვილი** — უქონლობის სახელების მართლწერასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, XVIII, 2005.

84. **გ. გოგოლაშვილი** — თემის ნიშანთან დაკავშირებული ზოგი საკითხი საშუალო გვარის ზმნებში, XX, 2005.

85. **გ. გოგოლაშვილი** — სვანური ენის დიალექტური დაყოფისათვის, XVI, 2004.

86. **გ. გოგოლაშვილი** — ეთიკური ნორმების ვერბალური რეალიზაციის საგაზეთო კომუნიკაციაში, XIX, 2005.

87. **ნ. გოგოლაშვილი** — მადელიქტოლოგიური პარადიგმები, XVIII, 2005.

88. **მ. გოდუაძე** — ერთიანობა II მთლიანობის და განყოფა II გაცალკევების გამომსახველ ცნებათა სემანტიკური კოდისათვის ქართულში, XXII, 2006.

89. **ტ. გოუენოსი** — როგორ სრულვყოთ ფრანგული ენა, როგორც უცხო ენა საფრანგეთში ყოფნის დროს (მთარგმნელი ქეთევან ჯაში), XXI, 2006.

90. **ლ. გოქსაძე** — ასპექტის ზოგიერთი ფუნქცია დისკურსში, XVII, 2004.

91. **ლ. გოქსაძე, ნ. თარხნიშვილი** — სადღესასწაულო რიტუალების ამსახველი ენობრივი საშუალებები ინგლისურსა და ქართულში, XVIII, 2005.

92. **ლ. გოქსაძე, ნ. რუხაძე** — მიმართვის ფორმები ინგლისურ, ქართულ და რუსულ წერილებში, XXIV, 2006.

93. **ი. გოშხეთელიანი** — კულტურული იმპლიკაციები, XIX, 2005.

94. **ქ. გოჩიტაშვილი, გ. შაბაშვილი** — ქართულენოვანი ტექსტების მანქანური დამუშავების პრინციპები, XIX, 2005.

95. **ქ. გოჩიტაშვილი, გ. შაბაშვილი** — ქართული ზმნური სისტემის ფცნქიურ-სემანტიკური ანალიზი და მისი პრაქტიკული ღირებულება, IV, 2006.

96. **გ. გვანცელაძე** — ცხოველთა სახელები შედარების როლში („ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით), XX, 2005.

97. **ი. გრძელიძე** — მოსაზრებები „სამეტყველო აქტთა თეორიის“ პოპულარობის მიზეზების შესახებ, XVIII, 2005.

98. **მ. გუგუნავა** — ინტერტექსტულობა კინემატოგრაფიაში, XXII, 2006.

99. **მ. გუგუნავა** — კინოს ისტორია, განხილული როგორც ტექსტის ელემენტი, XXIII, 2006.

100. **მ. გუგუნავა** — ლიტერატურული ტექსტის კინემატოგრაფიული ტრანსპოზიცია, ანუ ფილმის გლობალური ინტერტექსტუალური კავშირი ლიტერატურულ პირველწყაროსთან, XXIV, 2006.

101. **ჟ. გუმბარძე** — ინტერსუბიექტურობა, როგორც ვერბალური კომუნიკაციის ფუნდამენტური პრინციპი, XX, 2005.
102. **ტ. გურგენიძე** — გრამატიკული კლასების რაოდენობის დადგენა ომონიმური ან პოლისემიური სიტყვაფორმების შემთხვევაში, XXIII, 2006.
103. **ტ. გურგენიძე** — მრავლობითი რიცხვის I და II პირის ნაცვალსახელთა აგების თეორიული საფუძვლები, XXII, 2006.
104. **მ. გუტიძე** — სიტყვათშეერთებით ნაწარმოები სახელები ვანის რაიონის ტოპონიმიაში, XX, 2005.
105. **მ. გუტიძე** — ჰიდრონიმები ვანის რაიონში, XXIII, 2006.
106. **ნ. დათეშიძე** — სინტაგმათა კომპრესიით მიღებული ტერმინ-კომპოზიტების შესახებ ქართულში, XXI, 2006.
107. **ნ. დარასელია** — შორისდებული როგორც მიკროტექსტი და ტექსტი, XXIV, 2006.
108. **ნ. დემეტრაძე** — ანთროპოცენტრიზმი როგორც სააზროვნო პრინციპები და მხატვრული ტექსტის პერსონალური სტრუქტურა, XIX, 2005.
109. **ი. დიაკონიძე** — ხალხური და „ცრუ ხალხური“, XXII, 2005.
110. **ლ. დოლიძე** — ტრანსპორტით მომსახურების ტერმინოლოგიის სწავლება ტურიზმის ბიზნესის სპეციალობაზე, XXIII, 2006.
111. **რ. დოლიძე** — რომანის ეკრანული ადაპტაციის თავისებურებანი, XXIV, 2006.
112. **ქ. დოლონაძე** — კოგნიტური სტატუსი და რეფერენტული გამონათქვამების ფორმები დისკურსში, XIX, 2005.
113. **ზ. ედიბერიძე** — დანიშნულების გამოხატვისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში, XXIII, 2006.
114. **გ. ვარდიშვილი** — სარეკლამო ენა ექსტრალინგვისტურ ჭრილში, XXI, 2006.
115. **ნ. ზვიადაძე** — ტაგმემიკური მატრიცა, როგორც ევრისტიკული გამონაგონი, XIX, 2005.
116. **ნ. ზვიადაძე** — ჰუმბოლდტის სოციოლინგვისტური გამოვლინება კ. ლ. პაიკის თეორიაში, XVII, 2004.
117. **ი. ზურაბიშვილი** — „სნრა“-ს ჟანრის განმსაზღვრელი ერთი სტილისტური თავისებურების შესახებ „ათას ერთ ღამეში“, XXII, 2006.
118. **ლ. თავაძე** — ტემპორალური მსაზღვრელები, წყობა და ღერძი, XX, 2005.
119. **ნ. თევზაძე** — ზმნის მომავალი დროის მეშველზმნიანი წარმოება დალესტნურ ენებში, XXIII, 2006.
120. **ა. თენიეშვილი** — ტექნიკური ინსტრუქციების ლინგვისტური თავისებურებები, XXIII, 2006.
121. **ე. თოფურია** — ლინგვისტიკის განვითარების ეტაპობრივი სტრუქტურა და მისი დინამიკა, XIX, 2005.
122. **ე. თოფურია** — პრაგმატიკულ-ფუნქციონალური ტრანსფორმაციების ლინგვისტური დეტერმინანტები სხვადასხვა სისტემის ენებში, XXIII, 2006.
123. **ე. თოფურია** — სიმეტრია და ასიმეტრია სამეტყველო აქტის ფორმისა და შინაარსის ურთიერთიმართებაში, XVIII, 2005.
124. **ე. თოფურია** — შეპირისპირებულ ენათა სისტემური სპეციფიკით დეტერმინირებული თარგმნითი ტრანსფორმაციები, XXIV, 2006.
125. **რ. თუთბერიძე** — ერთი უარყოფითი ბაზისური ემოციის — Fear/შიში — სახელდების საკითხი ინგლისურ და ქართულ ენებში, XXII, 2006.
126. **ლ. თუთბერიძე** — ორი დადებითი ბაზისური ემოციის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები ინგლისურ და ქართულ ენებში, XX, 2005.
127. **თ. თურქია** — „ერი“ სიტყვის სემანტიკისათვის, XXI, 2006.
128. **თ. თურქია** — „ცხოვრება“ სიტყვის სემანტიკური ველის შესახებ, XXII, 2006.
129. **ქ. ილურიძე** — ბრუნების საკითხები XIX საუკუნის I ნახევრის ქართული ენის გრატიკებში, XVIII, 2004.
130. **თ. ინჯია** — სინტაქსური ელიპსის ერთი სახე გრ. რობაქიძის შემოქმედებაში, XVI, 2004.
131. **თ. ინჯია** — ქვემდებარე-შემასმენლის ინვერსია, ფიქსირებული ფორმის დარღვევის საშუალება გრ. რობაქიძის შემოქმედებაში, XVI, 2004.
132. **რ. იოსელიანი** — სევანური საკირე, XXII, 2006.
133. **რ. კავთიაშვილი** — ლათინური აბრევიატურები და გამონათქვამები აკადემიურ ინგლისურში, XIX, 2005.

134. **ხ. კაკავა** — ლაბიალიზებული თანხმონის შემცველი ორწევრა კომპლექსები აფხაზურში, XXIV, 2006.
135. **ხ. კაკავა** — ორი ლაბიალიზებული თანხმონის შემცველი კომპლექსები აფხაზურში, XXIII, 2004.
136. **კ. კაკიტაძე** — ბუკი და მასთან დაკავშირებული მნიშვნელობები, XVII, 2004.
137. **ნ. კაპანაძე** — დარგობრივი კომუნიკაციის კვლევის ამოცანები და პერსპექტივები, XXIII, 2006.
138. **ნ. კაპანაძე** — დარგობრივი უცხოენოვანი ტექსტის აღქმის თავისებურებანი, XVIII, 2005.
139. **მ. კაჭკაჭიშვილი** — სოციოლოგიურ საკითხთა მნიშვნელობა ორენოვანების კვლევისას, XXII, 2006.
140. **ვ. კვანტრიშვილი** — სიცოცხლის შეწყვეტის სემანტიკის შემცველი ლექსიკური სინონიმები ქართული ოთხთავის ორ ძველ რედაქციაში, XVII, 2004.
141. **ნ. კვანტალიანი** — ნარატიული თვალსაზრისი და მისი კავშირი ნარატიულ ხმასთან, XX, 2005.
142. **ც. კვანტალიანი** — და- ზმნისწინის სიტყვაწარმოებითი და-ნიშნულება, XVII, 2004.
143. **ც. კვანტალიანი, ლ. ჩხაიძე** — ქართული ენის ზმნური ფუძეების ელექტრონული ლექსიკონის დახვეწისა და სრულყოფისათვის (ძირითადი ცვლილებები, რითაც ელექტრონული ლექსიკონი განსხვავდება ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონისაგან), XXII, 2006.
144. **მ. კვიციანი** — ინგლისური და ქართული ტოპონიმების შეპირისპირებითი ანალიზი, XVI, 2004.
145. **ი. კიკნაძე** — განსხვავებული მორფოლოგიური ცვლილებებისათვის სახელსა და ზმნისართში, XVIII, 2005.
146. **მ. კინწურაშვილი** — ტექსტი, ინტერტექსტი, დეკონსტრუქცია, XX, 2005.
147. **მ. კინწურაშვილი, თ. ფხაკაძე** — ციტაციის როლი ბერნანოსის შემოქმედებაში, XXIV, 2006.
148. **დ. კირთაძე** — საკუთარ სახელთა წრფელობითი ბრუნვის ფორმები ქართულ აგიოგრაფიულ მწერლობაში, XIX, 2005.
149. **მ. კობალაძე** — განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების

- ერთი სახეობის შესახებ ქართულში, XVII, 2004.
150. **მ. კობერიძე** — ზოგი ზმნიზედის ფორმისა და ფუნქციისათვის ფრონეს ხეობის ქართულში, XXII, 2006.
151. **მ. კობერიძე** — თემის ნიშანთა მონაცვლეობის საკითხისათვის ფრონეს ქართულში, XXI, 2006.
152. **ნ. კობალეიშვილი, ლ. გოქსაძე** — მითი მედიამი, XIX, 2005.
153. **ნ. კობალეიშვილი** — რას გვთავაზობს ინტერნეტ გაზეთი, XXIII, 2006.
154. **თ. კუკულაძე** — რედუქციის საკითხი ანთროპოტოპონიმებში (ქვემო აჭარის მასალის მიხედვით), XXIV, 2006.
155. **თ. კურტანიძე** — სკოლაში ახალმოდებულთა მეტყველების თავისებურებანი, XIX, 2005.
156. **თ. კურტანიძე** — ქართული ენის გაკვეთილი პირველ კლასში არაქართულ სკოლაში, XXII, 2006.
157. **თ. კურტანიძე** — ქართული წერა-კითხვის მოსამზადებელი მუშაობა არაქართულ სკოლაში, XX, 2005.
158. **მ. ლაბარტყავა** — „ბარის“ აღმნიშვნელი ლექსიკისათვის ქართულში (სხვა ქართველურ ენებთან მიმართებით), XXII, 2006.
159. **მ. ლაბარტყავა** — „მთის“ აღმნიშვნელი ზოგადი სახელები ქართულში, XX, 2005.
160. **მ. ლაბარტყავა** — წყალთან დაკავშირებული ლექსიკის ზოგი საკითხისათვის ქართულში, XXI, 2006.
161. **რ. ლანდია** — რაჭული ტექსტები (ჩაიწერა რ. ლანდიამ), XXIV, 2006.
162. **თ. ლეჟავა** — მყოფადის წარმოების საკითხი „სიტყვიერი მოქმედების“ აღმნიშვნელი ენიანი ვნებითების ხმაბაძვით ფორმებთან, XXII, 2006.
163. **ი. ლობჯანიძე** — თეატრალური ნაგებობების აღმნიშვნელ ტერმინ „თეატრის“ სინონიმები ძველ ქართულში, XXIII, 2006.
164. **ი. ლობჯანიძე** — თეატრალური ტერმინ-დერვივატები ქართულში, XXII, 2006.
165. **ი. ლობჯანიძე** — ტერმინი „მსახობი“ და მისი ერთ-ერთი სინონიმი ძველ ქართულში, XXI, 2006.

166. **თ. ლომთაძე** — ენა საზოგადოებაში: ენის სოციოლინგვისტური განზომილებანი, XXIII, 2006.
167. **თ. ლომთაძე** — სოციალური დიალექტების ლინგვისტიკური პრობლემატიკა, XXII, 2006.
168. **თ. მამარდაშვილი** — მყოფადი დროის მიმღობათა წარმოება ახალ ქართულში, XVIII, 2005.
169. **თ. მამარდაშვილი** — სასუბიექტო მიმღობათა მ-არ(ალ) და მ-არე აფიქსებიანი წარმოება ქართულში, XXIII, 2006.
170. **მ. მარგველაშვილი** — ისევ ვნებითი გვარის წარმოებისათვის მეგრულში, XXI, 2006.
171. **მ. მარგველაშვილი** — III სერიის მწკრივთა წარმოება მეგრულში ა) მოქმედებითი გვარი, XXII, 2006.
172. **ნ. მარტაშვილი** — მხატვრული ტექსტის სათაურის სემანტიკის სპეციფიკურობა, XVI, 2004.
173. **ნ. მარტაშვილი** — ფრანგული მხატვრული ნაწარმოების სათაურის ტიპები და მათი განვითარების ტენდენციები, XVI, 2004.
174. **ნ. მარკოზია** — სახელმწიფო ენა და მისი ფუნქციონირების სფეროები 80-იანი წლების პერიოდის მიხედვით, XXII, 2006.
175. **მ. მარღანია** — თანამედროვე ლექსიკა სემანტიკური ვარიაციულობის თვალსაზრისით (იდეოლოგიური აქცენტები), XXI, 2006.
176. **მ. მარღანია** — მიმართვის ფორმები ბრიტანულ საგაზეთო სათაურებში, XXII, 2006.
177. **ვ. მალრაძე** — რიცხვითი სახელები ტოპონიმებში, XVI, 2004.
178. **ნ. მაჭავარიანი** — აფიქსაციით ნაწარმოები მცენარეთა ლექსიკა აფხაზურში, XXVI, 2006.
179. **ნ. მაჭავარიანი** — ბალჩეულობისა და ბოსტნეულის აღმნიშვნელი ლექსიკა აფხაზურში, XVI, 2004.
180. **ნ. მაჭავარიანი** — კომპოზიტები აფხაზური ენის მცენარეთა ლექსიკაში, XXIII, 2006.
181. **ნ. მაჭავარიანი** — ლოკალურ პრევერბთა და მასდარულ ფუძეთა შემცველი მცენარეთა სახელწოდებანი აფხაზურში, XXIV, 2006.
182. **ნ. მაჭავარიანი** — მარცვლოვანი კულტურების აღმნიშვნელი ლექსიკა აფხაზურში, XVII, 2004.
183. **ნ. მაჭავარიანი** — მცენარეთა ნაწილთა სახელები აფხაზურში, XIX, 2005.
184. **ნ. მაჭავარიანი** — მცენარეთა სახელწოდებებთან დაკავშირებული ზოგადი ტერმინები აფხაზურში, XX, 2005.
185. **ნ. მაჭავარიანი** — ქართული „ღვინო“ ლექსემის ეტიმოლოგიის ცდა, XXI, 2006.
186. **ნ. მაჭავარიანი** — ყურძნის ჯიშების აღმნიშვნელი სახელწოდებები აფხაზურში, XVII, 2004.
187. **ნ. მაჭავარიანი** — კონტექსტი და კითხვითი წინადადების ფუნქციურ-სემანტიკური თავისებურებანი, XVII, 2004.
ბიბლიოგრაფია (გაგრძელება)
188. **ნ. მაჭავარიანი** — რიტორიკული კითხვითი წინადადების ფატიკური ფუნქციისათვის, XVIII, 2005.
189. **მ. მახარაძე** — Have to კვაზიმოდალის კონსტრუქციები თანამედროვე ინგლისურ ენაში, XX, 2005.
190. **თ. მახარობლიძე** — პირიანობა და ვალენტობა, XVIII, 2005.
191. **თ. მახარობლიძე** — ქცევის კატეგორიის თავისებურებანი, XXIII, 2006.
192. **თ. მებუკე** — ეპიკური პროზის ძირითადი ჟანრები, XXIV, 2006.
193. **თ. მებუკე** — ეპიკური ჟანრების ნაწარმოებთა კლასიფიკაციის სტრუქტურულ-სემანტიკური საფუძვლები, XVIII, 2005.
194. **თ. მებუკე** — ნარატიული ნაწარმოებების სტრუქტურა, XX, 2005.
195. **ა. მეფარიშვილი** — მიმღობათა მა—ელ ცირკუმფიქსიანი წარმოება „ვისრამიანსა“ და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“, XVIII, 2005.
196. **ა. მეფარიშვილი** — მიმღობა მიზნის გარემოებად შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“, XVI, 2004.
197. **ი. მინდაძე** — არგუმენტირება, როგორც დისკუსიის ძირითადი სტრუქტურული ერთეული, XVII, 2004.
198. **ი. მინდაძე** — დისკუსია როგორც სოციალური აქტივობა კომუნიკაციური დიალექტის კონტექსტში, XVI, 2004.
199. **ი. მინდაძე** — დისკუსიის „საშენი“ ერთეულების სწავლების საკითხისათვის, XVIII, 2005.

200. **ი. მირაზანაშვილი** — კონოტაციის ორი სახე და ორი სტილისტიკა, XVIII, 2005.

201. **ი. მირაზანაშვილი** — სინონიმების განმასხვავებელი ელემენტი — უზუალური სტილისტური კონოტაცია, XVIII, 2005.

202. **მ. მიქაუტაძე** — იყუენენ, ქუველ, იშუენენ... ტიპის ფორმათა ანალიზისათვის, XXIV, 2006.

203. **მ. მიქაძე** — კიდევ ერთხელ ენათმეცნიერულ ტერმინთა უნიფიცირებისათვის, XIX, 2005.

204. **მ. მიქაძე** — მეორე სუბიექტური პირის გამოხატვა თანამედროვე ქართულ ენაში, XXIV, 2006.

205. **მ. მიქაძე** — მშვენიერების აღმნიშვნელი ლექსიკა სალიტერატურო ქართულში, XXIII, 2006.

206. **ლ. მუქერია** — სიტყვიერი პორტრეტი როგორც პერსონაჟის დახასიათების ხერხი, XVII, 2004.

207. **ლ. მუქერია** — ბატალური სცენების აღწერა დედანსა და თარგმანებში, XVII, 2004.

208. **ნ. ნათაძე-მებუჯე** — თხრობითი ტექსტის სტრუქტურა, XXI, 2006.

209. **ქ. ნიკოლაძე** — ოკაზიონალიზმების როლი ტექსტის ლინგვისტიკაში XXI, 2006.

210. **მ. ნიკოლაიშვილი** — გვარის კატეგორიისათვის ქართულში, XVI, 2004.

211. **თ. ნიჟარაძე** — მეტაფორის სუბსტიტუციონალური და ინტერაქციონალური თეორიები, XX, 2005.

212. **თ. ნიჟარაძე** — მეტაფორების კლასიფიკაცია მათი გამოყენების სიხშირის მიხედვით, XXII, 2006.

213. **თ. ნიჟარაძე** — ორიენტაციული მეტაფორები მე-20 საუკუნის II ნახევრის გერმანულენოვან მხატვრულ პროზაში, XXIII, 2006.

214. **ნ. ნიჟარაძე** — სინტაქსური სინონიმის რაობა, XIX, 2004.

215. **ლ. ნოზაძე** — „ქართული დიალექტის ლექსიკონთან (1981) დაკავშირებული ზოგი საკითხის გამო, XVII, 2004.

216. **ლ. ნოზაძე** — ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონი და მასთან დაკავშირებული პრობლემები, XXIV, 2006.

217. **ზ. ოთინაშვილი** — დვალეთის ზოგიერთი ტოპონიმის შესახებ, XVII, 2004.

218. **ნ. ოთინაშვილი** — ზოგიერთი გვაროვნული სახელი „ქსნის ხეობის“ სტატისტიკურ აღწერაში“, XVII, 2004.

219. **ნ. ოთინაშვილი** — მეჭუდის ხეობის ტოპონიმის ძირითადი საკითხები, XVI, 2004.

220. **ს. ოშიაძე** — უცხო სიტყვა — უცხო მენტალობა ეროვნულ დისკურსში, XXIII, 2006.

221. **ს. ოშიაძე** — „ენობრივი პიროვნების“ ცნებისათვის, XXI, 2006.

222. **ლ. ონიანი** — მხატვრული ტექსტის რეფერენტული სტრუქტურა და რეფერენტციის როგორც პარადიგმატული უნივერსალის კვლევის პრობლემები, XIX, 2005.

223. **ე. ონიანი** — სიტყვის კომუნიკაციური მნიშვნელობა მეტყველებაში, XVIII, 2005.

224. **მ. ოცხელი** — იტალიური და ქართული ენების იდენტურ ფრაზეოლოგიზმთა თავისებურებანი, XXI, 2006.

225. **ქ. ფორფოლიანი** — ზღაპრის სტრუქტურის მეცნიერული კვლევის ზოგადი ასპექტი, XXI, 2006.

226. **ე. ფორფოლიანი** — ნუმერატივები სომატურ ფრაზეოლოგიზმებში, XVIII, 2005.

227. **ე. ფორფოლიანი** — ნუმერატივების ფრაზეოლოგიური აქტივობის შესახებ, XVII, 2004.

228. **ე. ფორფოლიანი** — რიცხვითი სახელის ადგილი მეტყველების ნაწილთა სისტემაში და ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი „ნუმერატივი“, XVII, 2004.

229. **რ. რამიშვილი** — სპარსული წარმომავლობის ერთი სიტყვის ორი ფონეტიკური ვარიანტი ქართულში, XX, 2005.

230. **მ. რიჟვაძე** — ანთროპონიმთა კნინობით-ალერსობითი ფორმები საშუალო ქართულში, XVII, 2004.

231. **მ. რიჟვაძე** — „ტბეთის სულთა მატინის“ ტოპონიმის კვლევა, XVII, 2004.

232. **მ. რუსიევილი** — ერვინგ გოფმანის თეორიის ევოლუციის თაობაზე, XXIII, 2006.

233. **მ. რუსიევილი** — რატომ არ არის პ. ბრაუნისა და ს. ლევისონის ლინგვისტური თავაზიანობის მოდელი უნივერსალური? XXIV, 2006.

234. **ნ. რუსაძე** — თავაზიანობის საკითხი და მიმართვის ფორმები

ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენებში, XX, 2005.

235. **ნ. რუხაძე** — მიმართვის ფორმების გამოყენება ინგლისურ, ქართულ და რუსულ ლოცვებში, XVII, 2005.

236. **ნ. რუხაძე** — ნომინაცია — როგორც სომატური იდიომების გამოვლენის ერთ-ერთი მოდელი, XIX, 2005.

237. **ც. საკარული** — პარცელაცია, როგორც მოდალობის რეალიზაციის ერთ-ერთი საშუალება, XVII, 2004.

238. **ც. საკარული** — სათაურის ძირითადი პარამეტრების საკითხისათვის, XVII, 2004.

239. **კ. სამნიაშვილი** — არსებითი სახელის ფრაზეოლოგიური ვალენტობა ენის სისტემასა და ლიტერატურულ დიალოგში, XXI, 2006.

240. **კ. სამნიაშვილი** — ფრაზეოლოგიური კვლევის ახალი პარამეტრები, XX, 2005.

241. **ჯ. საღეში** — გეოგრაფიული სახელების შესახებ საადი შირაზელის „გოლესთანში“ XXIV, 2006.

242. **ქ. სარსევანიძე** — ონიმთა მეცნიერული და ხალხური (არამეცნიერული) ეტიმოლოგიის ურთიერთკავშირის შესახებ, XVII, 2004.

243. **მ. საღლიანი** — ნასესხები ლექსიკა სვანურ ენაში, XVI, 2004.

244. **ნ. სახენიძე** — ობიექტურ პირთა რიცხვის კატეგორიის ფორმირება ზმნაში, XXIII, 2006.

245. **ნ. სახენიძე** — პირდაპირი და ირიბი ობიექტები ქართულში, XIX, 2005.

246. **მ. სიორიძე** — ადამიანის კოგნიტურ-ემოციური ფსიქოსომატური მდგომარეობის ფენომენოლოგიური ეიდეტური დესკრიფცია, XX, 2005.

247. **მ. სიორიძე** — კომუნიკაციური კომპეტენცია, როგორც კომუნიკაციური ბიკულტურული განვითარების საფუძველი და კულტურათაშორისი კომპეტენციის სტრუქტურა, XIX, 2005.

248. **მ. სიორიძე** — კონცეპტების — „ქარი“, „ცხელი“, „მიწა“ — კულტურის სიმბოლარიუმი ფრანგულ და იტალიურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში, XXII, 2005.

249. **მ. სიორიძე** — კონცეპტი როგორც ლინგვოკულტუროლოგიური კატეგორია, XXIII, 2006.

250. **ნ. სტამბოლაშვილი** — ზოგიერთი ლინგვისტური ტერმინის განმარტებისათვის, XVIII, 2005.

251. **ნ. სტამბოლაშვილი** — კომუნიკაციაში ჩართულ სიტყვათა სემანტიკური კომბინაციები, XXIII, 2006.

252. **ნ. სურგულაძე** — ზოონიმთა შემცველი ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სისტემა თანამედროვე ფრანგულ ენაში, XXIII, 2006.

253. **ნ. სურგულაძე** — რთული დროის ფორმები და ნამყოს მიმღობის შეთანხმების წესები საშუალოფრანგულში, XVIII, 2005.

254. **ნ. სურგულაძე** — შეფასებითი გრძნობა-დამოკიდებულება ქართულ ფრაზეოლოგიურ ზოონიმებში, XVI, 2004.

255. **ნ. სურმავა** — სხვა სიტყვის სემანტიკური ნიუანსები სამხრულ-ქართულ დიალექტურ ქვესისტემებსა და ლაზურში, XVI, 2004.

256. **თ. სუხიშვილი** — ნათესაობის აღმნიშვნელი სომატური მიკროველების შესახებ, XXIII, 2006.

257. **ე. ტატიშვილი** — აღწერის როგორც სამეტყველო ფორმის ადგილი მხატვრული ტექსტის სამეტყველო-კომპოზიციურ დონეზე, XX, 2005.

258. **თ. ტეტელაშვილი** — ასპექტის გამოხატვისათვის ქართული ენის საშუალო გვარის ზმნებში, XXIII, 2006.

259. **ი. ტურაშვილი** — ბოლომდონიანი სახელები ნასახლარი ზმნის ფუძედ საშუალო ქართულის ძეგლთა ენის მიხედვით, XXIII, 2006.

260. **ი. ტურაშვილი** — პირის ნიშანთა ხმარების თავისებურებანი ვნებითი გვარის ნასახლარ ზმნებში საშუალო ქართულის ძეგლთა ენის მიხედვით, XXII, 2006.

261. **ს. ტყემელაშვილი** — ვ ბგერის საკითხი ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტში, XXIV, 2006.

262. **ს. ტყემელაშვილი** — ოთხწევრა თანხმოვანთკომპლექსები ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტში, XXIII, 2006.

263. **ნ. უგლავა** — მოდალობის რაობა, XVIII, 2004.

264. **ნ. უგლავა** — ტექსტობრივი კატეგორიების დინამიკა და ევოლუცია, XX, 2005.

265. **ნ. ურთაშვილი** — სიტყვის მორალურ-ესთეტიკური მხარის

ასახვა ძველ ქართულ ლიტერატურაში, XXIII, 2006.

266. **ნ. ურთაშვილი** — სიტყვის წარმოთქმასთან დაკავშირებული ლექსიკა ძველ ქართულ საღვთისმეტყველო და საერო ლიტერატურაში, XXII, 2006.

267. **ნ. ფეიქრიშვილი** — არავერბალური სომატური ფრაზეოლოგიზმები, XVI, 2004.

268. **ჟ. ფეიქრიშვილი** — შეთანხმების კვალიფიკაციისათვის ქართულში, XX, 2005.

269. **თ. ფეტელავა** — ინტერპრეტაციული სკოლის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები, XX, 2005.

270. **თ. ფეტელავა** — ტექსტის გრამატიკის განვითარების ტენდენციები, XXII, 2006.

271. **ს. ფეტელავა** — საუბრის ანალიზი ენათმეცნიერების თანამედროვე კონტექსტში, XXIII, 2006.

272. **შ. ფუტკარაძე** — ზმნური ინკლუზივი-ექსკლუზივი ნიგალურ ქართულში, XXI, 2006.

273. **შ. ფუტკარაძე** — უდეტრები ქართული ენის ნიგალურ დიალექტში, XXIII, 2006.

274. **ო. ფხაკაძე** — აღნიშვნა და სამყაროს ხაზი, XXIV, 2006.

275. **ო. ქაზემი** — ქსოვილების აღმნიშვნელი სპარსულ-არაბული ლექსემების შესახებ „ზააქიანში“, XXIV, 2006.

276. **ო. ქაზემი** — შენიშვნები სპარსულ-არაბული წარმომავლობის ძვირფასი ქვების სახელების შესახებ „ზააქიანში“, XXII, 2006.

277. **ნ. ქათამაძე** — პრესუპოზიციის თეორიის ისტორიული წინამძღვრები, XX, 2005.

278. **ო. ქარდავა** — სიტყვისა და ფრაზეოლოგიზმის შინაფორმა გერმანულსა და ქართულში, XVIII, 2005.

279. **ო. ქარდავა** — ფრაზეოლოგიზმის ღერძული სიტყვის სტრუქტურულ-სემანტიკური პარადიგმა, XVII, 2004.

280. **ო. ქარდავა** — ღერძულსიტყვიანი ფრაზეოლოგიზმების განზოგადებული მოდელი, XX, 2005.

281. **ლ. ქაროსანიძე** — პროსოდის ნიშანთა აღმნიშვნელი ტერმინების გადმოცემისათვის ქართულში, XXIII, 2006.

282. **ლ. ქაროსანიძე** — ძველ ქართულ გრამატიკულ ტერმინთა ისტორიისათვის, XVIII, 2005.

283. **ლ. ქაროსანიძე** — Φασή და ხმა ფუძეებიდან ნაწარმოები გრამატიკული ტერმინები ძველ ბერძნულსა და ქართულ გრამატიკულ თხზულებებში, XVI, 2004.

284. **თ. ქაცანაშვილი** — პრედიკატის სივრცის კომპონენტები თანამედროვე ფრანგულ ენაში, XVII, 2004.

285. **თ. ქერქაძე** — ინტერტექსტუალობა „ახალ რომანში“, XVIII, 2005.

286. **ე. ქირია** — დარგობრივი ლექსიკის შესწავლის მნიშვნელობისათვის, XXI, 2006.

287. **ე. ქირია** — ვერცხლ-ფუძის აგებულებისათვის, XIX, 2005.

288. **ჭ. ქირია** — ზანური ზმნური ფორმები გახმოვანების თვალსაზრისით, XVII, 2004.

289. **ც. ქირია** — რთული სამეცნიერო ტერმინების (კომპოზიტების) მართლწერა, XVI, 2004.

290. **ლ. ქობალია** — სიტყვათწყობის შედარებით-ტიპოლოგიური კვლევა გერმანიკულ ენებში, XVI, 2004.

291. **ქ. ქოჩლაძე** — მრავლობითი რიცხვის წარმოება ქართულში, XIX, 2005.

292. **მ. ქუჭიშვილი** — მესხური გვარების სტრუქტურული ანალიზისათვის, XXIII, 2006.

293. **მ. ღამბაშიძე** — განკერძოებული ზედსართავი სახელის სემანტიკური სტრუქტურა ნომინალურ სინტაგმაში, XXIV, 2006.

294. **ხ. ღლონტი** — მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის პრობლემა ახლო წარსულში და დღეს, XXI, 2006.

295. **ხ. ღლონტი** — პირველი სუბიექტური პირის ნიშნის მარკირება გასული საუკუნის პირველ მეოთხედში, XXIV, 2006.

296. **ლ. ყავლაშვილი** — ფრანგული ენის გენეზისური და ენობრივი სიტუაცია ბელგიაში, XXI, 2006.

297. **მ. ყალამაშვილი** — ზმნის ნარიანი ფორმები თურმეობით პირველსა და თურმეობით მეორეში თანამედროვე ქართული პრესის მიხედვით, XX, 2005.

298. **მ. ყალამაშვილი** — უცხო სიტყვები და გამოთქმები თანამედროვე ქართული პრესის ენაში, XXI, 2006.

299. **ს. ყიფიანი** — ლოგიკური აუცილებლობის გამომხატველი ეპისტემური მოდალობა ინგლისურსა და ქართულში, XXII,

- 2006.
300. **ი. შადური** — აფხაზური ზმნის დერივაციულ მნიშვნელობათა ლექსიკალიზაცია და მისი ამოცნობის კრიტერიუმები, XVI, 2004.
301. **ი. შადური** — (-ზაა) მორფემის სტატუსისათვის სამწერლობო აფხაზურში, XVI, 2004.
302. **ი. შადური** — სახელთა ფლექსიური კატეგორიები აფხაზურში, XXIV, 2006.
303. **ი. შადური** — ფლექსიური კატეგორიები აფხაზური და ქართული ზმნის მწკრივებში, XXII, 2006.
304. **თ. შავლაძე** — სინესთეტიური სურათი — ცალკე კატეგორია თუ **ინდივიდუალურ** სინესთეტიურ მეტაფორათა კრებულ კულტურათა ენაში, XX, 2005.
305. **თ. შავლაძე** — სინესტიკური უნიკალიები სხვადასხვა კულტურათა ენაში, XIX, 2005.
306. **ნ. შავრეშიანი** — ბრუნების თავისებურებანი ქართლში მიგრირებულ სვანთა მეტყველებაში, XXIV, 2006.
307. **რ. შამელაშვილი-ზექალაშვილი** — ვერბალურ და არავერბალურ საშუალებათა კომუნიკაციური ფუნქციისათვის ქართულ ზეპირ დისკურსში, XXII, 2006.
308. **რ. შამელაშვილი-ზექალაშვილი** — თავაზიანობის გამოხატვა მეტყველებაში და მისი შესწავლის ასპექტები, XVIII, 2005.
309. **რ. შამელაშვილი-ზექალაშვილი** — მოდალობის სემანტიკური კატეგორია და ველი ქართულში, XXIII, 2006.
310. **რ. შამელაშვილი-ზექალაშვილი** — პირის კატეგორიის ფუნქციონირება ქართულში და ექსტრალინგვისტური ფაქტორები, XVIII, 2005.
311. **რ. შამელაშვილი-ზექალაშვილი** — საკომუნიკაციო მოდელი და ზმნის გრამატიკული კატეგორიები, XXIII, 2006.
312. **ნ. შარაშენიძე** — ვალენტობა როგორც კოჰერენცის ერთ-ერთი გამოვლინება, XX, 2005.
313. **ნ. შარაშენიძე** — სტილისტური „შეცდომები“ თანამედროვე გერმანულ ენაში, XXII, 2006.
314. **ნ. შარაშენიძე** — ტექსტის ღიაობა გრაფემულ-გრაფიკულ დონეზე, XXIV, 2006.
315. **მ. შელია** — ფსიქოლინგვისტური კვლევის პროდუქტულობა

- სიტყვის ანალიზის პროცესში, XXII, 2006.
316. **ე. შენგელია** — სამოსელთან დაკავშირებული ძირითადი ლექსიკა მეგრულ-ლაზურში, XXII, 2006.
317. **მ. შერაზადაშვილი** — ნაწილაკი-ფრაზეოლოგიზმები, XVII, 2004.
318. **მ. შერაზადაშვილი** — სუბიექტური მოდალობა და მისი გამოხატვის საშუალებანი, XVI, 2004.
319. **ა. შონია** — დანიშნულების ზოგიერთ სახელთა მორფოლოგიური ცვლილებები ზანურში, XVII, 2005.
320. **თ. შურღაია** — ვატიკანის ოთხთავის მხატვრული შემოქმედება, XXIII, 2006.
321. **ნ. ჩარკვიანი** — ასპექტი, როგორც ფუნქციონალურ-სემანტიკური კატეგორია, XX, 2005.
322. **ნ. ჩარკვიანი, მ. ბაბუნაძია** — ზმნის ერთაქტიანი და მრავლაქტიანი მოქმედების გამოხატვის ზოგიერთი საკითხისათვის ქართულ და ინგლისურ ენებში, XVIII, 2005.
323. **ი. ჩაჩანიძე** — ენობრივ სიტუაციათა ადეკვატური მოდელის დადგენისათვის, XVIII, 2005.
324. **მ. ჩაჩანიძე** — თეზაურუსი როგორც ლინგვისტური ცოდნის წარმოდგენის ფორმა, XXI, 2006.
325. **მ. ჩაჩანიძე** — ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონების ტიპოლოგიური ანალიზი, XXIII, 2006.
326. **მ. ჩაჩანიძე** — კომპიუტერული ლექსიკოგრაფიის ადგილისათვის ლექსიკოგრაფიის ტექსონომიურ სისტემაში, XX, 2005.
327. **თ. ჩანაშვილი** — ტექსტისა და სურათის ურთიერთმიმართება სარეკლამო ენაში, XXIII, 2006.
328. **ნ. ჩინჩალაძე** — დიალექტიზმები შიო არავისპირელის შემოქმედებაში, XXI, 2006.
329. **მ. ჩიქოვანი** — არასასაკუთრივ-პირდაპირი ნათქვამის პოზიციური ტიპები, XVIII, 2005.
330. **ლ. ჩიქოვანი** — ატრიბუტული და პრედიკატული ტიპის შედარება (გიორგი ლეონიძის შემოქმედების მიხედვით), XXII, 2006.
331. **ლ. ჩიქოვანი** — რიცხვში შეთანხმება, რეალური და იმპრესიონისტული ტიპის შედარება (გიორგი ლეონიძის შემოქმედება

დების მიხედვით), XXI, 2006.

332. **თ. ჩინლაძე** — ე. დიუჟარდენისეული „შინაგანი მონოლოგის მნიშვნელობა და თავისებურებანი, XXI, 2006.

333. **თ. ჩურკვეიძე** — პროზაული ტექსტის სტილისტური ანალიზის სწავლებისას, XXIII, 2006.

334. **ა. ჩუტკერაშვილი** — ტექსტის მთლიანობის შექმნის მნიშვნელოვანი ფაქტორები, XXIII, 2006.

335. **ს. ჩხვიმიანი** — ბიბლიზმებისა და მითოლოგიზმების ეტიმოლოგია და მათი კომპონენტური დონის ეკვივალენტურობა, XVI, 2004.

336. **ს. ჩხვიმიანი** — ფრაზეოლოგიზმების ტრანსპოზიციის პრობლემა მხატვრულ თარგმანში, XVI, 2004.

337. **ს. ჩხვიმიანი** — საკუთარი სახელები „დონ კიხოტეს“ თარგმანებში, XXI, 2006.

338. **ი. ჩხობაძე** — კომუნიკაციური იმპლიკატურები საგაზეთო ფელეტონის ტექსტში, XIX, 2005.

339. **ი. ჩხობაძე, ს. ჩხობაძე** — საგაზეთო ფელეტონის ჟანრის საკითხისათვის, XXIII, 2006.

340. **ს. ჩხობაძე** — სამეტყველო ჟანრის საგაზეთო რეცენზიის კომპოზიციური ელემენტების ზოგადი ანალიზი, XVIII, 2005.

341. **ს. ჩხობაძე** — შეფასებითი გამოთქმების დახასიათება, XVII, 2004.

342. **ს. ჩხობაძე** — შეფასებითი სამეტყველო ფორმები ინგლისურენოვან საგაზეთო რეცენზიაში, XIX, 2005,

343. **დ. ჩხუბიანიშვილი** — იმანენტური განვითარების ზოგიერთი გამოვლინება ფერეიდნულში, XXIII, 2006.

344. **დ. ჩხუბიანიშვილი** — ფერეიდნული კილოს შესწავლის ამჟამინდელი მდგომარეობა, XXIV, 2006.

345. **მ. ცერცვაძე, ი. რუსაძე** — სხვათა სიტყვის ნაწილაკები რუსულ და ქართულ ენებში, XXII, 2006.

346. **ნ. ცერცვაძე** — იტალიური ენის სწავლებისას კულტურათა შორის ლინგვისტურ და ექსტრალინგვისტურ განსხვავებათა თავისებურებანი, XXII, 2006.

347. **ნ. ცერცვაძე** — „წერის ხელოვნება“ — ეპისტოლარული ჟანრის მივიწყება თუ მისი მეტამორფოზი?“, XXIII, 2006.

348. **ლ. ცხელაშვილი** — მეორე სუბიექტური და მესამე ობიექ-

ტური პირების მორფემის გენეზისისათვის, XIX, 2005.

349. **ნ. ციხიშვილი** — პრეფიქსიანი ვნებიტის წყვეტილის ფორმათა წარმოების საკითხები საშუალო ქართულში, XXI, 2006.

350. **ნ. ციხიშვილი** — უნიწონო და -ი სუფიქსიანი წყვეტილი საშუალო ქართულში, XXII, 2006.

351. **თ. ცოფურაშვილი** — კირილე ალექსანდრიელის XI ჰომილიის ადრეული ქართული თარგმანი, XVIII, 2005.

352. **ც. ძაძამია** — ფერის გამომხატველ ლექსემათა პრევერბიანი ფორმები მეგრულში, XXI, 2006.

353. **ც. ძაძამია** — ყვითელი ფერის სემანტიკური ველი მეგრულში, XXIV, 2006.

354. **ც. ძაძამია** — ფერ- ძირი ქართველურ ენებში, XXII, 2006.

355. **მ. წიგწივაძე** — გაუგებრობისა და თვითკორექციის ფენომენი დიალოგურ დისკურსში, XXIV, 2006.

356. **ნ. წიკლაური** — უცხო წარმოშობის ლექსიკა თანამედროვე ქართულ პრესაში, XXII, 2006.

357. **გ. ჭანტურია** — არგუმენტაციის როლი პოლიტიკურ დისკურსში, XIX, 2005.

358. **გ. ჭანტურია** — კონცეპტოსფეროს როლი ფრანგი ხალხის ილოკაციურ გამონათქვამებში 1968 წლის სტუდენტური გამოსვლების დროს, XXI, 2006.

359. **გ. ჭანტურია** — მეტყველების წარმოქმნისა და ვაგების პროცესი ვერბალურ ინტერაქციაში, XVIII, 2005.

360. **ს. ჭეიშვილი** — ინტერვიუს როგორც ჟურნალისტურ-ინფორმაციული ჟანრის, ეპოქალურ-კულტურული არსი და მისი კვლევის ლინგვოკულტუროლოგიური პერსპექტივა, XX, 2005.

361. **ნ. ჭელიძე** — ჯვარცმის სცენის ერთ-ერთი ეთნოცენტრული ინტერპრეტაციის ლინგვისტური ანალიზი, XVIII, 2005.

362. **ნ. ჭილაშვილი** — ავტობიოგრაფიული თხრობა როგორც მნიშვნური პროცესების ერთ-ერთი ასპექტის — მოგონების აქტუალიზაცია მხატვრულ ტექსტში, XX, 2005.

363. **ნ. ჭილაშვილი** — ზოგადისა და კონკრეტულის ურთიერთმიმართება შემფასებლურ ლექსიკაში, XXI, 2006.

364. **რ. ჭიკაძე** — საერთო მისამართი წევრი პარატაქსულ კონსტრუქციაში, XX, 2005.

365. **ნ. ჭიბაშვილი** — ბავშვის მეტყველების ზოგიერთი საკითხი, XVIII, 2005.
366. **ნ. ჭიბაშვილი** — სასკოლო ასაკის ბავშვის მიერ უცხოური ენის შესწავლის ზოგიერთი საკითხი, XVIII, 2005.
367. **ნ. ჭოხონელიძე** — ზოგი სიტყვის წარმომავლობისათვის ქართულში 1. ჭიაფერი; 2. ჭიამაია, XXIII, 2006.
368. **ნ. ჭუმბურიძე** — სიტყვის სემანტიკური ცვლილებანი ბავშვთა ენაში, XXIII, 2006.
369. **ც. ჭყონია** — ფრაზული ზმნების სტრუქტურული თავისებურებანი, XX, 2005.
370. **ი. ხაყალია** — ინგლისური ზმნა-პრედიკატის ზოგადკატეგორიულ-სემანტიკური კლასები, XXI, 2006.
371. **ი. ხაყალია** — ინგლისური ზმნა-პრედიკატის კომუნიკაციურ-სემანტიკური ორიენტაცია შეგრძნების გამომხატველი ზმნების სემანტიკური ველის მიხედვით, XXII, 2006.
372. **ლ. ხაჭაბურიძე, ლ. ლომთაძე** — სატირისა და იუმორის გავლენა ბიბლიური ფრაზეოლოგიზმების სემანტიკაზე, XXIV, 2006.
373. **თ. ხეცურიანი** — რეპორტაჟის, როგორც ჟურნალისტური ჟანრის მაკონსტიტუირებელ ნიშანთა სისტემა და მისი ენობრივ-ტექსტობრივი განზომილება, XIX, 2005.
374. **ნ. ხითარიშვილი** — „ქალის სტატუსი ოჯახში: გენდერული ასპექტი (ფრანგული მხატვრული პროზაული ნაწარმოების მიხედვით)“, XXII, 2006.
375. **მ. ხოფერია** — ფრაზეოლოგიის ფენომენი ლინგვისტიკისა და კულტურის მიჯნაზე, XXIV, 2006.
376. **ნ. ჯანჭღავა** — დისკურსის ინტერსუბიექტურობა და „ობიექტური მოდალობის“ (კილოს გრამატიკული კატეგორიის) პრობლემა ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში, XIX, 2005.
377. **თ. ჯაფარიძე, ი. გორჯელაძე** — დრამის კვლევის ზოგიერთი მეთოდოლოგიური საკითხისათვის, XIX, 2005.
378. **თ. ჯაფარიძე** — პოსტმოდერნისტული დრამა, XX, 2005.
379. **თ. ჯაჭვაძე** — რეკლამის ენის ლინგვისტური ასპექტები, XVIII, 2005.
380. **რ. ჯობავა** — გახსენება და წარმოსახვა (მ. იურსენარის „ადრეანეს მოგონებების“ მიხედვით), XXII, 2006.
381. **რ. ჯობავა** — შინაგანი ენა, XXI, 2006.
382. **ნ. ჯორბენაძე** — -ობ თემისნიშნისანი საშუალო გვარის ზმნათა ულლებადი ფორმების კლასიფიკაციისათვის, XXIII, 2006.
383. **ნ. ჯოჯუა** — ინტელექტის დადებითი თვისებების აღმნიშვნელი ატრიბუტული ლექსიკა ინგლისურ ენაში, XVI, 2004.
384. **მ. ჯულელი** — ორთოგრაფიული ცვლილებები ძველ ფრანგულში, XX, 2005.
385. **მ. ჯულელი** — ხმოვანთა ევოლუცია ძველ ფრანგულში, XIX, 2005.

სარჩევი

- ე. არჩვადე — იმპლიკაციის მარკერების კონსტრუქციული და სემანტიკური მნიშვნელობა ზეფრაზულ ერთიანობაში 3
- ც. ახვლედიანი — გრამატიკული მეცნიერული აზრის განვითარება და ფრანგული ნაციონალური სამწერლო-სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის პროცესი.....
- ც. ახვლედიანი, მ. კინწურაშვილი — ფონოსემანტიკისა და ქვეცნობიერის უხილავი კავშირები
- ე. გაჩეჩილაძე — ენის ლოგიკური ანალიზი და სიმეტრიის ცნება
- ე. გაჩეჩილაძე — სიმეტრია-ასიმეტრიის კატეგორიები ენათმეცნიერებაში
- ლ. გოქსაძე, მ. ხვედელიძე — კოპეზია და კოპერენტულობა როგორც სარეკლამო ენის გამაერთიანებელი საშუალებები
- ნ. დარასელია — შორისდებული როგორც იმპულსური ვერბალური ქცევის ნიმუში
- ი. დიაკონიძე — გამოცანის ტიპები ფოლკლორში
- ე. თოფურია — მთარგმნელობითი სტრატეგიის დეტერმინანტები (ტექსტთა ფუნქციონალური ტიპოლოგია)
- ც. კვანტალიანი — „შინამრეწველობის მასალების“ ენათმეცნიერული მნიშვნელობა
- ნ. კირვალიძე — ნომინაციის კოგნიტური ასპექტი და არსებით სახელთა ტიპოლოგიის პრობლემა თანამედროვე ინგლისურ ენაში
- თ. ლომთაძე — რუსიციზმებისა და ანგლიზმების დამკვიდრების ტენდენციები ქართულში
- კ. ლომიძე — სპორტის სფეროში გამოყენებული ანგლიციზმები და მათი ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი
- თ. მამარდაშვილი — მიმღობის წარმოების ისტორიისათვის ქართულში
- ნ. მარკოზია — ორენოვნების საკითხი 80-იანი წლების საქართველოში (XX საუკუნის 80-იანი წლების პერიოდის მიხედვით)
- ნ. მაჭავარიანი — ვითარებითი ზედსართავის ოდნობითი ხარისხის ც° - პრეფიქსის წარმომავლობისათვის აფხაზურში
- ჯ. რ. მაჭმული — ფრინველები და მათი სახეობანი მანუჩეპრი დამლანის პოეზიაში
- ე. მელქაძე — სისტემისა და ევოლუციის ურთიერთმიმართება (სუბიექტ-ობიექტების „ბრუნვის“ გამოხატვის საშუალებანი თანამედროვე ფრანგულ ენაში)
- მ. მიქაძე — მესამე სუბიექტური პირის გამოხატვა ქართულში
- მ. მჭედლიშვილი — ლინგვისტური ერთეულის სემანტიკა და მისი პრაგმატიკული ინტენციის ესთეტიკური ეფექტი მხატვრულ ტექსტში (ვ. პრიჩეტის მოთხრობის „ბუზი საცხმის“ მასალაზე)
- თ. ნიჟარაძე — ანგლიციზმები გერმანულ ენაში
- ზ. ოთინაშვილი — ლეზურის ხეობის ძველი ქართული ტოპონიმები
- ნ. ოთინაშვილი — მეჯუდის ხეობის ნასოფლარები
- ნ. ოთინაშვილი — ფრონეს ხეობის ტოპონიმები
- ქ. რეხვიაშვილი — არააქტიური პრედიკაციის გამოხატვა ბმისა და მართვის თეორიის დებულებებზე დაყრდნობით
- ქ. რეხვიაშვილი — ფსიქოზმენტის შესახებ განსხვავებულ თეორიულ თვალსაზრისთა ანალიზი
- ც. საკარული — კონვერგენცია როგორც სემანტიკური პროცესი
- ჯ. სალექვი — არაბული სამყარო და საადი
- ნ. სამნიძე — აბსოლუტურ კონსტრუქციითა ფუნქციონირების სტილისტური ასპექტი ინგლისურენოვან მხატვრულ ნარატიულ ტექსტში ზანურში“ (რეცენზია)
- ს. ტყეშელაშვილი — ჯ ფონემა ფერეიდნულ დიალექტში

- ნ. ფხაკაძე — არქაული ნასესხობანი საწყლეს ჭურჭლის ტერმინოლოგიაში
- გ. ქამუშაძე — თხრობითი კილოს მარტივ დროთა წარმოება იანეთში რეპატრიირებული მოსახლეობის თურქულ მეტყველებაში
- მ. დამბაშიძე — განკერძოებული ზედსართავი სახელის სემანტიკა და ნომინაციის პროცესები ნომინალურ სინტაგმაში
- ს. ყიფიანი — Can მოდალური ზმნის მნიშვნელობა და გამოყენების ძირითადი შემთხვევები
- ნ. შარაშენიძე — ტექსტის ინფორმაციული მოცულობის ცვალებადობა
- ნ. ჩარკვიანი — მოქმედების სახის ცნება ლინგვისტურ მეცნიერებაში
- ი. ჩხოვაძე, ს. მორალიშვილი — ფრეიმი — ცოდნის წარმოდგენის სტრუქტურული საშუალება
- დ. ჩხუბიანიშვილი — ფერეიდნული ტექსტები
- მ. ცერცვაძე — ფრაზეოლოგიური ერთეულების სემანტიკური ტრანსფორმაცია და კონტექსტის სახესხვაობები (ჭ. ამირეჯიბის რომან „დათა თუთაშისას“ და მისი რუსული თარგმანის მაგალითზე)
- მ. ცერცვაძე, ი. ბერიძე — ირიბი მეტყველების წყობის ძირითადი საშუალებები რუსულ და ქართულ ენებში
- ნ. ჭოხონელიძე — საფუხარ-სიტყვის წარმომავლობისათვის
- ლ. ხაჭაპურიძე — გუნდრუკი // საკმეველი // სული ჰამოში
- თ. ხეცურიანი — რეპორტაჟი როგორც ზოგადპურნალისტური ჟანრობრივი ფენომენი და საგაზეთო რეპორტაჟი
- რ. მ. ჯაბარ — იბნ ალ-არაბის ფილოსოფიური ტერმინოლოგიის გავლენა ჯალალ უდ-დინ რუმის მასნავიზე
- გ. გოგოლაშვილი — ნაშრომი ქართული ენის სამხრული კილოების ფონემატური სტრუქტურის შესახებ (რეცენზია)
- ვ. მაღრაძე — „ენა საღვთო რამ არის“ (რეცენზია „ბუნების“ სახელმძღვანელოზე)
- მ. სუხიშვილი — მაკა სალია — „მეთევზეობის ლექსიკა „საენათმეცნიერო ძიებანის“ XVI-XXV ნომრებში ამოქვეყნებულ ნაშრომთა ბიბლიოგრაფია

Contents

- E. Archvadze — Constructional and Semantic Meanings of Implication Markers in Supraphrasal Units
- T. Akhvlediani — Development of Grammatical Thought and Normalization of National Literary French
- T. Akhvlediani, M. Kintsurashvili — Unobservable Links between Phonosemantics and the Subconscious
- E. Gachechiladze — Logical Analysis of Language and the Notion of Symmetry
- E. Gachechiladze — The Categories of Symmetry and Asymmetry in Linguistics
- L. Goksadze, M. Khvedelidze — Cohesion and Coherence as the Unifying Means of Texts of Advertisements
- N. Daraselia — The Interjection as a Sample of Impulsive Verbal Behaviour
- I. Diakonidze — Types of Riddles in Folklore
- E. Topuria — The Determiners of Translation Strategies
- T. Kvantaliani — The Linguistic Significance of "Household-manufacturing Data"
- N. Kirvalidze — Cognitive Aspect of Nomination and the Problem of Typology of Nouns in Modern English
- T. Lomtaze — Tendencies in the Establishment of Russianisms and Anglicisms in Georgian
- K. Lomidze — Anglicisms Used in the Field of Sports and their Functional and Semantic Analysis
- T. Mamardashvili — Towards the History of Participle Formation in Georgian
- N. Markosia — The Problem of Bilingualism in Georgia in the 80s of the Last Century (on the material of the Soviet press of the 80s)
- N. Machavariani — Towards the History of the Abkhasian Prefic c°

Indicating Slight Degree in Manner Adjectives
 J. R. Mahmood — Bird Species in Manuchehri Damghan's Poetry
 E. Melkadze — Relation between System and Evolution (means of expressing subjective and objective cases in current French)
 M. Mikadze — Expression of the Third Subjective Person in Georgian
 M. Mchedlishvili — Semantics of a Linguistic Unit and the Aesthetic Effect of its Pragmatic Intention in Fiction
 T. Nizharadze — Anglicisms in German
 Z. Otinashvili — Old Georgian Toponyms of the Lekhuri Valley
 N. Otinashvili — Mejudi Valley Settlements
 N. Otinashvili — Prone Valley Toponyms
 K. Rekhviashvili — Expression of Non-active Predication from the Standpoint of Government — and — Binding Theory
 K. Rekhviashvili — The Analysis Various Theoretical Standpoints on Psychovebs
 T. S. Sakaruli — Convergence As A Semantic Process
 J. Saleh — The Arabian World and Sa'adī
 N. Samnidze — Stylistic Aspect of Functioning of Absolute Constructions in the English Literary Narrative Text
 S. Tkeshelashvili — The Phoneme **q [q]** in the Fereidanian Dialect of Georgian
 N. Pkhakadze — Loanwords Used for Water Vessel Terms in Georgian
 G. Kamushadze — Formation of Simple Tenses of the Indicative Mood in the Turkish Speech of Moslem Population in Janeti
 M. Gambashidze — Semantics of Isolated Adjectives and Nominal Processes in a Nominal Syntagma
 S. Kipiani — Expression of Probability in Current English
 N. Sharashenidze — Variability of Text Information Volume
 N. Charkviani — The Notion of Akzionsart in Linguistics
 I. Chkhobadze, S. Moralishvili — Frame - A Structural Means of Knowledge Representation
 ჩხუბიანიშვილი(?) —
 M. Tsertsvadze — Semantic Transformation of Phraseological Units and Varieties of Context in Georgian and Russian (on the material of Ch. Amirejibi's novel 'Data Tutashkhia' and its Russian translation)
 M. Tsertsvadze, I. Beridze — Main Means of Indirect Speech

Order in Russian and Georgian
 N. Chokhoniidze — On the Origin of the Word Sapuxari
 L. Khachapuridze — "Gundruki" (incense), "Sakmeveli" (frankincense), 'Sul' hamoj' (pleasant smell)

T. Khetsuriani — Reporting as a Common Journalistic Genre and Newspaper Reporting in Particular

R. M. Jaber — Influence of philosophical terms of Ibn al-Arabī on the Mathnawi of Rumi

(გადასათარგმნია დანარჩენი)